სლავა ფეტელავა

შალვა გოგიაშვილი

ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა

გამომცემლობა „ახალი საქართველო“

თბილისი 2013

უაკ (UDC) 346.241
ფ - 451

სლავა ფეტელავა, შალვა გოგიაშვილი. ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა. თბილისი, 2013 წლის დეკემბერი - 480 გვ.

წინამდებარე ნაშრომი სასწავლო-პრაქტიკული ხასიათისაა და მასში შეტანილია, როგორც სასწავლო დანიშნულების პიპოთეტური ხასიათის კეისები, ისე ის პრაქტიკული საქმეები, რომლებთანაც სხვადასხვა პერიოდში შესება ჰქონდა როგორც საქართველოს ანტიმონოპოლიურ ორგანოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებს. ამასთან, კეისებში, რომელიც საქართველოს რეალობას ეხება, კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევ ეკონომიკურ აგენტთა საფირმო სახელწოდებები შეცვლილია (გამოგონილი სახელებით), თუმცა კრებულში მოტანილი ყველა ფაქტი და საანალიზო ბაზარი რეალური პრაქტიკიდანაა აღებული.

ნაშრომი წარმოადგენს დამხმარე პრაქტიკულ სავარჯიშოთა კრებულს სალექციო კურსისა - „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ (თბ., „ლოი“, 2007 წ.) და განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის და საერთოდ ანტიმონოპოლიური რეგულირების პრობლემატიკით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: მარინა ჩაველეიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს მიკროეკონომიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: მურთაზ კვირკვაია
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, სრული პროფესორი

გულნაზ ერქომაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი

© სლავა ფეტელავა, შალვა გოგიაშვილი. 2013.

გამომცემლობა „ახალი საქართველო“ 2013.

ISBN 978-9941-9183-4-6

შინაარსი

წინასიტყვაობა 13

თავი I. ანტიმონოპოლიური რეგულირების ზოგადი (თეორიული და პრაქტიკული) დებულებები ... 15

I.1. კონკურენციის კანონის მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისათვის 15

I.2. ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდები 27

I.3. საბაზრო წილების განსაზღვრა 43

I.4. შერწყმათა ანალიზის ძირითადი ელემენტები 53

I.5. ეკონომიკური მიდგომები კარტელებისადმი 57

I6. რელევანტური მტკიცებულებები კარტელების საქმეებში 64

I.7. სასამართლო დევნა კარტელური შეთანხმებების წინააღმდეგ, შეთანხმების დადების პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში 69

I.8. კონკურენცია ტენდერებისა და სახელმწიფო შესყიდვების დროს 123

I.9. კონკურენციის დაცვა საკონკურსო ვაჭრობებში .. 127

თავი II. ანტიკონკურენციული პრაქტიკის ჰიპოთეტური მაგალითები 143

II.1. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საბანკო კრედიტების ბაზარზე ჰაილენდ'ში 143

II.2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ცხელი წყლის მომარაგების საყოფაცხოვრებო აგრეგატების ბაზარზე ლეიკლენდში 152

II.3. კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმება მეგაპოლისში 165

II.4. კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმება საში ტენორის მაგალითზე 167

II.5. ჰორიზონტალური შეთანხმება ინფორმაციის გაცვლის ბაზარზე 169

II.6. სატვირთო ავტომანქანების იჯარა – ინფორმაციის ცალმხრივი გახსნა 172

II.7. კარტელური შეთანხმება საცხობების ბაზარზე ბეიკერლენდში 175

II.8. ბანკების შერწყმა ოკეანიკაში 182

II.9. აკრძალული ხასიათის ფასდაკლებასთან დაკავშირებული ბაზრის წილის განსაზღვრა სელდონიაში 194

II.10. სავარჯიშო სემინარული მუშაობისათვის, რომელიც ალებულია პანაგრის კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკიდან . 203

თავი III. ეკონომიკური კონკურენციის რეგულირების საზღვარგარეთული პრაქტიკა 217

III.1. პოლონეთის ანტიმონოპოლიური ორგანო რძის კოოპერატივ „სპომლეკი“-ს წინააღმდეგ – სავარჯიშო პრაქტიკული მუშაობისათვის 217

III.2. რუმინეთში საპორტო მომსახურებაზე ფასების კოორდინაციის შესახებ 223

III.3. ორი ბანკის შერწყმა ლიტვის მაგალითზე 227

III.4. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტი უკრაინის სახელმძღვანელოების ბაზარზე 233

III.5. კონკურენციის შემზღუდავი ვერტიკალური შეთანხმება ხორვატიის მაგალითზე 237

III.6. ანტიკონკურენციული შეთანხმება სომხეთის ავიაბილეთების ბაზარზე 243

III.7. შეთანხმებული ქმედება სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის (რუსეთის ფედერაცია) საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარზე 248

III.8. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა „Master Card“-ის ანაზღაურების პლასტიკური სისტემის გამოყენებისას აზერბაიჯანში 255

III.9. დარღვევები ალბანეთის საკალდებულო დაზღვევის ბაზარზე 259

III.10. საკონდიტრო ნაწარმის ექსკლუზიური დისტრიბუციის შესახებ (რუმინეთი) 265

III.11. სერბეთში მარცვლეულზე რეკომენდებული ფასის შესახებ 271

III.12. ეკონომიკური კონცენტრაციის შეფასება (უკრაინა) 275

თავი IV. ანტიკონკურენციული ქმედებების მაგალითები საქართველოში 282

IV.1. დავა ნავთის ბაზარზე კარტელური შეთანხმების მონაწილეებსა და ანტიმონოპოლიურ სამსახურს შორის 282

IV.2. საქართველოს რკინიგზის მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ 287

IV.3. ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე, საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ 290

IV.4. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მინერალური წყლების ბაზარზე 294

IV.5. კონკურენციის შეზღუდვა უბაჟო ვაჭრობის ბაზარზე 300

IV.6. სიხშირეთა განაწილების სფეროში „ტელერადიოცენტრი“-ს მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება 304

IV.7. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ უცხოური კერძო კომპანიისათვის ექსკლუზიური უფლებების უკანონოდ მინიჭების შესახებ 307

IV.8. რეგიონის სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა 314

IV.9. ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის სფეროში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ 316

IV.10. სამეწარმეო საქმიანობაში სხვისი სახელის უკანონოდ გამოყენება 319

IV.11. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საქართველოს სარკინიგზო-სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე 321

IV.12. ჰორიზონტალური (კარტელური) შეთანხმება კარაქისა და მისი ჩანაცვლებადი პროდუქტის-მარგარინის სასაქონლო ბაზარზე 327

თავი V. კონკურენციული გარემოს შეფასების პრაქტიკა საქართველოში (1997-2004 წწ.) 330

V.1. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი 330

V2. საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის ანალიზი .. 339

V3. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ბაზარი 352

V.4. ინფორმაცია - სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზებული რვეულების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ 371

თავი VI. საქართველოს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) ორგანოს საქმიანობის ზოგიერთი სხვა მიმართულება 392

VI.1. დსთ-ს მინერალური წყლების ბაზარზე ქართველ მეწარმეთა კანონიერი უფლებების დაცვა 392

VI.2. დაზღვევის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ქცევის წესების შესწავლა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა 398

VI.3. ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული საქმიანობა 402

VI.4. არასათანადო რეკლამის ფაქტის აღკვეთა 407

VI.5. საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დემონოპოლიზაცია 409

თავი VII. დანართები 415

VII.1. საქართველოს ძირითადი ანტიმონოპოლიური ორგანოები 1992 წლიდან 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით 416

VII.2. საქართველოს ანტიმონოპოლიურ ორგანოთა ხელმძღვანელები 1992 წლიდან 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით 417

VII3. კონკურენციული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, 1997-2004 წლებში შესწავლილი შესაბამისი სასაქონლო (მომსახურების) ბაზრების ჩამონათვალი 419

VII.4. მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოსაელენად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1997-2004 წლებში ჩატარებული, სასაქონლო (მომსახურების) ბაზრების მონიტორინგი 420

VII.5. საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციის ორგანოთა სახელწოდებები (დასახელებები) 421

VII.6. ქვეყნები, სადაც არ არსებობენ კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) საკანონმდებლო აქტები 423

VII.7. საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციის ორგანოების სტრუქტურა 424

VII.7.1. ავსტრიის კონკურენციის ფედერალური სამსახური ... 425

VII.7.2. აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს ანტიტრესტული დეპარტამენტი 426

VII.7.3. ახალი ზელანდიის ვაჭრობის კომისია 427

VII.7.4. გერმანიის კარტელური გარიგებების ზედამხედველობის ფედერალური სააგენტო 428

VII.7.5. დანიის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სამსახური 429

VII.7.6. ესტონეთის კონკურენციის კომისია 430

VII.7.7. თურქეთის კონკურენციის სამსახური 431

VII.7.8. იაპონიის კეთილსინდისიერი ვაჭრობის კომისია ... 432

VII.7.9. კანადის კონკურენციის ბიურო 433

VII.7.10. ლიტვის კონკურენციის საბჭო 434

VII.7.11. რუსეთის ფედერალური ანტიმონოპოლიური სამსახური 435

VII.7.12. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონკურენციის კომისია 436

VII.7.13. სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია 437

VII.7.14. საფრანგეთის კონკურენციის საბჭო 438

VII.7.15. სინგაპურის კონკურენციის კომისია 439

VII.7.16. სლოვაკეთის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ოფისი 440

VII.7.17. სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის კომისია 441

VII.7.18. შვედეთის კონკურენციის სააგენტო 442

VII.7.19. შვეიცარიის კონკურენციის კომისია 443

VII.7.20. ჩინეთის ანტიმონოპოლიური ბიურო 444

VII.8. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა 445

VII.8.1. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა 1997-2001 წლებში 446

VII.8.2. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა 2002-2004 წლებში 447

VII.8.3. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა 2004 წლის 01 დეკემბრიდან 2005 წლის 19 აგვისტომდე (ლიკვიდაციამდე) 448

VII.9. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა 449

VII.9.1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა 2005 წლის 01 სექტემბრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე 450

VII.9.2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების- თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა 2007 წლის იანვრიდან 2010 წლის აპრილის ჩათვლით (ლიკვიდაციამდე) 451

VII.10. სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა (2010 წლის მაისი - 2011 წლის დეკემბერი) 452

VII.11. სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურა 2012 წლის 01 იანვარიდან დღემდე (2013 წლის 15 დეკემბერი) 453

VII.12. ტენდერების გაყალბების კარტელური შეთანხმებების გამოვლენა 454

VII.13. როგორ შევამციროთ ტენდერის გაყალბების კარტელის რისკი 458

VII.14. მეურნე სუბიექტების შერწყმებზე შუამდგომლობის განხილვის სქემა 460

VII.15. ევროგაერთიანების სადამფუძნებლო შეთანხმების კონკურენციის წესი 461

გამოყენებული ლიტერატურის სია 463

ავტორთა შესახებ 474

სლავა ფეტელავა 474

შალვა გოგიაშვილი 478

წინასიტყვაობა

2007 წელს, ლექციების კურსის „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ შედგენის შემდეგ, გაგვიჩნდა სურვილი მოგვემზადებინა პრაქტიკული სახელმძღვანელო (სავარჯიშო), სადაც თავმოყრილი იქნებოდა, როგორც უცხოური ისე ქართული ანტიკონკურენციული პრაქტიკის ნიმუშები. ამასთან, ჩვენი მიზანი იყო, რომ ფართო საზოგადოებისათვის მიწოდებულ მასალას, გარდა საინფორმაციო დატვირთვისა, ჰქონოდა სასწავლო ფუნქციაც. შესაბამისად, კრებულში შეტანილია, როგორც ჰიპოთეტური ხასიათის კეისები, ისე ის პრაქტიკული საქმეები, რომლებთანაც შეხება ჰქონდათ როგორც საქართველოს ანტიმონოპოლიურ ორგანოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებს.

წარმოდგენილი კეისების ძირითადი ნაწილი არის ანტიკონკურენციული პრაქტიკის მაგალითები, ხოლო კეისთა გარკვეული ნაწილი ეხება იმას, თუ, როგორ, რის საფუძველზე და რა შემთხვევებში უნდა ღებულობდეს (იღებდა) დადებით (უარყოფით) გადაწყვეტილებებს ანტიმონოპოლიური ორგანო. ამასთან, კრებულში ანტიკონკურენციული პრაქტიკის ნიმუშების პარალელურად წარმოჩენილია საკონკურენციო ორგანოს საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებაც, როგორიცაა სასაქონლო ბაზრების ანალიზის კუთხით გაწეული სამუშაო. კერძოდ, ნაჩვენებია კონკრეტული სასაქონლო ბაზრების კვლევის მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზების ძირითადი შინაარსი (ფრაგმენტულად).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ყველა იმ კეისში, რომელიც საქართველოს რეალობას ეხება, კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევ ეკონომიკურ აგენტთა სახელწოდებები კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად შეცვლილია (გამოგონილი სახელებით), თუმცა

კრებულში წარმოდგენილი კონკურენციული კანონდარღვევის ყველა ფაქტი და კონკრეტული სასაქონლო ბაზარი რეალური პრაქტიკიდანაა აღებული.

და ბოლოს, გვინდა ხაზი გავუსვათ და მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ ყველა ის ადამიანი, რომლებმაც სხვადასხვა სახით ხელი შეუწყვეს ამ წიგნის გამოცემას და მკითხველთა ფართო წრისათვის მის ხელმისაწვდომობას. განსაკუთრებით გვინდა მადლობა გადავუხადოთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორებს ქალბატონ მარინა ჩაველეიშვილს (ამ წიგნის რედქტორს) და გულნაზ ერქომაიშვილს (რეცენზენტს), ასევე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანს, სრულ პროფესორს ბატონ მურთაზ კვირკვაიას (რეცენზენტი), თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტს, სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კონკურენციის დეპარტამენტის სტაჟიორს ბატონ ნიკა სერგიას, სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორს ბატონ ლაშა მგელაძეს, ამავე სააგენტოს კონკურენციის დეპარტამენტის სპეციალისტს ქალბატონ ქეთევან თოფურიას, ქსელის ადმინისტრატორს ბატონ გიორგი უნაფქოშვილს და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს ბატონ ლოიდ ქარჩავას, იმ დახმარებისათვის რაც მათ აღმოგვიჩინეს ნაშრომისა თუ მისი ცალკეული თავების სრულყოფის (მათ შორის ინფორმაციის მოძიების) და ბეჭდური წესით გამოქვეყნების საქმეში.

თავი I. ანტიმონოპოლიური რეგულირების ზოგადი (თეორიული და პრაქტიკული დებულებები

I.1. კონკურენციის კანონის მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისათვის [44]

კონკურენცია – ესაა ძალა, რომელსაც თავისუფალი საბაზრო სისტემის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეყრდნობა და რომელიც თავდაჯერებლობას აძლევს მათ, რომ არსებული საქმიანი აქტიურობა და ბიზნესის სახეები აკმაყოფილებდნენ მომხმარებლების სურვილებსა და მოთხოვნებს. როდესაც კონკურენცია აქტიურია, ვერც ერთი სახელმწიფო დაწესებულება ვერ შეძლებს უკარნახოს ბიზნესის ამა თუ იმ სახეებს, თუ რა უნდა აწარმოონ, რა რაოდენობით, რა ხარისხისა და როგორი ფასებით: თავად კონკურენცია უშუალოდ კარნახობს ქვეყნის მთელ ბიზნესს, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს.

რა არის კონკურენცია? რეალურად, იგი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მყიდველები თვითონ ირჩევენ, თუ რა სურთ. მყიდველები შეიძლება იყვნენ როგორც ცალკეული მომხმარებლები, ისე მთელი საწარმოები. თუ წარმოვიდგენთ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, რომელიც ყიდულობს ნედლ ნავთობს, ავტოგასამართი სადგურების ჯაჭვს, რომლებიც ყიდულობენ ბენზინს, ცალკეულ მძღოლს, რომელსაც უნდა გაავსოს მანქანის ავზი, მაშინ, უნდა გავიგოთ,რომ მყიდველების ყველა ტიპებს უნდა ჰქონდეთ არჩევანი პროდუქტის მიმწოდებლებს შორის, და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებათ, რომ შეიძინონ მაღალი ხარისხის პროდუქტი გონივრულ ფასად.

როგორია კონკურენციის მუშაობის პრინციპი? იდეა აბსოლუტურად მარტივია. მის გასაგებად აუცილებელია შემდეგი საბაზისო პრინციპების გააზრება:

- ბიზნესის ნებისმიერ სახეობას სურს, რომ გამოიმუშაოს ფული;
- მყიდველებს აქვთ ფული და სურთ, რომ დახარჯონ იგი, რათა დაიკმაყოფილონ თავიანთი სურვილები და მოთხოვნები.

ამას დავუმატოთ სახელმწიფო პოლტიკის სამი ფუძემდებლური პრინციპი:

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, რათა გარანტირებული იქნას, რომ პროდუქტი არ არის საფრთხის შემცველი მომხმარებლის, მისი მწარმოებელი მუშის, ან გარემოსათვის;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა, რათა მყიდველმა კარგად გაიაზროს და იცოდეს თუ რეალურად რას ყიდულობს;
- დაცვა მონოპოლისტური პრაქტიკისაგან – კონკურენტებს შორის შეთანხმებებისაგან, რომლებიც თავს ნებას აძლევენ დააწესონ მაღალი ფასები, მოახდინონ კომპანიების შერწყმა, ანგრევენ თავისუფალ კონკურენციას, ბოროტად იყენებენ თავიანთ დომინირებულ მდგომარეობას ბაზარზე. ეს იქნება გარანტია, რომ ბიზნესის ყველა სახე თავისუფალი კონკურენციის პირობებში იმყოფება.

მნიშვნელოვანია, რომ ვუზრუნველვყოთ საქონლისა და მომსახურებების ისეთი მდგომარეობა ყველა ბაზარზე, რომ აუცილებელი სტანდარტების, მარეგულირებელი წესებისა და კანონების მეშვეობით, ბაზარზე გარანტირებული იყოს მყიდველების სწორად და კარგად მომსახურება.

როგორ გავიგოთ, რომ არსებული ფასები არაა იმაზე მაღალი, რომლებიც მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების

მეშვეობით, საბაზრო ეკონომიკაში შეიძლება იყოს? მხოლოდ მიმწოდებლებს შორის თავისუფალმა კონკურენციამ შეიძლება შეამციროს გასაყიდი პროდუქციის ფასები. ***როგორ გავიგოთ,*** რომ არსებული ფასები არაა იმაზე დაბალი, რომლებიც უნდა იყოს? თუ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა, რომ მყიდველების დიდ რაოდენობას მიჰყიდოს თავისი პროდუქტი და დიდი მოგება მიიღოს პროდუქტის ღირებულების შემცირებით, მაშინ იგი ისარგებლებს ასეთი შესაძლებლობით.

როგორ გავიგოთ, რომ ტექნიკური პროგრესი იმდენად მაღალი იქნება, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ? კომპანიებს შორის კონკურენცია მათ სტიმულს უქმნის, რომ კონკურენტებზე უფრო პროგრესული და განვითარებული გახდნენ, რათა უფრო მეტი მომხმარებელი მოიზიდონ.

როგორ გავიგოთ, რომ პროდუქციის ხარისხი იმდენად მაღალია, როგორიც უნდა იყოს? თუ მყიდველს უფრო უკეთესი ხარისხი სურს, მაშინ გამყიდველი შეეცდება იშოვოს ასეთი ხარისხის საქონელი, და უფრო მეტ ფულს მიიღებს; დააკმაყოფილებს რა მყიდველის მოთხოვნებსა და სურვილებს.

არაკონკურენტუნარიანი ბაზრები

მანამ, სანამ ჩვენ იმაში დაგვადანაშაულებენ, რომ ვფიქრობთ ისე, როგორც დოქტორი პანგლოსი, არც თუ უცნობი და გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვოლტერის რომანიდან 'კანდიდი", რომელიც ფიქრობდა, რომ ყველაფერი, რასაც იგი საკუთარი თვალით ხედავს, მხოლოდ იმის დემონსტრირებაა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ 'ყველზე უკეთ, არსებულ სამყაროებს შორის", ნება გვიბოძეთ გაგაცნოთ ჩვენს მიერ დახატული ამ პორტრეტის რამდენიმე ნაკლი და დეფექტი. ამისათვის, განვიხილოთ სამი ყველაზე მნიშნელოვანი მათგანი.

ჯერ ერთი, არსებობენ ბაზრები, სადაც კონკურენციას არ გააჩნია ეკონომიკური მიზანშეწონილობა. ჩვენ არანაირად არ გვინდა კონკურენციული ბრძოლა წყალმომარაგების კომპანიებს შორის, რომლებმაც შესაძლოა ერთმანეთის პარალელური მილსადენები გათხარონ საცხოვრებელ რაიონებში და ქუჩებში, რათა წყალმომარაგების საკუთარი პროვაიდერის შერჩევის საშუალება მისცენ მომხმარებლებს. არსებობს ასევე ეკონომიკის სხვა სექტორებიც, რომლებსაც, ზემოაღწერილის მსგავსად, ჩვენ როგორც წესი, "ბუნებრივ მონოპოლიებს" ვუწოდებთ, და რომელთათვისაც, იმ შემთხვევაში, თუ ამ ტერმინს სწორად გამოვიყენებთ, კონკურენციული ბრძოლის შედეგად მიღებული მოგება არც კი შეედრება მათ მიერ გაწეულ ხარჯებს. ეკონომიკის ასეთი სექტორები, ხშირად ან სახელმწიფოს საკუთრებაშია, ან კიდევ რეალურად, კანონმდებლობით რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. ამის მიუხედავად, ზემოთქმულთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- რეალურად, არსებობს ბევრად უფრო ნაკლები ბუნებრივი მონოპოლიები, ვიდრე ეს თავიდან გვქონდა წარმოდგენილი. მაგალითად, როგორც წესი, გზებს მიაკუთვნებდნენ ბუნებრივ მონოლოპიებს, რაც ბევრ ქვეყანაში ქმნიდა სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი რეგულირების რთულ სისტემას საქმიანობის ამ სფეროში, მაგრამ, ბევრი ტვითგადამზიდავი უფრო დაცული გახდა სატვირთო და წყალმომმარაგებელი ავტოტრანსპორტის კონკურენციის პირობებში, ვიდრე ეს იყო სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი რეგულირების შემთხვევაში
- ეკონომიკის ის სექტორები, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფოს მიერ რეგულირება, რეალურად უფრო დაბალხარჯიანი და იძულებითი აღმოჩნდა სახელმწიფოებრივი რეგულირებისას, ვიდრე მის გარეშე. ეს საშუალებას იძლევა, რომ დავიცვათ საზოგადოება მონოპოლიების მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისაგან.

მეორე, ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს, რომ მუდმივად და მარტომ შეინარჩუნოს კონკურენცია ბაზრის ყველა სფეროში. მაგალითად, კოსტა-რიკა ვერასოდეს შეძლებს, რომ იქონიოს ფოლადის სამი დამოუკიდებელი მწარმოებელი, ხორვატია კი – ტელევიზორების სამი დამოუკიდებელი მწარმოებელი. მრავალი სხვა პროდუქტის მიმართ, შეიძლება ითქვას, რომ საიმპორტო მიწოდებებს შეუძლია უზრუნველყოს მყიდველის არჩევანი, და ბარიერები შეუქმნას ადგილობრივ 'მონოპოლისტს" ამ პოზიციიდან მოგების მიღებაში. ზოგჯერ, და ეს დამახასიათებელია მცირე ზომის ქვეყნებისათვის, თავისუფალი ვაჭრობა საუკეთესო კონკურენციულ პოლიტიკას წარმოადგენს (ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი პროდუქტების საიმპორტო მიწოდებები ვერ ქმნიან ეფექტურ კონკურენციას, იმ დროს, როცა სხვა პროდუქტებისთვის, სახელმწიფოებრივმა რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობა ადგილობრივი მეწარმეების მოქმედებებზე, იმპორტიორების ადგილების მიტაცებასთან დაკავშირებით).

და ბოლოს, ბევრი კომპანია და საწარმო, არც თუ იშვიათად, ცდილობს შეზღუდოს თავისუფალი კონკურენცია. მაგრამ, ამასთანავე, მათ მოსწონთ, თავისუფალი კონკურენცია, როდესაც ისინი მყიდველის როლში არიან საქონლისა და მომსახურების ბაზარზე და თითონ ეძებენ საუკეთესო პროდუქტებსა და ყველაზე უფრო მისაღებ ფასებს. უფრო მეტიც, ასეთ შემთხვევებში, ისინი მზად არიან ითანმშრომლონ თავისუფალ კონკურენციაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილ სტრუქტურებთან, რათა დაიცვან კონკურენციული ბრძოლა. მაგრამ, იგივე კომპანიები ამჯობინებენ, რომ უფრო მარტივი პირობები ჰქონდეთ თავიანთ ერთპიროვნულ საწარმოებში, როდესაც საკუთარ პროდუქტებს ჰყიდიან მომხმარებლებზე. ერთხელ, ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ.რ. ჰიკსმა შენიშნა: „მონოპო-

ლიისათვის საუკეთესო მოგებაა თავისუფლად ცხოვრება“. ამის მისაღწევად, კომპანიებს შეუძლიათ:

- მიაღწიონ შეთანხმებას უახლოეს კონკურენტებთან, კონკრეტული ფასების დაწესებაზე ან პროდუქციის მიყიდვებით კონკრეტული კლიენტებისათვის, ან პროდუქციის გაყიდვაზე კონკრეტულ რეგიონში;
- მოახდინონ კომპანიის შერწყმა თავიანთ უახლოეს კონკურენტებთან;
- მოახდინონ პრივილეგირებული კონტრაქტების ფორსირება თავიანთ მიმწოდებლებთან ან დისტრიბუტორებთან, რათა დაიცვან თავიანთი დომინირებული მდგომარეობა საქონლის ამა თუ იმ ბაზარზე.

კონკურენციაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუშალონ ასეთი სახის ქმედებებს, რათა დაიცვან მომხმარებლის თავისუფალი არჩევანი და კონკურენციის თავისუფლება ბაზარზე.

თავისუფალი კონკურენციის შესახებ კანონის გლობალიზაცია

კონკურენციის შესახებ კანონების უმეტესობა, რომლებიც დღეისათვის არსებობენ მსოფლიოში, შედგენილია იმგვარად, რომ შეიქმნას კონკურენტების ურთიერთობების საპირისპირო სამი ზემოთ ჩამოთვლილი მოქმედების ხელის შეშლისა და მათზე სასამართლო გამოძიების წარმართვის შესაძლებლობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, შერმანის კანონის 1-ლი ნაწილი უკრძალავს კომპანიებს შეთანხმებების დადებას, თუკი ეს ზარალს აყენებს თავისუფალ კონკურენციას. კლეიტონის კანონის მე-7 ნაწილი კრძალავს კომპანიების შერწყმას და შთანთქმას, ან საწარმოების სხვაგვარ კომბინირებას, თუკი ეს მნიშვნელოვნად ამცირებს კონკურენციულ ბრძოლას. შერმანის კანონის მე-2 ნაწილი ასევე კრძალავს „მონოპოლიზაციას“, ანუ ერთი საწარმოს მცდელობას, რომ აკონტროლოს მთელი ბაზარი არაკეთილსინდისიერი ქმედებებით.

მსგავსი მაგალითი შეიძლება მოვიძიოთ სხვა ქვეყანაშიც. კერძოდ, რუმინეთში მოქმედებს კანონი თავისუფალი კონკურენციის შესახებ, რომლის მე-5 მუხლი კრძალავს ისეთი შეთანხმებების დადებას, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ „კონკურენციის ნორმების შეზღუდვა, ხელშეშლა ან დაკნინება“. ამავე კანონის მე-13 მუხლი კრძალავს კომპანიების იმგვარ შერწყმას, ‘რომელიც დომინირებული მდგომარეობის დამყარების ან განმტკიცების გზით იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს“ კონკურენციული ბრძოლის წესების დაზარალება. ამავე კანონის მე-6 მუხლი „კრძალავს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნებისმიერ საშუალებას ისეთი ანტიკონკურენციული ქმედებების განხორციელებით, რომლებიც მიმართულია ზეგავლენის მიღწევაზე და რომლებიც იწვევენ თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვას ან დამახინჯებულ წარმოდგენას უქმნიან მომხმარებლებს საქონლის შესახებ“.

ქვეყნებმა, სადაც კონკურენციის შესახებ კანონს არ გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილი სამი კომპონენტიდან რომელიმე, ადეკვატური მოქმედებები და ღონისძიებები უნდა განახორციელონ შექმნილი სამართლებრივი სიტუაციის გამოსასწორებლად. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც კლეიტონის კანონი მიიღეს 1914 წელს, იყო აუცილებლობა, რომ ცვლილებები შეეტანათ კომპანიების შერწყმის შესახებ დებულებებში, რაც საშუალებას აძლევდა იუსტიციის სამინისტროს მოეხსნა პასუხისმგებლობა ასეთ ქმედებაზე. არგენტინაში მოქმედ კანონს კონკურენციის შესახებ, არ აქვს დებულებები კომპანიათა შერწყმის შესახებ, მაგრამ, მასში შეტანილი იქნა შესწორებები, რომლებიც ამ ქვეყნის პარლამენტს ანიჭებენ ასეთი ქმედებების რეგულირების უფლებებს.

უკანასკნელ პერიოდში, კონკურენციის შესახებ კანონის სფეროში შეტანილ ცვლილებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სათანადო რეგულირებების ამოქმედება, რომლებსაც შეუძლიათ ასახონ მრავალრიცხოვანი

ბაზრების თანდათანობითი გლობალიზაცია. ისევე, როგორც 100 წელზე მეტი ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პირველი რკინიგზის გაყვანამ ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრები ეროვნულ ბაზრებად აქცია, ისევე როგორც მუდმივად შემცირებადი სატრანსპორტო ხარჯები, რაც დამახასიათებელია უკანასკნელი წლებისათვის, და იზრდება იმ საქონლის მნიშვნელობა, რომლის ღირებულებაშიც ძალზე მცირეა სატრანსპორტო ხარჯების შემადგენელი კომპონენტი. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, ეროვნული ბაზრები რეალიზაციის მსოფლიო ბაზრებად აქცია.

კონკურენციის კანონის გამტარებელმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბოლოდროინდელი გარემოებები, რომლებიც ორი მთავარი მიმართულებით განვითარდა:

პირველი. შემოწმებისას, ნამდვილად შეუძლია თუ არა კომპანიათა კონკრეტულ შერწყმას, რომ ზარალი მიაყენოს თავისუფალ კონკურენციას ან ნამდვილად უკავია თუ არა კონკრეტულ საწარმოს დომინირებული ან მონოპოლიური მდგომარეობა, კონკურენციის კანონის ცხოვრებაში გამტარებელი ორგანო იცავს მყიდველთა ეკონომიკურ არჩევანს, იმის მიუხედავად, ადგილობრივ პროდუქციას ეფუძნებოდა ეს არჩევანი თუ იმპორტულს. ამგვარად, კონკურენციის შესახებ კანონის არსებობის პირობებში განსახორციელებელი გამოკვლევა საჭიროებს მსოფლიო ბაზრის შესწავლას მოცემული კონკრეტული ბაზრის პროფილის მიხედვით. მაგალითად, მოცემული ბაზრის მონაწილე იმპორტიორების მიმდინარე გაყიდვების გასაზღვრული დონის არსებობამ სულაც არაა სავალდებულო, რომ უზრუნველყოს სავაჭრო ოპერაციების გაფართოება, რისი წყალობითაც შესაძლებელი იქნებოდა არსებული კონკურენციის შენარჩუნება. ასეთ გაფართოებას ექნება სატარიფო ბარიერები იმპორტის კვოტებზე. მოქმედებები, რომლებიც შესაძლოა საზიანო იყოს თავისუფალი კონკურენციისათვის შიდა ბაზარზე, შეიძლება სრულად

უვნებელი აღმოჩნდეს, თუკი ისინი განხილული იქნება საერთაშორისო ბაზრის თვალსაზრისით.

მეორე: ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ბაზარი უკვე გარდაიქმნა საერთაშორისო ბაზრად, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მთელი რიგი მოქმედებები, რომლებიც ადრე არანაირ გავლენას არ ახდენდა კონკურენციულ ბრძოლაზე, უეცრად გახდა მღელვარების საგანი კანონის აღმასრულებელი ორგანოებისათვის. უცხოური და ადგილობრივი კომპანიების შერწყმის აქტებმა შეიძლება აღკვეთოს როგორც რეალური, ისე პოტენციური კონკურენცია, და თანაც ისეთი საშუალებებით, რომლებიც არ არსებობდნენ წინა თაობების დროს. ის ბაზრები, სადაც ჯერ კიდევ ახლო წარსულში შეიძლებოდა შექმნილიყო კარტელები ადგილობრივი კომპანიების მიერ, ახლა შეიძლება გარდაიქმნან კარტელად, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო კომპანიების მონაწილეობით ერთდროულად (ამის კარგი მაგალითია აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო განხილვები საერთაშორისო კარტელების მიმართ, რომლებიც აწარმოებდნენ ფაქსის ქაღალდს, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატებსა და პლასტმასის ჭურჭელს).

კანონის აღმასრულებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია უცხოური კომპანიების საქმიანობის შესახებ და ასევე შესაბამისი იურისდიქცია. სხვაგვარად, იგი ვერ შეძლებს დაიცვას ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვანი ზიანისაგან, რომელიც მას შეიძლება კონკურენციის არარსებობის გამო მიადგეს.

განვითარებად ქვეყნებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ

უნდა შეწირონ თუ არა განვითარებადმა ქვეყნებმა თავიანთი მთავრობების მწირი რესურსები კონკურენციის შესახებ კანონის შექმნასა და ამოქმედებას? პასუხი „დიახ“ საკმაოდ აშკარაა, რადგან სწორედ ასეთი ქვეყნები, განსხვავებით განვითარებული ქვეყნებისაგან, არიან ყველაზე დაუცველები

ზემოთ აღნიშნული ანტიკონკურენციული ქმედებებისაგან. რეალურად, არსებობს სულ მცირე ***სამი მიზეზი,*** რომელთა გამოც უნდა გვჯეროდეს, რომ სწორედ კონკურენციის კანონია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განვითარებადი ქვეყნებისათვის,რადგან ისინი ეკონომიკის ლიბერალიზაციას ახდენენ.

პირველი – განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა, ძირითადად, მაგრამ არა აუცილებლად, არიან პოსტ-სოციალისტური სისტემის ქვეყნები, და აქვთ ისეთი ეკონომიკა, რომელიც გაჯერებულია სამრეწველო დარგებში დომინირებული მდგომარეობის მქონე მსხვილი საწარმოებით, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკისა და პრაქტიკის გამო, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი. როდესაც ხდება ასეთი საწარმოების პრივატიზება და გადადიან კერძო საკუთრებაში, ცხადია არ მოსწონთ თავიანთი პროდუქციის მიმართ კონკურენციის არსებობა ქვეყნის შიდა ბაზარზე; ამიტომ, მოსალოდნელია რომ მათ განახორციელონ შესაბამისი მოქმედებები, რათა არ დაუშვან ანალოგიური საქონლის იმპორტი ან ბაზრის გადანაწილება. ასეთ შემთხვევებში, კონკურენციული წესების აღმასრულებელ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება-მოსილება, რომ დაბლოკოს ასეთი ქმედებები, რათა შექმნას გარანტია ვაჭრობის თავისუფლებისათვის და უზრუნველყოს რეალური და ეფექტური კონკურენცია ქვეყნის შიდა ბაზრებზე.

მეორე – როდესაც ეკონომიკის ლიბერალიზაცია მოიცავს მსხვილი საწარმოების დემონოპოლიზაციის რიგ ქმედებებს (დაყოფის შედეგად), ახლად შექმნილი საწარმოების ხელმძღვანელებს შორის შეიძლება წარმოიშვას ერთმანეთთან თანამშრომლობის და არა ბაზარზე კონკურენციის განვითარებისაკენ მიმართული ტენდენცია. ასეთი თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს კარტელური შეთანხმების ფორმით და შესაბამისად, შეიძლება გამოიწვიოს სამრეწველო ასოციაციების შექმნა, რომელთა წევრებად მოგვევლინება ყოფილი ერთი

საწარმოდან გამოყოფილი ყველა ახლად შექმნილი საწარმო. დარგში დომინირებადი საწარმოების მხრიდან თავიანთი პოზიციებით შესაძლო ბოროტად სარგებლობასთან დაკავშირებით, კარტელიზაციამ შესაძლოა ჩაანაცვლოს კონკურენცია და იგი გახდეს ეკონომიკის ლიბერალიზაციის ერთგვარი შედეგი. ასეთ შემთხვევაში, ლიბერალიზაციის მრავალი უპირატესობა ვერ იქნება დაყვანილი მოქალაქეებამდე. რიგ განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად – უნგრეთში, პერუსა და პოლონეთში კონკურენციის ორგანოები უკვე აღმოჩნდნენ იმ ამოცანის წინაშე, რომ დაიცვან თავიანთი მყიდველები ახლად შექმნილი კარტელების დაშლის გზით.

მესამე მიზეზი ***უკავშირდება*** ზემოთ აღნიშნულ ***პირველ მიზეზს.*** განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის ეკონომიკის მზარდი არასტაბილურობის წინაშე,რაც ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებების შედეგს წარმოადგენს. შესაძლოა, რომ ასეთი მდგომარეობის მიმართ საუკეთესო პასუხი იყოს ეფექტური „სოციალური დაცვის ქსელის“ შექმნა ანუ ახალი პროფესიების შესწავლა, ჯანდაცვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, უმუშევრობის დახმარებები და ა.შ., რათა მათ, ვინც სამუშაო დაკარგა, უფრო უკეთესი პერსპექტივები შეექმნათ ახალი სამსახურის მოძიებაში და არ აღმოჩნდნენ სიღარიბის წინაშე მარტო შესაძლო პასუხი შეიძლება იყოს კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის შემუშავება, ამოქმედება და გამოყენება, რათა ქვეყნის მოსახლეობამ იცოდეს, რომ კაპიტალიზმი არ ნიშნავს უარის თქმას ცხოვრების ყველა სამართლებრივ ნორმაზე და საბაზრო ეკონომიკის ყველაზე პატარა მონაწილეების დაცვაზე. ამასთან დაკავშირებით, გადაჭარბებაში არ ჩაგვეთვლება, თუ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სწორედ კონკურენციის შესახებ კანონის შემოღება გახდა ეკონომიკის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული სხვა კანონების ამოქმედების წინაპირობა.

თითოეულ კონკრეტულ ქვეყანაში მისაღები ახალი საკონკურენციო კანონები სრულად უნდა იყოს შეკავშირებული

ქვეყნის კანონმდებლობასთან ეკონომიკური და სოციალური კონტექსტით. არავის შეუძლია (ან არავინ უნდა) იყარაუდოს, რომ შერმანის კანონი, ან კლეიტონის კანონი, ან რომის ხელშეკრულების (ევროკავშირის კანონი კონკურენციის შესახებ) შესაბამისი მუხლები, ერთიანად და მთლიანად იქნას გადატანილი ეროვნულ კანონმდებლობაში. ამასთან, დაგროვილი გამოცდილება დაბეჯითებით მოითხოვს, რომ კონკურენციის პოლიტიკა გახდეს სამართლებრივი ინფრასტრუქტურისა და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.

I.2. ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდები [11]

I. შესავალი

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო მოქმედებათა შორის ცენტრალური ადგილი უკავია ბაზრის კვლევის ეტაპს და მიღებულ მონაცემთა ანალიზის საშუალებით ბაზარზე არსებული მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა დაკონკრეტდეს ის იურიდიული ჩარჩოები, რომლებშიც ექცევა ესა თუ ის ბაზარი, ან ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი და შემდგომ იწყება შესაბამისი სამართლებრივი შედეგების დადგომისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

თავის მხრივ, ბაზრის კვლევის ეტაპი შესაძლოა თეორიულად დავყოთ ორ სტადიად, კერძოდ, რელევანტური ბაზრის განსაზღვრის და რელევანტურ ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა მდგომარეობის (წილების) ანალიზის სტადიებად.

II. რელევანტური ბაზარი:

რელევანტური ბაზრის განსაზღვრა შესაძლოა განხორციელდეს სამი კრიტერიუმის მიხედვით - სასაქონლო სახეობების მიხედვით, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით და დროის კომპონენტის გათვალისწინებით. მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინება აუცილებელია, რამდენადაც ანტიმონოპოლიური კონტროლი მოქმედებს ეკონომიკურ აგენტებზე მათი მდგომარეობის გათვალისწინებით იმ კონკრეტულ ბაზარზე, რომლის იდენტიფიცირებაც უნდა მოხდეს შინაარსობრივად (პროდუქციის მიხედვით), გეოგრაფიულად და გარკვეულ დროში; შეუძლებელია ერთ კონტექსტში განვიხილოთ ორი კომპანია, რომელთაგან ერთი მუშაობს ზაფხულის სეზონზე და მეორე მხოლოდ ზამთრის სეზონზე, კომპანიები, რომლებიც, მაგალითად, საღეჭ რეზინსა და

სარეცხ საშუალებებს აწარმოებენ, ან კომპანიები, რომელთაგან ერთის პროდუქციის გავრცელების ბაზარი ლაგოდეხით შემოიფარგლება, მეორისა კი ბათუმით.

ვინაიდან გეოგრაფიული და დროში გავრცელების არეალების შეფასება „შეუიარაღებელი თვალითაც" ადვილად შეიძლება, მთავარი, რაზეც დავა ხშრად წარმოიშობა ინტიმონოპოლიურ მარეგულირებელსა და ეკონომიკურ აგენტებს შორის, არის სწორედ შინაარსობრივი კრიტერიუმით რელევანტური ბაზრის განსაზღვრა, რისი დასტურიცაა 2001 წლის დავა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და „ქართული მინისა და მინერალური წყლების კომპანიას" შორის, ზემოხსენებულ საკითხზე - კერძოდ იმაზე, უნდა განხილულიყო თუ არა მინერალური წყლების ბაზარი ცალკე ბაზრად, თუ გამაგრილებელ სასმელებთან ერთად, ერთიან ბაზარზე.

ა) შინაარსობრივი კუთხით რელევანტური ბაზრის განსაზღვრისათვის უკვე დიდი ხანია გამოიყენება ფუნქციონალური ჩანაცვლებადობის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, ერთსა და იმავე ბაზარს მიეკუთვნება ყველა ის საქონელი ან მომსახურება, რომელიც თავისი თვისებებით, დანიშნულებითა და ფასით იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ მომხმარებლის მხრიდან აღიქმება, როგორც ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.[1]

გარდა ფუნქციონალური ჩანაცვლებადობისა, რომელიც მომხმარებლის გადმოსახედიდან განსაზღვრავს საქონელთა ურთიერთჩანაცვლებადობას, მნიშნელოვანია მიმწოდებლის მხრიდან საკითხის განსაზღვრა. კერძოდ, ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს შეთავაზების ცვლილებათა სიმარტივის და პროდუქციის ცვლილებათა სიმარტივის დონის განსაზღვრა. ამ კუთხით კარგი მაგალითია ევროსასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე -„Continental Can"[2], როცა სასამართლომ ხორცისა და თევზის კონსერვების ბაზრები განიხილა ერთ ბაზრად, რადგან მწარმოებელს შეეძლო მცირე ცვლილებების

განხორციელების შემდეგ კონკურენცია გაეწია შესაბამისი ბაზრის პროდუქტისთვის - (იგულისხმება ხორცის კონსერვიდან თევზისაზე და პირიქით გადასვლა). ამ შემთხვევაში მომხმარებლის თვალსაზრისით თევზისა და ხორცის კონსერვები განსხვავებული პროდუქტებია და ისინი არ არიან ჩანაცვლებადი, მაგრამ წარმოების ხასიათის სიახლოვემ განაპირობა სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღება; ***ბაზრის საპირისპირო მხრიდან,*** ანუ მომხმარებლის პოზიციიდან შეფასებისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ფასების ჯვარედინი ელასტიკურობის მეთოდი. ამ შემთხვევაში საუბარია შესადარებელ პროდუქტთაგან ერთერთზე ფასის უმნიშვნელო გაზრდაზე, რომელმაც უნდა გამოიწვიოს მეორე პროდუქტზე მოთხოვნის ზრდა. ამ მეთოდს ხშირად მოიხსენებენ **SSNIP-ტესტის სახელით (Small but Significant Non-transitory Increase in Price).** აქ იგულისხმება ფასების ვარირება 5-10% ის ფარგლებში. ამ მეთოდმა აქტიური გამოყენება ჰპოვა ევროკომისიის პრაქტიკაში, რაც ასახულია ევროკომისიის დირექტივებშიც. თუმცა ყურადსაღებია, რომ ჯვარედინი ელასტიკურობის მეთოდს აქვს მინუსებიც, რომლებმაც ყველაზე მეტად იჩინეს თავის ცნობილ საქმეში, რომელიც ცნობილია **„Cellophane Fallacy"**-ის სახელწოდებით (გერმ. Zelophan-Trugschluss).[3] ***განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:***

წარმოვიდგინოთ კომპანია, რომელიც ბაზარზე ერთადერთია, რომელიც აწარმოებს და ყიდის ცელოფანს, ვთქვათ ერთეულს 2 ლარად. თუმცა ცელოფანის ალტერნატივად შესაძლოა გამოყენებულ იქნას პარაფინირებული ქაღალდის შეფუთვა, რომლის ყიდვა შესაძლებელია 2,10 ლარად. ეს იმას ნიშნავს, რომ ცელოფანის ფასის 10%-ით გაზრდის შემთხვევაში მომხმარებელი პარაფინირებულ ქაღალდს შეიძენს, რადგან ის უფრო იაფი იქნება. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ცელოფნის წარმოება ჯდება 0.90 ლარი, ხოლო ქაღალდისა 1.80 ლარი. შესაბამისად, ცელოფნის მწარმოებელი ჩეულებრივ ეკონომიკურ მოგებაზე ბევრად მეტს იღებს მის მიერ მონოპოლიური

ფასის დაწესებით და სწორედ ეს მონოპოლიური ფასი, თავის მხრივ, განაპირობებს იმას, რომ SSNIP ტესტი ცელოფნის ბაზარს მიაკუთვნებს პარაფინირებული ქაღალდისა და მსგავსი ფასის მქონე სხვა შესაფუთი მასალების ბაზარს, რითაც გამოირიცხება ცელოფნის მწარმოებლის მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯვარედინმა ელასტიკურობამ, რომელიც გასაყიდი ფასების საფუძველზეა შემოწმებული, შეიძლება მოგვცეს პროდუქტთა ჩანაცვლებადობაზე დადებითი პასუხი, მაშინ როცა კონკურენციული ფასებიდან, ანუ საწარმოო ფასებიდან (0.90 და 1.80 ჩვენს შემთხვევაში) აშკარაა, რომ საქონელი სხვადასხვა ბაზარს განეკუთვნება. პრაქტიკაში კი საწარმო ფასების ზუსტი დადგენა თითქმის შეუძლებელია. გარდა ამისა, SSNIP ტესტი ინფორმაციას იძლევა მხოლოდ ფასებზე და არაფერს ამბობს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებზე, როგორიცაა ხარისხი, მოდა და ტენდენციები, იმიჯი და ა.შ.[4]

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასაქონლო ბაზართა კლასიფიკაციაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუნდაც დიდი მსგავსება დანიშნულების მხრივ არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად აღქმული იყოს საქონელთა ერთი ბაზრისთვის მიკუთვნების წინაპირობად. ყურადღება უნდა მიექცეს ბევრ სხვა ფაქტორსაც. მაგალითად, თვითმფრინავის ბაზარზე მაშინ, როცა მგზავრისთვის სულაც არ აქვს მნიშნელობა თბილისიდან ბრიუსელამდე 200 ადგილიანი თვითმფრინავით გაფრინდება, თუ 80 ადგილიანით, თვითმფრინავში ადგილების რაოდენობა განსაზღვრავს მის მომგებიანობას ავიაკომპანიისთვის, შესაბამისად განსხვავებულია დანახარჯები და ფასები რომელიც მომგებიანი შეიძლება იყოს ავიაკომპანიისთვის შესაბამისად 80 და 200 ადგილიანი თვითმფრინავების შემთხვევაში. გარდა ამისა, მგზავრთა ნაკადის მიხედვით იქ, სადაც დიდია მათი რიცხვი, ავიაკომპანია ვერ გამოიყენებს პატარა თვითმფრინავს და სადაც მცირეა დატვირთვა, წამგებიანი იქნება დიდი თვითმფრინავების გამოყენება. შესაბამისად, თუ მომხმარებლისთვის ამას

მნიშვნელობა არ გააჩნია, ავიაკომპანიისთვის 80 და 200 ადგილიანი თვითმფრინავები ვერ იქნება ურთიერთჩანაცვლებადი საქონელი. სწორედ ამიტომ თვითმფრინავები მათი ზომებისა და ადგილების რაოდენობის მიხედვით ქმნიან რამდენიმე განცალკევებულ ბაზარს.

ასევე უპრიანი იქნებოდა მოგვეყვანა სხვა მაგალითებიც, მაგალითად სასმელების ბაზარი ვერ დაიყოფა მარტივად ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ბაზრებად. მეტიც, უალკოჰოლო სასმელებში უნდა გამოიყოს ლიმონათისა და ნატურალური წვენების ბაზრები. ლუდის ბაზარიც კი არ არის ერთიანი, მაგალითად, გერმანიაში ცალ-ცალკე განიხილება ბოთლისა და კასრის ლუდის ბაზრები მაშინაც კი თუ ორივე მათგანს ერთი კომპანია აწარმოებს. ალკოჰოლიან სასმელებშიც ერთ ბაზრად ვერ განიხილება ღვინისა და არყის ბაზრები - მკვეთრად განსხვავებული ალკოჰოლური შემადგენლობის, განსხვავებული არომატული მახასიათებლებისა და ორგანიზმზე ზემოქმედების განსხვავებული ხასიათების გამო ისინი ცალ-ცალკე ბაზრებად განიხილება. წინამდებარე კვლევის სქოლიოში ნახსენები ძვირფასი ფოლადის დანა-ჩანგალიც (Edelstahlbestecke) წარმოადგენს ცალკე ბაზრის საქონელს და მისი განხილვა ვერ მოხდება ჩვეულებრივ დანა-ჩანგალთან ერთად საერთო ბაზრის კონტექსტში.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციონალური ჩანაცვლებადობის მეთოდი ვერ იქნება ამომწურავი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დასადგენად. თითოეული შემთხვევა განხილულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად და გათვალისწინებული უნდა იყოს ის სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც ამა თუ იმ პროდუქტს და მის მომხმარებელთა წრეს ახასიათებს. ამ მოსაზრების კარგი დამადასტურებელი მაგალითია კიდევ ერთი გერმანული პრეცედენტი, ნორდრაინ-ვესტფალენის ფედერალური მიწის ზემდგომი დიუსელდორფის სასამართლოს გადაწყვეტილება[5] **Soda-Club-ის საქმეზე**. კომპანია Soda-Club 1991 წლიდან შევიდა გერმანულ ბაზარზე და აწარმოებდა სასმელი

წყლისათვის სახლის პირობებში ნახშირორჟანგით გაზირების აპარატებს. ამ აპარატით მომხმარებელს შეეძლო ონკანის წყლისთვის დაემატებინა ნახშირორჟანგი და მიეღო ისეთივე წყალი, როგორის ყიდვაც სუპერმარკეტში შეიძლება გაზირებული წყლის სახელწოდებით. არსებითი განსხვავება სახლში დამზადებულ და სუპერმარკეტში შეძენილ გაზირებულ წყალს შორის არ არსებობს. ამასთანავე ნახშირორჟანგიანი ცილინდრები, რომელსაც კომპანია აწარმოებს, დაცლის შემდგომ შესაძლოა თავიდან დაიტენოს ნახშირორჟანგით, ან შეიცვალოს სავსე ცილინდრით. მწარმოებელი კომპანია კი ხელშეკრულებით ავალდებულებდა როგორც მომხმარებელს, ასევე სადისტრიბუციო კომპანიებს, რომ მათ ცილინდრის ხელახალი დატენვა, ან ახლით შეცვლა უნდა განეხორციელებინათ მხოლოდ მწარმოებელი კომპანიის მეშვეობით. ვინაიდან კომპანიას გააჩნდა დომინირებული მდგომარეობა წყლის გაზირების აპარატების ბაზარზე გერმანიის მასშტაბით, გერმანიის კარტელთა ფედერალურმა ბიურომ ხელშეკრულების ასეთი პირობა მიიჩნია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად და დაავალდებულა მწარმოებელი კომპანია, გაეუქმებინა ეს პირობა და ხსენებულ ცილინდრებზე დაერთო წარწერა 4X10 სმ ზომებით, რომ მომხმარებელს უფლება აქვს ცილინდრი ნახშირორჟანგით დატენოს მწარმოებლის გარდა სხვა კომპანიის დახმარებითაც. სწორედ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა კომპანიამ სასამართლოში, იმ არგუმენტით, რომ კომპანიას არ გააჩნდა დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, რამეთუ იგი კონკურენციაში იყო ყველა იმ კომპანიასთან, რომელიც მზა გაზირებულ წყალს ყიდდა ბაზარზე, რადგან საბოლოო პროდუქტი - გაზირებული წყალი - მომხმარებლისთვის ერთი და იგივე იყო სახლის პირობებში მისი დამზადებისა და მზა პროდუქციის ყიდვისას. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრა, რომ საბოლოო

პროდუქტი სახლის პირობებში დამზადებისას და მარკეტში შეძენისას შემადგენლობითა და სამომხმარებლო თვისებებით, ასევე ფასით სრულად ურთიერთჩანაცვლებადია, მაგრამ ისინი მაინც ვერ იქნებიან განხილული ერთი ბაზრის კონტექსტში. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ხსენებულ აპარატს გერმანული ოჯახების 27% ფლობს, მიუხედავად ამისა, 99% რეგულარულად იძენს მზა გაზირებულ წყალს სუპერმარკეტებში. მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ ის, თუ რა არის საბოლოო პროდუქტი, ან რა ფასი აქვს მას, არამედ მისი მიღების გზებიც და მომხმარებლის ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რომ ის განსხვავებულად უყურებს პროდუქტს, რომელიც სახლში საკუთარი ხელით დაამზადა და რომელიც სავაჭრო დაწესებულებაში იყიდა. ეს განსხვავებული დამოკიდებულება კი ვლინდება იმაში, რომ დაახლოებით 27% ორივე სახის წყალს იყენებს. ამიტომაც Soda Club-ის წილის დათვლა მოხდა არა მთლიანი გაზირებული წყლების ბაზრიდან, არამედ გაზირების აპარატების ბაზრიდან.

ბ) *გეოგრაფიული რელევანტურობა წარმოადგენს* ბაზრის იდენტიფიცირების კიდევ ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს. ამ შემთხვევაშიც რელევანტური ბაზრის განსაზღვრა ხდება მომხმარებლის თვალსაზრისით. გეოგრაფიულად რელევანტური იქნება ის ბაზარი, რომლის ფარგლებშიც - 1) შეუძლია მომხმარებელს ვარირება, რათა ჩაანაცვლოს მოცემული პროდუქტი სხვა პროდუქტით, ანუ ის ტერიტორია, სადაც მიზანშეწონილი იქნება მომხმარებლისთვის უკეთესი ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში ამ ალტერნატივის გამოყენება - ტრანსპორტის, ფიზიკური, დროის და სხვა დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით და 2) მოქმედებს კონკრეტული ეკონომიკური აგენტი, ანუ ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც იგი ახორციელებს მისი საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მომხმარებლისათვის.

შესაძლოა დავუშვათ, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის ტერიტორიულად რელევანტური ბაზარი საქართველოს მთელ ტერიტორიას შეადგენს. თუმცა, შესაძლებელია წარმოების სიმძლავრისა და პროდუქციის გავრცელების არეალის მიხედვით გვქონდეს რეგიონული, ლოკალური ბაზრები. გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროდუქციის მალფუჭებადობა, ტრანსპორტირების ხარჯები, რომლებიც ეკონომიკურ აზრს ანიჭებს პროდუქციის გარკვეულ ადგილზე გადაადგილებას და სხვა. ეს კრიტერიუმები, ალბათ, ტერიტორიულად დიდი ქვეყნებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოსთვის, სადაც ნებისმიერი პროდუქციის მიწოდება ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში პრაქტიკულად ერთ დღეშია შესაძლებელი.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ კრიტერიუმის განსაზღვრისას ასევე შენარჩუნებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომა და ცალცალკე ტერიტორიული ბაზრები იქნას განსაზღვრული საცალო და საბითუმო ვაჭრობისათვის. მაგალითისთვის გერმანიის კარტელთა ფედერალური ბიურო სურსათის საცალო ვაჭრობისათვის რელევანტურ ტერიტორიულ ბაზრად განიხილავს ავტომანქანისთვის 20 წთ-ის სავალი მანძილის რადიუსით შემოსაზღვრულ ტერიტორიას, ანუ დაახლოებით 20-25 კმ-ის რადიუსს; ჟურნალ-გაზეთებისათვის კი მათში მოცემული ინფორმაციის შინაარსის მიხედვით ადგენს გავრცელების სავარაუდო არეალს.

გ) დროში რელევანტური ბაზარი. როცა პროდუქტიულად და ტერიტორიულად რელევანტურ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა აგენტს საკმაოდ დიდხანს უკავია, მხედველობაში არ მიიღება დროის ფაქტორი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, როცა ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებობს დროებითი შეთანხმება, ან ბაზარი სეზონურია და ა.შ. ბაზარზე დომინირებას აქვს დროში შეზღუდული, წყვეტილი ხასიათი. ასეთ დროს სასაქონლო და გეოგრაფიულ რელევანტურობასთან ერთად განხილული უნდა იქნეს ბაზრის დროში რელევანტურობის საკითხი.

III. რელევანტური ბაზრის განსაზღვრის ხერხები

რელევანტური ბაზრის განსაზღვრისათვის, საკმარისი არაა კონკურენციის ორგანოთა სპეციალისტების სუბიექტური მოსაზრებები. პრაქტიკაში გამოყოფენ ანალიზის რამდენიმე ხერხს, კერძოდ:

- **დათვალიერება, ზოგადი მოკვლევა;**
- **ინტერვიუები;**
- **დაკვირვება, ობსერვაცია;**
- **ექპერიმენტი, საველე ღონისძიებები.**

დამატებით, ხშირად გამოიყენება ასევე მეორადი კვლევის სტადია, თუმცა ამ დროს ძირითადად ხდება მხოლოდ პირველადი კვლევის შედეგების გადახედვა, შეჯამება და დახარისხება.

რაც შეეხება პირველად კვლევას:

დათვალიერება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც კვლევის ყველაზე მსუბუქი ფორმა. აქ იგულისხმება მცირე გამოკითხვა ინტერვიუერის გარეშე, როგორიც შეიძლება იყოს რამდენიმე კითხვიანი ბარათები რესტორნის მაგიდებზე ან ოპციური გამოკითხვა ინტერნეტ გვერდზე. ეს ხერხი ეფექტურია, როდესაც ზუსტად ვიცით რა გვაინტერესებს და ძირითადად გამოსადეგია მომხმარებელთა დამოკიდებულების კვალიტატიური ანალიზისთვის. მცირე მასშტაბზე იგი რეალურ სურათს არ იძლევა.

ინტერვიუები დათვალიერების ერთგვარ გაძლიერებულ ვარიანტს წარმოადგენს. ინტერვიუში კითხვები ისეა შერჩეული, რომ შესაძლებელია დეტალური სურათის შედგენა მომხმარებლის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ამა თუ იმ პროდუქტსა თუ საკითხზე. ამავდროულად იგი იძლევა საშუალებას, მოხდეს როგორც კვალიტატიური, ასევე გარკვეულწილად კვანტიტატიური კრიტერიუმების დადგენა. ინტერვიუები ეფექტურია საცალო ვაჭრობის სფეროში ბაზრის ანალიზისათვის. მისი მთავარი პლუსია დეტალურობა და მომხმარებლისგან

ინფორმაციის უშუალო მიღების გზა. ამასთან, შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს მომხარებელთა ფსიქოლოგიური მოტივაციები, რაც ხშირად უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია პროდუქციის მიხედვით რელევანტური ბაზრის განსაზღვრისათვის. სამწუხაროდ ინტერვიუები ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს მსხვილი მიმწოდებლების ბაზრების კვლევისას, ასევე ისეთ სფეროებში როგორიცაა მშენებლობა, ავიაცია, ენერგეტიკა და სხვა. თუმცა, ამ გზით ასეთ სფეროებშიც შესაძლებელია ცალკეული მახასიათებლების დადგენა საჭიროებისდა მიხედვით.

ობსერვაცია მეტნაკლებად უფრო პასიური კვლევაა, ვიდრე კვლევის ორი ზემოთ განხილული ხერხი. ამ შემთხვევაში ბაზრის შემსწავლელი ორგანო ძირითადად ობიექტური გარემოებების შესწავლითა და დახარისხებითაა დაკავებული. ასეთი გარემოებები/მახასიათებლები შეიძლება იყოს მონაცემები ეკონომიკურ აგენტთა ფინანსური ბრუნვის, წარმოებული პროდუქციის, რეკლამის ინტენსივობის, კომპანიებისათვის საინტერესო ფოკუს ჯგუფების, პროდუქციის გავრცელების არეალის შესახებ. ობსერვაცია ასევე გულისხმობს რამდენიმე სახესხვაობას - იქნება ეს დოკუმენტური (მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე), თუ პრაქტიკული (ეკონომიკურ პროცესზე უშუალო დაკვირვების შედეგად მიღებული). ობსერვაცია ეფექტურია ტერიტორიულად რელევანტური ბაზრის დადგენისას, ასევე ბაზარზე ეკონომიკურ აგენტთა წილების გადანაწილებაზე ზოგადი სურათის შესაქმნელად. ეს ხერხი საჭიროებს მონოტონურ და შედარებით ხანგრძლივ დაკვირვებას, რაც დაკავშირებულია დროის მხრივ ეფექტურობასთან.

ექსპერიმენტები და საველე ღონისძიებები კონკურენციის სახელმწიფო ორგანოთა მუშაობის მნიშვნელოვან თანამედროვე იარაღს წარმოადგენს. ბევრი ანტიმონოპოლიური სამსახური თანამშრომლობს სხვადასხვა სახის ექსპერტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, როგორც მომხმარებელთა ქცევის და

ბაზრის პროდუქტიული საზღვრების შესასწავლად, ასევე მოდელირებას თეორიულ თუ პრაქტიკულ დონეზე, რომელიც ზღვრული მაჩვენებლების დადგენის საშუალებას იძლევა. ასეთი კვლევები ძალზე გამოსადეგია დემპინგური ან მონოპოლიურად დაბალი თუ მაღალი ფასის დასადგენად. ასევე შესაძლებელია პრაქტიკული ექსპერიმენტის შეთავსება სხვა რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ ხერხთან, მაგალითად, კონკრეტული შესადარებელი პროდუქციის გასინჯვის შემდგომ მომხმარებელთა გამოკითხვა.

IV. ეკონომიკური აგენტების მდგომარეობის შეფასება რელევანტურ ბაზარზე

რელევანტური ბაზრის იდენტიფიცერების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტთა მდგომარეობის/წილის შეფასება. წილის განსაზღვრის ხერხები და თავისებურებები ამომწურავადაა გაანალიზებული საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 03 დეკემბერს დამტკიცებულ „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდურ რეკომენდაციებში", კერძოდ კი მე-6 თავში:

„6.1 ბაზრის სასაქონლო რესურსების რაოდენობრივ მახასიათებელს (შემდგომში – ბაზრის მოცულობა) წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის საერთო მოცულობა (მიწოდება) ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში გამოყოფილი ჯგუფის მყიდველებისათვის ღირებულებით და/ან ნატურალურ მაჩვენებლებში.

6.2 საქონლის რეალიზაციის (მიწოდების) საერთო მოცულობა განისაზღვრება როგორც ყველა გამყიდველის მიერ საქონლის რეალიზაციის (მიწოდების) ჯამი მოცემულ ბაზარზე.

$\sum_{i=1}^{n} V_i = V_m$, სადაც

V_m – ბაზრის მოცულობა;

V_i - რეალიზაციის (მიწოდების) მოცულობა საქონლის i-ური მომწოდებლის მიერ;

n – მიმწოდებლების რაოდენობა, რომლებიც ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში მოქმედებენ.

6.3 მომხმარებელზე რეალიზებული პროდუქციის მოცულობების შესახებ პირდაპირი მონაცემების არ არსებობის შემთხვევაში, ბაზრის მოცულობას განსაზღვრავენ გამოთვლითი მეთოდით:

$V_m = V_p + V_{im} - V_{ex}$, სადაც

V_m – ბაზრის მოცულობაა;

V_p – ადგილობრივი საქონელმწარმოებლების*** საქონლის წარმოების მოცულობაა;

V_{im} – ბაზრის ტერიტორიაზე შეზიდვების მოცულობა;

V_{ex} – შიდა ბაზრის საზღვრებს გარეთ გაზიდვების მოცულობა.

წარმოების მოცულობის განსაზღვრის დროს ბაზარზე ეკონომიკური აგენტის წილის გამოსაანგარიშებლად ითვალისწინებენ წარმოების მოცულობას მიმწოდებლის ნედლეულით დამზადებული პროდუქციის მოცულობის გამოკლებით.

*/*** თუ ეკონომიკური აგენტი აწარმოებს აღნიშნულ საქონელს და გამოიყენებს თავისი პროდუქციის ნაწილს საკუთარი წარმოების საჭიროებისათვის, მაშინ რეალიზაციის საერთო ნაწილში შეყვანილი უნდა იყოს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გააქვს მას ბაზარზე რეალიზაციისათვის/.*

6.4 განსახილველ ბაზარზე გამყიდველი ეკონომიკური აგენტის წილი (D_i) განისაზღვრება, როგორც მის მიერ

ბაზარზე რეალიზებული სასაქონლო პროდუქციის შეფარდება ბაზრის მოცულობასთან.

$$D_i = \frac{V_i}{V_m}$$

<u>ცნობისათვის:</u> 1. ბაზარზე ინტეგრირებული სტრუქტურების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ვერტიკალურად (ჰორიზონტალურად) ინტეგრირებული სტრუქტურების წილის გამოყოფა ბაზარზე არსებული მიწოდების საერთო მოცულობიდან.

2. ბაზარზე აღნიშნული წილის გაანგარიშებაში პოტენციური მიმწოდებლების შეყვანის საკითხი წყდება განსახილველი სიტუაციიდან გამომდინარე:

– თუ ბაზარზე კონკურენტული გარემოს მდგომარეობის ანალიზი ტარდება კონკურენციული კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამო აღძრულ საქმესთან დაკავშირებით, მაშინ საჭიროა წილის გათვლა განხორციელდეს ბაზრის ფაქტიურად ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით (პოტენციური მიმწოდებლის გაუთვალისწინებლად).

– თუ კონკურენტული გარემოს მდგომარეობის ანალიზი ტარდება გრძელვადიანი და პერსპექტიული პროექტების (ეკონომიკური აგენტების შერწყმა, საფინანსო-საწარმოო ჯგუფების შექმნა, აქციათა პაკეტის, ქონების და სხვა შეძენა) შესაფასებლად, მაშინ ბაზარზე წილის გაანგარიშებისას მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ბაზარზე პოტენციური მიმწოდებლების მიწოდების მოცულობები, იმ პირობით, თუ ახალი ეკონომიკური აგენტის ბაზარზე შესვლა შეიძლება განხორციელდეს უმოკლეს ვადაში (განისაზღვრება კონკრეტული ბაზრის შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაგრამ არაუმეტეს 1 წლისა) არსებითი დამატებითი ხარჯების გარეშე.

6.5 ბაზარზე ეკონომიკური აგენტის წილი შეიძლება განისაზღვროს პროდუქციის (მომსახურების) რეალიზაციის (ნატურალური, ღირებულებითი) ან წარმოების მოცულობით. მისი საერთო მოცულობა და კონკრეტული მიმწოდებლის რეალიზაციის მოცულობა ერთგვაროვანი საქონლის ბაზარზე განისაზღვრება, როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებით მაჩვენებლებში (კონკრეტული მიმწოდებლისათვის, ბაზრის და რეალიზაციის მოცულობების განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება ნატურალურ

მაჩვენებლებს), ხოლო არაერთგვაროვანი საქონლის ბაზარზე – მხოლოდ ღირებულებით გამოსახულებაში.

<u>ცნობისათვის:</u> თუ ბაზარზე ნატურალურ ერთეულებში გაზომილი წილი არსებითად განსხვავდება იმ წილისაგან, რომელიც განისაზღვრება ღირებულებით გამოსახულებაში, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ბაზრები განსაზღვრულია არასწორად. <u>მაგალითად,</u> სხვადასხვა საწარმოს საქონელი შეიძლება მოგვეჩვენოს ერთნაირად, მაშინ როდესაც ზოგიერთ ეკონომიკურ აგენტს შეუძლია მყიდველს მიყიდოს უფრო ძველი და რთული საქონელი, რომლის ხარისხსაც თავისთვის მიულებლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში არსებობს სულ მცირე 2 სასაქონლო ბაზარი: 1) მაღალხარისხოვანი რთული საქონლით და 2) დაბალხარისხოვანი საქონლით.

6.6 საფინანსო ბაზრის მოცულობის და ამ ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის წილის განსაზღვრა ხორციელდება იგივე პრინციპით,რომელიც გამოიყენება სასაქონლო ბაზარზე.

6.6.1 საბანკო მომსახურების ბაზარზე ბაზრის მოცულობა მიზანშეწონილია განისაზღვროს, როგორც ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივების ჯამი.

$V_i = V_m$, სადაც

V_m – ბაზრის მოცულობა;
V_i - i-ური კომერციული ბანკების აქტივების ჯამი;
n – ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკების რაოდენობა.

6.6.2 სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე მისი მოცულობა მიზანშეწონილია განისაზღვროს, როგორც ყველა სადაზღვევო კომპანიის სადაზღვეო შენატანების ჯამი (სადაზღვევო პრემია), რომლებიც ქვეყანაში მოქმედებენ.

$V_i = V_m$, სადაც

V_m – ბაზრის მოცულობა;

V_i- სადაზღვევო შენატანების ჯამი (სადაზღვევო პრემიები) i-ური სადაზღვევო კომპანიის მიერ;

n – ქვეყანაში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა.

6.6.3 საბანკო მომსახურების ბაზარზე კომერციული ბანკის წილის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მისი აქტივების სიდიდეთა შეფარდება ბაზრის მოცულობასთან.

6.6.4 სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე სადაზღვევო კომპანიის წილის ოდენობა განისაზღვრება, როგორც მისი სადაზღვევო შენატანების სიდიდის შეფარდება (სადაზღვევო პრემიები) ბაზრის მოცულობასთან. “

V. რაც შეეხება კონცენტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრას

იგი ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდგომ ძალზე მარტივად გამოითვლება **ჰერფინდალ-ჰირშმანის მეთოდით,** რომელსაც იყენებს ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა კონკურენციის სამსახური (საუბარია ეკონომიკურ აგენტთა წილების კვადრატების ჯამის დათვლის მეთოდზე).

აქ გამოვყოფდით ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, კერძოდ, ზემოაღნიშნული კოეფიციენტის განსაზღვრის მნიშვნელობის შესახებ. იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მძლავრი და სრულყოფილია კონკურენცია ბაზარზე, იძლევა მონოპოლისტების სავარაუდო არსებობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას და ეს სასარგებლოა; ამასთან, მონოპოლისტის არსებობა თავისთავად არაა განმსაზღვრელი ბაზრის მდგომარეობის განსაზღვრისათვის - ანტიმონოპოლიური სამსახურები ებრძვიან არა ამ მდგომარეობას, არამედ მონოპოლიური/დომინირებული მდგომარეობის

ბოროტად გამოყენებას. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კი შესაძლებელია მაშინაც, როცა ბაზარი მაღალკონცენტრირებული არ არის, ანუ არ არსებობს მონოპოლისტი. საქმე ეხება ე.წ. „წინ გაჭრილ წილს", როცა ერთ კომპანიას ბაზრის მხოლოდ 15% უჭირავს, ბაზრის დანარჩენი ნაწილი კი ძალზე დანაწევრებულია და ცალკეულ კომპანიათა წილები 2%-ს არ აღემატება. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კონცენტრაციის კოეფიციენტი 500-ს არ აღემატება, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია, და იმაზე მეტყველებს, რომ ბაზარზე კონკურენცია „ყვავის", 15%-იან კომპანიას აქვს შანსი, რომ დიდი გავლენა იქონიოს დანარჩენი პატარა კომპანიების ბედზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში 15%-იც კი შეიძლება ჩაითვალოს დომინირებულ მდგომარეობად და ასეთ ბაზრებსაც სჭირდებათ კონტროლი. ასეთი პრაქტიკა არსებობს საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, რაც ალბათ, ქართული პრაქტიკისთვისაც გასათვალისწინებელია. შესაბამისად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მხოლოდ ცალსახა გაანგარიშება და მხოლოდ მის საფუძველზე ბაზრების კონტროლი ვერ მოგვცემს სასურველ ეფექტს.[6]

---

[1] BGH 16.12.1976 Valium BGH 25.6.1985 Edelstahlbestecke

[2] EuGH 21.2.1973 Continental Can

[3] საუბარია აშშ-ის ერთ-ერთ კარტელურ საქმეზე U.S. v. E.I. du Pont de Nemours&Co., 351 U.S. 377, 76(1956), რომელიც ეხებოდა ცელოფანს და რომელშიც სასამართლო ჯვარედინი ელასტიკურობის მეთოდის შედეგის გამო მოტყუედა.

[4] კლინგი/ტომასი, კარტელური სამართალი, მე-3 გამოცემა., 1999, გვ. 104 (გერმ)

[5] OLG Düsseldorf,1. Kartellsenat,Beschl. v. 14.3.2007 - VI Kart 5/06 (V)

[6] BGH 10.12.1991 - Inlandstochter

I.3. საბაზრო წილების განსაზღვრა [33]

ბაზრებისა და საბაზრო წილების განსაზღვრის მნიშვნელობა

• ცალკეული ფირმების საბაზრო ძალაუფლების შეფასებისათვის და შერწყმის შესაძლებელი კონკურენტული შედეგების განსაზღვრისათვის ანტიტრესტული კანონი ეყრდნობა (ნაწილობრივ) საბაზრო წილებს.

შერწყმები

• კონცენტრაციის მაჩვენებლები და ბაზრის წილები ფასდება როგორც საბაზრო ძალაუფლების ამოსავალი მაჩვენებელი;

• შერწყმის შემთხვევაში ბაზრის მაღალ წილთან მიმართებით უპირობოდ არსებობს მიზეზები შეშფოთებისათვის.

ბოროტად გამოყენება

• თანამედროვე პრეცედენტულ სამართალში გამოითქმება მხარდაჭერა მონოპოლიური ძალაუფლების პირდაპირი დადასტურების მიმართ, მაგრამ სტანდარტული მიდგომისას იმის დასამტკიცებლად, რომ ფირმა ფლობს დომინირებულ ძალაუფლებას, აუცილებელია:

1. განისაზღვროს რელევანტური (შესაბამისი) ბაზარი.

2. ნაჩვენები იქნეს, რომ მოპასუხე ფლობს ბაზარზე დომინირებულ წილს.

3. ნაჩვენები იქნეს, რომ არსებობს ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი ბარიერები.

• სახელმძღვანელო რომელიც მიუთითებდა როგორი უნდა იყოს ბაზრის წილი, რომ ფირმა ფლობდეს დომინირებულ საბაზრო ძალაუფლებას, არ არსებობს, მაგრამ აშშ-ს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-ლებათა წონიანობა მიუთითებს რომ იგი უნდა იყოს 50%.

ბაზრის წილები და ბაზრის დაყოფა

• ბაზრის დაყოფა წილებად ნიშნავს მათ განსაზღვრას.

• თანამედროვე პერიოდში ბევრი ექსპერტი ბაზრების განსაზღვრისათვის იყენებს ჰიპოთეტური მონოპოლისტის ტესტს (SSNIP).

ზოგიერთი წინასწარი შენიშვნა-მოსაზრება

• ბაზრის წილებად დაყოფისათვის აუცილებელია განისაზღვროს კონკურენტები (რომლებიც ახორციელებენ გაყიდვებს ამ ბაზარზე) და ასევე ისინი, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ ამ საქმით დაკავებულნი.

• ფირმებს, რომლებიც ახორციელებენ გაყიდვებს ბაზარზე, ზოგჯერ უწოდებენ ვალდებულებებით დაუკავშირებელ ფირმებს.

• იმ ფირმებისათვის, რომლებიც არ აწარმოებენ ბაზარზე გაყიდვებს (ან რომლებსაც არ შეუძლიათ ამის გაკეთება უახლოეს დროში), გამოიყოფა ბაზრის ნულოვანი წილი.

• აღსანიშნავია, რომ თუ ბაზრის მონაწილეთა მომავალი წილები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან არსებულისაგან და თუ ფირმები იქცევიან ისე როგორც ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით, მაშინ მათი წილები უნდა შემცირდეს (შესაძლებელია ნულამდე).

საერთო მაჩვენებლის პრობლემები

• საბაზრო წილებად დაყოფა ხშირად წარმოადგენს ტიპიურ პრობლემას,როცა ვაშლს ურევენ ფორთოხალთან.

• თუ რელევანტურ ბაზარზე იყიდება ახალი ხილი, უნდა ვიპოვოთ რაიმე საერთო მაჩვენებელი, რომელიც საშუალებას იძლევა ვაშლს მიემატოს ფორთოხალი და სხვა ხილი.

შესაძლო საერთო მაჩვენებლები

- ერთეულები.
- წონა.
- შემოსავლები.
- ეფექტიანობის ერთეულები.
- პოტენციალი.

წარმოების სტანდარტიზირებული მოცულობა, როგორც საერთო მაჩვენებელი – თეთრი პურის მაგალითი:

- ავიღოთ თეთრ პურთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც იყიდება პლასტიკურ პაკეტებში სუპერმარკეტებში.
- თეთრი პური შემოდის სტანდარტული წონით 1; 1,25 და 1.5 ფუნტი.
- ზოგიერთი პლასტიკური პაკეტი შეიცავს 1; 2 ან 3 ფუნთუშასაც კი.
- ზოგიერთ ფუნთუშაში პურის მეტი ნაჭერია ვიდრე სხვებში
- თქვენ როგორ მოიქცეოდით ამ შემთხვევაში?

წარმოების სტანდარტიზებული მოცულობა საერთო მაჩვენებლის სახით – ტუალეტის ქაღალდის მაგალითი:

- ავიღოთ პრობლემები რომლებიც დაკავშირებულია სუპერმარკეტებში გასაყიდ ტუალეტის ქაღალდთან.
- ტუალეტის ქაღალდი იყიდება შეფუთვებში, რომელიც შეიცავს 1 გორგალს, 4 გორგალს და 36 გორგალამდე.
- გორგლები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის. შესაბამისად შეიძლება იყოს ერთფენოვანი, ორფენოვანი და სამფენოვანი გორგლებიც კი.
- ქაღალდი გორგლებში სხვადასხვა ზომისაა.

• ტუალეტის ქაღალდი არსებობს ერთფენოვანი, ორფენოვანი და სამფენოვანი.
• თქვენ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდით?

წარმოების სტანდარტიზირებული მოცულობა როგორც საერთო მაჩვენებელი – ქვანახშირის მაგალითი:

• ქვანახშირი ხშირად გამოიყენება ელექტროენერგიის საწარმოებლად.
• ქვანახშირის ზოგიერთი სახეები აწარმოებენ უფრო მეტ სითბოს ვიდრე სხვები. სხვა სიტყვებით, 1 ტონა ქვანახშირზე სითბოს გამომუშავების შესაძლებლობა სხვადასხვაა.
• თქვენ როგორ მოიქცეოდით ამ შემთხვევაში?

წარმოების სტანდარტიზირებული მოცულობა როგორც საერთო მაჩვენებელი – ხანგრძლივი მოხმარების საქონლის მაგალითი:

• ზოგჯერ ბაზარი შეიძლება შეიცავდეს როგორც მეორადი მოხმარების საქონელს (ხანგრძლივი მოხმარების) ისე ერთჯერადი მოხმარების საქონელს.
• გამოცდილებამ კლიენტს შეიძლება უკარნახოს, რომ ხანგრძლივი მოხმარების საქონელი გამოიყენება 10-ჯერ და ზოგჯერ 100-ჯერ მეტადაც კი, ვიდრე ერთჯერადი მოხმარების საქონელი.
• თქვენ როგორ მოიქცეოდით?

წარმოების სტანდარტიზირებული მოცულობა როგორც საერთო მაჩვენებელი – ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შემთხვევაში შესაძლო პასუხი:

• გადააქციეთ ერთჯერადი მოხმარების საქონელი ხანგრძლივი მოხმარების საქონლად იმდენჯერ

რამდენჯერაც გამოიყენება ხანგრძლივი მოხმარების საქონელი სანამ მას მოიშორებენ თავიდან.

• პრობლემები მაშინ წარმოიქმნება, როცა შეიმჩნევა სხვაობა მცირე შემოსავლიან კლიენტებს შორის ზღვრული განაკვეთების შემთხვევაში.

შემოსავალი, როგორც საერთო მაჩვენებელი – მაგალითი სავაჭრო მარკაზე:

• თეთრი პურის მაგალითზე, რომელიც აღწერილი იყო ზემოთ, შეიძლება საქმე გვქონდეს მნიშვნელოვან სხვაობასთან ფასში, მაგრამ არა არსებით განსხვავებასთან პროდუქციის ხარისხში.

• თქვენ როგორ მოიქცეოდით ამ შემთხვევაში?

საბაზრო წილები, რომელიც განისაზღვრება აქტივების საფუძველზე იმ წილების საპირისპიროდ, რომლებიც განისაზღვრება წარმოების მოცულობათა საფუძველზე:

• საბაზრო წილები, რომელიც განისაზღვრება აქტივების საფუძველზე (მაგალითად საწარმოო სიმძლავრეების საფუძველზე) გამოყენებულ უნდა იქნან როდესაც კონკურენტების საწარმოო შესაძლებლობები თანხვდება გაყიდვის შესაძლებლობებს (როგორც ეს ხდება ერთგვაროვანი საქონლისათვის).

საბაზრო წილები, რომელიც დაფუძნებულია აქტივებზე – ქვანახშირის მაგალითი:

• ქვანახშირი გამოიყენება ძირითადად ელექტრო-ენერგეტიკული საწარმოების მიერ და მათი შესყიდვა ხორციელდება გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე. მოქმედი წარმოება აუცილებლად არ მოწმობს კონკურენციის არსებობას.

• თქვენ როგორ განსაზღვრავდით ბაზრის წილს ქვანახშირის შემთხვევაში?

საბაზრო წილები, რომელიც განისაზღვრება საწარმოო სიმძლავრეების საფუძველზე – ელექტროენერგიის მაგალითი:

• ელექტროენერგიას გამოიმუშავებს გენერატორები. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ცვლილების გათვალისწინებით დღისა და ღამის განმავლობაში, გენერატორების ოპტიმალური პორტფელი მოიცავს არაძვირ „საბაზო ბლოკებს“ და შედარებით ძვირ „საპიკო ბლოკებს“.

• თქვენ როგორ განსაზღვრავდით ამ დარგში ბაზრის წილებს?

არაეფექტიანი საწარმოო სიმძლავრეები – პასუხი:

• არაეფექტიანი საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც არასოდეს არ იქნება გამოყენებული ფასის ამაღლების შემთხვევაში, არ უნდა იქნენ გათვალისწინე-ბული ბაზრის წილის განსაზღვრისას.

მიწოდების ჩანაცვლება და ბაზრის აგრეგირება – აქტივის მაგალითი ტუალეტის ქაღალდის სახით:

• ფირმები, რომლებიც უშვებენ ტუალეტის ქაღალს, ცხვირსახოცებს, ქაღალდის პირსახოცებს, როგორც წესი აქტივების ძირითად ნაკრებს იყენებენ ყველა ამ სამი პროდუქტის წარმოებისათვის.

• თქვენ როგორ განსაზღვრავდით ბაზარს ამ შემთხვევაში?

მიწოდებათა ჩანაცვლება და ბაზრის აგრეგირება – საბანკო აქტივების მაგალითი:

• ბანკები, როგორც წესი მომხმარებლებს სთავაზობენ მომსახურებათა ფართო ნაკრებს. ხშირ შემთხვევებში (რომელიც დაკავშირებულია საბანკო ოპერაციებთან აშშ-ში) არსებობს შეშფოთება კრედიტების თაობაზე მცირე ბიზნესისათვის.

• როგორ უნდა განაწილდეს ბაზარი წილებად მცირე ბიზნესისათვის კრედიტების თაობაზე გამოთქმული შეშფოთებების დროს.

ბაზრის წილები მომავალში

• თუ დადგენილია რომ უახლოეს მომავალში არის ბაზარზე შესვლის ან ბაზრიდან გამოსვლის მაღალი ალბათობა ეს შესაბამისად უნდა აისახოს საბაზრო წილებში.

საბაზრო წილები მომავალში – მაგალითი:

• ახალი ფირმებისათვის, რომლებიც უკვე შევიდნენ ბაზარზე და აწარმოებენ ერთგვაროვან საქონელს მათ მიმართ განისაზღვრა თუ არა ბაზრის წილი. რა უნდა ვქნათ დიფერენცირებული პროდუქტების შემთხვევაში?

წარმოების მოცულობის გაზომვასთან დაკავშირებული საკითხები:

• წარმოება.

– შეიძლება განხორციელდეს წარმოების ინვენტარიზაცია.

– მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზიანებული ან წუნდებული მოწყობილობა.

• მიწოდებები.

– დაზიანებული ან წუნდებული მოწყობილობა – მოგების ნორმა.

• გაყიდვები.

– გრძელვადიანი კონტრაქტები არ ასახავენ კონკურენციას მოცემულ ეტაპზე.

• ბოლო შეკვეთები

– შეკვეთები უნდა ტრანსფორმირდეს გაყიდვებში. თუ ხშირად აქვს ადგილი შეკვეთების გაუქმებას, მაშინ ასეთი გაზომვა არ პასუხობს მოთხოვნებს.

• არც თუ ისე ცოტაა იმის ალბათობა, რომ სხვაობა წარმოების მოცულობათა ამ გაზომვებს შორის არ იქნება დიდი.

ბაზრის წილები, რომელიც განისაზღვრება ოპერაციათა მცირე რაოდენობით:

• როცა ოპერაციათა რაოდენობა ძალიან შეზღუდულია, გაყიდვები შეიძლება აგრეგირდეს უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის.

• ცხადია არსებობს კომპრომისული გადაწყვეტილება. თუ საკმაოდ უკან მოვიხედავთ დავინახავთ, რომ საბაზრო პირობები დროში შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

მომავლისათვის ბაზრის წილების პროგნოზი წარმოების მოცულობათა საფუძველზე:

• წილები რომელიც განისაზღვრება წარმოების მოცულობათა საფუძველზე, როგორც წესი გამოიყენება დიფერენცირებული პროდუქტების მიმართ. ყოველწლიურად ათასობით პროდუქტი რომელთა შეთავაზება ხდება ვაჭრობაში, განიცდიან სრულ წარუმატებლობას.

• კარგი საფუძველი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა განგვეჭვრიტა ახალი პროდუქტი ისარგებლებდა თუ არა წარმატებით, არ არსებობს.

• მომავალში ბაზრის წილის საუკეთესო წინასწარმეტყველებას ალბათ წარმოადგენს ბაზრის ის წილი, რომელიც ფირმას თანამედროვე პირობებში უკავია.

• სხვა მხრივ, როდესაც ძირითადი პატენტის მოქმედების ვადა სრულდება და წინასწარი დაკვირვებები აჩვენებენ რომ არსებობს კარგი საფუძველი ახალი კომპანიებისათვის ბაზარზე დასამკვიდრებლად, მაშინ ეს გარემოება გათვალისწინებულ უნდა იქნას.

ლიცენზირების მაგალითი:

• დავუშვათ ფირმა აძლევს სხვა ფირმას ლიცენზიას.

• ვის უნდა გამოეყოს ბაზრის წილი. ლიცენზიიის გამცემს თუ ლიცენზიის მიმღებს?

ნაწილობრივი მფლობელობა:

• წარმოიდგინეთ სიტუაცია, რომლის დროსაც ფირმა ნაწილობრივ იმყოფება კონკურენტის კონტროლს ქვეშ ან მფლობელობაში.

• როგორ უნდა განაწილდეს საბაზრო წილები?

პასუხი ნაწილობრივი მფლობელობის შემთხვევაში:

• კერძო მფლობელობა ზემოქმედებს სტიმულებზე მხოლოდ იმ ზომით რა ზომითაც ,,მფლობელი" აკონტროლებს სხვა ფირმას.

• დასკვნა კონტროლის თაობაზე შეიძლება გაკეთდეს ხმის მიმცემთა უმრავლესობის საფუძველზე ან უმცირესობის შემთხვევაშიც, თუ სხვა მფლობელობის წილები ფართოდაა გაშლილი.

ძირითადი კითხვები:

1. ყოველთვის ხდება არჩევანის გაკეთება და საჭიროა ყველა ვარიანტის განხილვა, იმის მიუხედავად, რომ ეს დაკავშირებულია პრაქტიკულ სიძნელეებთან;

2. არაა გამორიცხული, რომ საუკეთესო მკაფიო არჩევანის გაკეთება შეუძლებელი იყოს;

3. იმის გათვალისწინებით, რომ ბაზრის წილები ვერ გადმოსცემს მთელ ისტორიას, ისინი გამოყენებული უნდა იქნან იმისათვის, რომ მკაფიოდ მიუთითებდნენ კონკურენტების ბიზნესის ზომებზე.

I.4. შერწყმათა ანალიზის ძირითადი ელემენტები [37]

I. შერწყმის ანალიზის მიზანი და ამოცანები:

- კონტროლი კომპანიათა გარეგნულ ზრდაზე;
- დომინირებული მდგომარეობის გამოყენების თავიდან აცილება – ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმალური დონე;
- არამართლზომიერი პოლიტიკური ზეგავლენის თავიდან აცილება;
- შერწყმის შემდეგ არსებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე კონტროლის ნაკლოვანებები.

II. ფორმალური ასპექტები:

- შესრულებულია თუ არა ყველა ფორმალური მოთხოვნა?
- დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა;
- მუშაობის გრაფიკი – შესრულების ვადები!

III.ბაზრის განსაზღვრა:

ა) სასაქონლო ბაზრის განსაზღვრა:

– შესაბამისი საქონლის განსაზღვრა;
– მახასიათებლები, ფუნქციები, ფასები;
– ცვლილება მოთხოვნის მხრიდან;
– წამოიქმნება ფასების უმნიშვნელო, მუდმივი ცვლილებების შედეგად;
– ცვლილება მიწოდების მხრიდან;
– რენტაბელობა, აქტუალობა.

ბ) ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენა:

– სატრანსპორტო დანახარჯები;
– საბაჟო ბარიერები;
– ადგილობრივი/ეროვნული სადისტრიბუტორო ქსელები;
– მომსახურება გაყიდვის შემდგომ;
– სხვადასხვა სარეგულაციო მოთხოვნა;
– გეოგრაფიული ბარიერები, მდინარეები, მთები . . . ;
– იმპორტის/ექსპორტის მოდელები;
– და ა.შ.;
– შესაბამისობა საქონელთან დამოკიდებულებით.

გ) გამოძიების მეთოდები:

✓ შერჩევაში მონაწილე მხარეები:
– შიდა დოკუმენტაცია, დამატებითი საკითხები და სხვა.

✓ სატელეფონო ინტერვიუ:
– მყიდველები, კონკურენტები, ასოციაციები, სამეცნიერო წრეები და სხვ.

✓ ანკეტების შედგენის ხელოვნება;
✓ დამოუკიდებელი საბაზრო კვლევები;
✓ გადაწყვიტეთ თვითო! – დასწრებები, ბაზრობები და სხვ.

IV.ბაზრის კონცენტრაცია და სტრუქტურა:

• კონცენტრაციის გაზომვა:

– საბაზრო წილები;
– კონცენტრაციის ხარისხი;
– ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI).

• უსარგებლოა თუ გამოყენებულ არ იქნა კომპლექსური მიდგომა.

V. როგორ უნდა შეფასდეს ზეგავლენა ბაზარზე:

ა) ზეგავლენის ცალმხრივი შედეგები:

✓ არაკოორდინირებული მოქმედებების შედეგები კონკურენციის შეზღუდვის სფეროში;
✓ საკმარისი კონკურენციის მოქმედების/არარსებობის არაკონტროლირებადი მასშტაბი;
✓ შესაძლებლობა სასარგებლოდ იქნეს აწეული ფასები ან შემცირდეს რაოდენობა, ხარისხი და შეიზღუდოს მომსახურება;
✓ ცვლილებათა არარსებობა რენტაბელობის სფეროში;
✓ ბაზარზე შესვლის ბარიერები;
✓ საბაზრო ეტაპი;
✓ მყიდველთა მხრიდან საწინააღმდეგო ზეგავლენა;
✓ აუქციონები/ვაჭრობების ჩატარება;
✓ მყიდველთა და მიმწოდებელთა დაშვება წარმოებისა და გასაღების ბაზრებზე;
✓ რესურსები სხვა კონკურენტებთან შედარებით.

ბ) კოორდინირებული შედეგები:

✓ შერწყმის კოორდინირებული შედეგები აშკარა გარიგების გარეშე;
✓ ზემოქმედება ფასებზე, რაოდენობაზე, ხარისხზე, მომსახურებაზე;

✓ წინასწარი პირობები:
– გამჭვირვალობის მაღალი დონე;
– შეთანხმებებიდან გადახვევის სიძვირე;
– სტაბილურობა – არავითარი დამოუკიდებელი მოქმედება.

VI. ზომები დარღვევათა გამოსწორებისათვის:

- აქტივების განყოფილება ან სამეურნეო სუბიექტების ქვეგანყოფილება;

- ბაზრებზე შესვლა;

- ხმის უფლების მქონე აქციების გაყიდვა და სხვ.;

- თუ თქვენ არ გაგაჩნიათ ისეთი განუსაზღვრელი რესურსები, როგორიც ანტიმონოპოლიურ უწყებას, ყოველთვის შეარჩიეთ სტრუქტურული და არა ქცევითი ზომები;

- მონიტორინგი თამაშობს მნიშვნელოვან როლს.

I.5. ეკონომიკური მიდგომები კარტელებისადმი [56]

რა არის კარტელი?

- აშკარა გარიგებისას მუდმივმოქმედი კარტელები (მონოპოლიური ფასების დადგენა და ბაზრის განაწილება) წარმოადგენენ ჰორიზონტალური შეთანხმების ქვესისტემებს.

- შეთანხმებები მწარმოებლებს შორის (ჩვეულებრივ ფასებთან დამოკიდებულებით) მათი კონკურენციის შესაზღუდად.

- კარტელი ამაღლებს ფასს კონკურენტუნარიანობის დონის ზემოთ და ამცირებს პროდუქციის გამოშვებას – არა არსებითი მტკიცებულება.

- მან შეიძლება ასევე განახორციელოს ტექნიკური პროგრესი და გაზარდოს დანახარჯები.

აშკარა გარიგების მნიშვნელოვანი პირობები:

- შეთანხმება ერთობლივი მოქმედების ხასიათის შესახებ – მიზნები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ მუდმივი ხასიათი;

- შედეგის მიღწევა – ფარული ან აშკარა გარიგების საშუალებით – მექანიზმი/პროცესი;

- კარტელური შეთანხმების მხარდაჭერა:
  ა) მოგება სამართალდარღვევიდან (მოტყუებითი მოქმედებებიდან);
  ბ) აღმოჩენის ალბათობა;
  გ) დასჯა მოტყუებით ქმედებებზე

შეთანხმება და შედეგის მიღწევა:

- ყველას ჩართულობა;
- ვინ რას აკეთებს?
- ვინ რას იღებს?
- როგორ ეგუება კარტელი გარემოებათა ცვლილებებს?
- როგორ მიიღება გადაწყვეტილებები და როგორ ხდება ინფორმაციის გაცვლა?
- როგორც წესი კარტელის შექმნისას წარმოიქმნება ბევრი სიძნელე;
- უფრო რთულია მისი მიღწევა ფარული (გაუმჭვირვალე) გზით.

კარტელური შეთანხმების მხარდაჭერა:

- როგორ შეიძლება კარტელური შეთანხმების დარღვევისადმი სტიმულების წარმოქმნის კონტროლირება?
- როგორ შეიძლება მხარეთა რეალური მოქმედებების კონტროლი და არა იმაზე რაზეც ისინი შეთანხმდნენ, რომ ეკეთებინათ?
- როგორ შეიძლება იმათი დასჯა, ვინც იტყუება?
- თეორია ამტკიცებს, რომ კარტელური შეთანხმებები ძალიან არასტაბილურია და მათი მხარდაჭერა გაძნელებული – მაგრამ ზოგიერთი კარტელი არსებობს მრავალი წლის განმავლობაში;
- როგორც აშკარა ისე ფარული გარიგებისას აუცილებელია შეიქმნას „რეპუტაცია“, რომელიც ითვალისწინებს დასჯას მოტყუებითი მოქმედებებისათვის.

საერთაშორისო კარტელები:

მშვილდავა	1924	F
ბუტერბროდები	1924-1944	F
ალუმინი	1923-1939	CFD
ანილინური საღებავები	1927	FA
კალციუმის კარბიდი	1924-1927	F
ლიმონმჟავა	1935	W
ქვანახშირი	1935	W
საშრობი წვეული „BB"	1920-1944	A
საინკანი (რაფინირებული)	1918	CFDW
ელექტროსადენი	1928	W
ფერადი ქაღალდი	1939	WF
მძიმე ელექტრომოწყობილობა	1930	W
ელექტრონათურები	1921	FA

შენიშვნა: W – შეთანხმება ფასებზე; F – ფასწარმოქმნის მეთოდებზე შეთანხმება; CFD – ფასდაკლების ოპერაციული სტრუქტურის დარღვევა; C – მომხმარებლის ბაზრის გაყოფა; D – შეთანხმების დარღვევა. განსაკუთრებით საშიში; A – საჯარო ანტიტრასტული კანონის დარღვევის შესახებ; T – ტარიფი

გარიგების ხელშემწყობი ფაქტორები:

- პროდუქცია და მოთხოვნა:

– ერთგვაროვანი პროდუქცია;

– განვითარებული ბაზარი ან განვითარებადი ბაზარი;

– ტექნიკური პროგრესის არარსებობა;

– სტატიკური მოთხოვნა;

– შემცირებადი ან ციკლური მოთხოვნა;

– არაელასტიური მოთხოვნა.

გარიგების სტიმულები და მოთხოვნა:

	შედეგის მიღწევა	კარტელური შეთანხმების მხარდაჭერა		
		მოგება დარღვევებიდან	აღმოჩენის ალბათობა	დასჯის ალბათობა
მოთხოვნა – დაბალი	?	დაბალი?	მაღალი	მაღალი
მოთხოვნა – მაღალი	მნიშვნელოვანი	მაღალი	დაბალი	დაბალი

გარიგების ხელშემწყობი ფაქტორები:

• ბაზრის სტრუქტურა:
– ფირმების მცირე რაოდენობა;
– მყიდველთა დიდი თუ პატარა რიცხოვნება?
– გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეები;
– დარგში შესვლის ბარიერები;
– ვერტიკალური ინტეგრაცია;
– ვერტიკალური შეზღუდვები;
– ფირმების ჯგუარედინი მონაწილეობა ხელმძღვანელ ორგანოებში; აქციონერული მონაწილეობა.

• მუშაობის რეჟიმი:
– სავაჭრო გაერთიანებები;
– საინფორმაციო შეთანხმებები;
– ზედდებულების გამოქვეყნება;
– წინასწარი შეტყობინება ფასების ცვლილებების შესახებ;
– ჯგუარედინი ლიცენზირება;
– ყიდვა – გაყიდვის ხელშეკრულებები;
– ერთობლივი საწარმოები;
– დივერსიფიკაცია, მულტისაბაზრო კავშირები.

• რეგულირება:
– საერთო სტანდარტები;
– შეზღუდვები იმპორტზე;
– შეზღუდვები ექსპორტზე.

• საკონტროლო კითხვების ჩამონათვალი, წინასწარი დასკვნების შეფასების გარეშე აუცილებელია გამოყენებულ იქნას სიფრთხილით;
• ინფორმაცია ყოველთვის უნდა მოთავსდეს კონკრეტულ კონტექსტში.

შეთანხმებები და ინფორმაცია:

• არაერთგვაროვანი პროდუქცია - განსხვავება დანახარჯების სიდიდეში ზეგავლენას ახდენენ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაზე;
• ინფორმაციის გამჭვირვალობის როლი შეთანხმების მიღწევაში;
• ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფცია, რომლებიც ეხება გამჭვირვალობას

ინფორმაციის გაცვლა:

• ანტიკონკურენციული ეფექტი:
– ინფორმაციის გაცვლა ფასების შესახებ;
– არადამავალდებულებელი მოლაპარაკებები – იტერაციული მეთოდი.

• პროკონკურენციული ეფექტი:
– ამცირებს განუსაზღვრელობას არა მხოლოდ კონფიდენციალური ინფორმაცია (პოზნერი, ნოვეშეკი და ზონენხენი);
– შეიძლება მიგვიყვანოს კონკურენციულ შედეგამდე (ბერა-რედონდო);
– შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას „გამაკოტრებელი“ საფასო ომები (გრინი და პორტერი);

– ბაზარზე შესვლის შესაძლებლობის გადიდება (არმანტერი და რიჩარდი).

• შეგვიძლია თუ არა განვსაზღვროთ ფასების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ატარებს ანტიკონკუ- რენციულ თუ პროკონკურენციულ ეფექტს;
• ფასების გამოცხადება ცალმხრივია თუ ორმხრივი?
• ვინ იღებს შეტყობინებას?
• ადებს თუ არა იგი ვალდებულებას?
• აქვს თუ არა მნიშვნელობა ვის მიმართაა ფასის განაცხადი მიმართული?
• აქვს თუ არა ინფორმაციას ამომწურავი და სწორი ხასიათი?

ფარული გარიგება აშკარა გარიგების წინააღმდეგ:

• პრაქტიკაში ორივეს შედეგები შეიძლება ერთმანეთის მსგავსად გამოიყურებოდეს.
• კომპანიის მოქმედებები შეიძლება რთულად გამოვლინდეს საბაზრო შედეგებზე დაკვირვებით.
• ეკონომისტი ფაქტობრივად ვერ ხედავს განსხვავებას ფარულ და აშკარა გარიგებებს შორის შედეგების თვალსაზრისით, მაგრამ კანონი ამგვარ განსხვავებას ითვალისწინებს.

გარიგების ნიშნები:

• ქცევა:

– ინფორმაციის გაცვლა ფასების, საწარმოო დანახარჯებისა და გამომავალი მონაცემების შესახებ;
– ფასწარმოქმნის სქემები ძირითადი ორიენტირის ბაზაზე;
– პარალელური ფასწარმოქმნა დისკონტირების შემდეგ;
– საფასო ლიდერობა;
– დისკონტის სქემები;
– დასჯის სისტემები;

– დაბალი ფასების დაწესება.

• ბაზრის მახასიათებლები:

– სტაბილური საბაზრო წილები;
– მაღალი მოგება (რომელიც კორექტირებულია რისკებით);
– პარალელური ფასწარმოქმნა და სხვაობა დანახარჯებში;
– პარალელური ფასწარმოქმნა და სხვაობა მოგებებში;
– პარალელური ფასწარმოქმნა და სხვაობა ტექნოლოგიებში.

• ხშირად შეუძლებელია განსხვავების დანახვა ქცევაში, რომელიც ახასიათებს აშკარა და ფარულ გარიგებებს;
• კოორდინაციის მაღალი დონე შეიძლება ახასიათებდეს როგორც აშკარა ისე ფარულ გარიგებებს;
• კოორდინაციის დაბალი დონე შეიძლება შედეგი იყოს იმ კარტელის სუსტი მუშაობისა, რომელიც შეიქმნა აშკარა გარიგების შედეგად;
• არსებითად ესაა ცალმხრივი კრიტერიუმი.

შემოწმება გარიგების არსებობაზე და შედეგი:

• შემოწმება ფასების ცვლილებაზე დანახარჯების მკვეთრი შემცირების შემდეგ;
• ფასების დონესა და მათ შორის განსხვავების შემოწმება;
• კარტელის მოსალოდნელი არსებობის ან მისი არარსებობის პერიოდების შედარება;
• ბაზრის მოდელები.

ფორმიდან შედეგზე გადასვლა:

• წარმოადგენს თუ არა საქონელი ურთიერთშემცვლელს;
• მოითხოვება თუ არა მუდმივი დანახარჯები?
• დარგში თავისუფალი შესვლისას შედეგი დადის ნულამდე.

I.6. რელევანტური მტკიცებულებები კარტელების საქმეებში [38]

კარტელების შესახებ საქმეები განსხვავდებიან სხვა ანტიმონოპოლიური საქმეებისაგან

- ✓ მავნე ზემოქმედების დამტკიცება შესაძლოა არ იყოს აუცილებელი;
- ✓ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს შეთანხმების არსებობის დამტკიცება;
- ✓ კარტელები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საიდუმლოდ;
- ✓ კარტელების ხელმძღვანელები არ თანამშრომლობენ იმათთან, ვინც აწარმოებს გამოძიებას.

შეთანხმების სახეები:

- ✓ აშკარა შეთანხმება – შეხვედრა სასტუმროს ნომერში
- ✓ რაღაც ნაკლები:
  – EC: „შეთანხმებები . . . . და შეთანხმებული ქმედებები“;
  – აშშ: „შეთანხმება, კომბინაცია . . . ან გარიგება“;
- ✓ ორი სავალდებულო ელემენტი:
  – მხარეები აუცილებლად შეგნებულად უნდა მოქმედებდნენ შეთანხმებულად;
  – იყენებდნენ ურთიერთობის რაღაც ფორმას.

მტკიცებულებათა სახეები:

ა) პირდაპირი;
ბ) ირიბი (არაპირდაპირი) მტკიცებულებები:
1. კომუნიკაციის ფაქტი;
2. ეკონომიკური:
   – ქცევითი;

– სტრუქტურული.

პირდაპირი მტკიცებულებები;

✓ მტკიცებულებები, რომლებიც ადგენენ სუბიექტების შეხვედრის ან კომუნიკაციის ფაქტს და საშუალებას იძლევიან დახასიათდეს მათ შორის შეთანხმების არსი:
– დოკუმენტები ან გზავნილები ელექტრონული ფოსტით, როგორც წესი მხარეთა არქივებიდან, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებას და მიუთითებს მის მონაწილეებზე;
– კარტელის მონაწილეთა ზეპირი ან წერილობითი განცხადებები, რომლებშიც მოცემულია კარტელის დახასიათება და ჩამოთვლილია მისი მონაწილენი.

ირიბი მტკიცებულებები:

✓ ურთიერთობების (კომუნიკაციის) ფაქტების მტკიცებულებები – მაგალითები:
– სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, საგზაო ჩანაწერები (შენიშვნები);
– სხდომის ოქმები (მაგალითად „საფასო სტრატეგიის“ განხილვის დამადასტურებელი);
– დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ კონკურენტის კონფიდენციალური გეგმების ცოდნას.

✓ ეკონომიკური მტკიცებულებები ქცევის ერთიანობის საფუძველზე:
– პარალელური ფასწარმოქმნა;
– არანორმალურად მაღალი მოგებები;
– სტაბილური საბაზრო წილები;
– ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ძველი შემთხვევები;

– შეთანხმების მიღწევის ხელშემწყობი პრაქტიკა:

ა) ინფორმაციის გაცვლა;

ბ) ფასების ცვლილებების შესახებ სასიგნალო ინფორმაციის მიწოდება;

გ) ტვირთების გადაზიდვაზე გადასახადების გამოთანაბრება;

დ) საფასო პროტექციონიზმი, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი;

ე) საჭიროების გარეშე შემზღუდავი სასაქონლო სტანდარტები.

✓ სტრუქტურული ხასიათის ეკონომიკური მტკიცებულებები:

– კარტელის წარმატების მიღწევისათვის უნდა შესრულდეს სამი პირობა:

1. მოილაპარაკონ შეთანხმების პირობების შესახებ;
2. გამოავლინონ ტყუილი კარტელის მონაწილეთა მხრიდან;
3. სათანადოდ დაისაჯოს მატყუარები:

– ერთ ბაზარზე ამისი გაკეთება შედარებით ადვილია, მეტზე უფრო ძნელი.

✓ კონცენტრაციის მაღალი დონე;
✓ კონცენტრაციის დაბალი დონე ბაზრის მოპირდაპირე მხარეს;
✓ ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერები;
✓ ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალი დონე;

- ✓ ერთგვაროვანი საქონელი;
- ✓ ბაზარზე ხშირი რეგულარული ტრანსაქციები.

პარალელური ფასწარმოქმნა:

- ✓ საკმარისია თუ არა პარალელური ფასწარმოქმნისათვის შეთანხმების არსებობის დამტკიცება? არა. ქცევაში პარალელიზმი ყოველთვის არაერთმნიშვნელოვანია.
- ✓ კიდევ რა არის საჭირო?
  – ფაქტორები „პლიუს";
  – „მოქმედებები რომლებიც ეწინააღმდეგება საკუთარ ინტერესებს".
- ✓ ბაზარზე ქცევის ინტერპრირებაში შეიძლება დაგვეხმაროს ეკონომიკური მეცნიერება.

ეროვნული გამოცდილება:

- ✓ ირიბ მტკიცებულებათა გამოყენების გამოცდილება შეიძლება იცვლებოდეს ქვეყნის მიხედვით;
- ✓ თუ კარტელები აღიარებულია სისხლის სამართლებრივ დანაშაულად – არსებობს მტკიცებულებათა უფრო მკაცრი კრიტერიუმები;
- ✓ კარტელები ითვლება ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართალდარღვევად, მაგრამ სანქციები მათ მიმართ მკაცრდება – ევროკავშირის გამოცდილება;
- ✓ ქვეყნებში, სადაც დიდი ხანი არაა რაც დაიწყო ანტიკარტელური კანონმდებლობის გამოყენება: – გამოძიების ეფექტური ჩატარების ინსტრუმენტები არაა იმდენად განვითარებული.
- ✓ კარტელები „გამოირჩევიან გულუბრყვილობით".

დასკვნები:

- ✓ სასარგებლოა როგორც პირდაპირი ისე ირიბი მტკიცებულებები. უმრავლეს შემთხვევებში უპირატესობა ენიჭება პირდაპირ მტკიცებულებებს.

- ✓ ყველა მტკიცებულება განხილულ უნდა იქნეს ერთობლიობაში.

- ✓ საქმე, რომელიც აგებულია ირიბ მტკიცებულებებზე, იშვიათად აღწევს წარმატებას ურთიერთობის ფაქტის დამამტკიცებელი სამხილის გარეშე.

- ✓ ეკონომიკური მტკიცებულებები ატარებენ არაერთმნიშვნელოვან ხასიათს და მოითხოვენ გულდასმით ინტერპრეტაციებს.

I.7. სასამართლო დევნა კარტერლური შეთანხმებების წინააღმდეგ, შეთანხმების დადების პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში [54]

ზოგადი წესით, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობა არ განასხვავებს ერთმანეთისაგან პირდაპირ და ირიბ მტკიცებულობებს, ირიბი მტკიცებულებები არანაკლებ ღირებულია, ვიდრე პირდაპირი.

იმისათვის, რომ დამტკიცდეს დანაშაულებრივი გარიგება, სახელმწიფო უწყებისათვის არაა სავალდებულო, რომ მას წარედგინოს შეთანხმება ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ძალიან ხშირად, ასეთი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს. შესაძლოა, რომ მსგავსი შეთანხმება ან დანაშაულებრივი გარიგება არსებობდეს ფიზიკურ პირთა შორის სიტყვიერად.

1. სოთბის საუქციონო სახლის თავმჯდომარის წინააღმდეგ წარმატებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმე გვიჩვენებს, რომ არაკანონიერი შეთანხმებები შეიძლება გახსნილი იქნას, იმ პირობებშიც კი, როდესაც ძალიან მაღალი მოთხოვნებია წაყენებული მტკიცებულებათა ხარისხის მიმართ და არ არსებობს შეთანხმების დადების, ან მასში კომპანიის მონაწილეობის პირდაპირი მტკიცებულებები. ირიბი (არაპირდაპირი) მტკიცებულებები გამოიყენება უმეტეს იურისდიქციებში, იმ იურისდიქციების ჩათვლით, სადაც საკმაოდ გრძელია კარტელების წინააღმდეგ წარმატებით დასრულებული საქმეების სია, და სადაც კონკურენციის უწყებების თანამშრომლები წარმატებით იყენებენ მკაცრ სანქციებს ასეთ საქმეებში, რომლებიც პასუხისმგებლობის შემსუბუქების პროგრამის ამოქმედების შედეგად გაიხსნა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა მოვიპოვოთ პირდაპირი მტკიცებულებები და გამოვიყენოთ უფრო

მკაცრი სანქციები. ირიბი მტკიცებულებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნების კონკურენციული უწყებების თანამშრომლებისათვის, სადაც ჯერ კიდევ არ აქვთ წარმატებული საქმეების ამგვარი სია, ხოლო კარტელური შეთანხმებები უხილავია და პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვებაც არაა მოსალოდნელი.

2. წინამდებარე მასალა ეძღვნება ირიბი მტკიცებულებების გამოყენებას კარტელების საქმიანობების გამოძიებისას, რომლებიც, ჩვეულებრივ, ინიცირებულია საეჭვო პარალელური ქცევების ნიშნებით, მათ შორის - ფასების პოლიტიკის თვალსაზრისით, რაც არ შეიძლება დაბეჯითებით აიხსნას ჩვეულებრივი საბაზრო პირობებით. როდესაც კონკურენციაზე პასუხისმგებელი უწყებები ეჭვობენ, რომ ასეთი ქცევები არის შეთანხმების შედეგი, ამის პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება კი შეუძლებელია, მაშინ, რა რაოდენობის და როგორი ხარისხის ირიბი მტკიცებულებებია საჭირო?

3. ძირითადი მომენტები, რომლებიც ამ მასალის მკითხველმა უნდა გაიაზროს, ეხება შემდეგს:

• კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც კრძალავენ ანტიკონკურენციულ შეთანხმებებს, გამოიყენება არა მარტო აშკარა შეთანხმებების მიმართ, არამედ შეთანხმებების სხვა სახეობების მიმართაც, რომლებიც ხვდებიან 'თანხმობის", 'გაერთიანების" და "შეთანხმებული ქმედების" კონტექსტში. მაგრამ, ყველა ამ შემთხვევაში, კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის პასუხისმგებლობა შეიძლება დაკისრებული იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ აღმოჩნდება, რომ მხარეები მოქმედებენ 'შეგნებული ვალდებულებებით, საერთო სქემით".

• კარტელები დიდ პრობლემებს უქმნიან სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, რადგან ისინი მოქმედებენ ფარულად, და როგორც წესი, არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან. უფრო მეტად გამოცდილი იურისდიქციის

ქვეყნებში, კონკურენციაზე პასუხისმგებელი ორგანოები, უკანონო გარიგებათა საქმეების უმეტესობის გამოძიებისას იყენებენ პირდაპირ მტკიცებულებებს. თუმცაღა, ასეთი მტკიცებულებების მოპოვება შეიძლება რთული იყოს. ამ უწყებების თანამშრომლები შეიძლება წააწყდნენ კარტელური შეთთანხმების არსებობის დამტკიცების ამოცანას, იმ პირობებში, როდესაც მათ არ ექნებათ პირდაპირი მტკიცებულებების გამოყენების უპირატესობა.

• ირიბი მტკიცებულებები შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ფორმით, კონკურენტებს შორის ურთიერთობებისა და ეკონომიკური მტკიცებულებების ფორმების ჩათელით. ეკონომიკური მტკიცებულებები მოიცავენ კომპანიის ქცევას, ბაზრის სტრუქტურას და კარტელური პრაქტიკის ხელშეწყობის მტკიცებულებებს. საქმისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს მტკიცებულებების ყველა სახეობა, და ისინი ერთობლივად უნდა იქნენ გამოყენებული.

• ოლიგოპოლიის ეკონომიკური თეორია გვთავაზობს რამდენიმე ფასეულ წარმოდგენას კონკურენციული კანონმდებლობის სამართლებრივი გამოყენებისათვის: ისინი გვიჩვენებენ, რომ მოქმედებებმა, რომლებიც კომპანიის ცალმხრივ ინტერესებს პასუხობს, შეიძლება სხვა შედეგებამდე მიგვიყვანოს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიები კოლექტიურად მოქმედებენ, და რომ ოლიგოპოლიამ სულაც არაა აუცილებელი, რომ წარმოშვას თანამშრომლობა და კოლექტიური მოქმედებები ფასების ასაწევად. შედეგად, კანონით მოსარგებლეებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ყურადღებით უნდა გამოიკვლიონ, შეიძლება თუ არა, რომ კომპანიის მოქმედება შეფასდეს როგორც მოქმედება საკუთარი ინტერესებისათვის, ერთობლივ მოქმედებაზე თანხმობის გარეშე, თუ როგორც მოქმედება ყველა კონკურენტის კოლექტიური ინტერესების შესაბამისად. ქცევა, რომელიც შეესაბამება კომპანიის კერძო ინტერესებს, ყოველთვის არ წარმოადგენს კარგ მტკიცებულებას კარტელების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში, რომლებშიც ირიბი მტკიცებულებები გამოიყენება.

• ეკონომიკური თეორიის შესაბამისად კანონმდებლობის გამოყენების მაგალითების დიდმა რაოდენობამ გვიჩვენა, რომ მტკიცებულებები პარალელური ქცევისა, როგორიცაა მაგალითად ფასების ერთდროული მომატება კონკურენტების მიერ, არ წარმოადგენს კარტელური შეთანხმების არსებობის წარმატებულ მტკიცებულებას. უნდა არსებობდეს დამატებითი მტკიცებულებებიც, რომლებიც დაგვეხმარება უკანონო შეთანხმების არსებობის გამოვლენაში, როგორც ეს მოითხოვება მტკიცებულებითი ბაზის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად. ზოგჯერ ასეთ დამატებით მტკიცებულებებს სასამართლო 'დამატებით ფაქტორებს" უწოდებს.

• დამატებითი ფაქტორების მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს მტკიცებულება, რომელიც წარმოაჩენს ურთიერთობებს კარტელის ეჭვმიტანილ პირებს შორის, რომელი ურთიერთობების პროცესშიც მათ შეეძლოთ მიეღწიათ შეთანხმებისათვის. ირიბი მტკიცებულებების მეორე მნიშვნელოვან კლასს ქმნიან ეკონომიკური მტკიცებულებები. ისინი მოიცავენ როგორც კარტელის მონაწილეთა ქცევას ბაზარზე, რომელიც შესაძლოა შეთანხმებების შედეგი იყოს, ისე საბაზრო სტრუქტურას, რომელიც თავად წარმოშობს შეთანხმებაზე დაფუძნებულ მოქმედებებს. ეკონომიკური ქცევის მტკიცებულებათა ანალიზის ერთ-ერთი მეთოდია საკითხის განხილვა: ასეთი ქცევა კომპანიის ინტერესებში იყო თუ კომპანიათა შორის არსებობდა რაიმე შეთანხმება?

• ირიბი მტკიცებულებები განხილული უნდა იქნეს ერთობლივად. გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გამოიყენონ ყველა მტკიცებულების აკუმულირებული ეფექტი, და არა მოითხოვონ, რომ მტკიცებულების თითოეული ნაწილი პასუხობდეს შეთანხმების არსებობის ჰიპოთეზას.

• სხვადასხვა ქვეყნებში, მტკიცებულებები კარტელების საქმეებზე სხვადასხვაგვარად მოიპოვება. ამ განსხვავებებზე ზემოქმედებს რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის: იდევნებიან თუ არა კარტელები ადმინისტრაციული,

სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცედურებით? ამას გარდა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, თუ როდის დაიწყო ქვეყანამ კარტელების აკრძალვა. ეკონომიკური თანამრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში გარკვეული ტენდენცია არსებობს კარტელების საქმეების გამოძიების თვალსაზრისით და რომ ასეთი გამოძიება პირდაპირ მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ამავე დროს, ქვეყნები აგრძელებენ საქმეების აღძერას ძირითადად ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე, თუკი ეს შესაძლებელია.

• ხშირად, ქვეყნებს, რომლებმაც მხოლოდ ახლახანს დაიწყეს ანტიკარტელური პროგრამების გამოყენება, დიდი შრომა სჭირდებათ პირდაპირი მტკიცებულებების მოსაპოვებლად. ამიტომ, ისინი იძულებულნი არიან დაეყრდნონ ირიბ მტკიცებულებებს, პირველი საქმეების გამოძიებისას. იმის მიუხედავად, რომ ასეთი საქმეები შესაძლოა რთული გამოსაძიებელი იყოს, მნიშვნელოვანია ნდობის განმტკიცება კონკურენციის კანონმდებლობისა და ანტიკარტელური უწყებების მიმართ.

1. კარტელური შეთანხმებები

4. ნებისმიერი კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, კრძალავს ანტიკონკურენციულ ქცევას ერთობლივად მოქმედი ორი ან მეტი მხარის მიერ. კონკურენციის კანონმდებლობა ფართო გამოიყენება შეთანხმების ყველა სახის – ფორმალური, არაფორმალური, მკაფიოდ ან არამკაფიოდ ფორმულირებულის მიმართ. მაგალითად, აშშ-ში, შერმანის კანონი გამოიყენება 'ნებისმიერი კონტრაქტის, გაერთიანების . . . ან გარიგების მიმართ" (შერმანის კანონის 1-ლი პარაგრაფი); ევროპული ხელშეკრულების 81(1) მუხლი გამოიყენება „საწარმოებს შორის შეთანხმებების, საწარმოთა გაერთიანებების ან ერთობლივად მოქმედების შესახებ გადაწყვეტილებების მიმართ"; მექსიკის

კანონი კონკურენციის შესახებ გამოიყენება „კონტრაქტების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების, კავშირების შეკვრის მიმართ“; ჩინური კანონი გამოიყენება „შეთანხმებული მოქმედებების“ მიმართ, რომლებიც განიმარტება როგორც ნებისმიერი „კონტრაქტი, შეთანხმება ან ურთიერთგაგების რაიმე სხვა ფორმა“; ტანზანიის კანონი გამოიყენება „ნებისმიერი შეთანხმების, დათქმის, ან ურთიერთგაგების მიმართ ორ ან მეტ პირს შორის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ა) ფორმალური ან არაფორმალური; ან ბ) განზრახულია თუ არა მისი რეალიზაცია კანონიერი პროცედურით”.

5. როგორც ძირითადი ცნებებიდან გამომდინარეობს, უკანონო შეთანხმებებს კონკურენტებს შორის, შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. ბიზნეს-გარემოსათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია მკაფიოდ ფორმულირებული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც მხარეები ერთმანეთთან ურთიერთობენ ღიად, როგორც სიტყვიერი ისე წერილობითი ფორმით, განამტკიცებენ კონკრეტულ პირობებს. მაგრამ, შეთანხმებები შეიძლება იყოს არაფორმალურიც. ისინი, ჩვეულებრივ იდება არაფორმალური კავშირის მეშვეობით, მათ შორის – საუბრებით ასოციაციების შეხვედრებზე, ხელმძღვანელი თანამდებობრივი პირების საჯარო გამოსვლებით, ფასების გამოცხადებით ან სარეკლამო კამპანიებით, ან ურთიერთობებით მომხმარებლებთან. აშშ-ის ერთ-ერთმა სასამართლომ გააკეთა ცნობილი განცხადება, რომ „მისახვედრი თვალის ჩაკვრა შეიძლება უფრო მეტის მანიშნებელი იყოს, ვიდრე სიტყვები“.

6. მნიშნელოვანია, რომ კონკურენციის შესახებ კანონმდებლობა ყველა შემთხვევაში ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას უკანონო შეთანხმებებში მონაწილეობისათვის, თუ კომპანიები ერთობლივად ჩაიდენენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, და არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქმედება ჩადენილია ფორმალური თუ არაფორმალური

ურთიერთობების გზით. კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დასამტკიცებლად, ნაჩვენები უნდა იყოს, რომ ადგილი ჰქონდა „შეხედულებათა ერთიანობას“ საერთო მიზნის ან შედეგის მისაღწევად, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადგილი ჰქონდა ერთგვარ „შეგნებულ ვალდებულებას საერთო სქემის მიხედვით“. და პირიქით, ბრალი არ შეიძლება დადგენილი იქნეს, თუ კომპანიები ერთმანეთთან ურთიერთობენ ჩვეულებრივი ფორმით, ბაზარზე, ან როცა მათი ურთიერთობა არ წარმოშობს „შეგნებულ ვალდებულებას საერთო სქემის მიხედვით“.

7. კარტელური შეთანხმების (როგორც ფორმალურის ისე არაფორმალურის), არსებობის დადგენა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს კონკურენციის ოტგანოების თანამშრომლებისათვის. ჩვეულებრივ, კარტელები იქმნებიან და მოქმედებენ ფარულად, მათ მონაწილეებს ესმით, რომ მათი მოქმედებები უკანონოა, და რომ მომხმარებლები პროტესტს გამოხატავენ ასეთი ქმედებების მიმართ, თუკი ამის შესახებ შეიტყობენ. ამიტომ, ისინი ცდილობენ ფარულად იმოქმედონ. კარტელის მონაწილეები, როგორც წესი, არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან, და ამას აკეთებენ მხოლოდ ბრალის შემსუბუქების პროგრამის გამოყენების ფარგლებში. კარტელის არსებობის შესახებ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება, ანუ ისეთი მტკიცებულებებისა, რომლებიც დაადასტურებენ შეხვედრის მოწყობას ან ურთიერთობებს კომპანიებს შორის და აღწერენ მიღწეული შეთანხმების არსს, საჭიროებენ სპეციალური ინსტრუმენტებისა და ტექნიკის გამოყენებას, რომლებიც შესაძლოა არ გააჩნდეს უწყებას. ამიტომ, კონკურენციის ორგანოების თანამშრომლები შესაძლოა აღმოჩნდნენ ამოცანის წინშე, რომ დაამტკიცონ კარტელის არსებობა პირდაპირი სამხილების გარეშე.

2. კარტელური შეთანხმების გასახნელად გამოსადეგი მტკიცებულებები

2.1. მტკიცებულებების კატეგორიები

8. მტკიცებულებები, რომლებიც კარტელების გამოსავლენად გამოიყენება, შეიძლება კლასიფიცირებული იქნას ორ სახედ: პირდაპირი და ირიბი. ირიბი მტკიცებულებები, თავის მხრივ, შედგება 'ურთიერთობების" და ეკონომიკური მტკიცებულებებისაგან, რომლებიც მოიცავენ კომპანიის ქცევას, ბაზრის სტრუქტურას და ხელშემწყობი პრაქტიკის მტკიცებულებებს.

9. პირდაპირი მტკიცებულებების ზოგადი სახეები მოიცავს:

• დოკუმენტს ან დოკუმენტებს (მათ შორის მიმოწერას ელექტრონული ფოსტით), რომლებშიც გადმოცემულია შეთანხმების ძირითადი მომენტები ან მათი ნაწილი, მონაწილე მხარეების ჩათვლით.

• კარტელის იმ მონაწილეთა ზეპირ ან წერილობით ჩვენებებს, რომლებიც თანამშრომლობენ გამოძიებასთან და აღწერენ კარტელის საქმიანობას და თავიანთ მონაწილეობას მასში.

10. არსებობს ირიბი მტკიცებულებების სხვადასხვა სახეები. ერთ-ერთი მათგანია კარტელის მონაწილეთა შეხვედრის ან მათი ნებისმიერი ფორმის ურთიერთობების ფაქტი. ასეთი სამხილები არ აღწერენ ურთიერთობების შინარსს. ამ მტკიცებულებებს შეიძლება წინამდებარე მასალისათვის ვუწოდოთ „ურთიერთობების" მტკიცებულებები. ისინი მოიცავენ შემდეგს:

• კონკურენტებს შორის სატელეფონო საუბრის ფაქტი (მაგრამ არა შინარსი), მათი ერთი მიმართულებით მგზავრობის, ან კარტელის მონაწილეთა შეხვედრის ფაქტი, მაგალითად – კონფერენციის დროს;

• სხვა მტკიცებულებები, როგორიცაა მხარეთა ურთიერთობა კონკრეტულ საგანთან დაკავშირებით, მაგალითად, იმ შეხვედრის ოქმი ან ჩანაწერი, სადაც განიხილებოდა ფასები, მოთხოვნა, ან სიმძლავრეების გამოყენება; შიდა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ კონკურენტების ფასების სტრატეგიის ცოდნას ან გაგებას, მაგალითად, დარწმუნებით ცოდნას, რომ კონკურენტები აწევენ ფასებს.

11. ირიბი მტკიებულებების უფრო ფართო კატეგორიას წარმოადგენს 'ეკონომიკური" მტკიცებულებები. ეკონომიკური მტკიცებულებები, პირველ რიგში, განსაზღვრავენ კომპანიის ქცევას, რაშიც იგულისხმება, რომ შეთანხმება დაიდო, და ასევე განსაზღვრავს მთლიანი დარგისა და ბაზრის სტრუქტურის ელემენტების ქცევას, რაც თავის მხრივ ადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა ფასების ფარულ დაფიქსირებას და კონკრეტულ პრაქტიკას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს კარტელური შეთანხმების დასაცავად.

12. ქცევითი მტკიცებულებები წარმოადგენს ეკონომიკური მტკიცებულებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკრეტული, ეჭვის გამომწვევი ქცევა ხშირად ქმნის საფუძველს, რომ დაიწყოს გამოძიება შესაძლო კარტელური შეთანხმების გამოსავლენად. ამასთანავე, როგორც ეკონომიკისადმი მიძღვნილ თავში იყო ხაზგასმული, მხარეთა ქცევის გულდასმითი ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ქცევის გამოვლენისათვის, რომელიც შეიძლება კლასიფიცირებული იქნას როგორც კომპანიის საკუთარი ინტერესების საპირისპირო და ამიტომ, იგი სავარაუდოდ მიუთითებს კარტელური შეთანხმების არსებობაზე. ქცევითი მტკიცებულებები, პირველ რიგში მოიცავს:

• ფასის პარალელურ ცვლილებას, ანუ, კონკუ-რენტები ფასებს ცვლიან ერთი და იგივე სიდიდით, ან დაახლოებით ერთი და იმავე სიდიდით, ერთდროულად, ან დაახლოებით

ერთსა და იმავე დროს. ფასების პარალელური ცვლილებები მოიცავს ასევე პარალელური ქცევების სხვა ფორმებსაც, როგორიცაა მაგალითად სიმძლავრეების შემცირება, ფასების განსაზღვრის სტანდარტიზებული პირობების გამოყენება და საეჭვო ქცევები ვაჭრობაში, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვაჭრობაში გამარჯვებულების განჭვრეტადი როტაცია.

13. დარგის საქმიანობის შედეგები შეიძლება აღვწეროთ როგორც ქცევითი მტკიცებულებები. ისინი მოიცავენ შემდეგს:

- არანორმალურად მაღალი მოგება[1];
- სტაბილური წილი ბაზარზე;
- კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევების ისტორია.

14. მტკიცებულებები, რომლებიც საბაზრო სტრუქტურას განეკუთვნება, შეიძლება გამოყენებული იქნეს პირველ რიგში იმისათვის, რომ უფრო საიმედო გახდეს კარტელური შეთანხმების გამოვლენა, თუმცაღა, საბაზრო სტრუქტურების ფაქტორები არ ადასტურებენ ასეთი შეთანხმების არსებობას. შესაბამისი ეკონომიკური მტკიცებულებები, რომლებიც საბაზრო სტრუქტურას განეკუთვნება, მოიცავენ შემდეგს:

- მაღალ კონცენტრაციას;
- დაბალ კონცენტრაციას ბაზრის მეორე მხარეს;
- ბაზარზე შეღწევის მაღალ ბარიერებს;
- ვერტიკალური ინტეგრაციის მაღალ დონეს;
- სტანდარტულ ან ერთგვაროვან პროდუქტს.

15. სტრუქტურული მტკიცებულებების მტკიცებულებითი ღირებულება შეიძლება შეიზღუდოს. დარგი შეიძლება იყოს მაღალკონცენტრირებული, აწარმოოს ერთგვაროვანი საქონელი, რომელშიც ყველა მონაწილე ერთმანეთის კონკურენტი იქნება. მეორეს მხრივ, ასეთი მტკიცებულებების არარსებობა არ შეიძლება გამოყენებული

იქნას იმისათვის, რომ ვაჩვენოთ, თითქოს კარტელი არ არსებობს. როგორც ცნობილია, კარტელები არსებობენ იმ დარგებშიც, სადაც მოქმედებს კონკურენტების დიდი რაოდენობა და იწარმოება არაერთგვაროვანი საქონელი.

16. ეკონომიკური ქცევის მტკიცებულებების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს „შემამსუბუქებელი პრაქტიკა“ - ანუ პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს შეთანხმების დადებას კონკურენტებს შორის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქცევა, რომელიც აღიწერება როგორც შემამსუბუქებელი პრაქტიკა, ყოველთვის არაა უკანონო. მაგრამ, თუ კონკურენციაზე პასუხისმგებელი ორგანო სხვა ირიბ მტკიცებულებებსაც მოიპოვებს კარტელური შეთანხმების არსებობის დასადასტურებლად, მაშინ შემამსუბუქებელი პრაქტიკა შესაძლოა მნიშვნელოვან კომპონენტად იქცეს. ასეთ პრაქტიკას შეუძლია ახსნას, თუ რა მოიმოქმედეს მხარეებმა კარტელური შეთახმების დადების გაადვილების მიზნით, მონიტორინგის განსახორციელებლად, მოღალატეების გამოსავლენად, და/ან საჯარიმო სისტემის შემოღების მიზნით, და რომელშიც აისახება ორგანოს მიერ გამოსაძიებელი „საიდუმლო ისტორია“. შემამსუბუქებელი პრაქტიკა მოიცავს შემდეგს:

- ინფორმაციის გაცვლას[2];
- ინფორმირებას ფასების შესახებ[3];
- გადაზიდვების ხარჯების გაწევის შეღავათიან პირობებს[4];
- ფასების დაცვას და უპირატესი ხელშეწყობის პოლიტიკას[5];
- შემზღუდავ სტანდარტებს პროდუქციაზე, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს[6].

2.2. მოკლე მაგალითი

17. მოკლედ განვიხილოთ იტალიის საქმე. იგი შესანიშნავად გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლო კონკურნციის ორგანომ მტკიცებულებათა რამდენიმე

ტიპის კომბინირება საიდუმლო შეთანხმების დამაჯერებელ ისტორიაში.

2.2.1.იტალია – საბავშვო რძე

18. 2005 წლის ოქტომბერში, იტალიის კონკურენციის ორგანომ გამოაცხადა, რომ მან დააჯარიმა ბავშვების რძის შვიდი გამყიდველი, რომლებიც შედიოდნენ სამი იურიდიული პირის შემადგენლობაში. ჯარიმის მთლიანმა თანხამ შეადგინა 9,743,000.00 ევრო კარტელური საქმიანობისათვის, რითაც მათ დაარღვიეს ევროპული ხელშეკრულების 81-ე მუხლი. იტალიის მთავრობამ აღნიშნა, რომ 2000-დან 2004 წლამდე პერიოდში ეს კომპანიები პარალელურად ცვლიდნენ ფასებს თავიანთ პროდუქციაზე, და ეს ფასები იტალიაში, მნიშვნელოვნად – 150%-დან 300%-მდე უფრო მაღალი იყო საშუალო ევროპულ ფასებზე. კონკურენციის ორგანომ აღმოაჩინა მტკიცებულებები – როგორც ღია, ისე ფარული კონტაქტების არსებობისა ამ კომპანიებს შორის, რაც ქმნიდა შეთანხმებელი მოქმედებების ვარაუდის საფუძველს. ღია კონტაქტები მოიცავდა მონაწილეობას სპეციალურ შეხვედრებში მეწარმეთა ასოციაციის შტაბ-ბინაში, რომლებიც ტარდებოდა ჯანდაცვის მინისტრის მოწოდებების შემდეგ, რომ შეემცირებინათ ფასები. მტკიცებულებები მიუთითებდნენ მასზედ, რომ მეწარმეებს შორის ტარდებოდა ღია დისკუსიები მინისტრის მოთხოვნის პასუხად, და ისინი შეთანხმდნენ, რომ არ შეემცირებინათ ფასები 10%-ზე უფრო მეტად.

19. ფარულ კონტაქტებს ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც მოპასუხეები ადგენდნენ რეკომენდირებულ საცალო ფასებს აფთიაქებისათვის, რომლებიც იყვნენ მათი პროდუქციით საცალო ვაჭრობის ძირითადი პუნქტები. ბაზრის განსაკუთრებულმა მახასიათებლებმა საშუალება მისცა გამყიდველებს, რომ გაეთვალათ

კონკურენტების საბითუმო ფასები რეკომენდებული საცალო ფასების მეშვეობით.

20. კონკურენციის ორგანომ აღნიშნა, რომ 2004 წელს ამ საქმეზე გამოძიების დაწყების მომენტიდან, ბავშვთა რძეზე ფასებმა დაიკლო 25%-ით, და აღინიშნებოდა ბაზრის კონკურენციული განვითარების სხვა მაგალითებიც, მათ შორის – დიდი რაოდენობის რეკლამები და ინფორმაცია მომხმარებლებისათვის, ახალი პროდუქციის პრეზენტაციები და პროდუქტების დიდი არჩევანი სუპერმარკეტებში.

21. კონკურენციის ორგანოს მიერ აღმოჩენილი მტკიცებულებების ძირითადი სახეების სიაში შევიდა:

• პირდაპირი მტკიცებულებები: აშკარა იყო, რომ მეწარმეები ერთმანეთთან ათანხმებდნენ ფასების მაქსიმალურ შემცირებას;

• ურთიერთობის მტკიცებულებები: მწარმოებლები ხვდებოდნენ ერთმანეთს სავაჭრო ასოციაციის შეხვედრებზე და განიხილავდნენ ფასებს, თუმცა, გარდა ფასების შემცირების მაქსიმალური ზომისა, სხვა პირდაპირი მტკიცებულებები, რომ მათ მიაღწიეს შეთანხმებას, არ ყოფილა;

• ქცევითი მტკიცებულებები: ფასების პარალელური ცვლილებები; ფასების მკვეთრმა შემცირებამ და კონკურენციის გაძლიერებამ, რაც გამოძიების დაწყებას მოჰყვა, გვიჩვენა, რომ მაღალი ფასები, რომლებიც ადრე არსებობდა, არ იყო კონკურენციული ქცევის შედეგი;

• დარგის მდგომარეობა: საზღვარგარეთ, ფასები მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო ვიდრე იტალიაში;

• ბაზრის სტრუქტურის მტკიცებულებები: დარგი მაღალკონცენტრირებული იყო სამი დამოუკიდებელი მიმწოდებლით, რომლებიც დაახლოებით ერთსა და იმავე პროდუქციას ჰყიდდნენ;

• შემამსუბუქებელი პრაქტიკა: აფთიაქებისათვის რეკომენდებული საცალო ფასები ხასიათდებოდა

მნიშვნელოვანი საფასო საჯაროობით, გაყიდვები სრულდებოდა ძირითადად აფთიაქებიდან და არა მაგალითად სასურსათო მაღაზიებიდან, სადაც უფრო ხშირადაა მიღებული საქონელზე ფასდაკლების პრაქტიკა.

2.2.2. რამდენიმე ზოგადი კომენტარი მტკიცებულებებთან დაკავშირებით

22. მტკიცებულებათა ამ კატეგორიის მიმართ არსებობს რამდენიმე ზოგადი დებულება. ***პირველი*** - არაა აუცილებელი, რომ გავავლოთ ზღვარი პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა განიხილება ურთიერთობის მტკიცებულებების სხვადასხვა ფორმები. ***მეორე*** - კონკურენციის ორგანოს თანამშრომლებისათვის სასარგებლოა მტკიცებულებების ყველა ტიპი, როგორ პირდაპირი ისე ირიბი. ისინი ხშირ შემთხვევებში გამოიყენება ერთობლივად. და ***მესამე*** - ესაა ხარისხის საკითხი: პირდაპირი მტკიცებულება მოწმის ჩვენების ფორმით, რომელიც მიღებულია ერთ-ერთი, არც თუ დიდი ნდობის მქონე მოწმისაგან, ნაკლებად საიმედოა, ვიდრე ძლიერი, ერთად აღებული ირიბი მტკიცებულებები.

23. არსებობს ქცევებისა და სხვა ფაქტორების სხვადასხვა სახეების ფართო წრე, რომლებსაც კანონდამცველები და სასამართლოები ირიბ სამხილად მიიჩნევენ კარტელების წინააღმდეგ წარმოებულ საქმეებში. როგორც წესი, აქ გადაწყვეტილებები მიიღება იმ მტკიცებულებათა კრიტიკული მასით, რომლებიც აუცილებელია საქმის წარმატებით გადაჭრისათვის. ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს კონკურენციის ორგანოს ამოცანას, მისაღები გადაწყვეტილება კი ნაკლებად განჭვრეტადია და უშუალოდაა დამოკიდებული კონკრეტული საქმის სპეციფიკაზე. მაგრამ, საქმეების გულდასმითი ანალიზი და ეკონომიკური თეორია გვიჩვენებს, რომ ირიბი

მტკიცებულებების ორი სახე უფრო მნიშვნელოვანია. პირველ რიგში – ურთიერთობდნენ თუ არა მხარეები, ან, სულ მცირე, ჰქონდათ თუ არა ურთიერთობების შესაძლებლობა; და ასევე, კომპანიის ქცევის ანალიზი, ანუ, იცავდა თუ არა იგი საკუთარ ინტერესებს და შეთანხმების არარსებობის პირობებშიც კი მოქმედებდა თუ არა კოლექტიურად.

24. ირიბი მტკიცებულებები, ჩვეულებრივ, ორაზროვანია და ხშირად განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა. მაგალითად, კონკრეტული პარალელური ქცევა შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედებებისაგან შედგებოდეს; მხარეთა შეხვედრა და ურთიერთობები კრებებზე შეიძლება მათ სპეციალურ მიზნებს ემსახურებოდეს. კონკურენციის ორგანოს მთავარი ამოცანა, როდესაც ამ ორგანოს მხოლოდ ირიბი სამხილები აქვს, არის გულდასმითი გამოკვლევა იმისა, არის თუ არა კომპანიის ქცევა ბაზრის მონაწილეების დამოუკიდებელი მოქმედებების ჩვეულებრივი შედეგი, როდესაც თითოეული საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. თუ კონკურენციის ორგანო მიდის გადაწყვეტილებამდე, რომ ეს ასე არაა, მაშინ იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მტკიცებულებები მიუთითებენ არაკანონიერი შეთანხმების არსებობაზე მტკიცებულებითი სტანდარტების შესაბამისად.

3. ეკონომიკური არგუმენტები შეიძლება მყარი ირიბი სამხილების განსაზღვრაში დაგვეხმაროს

25. ეკონომიკური მტკიცებულებების გამოყენება კარტელური შეთანხმების ირიბად არსებობის დასამტკიცებლად, ფუნდამენტურ პრობლემას წარმოშობს: როგორ განვასხვავოთ ქცევა, რომელიც, დიდი ალბათობით წარმოადგენს უკანონო შეთანხმების შედეგს, ქცევისაგან, რომელიც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შედეგი

გახდა კონცენტრირებულ დარგში? ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ეკონომიკური ასპექტების ცოდნა. ამ პარაგრაფის ეს ნაწილი მოკლედ აღწერს, თუ რა გზით შეუძლია ეკონომიკურ თეორიას დაგვეხმაროს იმ კომპანიების ქცევების უკეთ გაგებაში, რომლებიც მოქმედებენ ისე, როგორც კარტელის შექმნის პირობებში იმოქმედებდნენ. ამ ნაწილში უპირველეს ყოვლისა მოყვანილია ეკონომიკური თეორიები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ კომპანიების ქცევის აღწერისას. ქვემოთ განხილულია, თუ როგორ შეუძლია ამ თეორიებს, რომ დაგვეხმაროს 'კარგი" ეკონომიკური მტკიცებულებების განსაზღვრაში, რომლებიც უკანონო შეთანხმებებს გამოაელენენ. და ბოლოს, ეს ნაწილი შეიცავს ზოგიერთ ვარაუდს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკური მტკიცებულებები იმ კარტელების წინააღმდეგ წარმართულ საქმეებში, რომლებიც ირიბ მტკიცებულებებზეა აგებული.

26. ზოგადად, შეიძლება ერთმანეთისაგან გამოვყოთ ეკონომიკური მოდელების სამი ფართო კატეგორია, რომლებიც კომპანიების ქცევებს აღწერენ. ***ჯერ ერთი,*** კომპანიებს შეუძლით დამოუკიდებლად მისდიონ საკუთარ ინტერესებს, კონკურენტების მოქმედებების პასუხად. ამ მოდელით, საბაზრო წონასწორობა განისაზღვრება როგორც სიტუაცია, როდესაც თითოეული კომპანია საკუთარ ინტერესებს იცავს კონკურენტების მოქმედებების პასუხად. წონასწორობის ამ ტიპს, ჩვეულებრივ, ნეშის (Nesh) წონასწორობას უწოდებენ. ორი ელემენტარული მოდელი, რომლებიც ამ კონცეფციას იყენებენ გაწონასწორებული საბაზრო ფასებისა და წარმოების განსაზღვრისათვის, დიდი ხნის წინ იყო აღწერილი. რეალურად კი, ამ ძველი მოდელების მსგავსად, ნეშის კონცეფცია თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაშიც ფართოდ გამოიყენება კომპანიათა ქცევის მოდელირებისათვის სხვადასხვა სახის ბაზრებზე.

27. მეორე მოდელი წარმოგვიდგენს არგუმენტებს, რომ კომპანიებმა შეიძლება დროდან დრომდე

გააცნობიერონ, რომ მათ ინტერესებს ერთობლივი მოქმედებები პასუხობენ. ამ სახის თეორიები მიგვითითებენ, რომ კომპანიების კონკრეტული ქმედებები – ეს არის სურვილი, რომ მათ მიიღონ სარგებელი თავიანთი მოქმედებების გაწონასწორებით კონკურენტების მოქმედებების საპასუხოდ. ამ შემთხვევაში, კომპანიის მოქმედებები ერთგვარად „კოორდინირებული" ხდება, რადგან ეს მოქმედებები არასოდეს განხორციელდებოდა სხვა კომპანიების მხრიდან ზეგავლენის გარეშე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ მოდელში, რომელიც გამაწონასწორებელ მოქმედებებს განიხილავს, კომპანიები არ დებენ უკანონო შეთანხმებებს ერთმანეთთან, და საბაზრო სიტუაციის ინტერპრეტაციის მეშვეობით აცნობიერებენ, თუ რა შეესაბამება მათ საერთო ინტერესებს.

28. კომპანიების ქცევის ***მესამე მოდელი*** გულისხმობს კარტელებს. ამ ტიპის ძირითადი ნიშანია კომპანიების მიერ უკანონო შეთანხმებების დადება. ძირითადი განსხვავება კარტელურ ქცევასა და გამაწონასწორებელ ქცევას შორის, არის კომპანიათა უშუალო ურთიერთობები, როგორც თამბაქოს მოსაწევ ოთახებში, ისე ერთმანეთისათვის საკუთარი ფასების გაცნობით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აშშ-ის ფედერალური კავშირგაბმულობის კომისიის მიერ გამოცხადებულ სიხშირეთა განაწილების სააუქციონო ვაჭრობის საქმეში.

29. უნდა აღინიშნოს, რომ კარტელების საქმეებში, თავიდანვე დაყრდნობა ირიბ სამხილებზე და მტკიცება, რომ მხარეებმა მიღწიეს უკანონო შეთანხმებას, არ არის პრობლემის მარტივი გადაწყვეტა. ამიტომ, კონკურენციის ორგანო, საქმის განხილვისას უნდა შეეცადოს, რომ ერთმანეთისაგან განაცალკევოს კომპანიის გამაწონასწორებელი მოქმედებები და ცალმხრივი ქცევა ისეთი ქცევისაგან, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიებმა დადეს კარტელური შეთანხმება. მთავარი კითხვაა, თუ რომელი

ირიბი სამხილები მიუთითებენ კომპანიის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე.

30. იმისთვის, რომ განისაზღვროს, თუ რომელი ეკონომიკური მტკიცებულებია უფრო მაღალი ხარისხისა და ამდენად – სასარგებლო საჭირო ეკონომიკური თეორიის გამოსაყენებლად, კონკურენციის ორგანომ, გამოძიების წარმოებისას კარგად უნდა იცოდეს შესაბამისი მოდელი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს კომპანიის ცალმხრივ ინიციატივებს საბაზრო კონკურენციის მიზნით. საქმის გამოძიებისას, კონკურენციის ორგანომ პირველ ყოვლისა უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან მოქმედებები, რომლებიც შეიძლება დავახასიათოთ როგორც ცალმხრივი, რომლებიც არაა მიმართული თანამშრომლობისაკენ და პასუხობენ თითონ კომპანიის ინტერესებს. მხოლოდდამხოლოდ ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს მოქმედებები, რომლებიც არ ხვდებიან ასეთი ქცევების რიგში და ამყარებენ ჰიპოთეზას, რომ უკანონო კარტელი იყო შექმნილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცალმხრივი, თანამშრომლობაზე არგამიზნული მოქმედებები, რომლებიც მხოლოდ კომპანიის ინტერესებს პასუხობს, შეიძლება განვიხილოთ როგორც ბაზა, რომლითაც შეიძლება შედარდეს კომპანიის ქცევები საეჭვო პერიოდებში.

31. მომდევნო ორი მაგალითი ამ პოზიციის ილუსტრაციას ახდენს. დომინირებული კომპანიის ფასების მიხედვით ლიდერობის მოდელი იმაზე მიუთითებს, რომ როდესაც დომინირებული კომპანიის ფასები იზრდება, ოპტიმალური ფასები ამ ზრდის მიხედვით იცვლება, და ბაზარზე მოქმედი სხვა კომპანიებიც ზრდიან ფასებს. სინამდვილეში, ყველა ასეთი კომპანიის ფასები სინქრონულად იცვლება. მოცემულ მოდელში გამაწონასწორებელი მოქმედებები არ არის, კარტელებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პირიქით, თითოეული კომპანია მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს. ეს ყველაზე ელემენტარული

მოდელია, რომელიც, როგორც მინიმუმ, ასრულებს გამაფრთხილებელ ფუნქციას, რომ ფასების ერთდროული ან თითქმის ერთდროული ცვლილება შეიძლება განხილულ იქნას ქცევის სხვა მოდელის მეშვეობით, და არა მხოლოდ კარტელური ქცევით. როგორც ადრე აღვნიშნეთ, კონკურენციის ორგანომ საქმის შესწავლისას უნდა შეამოწმოს, ხედება თუ არა კომპანიის ქცევა ცალმხრივი ინიციატივების ფარგლებში, რომლებიც არაა მიმართული თანამშრომლობისაკენ და მხოლოდ კომპანიის საკუთარ ინტერესებს პასუხობს. მაგალითში როცა განიხილება კომპანიის მოძრაობის მოდელი ფასებით დომინირებული ლიდერისაკენ, კომპანიის ქცევა გამოძიების პროცესში შეიძლება ჩაითვალოს კანონიერ ცალმხრივ ქცევად. ამავე დროს, კონკურენციის ორგანომ უნდა შეაფასოს, რამდენად სრულად აღწერს მოცემული მოდელი დარგში არსებულ მდგომარეობას. შესაბამისი კითხვები უნდა მოიცავდეს, მაგალითად: საკმარისად კარგად ხსნის თუ არა მოცემული მოდელი ფასების ფორმირებას დარგის სტუქტურის გათვალისწინებით, ფასების განსაზღვრას და ბაზრის სხვა მახასიათებლებს წარსულში (ანუ იმ პერიოდში, როდესაც არ არსებობდა ეჭვი კარტელური შეთანხმების შესახებ).

32. აღნიშნულის მსგავსად ***კურნოს (Cournot) მოდელი*** დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მტკიცებულებებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ ფასები მაღალია იმ ბაზარზე, სადაც მოქმედებს მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე, ვიდრე იმ ბაზარზე, სადაც ბევრი დამოუკიდებელი და საკუთარი ინტერესების დაცვით მოქმედი კომპანიები არიან წარმოდგენილნი. მდგომარეობა, როდესაც ადგილი აქვს მაღალ ფასებს ბაზარზე კომპანიების შეზღუდული რაოდენობის პირობებში, თანხვედრაშია ცალმხრივი მოქმედების თეორიებთან, გამაწონასწორებელ ქცევებთან და კარტელის საქმიანობასთან. ეკონომიკური მტკიცებულებების მოცემული სახეები ვერ დაგვეხმარება შეთანხმების გამოვლენაში. უფრო მეტიც, მათ არ ექნებათ დიდი

მნიშვნელობა იმ საქმეებში, რომლებიც ირიბ სამხილებზეა აგებული.

33. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, რომ თითოეულ საქმეში გულდასმით განისაზღვროს, თუ რომელი მოქმედებები შეესაბამება კომპანიის ცალმხრივ ქცევებს, ანუ უფრო ფართო გაგებით, „დამოუკიდებელმა ფასწარმოქმნამ შეიძლება ხშირად წარმოშვას ეკონომიკური შედეგები, რომლებიც შეიძლება შედარდეს კარტელისათვის დამახასიათებელ ქცევებთან", ეს კი ვერ დაგვეხმარება ირიბი სამხილების ანალიზში.

34. „დაკავებულის დილემა" წარმოადგენს კარგ მაგალითს, თუ როგორ მივყავართ ცალმრივ ინიციატივებს სხვა, და არა იმ შედეგებამდე, რომლებიც გვექნებოდა კომპანიების ერთობლივად მოქმედების შემთხვევაში[7]. „დაკავებულის დილემის" ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ცალმხრივმა ინიციატივებმა შეიძლება ხელი აგვაღებინოს ფასების ზრდაზე და დიდი შემოსავლის მიღებაზე და ფასების შემცირების გზით წაგვიყვანოს, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული კომპანია ელის, რომ კონკურენტი ფასებს შეამცირებს. და პირიქით, ერთ-ერთი კონკურენტის მიერ ფასების მომატება შეიძლება ყველა კონკურენტის საერთო ინტერესებში შედიოდეს, მაგრამ არაა აუცილებელი, რომ ცალმრივ ინტერესს შეესაბამებოდეს. ამიტომ, ირიბი მტკიცებულებების ანალიზისას არ უნდა გავაერთიანოთ საკუთარი, ცალმხრივი ინტერესისა და ყველა კონკურენტის საერთო ინტერესების ორი სხვადასხვა კონცეფცია.

35. გამოიყენა რა ***თამაშის თეორია*** იმ თვალსაზრისით, რომ არ შეიძლება თანამშრომლობა სპონტანურად მოხდეს, ***დ. სტიგლერმა*** (George J. Stigler) თავის ნაშრომში ოლიგოპოლიის შესახებ, აღნიშნა, რომ კარტელის წევრებს შეიძლება გაუჩნდეთ შეთანხმების დარღვევის სურვილი, თუკი მათ სჯერათ, რომ მოტყუებით უფრო მეტ მოგებას

ნახავენ, ვიდრე კარტელური შეთანხმების დაცვით. სტიგლერმა განსაზღვრა სამი ძირითადი „პრობლემა“, რომელთა გადალახვაც კარტელს მოუწევს. ***ჯერ ერთი,*** კარტელის წევრებმა უნდა მიღწიონ კონსენსუსს შეთანხმების პირობების განხილვისას. ამ ამოცანის გადაჭრა მეტად რთულია ურთიერთობების გარეშე. როგორც თამაშის თეორია ამბობს, ბაზრის მოთამაშეებისათვის შეიძლება არსებობდეს საკითხის ძალიან ბევრი შესაძლო გადაწყვეტა. ***მეორე,*** კარტელს ესაჭიროება მექანიზმი, რათა თვალი ადევნოს მისი თითოეული მონაწილის მოქმედებებს, და დარწმუნებული იყოს, რომ ისინი იცავენ დადგენილ წესებს. ***მესამე,*** საჭიროა საჯარიმო სანქციების მექანიზმის შექმნა მათთვის, ვინც ცრუობს, რათა კარტელის სხვა წევრებს გაუქრეთ ღალატის სურვილი. ისევე, როგორც „დაკავებულის დილემა“, სტიგლერის ოლიგოპოლიის მოდელიც მიუთითებს, რომ ოლიგოპოლიას ყოველთვის არ მივყავართ თანამრომლობასა და კოლექტიურ მოქმედებამდე ფასების გაზრდის მიზნით[8].

36. სასამართლო ყოველთვის ზუსტად არ ყოფს ერთმანეთისაგან საკუთარი ცალმხრივი ინტერესებით განპირობებულ მოქმედებებს და ყველა კონკურენტის კოლექტიური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებებს, და არ აცნობიერებს, რომ ფასების გაზრდა ყოველთვის არ წარმოადგენს ოლიგოპოლიის აუცილებელ შედეგს ფარული შეთანხმების არარსებობის პირობებში. კარგ მაგალითად, როდესაც დიდი ალბათობით, სასამართლომ შეცდომა დაუშვა ამ ნაწილში, შეიძლება მოვიყვანოთ საქმე „Reserve Supply“[9]. ამავე კერძო საქმეში, მოსარჩელემ წარმოადგინა პარალელურად გაზრდილი ფასების სერიები იმ პერიოდში, როდესაც მოთხოვნა დაბალი იყო. მოპასუხე მას შეეწინააღმდეგა და აღნიშნა, რომ „არარაციონალური იქნებოდა გაყიდვების მოცულობის ზრდა დაბალი ფასების შენარჩუნებით, რადგან დაბალი ფასები აღმოჩნდებოდა კონკურენტების ფასების პირისპირ, შეუძლებელი გახდებოდა საბაზრო წლის

გაზრდა და გამოიწვევდა შემოსავლების დონის შემცირებას". დაადგინა რა მოთხოვნის არაელასტიურობა, სასამართლომ წარმოადგინა არგუმენტი, რომ დაბალი ფასების შენარჩუნებით მოპასუხეს შეეძლო განეხორციელებინა მხოლოდ მცდელობა, რომ თავისკენ მოეზიდა კონკურენტების მომხმარებლები. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დაბალი ფასების შენარჩუნების ეს შეცდომა „არ გულისხმობდა, რომ მოპასუხე მოქმედებდა იმგვარად, რომ კოლექტიური მოქმედებების ჰიპოთეზით, ეს არ ყოფილიყო მათ ინტერესებში." მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ საქმის ასეთი განსჯა აბსოლუტურად მცდარი იყო. ფაქტიურად, სასამართლო შეცდა, როცა განსაზღვრა, რომ ამ გარემოებებზე დამოკიდებულებით, კომპანიებს, რომლებიც საკუთარ ინტერესებს იცავენ, შეუძლიათ კონკურენციულად შეამცირონ ფასები ისევე, როგორც ეს აღწერილია „დაკავებულის დილემა"-ში.

37. კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ აგროვებს კონკურენციის ორგანო ირიბ სამხილებს, რათა აჩვენოს, რომ კომპანიები მოქმედებენ თავიანთი საკუთარი ინტერესების, და არა საერთო ინტერესების საპირისპიროდ, არის კორპორაცია „ამერიკული თამბაქო"-ს (American Tobacco Co.) საქმე. ამ საქმეში სასამართლომ იპოვა „ფასის შეცვლის ჩანაწერი" „შეთქმულების არსებობის ირიბი სამხილებით". 1931 წლის 23 ივნისს სამმა მსხვილმა თამბაქოს კომპანიამ აშშ-ში დააანონსა ფასების პარალელური გაზრდა, მაგრამ „არ არსებობდა ასეთი ზრდის ეკონომიკური საფუძვლები". მეორე პარალელური ფასების ზრდა მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ. სწორედ ასეთი პარალელურობის წყალობით და ეკონომიკური საფუძვლების არარსებობის გამო (როგორც მაგალითად – მაღალი დანახარჯები) სასამართლომ გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი ირიბი სამხილები საკმარისია გამამტყუნებელი სისხლის სამართლებრივი ვერდიქტის გამოსატანად. და პირიქით, თუკი იმავე პერიოდში, როდესაც ფასები გაიზარდა,

ხარჯებიც გაიზრდებოდა, მაშინ რთული იქნებოდა დადგენა, მართლა არსებობდა თუ არა შეთანხმება.

38. იმისათვის, რომ შევაჯამოთ ამ ნაწილში განხილული საკითხები, წარმოგიდგენთ ოთხ ძირითად დებულებას, რომლებიც გ. ვერდენმა (Gregory Werdedn) განსაზღვრა როგორც საკვანძო მომენტები, რომლებსაც ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური მტკიცებულებების გამოყენებისას:

• ***ჯერ ერთი,*** „რაიმე იმაზე უფრო მეტი, ვიდრე კარტელის შიგნით დამოკიდებულებებია, წარმოჩენილი უნდა იყოს მანამ, სანამ გაკეთდება დასკვნა შეთანხმების დადების შესახებ". მაგალითად, როდესაც კონკურენტი ზრდის ფასებს მისი კონკურენტების მიერ ფასების გაზრდის პასუხად, ასეთი მოქმედებები შეიძლება სრულად პასუხობდეს თითოეული კომპანიის პირად ინტერესებს და წარმოადგენდეს უკეთეს პასუხს უკეთეს პასუხზე. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ კომპანიისათვის ბრალის წაყენებას ფასების შემცირებისათვის კონკურენტის მიერ ფასების შემცირების პასუხად, მაშინ ჩვენ ასევე ვერ შევძლებთ გავაკეთოთ ეს ფასების მომატების შემთხვევაში. აუცილებელია, რომ წარმოვაჩინოთ რაიმე უფრო მეტი;

• ***მეორე:*** „შეთანხმების არსებობა არ შეიძლება დადგენილი იქნას ისეთი მოქმედების მეშვეობით, რომელიც, ნეშის მიხედვით, არ წარმოადგენს კოლექტიურ წონასწორობას ერთ ხანმოკლე თამაშში". ასეთი ქცევა, რეალურად სრულად შეესაბამება ენერგიულ კონკურენციას და გვაძლევს სასარგებლო საფუძველს, რომლიდანაც შეიძლება დადგინდეს კარტელური შეთანხმების არსებობა;

• ***მესამე:*** მოქმედებები, რომლებიც ნეშის მიხედვით, შეუთავსებელია ერთჯერად არაკოლექტიურ წონასწორობასთან, შეიძლება გამოყენებული იყოს იმისათვის, რომ მიღებული იქნას გადაწყვეტილება შეთანხმების არსებობის შესახებ, იმის მიუხედავად, რომ ისინი შეიძლება შეესაბამებოდნენ

მრავალჯერადად განმეორებადი მოქმედებების თამაშის მოდელს;

• *მეოთხე:* პრაქტიკული და პოლიტიკური განხილვისათვის, „შეთანხმების არსებობა არ უნდა მიუთითებდეს მტკიცებულებათა არარსებობაზე ბრალდებულებს შორის რაიმე ურთიერთობების მიმართ, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მიღწეულიყო შეთანხმება“. ასეთი მტკიცებულებები წარმოადგენენ სასარგებლო მაჩვენებელს, რათა ვიფიქროთ, რომ ბაზარზე დაფიქსირებული ქცევა იყო უკანონო შეთანხმების შედეგი, და შეიძლება მნიშვნელოვან ფაქტორად მოგვევლინონ სანქციის მიყენებისას ცალმხრივი და გამაწონასწორებელი ქცევების საქმეებში.

4. საქმეები, რომლებშიც შეთანხმების არსებობა დგინდება ირიბი სამხილებით

39. საქმეები კარტელების შესახებ, რომლებშიც არ არის კარტელური შეთანხმების დადების პირდაპირი მტკიცებულებები, ხშირად ერთნაირად იწყება: არსებობს ფასების პარალელური ცვლილების ან სხვაგვარი ქცევის საეჭვო ეპიზოდი, რომელიც არ შეიძლება მარტივად აიხსნას საბაზრო ძალების გავლენით და კონკურენციის ორგანოს არ შეუძლია პირდაპირ დაამტკიცოს, რომ ასეთი ქცევა არის შეთანხმების შედეგი. ***კითხვა იმაში მდგომარეობს, რამდენი და რა ხარისხის ირიბი სამხილია საკმარისი ამის დასამტკიცებლად?***

40. სასამართლოები, კონკურენციის ორგანოები და ექსპერტები მრავალწლიანი მუშაობით მივიდნენ თვალსაზრისამდე, რომ ***„შეგნებული პარალელიზმი“,*** რომელიც არ შეიცავს რაიმე უფრო მეტს, ვიდრე ფასების ერთდროულ ცვლილებებს ან სხვა პარალელურ ქმედებებს, რომლებიც ბაზრის კონკურენტების ქცევების დამოუკიდებელი შესწავლისა და მათი რეაქციების შედეგს წარმოადგენენ, სულაც არ არის უკანონო.

როგორც ზემოთ განვმარტეთ, ასეთი თვალსაზრისი თანხვედრაშია ეკონომიკურ თეორიასთან. ეკონომიკურმა თეორიამ და კანონმდებლობამ ნათელი გახადა, რომ აუცილებელია რაიმე უფრო მეტი, ვიდრე შეგნებული პარალელიზმი. მაგრამ, რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა იგულისმება სიტყვებში „რაიმე უფრო მეტი“. ზოგიერთ ქვეყანაში, სასამართლოები ათწლეულობის განმავლობაში იმტვრევდნენ თავს ამ საკითხის გასარკვევად. ერთ-ერთი ფორმულა, რომელიც აშშ-ში შემუშავდა ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას მოითხოვდა, რომ ყოფილიყო გარკვეული „დამატებითი ფაქტორები“, რომლებიც დაადასტურებდნენ დიდი ალბათობით, სწორედ შეთანხმება იყო პარალელური ქცევის მიზეზი, და არა დამოუკიდებელი მოქმედება. აშშ-ის ერთ-ერთმა სასამართლომ შემდეგნაირად აღწერა სტანდარტული მოთხოვნები თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში: „. . . ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოსარჩელემ, თავისი სარჩელი ფარული შეთანხმების შესახებ, დააფუძნოს შეგნებული პარალელური ქცევის დასკვნაზე და ასევე ჩვენებებზე, რომ არსებობს დამატებითი ფაქტორებიც. დამატებითი ფაქტორების მიზანია დაარწმუნოს სასამართლო, რომ დასაჯოს შეთანხმებული მოქმედებები – რეალური შეთანხმება, და არა კონკურენტების ცალმხრივი და დამოუკიდებელი ქცევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ფაქტორები ქმნიან ჩვენებებს შეთანხმების პირდაპირი მტკიცებულებების არსებობაზე“.

41. სხვა ქვეყნები, არ იყენებენ მსგავს ტერმინოლოგიას ისე, როგორც ამას ადგილი აქვს აშშ-ის სასამართლოებში, მაგრამ ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინიც ზემოაღნიშნულის მსგავს გარემოებებს ითვალისწინებენ. წინამდებარე პარაგრაფში წარმოდგენილია უფრო დეტალურად, თუ როგორ გამოიყენეს გადაწყვეტილების მიმღებმა სპეციალისტებმა ერთდროულად ***ორი ფაქტორი,*** როგორც ირიბი მტკიცებულებების ყველზე მნიშვნელოვნი სახე: ***1) ურთიერთობა ან ურთიერთობის შესაძლებლობა***

და *2) მოქმედებები საკუთარი ინტერესების საზიანოდ.*

4.1. ურთიერთობა

42. დამატებითი ფაქტორების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ის, რომელიც მიუთითებს მხარეთა ურთიერთობებზე ფასწარმოქმნის პროცესში, იმგვარად, რომ მათ ჰქონდეთ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჰქონოდეთ ურთიერთობების შესაძლებლობა. ამასთან, სამხილები არ შეესაბამება შეთანხმების არსებობის დასამტკიცებლად სავალდებულო მოთხოვნებს. მხარეთა ურთიერთობების მტკიცებულებების მნიშვნელობას გვიჩვენებს ქვემოთ აღწერილი ერთ-ერთი ამერიკული სამოქალაქო საქმე.

4.1.1.ბრტყელი მინა

43. ეს საქმე, რომელზეც 2004 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ძალზე საყურადღებია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლო იხილავდა ბრალდებას ფასების ფიქსირების შესახებ ორ სხვადასხვა ბაზარზე – გლუვი მინის ბაზარზე და ავტომანქანის სათადარიგო მინის ბაზარზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველ ბაზარზე არსებობდა ფასების ფიქსირების საკმარისი ირიბი მტკიცებულებები, რომლებიც ამაგრებდნენ ბრალდებას უკანონო შეთანხმების შესახებ, იმ დროს, როცა მეორე ბაზრის მიმართ მტკიცებულებები არასაკმარისი იყო. გლუვი მინის ბაზართან მიმართებაში არსებობდა ბრალდებულთა მიერ პარალელური ფასწარმოქმნის მნიშვნელოვანი ეპიზოდები: მათ, ერთსა და იმავე პერიოდში, რამდენჯერმე გაზარდეს თავიანთი ფასები გარკვეული ზომით. ბაზრის სტრუქტურა უკანონო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას იძლეოდა. ბაზარი იყო მაღალკონცენტრირებული, მასზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე. ბაზრის პროდუქცია

პრაქტიკულად ერთგვაროვანი იყო, და ფასი წარმოადგენდა მთავარ განმასხვავებელ მაჩვენებელს. საწარმოო ხარჯები იყო საკმაოდ მაღალი; დარგს ჰქონდა ზედმეტი სიმძლავრეების მნიშვნელოვანი მოცულობა; მოთხოვნა იყო სტატიკური.

44. ასევე არსებობდა მტკიცებულებები, რომ ბრალდებულების მიერ ფასების მომატება არ შეესაბამებოდა კონკურენციული ბაზრისათვის დამახასიათებელ ქმედებებს. ფასების მომატება არ იყო გამოწვეული ხარჯების ან მოთხოვნის რაიმე ცვლილებებით, და მისი შედეგი ახალ მონაწილეებს იზიდავდა ბაზარზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს ქმედებები „წინააღმდეგობაში მოვიდოდა ბრალდებულთა საკუთარ ინტერესებთან" მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი გამოწვეული იქნებოდა ფარული შეთანხმებით იქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ მტკიცებულებათა მნიშვნელობისა, ის არ იყო გადამწყვეტი საქმისთვის: „საერთოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებები იქნება იმის ეკონომიკური მტკიცება, რომ არსებობდა რეალური, აშკარა შეთანხმება ერთმანეთის მიმართ კონკურენციის არგაწევის შესახებ". აქ ასეთი მტკიცებულება საკმარისი რაოდენობით იყო: გაიმართა შეხვედრების სერია, არსებობდა ურთიერთობები, რომელთა დროსაც განიხილებოდა ფასები. მონაწილეთა პირადი ჩანაწერები იმაზე მიუთითებდა, რომ მათ მუდამ ჰქონდათ ინფორმაცია ერთმანეთის ფასების პოლიტიკის შესახებ, რომელი ინფორმაციის სხვა ხელმისაწვდომი წყაროებით მოპოვებაც შეუძლებელი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგადად, ირიბი მტკიცებულებები საკმარისად იყო წარმოდგენილი, რათა მიეღო გადაწყვეტილება უკანონო შეთანხმების არსებობის შესახებ.

45. აღნიშნულის საპირისპიროდ, საავტომობილო სათადარიგო მინის ბაზარზე, ბრალდებულთა შორის ურთიერთობების დამადასტურებელი ირიბი სამხილები ბევრად უფრო ნაკლები იყო. ქცევა, რომელიც ქმნიდა

ბრალდებისა და ფასების დაფიქსირების ძირითად საფუძველს, გამოიხატებოდა იმ პრაქტიკაში, რომ დარგის წარმომადგენლები ფასების შესახებ ინფორმაციას უგზავნიდნენ მესამე მხარეს – სავაჭრო ასოციაციას, რომელიც შემდეგ აქვეყნებდა მას იმ ფორმით, რომელიც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა გაეთვალათ ერთმანეთის ფასები. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს მტკიცებულებები, არ იყო რა გამაგრებული სხვა მტკიცებულებებით, არასაკმარისია. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფასების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას „აქვს კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტი". სასამართლომ უარყო „სხვაგვარი დასკვნები უკანონო შეთანხმების შესახებ მათი ორგვარი ინტერპრეტაციის, ან თუნდაც კონკურენციის ხელშემწყობი ეფექტის გამო".

4.2. ეკონომიკური მტკიცებულებები

46. ურთიერთობების მტკიცებულებები, უდავოდ მნიშვნელოვანია, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ ირიბ სამხილებზე აგებულ საქმეებში. თუმცა, განსაზღვრულმა ეკონომიკურმა მტკიცებულებებმა ასევე შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ასეთ საქმეებში. ქვემოთ მოცემული გადაწყვეტილება, რომლიც ამერიკელი სამართალმცოდნის რიჩარდ პოზნერის (Richard Posner) გავლენით დაიწერა, კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გაანალიზდეს ირიბი ეკონომიკური მტკიცებულებები.

4.2.1. ფრუქტოზის მაღალი შემცველობის სიმინდის სიროფი

47. სიმინდისაგან დამზადებული, ფრუქტოზის მაღალი შემცველობის სიროფის (ВКС) შემატკბობლის ოთხ მწარმოებელს ბრალი წაეყენა ფარულ შეთანხმებაში, რომლის მიზანი იყო ფასების დაფიქსირება ამ პროდუქციაზე 1988 – 1995წ. პერიოდში, სამოქალაქო საქმეზე ზარალის

კომპენსაციასთან დაკავშირებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი უარყო, საარბიტრაჟო სასამართლომ კი საქმე ხელმეორე განხილვისათვის დააბრუნა.

48. მოსამართლე პოზნერმა შემდეგი კლასიფიკაცია მისცა მტკიცებულებების სახეებს, რომლებიც შერმანის კანონის მიხედვით გამოიყენება უკანონო შეთანხმებების არსებობის დასამტკიცებლად:

მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც (მოცემულ შემთხვევაში კი ორი სახეობის მტკიცებულებათა საფუძველზე) მოსარჩელე აყენებს ბრალდებას, არის ეკონომიკური მტკიცებულები, რომლებიც მიუთითებენ, რომ კონკურენციის ფაქტი არ არსებობდა, და არა ეკონომიკური მტკიცებულებები, რომ მხარეები უწევდნენ ერთმანეთს კონკურენციას, რადგან შეთანხმდნენ ამაზე. თავის მხრივ, ეკონომიკური მტკიცებულებები ორი სახისაა, და ეს ამ საქმეშიც ჩანს: მტკიცებულება იმისა, რომ საბაზრო სტრუქტურა ისეთი იყო, რომელიც ფსების შესახებ ფარული შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობებს ქმნიდა (თითქმის ყველა ბაზარი შეიძლება კარტელიზებული გახდეს, თუ კანონმდებლობა მისცემს შესაძლებლობას გამყიდველებს, რომ შექმნან შეთანხმების ფორმალური მექანიზმები, როგორებიცაა მაგალითად გაყიდვების ექსკლუზიური უფლებების მქონე სააგენტოები) და მტკიცებულებები, რომ საბაზრო ქცევა ხასიათდება როგორც ანტიკონკურენციული.

49. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმის ***ეკონომიკური მტკიცებულებების*** სხვადასხვა ელემენტები ფარული შეთანხმების პირობებზე მიუთითებდა. კერძოდ: მაღალი კონცენტრაცია გამყიდველების მხრიდან, „მაღალ-სტანდარტიზებული“ პროდუქცია, BKC-ის თანაზომადი შემცვლელების არარსებობა, ბრალდებულთა ხელთ არსებული ჭარბი სიმძლავრეების დიდი მოცულობა, დისკრიმინაციული ფასები მთელი ბაზრის მასშტაბებით. ამის შემდეგ სასამართლომ მიმართა ეკონომიკურ

მტკიცებულებებს, რომლებიც შეთანხმების არსებობაზე მიუთითებდნენ და ეხებოდნენ ფასების ფორმულის ცვლილებებს, რომლებიც ხარჯებზე არ იყო დაფუძნებული. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა კონტრაქტების მოქმედების ვადების ცვლილებებზე მოპასუხეთა ინიციატივით, აგრეთვე საეჭვო შაბლონურობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეები ერთმანეთისგან ყიდულობდნენ და ერთმანეთზე ჰყიდდნენ საქონელს. სასამართლომ ასევე აღნიშნა დარგში საბაზრო წილების უჩვეულო სტაბილურობის შესახებ, რომლებიც, გარემოებებიდან გამომდინარე, უფრო ცვალებადი უნდა ყოფილიყო. სასამართლომ სარწმუნოდ ჩათვალა ექსპერტთა მტკიცებულებები, რომლებმაც განაცხადეს, რომ BKC-ის ფასები უფრო მაღალი იყო უკანონო შეთანხმების პერიოდში, ვიდრე ადრინდელ და შემდგომ პერიოდებში.

50. სასამართლომ ასევე განსაზღვრა, რომ ხაქმეში არსებობდა ***ურთიერთობების მტკიცებულებები,*** რომლებიც ამ დასკვნას ამყარებდნენ. ისინი შეიცავდნენ ბრალდებული კომპანიების თანამდებობრივი პირების დოკუმენტებსა და სხვა განცხადებებს, რომლიც ირიბად მიუთითებდნენ მხარეთა შეთანხმებასა და ურთიერთგაგებაზე, ასევე მასზედ, რომ მხარეები ფლობდნენ ინფორმაციას კონკურენტების ფასწარმოქმნის შესახებ, რაც არ იყო საჯარო ინფორმაცია. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს მტკიცებულებები საკმარისი იყო კარტელური შეთანხმების არსებობის დასადასტურებლად.

4.2.2. მოქმედებები საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ

51. ამ კონცეფციას ბოლო პერიოდში იყენებენ აშშ-ის სასამართლოები. ეს დეტალურად იყო აღწერილი ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ ნაწილში და ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური მტკიცებულებების შეფასებისას.

52. მოქმედებები საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ არის მოქმედებები, რომლებიც უპირისპირდება კომპანიის ინტერესებს იმ პირობებში, როდესაც კარტელური შეთანხმება არ არსებობს. კომპანიას არ შეეძლო ემოქმედა ისე, როგორც მოცემულ მომენტში მოქმედებს, თუკი იგი მარტო იქნებოდა. საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებებმა შეიძლება მიიღოს მყიდველთან ან მიმწოდებელთან გარიგებაზე უარის ფორმა იმ ეკონომიკური მიზეზების არარსებობისას, რომლებიც ახსნიდნენ, თუ რატომ თქვა უარი კომპანიამ ასეთ საქმიან წინადადებაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის შაბლონურ გაცვლას, მაგალითად – დანახარჯების შესახებ, ან ინფორმაციას გასაყიდი ფასების შესახებ. ბიზნესისათვის უმჯობესია, რომ იყოს კონფიდენციალური, რადგან კონკურენციული ბაზრის პირობებში, კონკურენტებს შეუძლიათ ასეთი ინფორმაცია გამოიყენონ საკუთარი სარგებლის მისაღებად. ეს მოქმედებები შეიძლება ეხებოდეს საბაზრო სტრუქტურას, რომელსაც არ აქვს კავშირი დანახარჯებთან ან არ ეფუძნება საბაზრო რეგალიებს.

53. საქმე, რომლისთვისაც ეს კონცეფცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, უკავშირდებოდა ***ბლომკესტის (Blomkest) სასუქებს*** და ეხებოდა სასუქების მწარმოებლებს, რომელთაგან რვა აწარმოებდა ნახშირმჟავა კალიუმს, მათგან 6 იყო კანადური კომპანია, რომლებიც გაერთიანდნენ ნახშირმჟავა კალიუმზე ფასების დაფიქსირების მიზნით, 1987-1994წ.წ. მოსარჩელეები თავიანთ საჩივარს ძირითადად ამყარებდნენ ეკონომიკურ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოიცავდა ბრალდებული კომპანიების ქცევის საერთო ხაზს ფასების მომატებისას, აგრეთვე ზემოთ აღწერილი ეკონომიკური ქცევების მტკიცებულებებს.

54. ამ საქმის მოსმენაში მონაწილეობდა სააპელაციო სასამართლოს ყველა თერთმეტივე მოსამართლე, რაც საკმაოდ იშვიათია აშშ-ის პრაქტიკაში. ამ ***თერთმეტი მოსამართლის თვალსაზრისები გაიყო 6:5-ზე,***

მოპასუხეების სასარგებლოდ და დაამტკიცეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი უარყოფილი იქნა. უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ფასების მომატების მტკიცებულებები არადამაჯერებელია, რადგან, ***ჯერ ერთი,*** ისინი ეხებოდა მხოლოდ გასული პერიოდების გარიგებებს და ამდენად, მხოლოდ მინიმალური ეფექტის მოხდენა თუ შეეძლოთ მომავალ ფასებზე, და ***მეორე,*** სასამართლოს სიტყვებით:

„ფასების კონტროლი, რაზედაც კეთდება მინიშნება, იყო დროებითი, ხოლო ჩვენებებით დასტურდება, რომ ასეთი კონტროლი არ იყო სპეციალური. ფაქტები, რომლებიც ეხება ურთიერთობების ათობით მომენტს, არც თუ მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ურთიერთობებს ადგილი ჰქონდა შვიდი წლის განმავლობაში, როდესაც ათობით ათასი გარიგება დაიდო. ამას გარდა, საკარაუდო იყო, რომ კომპანიები ერთმანეთს უდარებდნენ თავიანთ ფასებს, რადგან ეს გახლავთ ოლიგოპოლური ბაზარი და კომპანიების ბიუჯეტი, ჩვეულებრივ, ძალიან დიდია. ჩვენ ვთვლით, რომ მტკიცებულებები ახლოს ვერ მიდის იმ ზღვართან, როდესაც შეიძლება გამოირიცხოს დამოუკიდებელი მოქმედებების შესაძლებლობები“.

55. უმცირესობა კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ასეთი ქცევა არ იყო ბრალდებულთა ინტერესებში, თუ ვივარაუდებთ, რომ მათ არ დაუდიათ კარტელური შეთანხმება: . . . თუ არ არსებობდა ფარული შეთანხმება ფასების დანაწილებაზე (და მწარმოებლები სულაც არ დავობდნენ, რომ ეს ასეა). მაშინ, ცალკეულ გამყიდველებს, რომლებმაც თავიანთ კონკურენტებს გაუმხილეს ნაწილობრივად მიღწეული შეღავათები, თავი უნდა მოეკლათ. მეორეს მხრივ, თუკი ეს კარტელი იყო, მაშინ მისი წევრებისათვის უაღრესად არსებითი იქნებოდა ეთანაშრომლათ ერთმანეთთან რეალური ფასების გაცვლით, რათა თავიდან აეცილებინათ შეღავათების ფართოდ გავრცელება. ეს კი, ელემენტარულად, კარტელს ჩაძირავდა.

56. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს თვალსაზრისი არ იქნა გაზიარებული სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.

57. „საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების“ კონცეფციის გამოყენების კარგ მაგალითს წარმოდგენს განსაზღვრა, უნდა გამოიყენებოდეს თუ არა პარალელური ქცევები შეთანხმების არსებობის ირიბი მტკიცებულების სახით, როგორც ეს გააკეთა სააპელაციო სასამართლომ რეცეპტით გასაცემი წამლების სავაჭრო ნიშნის (Brand Name Prerscription Drugs) საქმეში, სადაც მომხმარებელთა ჯგუფმა აღძრა სარჩელი მეწარმეთა წინააღმდეგ, დასდო რა ბრალი, რომ მათ მოახდინეს თავიანთი საქმიანობების უნიფიცირება მომხმარებელთა ჯგუფის მიმართ ფასების დისკრიმინაციის სახით, რის შედეგადაც მომხმარებლები იძულებულნინ გახდნენ, რომ უფრო მაღალი ფასები გადაეხადათ. ეს კი უნდა შეფასებულიყო როგორც ირიბი მტკიცებულება იმისა, რომ ბრალდებულებს ჰქონდათ კარტელური შეთანხმება. მაგრამ, სასამართლომ უარყო მოსარჩელეთა არგუმენტები და ეს იმით დაასაბუთა, რომ წამლების მწარმოებელ თითოეულ ბრალდებულს გააჩნდა საკმარისი საბაზრო ძალაუფლება საკუთარ პროდუქციაზე (ლიცენზიების შედეგად), და ამიტომ, მათ ინტერესებში შედიოდა ასეთი საბაზრო ძალაუფლების გამოყენება და ფასების დისკრიმინაციის განხორციელება მომხმარებელთა ჯგუფებს შორის, იმისდამიხედვით, თუ რამდენად იყვნენ ისინი მზად ასეთი ფასების გადასახადელად. ფაქტიურად, ყველა ბრალდებული ერთნაირ ფასების დისკრიმინაციას იყენებდა, რაც განიხილებოდა როგორც კომპანიის მოქმედება საკუთარი ინტერესებისათვის, და რაც არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო შეთანხმების არსებობის მტკიცებულებად.

4.3. ერთიანი და საპირისპირო მიდგომა ირიბი მტკიცებულებებისადმი, პუნქტების მიხედვით

58. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ შეაფასებს სასამართლო ირიბ მტკიცებულებას, მდგომარეობს იმაში, აქვს თუ არა სასამართლოს განზრახვა, რომ ყველა მტკიცებულება ერთიანად განიხილოს და მათ აკუმულირებადი ეფექტი მისცეს, თუ მოითხოვს, რომ თითოეული მტკიცებულება თავად პასუხობდეს შეთანხმების არსებობის ჰიპოთეზას. სიმინდისაგან დამზადებული, ფრუქტოზის მაღალი შემცველობის სიროფის (BKC) საქმეში, მოსამართლე პოზნერი მყარად იცავდა ერთიანი მიდგომის პოზიციას. ამ საქმეში პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ უარი განაცხადა განეხილა ურთიერთობების მტკიცებულებები:

> . . . რამდენადაც, იგი თვლიდა, რომ ასეთი მახასიათებელი „საჭიროებს, რომ ფუნდამენტური დასკვნა გაკეთდეს ეფექტური მტკიცებულებების საფუძველზე". ეს სწორია იმ თვალსაზრისით, რომ ურთიერთობის მტკიცებულებების არც ერთი ნაწილი არაა თავისთავად საკმარისი, რომ დადასტურდეს ფასის დაფიქსირება კომპანიის მიერ. თუმცა, საკითხი სხვაგვარად დგას, და უბრალოდ, მოითხოვს შემდეგს: საკმარისია თუ არა მტკიცებლებები მთლიანობაში და მათი კომბინაცია ეკონომიკურ მტკიცებულებებთან, რათა პოზიცია დაცული იქნას სასამართლოზე.

59. მოსამართლე პოზნერმა აღნიშნა, რომ „ხაფანგი", რომელიც ამ საქმით დაიგო სასამართლოს მიმართ, გულისხმობდა, რომ თუ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების არც ერთი ნაწილი არ ადასტურებდა შეთანხმების არსებობას, მაშინ ყველა მტკიცებულება მთლიანობაში, ვერ დაეხმარება სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში. მართალია, ნულს პლუს ნული უდრის ნულს, მაგრამ, ***მტკიცებულებებს შეიძლება ჰქონდეთ***

სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. ამას გარდა, რა არის მთავარი სასამართლოსათვის? აღნიშნული საქმის მსგავს საქმეებში, საკითხი, თუ როგორ იმოქმედოს სასამართლომ, მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც მტკიცებულებები განიხილება ერთობლივად, მაშინ დიდია ალბათობა, რომ ბრალდებულებს დაუმტკიცდებათ დანაშაული ფასების დაფიქსირებაში.

60. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს აშშ-შიც კი. სხვა ფედერალური სააპელაციო სასამართლოები დამოუკიდებლად განიხილავენ ირიბი მტკიცებულებებების თითოეულ ნაწილს, რათა გამოირიცხოს კონკურენტების დამოუკიდებელი ცალმხრივი მოქმედებები.

61. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ***ევროკავშირისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეში ცელულოზის შესახებ,*** რომელიც ეფუძნებოდა ირიბ მტკიცებულებებს ფასების ფიქსირების შესახებ, ევროსასამართლომ მსგავსი მკაცრი მიდგომა გამოიყენა და ცალ-ცალკე შეაფასა თითოეული მტკიცებულება.

4.3.1.ცელულოზის საქმე

62. ევროკომისიამ განაცხადა, რომ ცელულოზის ორმოცზე მეტმა მწარმოებელმა და მეწარმეთა სამმა ასოციაციამ დადო კარტელური შეთანხმება 1975-1981წწ პერიოდისათვის, რომლის ფარგლებშიც ისინი ახმოვანებდნენ ფასებს მანამ, სანამ მათი ცვლილება მოხდებოდა. ამ დარგში არსებობდა გრძელვადიანი კონტრაქტების პრაქტიკა მყიდველებისა და გამყიდველებისათვის, რაც მყიდველებს უფლებას აძლევდა მინიმალური რაოდენობის ცელულოზა შეეძინათ იმ ფასად, რომელიც არ აღემატებოდა გამოცხადებულს. მწარმოებლები ყოველ კვარტალში აცხადებდნენ თავიანთ ფასებს ვირტუალურად, ერთსა და იმავე დროს. კომისიამ ეკონომიკური მტკიცებულებების მნიშვნე-

ლოვანი რაოდენობა მიიღო (დამატებით პარალელური საფასო ქცევებისა), რაც მას გადაწყვეტილების გამოტანაში დაეხმარა: გამყიდველების დიდი რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ეროვნულობის თვალსაზრისით (ისინი იყვნენ ფინეთიდან, შვედეთიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, აშშ-დან და კანადიდან); განსხვავებული იყო დანახარჯების სტრუქტურა; განსხვავებული იყო ფრახტის ღირებულება; არსებობდა განსხვავებები ეროვნულ ბაზრებზე ევროკავშირის შიგნით; დაანონსებული ფასები მნიშვნელოვნად აღემატებოდა საბაზრო ფასებს; ორჯერ ჰქონდა ადგილი ფასის დისციპლინის აშკარა მოშლას კარტელის საქმიანობის პერიოდში; ფასები ქვეყნდებოდა სპეციალურ გამოცემებში; ფასები ცხადდებოდა წინასწარ; ყველა ფასი დგინდებოდა აშშ დოლარში.

63. კომისიამ მოიპოვა ასევე ურთიერთობების არსებობის მტკიცებულებები, რაც კარტელის შექმნის ბრალდებას ამძიმებდა, მათ შორის – დოკუმენტები და ტელექსები მხარეთა ფაილებიდან, რომლებიც გვიჩვენებდნენ, რომ ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ფასების განხილვის მიზნით. მაგრამ, ევროსასამართლომ კომისიისაგან მოთხოვა, რომ თითოეული დოკუმენტი დაეკავშირებინა კონკრეტულ მწარმოებელთან და დროის კონკრეტულ პერიოდთან. კომისიამ უარყო ასეთი მიდგომის აუცილებლობა, რადგან თვლიდა, რომ ყველა მტკიცებულება ერთობლივად, ეხებოდა კარტელის საქმიანობას. ***ევროსასამართლომ არ გაიზიარა კომისიის ეს თვალსაზრისი და არ განიხილა წარმოდგენილი მტკიცებულებები.***

64. შემდეგ, სასამართლომ დაიწყო თითოეული მტკიცებულების ცალ-ცალკე განხილვა, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ეფექტური იყო ისინი არაკანონიერი კონცენტრაციის დასადასტურებლად. სტანდარტი, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა ამ საქმეში, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ასეთი ქცევის ერთადერთი ახსნა არის კარტელი". სასამართლომ განსაზღვრა, რომ არსებობდა

რეალური მიზეზები ამ დარგში ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობებისა და ფასების დადგენის პრაქტიკისათვის. სასამართლომ მოიწვია ორი ექსპერტი, რომლებმაც კარტელის არსებობა ვერ გამოავლინეს და კანონიერი საფუძველი მისცეს განსახილველ ქცევას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პარალელიზმი ფასების გამოცხადებაში, შეიძლება აიხსნას „ბაზარზე არსებული საჯაროობის ძალიან მაღალი დონით".

65. ამ საქმეში, სასამრთლოს მიერ გამოყენებული მკაცრი სტანდარტები ეკონომიკური მტკიცებულებების შესაფასებლად, კერძოდ, რომ კარტელი არის მხოლოდ შესაძლო ახსნა ასეთი ქცევისათვის,შეიძლება პრინციპული მიზეზი გამხდარიყო კომისიის გადაწყვეტილების უარყოფისათვის, მაგრამ, სავარაუდოდ, ევროსასამართლოს საერთოდ არ უნდოდა ურთიერთობების მტკიცებულებების ერთიანობაში განხილვა, რომლებსაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ საქმის შედეგზე. კომისიისა და ევროპული სასამრთლოების მიერ განხილულ მომდევნო საქმეებში, ასეთი მკაცრი მიდგომა ყოველთვის არ ყოფილა გამოყენებული.

66. ასეთი დეტალიზებული მიდგომისას, ირიბი მტკიცებულების თითოეული ნაწილი ყოველთვის საეჭვო იქნება, თუკი მათ ერთმანეთისგან გამოცალკევებულად გავაანალიზებთ. მაგრამ, მეორეს მხრივ, შეჯამებულად წარმოდგენილი მტკიცებულებების პირობებში, მათ მიმართ დაეჭვების საფუძველი შესაძლოა კიდევ უფრო ამაღლდეს. ამიტომ, საუკეთესო მიდგომად გვესახება ის, რომელიც სასამართლომ ფრუქტოზის მაღალი შემცველობის სიროფის საქმეში გამოიყენა, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებები შეაფასა ერთობლიობად, რაც მტკიცებულებათა სტანდარტებს შეესაბამებოდა.

5. კარტელები და ირიბი მტკიცებულებები – ნაციონალური გამოცდილება

67. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს ირიბი სამხილების მიმართ. კანონმდებლობა, რომელიც ეხება ირიბი სამხილების გამოყენებას კარტელებთან დაკავშირებულ საქმეებში, უეჭველად კიდევ უფრო განვითარდება ეროვნული ნორმების შესაბამისად. სხვა ფაქტორებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვადასხვა ქვეყნებში კარტელების შესახებ საქმეების განხილვაზე, ***აღსანიშნავია შემდეგი:*** ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართლის დარღვევას წარმოადგენს კარტელური შეთანხმება, ან სისხლის სამართლით იდევნება თუ არა იგი? ამას გარდა, სხვადახვა ქვეყნები თავიანთო ანტიკარტელური პროგრამების განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე იმყოფებიან, ზოგიერთი მათგანი უკვე ათწლეულობის განმავლობაში ახორციელებს კარტელების დევნას, სხვებმა კი გაცილებით გვიან დაიწყეს ეს საქმიანობა. რიგ ქვეყნებს პასუხისმგებლობის შემსუბუქების ეფექტური პროგრამები აქვთ ჩამოყალიბებული, სხვებმა კი მხოლოდ ბოლო პერიოდში აამოქმედეს ასეთი პროგრამები. ყველა ამ ფაქტორის გავლენა საქმეების გამოძიებაზე, რომლებიც ირიბ სამხილებზეა აგებული, ქვემოთაა განხილული.

5.1. კარტელების როგორც ადმინისტრაციული ისე სამოქალაქო სამართლებრივი დევნა

68. უმეტეს ქვეყნებში კარტელები განიხილება როგორც ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალდარღვევა (ბევრ ქვეყანაში – ადმინისტაციული პროცესით; ამ ნაწილში, ეს დებულება განიხილება როგორც ერთადერთი). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ის ქვეყნები, რომლებიც კარტელს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევენ, ცდილობენ მოიპოვონ პირდაპირი მტკიცებულებები. ასე მაგალითად, ევროკავშირის მიერ 2001 წლის შემდეგ კარტელებთან დაკავშირებით განხილული ყველა, ან თითქმის ყველა საქმე, პირდაპირ მტკიცებულებებს ეფუძნებოდა. ამას გარდა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონკურენციის კომიტეტის მიერ მომზადებული „მესამე ანგარიში განსაკუთრებით სახიფათო კარტელების შესახებ" აღწერს კარტელების რამდენიმე ბოლოდროინდელ საქმეს ამ ორგანიზაციის ბევრ ქვეყნებში და რამდენიმეს – დამკვირვებელ ქვეყნებში. საქმეების გაცნობოთ დგინდება, რომ თითქმის ყველა მათგანში პირდაპირი მტკიცებულებებია გამოყენებული[10]. ეს შეიძლება სულ მცირე ორი მიზეზით აიხსნას: პასუხისმგებლობის შემსუბუქების პროგრამები, რომლებიც კარტელების შესახებ საქმეების გახსნაში გვეხმარება, რამდენიმე, თუნდაც მცირე რაოდენობის პირდაპირ მტკიცებულებას მაინც გვაძლევს და ამიტომ, სულ უფრო და უფრო ეფექტური ხდება. ამას გარდა, ქვეყნები მეტად მაღალ ჯარიმებს აწესებენ კარტელურ შეთანხმებებზე. მკაცრი სანქციები კი შემსუბუქების პროგრამების ეფექტურობას ამაღლებს. უფრო ადვილია დიდი ჯარიმების დაკისრება, თუ დარღვევის პირდაპირი მტკიცებულებები არსებობს, რომლებიც, თუ შესაძლებელია, უნდა შეიცავდნენ შეგნებული საერთაშორისო სამართალდარღვევის მტკიცებულებებს. და ბოლოს, ***ქვეყნები აუმჯობესებენ გამოძიების ტექნიკას, მათ შორის „რეიდებს გამთენიისას"***.

69. პირდაპირ მტკიცებულებებზე აგებულ საქმებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მომენტი არსებობს: პირდაპირმა მტკიცებულებებმა შეიძლება მიგვიყვანოს ბრალის აღიარების შეთანხმებამდე ან შეამციროს აპელაციების რაოდენობა. ზოგიერთ ქვეყანაში, მხარეები დაჟინებით ითხოვენ ბრალის აღიარებას და მკაცრი სანქციების დაკისრებას. ამან კი შეიძლება დიდი

რესურსები მოითხოვოს; დანაშაულის გახსნას შესაძლოა დიდი დრო და ადმინისტრაციული რესურსი დასჭირდეს, რაც შეიძლება სხვა საქმეებზე იქნას მიმართული.

70. და მაინც, როდესაც მხოლოდ ირიბი სამხილები გვაქვს და ისინი საკმაოდ ძლიერია, კარტელებზე გამოძიების წარმოება'ში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე ქვეყნები ამგვარ მტკიცებულებებზე დაყრდნობიოთ აგრძელებენ საქმეების წარმოებას. *ერთ-ერთი* ასეთი მაგალითია იტალიის საქმე საბავშვო რძის შესახებ, რომელიც ზემოთ იყო განხილული. *მეორე* ბოლოდროინდელი საქმის მაგალითად კი შეიძლება მოვიყვანოთ გადაწყვეტილება საფრანგეთში წარმოებულ საქმეზე მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორების შესახებ.

5.1.1. საფრანგეთი – მობილური ტელეფონები

71. 2005 წლის 01 დეკემბერს, კონკურენციის კომისიმ გამოაცხადა, რომ მან შეთანხმებული მოქმედებისათვის დააჯარიმა მობილური კავშირგაბმულობის სამი ოპერატორი, მთლიანი თანხით 534 მლნ. ევრო. არსებობს ამ საქმის ორი ნაწილი. პირველი ეხება 1997-2003 წლების პერიოდს, როდესაც მოპასუხეები დეტალურად და კონფიდენციალურად ცვლიდნენ ერთმანეთ'ში ინფორმაციას წინა თვეში მოზიდული ახალი მომხმარებლების რაოდენობის, ასევე იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც აპირებდნენ უარი ეთქვათ ამ კომპანიების აბონენტად დარჩენაზე. ასეთ ქცევას ანტიკონკურენციული ეფექტი ჰქონდა. ამას გარდა, იგი გავლენას ახდენდა ფასებზე.

72. კომისიამ ასევე გამოავლინა, რომ 2000-2002 წლების პერიოდ'ში სამმა ოპერატორმა დადო შეთანხმება რომელიც მიმართული იყო მათი საბაზრო წილების სტაბილიზაციაზე. კომისია ამტკიცებდა, რომ: . . . მოპოვებული იყო დიდი რაოდენობით მტკიცებულებები, რომლებიც კონკრეტულად და ერთობლივად მიუთითებდნენ ასეთი შეთანხმების არსებობაზე. ისინი მოიცავენ სამი კომპანიის მიერ

ერთმანეთთან დაგზავნილ ხელნაწერ დოკუმენტებს წარწერით: „შესათანხმებლად", „ბაზრის დამშვიდება" და ა.შ.

73. კომისია უთითებდა გარკვეულ საბაზრო პრაქტიკაზე, რომელსაც მოპასუხეები პარალელურად იყენებდნენ 2000 წელს და რაც მოიცავდა „ფასების მომატებას და ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა პრიორიტეტული კონტრაქტების გაცემა გადახდის ბარათებით წინასწარი ანაზღაურების სავალდებულო პირებით, ან დამატებითი 30 წამის მიცემას საუბრის პირველი წუთის შემდეგ". კომისიამ ასეთი მოქმედებები შეაფასა „საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო" სტანდარტის კონტექსში, რომელიც ზემოთაა აღწერილი: „ასეთ ღონისძიებებს . . . აშკარად შეეძლო გამოეწვია გაყიდვების შემცირება (და ამის შედეგად, საბაზრო წილის შემცირებაც) ნებისმიერი ოპერატორისათვის, რომელიც დამოუკიდებლად გადადგამდა მათი ამოქმედების ნაბიჯებს. ამიტომ, შეთანხმება გამიზნული იყო ოპერატორების მიერ ამ სტრატეგიის ამოქმედების გასამარტივებლად ზემოაღნიშნული ღონისძიებების ერთდროულად გატარების გზით, რაც მათი საბაზრო წილების სტაბილურობას უზრუნველყოფდა.

5.1.2. ბრაზილია – ფოლადი

74. 1999 წელს, ბრაზილიის ეკონომიკური უსაფრთხოების ადმინისტრაციულმა საბჭომ (CADE) მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ბევრმა განიხილა როგორც პირველი საქმე კარტელურ შეთანხმებაზე, რომელიც განხორციელდა 1988 წლიდან ამოქმედებული კონკურენციული კანონმდებლობის შესაბამისად. საქმე ეხებოდა 1996 წელს დადებულ კარტელურ შეთანხმებას ფოლადის ბრტყელი ნაგლინის კონკრეტულ მარკაზე ფასის მომატების მიზნით. ამ პროდუქციას უშვებდა მხოლოდ სამი ადგილობრივი მწარმოებელი, რომელთაგან ორი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო წილების 50%-იანი თანამფლობელობით. 1996 წლის ივლისში, ბრაზილიის ფოლადის ინსტიტუტის წარმო-

მადგენლები ოფიციალურად შეხვდნენ ბრაზილიის ეკონომიკური მონიტორინგის სამდივნოს (SEAE) და აცნობეს, რომ მათ წევრებს განზრახული აქვთ გაზარდონ თავიანთი პროდუქციის ფასი გარკვეული ოდენობით, განსაზღვრულ დღეს. ამ შეხვედრის წინაპირობა გახდა ის, რომ 1992 წლამდე, მოცემულ პროდუქციაზე ფასები კონტროლდებოდა, მათ შორის SEAE-ს მიერაც. მწარმოებლებისაგან მოითხოვებოდა სავარაუდო ფასების გაზრდის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ამ უწყებაში. თუმცა, 1996 წლისათვის უკვე ასეთი კონტროლი აღარ მოქმედებდა.

75. მეორე დღეს, SEAE-მ ფაქსით აცნობა ინტიტუტს, რომ ასეთი შეთანხმება წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას და ამდენად, უკანონოა. მაგრამ, ამის მიუხედავად, სამმა მწარმოებელმა მაინც გაზარდა ფასები თავიანთ პროდუქციაზე იმავე წლის აგვისტოში. ფასების ზრდა დაახლოებით იმ ფარგლებში იყო, როგორც ეს ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აცნობეს ეკონომიკური მონიტორინგის სამდივნოს. ეს ზრდა არ იყო ერთნაირი სამივე კომპანიისათვის, მაგრამ ერთმანეთისაგან 5%-ზე უფრო მეტად არ განსხვავდებოდა. ერთი წლის შემდეგ, კომპანიებმა კვლავ გაზარდეს ფასები, მაგრამ ამის შესახებ არ უცნობებიათ SEAE-სათვის.

76. ბრალდებულები უარყოფდნენ შეთანხმების დადებას. მათ აღიარეს, რომ SEAE-ში შეხვედრამდე კომპანიების ხელმძღვნელები ერთმანეთს ხვდებოდნენ, მაგრამ უარყვეს შეთანხმების დადება. ბრაზილიის კონკურენციის ორგანომ ვერ შეძლო პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება კარტელის არსებობაზე. მათ არ ჰქონდთ უფლებამოსილება, რომ უშუალოდ დაეკითხათ ამ სამი კომპანიის მოხელეები მოცემულ საკითხზე, მაგრამ ჩათვალეს, რომ არსებობდა ეფექტური ირიბი მტკიცებულებები შეთანხმების შესახებ. ეს მტკიცებულებები მოიცავდა კომპანიების ხელმძღვანელების შეხვედრებს SEAE-ში

შეხვედრამდე, მათ განცხადებას ფასების მომატების შესახებ SEAE-ში შეხვედრის დროს, პრაქტიკულად იდენტურ და თითქმის პარალელურ ფასების მომატებას 1996 წლის აგვისტოში და მტკიცებულებების არარსებობას, რომლებსაც შეეძლოთ მიეთითებინათ მასზედ, რომ ფასების მომატება სამივე კომპანიის მიერ, მოხდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. CADE-მ გადაწყვიტა, რომ კომპანიების ქცევა 1996 წელს, იყო უკანონო.

77. მათზე მინიმალური ჯარიმა იქნა დაკისრებული კანონმდებლობის შესაბამისად, რამაც თითოეული კომპანიის წინა წლის მთლიანი ბრუნვის 1% შეადგინა და რომელიც ფულად გამოსახულებაში 51 მლნ. ბრაზილიურ დოლარს (48 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი) უდრიდა. მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ამ საჯარიმო გადაწყვეტილებაზე, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, საჩივარი და საქმის ზოგიერთი სხვა ასპექტი არ იქნა გაზიარებული. ბოლო წლებში, ბრაზილიის კონკურენციის ორგანო უფრო მკაცრი გახდა კარტელური შეთანხმებების მიმართ და გააუმჯობესა მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი - „რეიდები გამთენიისას“ და გამოძიების ტექნიკური საშუალებები. მათ მიიღეს პასუხისმგებლობის შემსუბუქების პროგრამა, რომლის მეშვეობითაც რამდენიმე საქმე გაიხსნა.

5.1.3. ლატვია - ქათმის კვერცხები

78. ეს საქმე ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა სახის ირიბი მტკიცებულებების გამოყენების კარგ მაგალითს წარმოადგენს:

- ურთიერთობების მტკიცებულებები, მათ შორის – კონკურენტების შეხვედრები დარგობრივი გაერთიანების კრებაზე და დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ასეთ შეხვედრებზე ფასების საკითხი განიხილებოდა;
- ეკონომიკური მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ფასების გაზრდა ხდებოდა კონკრეტული შეხვედრე-

ბის შემდეგ, და ასევე მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდებოდა, რომ ფასების ზრდა არ იყო გამოწვეული საბაზრო ძალების გავლენით.

79. ეს საქმე მნიშვნელოვანია აგრეთვე იმიტომ, რომ ეხება აგროსამრეწველო სექტორს, რომელშიც, სავარაუდოდ მრავალი კარტელი არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც მხოლოდ ახლა იწყებენ ანტიკარტელურ საქმიანობას.

80. 2003 წელს ლატვიის კონკურენციის ორგანომ დაიწყო გამოძიება ქათმის კვერცხების მწარმოებელთა მიერ ფასების შესაძლო ფიქსირების საკითხთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ ადგილობრივ გამოცემებში გამოქვეყნდა ამ დარგში მოწინავე მწარმოებლების სტატია თავიანთ პროდუქციაზე ფასების მომატების განზრახვის შესახებ. სტატია ამტკიცებდა, რომ კვერცხის მწარმოებელთა ლატვიური ასოციაცია ფასების გაზრდის რეკომენდაციას აძლევდა თავის წევრებს. კონკურენციის კომისიას არ ჰქონდა ინსპექტირების ჩატარების უფლება, მაგრამ მისი თანამშრომლები ერთდროულად შევიდნენ სამივე მწარმოებელი კომპანიის ოფისებში, ნებაყოფლობითი გამოკითხვის ჩასატარებლად. მოგვიანებით, მათ სხვა მწარმოებლებიც გამოკითხეს.

81. გამოძიებამ მოიპოვა შემდეგი მტკიცებულებები: ასოციაციის შემადგენლობაში შედიოდა 12 მწარმოებელი; ლატვიურ ბაზარზე დომინირებდა ერთი მწარმოებელი, 50%-იანი საბაზრო წილით; სამი სხვა მწარმოებლის წილები შეადგენდა დაახლოებით 8-11%-ს; გამოკითხვის პროცესში, კომპანიების წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ ფასების მომატების საკითხი განიხილებოდა ასოციაციის კრებებზე, ორ პერიოდში, 2002 წლის ივლის-აგვისტოში და 2003 წლის მარტ-აპრილში; კონკურენციის ორგანოს თანამშრომლებმა მოიპოვეს დომინირებული კომპანიის მიერ ასოციაციისათვის 2003 წლის მარტის შეხვედრამდე გაგზავნილი ფაქსის ასლი, რომელშიც

დაფიქსირებული იყო, რომ შეხვედრის დღის წესრიგში შეტანილი იქნებოდა „ფასების პოლიტიკის საკითხი (ფასების მომატების დაწყება იგეგმება 2003 წლის 01 აპრილიდან“). დოკუმენტი ასევე ამტკიცებდა, რომ დომინირებული კომპანია არ უპასუხებს საცალო მოვაჭრეების წინადადებას ფასების დაკლებაზე სპეციალური აქციის სახით, აღდგომის დღესასწაულზე. ფაქსის შინაარსი მთავრდებოდა ფრაზით: „ამიტომ, წარმატებული ვაჭრობისათვის აღდგომის დღეებში, გთავაზობთ, არ დაუჭიროთ მხარი საცალო მოვაჭრეების ზემოთ აღნიშნულ აქციას“.

82. ამ საქმეზე, კონკურენციის საბჭომ მოიპოვა ასევე ეკონომიკური მტკიცებულებები. მათ გააანალიზეს კვერცხის ფასები შესაბამის პერიოდებში და აღმოაჩინეს, რომ სინამდვილეში, ფასების მომატება მოხდა ასოციაციის წევრების შეხვედრის შემდეგ. უფრო მეტიც, აშკარა იყო, რომ ფასების მომატება არ შეიძლებოდა ახსნილიყო არც ხარჯების ზრდისა და არც მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების მიზეზით. პირიქით, ამ პერიოდში, მიმწოდებელთა მწარმოებლობამ იმატა კიდეც.

83. კონკურენციის საბჭომ გადაწყვიტა, რომ მწარმოებლები ახორციელებდნენ საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო ფასების დაფიქსირებაზე ლატვიის კონკურენციული კანონმდებლობის დარღვევით, და შესაბამისად დააჯარიმა ისინი. ამ საქმეზე დავა მოგვიანებით გაიმართა სააპელაციო სასამართლოში.

5.1.4. ჩინეთის ტაივანი – ბენზინი და დიზელის საწვავი

84. ეს საქმე ეხება ბენზინით საცალო ვაჭრობას. მოცემული საქმე იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მასში არის მხოლოდ ეკონომიკური, და არა ურთიერთობის მტკიცებულებები. კონკურენციულმა ორგანომ, როგორც ჩანს, გამოიყენა ეკონომიკური ანალიზის ფორმა, მაგრამ, გაუგებარია,

რატომ უარყო მან ცალმხრივი, თანამშრომლობისკენ არ-მიმართული ***უკეთესი პასუხის ჰიპოთეზა***, კერძოდ – დომინირებული კომპანიის მოწინავე როლის მოდელი ფასწარმოქმნაში.

85. 2003 წლის დასაწყისში გამოძიების დაწყების მომენტში, ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის ნავთობის გადამუშავების სექტორში, ჩინეთში დუოპოლია არსებობდა. ბაზარზე 70%-ზე მეტი წილით ლიდერობდა მონოპოლისტი 2000 წლამდე, როდესაც ბაზარზე მეორე კომპანია შევიდა. მესამე ამერიკული კომპანია, ამ ბაზარზე 2002 წელს შევიდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ გამოვიდა ბაზრიდან.

86. ორი წლის განმავლობაში, ამ ორი მიმწოდებლის მიერ საცალო მოვაჭრეებისათვის პროდუქციის მიყიდვის ფასების ცვლილება პარალელურად ხდებოდა. ვლინდებოდა ფასების პარალელური ან თითქმის პარალელური ცვლილებების სულ მცირე 20 შემთხვევა. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, ერთ-ერთი მხარე საჯაროდ აცხადებდა სამომავლოდ ფასების მომატებას, რაზედაც მეორე მხარე რეაგირებდა ასევე საჯარო გამოცხადებით თავისი ფასების მომატების შესახებ. ი შვიათი იყო შემთხვევები, როდესაც მეორე მხარე არ რეაგირებდა პირველის განცხადებაზე. ასეთ დროს, პირველი მხარე ფასებს აღარ უმატებდა, ან შეჰქონდა ცვლილებები, რომლებიც შემდგომ აისახებოდა ხოლმე მეორე მხარის განცხადებებში.

87. შეთანხმების არსებობის პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობდა, მაგრამ, ჩინეთის პატიოსანი ვაჭრობის კომისიამ ჩათვალა, რომ დუოპოლიამ მიაღწია „ერთიან შეხედულებებს". ასეთ დაკვნამდე კომისია მივიდა შემდეგი ფაქტორების საფუძველზე:

• ორი მხარის პარალელური ქცევები რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც გამოიხატებოდა ფასების ცვლილებების მრავალი მაგალითით;

• ბენზინგასამართი სადგურების ოპერატორები სწრაფად რეაგირებდნენ ფასების ცვლილებებზე და თავიანთ ახალ ფასებს განსაზღვრავდნენ; ასეთი განცხადებები მოქმედებდა როგორც მონიტორინგის მექანიზმი ორი მიმწოდებლისათვის;

• ორი კომპანიის ხარჯების სტრუქტურის ღრმა ანალიზმა მნიშვნელოვანი სხვაობა გამოავლინა ასეთ ხარჯებს შორის, იმპორტის, გადამუშავების ხარჯების, ტრანსპორტირების, სიმძლერეების გამოყენებისა და სხვა ფაქტორების კუთხით.

88. აშკარაა, რომ კომისიამ, კომპანიების ქცევების ანალიზისას გამოიყენა თამაშის თეორია და მივიდა დასკვნამდე, რომ ორ კომპანიას შორის არსებობდა შეთანხმება.

89. კომისიამ გადაწყვიტა, რომ ასეთი ქცევა არღვევდა კონკურენციის კანონმდებლობას და დააჯარიმა თითოეული კომპანია დაახლოებით 200 ათასი აშშ დოლარით.

52. კარტელი, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული

90. ქვეყნების მცირე, მაგრამ თანდათანობით მზარდი ნაწილი კარტელს დევნის როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს. სისხლის სამართლის საქმეებში მტკიცებულებათა სტანდარტები უფრო მაღალია, რაც ირიბი სამხილების უფრო მკაცრ სტანდარტებში აისახება (და მაინც, ასეთი მტკიცებულებებიც შეიძლება გამოყენებული იქნას ამ საქმეებში). ***ქვემოთ წარმოდგენილია ორი ქვეყნის გამოცდილება, სადაც კარტელები იდევნება როგორც სისხლის სამართლის დანაშაული***

5.2.1. აშშ

91. აშშ-ს კარტელების საქმეების სისხლის სამართლებრივი წესით გამოძიების დიდი გამოცდილება აქვს[11]. არსებობს რამდენიმე ადრინდელი სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც შერმანის კანონის შესაბამისად აღიძრა აშშ-ში და ირიბ სამხილებზე იყო აგებული. მაგრამ, წლების განმავლობაში, შერმანის კანონის შესაბამისად წარდგენილი ყველა სისხლის სამართლებრივი ბრალდება ეფუძნებოდა პირდაპირ მტკიცებულებებს. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული, აშშ-ში პასუხისმგებლობის შემსუბუქების პროგრამა ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა კარტელების დევნის მხრივ, და საქმეების უმრავლესობა ამ პროგრამით გაკეთებული განცხადებების შედეგს წარმოადგენდა. მათი დიდი ნაწილი სასამართლოს გარეშე დარეგულირდა, ბრალის აღიარების საფუძველზე.

92. რა თქმა უნდა, ირიბი სამხილები სასარგებლო და მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს. სწორედ ასე მოხდა ***საქმეში სამხატვრო აუქციონების შესახებ***. საქმე ეხებოდა საკომისიო განაკვეთების დაფიქსირების შესახებ შეთანხმებას ორ წამყვან სააუქციონო სახლს - „სოთბის“ (Sotheby) და „კრისტის“ (Christie) შორის. სასამართლო განხილვა შეეხო სოთბის თავმჯდომარეს ალფრედ ტაუბმანს. სხვა მხარეებმა ბრალი აღიარეს, ან მათ არ წაეყენათ ბრალი, რადგან ისარგებლეს აშშ-ში მოქმედი პასუხისმგებლობის შემსუბუქების პროგრამით. კარტელის არსებობის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულებები სწორედ პასუხისმგებლობის შემსუბუქების შედეგს წარმოადგენდა. მაგრამ, მტკიცებულებები, რომლებიც ტაუბმანს კარტელთან დააკავშირებდა, უფრო სუსტი იყო. ისინი მოიცავდნენ ურთიერთობის მტკიცებულებას, ამასთან, ძირითადად მხოლოდ წერილობითი ფორმით, და მიუთითებდნენ მასზე, რომ ტაუბმანი ხვდებოდა თავის პარტნიორებს კრისტის აუქციონებზე და განიხილავდა მათთან ფასებს, და ასევე

მასზე, რომ იგი თვალყურს ადევნებდა ამ საკითხის განხილვას თავის და ქრისტის თანამშრომლებს შორის. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ტაუბმანი ამ მტკიცებულებების საფუძველზე და მიუსაჯა პატიმრობა ერთი წლისა და ერთი დღის ვადით, და დააჯარიმა 7,5 მლნ. აშშ დოლარით.

5.2.2. კანადა

93. კანადა უკვე დიდი ხანია სისხლის სამართლებრივი წესით დევნის კარტელურ საქმიანობას. აქ, აშშ-ის მსგავსად, პირველი საქმეები კარტელების შესახებ, ეფუძნებოდა მხოლოდ ირიბ სამხილებს, ხოლო სანქციები – ჯარიმები, მინიმალური იყო. 1980 წელს, კანადის უზენაესმა სასამართლომ განიხილა სერიოზული საქმე, რომელშიც ირიბი სამხილები იყო წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით.

5.2.3. ატლანტიკური შაქარი (Atlantic Sugar)

94. შაქრის სამ გადამამუშავებელს, სხვა ბრალდებებთან ერთად, ბრალი დაედო შეთანხმების დადებაში, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში შეენარჩუნებინათ ტრადიციული წილი ბაზარზე. მაგრამ, მათი ურთიერთობების მტკიცებულებები ამ საკითხთან დაკავშირებით, არ არსებობდა. მტკიცებულებები იყო ძირითადად „ირიბი“, როგორც ისინი სასამართლომ დაახასიათა. ისინი მოიცავდნენ მოპასუხეთა მყარ საბაზრო წილებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, და როგორც მინიმუმ, ერთი თანმხლები პრაქტიკის მაგალითს – ფასს საბაზისო პუნქტში. ამას გარდა, არსებობდა დოკუმენტური მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ ბრალდებულების აშკარად არადამოუკიდებელ ჩანაფიქრზე, კერძოდ, გადაწყვეტილებაზე, რომ არ შეემცირებინათ ფასები, რასაც შეეძლო მდგომარეობის დესტაბილიზაცია გამოეწვია.

95. სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს გარემოებები წარმოადგენდა „ბრალდებულთა შორის ტაქტიკური

შეთანხმების შედეგს, რაც გამოწვეული იყო თითოეული მათგანის სურვილით, რომ თავიდან აეცილებინათ ფასებით ბრძოლა ერთმანეთს შორის. მაგრამ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი ქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს შესაბამისი სისხლის სამართლის დარღვევად". უზენაესი სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას (შუალედურმა - სააპელაციო სასამართლომ უარყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება), ხაზი გაუსვა რა ფაქტს, რომ აშკარად არ არსებობდა მხარეთა შორის ურთიერთობები ამ საკითხთან დაკავშირებით, და რომ: მოცემულ გარემოებებში, იყო თუ არა „ტაქტიკური შეთანხმება" კონკურენტების ერთგვარი „შეთანხმების" შედეგი იძლეოდა სერიოზული დაფიქრების საფუძველს.

96. ატლანტიკური შაქრის საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ გარკვეული ეჭვები წარმოშვა, რომ „ტაქტიკური შეთანხმება" აღარ წარმოადგენს კონკურენციული კანონმდებლობის დებულებების სუბიექტს კარტელების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხში. 1986 წელს კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, შეიცავდა შემდეგ დებულებას:

ფარული შეთანხმების მტკიცებულება – (1) ქვენაწილის შესაბამისად წაყენებულ ბრალში: სასამართლოს შეუძლია დაასკვნას მხარეთა ფარული გარიგების, თანაზრახველობის, შეთანხმების არსებობის შესახებ ირიბი სამხილებით, პირდაპირი მტკიცებულებების არსებობის ან არარსებობის შემთხვევაში, მაგრამ ასეთი ბრალის წაყენება შეიძლება მხოლოდ გონივრული ეჭვის არსებობისას[12].

97. ამ შესწორების შემდგომი ინტერპრეტაცია კანონის მიმართ შემდეგ კომენტარს გვთავაზობს:

ახალი ქვენაწილი განმარტავს, რომ ტაქტიკური შეთანხმება კარტელური საქმიანობის კუთხით, მტკიცდება

ირიბი სამხილებით, რომლებიც ხედება კანონის 45 (2.1) ქვენაწილში. მაგრამ, ეს ნაწილი არანაირად არ ხსნის უფრო რთულ საკითხებს, კერძოდ იმას, თუ რა არის შეთანხმება კანონმდებლობის თვალსაზრისით, რა სახის ურთიერთობების არსებობაა აუცილებელი მხარეთა შორის, და როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან „შეთანხმება“ და უბრალოდ „შეთანხმებული მოქმედებები“.

98. ნებისმიერ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ კანადაში, ისევე როგორ აშშ-ში არსებული საერთო ტენდენცია მიმართულია კარტელების საქმეების რაოდენობის ზრდაზე, რომლებიც პასუხისმგებლობის შემსუბუქების პროგრამაზე იქნება დაფუძნებული.

6. დასკვნა

99. კარტელების დასჯის მიზნით, კონკურენციის ორგანოები ამჯობინებენ ჰქონდეთ კარტელური შეთანხმების არსებობის პირდაპირი მტკიცებულებები და ეს სულ უფრო და უფრო კარგად გამოსდით მათ. ირიბი სამხილები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ასეთ საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ იყენებენ როგორც ცალკე, ისე პირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად. ირიბი სამხილების მნიშვნელობა შესაძლოა კიდევ უფრო დიდი იყოს პირველი საქმეების წარმოებისას იმ ქვეყნებში, სადაც მხოლოდ ახლახანს დაიწყო ბრძოლა კარტელების წინააღმდეგ, და ასევე იმ ახალი ორგანოებისათვის, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობები.

100. არსებობს ირიბი მტკიცებულებების სხვადასხვა სახეები, და ზოგადად, ძნელია მათზე საუბარი, რადგან თითოეული საქმე ძალზე სპეციფიურია. ამასთანავე, ურთიერთობებისა და ქცევების მტკიცებულებები გვიჩვენებენ, რომ კომპანიის მოქმედებები არ შეესაბამება მის საკუთარ ინტერესებს. ასეთი საქმების გახსნაში, როგორც წესი, გვეხმარება ასევე სხვა ეკონომიკური მტკიცებულებებიც.

101. კარტელების საქმეების გახსნაში, რომლებიც ირიბ სამხილებზეა აგებული, ყველაზე დიდ დაბრკოლებას ქმნის ის, რომ ასეთ მტკიცებულებებს შეიძლება ჰქონდეთ ერთზე მეტი ინტერპრეტაცია. არსებობს რისკი, რომ კონკურენციის ორგანოების თანამშრომლები ძალიან კარგად არიან მომზადებული, რომ დაინახონ პარალელური ქცევა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ბაზრის მონაწილეთა დამოუკიდებელი მოქმედებების შედეგი და თითოეული მათგანი მოქმედებს საკუთარი ინტერესების დაცვით, ბაზრის მდგომარეობის საკუთარი შეფასებებიდან გამომდინარე. როგორც ზემოთაა აღნიშნული, მყარი ეკონომიკური პრინციპების გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიების ქცევების ინტერპრეტაციაზე, რათა ერთმანეთისაგან გამოიყოს კანონიერი ცალმხრივი, და უკანონო შეთანხმების შედეგად განხორციელებული ერთობლივი მოქმედებები.

---

[1] რა თქმა უნდა, საბაზრო წილი საბაზრო სტრუქტურის ელემენტსაც წარმოადგენს. სტაბილური საბაზრო წილი შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს როგორც ქცევა ამ განხილვის მიზნებისათვის, იმიტომ, რომ იგი შეიძლება იყოს კონკურენტებს შორის უკანონო შეთანხმების შედეგი იმასთან დაკავშირებით, რომ არ გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია

[2] ინფორმაციის გაცვლის პრობლემატიკა მოიცავს ინფორმაციას მიმდინარე ფასების, ხარჯების, ბიზნეს-გეგმების, სიმძლავრეების გამოყენების შესახებ, ან სხვა საჯარო საქმიან ინფორმაციას. აშკარაა, რომ ასეთი ინფორმაციით სარგებლობა აადვილებს კარტელის საქმიანობას და ხელს უწყობს როგორც შეთანხმების პირობების განსაზღვრას, ისე მათი შესრულების კონტროლს;


[3] ინფორმაცია ფასების შესახებ – ინფორმაციის გაცვლის ეს ფორმა, ჩვეულებრივ, ხორციელდება საზოგადოების განცხადებით მომავალი ფასების ან საფასო პოლიტიკის შესახებ. აშკარაა, რომ ეს ინფორმაცია შეიძლება დაეხმაროს კონკურენტებს შეთანხმების მიღწევაში.

[4] გადაზიდვების ანაზღაურების შეღავათიანი პირობების წარდგენა არის სქემა, რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა საქონელი იყიდება მიწოდების ბაზისით (ფრახტი ხორციელდება გამყიდველის მიერ) ან „საბაზისო პუნქტის" პირობით, როდესაც ფრახტზე პასუხისმგებელია ყველა გამყიდველი, რადგან მათი პროდუქცია გასაყიდად იგზავნება ერთი და იმავე პუნქტიდან, რაც აქრობს განსხვავებებს ფასში და უადვილებს კონკურენტებს ფასების განსაზღვრას კარტელურ შეთანხმებაში, და მის კონტროლს.

[5] ფასების დაცვა (კონკურენტების შეხვედრა) და უპირატესი ხელშეწყობის პოლიტიკა ეხება სიტუაციას, როდესაც მყიდველისათვის გარანტირებულია კონკურენტი გამყიდველების (ფასების დაცვა) ან სხვა მყიდველებზე საქონლის რეალიზატორი გამყიდველების (უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი) მიერ შეთავაზებული მინიმალური ფასი. რაც ყველა შემთხვევაში არაკონკურენციულია, მაგრამ, სწორად გათვლილ პირობებში, კარტელის წევრებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს პრაქტიკა კარტელის საქმიანობისათვის ან კარტელის შიგნით დასჯის მექანიზმის ამოქმედებისათვის.

[6] შეთანხმება პროდუქციის არასაკმარისად დებულო შემზღუდავ სტანდარტზე, ხელს უწყობს ბაზრის იმ ახალი მონაწილეების გაჩენას, რომლებმაც შესაძლოა დესტაბილიზაცია შეიტანონ კარტელში.

7 ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორ კონკურენტს: კომპანია 1 და კომპანია 2-ს და განსაზღვრავს შემოსავალს, რომელიც შეესაბამება შესაძლო ღონისძიებათა კომპლექსს 1-ლი და მე-2 მათგანისათვის:



მაგალითად, თუ კომპანია 1-ის ფასები მაღალია, კომპანია 2-ის კი დაბალი, მაშინ კომპანია 1 მიიღებს 3-ს და კომპანია 2 მიიღებს 15-ს. იმისათვის, რომ ვიპოვოთ *ნეშის წონასწორობა* და გამოვსახოთ თუ როგორ განსაზღვრავენ ცალმხრივი ინიციატივები ნეშის წონასწორობას, დავიწყოთ უჯრედით, სადაც კომპანია 1 და კომპანია 2 ზრდიან ფასებს. ეს უჯრედი გვიჩვენებს, რომ ორივე კომპანია მიიღებს 10-ს. ამას დავრქვათ შემოსავალი, რომელსაც თითოეული კომპანია მიიღებს, თუკი უკანონოდ შეთანხმდებიან ფასების დაფიქსირებაზე. იმისათვის, რომ გავიგოთ მასტიმულირებელი მიზეზები, რომლებიც ამოძრავებენ თითოეულ კომპანიას, ვკითხოთ, რა უნდა გააკეთოს კომპანია 1-მა, თუ იგი ფიქრობს, რომ კომპანია 2 გაზრდის ფასებს. თუ კომპანია 2 გაზრდის ფასებს, მაშინ კომპანია 1-ის შემოსავალი შეიძლება გაუტოლდეს 10-ს თუკი იგიც გაზრდის ფასებს, ან 15-ს, თუკი იგი დაარღვევს კარტელურ შეთანხმებას და შეამცირებს ფასებს. რადგან 15 მეტია 10-ზე, მაშინ კომპანია 1-ის ინტერესებში იქნება, რომ ფასები შეამციროს. ახლა, კომპანია 2-მა იცის, რომ თუ კომპანია შეამცირებს ფასებს, მაშინ მან შეიძლება მიიღოს 4, თუკი ისიც შემცირებს ფასებს, ან 3, თუკი გააგრძელებს ფასების ზრდას. რადგანა 4 მეტია 3-ზე, მაშინ კომპანია 2-ის ინტერესებში იქნება ფასების შემცირება. სწორედ ეს გახლავთ ნეშის წონასწორობა, რადგან თითოეული კომპანია ეძებს უკეთეს პასუხს მეორე კომპანიის უკეთეს პასუხზე და შესაბამისად, ორივე მათგანი ამცირებს ფასებს.

[8] სტიგლერის მიერ იმ პრობლემის აღწერა, რომელსაც კარტელის წევრები აწყდებიან კარტელის შექმნისა და მუშაობისას, შეიძლება

სასარგებლო სახელმძღვანელო იყოს კონკურენციის ორგანოსათვის, როდესაც იგი ცდილობს ააგოს კარტელური შეთანხმებების საქმე ირიბ მტკიცებულებებზე, რადგან, კარტელის წევრების მცდელობებმა, რომ გეერდი აუარონ ამ პრობლემას, შეიძლება სამხილების კვალი დატოვოს. კონკურენციის ორგანოს შეუძლია გააძლიეროს თავისი „საიდუმლო ისტორია". თუკი, იმის მტკიცებისას, რომ კომპანიის ქცევა არ შეესაბამება მის საკუთარ ცალმხრივ ინტერესებს, ამ ორგანოს ექნება ასევე მტკიცებულებები, რომლებიც წარმოაჩენენ, თუ როგორ წყვეტდნენ კარტელის წევრები კარტელის შექმნის, ერთმანეთის თვალყურის დევნების და/ან ტყუილისათვის დასჯის პრობლემებს.

[9] კომპანია Reserve Supply Corporation, კომპანია Owens-Corning Fiberglas Corporation–ის წინააღმდეგ.

[10] რა თქმა უნდა, ამ საქმეთა უმეტესობაში ირიბი სამხილები იყო წარმოდგენილი. როგორ ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა სახის მტკიცებულებები შეიძლება ერთად იქნას გამოყენებული.

[11] შერმანის კანონის მიხედვით, შესაძლებელია როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლებრივი სანქციების გამოყენება, მაგრამ, ხანგძლივი დროის განმავლობაში 1890 წლიდან, მას შემდეგ როდესაც ეს კანონი მიიღეს, საქმეთა უმეტესობა სამოქალაქო სამართლის ქვეშ ხედებოდა. ამას გარდა, შერმანის კანონის დარღვევა მრავალი წლის განმავლობაში მიიჩნეოდა წვრილ, ნაკლებად საშიშ დანაშაულად. მაგრამ, 1970-იან წლებში შერმანის კანონში შეტანილი იქნა შესწორებები და ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაულები მიიჩნიეს განსკუთრებით საშიშ დანაშაულებად, რომელთა მიმართაც მაქსიმალური სანქციები დადგინდა. შემდგომში სასჯელის ზომა კიდე უფრო გაიზარდა და ამჟამად, კორპორაცია შეიძლება დაჯარიმდეს 100 მილიონ აშშ დოლარამდე. (უფრო მაღალი ჯაროიმითაც კი, ამერიკული კანონმდებლობის ალტერნატიული დებულებების მიხედვით). ხოლო ფიზიკური პირების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას პატიმრობა 10 წლამდე ვადით და ჯარიმა 1 მლნ აშშ დოლარამდე თანხით.

[12] კანონი კონკურენციის შესახებ, პარაგრაფი 45 (2.1)

I.8. კონკურენცია ტენდერებისა და სახელმწიფო შესყიდვების დროს [29]

სახელმწიფო შესყიდვები - ძირითადი სიძნელეები:

- ინსტიტუციონალური ფაქტორები:
  – შესყიდვები არაკომერციული სტრუქტურის მიერ;
  – „სხვისი ფულის“ ხარჯვა.
- ფაქტორები, რომლებსაც აქვს კავშირი სახელმწიფო შესყიდვების პროცესთან:
  – ტენდერებში კონკურენცია შესაძლებელია ადვილად (შედარებით) შეიზღუდოს;
  – ხშირ შემთხვევაში კარტელის გამოვლენა გაძნელებულია.

რა ამარტივებს გარიგებებს ტენდერებში?

- კარტელს გააჩნია „დამცველი“ - შემსყიდველი, რომელიც აქვეყნებს განცხადებას ტენდერის თაობაზე;
- კონკურენცია შეზღუდულია დროში;
- განმეორებითი თამაშები შემდგომი კონკურსების დროს.

როგორ ხდება გარიგების გამოვლენა წინადადებების მიხედვით?

- „უკურეკონსტრუქცია“ - წინადადებების მიხედვით გარიგების მეთოდების ცოდნა საშუალებას აძლევს შემსყიდველებს დაინახონ ასეთი პრაქტიკის შესაძლებლობა;
- შემსყიდველთა მხრიდან მუდმივი მუშაობა გარიგების შესაძლებლობათა გასაგებად;

- საეჭვო დარგების გამოვლენა და მოვლენათა განვითარების მუდმივი კონტროლი;
- გამოვლენის შემოქმედებითი მეთოდების შემუშავება.

წინადადებათა მიხედვით გარიგების მეთოდები (1):

- ერთჯერადი გარიგება:
  – სუბკონტრაქტები;
  – შემოსავლების განაწილება;
  – შეთანხმება წინასწარი გადახდების შესახებ გამარჯვებულსა და სხვა მონაწილეებს შორის;
  – განაწილება ტენდერის ელემენტების მიხედვით;
  – გარიგების მეორე ეტაპი.

წინადადებათა მიხედვით გარიგების მეთოდები (2):

- წინადადებათა მიხედვით მრავლობითი გარიგებები:
  – გამარჯვებულთა როტაცია;
  – გეოგრაფიული განაწილება;
  – განაწილება იმის მიხედვით თუ ვინ ატარებს შესყიდვებს;
  – განაწილება პროექტის ხასიათის შესაბამისად.

კონტროლი შემსყიდველის მხრიდან:

- გამაფრთხილებელი ნიშნები:
  – იდენტური წინადადებები;
  – სხვადასხვა მონაწილეთა საგანაცხადო დოკუმენტაციაში განმეორებადი შეცდომები;
  – პროექტი ხორციელდება არა გამარჯვებულის არამედ კიდევ ვიღაცის მხრიდან;
  – ტენდერებში გამარჯვების განმეორებადი სქემების გამოვლენა;
  – გადახრები დანახარჯების მოსალოდნელი შეფასებებიდან.

თავიდან აცილების ადრეული ზომები:

- საკონკურსო ტენდერების დაპროექტება იმგვარად, რომ გარიგება გახდეს გაძნელებული:
  – პოტენციალური მონაწილეების წრის გაფართოება;
  – პოტენციალურ მონაწილეთა სიის დაცულობა (გამოუაშკარავებლობა);
  – განაცხადების ავტორი ფირმების დასახელებების გამოუქვეყნებლობა;
  – კონკურსის მონაწილეთა შორის შეხვედრებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი;
  – მონაწილეთა დაჟალდებულება თავიანთ განაცხადებაში მიუთითონ დანახარჯების თითოეული ელემენტის ფასი;
  – დანახარჯების წინასწარი დათვლა.

კონკურენციის ორგანოების როლი:

- იმ დარგების გამოვლენა, სადაც ადვილადაა შესაძლებელი გარიგება საკონკურსო განაცხადების მიხედვით:
  – სახელმწიფო შესყიდვებზე ორიენტირებული დარგები;
  – ამ დარგებში მოქმედი კომპანიების უმნიშვნელო რიცხვი;
  – ხშირი ტენდერები;
  – „კლასიკური" დარგები.

- გამოძიების მეთოდები:
  – მოულოდნელი შემოწმებები და დოკუმენტების ამოღება;
  – ფარული დაკვირვება და მოსმენა;
  – კონკურსის მონაწილეებად აგენტების ჩანერგვა.

თავიდან აცილების ეფექტური გზები:

- სამართალდარღვევის მნიშვნელობა (ფასი) განისაზღვრება შეფარდებით პოტენციალურ

სარგებელსა, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნას და შესაძლო გამოვლენასა და დასჯას შორის, დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში;

- დასჯა უნდა იყოს მნიშვნელოვანი სატენდერო განაცხადების გარიგებათა მაღალი შემოსავლებისა და დარღვევათა შედარებით სწორხაზოვანი ხასიათის გამო:

  – *აშშ:* განსაკუთრებული სიმკაცრით ისჯება სატენდერო გარიგებები „ჩვეულებრივ“ საფასო გარიგებებთან შედარებით. 1970-1989 წწ. პერიოდში დაპატიმრებაზე განაჩენების 90% გამოტანილი იყო სატენდერო გარიგებათა საქმეებზე;

  – *ისრაელი:* მოსამართლეები განსაკუთრებულად მძიმედ მიიჩნევენ დარღვევებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სატენდერო გარიგებებთან.

- დამატებითი არგუმენტები მკაცრი დასჯის სასარგებლოდ:

  – კონკურენტული მოსაზრებები და საზოგადოებრივი დაინტერესება სახელმწიფო სახსრების დასაცავად.

I.9. კონკურენციის დაცვა საკონკურსო ვაჭრობებში [41]

საკონკურსო ვაჭრობები შესყიდვის კონტრაქტების საჯარო განაწილების დროს, საზოგადოების ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს. თუმცა, საკონკურსო ვაჭრობების პროცესში შეიძლება დაირღვეს კონკურენციის პრინციპი, ამიტომ, აუცილებელია დამცავი ზომების მიღება, რაც განხილულია წარმოდგენილ პარაგრაფში.

კონკურენციის დაცვა საკონკურსო ვაჭრობების გამართვისას, მნიშვნელოვანი ამოცანაა. ერთი კონკრეტული შემთხვევის განხილვამ კანადაში საქონლის შესყიდვის სამთავრობო კონტრაქტთან დაკავშირებით, გამოავლინა, რომ კონკურენციის არარსებობის პირობებში, მთავრობისათვის შეთავაზებული ფასები ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ეს იქნებოდა კონკურენციის არსებობის შემთხვევაში[1]. მსგავს თემატიკაზე კანადაში ჩატარებულმა შედარებითმა კვლევამ აჩვენა, რომ განაცხადების რაოდენობის ზრდის შედეგად, პროექტის ღირებულება 2-დან 18-მდე პროცენტით შემცირდა[2]. აშშ-ში ყოველ წელს ვლინდება ასობით კონტრაქტი, რომელთა განაცხადები გაყალბებულია, და მთავრობა მილიონობით დოლარის ამოღებას ახდენს. ყალბი განაცხადების მნიშვნელოვანი რაოდენობაა გამოვლენილი სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის – გერმანიასა და იაპონიაში.

ამ პარაგრაფში, ***ჯერ ერთი,*** კეთდება ზოგიერთი შენიშვნა საკონკურსო ვაჭრობების მიზანშეწონილობისა და მათთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემების შესახებ; ***მეორე,*** აქვე აღწერილია საკონკურსო ვაჭრობის ტიპიური პროცედურა აშშ-ისათვის; ***მესამე,*** წარმოდგენილია რეკომენდაციები საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესახებ, რომელთა მიზანია მთავრობის დაცვა განაცხადების გაყალბებისა და სხვა სახის თაღლითობებისაგან.

ზოგადი შენიშვნები საკონკურსო ვაჭრობებთან დაკავშირებით

საკონკურსო ვაჭრობის კარგად ორგანიზებისთვის, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ის მიზეზები, რომელთა გამოც იქნა შემოღებული საკონკურსო ვაჭრობის პროცედურები და ასევე გავეცნოთ ზოგიერთ ძირითად საფრთხეს, რომლებიც თავიდან უნდა ავიცილოთ საკონკურსო ვაჭრობის დროს.

რისთვისაა საჭირო საკონკურსო ვაჭრობა?

საკონკურსო ვაჭრობა ეწყობა საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით. სამთავრობო (და ბევრი კერძო) მყიდველები და გამყიდველები საკონკუსო ვჭრობის ფორმას იყენებენ იმიტომ, რომ ისარგებლონ ჯანსაღი კონკურენციის უპირატესობებით საქონლის ყიდვა-გაყიდვისას. ამასთან, როდესაც ისინი მოქმედებენ მყიდველის სახით, სურთ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ, ხოლო როდესაც გამყიდველის პოზიციიდან მოქმედებენ, სურთ, რომ რაც შეიძლება მეტი ფული მიიღონ საქონლის გაყიდვით. საკონკურსო ვაჭრობა – ეს არის კონტრაქტის პატიოსნად და კეთილსინდისიერად გადაცემის საშუალება, რომელიც გამორიცხავს ფავორიტიზმს, არაპატიოსან გარიგებებსა და კორუფციას.

რაში მდგომარეობს საკონკურსი ვაჭრობის პროცედურის საფრთხე?

საკონკურსო ვაჭრობის პროცედურას აქვს ჩავარდნის ორი შესაძლო საფრთხე:

- განაცხადების გაყალბება – ვაჭრობის ყველა მონაწილე თანხმდება და უარს აცხადებენ რა კონკურენციაზე, ატყუებენ მთავრობას;
- კორუფცია – ვაჭრობის ერთ-ერთი მონაწილე და მთავრობის რომელიმე მოხელე თანხმდებიან, რათა

ყველაფერი ისე მოაწყონ, რომ ჯანსაღი კონკურენციისა და გამარჯვებულის პატიოსნად გამოვლენის ნაცვლად, კონტრაქტი მიიღოს სწორედ მათმა ფავორიტმა მონაწილემ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო ვაჭრობის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია, რომ გვახსოვდეს ამ ორი საფრთის შესახებ.

რა არის გაყალბებული განაცხადი?

გაყალბებული განცხადი შეიძლება მრავალი ფორმით იქნას წარმოდგენილი, მაგრამ ყველა მათგანი ერთი და იმავე ძირითადი სქემიდან გამომდინარეობს: თუ მონაწილეები შეძლებენ და შეთანხმდებიან, რომ არ გაუწიონ ერთმანეთს კონკურენცია საკონკურსო ვაჭრობისას, მაშინ ისინი შეძლებენ შესთავაზონ მთავრობას უფრო მაღალი ფასი თავიანთი მომსახურებისათვის. არსებითად, განმცხადებლები თანხმდებიან, რომ იმოქმედონ მონოპოლიის სახით.

აშშ-ში საკონკურსო ვაჭრობის ჩატარების ტიპიური პროცედურა

აშშ-ში საკონკურსო ვაჭრობის პროცედურები, ზოგადად, სამ ნაწილად იყოფა:

ამოცანები

საკონკურსო ვაჭრობის შესახებ განცხადებაში მიეთითება კონკურსის მონაწილეთა მიმართ წაყენებული ამოცანები. ეს ამოცანები აღწერილია საკმაოდ დეტალურად, რათა ყველა პოტენციურ მონაწილეს ნათელი წარმოდგენა შეექმნას, თუ რა მოთხოვნები იქნება წაყენებული გამარჯვებულის მიმართ. კერძოდ, ეს - (1) კონკურენციის სტიმულს აძლევს ფირმებს ვაჭრობაში მონაწილეობისათვის, აძლევს რა მათ საკმარის ინფორმაციას აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად; და (2) იძლევა გარანტიას,

რომ მთავრობა შეძლებს მოითხოვოს გამარჯვებულისაგან ამოცანების ჩამონათვალში მოცემული ყველა სამუშაოს შესრულება.

მოთხოვნები განმცხადებლების მიმართ

საკონკურსო ვაჭრობის შესახებ განცხადებაში მიეთითება განმცხადებლების მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა და საკვალიფიკაციო პირობა. მაგალითად, თუ მთავრობა საჭიროდ თვლის, რომ გამარჯვებულს ჰქონდეს კონტრაქტში მითითებულ სფეროში საქმიანობის სულ მცირე 2-წლიანი სტაჟი, მაშინ ეს მოთხოვნა უნდა აისახოს განცხადებაში. ყველა ფირმისაგან მოითხოვება, რომ მათ განცხადებაში შეიტანონ წერილობითი რწმუნება, რომ შეუძლიათ დააკმაყოფილონ წაყენებული მოთხოვნები, ან წარმოადგინონ დოკუმენტები, თუ რა გზით აპირებენ ასეთი მოთხოვნების შესრულებას (სააგენტომ თავი უნდა დაიცვას ისეთი ფირმებისაგან, რომლებიც არასანდო ინფორმაციას იძლევიან თავიანთი შესაძლებლობის შესახებ, მოცემულ კონტრაქტთან დაკაშირებით. სააგენტო ხშირად თხოულობს, რომ გამარჯვებულმა შემოიტანოს მნიშვნელოვანი რაოდენობის ფული – ე.წ. „განაცხადის დეპოზიტი“. თუ გამარჯვებულმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა სააგენტოს მოცემულ კონტრაქტთან მიმართებაში მისი ვარგისიანობის შესახებ, მაშინ დეპოზიტი მას უკან აღარ დაუბრუნდება).

მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო მოთხოვნების რაოდენობა იყოს მინიმალური. ძალზე მაღალი მოთხოვნების შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადების რაოდენობა შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს.

კონტრაქტების მინიჭება

განაცხადების წარდგინება ხდება დალუქულ კონვერტებში, დადგენილი ვადის ამოწურვამდე. ამის შემდეგ, განაცხადები საჯაროდ იხსნება და ცხადდება თითოეული განმცხა-

დებლის ვინაობა, აგრეთვე ის, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი წაყენებულ მოთხოვნებს (ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე ცხადდება განაცხადში მითითებული ფასი. მაგრამ, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ინფორმაცია უნდა გამოცხადდეს გარკვეული დროის შემდეგ, რათა გართულდეს შეთანხმებების დადება განმცხადებლებს შორის).

ყოველივე ამის შემდეგ, განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნებს, განიხილება და ხდება გამარჯვებულის შერჩევა. ანუ, შეირჩევა ის განაცხადი, სადაც მითითებულია საუკეთესო ფასი

განაცხადების გაყალბების სტრატეგია

განაცხადების გაყალბებისათვის აუცილებელი პირობები

იმისათვის, რომ განაცხადების გაყალბება წარმატებით დასრულდეს, გამყალბებლებმა გარკვეული პრობლემები უნდა გადაჭრან. ამ პრობლემების ცოდნა კონტრაქტების მიმცემებს ეხმარება, რომ თავიდან აიცილონ განაცხადების გაყალბება, ხოლო ანტიმონოპოლური კანონმდებლობის დამცველებმა – გამოავლინონ ასეთი გაყალბებები.

განაცხადების გაყალბებათა მიზანია, რომ განმცხადებელმა (განცხადების შემომტანმა) მიიღოს კონტრაქტი ისეთ ფასად, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა („კონკურენციული ფასი“). ამ მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობების არსებობა:

1. გამყალბებლებმა შეთქმულებაში უნდა ჩაითრიონ ყველა სოლიდური განმცხადებელი, რადგანაც, ერთი სერიოზული განმცხადებელი მაინც არ მონაწილეობს ასეთ შეთქმულებაში, მაშინ სწორედ მას შეუძლია მოიგოს ვაჭრობა კონკურენტული ფასით, და გამყალბებლების ყველა მცდელობა ამაო აღმოჩნდება (მსხვილ ფალსიფიკა-

ტორებს შეუძლიათ არ გაუწიონ ანგარიში „არასერიოზულ“ განმცხადებლებს, ანუ ფირმებს, რომელთა შესახებაც მათ იციან, მაგრამ, რომლებსაც არ შეუძლით დააკმაყოფილონ საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ან, როდესაც მათი განაცხადები იმდენად მაღალი ფასისაა, რომ ვერც კი უახლოვდება კონკურენციულ ფასს).

2. გამყალბებლები უნდა შეთანხმდნენ მოგების განაწილებზე. თუ თითოეული მონაწილე არ მიიღებს თავის წილს, მაშინ მისთვის აზრი აღარ ექნება ამ გარიგებაში მონაწილეობას.

3. გამყალბებლებმა თავიდან უნდა აიცილონ გარიგების დარღვევა. ისინი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ შეთქმულების არც ერთი მონაწილე არ დაარღვევს პირობას და არ წარადგენს კონკურენციულ განაცხადს. განაცხადების გამყალბებლების კარტელში ამას ხშირად „ტყუილს“ უწოდებენ.

არის შემთხვევები, როდესაც გაყალბების შესახებ შეთანხმება ეხება ერთადერთ კონტრაქტს. მაგრამ, უფრო ხშირია გრძელვადიანი კარტელები, რომლებიც რომელიმე შემსყიდველი სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონტრაქტების მთელ სერიაზე მუშაობენ. გაყალბების შესახებ შეთანხმებების უმეტესობის ხანგრძლივობა გავლენას ახდენს იმ პირობებზე, რომლებიც დაცული უნდა იქნას წარმატების მისაღწევად. ეს ზეგავლენას ახდენს აგრეთვე გამყალბებლების ტაქტიკაზე და განსაზღვრავს იმ ზომებსაც, რომლებიც კონტრაქტების მიმცემებმა და ანტიმონოპოლური კანონის აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ მსგავსი კარტელების შექმნის თავიდან ასაცილებლად.

განაცხადების გაყალბების ტაქტიკა

არსებობს რამდენიმე ძირითადი სქემა, რომლებიც განაცხადების გასაყალბებლად გამოიყენება. კერძოდ,

• ***განაცხადების როტაცია*** – ყველა მონაწილე თანხმდება, რომ რიგ-რიგობით გახდნენ გამარჯვებულები. დანარჩენი მონაწილეები წარადგენენ განაცხადებს, რომელთა ფასები, როგორც მათ თავიდანვე იციან, ძალზე მაღალია წარმატების მოსაპოვებლად (შემავსებელი განაცხადები);

• ***ბაზრის დაყოფა*** – განაცხადები შეიძლება დაიყოს გამყალბებლებს შორის გეოგრაფიული ან სხვა კრიტერიუმებით;

• ***გადახდები*** – განაცხადების როტაციის ან ბაზრის დაყოფის სქემების გამოყენების შემთხვევაში (ან თუ ეს სქემები არაა ადეკვატური მოგების გასანაწილებლად), გამყალბებლებს შეუძლიათ მიმართონ გადახდების სისტემას. ასეთ დროს, გამყალბებლების მიერ შეირჩევა ერთ-ერთი მონაწილე, რომელმაც ვაჭრობა უნდა მოიგოს. სხვა მონაწილეები კი, ან საერთოდ არ წარადგენენ განაცხადებს, ან კიდევ წარადგენენ შემავსებელ განაცხადებს. ვაჭრობის გამარჯვებული კი დანარჩენ გამყალბებლებს უხდის შესაბამის თანხებს. რა თქმა უნდა, გადახდა წარმოებს გაყალბების შედეგად მიღებული დამატებითი მოგებიდან. ზოგჯერ, ასეთ შეთანხმებას საკონკურსო ვაჭრობის 'პული" ეწოდება. გადახდებმა ასევე შეიძლება მიიღოს გამყალბებლებს შორის ადრევე შეთანხმებული ქვეკონტრაქტირების ფორმა;

• ***განაცხადების წარდგენის დაყოვნება*** – რამდენიმე პოტენციური განმცხადებელი თანხმდება, რომ არ წარადგინონ განაცხადები. ეს საშუალებას აძლევს ერთ-ერთ მათგანს, რომ წარადგინოს განაცხადი და მოიგოს ვაჭრობა, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ შეთავაზებული ფასი უფრო მაღალია, ვიდრე კონკურენციის შემთხვევაში იქნებოდა;

• ***შემავსებელი განაცხადები*** – რამდენიმე კონკურენტი თანხმდება, რომ წარადგინონ განაცხადები მომატებული ფასებით. მათ იციან, რომ მოგებას ვერ

შეძლებენ, და რომ ვაჭრობაში გაიმარჯვებს გამყალბებლებს შორის შეთანხმებული ფირმა, შეთანხმებული ფასით. ეს ფასი კონკურენციულზე უფრო მაღალია. მიზეზი კი, რომლის გამოც ისინი წარადგენენ შემავსებელ განაცხადებს, არის ის, რომ დააჯერონ კონტრაქტის მიმცემები, რომ მათ ისარგებლეს კონკურენციის უპირატესობებით, თუმცა, რა თქმა უნდა, სინამდვილეში არ უსარგებლიათ;

• ***მუქარები*** – ზოგჯერ კონკურენტების მიმართ, რომლებსაც არ სურთ კარტელში შესვლა, ხორციელდება მუქარა. ჩვეულებრივ, ასეთი მუქარები ეკონომიკური ხასიათისაა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარასაც.

განაცხადების გაყალბების აღკვეთის რეკომენდაციები

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები წარმოადგენენ გაყალბების საწინააღმდეგო საშუალებას და აქედან გამომდინარე, გარანტიას, რომ მთავრობა ისარგებლებს კონკურენციის უპირატესობებით საკონკურსო ვაჭრობის პროცედურებში. ***არსებობს დამცავი ზომების სამი ძირითადი ტიპი: პირველი,*** ესაა ყველა მონაწილის საერთო ინსტრუქტაჟი, რათა ყველა მათგანმა გაიაზროს, რომ განაცხადების გაყალბება ანტიმონოპოლური კანონის დარღვევაა, და გაეცნონ პოტენციურ პრობლემებს (რეკომენდაციები 3 და 12). ***მეორე,*** არსებობს მექანიზმები, რომლებიც იძლევა ჩარევის შესაძლებლობას, რათა აღკვეთილი იქნას გამყალბებელთა კარტელის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. ეს განსაკუთრებით ეხება გრძელვადიან კარტელებს, რომლებიც კონტრაქტების მთელ სერიებზე მუშაობენ. მაგალითად, შეიძლება მიღებული იქნას ისეთი ზომები,

რომლებიც გაართულებენ გამყალბებლების მიერ ყველა შესაძლო განმცხადებლის გამოვლენას ან განაცხადების დანაწილებას ერთმანეთს შორის (რეკომენდაციები 1, 2, 5, 6, 7, 9 და 10). ***მესამე,*** არსებობს გამყალბებელთა კარტელების გამოვლენის საშუალებები. გამოვლენის საშუალებები შესაძლოა იმავდროულად გამოვიყენოთ როგორც პროფილაქტიკური საშუალება: ნაკლები ხალხი გადაკვეთს ქუჩას წითელ შუქზე, თუ გზაჯვარედინზე პოლიციელს ხედავს. ამის მსგავსად, დაჭერის დიდი რისკი გაყალბებისაგან თავის შეკავებისაკენ უბიძგებს გამყალბებლებს (რეკომენდაციები 3, 4, 5, 7 და 11).

1. საკონკურსო ვაჭრობის გახსნა

სასურველია, რომ საკონკურსო ვაჭრობა იყოს ღია, ანუ თითოეულ პირს ჰქონდეს განაცხადის წარდგენის უფლება. როდესაც ვზღუდავთ მონაწილეთა რაოდენობას, ეს ზრდის მონაწილეთა შორის შეთანხმების რისკს. კერძოდ, თუ გამოცხადდება „დაშვებული“ გამცხადებლების სია, მათ უფრი გაუადვილდებათ ერთმანეთთან შეთანხმება, რადგან ეცოდინებათ ყველა მონაწილე, რომელთანაც უნდა დადონ გარიგება, რათა სქემამ იმუშაოს („დაშვებული“ განმცხადებლების სიით სარგებლობენ მაშინ, როდესაც მოითხოვება, რომ განმცხადებელს ჰქონდეს გარკვეული უნარები, აღჭურვილობა ან სხვა კვალიფიკაციები. თუ აუცილებელია, რომ განმცხადებელს ჰქონდეს ასეთი კვალიფიკაცია, მაშინ შეიძლება სხვა გზით წავიდეთ. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება შევიტანოთ ოფიციალურ განცხადებაში ვაჭრობის შესახებ, ხოლო იმ ფირმების განაცხადები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეიძლება უბრალოდ იგნორირებულ იქნას). თუ ასეთი სიის შედგენა აუცილებელია, მაშინ იგი არ უნდა გამოცხადდეს. ეს დიდ გაურკვევლობას შეუქმნის განმცხადებლებს და გაურთულებს მათი შეთანხმების მიღწევას.

2. განმცხადებელთა წახალისება

სასურველია, რომ ვაჭრობაში მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი განმცხადებელი. რაც უფრო მეტი იქნება მათი რიცხვი, მით უფრო გართულდება განაცხადების გაყალბებაზე შეთანხმება, იმ უბრალო მიზეზით, რომ დიდ ჯგუფში შეთანხმება უფრო ძნელია, ვიდრე პატარა ჯგუფში. ამასთანავე, თუ პოტენციურ გამყალბებლებს ექნებათ მღელვარების საფუძველი, რომ რომელიმე 'უცხო" ფირმა (რომელი შეთქმულებაში არ მონაწილეობს), რომლის შესახებაც მათ არ იციან, შეიტანს განაცხადს, მაშინ ისინი უფრო ნაკლებად იფიქრებენ გაყალბებაზე. ამიტომ, განმცხადებელთა დიდი რიცხვის მოწვევა ვაჭრობაში, აიძულებს გამყალბებლებს, რომ სიფრთხილე გამოიჩინონ უცხო ფირმებისადმი.

განმცხადებელთა რაოდენობის ზრდა შესაძლოა სარგებლიანი აღმოჩნდეს შემსყიდველი სააგენტოსათვის არა მარტო იმის გამო, რომ გაყალბების მადა დაეკარგებათ გამყალბებლებს. გამოკვლევები აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია ვაჭრობაში მონაწილეთა რაოდენობა, მით უკეთესია ფასი. კანადაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ განმცხადებელთა რაოდენობის გაზრდამ 3-დან 4-მდე, ფასის 18%-მდე ცვლილება გამოიწვია, 7-დან 8-მდე გაზრდამ – 4%—მდე ცვლილება, 10-დან 11-მდე გაზრდამ კი 2%-მდე ცვლილება[3].

3. შეტყობინება ანტიმონოპოლური კანონის შესახებ

სასურველია, რომ საჯარო განცხადება ვაჭრობის შესახებ, შეიცავდეს შემდეგს:

თითოეული განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ვაჭრობის სხვა შესაძლო მონაწილეებთან შეთანხმებები ან განხილვები

არ დაიშვება. ვაჭრობის პოტენციურ მონაწილეთა შორის რაიმე სახის შეპირება ან შეთანხმება არის ანტიმონოპოლური კანონის დარღვევა და ამან შეიძლება გამოიწვიოს მკაცრი სასჯელი, ასევე დისკვალიფიკაცია მიმდინარე და მომავალი ვაჭრობებიდან. ყველა განაცხადი უნდა შეიცავდეს საკონკურსო ვაჭრობის მონაწილეთა მიერ ხელმოწერილ დასტურს, რომ განაცხადი მომზადდა მათ მიერ დამოუკიდებლად, ანტიმონოპოლური კანონის შესაბამისად.

4. განცხადება შეთანხმების დაუშვებლობის შესახებ

ვაჭრობის თითოეულმა მონაწილემ თავის განაცხადში, განაცხადის ნაწილის სახით უნდა შეიტანოს პირობა, რომ განაცხადი წარდგენილია სხვებისაგან დამოუკიდებლად და რომ იგი არ ყოფილა განხილული და შეთანხმებული ვაჭრობის სხვა პოტენციურ მონაწილეებთან. განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა აუცილებელი ფორმალობის დაცვით. აშშ-ში მიღებული პრაქტიკით, მსგავსი ხასიათის ყალბი განაცხადების გაკეთება ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, როგორც თაღლითობა.

5. ინფორმაციის შეგროვება ქვეკონტრაქტებისა და მსგავსი შეთანხმებების შესახებ

რიგ შემთხვევებში სასარგებლოა იმის მოთხოვნა, რომ განაცხადი შეიცავდეს ინფორმაციას ქვეკონტრაქტებისა და მსგავსი შეთანხმებების შესახებ. ადრე დათქმული ქვეკონტრაქტები კონკურენტებს შორის, ხოგჯერ გადახდების სახეს ღებულობს გამყალბებელთა კარტელებში. ქვეკონტრაქტები ასევე გამოიყენება კორუმპირებული მოხელეების მოსყიდვის მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში, შემსყიდველი სააგენტო უნდა ფლობდეს ინფორმაციას

მსგავსი ქვეკონტრაქტების შესახებ, როცა აფასებს განაცხადებს კონტრაქტის გასაცემად.

6. შეთავაზებული კონტრაქტების ზომის ცვლილებები

თუ საკონკურსო ვაჭრობაზე გამოტანილია ერთი და იმავე ტიპის კონტრაქტების დიდი რაოდენობა ერთდროულად ან დროის გარკვეულ პერიოდში, და ყველა ასეთი კონტრაქტი დაახლოებით ერმანეთის ტოლი სიდიდისაა, მაშინ გამყალბებლები ძალზე მარტივად შეძლებენ მათ დანაწილებას ერთმანეთს შორის და რიგ-რიგობით 'დანიშნავენ" გამარჯვებულს (განაცხადების როტაცია). ხოლო, თუ კონტრაქტების რაოდენობა მცირეა და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდით, მაშინ გამყალბებლებს გაუჭირდებათ მათი დანაწილება ერთმანეთს შორის. ამასთანავე, თუ კონტრაქტი დიდი ზომისაა, მაშინ კარტელის მონაწილესაც კი შეიძლება სძლიოს ცდუნებამ რომ დაარღვიოს კარტელური შეთანხმება და წარადგინოს კონკურენტული განაცხადი. ამგვარად, შეთავაზებული კონტრაქტების ზომების ცვლილებები შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს.

7. მოთხოვნა, განაცხადის დეტალიზების შესახებ

გონივრული იქნება მოთხოვნა, რომ განაცხადებში გარკვეული დეტალიზებით იყოს წარმოდგენილი ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული პირობები, თუკი ეს დასაშვებია კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების ტიპიდან გამომდინარე. მაგალითად,ვაჭრობის გამოცხადებისას რძის პროდუქტების 6-თვიანი მიწოდების კონტრაქტზე, შეიძლება მოთხოვნილი იქნას ფასების შესახებ ინფორმაცია ცალ-ცალკე – რძეზე, ნაღებზე, ყველზე და ნაყინზე. ვაჭრობის შესახებ განცხადებაში სააგენტო ცალ-ცალკე უთითებს თითოეული შეკვეთილი პრო-

დუქტის რაოდენობას. სააგენტო კონტრაქტს აძლევს იმ ფირმას, რომელიც სხვებზე დაბალ ფასს შესთავაზებს მითითებული რაოდენობის პროდუქტის მიწოდებაზე. მაგრამ, პროდუქტის ფაქტიური რაოდენობა და ფასი ფორმირდება კონტრაქტში აღნიშნული 6-თვიანი პერიოდის განმავლობაში გაკეთებული შეკვეთების შედეგად.

ასეთი შეთავაზების არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამყალბებლების კარტელისათვის ბევრად უფრო ადვილია მარტივი შეთანხმებების მიღწევა, ვიდრე რთული შეთანხმებისა. ერთ ფასზე შეთანხმება უფრო ადვილია, ვიდრე ათ ფასზე. ამასთანავე, განაცხადის პირობების დაწვრილებით წარმოდგენის მოთხოვნა ზოგჯერ ხელს უწყობს კარტელების გამოვლენას. იდენტური ფასები ერთსა და იმავე პროდუქტზე შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ შემთხვევითი იყოს იდენტური ფასების შეთავაზება ათ სხვადასხვა პროდუქტზე.

8. გამარჯვებული განაცხადის შერჩევის კრიტერიუმები

აქ ყველაზე გონივრული ჩანს მიდგომა, როცა მკაფიოდ ცხადდება, რომ უპირატესობა მიენიჭება განაცხადს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნას და გვთავაზობს საუკეთესო ფასს.

თითქმის ყველა შემთხვევაში უმჯობესია, რომ თავიდან იქნას აცილებული კონტრაქტის მინიჭება გაურკვეველი, არამკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად განმცხადებლის „თვისებები“. მსგავსმა კრიტერიუმებმა შეიძლება რთულ, ან სულაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდოს შემსყიდველი სააგენტოს თანამშრომლები, რადგან მათ მოუწევთ გადაწყვეტილების მიღება ისეთ ფაქტორზე, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებას (ხარისხი) და დააბალანსონ ეს ფაქტორი ფასთან. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია შემსყიდველი სააგენტოს თანამშრომლებისათვის. ამასთა-

ნავე, ეს ახდენს ფავორიტიზმისა და კორუფციის პროვოცირებას (ზოგიერთ კონკურსის განაცხადები, მაგალითად არქიტექტორებს შორის შენობების გაფორმებაზე, თავიანთი ბუნებით ხარისხობრივ კრიტერიუმებს გულისხმობენ. ასეთი კონკურსები უფრო მეტად ხარისხებს შორის კონკურსია, ვიდრე ტიპიური კონკურსი ვაჭრობაზე. ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ კონტრაქტის მინიჭებისას ფასის მიხედვით, და თანაც – მეტად იშვიათ გამონაკლისებს).

9. გადაწყვეტილების მიღება ერთმანეთის ტოლფასი განაცხადების შემთხვევაში

ზოგჯერ, ორ (ან მეტ) მონაწილეს იდენტური განაცხადები შეაქვთ საკონკურსო ვაჭრობაზე. ეს შეიძლება იყოს შემთხვევითი, თუმცა ეს ასევე შეიძლება იყოს რაიმე შეთანხმების შედეგი. შემსყიდველი სააგენტო, ასეთი განაცხადების მიღებისას, უბრალოდ ყოფს კონტრაქტს ორ ტოლ ნაწილად და აძლევს ორივე განმცხადებელს. ასეთმა გადაწყვეტამ შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგი მოგვიტანოს, რადგან ამან შეიძლება ამოცანა გაუადვილოს გამყალბებლებს, რომლებიც ერთმანეთის ტოლფას განაცხადებს წარადგენენ. ამიტომ, უმჯობესია კონტრაქტის მინიჭება მოხდეს მაგალითად კენჭისყრით, ანუ მონეტის აგდებით, რაც იდენტური ფასების წარდგენის სტიმულს დაუკარგავს გამყალბებლებს.

10. კონკურსის ნაწილობრივი დაცვა, საიდუმლო

წარმატების მისაღწევად, გამყალბებელთა კარტელს ესაჭიროება ინფორმაცია. ეს განსაკუთრებით ეხება გრძელვადიან კარტელს. კარტელმა უნდა იცოდეს, თუ ვინ არიან ვაჭრობის პოტენციური მონაწილეები, ვინ წარადგინა განაცხადები მიმდინარე კონტრაქტებზე, როგორია ასეთი განაცხადების პირობები. თუ შემსყიდველ-

ლი სააგენტო შეძლებს, რომ დროის გარკვეულ პერიოდში საიდუმლოდ შეინახოს ასეთი ინფორმაციის ნაწილი, ეს შესაბამისად გაართულებს კარტელის მცდელობებს ამ მიმართულებით.

როგორც წესი, სიფრთხილის ზომები ფაქტორიზმისა და კორუფციის წინააღმდეგ, საჭიროებენ გარკვეულ საჯაროობას სამთავრობო კონტრაქტებზე გამოცხადებული საკონკურსო ვაჭრობების პროცედურებში. სწორედ ამიტომ, აშშ-ში ბევრი შემსყიდველი სააგენტო ღიად ხსნის განაცხადებს, რათა ვაჭრობის მონაწილეები და ორგანიზატორები დარწმუნდნენ, რომ ყველა განაცხადი იყო დალუქული, და რომ ყველა მონაწილის მიმართ დამოკიდებულება ერთნაირია. კორუფციის წინააღმდეგ, ისევე როგორც განაცხადების გაყალბების წინააღმდეგ ზომების მიღების თვალსაზრისით საუკეთესო კომპრომისს წარმოადგენს გადაწყვეტილება, რომ საჯაროდ გამოცხადდეს მთელი ინფორმაცია, მაგრამ, მხოლოდ გარკვეული დროის – 30, 60 ან 90 დღის შემდეგ. განაცხადების საჯარო გახსნისას კი, შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ განაცხადების რაოდენობა და ის, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი კონკურსის მოთხოვნებს.

11. აღრიცხვის წარმოება

შემსყიდველმა სააგენტოებმა უნდა აწარმოონ ყველა წარდგენილი განაცხადის აღრიცხვა, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოავლინონ საეჭვო მომენტები განაცხადების წარდგენის პროცესში, მაგალითად – განაცხადების როტაცია.

12. ინსტრუქტაჟი შემსყიდველი სააგენტოსათვის

სასარგებლო იქნება, თუ შემსყიდველი სააგენტოს თანაშრომლები გაივლიან ინსტრუქტაჟს განაცხადების გაყალბების საფრთხეების შესახებ, რათა შეძლონ ამ ქმედების საწინააღმდეგო აუცილებელი ზომების მიღება

და საქმის კურსში ჩააყენონ ანტიმონოპოლური ორგანო განაცხადების გაყალბების ნიშნების შესახებ.

13. შესაძლო ცვლილებები კანონმდებლობაში

თუ სამთავრობო კონტრაქტების განაწილების წესთან დაკავშირებული კანონები და ნორმატივები გადასინჯვას ექვემდებარებიან, მაშინ გონივრული იქნებოდა მიგველო ანტიმონოპოლური ორგანოს კონსულტაცია, თუ როგორ უნდა მოვამზადოთ კანონები და ნორმატივები, რათა მთავრობას ჰქონდეს კონკურენციის უპირატესობებით სარგებლობის გარანტიები, და ასევე, გარანტიები, რომ გამოავლინოს და თავიდან აიცილოს გაყალბებული განაცხადები.

---

[1] მაკაფე რ. პრესტონი და მაკმილანი ჯონ, მოგების მომტანი მოტივები სახელმწიფო შეკვეთებზე კონტრაქტების დადებისას. გვ. 151.

[2] მაკაფე და მაკმილანი, გვ. 151.

[3] მაკაფე და მაკმილანი, გვ. 151, ეს დასკვნები შეიძლება იმის შედეგი იყოს, რომ განაცხადების გაყალბებას (და ამის გამო – უფრო მაღალ ფასებს) ხშირად ადგილი აქვს მონაწილეთა მცირე რაოდენობის შემთხვევაში, მაგრამ, არაა გამორიცხული, რომ მონაწილეთა რაოდენობა ნამდვილად ახდენდეს გავლენას კონტრაქტის ფასზე.

თავი II. ანტიკონკურენციული პრაქტიკის ჰიპოთეტური მაგალითები

II.1. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საბანკო კრედიტების ბაზარზე ჰაილენდში [65]

სფერო

კრედიტები ბინის შეძენაზე/სამომხმარებლო კრედიტები.

მონაწილეები და ბაზრის წილები

„ბესტბანკი“ - 50% (კრედიტების ბაზარი ბინების შეძენაზე); 12% (სამომხმარებლო კრედიტების ბაზარი).

საქმის მოკლე აღწერა

„ბესტბანკი“ წარმოადგენს ბანკს მომსახურების სრული ციკლით და მისი საბაზრო წილი შეადგენს შესაბამისად 50%-ს და 12%-ს, ბინის შეძენის კრედიტებისა და სამომხმარებლო კრედიტების ბაზრებზე. საქმის აღძერამდე ცოტა ხნით ადრე ბანკმა ცალმხრივად შეიტანა ცვლილებები სამომხმარებლო კრედიტებისა და ბინის შეძენის კრედიტების დაფარვის მოქმედი ხელშეკრულებების ძირითად პირობებში. ამ ცვლილებათა შედეგად წინასწარი გადახდები მოქმედი სამომხმარებლო კრედიტების დაფარვის ანგარიშში 20 ევროდან გაიზარდა 120 ევრომდე. ბინის შესყიდვის მოქმედ კრედიტებზე „ბესტბანკმა“ წინასწარი გადახდების განაკვეთი კრედიტის დაფარვის ანგარიშში გაზარდა 0-დან 3%-მდე კრედიტის დაუფარავი ჯამიდან. საქმის განხილვისას ანტიმონოპოლიურმა სააგენტომ შეამჩნია, რომ მომხმარებლები აღმოჩნდნენ

თავიანთი კრედიტების მძევლები, ხოლო „ბესტბანკის“ ქმედებები ვერ წესრიგდებოდა საბაზრო ძალებით. ანტიმონოპოლიური ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ „ბესტბანკმა“ ბოროტად გამოიყენა თავისი დომინირებული მდგომარეობა, და ამიტომ, მიიღო შექმნილი სიტუაციის გამოსწორებისათვის რიგი აუცილებელი ზომები.

I. ამოსავალი მონაცემები:

1. საქმე ეხება „ბესტბანკის“ მიერ გაცემულ სამომხმარებლო კრედიტებსა და ბინის შესაძენად გაცემულ კრედიტებს. „ბესტბანკი“ არის მსხვილი ბანკი მომსახურების სრული ციკლით, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს ქვეყანა ჰაილენდში. 2005 წლის აგვისტოში „ბესტბანკმა“ ცალმხრივად შეიტანა ცვლილებები სამომხმარებლო კრედიტებისა და ბინის შეძენის კრედიტების გაცემის მოქმედ სახელშეკრულებო პირობებში. „ბესტბანკსა“ და მის კლიენტებს შორის არსებული შეთანხმების პირობები ითვალისწინებენ „ბესტბანკის“ მხრიდან ამგვარი ცვლილებების შეტანას.

2. შეტანილი ცვლილებების შედეგად ვადამდელი გადახდები დავალიანების დაფარვის ანგარიშში მოქმედი სამომხმარებლო კრედიტების სფეროში 20 ევროდან გაიზარდა დაახლოებით 140 ევრომდე, ხოლო ბინის შეძენაზე მოქმედი კრედიტების დაფარვის ანგარიშში, ვადამდელი გადახდის განაკვეთი, რომელიც 0%-ს შეადგენდა გაიზარდა კრედიტის დაუფარავი ჯამის 3%-მდე. გარდა ამისა, „ბესტბანკმა“ შეცვალა ასევე გადასახდელი, რომელსაც იღებდა კლიენტებისაგან ბინის შეძენაზე აღებული კრედიტის მომსახურებისათვის. კერძოდ, მან წლიური გადასახდელი დააწესა კრედიტის დაუფარავი ჯამის 2%-ის დონეზე და არ გაითვალისწინა არავითარი შეზღუდვა აბსოლუტურ გამოსახულებაში.

3. როგორც „ბესტბანკი“ უთითებდა, განაკვეთები შეცვლილი იყო სამომხმარებლო კრედიტისა და ბინის შეძენის კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების არსებითი

შემცირების გამო, კრედიტების ვადამდელი დაფარვის სფეროში მოთხოვნის მნიშვნელოვან გაზრდასთან დაკავშირებით. ბანკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თავდაპირველი განაკვეთები, რომელთა მიხედვითაც კლიენტებს უნდა დაეფარათ თავისთი კრედიტები, იყო არასწორი და მიუთითებდნენ გაუთვალისწინებელი დანახარჯების გაზრდაზე. ფაქტობრივად „ბესტბანკი" თვლიდა, რომ ფასების ამაღლება განპირობებული იყო დანახარჯების გაზრდით.

4. იმის მიუხედავად, რომ შეტანილი ცვლილებები ადასტურებდნენ საწყისი შეთანხმებების მნიშვნელოვან ცვლილებებზე, დადგენილი ტარიფები აუცილებლად არ იყო ყველაზე მაღალი ბაზარზე. ცვლილებების შეტანის მომენტში კონკურენტი ბანკები სამომხმარებლო კრედიტის ვადამდელი დაფარვისას კლიენტებისაგან იღებდნენ 60-დან 200-ევრომდე, ხოლო ბინის შეძენაზე განკუთვნილ კრედიტებზე 2-დან 4%-მდე.

5. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ჰაილენდის ანტიმონოპოლიური სააგენტო მივიდა დასკვნამდე, რომ „ბესტბანკი" ბოროტად იყენებდა დომინირებულ მდგომარეობას და მიიღო შესაბამისი ზომები რომლებიც მიმართული იყო დარღვევების აღმოფხვრისაკენ.

II. ბაზრის განსაზღვრა:

II.1. *შესაბამისი სასაქონლო ბაზარი*

6. ანტიმონოპოლიურმა ორგანომ გამოყო ორი შესაბამისი სასაქონლო ბაზარი. ***პირველი*** – სამომხმარებლო კრედიტების ბაზარი, საჭიროების მითითების გარეშე და ***მეორე*** – მიზნობრივი კრედიტების ბაზარი ბინების შეძენაზე.

II.2. *შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი*

7. ანტიმონოპოლიური სააგენტოს განსაზღვრის თანახმად, ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები მოიცავს ჰაილენდის

მთელ ტერიტორიას. „ბესტბანკს“ ჰქონდა ჰაილენდის მთელ ტერიტორიაზე 400 ფილიალზე მეტი და დაახლოებით 1900 ბანკომატი.

III. საბაზრო წილები:

8. ქვეყნის საბანკო სექტორში საბაზრო სტრუქტურა გამოირჩევა არსებითი ასიმეტრიით:

• „ბესტბანკი“ - ესაა ჰაილენდის უმსხვილესი ბანკი რიგი მაჩვენებლებით: შინა მეურნეობების შემნახველი ანაბრების მოცულობით, შინა მეურნეობების დაკრედიტების მოცულობით, კორპორატიული დეპოზიტებისა და კორპორატიული კრედიტების მოცულობით.

• საერთო აქტივების შეფასებიდან გამომდინარე, ბანკის საბაზრო წილი შეადგენდა 25%-ს, მაშინ როცა კიდევ 6 ბანკის საბაზრო წილებზე მოდიოდა დაახლოებით 10% თითოეულზე და ბოლოს კიდევ 7 ბანკის საბაზრო წილად მოდიოდა დაახლოებით 1% თითოეულზე.

• 2006 წლისათვის საბანკო ბარათების ბაზარზე „ბესტბანკის“ წილი შეადგენდა დაახლოებით 50%-ს, ვინაიდან ბანკის მიერ გამოშვებული საბანკო ბარათების რაოდენობამ გადააჭარბა 4 მლნ.-ს

9. გარდა ამისა, „ბესტბანკი“ არის ყველაზე ცნობილი ბანკი ქვეყანაში იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელთა 60% ამა თუ იმ ფორმით წარმოადგენს ბანკის კლიენტს, მაშინ როდესაც ქვეყნის ზომით მეორე ბანკის საბაზრო წილი შეადგენდა მხოლოდ 18%-ს.

10. საქმის განხილვისას ანტიმონოპოლიური სააგენტოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ბოლო წლებში შეიმჩნეოდა სამომხმარებლო კრედიტების და ბინის შეძენის კრედიტების ბაზრების სწრაფი ზრდა. მაგალითად, 2006 წლის ბოლოს ბინების შეძენაზე კრედიტების საერთო მოცულობა 2,5-ჯერ მეტი იყო ვიდრე 2004 წელს, მაშინ როცა სამომხმარებლო კრედიტების მიხედვით ანალოგიური კოეფიციენტი უტოლდებოდა 5-ს.

11. გამოძიების დაწყების მომენტში „ბესტბანკის“ მიმდინარე საბაზრო წილი სამომხმარებლო კრედიტებისა და ბინის შეძენის კრედიტებზე შეადგენდა 12%-სა და 50%-ს შესაბამისად.

IV. საკრედიტო შეთანხმებებში ცვლილებების ცალმხრივად შეტანის უფლება

12. შეთანხმებათა საერთო პირობების თანახმად, „ბესტბანკს“ ჰქონდა უფლება შეეტანა ცვლილება ნებისმიერ მისთვის სასურველ დროს. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ადასტურებდა „ბესტბანკის“ უფლებას ამგვარი ცვლილებების შესატანად. იმავდროულად, მოქმედი კანონმდებლობა ნებას აძლევდა კლიენტებს მოეშალათ შეთანხმებები კრედიტების შესახებ ჯარიმების გადახდის გარეშე, 15 დღის განმავლობაში, თავდაპირველი შეთანხმების პირობებში რაიმე ცვლილების შეტანის შემდეგ. ჰაილენდის კანონმდებლობის თანახმად ბანკები ვალდებული იყვნენ შეეტყობინებინათ კლიენტებისათვის სახელშეკრულებო პირობების ცვლილებების შესახებ, ბანკის ფილიალებში შესაბამისი განცხადებების განთავსებით. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი კლიენტი იშვიათად აკითხავდა ბანკის ფილიალებს, ვინაიდან სარგებლობდა ბანკომატებით, მათ შეეძლოთ არ სცოდნოდათ ცვლილების შეტანის თაობაზე 15 დღის განმავლობაში.

V. მიმწოდებლის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები:

13. დაკრედიტების თვალსაზრისით დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიმწოდებლის ცვლილებასთან, ის დანახარჯებია, რომლებიც უნდა გაწიონ კლიენტებმა. ეს დანახარჯები შეიძლება დაიყოს 3 კატეგორიად:

- დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება ბანკთან არსებული ურთიერთობის შეწყვეტას;

• საბანკო მომსახურების ახალი მიმწოდებლის მოძიების დანახარჯები;

• დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალ ბანკთან ურთიერთობაში შესვლასთან.

14. მაგალითად, ბანკის შეცვლისას, რომელიც გასცემდა კრედიტს ბინის შეძენაზე კლიენტებმა უნდა აანაზღაურონ დანახარჯები ქონების შეფასებაზე, ახალ ბანკში კრედიტის გახსნის საკომისიო მოსაკრებელი და ასევე საკომისიო მოსაკრებელი ძველ ბანკში კრედიტის დახურვისათვის.

15. ანტიმონოპოლიური სააგენტოს შეფასებით, საბანკო მომსახურების მიმწოდებლის შეცვლასთან დაკავშირებული დანახარჯები შეადგენენ კრედიტის მიმდინარე ღირებულების დაახლოებით 6-8 პროცენტს. საკმაოდ მაღალი დონის დანახარჯების გათვალისწინებით კლიენტები ძნელად იცვლიან საბანკო მომსახურების მომწოდებელს, როდესაც იგი ცვლის სახელშეკრულებო პირობებს, რომელიც უარყოფითად აისახება კლიენტებზე. დასაბუთებები, რომელიც შეაგროვა ანტიმონოპოლიურმა უწყებამ, მოწმობდნენ კლიენტთა რაოდენობის სტატისტიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ „ბესტბანკის“ განაკვეთების ცვლილების შემდეგ კრედიტების ვადამდელ დაფარვას. ამ მონაცემებმა საშუალება მისცეს ანტიმონოპოლიურ სააგენტოს გაეკეთებინა დასკვნა, რომ კლიენტების ნაწილი აღმოჩნდნენ თავიანთი კრედიტების მძევლები და შედეგად „ბესტბანკის“ ანტიკონკურენციულ საქმიანობას ვერ აკავებდა საბაზრო ძალები.

VI. დასკვნები

16. ანტიმონოპოლიური ორგანო არ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ბესტბანკს“ შეეძლო ემოქმედა ახალი კლიენტებისათვის კრედიტების ფასის დადგენისას თავისი კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, ის მოქმედებდა იმ კლიენტებთან მიმართებაში დამოუკიდებლად, რომლებმაც

უკვე მიიღეს კრედიტები ბინების შესაძენად ან სამომხმარებლო კრედიტები. ეს დასკვნა გაკეთდა იმის საფუძველზე, რომ ქვეყანაში არ იყო უზრუნველყოფილი ინფორმაციის გამჭვირვალობის აუცილებელი დონე, დაბალი იყო მოქალაქეთა ფინანსური განსწავლულობის დონე და მაღალი რჩებოდა მომსახურების მიმწოდებლის შეცვლასთან დაკავშირებული დანახარჯები. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ანტიმონოპოლიური ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ „ბესტბანკმა“ დაუშვა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, განახორციელა რა განაკვეთების გაზრდა კლიენტთა ინტერესების გაუთვალისწინებლად.

17. შედეგად, ანტიმონოპოლიურმა სააგენტომ გაგზავნა რეკომენდაციები ანტიმონოპოლიურ სასამართლოში, რომელშიც მიუთითებდა აუცილებლობაზე, რომ „ბესტბანკს“ გაეგზავნა ყველა თავისი კლიენტისათვის ფოსტით შეტყობინება და მიეცა 30 დღე (15 დღის ნაცვლად) გადაწყვეტილების მისაღებად, ახალი სახელშეკრულებო პირობების მიღების ან საბანკო მომსახურების მიმწოდებლის ახლით შეცვლასთან დაკავშირებით. ანტიმონოპოლიურმა უწყებამ ასევე რეკომენდაცია მისცა „ბესტბანკს“ გადაეხადა კომპენსაცია ყველა კლიენტისათვის, რომლებიც გადავიდნენ ახალი საკრედიტო პროდუქტების გამოყენებაზე (ფასების ამაღლების შემდეგ). კომპენსაციის ზომები უნდა განსაზღვრულ იყო იმ განსხვავების გათვალისწინებით, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ იმ ჯგუფთან მიმართებაში, რომელიც იყო მითითებული ცვლილებების შეტანამდე. ანტიმონოპოლიურმა ორგანომ ასევე რეკომენდაცია მისცა სასამართლოს მოეთხოვა „ბესტბანკისაგან“, რომ მას მიეცა შესაძლებლობა ყველა თავისი კლიენტისათვის კრედიტებზე ანგარიშსწორებისა იმ განაკვეთებით, რომელებიც მოქმედებდნენ ცვლილების შეტანამდე.

კითხვები განსილვისათვის:

1. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა:

• მოახდინა თუ არა თქვენს ანალიზზე ზეგავლენა იმ ფაქტმა, რომ კლიენტების განსაზღვრული ჯგუფები არ ფლობენ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების სფეროში საკმარის ცოდნას? თუ კი, მოახდინა თუ არა ამან ზეგავლენა ანტიმონოპოლიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ასპექტების და მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ასპექტების თქვენეულ შეფასებაზე? აქვს თუ არა მსხვილ კომპანიებს ამგვარ სიტუაციებში სპეციალური ვალდებულებები?

• მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და კონკურენციის დაცვის სფეროში პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს საშუალო მომხმარებელზე თუ მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფებზე? როგორი შედეგები შეიძლება მოჰყვეს თქვენს პასუხს პოლიტიკის სფეროში?

• ანტიმონოპოლიური სააგენტოს დასკვნები „ბესტბანკთან" მიმართებაში უნდა გავრცელდეს თუ არა სხვა ბანკებზე? გამოყენებულ უნდა იქნას თუ არა ანალოგიური შეზღუდვები სხვა ბანკების მიმართ? განმარტეთ რატომ კი ან რატომ არა?

• ეს საქმე განეკუთვნება კონკურენციის დაცვას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას, არც ერთს, არც მეორეს თუ ორივეს? რაში მდგომარეობს განსხვავება მიდგომებში?

• ეთანხმებით თუ არა ანტიმონოპოლიური სააგენტოს საბოლოო დასკვნას, რომლის თანახმადაც „ბესტბანკმა" ბოროტად გამოიყენა დომინირებული მდგომარეობა, ხოლო მის მიერ განხორციელებული ფასების ამაღლება არ პასუხობდა კლიენტების ინტერესებს?

2. ბაზრის განსაზღვრა:

• ამ საქმის განხილვისას სწორად იყო თუ არა მოცემული ბაზრის განსაზღვრა? ამ შემთხვევაში რა უნდა იქნეს აღებული საბაზრო წილის გაანგარიშების საფუძვლად (დეპოზიტები, კრედიტების რაოდენობა, კრედიტების ღირებულება ან რაიმე სხვა)? სწორად იქნა თუ არა განაწილებული საბაზრო წილები?

• შეგიძლიათ თუ არა მისცეთ განსაზღვრა ერთი პროდუქტის ბაზარს, რომელსაც ჰყიდის ერთი კომპანია? რომელი შემთხვევებისთვის გამოდგება ის?

3. მომსახურების მიმწოდებლის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები:

• მომსახურების მიმწოდებლის ცვლილებასთან დაკავშირებული რომელი დანახარჯებია (თუ ასეთები არსებობს) ამ საქმის ანალიზის განხორციელოებისათვის განსაკუთრებულად აუცილებელი? მომსახურების მიმწოდებლის ცვლილებასთან დაკავშირებული დანახარჯები იქცევს თუ არა ანტიმონოპოლიური ორგანოს განსაკუთრებულ ყურადღებას? რას გააკეთებდით თქვენ სხვაგვარად და საერთოდ გააკეთებდით თუ არა რაიმეს მომსახურების მიმწოდებლის ცვლილებასთან დაკავშირებით.

II.2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ცხელი წყლის მომარაგების საყოფაცხოვრებო აბრეშატების ბაზარზე ლეიკლენდში [65]

სფერო

ადგილობრივი წყალმომარაგების საყოფაცხოვრებო გამაცხელებლები (კომპანია „Hot Waters“).

ბაზრის მონაწილეები და წილები

ახალი მოწყობილობა – 1) კომპანია „Hot Waters“ - 65% (მიზნობრივი კომპანია); 2) მრავალი სხვა მცირე კომპანია – 35% (ერთობლივად);

დაყენებული მოწყობილობის ბაზა – 1) კომპანია „Hot Waters“ - 85% (მიზნობრივი კომპანია); 2) მრავალი სხვა მცირე კომპანია – 15% (ერთობლივად).

საქმის მოკლე აღწერა

კომპანია „Hot Waters“-ს,რომელსაც წამყვანი მდგომარეობა უკავია პროვინცია ლეიკლენდში ცხელი წყლის მომარაგების საყოფაცხოვრებო წყალგამაცხელებლების მომსახურებისა და იჯარის ბაზარზე, კონკურენტების მხრიდან წაეყენა ბრალი, რომ იგი არღვევდა მომხმარებლებთან შეთანხმების პირობებს და ბარიერებს უქმნიდა კონკურენტ კომპანიებს შესაბამის ბაზარზე. ეს ბარიერები ეხებოდა დებულებას საჯარიმო სანქციების ზრდის შესახებ საიჯარო ხელშეკრულებების გაწყვეტის შემთხვევაში. ეს დებულება კომპანია „Hot Waters“ აძლევდა უფლებას ავტომატურად მოეხდინა კომპანიებისგან იჯარით აღებული

ბოილერების (წყალგამაცხელებელი) გასაყიდი ფასების კორექტირება კონკურენტების ფასების შესაბამისად. კომპანიამ ეს ცვლილებები შეთანხმების პირობებში შეიტანა საიჯარო თანხის ამაღლებასთან ერთად მალე იმის შემდეგ, რაც მან გაზის განაწილების სფეროში ადგილობრივი რეგულირებადი მონოპოლისტისაგან (კომპანია „გაზტრანზიტი“) შეიძინა გაზგამაცხელებელი მოწყობილობა. როდესაც ეს აქტივები ეკუთვნოდა კომპანია „გაზტრანზიტს“, ისინი ჩართული იყო ტარიფების გასაანგარიშებელ ბაზაში და მათი რენტაბელობის შეფასება ხდებოდა გამოსყიდვის რეგულირებადი ნორმის შესაბამისად.

I. საწყისი მონაცემები

I.1. *საქონლის განსაზღვრა*

1. საქმე მოიცავს გაზის წყალგამაცხელებლების ბაზარს, რომლებიც გაყიდულ იქნა ადგილობრივი ცხელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფისათვის. ამ წყლის გამაცხელებლების მოცულობა შეადგენდა 160-დან 300 ლიტრამდე, ხოლო ექსპლუატაციის საშუალო ხანგრძლივობა – დაახლოებით 15 წელს. მომხმარებლები როგორც წესი, იძენდნენ მომსახურების განსაზღვრულ ჩამონათვალს, რაც დაკავშირებული იყო ბოილერების გამოყენებასთან, მათი დადგმის, მომსახურების და დემონტაჟის (ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ) ჩათვლით. თეორიულად ეს მომსახურებები შეიძლებოდა შეეძინათ ცალკე ან წყალგამაცხელებელთან ერთად. მოწყობილობის დაყენების ღირებულებას შეიძლება შეედგინა მოწყობილობის ფასის 15-35 პროცენტი.

2. ამ საქმეში განიხილება წყალგამაცხელებლების გამოყენება და შესაბამისი მომსახურების მიწოდება კონკრეტულ ადგილზე – ლეიკლენდის პროვინციაში. ქვემოთ უფრო დაწვრილებითაა განხილული საკითხი ბაზრის გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობის შესახებ.

I.2. *დარგობრივი სტრუქტურა*

3. ლეიკლენდის პროვინციაში გამოიყენებოდა დაახლოებით 1,4 მლნ. ცხელი წყლის გამაცხელებელი. 128 ათასი გამაცხელებელი დაყენებულ იქნა 2005 წელს და მათ შესახებ არსებობდა ყველაზე ბოლო მონაცემები. პროვინცია ლეიკლენდში ამ მოწყობილობის გაყიდვისა და დაყენების ბაზარი შეფასებული იყო წელიწადში დაახლოებით 90 მლნ. აშშ დოლარით.

4. წყალგამცხელებლებისა და შესაბამისი მომსახურების მიწოდება ხორციელდებოდა ლეიკლენდის შინა მეურნეობებსა და გამყიდველებს შორის არსებული სხვადასხვა შეთანხმებების საფუძველზე:

- საიჯარო პროგრამები, რომლებიც მოიცავდა წყლის გამაცხელებელთა მიწოდებას და მათ დღე-ღამურ მომსახურებას.
- საიჯარო შეთანხმებები მოწყობილობის შემდგომი შესყიდვის უფლებით, რომელიც ითვალისწინებდა მოწყობილობის ყიდვას განსაზღვრული საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ.
- წყალგამაცხელებელთა გაყიდვა უშუალოდ მომხმარებლებზე.
- წყალგამაცხელებელთა გაყიდვა და მათი დაყენების მომსახურების ცალკე მიწოდება.

5. კომპანია „Hot Waters“-ი აყენებდა და იჯარით გასცემდა გაზის წყალგამაცხელებლებს, რომლებიც გამოიყენებოდა ლეიკლენდის პროვინციაში შინამეურნეობების მიერ. კომპანია „Hot Waters“-ი არ აწარმოებდა წყალგამაცხელებლებს. ის ყიდულობდა მათ მწარმოებლებისაგან და მომხმარებელს იჯარით აძლევდა მათი დაყენებისა და რემონტის მომსახურების პაკეტთან ერთად. 2004-დან 2005 წლამდე პერიოდში კომპანია „Hot Waters“-ის საბაზრო წილი ახალ წყალგამაცხელებლებში, რომლებიც დაყენებული იყო ლეიკლენდში, შეადგენდა 65%-ზე მეტს, ხოლო გამოცვლილი წყალგამაცხელებლების

ბაზარზე დაახლოებით 80%-ს. ლეიკლენდის პროვინციაში მომუშავე წყალგამაცხელებლების დაახლოებით 85% დაყენებულ იყო და მომსახურებას ეწეოდა კომპანია ,,Hot Waters"-ი, წყალგამაცხელებლების იჯარით მიწოდების მისი პროგრამის შესაბამისად.

6. ის ფაქტი,რომ კომპანია „Hot Waters"-ს მიეკუთვნება ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაკავშირებულია ლეიკლენდის პროვინციაში გაზგამანაწილებელი კომპანიის ისტორიასთან. კომპანია „Hot Waters"-ი წარმოადგენს კომპანია „GasCommerce"-ს სრულად კონტროლირებად შვილობილ სტრუქტურას. ამ უკანასკნელისათვის ასევე შვილობილ კომპანიას წარმოადგენს ფირმა „გაზტრანზიტი". ლეიკლენდის პროვინციაში კომპანია „გაზტრანზიტი" არის რეგულირებადი მონოპოლიური სუბიექტი გაზგანაწილების სფეროში. წყლის გამაცხელებელთა იჯარით გაცემისა და მომსახურების საწარმო, რომელიც იმყოფებოდა კომპანია ,,Hot Waters"-ის მფლობელობაში, შეიქმნა და კონტროლდებოდა კომპანია „გაზტრანიტის" მიერ. ნაწილობრივ მისი შექმნა მიმართული იყო ლეიკლენდში ბუნებრივი აირის გამოყენების გაფართოებისაკენ. კომპანია „გაზტრანზიტი" სთავაზობდა ბუნებრივი გაზის მომხმარებლებს წყალგამაცხელებელთა დაბალ ფასად იჯარის შესაძლებლობას და მომხმარებელთა უმრავლესობამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. წყალგამაცხელებელთა იჯარით მიწოდების პროგრამის აქტივები ჩართული იყო ტარიფის გაანგარიშების ბაზაში და გამოიყენებოდა რენტაბელობის რეგულირებადი ნორმის შესაბამისად.

7. საქმის დაწყებემდე 5 წლით ადრე ეს საწარმო მიეყიდა კომპანია „Hot Waters"-ს და განთავისუფლდა მარეგულირებელი კონტროლისაგან. კომპანია „Hot Waters"-მა მიიღო გაზის წყალგამაცხელებელი მოწყობილობის მნიშვნელოვანი ბაზა, რომელიც იჯარით გაიცემოდა ლეიკლენდის პროვინციაში. კომპანია „Hot Waters" წყალგამაცხელებელთა იჯარით გაცემასა და მათ მომსახურებას ეწეოდა ლეიკლენდიის პროვინციის

საზღვრებს გარეთაც, მაგრამ სხვა რაიონებში კომპანიის საბაზრო წილი იყო მცირე და ოპერაციებიც ნაკლებად წარმატებული.

1.3. კონკურენციის პირობები

8. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კომპანია „Hot Waters"-ი არ წარმოადგენდა წყალგამაცხელებელი მოწყობილობის მწარმოებელს. ლეიკლენდის პროვინციაში ამ მოწყობილობას აწარმოებდა 2 კომპანია - „Well-built Water Heaters" და „Clear Water Heaters". არც ერთი ეს კომპანია უშუალოდ არ მონაწილეობდა წყალგამაცხელებლების მიწოდებასა და მომსახურებაში, რომლებიც გამოიყენებოდა ადგილობრივი მომხმარებლების მიერ.

9. კომპანია „Hot Waters"-ს ჰყავდა კონკურენტები წყალგამაცხელებლების გაყიდვის, დაყენების, იჯარით გაცემისა და სარემონტო მომსახურების სფეროში. მათ განეკუთვნებოდა არაერთი მცირე ზომის საწარმო, რომლებიც ყიდიდნენ, იჯარით გასცემდნენ და აყენებდნენ წყალგამაცხელებლებს. გარდა ამისა, წყალგამაცხელებლებს ყიდიდნენ საცალო ვაჭრობის მსხვილი მრავალპროფილური საწარმოები, რომლებიც მოწყობილობის დაყენებასა და მომსახურებას სთავაზობდნენ მოიჯარეების მეშვეობით. ორი მსხვილი დამოუკიდებელი გაზის მიმწოდებელი ასევე ჰყიდიდა, იჯარით გასცემდა და უზრუნველყოფდა საყოფაცხოვრებო წყალგამაცხელებელთა დაყენებას.

10. წყალგამაცხელებელთა გაყიდვისა და იჯარით გაცემის ბაზარზე შესასვლელად აუცილებელი იყო ტექნიკურ ობიექტებსა და მოწყობილობაზე უმნიშვნელო დანახარჯები, რომლებიც მოიცავდნენ მცირე დაუბრუნებელ დანახარჯებს. მაგალითად, საცალო ვაჭრობის მსხვილ საწარმოებს განსაკუთრებული სირთულის გარეშე შეეძლოთ მოეხდინათ წყალგამაცხელებელთა დემონსტრირებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების გადაწყობა ალტერნატიული საქონლის სადემონსტრაციო დარბაზებად.

ანალოგიური სახით, მცირე ზომის საწარმოებს და მათ მეიჯარეებს არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი, სპეციალური ინვესტიციები და წყალგამაცხელებელ მოწყობილობებში დაბანდებული ინვესტიციები არ შეეძლოთ გამოეყენებინათ საქმიანობის სხვა სფეროებში.

II. ბაზრის განსაზღვრა

11. ანტიმონოპოლიური სააგენტოს განსაზღვრის შესაბამისად სასაქონლო ბაზარს წარმოადგენს „არაკომერციული მომხმარებელისათვის გაზის წყალგამაცხელებლების მიწოდება, დაყენება, დემონტაჟი და სარემონტო მომსახურება". გეოგრაფიული ბაზარი მოიცავს ლეიკლენდის პროვინციის მთელ ტერიტორიას.

12. გეოგრაფიული ბაზრის შესწავლის პროცესში ანტიმონოპოლიურმა სააგენტომ დაადგინა, რომ ინდივიდუალური შინამეურნეობებისათვის შეთავაზებული წყალგამაცხელებლების მიწოდებასა და მომსახურებას აქვს ადგილობრივი ხასიათი და მოიცავს მიწოდებისა და დაყენების დროსა და დანახარჯებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებლებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ წვდომა ადგილობრივ საწყობებთან; ასევე, მოწყობილობათა დაყენების სპეციალისტები თავიანთ საქმიანობას ახორციელებდნენ შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ ზონაში. იმის გათვალისწინებით, რომ ლეიკლენდის პროვინციას უკავია დიდი ტერიტორია, რომლის ფართობი შეადგენს 450 კმ-ს, 300 კმ-ზე, სადაც იმავდროულად არსებობს რამდენიმე დიდი ქალაქი, ანტიმონოპოლიური ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარს წარმოადგენს ლეიკლენდის პროვინცია. ანტიმონოპოლიურმა სააგენტომ ყურადღება მიაქცია ასევე იმ ფაქტს,რომ ლეიკლენდი წარმოადგენს გაზის ტრანსპორტირების რეგულირებადი კომპანიის „გაზტრანზიტის" უშუალო საქმიანობის ზონას, რომელსაც ადრე მიეკუთვნებოდა კომპანია „Hot Waters"-ის აქტივები.

III. შეშფოთების გამომწვევი პრაქტიკა

13. საქმე აღძრულ იქნა იმის შემდეგ რაც რამდენიმე კონკურენტმა მიმართა ანტიმონოპოლიურ სააგენტოს და გამოხატა თავისი შეშფოთება კომპანია „Hot Waters"-ის საიჯარო შეთანხმებით განსაზღვრულ დებულებებთან დაკავშირებით. როგორც კონკურენტები ამტკიცებდნენ, მოქმედი შეთანხმებები ქმნიდნენ ბარიერებს ბაზარზე შესასვლელად. კერძოდ, ისინი მიუთითებდნენ კომპანია „Hot Waters"-ის მიერ მომხმარებლებთან დადებული შეთანხმებების სტანდარტულ პირობებში ცოტა ხნის წინ შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც ეხებოდა მომხმარებელთა უარის შემთხვევებს წყალგამაცხელებლების საიჯარო პროგრამაში მონაწილეობაზე და მოწყობილობის შეძენაზე კორექტირებული ფასით (რომელიც შეთავაზებული იყო სხვა კონკურენტი საწარმოების ანალოგიური მოწყობილობის ფასის გათვალისწინებით).

III.1. *შეთანხმებათა დარღვევის პირობები და ჯარიმები*

14. კომპანია „Hot Waters"-ის საიჯარო შეთანხმების პირობების თანახმად მხოლოდ კომპანია „Hot Waters"-ს შეეძლო მოეხდინა წყალგამაცხელებლების დემონტაჟი და გამოტანა სანამ კონკურენტი კომპანია დააყენებდა თავის წყალგამაცხელებელს. მომხმარებელს კომპანია „Hot Waters"-ისათვის წყალგამაცხელებლის გათიშვისა და გამოტანისათვის უნდა გადაეხადა 75 აშშ დოლარი, თუ არ ხდებოდა მისი ექსპლუატაცია 15 წელზე მეტი ხნით ან საჭიროებდა რემონტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებელი თავისუფლდებოდა 75 აშშ დოლარის გადახდისაგან. ამასთან,კომპანია „Hot Waters"-ის კლიენტები

ვალდებული იყვნენ მოწყობილობის დაყენების ხარჯების ანაზღაურებისათვის გადაეხადათ გარკვეული თანხა, თუ ისინი მოითხოვდნენ საიჯარო ხელშეკრულების დარღვევას და თუ მათი წყალგამაცხელებლის ექსპლუატაცია ხორციელდებოდა 10 წელზე ნაკლები დროით. ამ შემთხვევაში გადასახდელი თანხა შეადგენდა 100 აშშ დოლარს, საიდანაც იქვითებოდა 10 აშშ დოლარი თითოეულ წელიწადზე.

15. ამ გადასახდელებს შეეძლოთ შეედგინათ ახალი წყალგამაცხელებლის ღირებულების არაუმეტეს 35%-მდე. ამასთან, კომპანიის პოლიტიკის შედეგად მომხმარებლები ფაქტობრივად იძულებული იყვნენ გამოეყენებინათ ორი მიმწოდებლის მომსახურება, თუ მათ სურდათ დაეყენებინათ კონკურენტი კომპანიის წყალგამაცხელებლები. თავიდან კომპანია „Hot Waters“-ს უნდა მოეხდინა თავისი წყალგამაცხელებლის დემონტაჟი და მისი გამოტანა, ხოლო შემდეგ კონკურენტ კომპანიას უნდა დაეყენებინა ახალი წყალგამაცხელებელი. იმ უხერხულობათა გარდა, რომლებიც დაკავშირებული იყო ორ სხვადასხვა კომპანიასთან საქმის დაჭერის აუცილებლობასთან, მომხმარებლები აწყდებოდნენ პოტენციალურ შესაძლებლობას დარჩენილიყვნენ დროის გარკვეულ პერიოდში ცხელი წყლის გარეშე, რომელიც შეიძლება საჭირო ყოფილიყო ამ ორი კომპანიის მოქმედებათა კოორდინაციისათვის. ეს იწვევდა მომხმარებლის დანახარჯის გაზრდას, თუ ის მოისურვებდა კონკურენტი კომპანიის მომსახურებას.

16. გამოერთების შეზღუდვის, მოწყობილობის გამოტანის საფასური და დაყენების დანახარჯების გადასახდელი კომპანია „Hot Waters“-ის მიერ შემოღებულ იქნა მაშინათვე რაც კომპანია „გაზტრანზიტმა“ გადასცა მას მფლობელობაში წყალგამაცხელებელი მოწყობილობების იჯარით გაცემის უფლება. კომპანია „Hot Waters“-მა საწარმოს შეძენიდან რამდენიმე თვეში წყალგამაცხელებლების გამოყენებაზე საშუალო თვიური საიჯარო გადასახადი გაზარდა 18,2%-ით.

III.2. *მოწყობილობის გამოსყიდვისა და ფასების კორექტირების დებულებები*

17. „მოწყობილობათა გამოსყიდვის პროგრამის“ თანახმად, კომპანია „Hot Waters“ თავის კლიენტებს აძლევდა უფლებას უარი ეთქვათ მოწყობილობის იჯარისა და საიჯარო გაზგამაცხელებლების გამოსყიდვის პროგრამაში მონაწილეობაზე. გამოსასყიდი მოწყობილობის ფასი დგინდებოდა კომპანია „Hot Waters“-ის ანალოგიურ წყალგამაცხელებლებზე მიმდინარე საცალო ფასების და საიჯარო წყალგამაცხელებლის ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით. ეს წინადადება შეიცავდა გარანტირებულ შესაძლებლობას ფასის კორექტირებისათვის, კონკურენტების მიერ მიწოდებულ ანალოგიურ წყალგამაცხელებლებზე ყველაზე დაბალი ფასების გათვალისწინებით.

18. მიუხედავად იმისა, რომ მოწყობილობის გამოსყიდვისა და ფასების კორექტირების დებულებები ქმნიან მექანიზმს, რომ მომხმარებელმა უარი თქვას კომპანია „Hot Waters“-ის მოწყობილობის საიჯარო პროგრამაში მონაწილეობაზე, კონკურენტებმა შეიტანეს საჩივარი, რომ მათ ასეთი პოლიტიკა უქმნიდა ბარიერებს ბაზარზე შესასვლელად. ორი პირობის შეერთება საშუალებას აძლევდა კომპანია „Hot Waters“-ს მოეხდინა გამოსასყიდი მოწყობილობის ფასის კორექტირება და ავტომატურად დაეკმაყოფილებინა კლიენტების მოთხოვნილება მოქმედი ფასების დადგენის ხარჯზე; ამას კი შეეძლო გამოეწვია მომხმარებლის მოთხოვნის შეზღუდვა კონკურენტი კომპანიების წყალგამაცხელებლებზე.

IV. ანტიმონოპოლიური სასამართლოს გადაწყვეტილება

19. ანტიმონოპოლიური სასამართლო საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ მოწყობილობის დემონტაჟის გადასახდელი და მოწყობილობის გამოსყიდვისა და ფასის კორექტირების დებულებები უნდა განხილულიყო

როგორც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომელიც იწვევდა კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვას ლეიკლენდის პროვინციის შესაბამის ბაზარზე. სასამართლო გადაწყვეტილება შეიცავდა შემდეგ დებულებებს:

• კონკურენტ კომპანიებს შემდგომში შეეძლოთ კომპანია „Hot Waters"-ის საარენდო მოწყობილობის დემონტაჟი და გამოტანა დამოუკიდებლად ან მესამე მხარის დახმარებით.

• საიჯარო ხელშეკრულების დებულებით მოწყობილობის იჯარაზე უარის თქმის შემთხვევაში გადასახადის გადახდის ვადა შემცირდა 10 წლიდან 5 წლამდე, რამაც ავტომატურად გამოიწვია კომპანია „Hot Waters"-ის მოწყობილობათა არსებული მეიჯარეების 35%-სათვის პროგრამაში უარის თქმისას გადასახადის გაუქმება.

• ყველა მომხმარებელს მიეცა უფლება წყალგამაცხელებელი გამოესყიდა მისი დაყენების მომენტისათვის არსებული ღირებულებისა და ექსპლუატაციის ვადის გათვალისწინებით.

• კომპანია „Hot Waters"-ის წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მეიჯარეები ვალდებულნი გახდნენ შეეტანათ გადასახდელი კომპანიის პროგრამაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, მაგრამ ისინი დაცული უნდა ყოფილ იყვნენ საიჯარო გადასახდელის გაზრდისაგან, რომელიც არ უნდა ყოფილიყო ინფლაციის დონეზე მაღალი.

კითხვები განხილვისათვის:

1. ბაზრის განსაზღვრა:

• ანტიმონოპოლიური ორგანოს განსაზღვრის თანახმად, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს კომპანია „Hot Waters"-ის წყალგამაცხელებელთა მომსახურების ბაზარი, ე.ი. მხოლოდ კომპანია „Hot Waters"-ის წყალგამაცხელებელ მოწყობილობათა მომსახურება. აქვს თუ არა

ბაზრის ასეთ განსაზღვრას მნიშვნელობა საბოლოო ანალიზის განხორციელებისას? თვლით თუ არა თქვენ, რომ ეს განსაზღვრა უფრო სწორია, ვიდრე ბაზრის ფაქტობრივი განსაზღვრა, რის შესახებაც მათ მოილაპარაკეს? ან უფრო ნაკლებად სწორია?

• ანტიმონოპოლიურ ორგანოს ხომ არ უნდა ეფიქრა ბაზრის გაყოფაზე წყალგამაცხელებელი მოწყობილობის „მეიჯარეების" ბაზრად და ამ მოწყობილობათა „მყიდველების" ბაზრად? როგორი დასაბუთება შეგიძლიათ მოიყვანოთ თითოეული თვალსაზრისის სასარგებლოდ?

2. ფასის ამაღლების შეთანხმებული პირობები:

• არსებობს თუ არა რაიმე დასაბუთება კომპანია „Hot Waters"-ის მიერ შეთანხმებული პირობების გამოსაყენებლად, რომლებიც დაეყრდნობიან რენტაბელობის გაანგარიშებებს და მიმართული იქნებიან კონკურენციის დასაცავად? თუ კი, მაშინ როგორია ეს ახსნა და თვლით თუ არა თქვენ, რომ ისინი დასაბუთებულია?

• პირობების ორი განსახილველი ტიპიდან – 1)მოწყობილობათა იჯარაზე უარის თქმის გადასახდელი და 2) მოწყობილობის გამოსყიდვისას ფასების კორექტირების დებულებები – რომელია თქვენი აზრით, უფრო მეტად მიმართული კონკურენციის შეზღუდვაზე? უნდა აღძრულიყო თუ არა საქმე, თუ ამ ორი პირობიდან იარსებებდა მხოლოდ ერთი?

• წარმოადგენს თუ არა ფასების ამაღლება, როგორც ასეთი, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას? თუ არა, იგი დაკავშირებული ხომ არაა შეთანხმებულ პირობებთან?

3. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა:

• მიგაჩნიათ თუ არა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საქმის განხილვა მომხმარებელთა

უფლებების დაცვის კანონმდებლობის თვალსაზრისით (როგორც საქმე დაუსაბუთებელი შეთანხმებული პირობების გამოყენების შესახებ), თუ უნდა განხილულიყო როგორც საქმე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის თვალსაზრისით? რომელი ფაქტები მოწმობენ ამა თუ იმ მოსაზრების სისწორეს?

• მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობების თვალსაზრისით რამდენად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შეთანხმებული პირობები მოქმედებაში შევიდა კლიენტებთან შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ? იქნებოდა თუ არა შეთანხმებული პირობები მისაღები, თუ მათი მოქმედება გავრცელდებოდა მხოლოდ ახალ შეთანხმებებზე?

4. კონკურენცია და კონკურენტები:

• კომპანია „Hot Waters"-ს ჰყავს საკმაოდ ბევრი კონკურენტი. თუ ამოვალთ ბაზრის წილის მაჩვენებლებიდან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კომპანია „Hot Waters"-თან შედარებით მათ მიიღეს ბაზრის წილი, რომელიც შეესაბამება მათ მიერ დაყენებული მოწყობილობის ბაზას. ამასთან დაკავშირებით, სკეპტიკურად ხომ არ უნდა შევხედოთ მათ საჩივრებს?

• თუ კონკურენტები არ შეიტანდნენ საჩივრებს, მაშინ ანტიმონოპოლიურ ორგანოს მაინც უნდა აღეძრა საქმე?

5. წინასწარი რეგულირება:

• ანალიზის ჩატარებაში როგორ როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ კომპანია „Hot Waters" არის ადგილობრივი რეგულირებადი გაზგამანაწილებელი მონოპოლიური სუბიექტის შვილობილი საწარმო? თუ საქმის აღძვრამდე წყალგამაცხელებელი მოწყობილობის გამოყენების აქტივები მიეყიდებოდა სრულიად დამოუკიდებელ კომპანიას, მაშინ ამ საქმეზე მიიღებოდა თუ არა

ანალოგიური გადაწყვეტილება? შეიძლებოდა თუ არა კომპანია „Hot Waters“-ის აქტივების მიყიდვა სხვა კომპანიისათვის, რომელსაც არ ექნებოდა არავითარი კავშირი გაზის მონოპოლიასთან, გამოყენებული ყოფილიყო შესაძლებელ ვარიანტად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრისათვის?

6. დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მიმწოდებლის შეცვლასთან და ბაზარზე შესვლის ბარიერები:

- მიმწოდებლის შეცვლასთან დაკავშირებული დანახარჯების როგორი ტიპები წარმოადგენს ანალიზისათვის ყველაზე უფრო მისაღებს?
- ამ საქმის რომელი ასპექტები შეიძლება იქნეს განხილული ბაზარზე შესვლის ბარიერებად? დაკავშირებულია თუ არა ისინი დანახარჯებთან, რომლებიც გამოწვეულია მიმწოდებლის შეცვლით?

II.3. კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმება მეგაპოლისში [67]

მეგაპოლისში (დიდ ქალაქში) შემოღებულ იქნა მომსახურების ახალი სახე, რომელიც ემსახურება მთვრალ მძღოლებს. კერძოდ, მძღოლმა, რომელიც აპირებს სპირტიანი სასმელის დიდი რაოდენობით დალევას, შეუძლია ისარგებლოს ამ ახალი მომსახურებით, რომელიც ითვალისწინებს ნასვამი მძღოლის მისივე ავტომობილით სახლში მიყვანას. ამ მიზნით, ახლად შექმნილი სამსახურის თანამშრომელი, დასაკეცი მოპედით მიდის გამოძახების ადგილზე, ასრულებს შეკვეთას და მოპედითვე ბრუნდება უკან (შეკვეთის შესრულების პროცესში დაკეცილი მოპედი თავსდება კლიენტის ავტომანქანის საბარგულში). არსებობს ერთმანეთის კონკურენტი ორი კომპანია „X“ და „XX“ რომლებიც იყენებენ სამსახურის მოპედებს. კომპანია „X“-ში მუშაობენ ელეგანტურად ჩაცმული მძღოლები, რომლებიც გვანან ბრიტანელებს, ხოლო კომპანია „XX“-ში მძღოლებად ქირაობენ ახალგაზრდა მსახიობ მამაკაცებს და ქალებს.

რადგან მეგაპოლისი წარმოადგენს დიდ ქალაქს, მგზავრობაზე დახარჯული დრო შეიძლება ძალიან დიდი აღმოჩნდეს. ამასთან, მოპედთა რამდენიმე მძღოლი მოხვდა ავტოსაგზაო შემთხვევებში, რამაც გამოიწვია სადაზღვევო დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. ამ ბაზარზე მოქმედი კომპანიების მესაკუთრეებმა მოილაპარაკეს, რომ აემაღლებინათ უსაფრთხოების დონე, შეემცირებინათ დანახარჯები და მომსახურების ხარისხი გაეუმჯობესებინათ. ამის მისაღწევად მათ მოახდინეს თავიანთი მძღოლების ინსტრუქტირება და დაავალდებულეს რომ მათ არ ეჩქარათ. ასევე, შეთანხმდნენ რეკლამის სფეროში თანამშრომლობაზე, რომლის თანახმად „X“ კომპანია მომსახურებას შესთავაზებდა და რეკლამას განათავსებდა მხოლოდ ქალაქის დასავლეთ ნაწილში, ხოლო „XX“ კომპანია ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში (რეკლამა როგორც წესი განთავსდებოდა ბარებსა და რესტორანებში,

ასევე გაზეთებსა და საგაზეთო ჩანართებში, რომლებიც გამოიცემოდა იმ ანგარიშით, რომ გავრცელდებოდა მეგაპოლისის უზარმაზარი ტერიტორიის კონკრეტულ რაიონებში). თუ ზარების უმრავლესობა შემოვიდოდა ქალაქის მხოლოდ ერთი რაიონიდან კომპანიების აზრით შეკვეთის შესრულების დრო უნდა შემცირებულიყო.

კონკურენციის ორგანოსათვის ცნობილი გახდა ამ შეთანხმების შესახებ (კონკურენციის ორგანოს ერთი ხელმძღვანელი შემთხვევით აღმოჩნდა ორივე კომპანიის კლიენტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა:

1) აჩენს თუ არა ეს შეთანხმება ეჭვებს ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის 101-ე მუხლის [იხ. დანართი VII.15] დაცვის თვალსაზრისით?

2) როგორ განახორციელებთ ანალიზს იმის განსასაზღვრავად, არის თუ არა ეს შეთანხმება არაკანონიერი?

3) როგორი დასკვნები უნდა გაკეთდეს ანალიზის თითოეული ეტაპისათვის?

II.4. კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმება სამი ტენორის მაბალითზე [67]

მთელ მსოფლიოში აღიარებული სამი ტენორი – ხოსე კარერასი, პლასიდო დომინგო და ლუჩიანო პავაროტი ღებულობდნენ მონაწილეობას კონცერტების სერიაში, რომლებიც ემთხვეოდა ფეხბურთში 1990 წლის, 1994 წლის და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებს. კომპანია „PolyGram"-მა დაამზადა 1990 წლის კონცერტის ჩანაწერი „1", რომელიც აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო წარმატებული კლასიკური ჩანაწერი, რომელიც კი ოდესმე გამოსულა ბაზარზე. კომპანია „Warner"-მა მოამზადა 1994 წლის კონცერტის ჩანაწერი „2" და მოახდინა მისი რეალიზაცია. ესეც ასევე იყო წარმატებული, მაგრამ პირველ ჩანაწერთან შედარებით ნაკლებად გაყიდვადი. მეორე ჩანაწერის ნაკლებად წარმატებული რეალიზაციის ერთ-ერთი მიზეზი, პირველ ჩანაწერთან შედარებით შეიძლება ყოფილიყო რეპერტუარების ნაწილობრივი დამთხვევა; სხვა ფაქტორი იყო კომპანია „PolyGram"-ის აგრესიული მარკეტინგი „1" ალბომის რეალიზაციის პროცესში, მაშინ როცა „Warner"-ის კომპანიის „2" ალბომი ბაზარზე გამოვიდა, „1" ალბომის გაყიდვა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1998 წლის კონცერტის მოახლოებასთან ერთად კომპანიები „PolyGram" და „Warner" შეთანხმდნენ ახალი ალბომის „3" ერთობლივ წარმოებაზე. სხვადასხვა ექსკლუზიური უფლებების გამო არც ერთ ამ კომპანიას არ შეეძლო დამოუკიდებლად მოეხდინა „3" ალბომის ჩაწერა. ორივე მხარე შეთანხმდა ერთობლივად შეეძინათ კონცერტის ორგანიზატორებისაგან ჩაწერის უფლება და ერთმანეთს შორის გაენაწილებინათ დანახარჯები და მოგება. „1" და „2" ალბომები სპეციალურად ამოღებულ იქნა ერთობლივი საქმიანობის შესახებ შეთანხმების მოქმედების არეალიდან და თითოეული

მხარე ინარჩუნებდა ადრინდელი ალბომების რეალიზაციის უფლებას. კონცერტამდე ცოტა ხნით ადრე ორივე მხარემ გაიგო, რომ ამ მესამე კონცერტის რეპერტუარში შევიდოდა ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც უკვე შესრულებული იყო წინა კონცერტებზე. დამატებითი ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ 10 კვირის განმავლობაში „3“ ალბომის გამოცემამდე და მის შემდეგ თითოეული მხარე თავს შეიკავებდა მარკეტინგული საქმეების ყველა სახეობისაგან, გაყიდვების სტიმულირებისგან (როგორიცაა სპეციალური ფასდაკლება) და მათი რეკლამისაგან „1“ და „2“ ალბომებთან მიმართებაში.

წარმოვიდგინოთ რომ ეს შეთანხმება დღევანდელ სიტუაციაში გამოსაძიებელი იქნება ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის 101-ე მუხლის [იხ. დანართი VII.15] შესაბამისად. ჩაითვლება თუ არა „1“ და „2“ ალბომების გაყიდვების სტიმულირება უკანონოდ 101 მუხლის თვალსაზრისით? ეს შეთანხმება მიზნად ისახავს კონკურენციის შეზღუდვას, თუ ეს შეზღუდვა წარმოადგენს ამ შეთანხმების მოქმედების შედეგს? თუ მოითხოვება შემოწმება, შედეგების რომელი მაჩვენებლები უნდა წარადგინოს მოსარჩელემ კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით? რომელი დებულებები მოითხოვენ შემდგომ დასაბუთებას და თქვენი აზრით, რა სახის დამამტკიცებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ მხარეებმა?

კომპანიები ამტკიცებდნენ, რომ შეთანხმება არ ზღუდავდა კონკურენციას მუსიკალური CD–ების ბაზარზე; შეზღუდვა განხილულ უნდა იქნეს ერთობლივ „3“ პროექტთან მიმართებაში, თუ იგი ამართლებს იმ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელიც თავიდან აცილებს თითოეული კომპანიის „თავისუფალ ცურვას“ ერთობლივი ძალისხმევის ტალღაზე, რომელიც ხორციელდება „3“ ალბომის გამოსაშვებად. მომხმარებელი ამის გამო ასევე მოიგებს, რადგან ისინი ალბათ დიდი რაოდენობით იყიდიან ალბომებს „3“ კონცერტის ჩანაწერით.

II.5. ჰორიზონტალური შეთანხმება ინფორმაციის გაცვლის ბაზარზე [67]

„A Corp.“ კომპანიის ყოფილმა თანამშრომელმა იცოდა ამ კომპანიაზე, რომელიც წარმოადგენდა ელექტრო-ენერგიის მსხვილ მიმწოდებელს კომუნალური საჭიროებებისათვის ევროკავშირის ერთ ქვეყანაში და ასევე სამ სხვა კომპანიაზე („B Corp.“, „C Corp.“, „D Corp.“), რომლებიც ამ ქვეყანაში ახორციელებდნენ ელექტრო-ენერგიის მიწოდებას. საჩივარში მითითებული იყო, რომ ოთხმა მოპასუხემ შექმნა ინფორმაციის უკანონო გაცვლის სისტემა.

ევროკავშირის ამ ქვეყანაში არსებობდა ელექტრო-ენერგიის მიმწოდებელი რამდენიმე კომპანია. ოთხი მოპასუხე კომპანიის წილად მოდიოდა დარგის შემოსავლების 80% და ასევე დარგში დასაქმებული მუშაკების დაახლოებით ამდენივე რაოდენობა.

რამდენიმე წლით ადრე მოპასუხეებმა შექმნეს სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა კვლევების პერიოდულ ჩატარებას, რაც დაკავშირებული იყო წარსულ და მიმდინარე პერიოდებში მმართველობითი პერსონალის ანაზღაურებაზე დანახარჯების შედარებასთან. ისინი ასევე პერიოდულად ღებულობდნენ მონაწილეობას პროფკავშირულ კრებებზე, სადაც იხილებოდა საკითხები ხელფასის ფონდის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა კომპანიებში შესრულებული სამუშაოების შედარება არც თუ ისე ადვილია, მოპასუხეებმა შეიმუშავეს საერთო კრიტერიუმი, რომელიც ამსუბუქებდა მმართველობითი პერსონალის ხელფასების შედარების პროცესს. მათ დანერგეს სამუშაო ადგილების ხუთი სხვადასხვა კატეგორია, ანუ „მომუშავეთა კატეგორიები“, რომლებიც დაყოფილ იქნა სამუშაოს ხასიათის შესაბამისად. მომუშავეთა თითოეული კატეგორიისათვის ხდებოდა ინფორმაციის კლასიფიცირება შესასრულებელი სამუშაოს დონის თანახმად, მომუშავეთა აუცილებელი გამოცდილების და განათლების დონის

მიხედვით. „A Corp.“ კომპანიამ შექმნა ეტალონური სამუშაო ადგილებისა და მომუშავეთა კატეგორიების სისტემა, ხოლო სხვა მოპასუხეებს უნდა მიეწოდებინათ დეტალური ინფორმაცია თითოეულ კომპანიაში იმ სამუშაო ადგილების შესახებ, რომლებიც უფრო მეტად შეესატყვისებოდა ეტალონს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი შედარება. დამატებითი კვლევა დაკავშირებული იყო ხელფასის ამაღლებასთან და წლიური შედეგების მიხედვით ბონუსების ანაზღაურებასთან. ჩატარებული გამოკვლევის მონაცემები გროვდებოდა და წარედგინებოდა მესამე მხარეს – კომპანია „Electricity Associates“-ის კონსულტანტს. ეს კომპანია ახდენდა ამ მონაცემების შეგროვებას, გაანალიზებას, გაახლებას და გავრცელებას მოპასუხე კომპანიებს შორის.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მმართველობითი პერსონალის ხელფასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის რეგულარული გაცვლის გზით, მოპასუხეები ადგენდნენ ხელფასს ხელოვნურად დაბალ დონეზე. კითხვაზე პასუხში „A Corp.“ კომპანიამ აღიარა, რომ მითითებული სისტემა მოქმედებდა უკვე რამდენიმე წლის განამვლობაში, მაგრამ უარი განაცხადა მოსარჩელის იმ ბრალდებაზე, რომ ეს უარყოფითად აისახა კონკურენციაზე. მთელ დარგში გადასახადები იზრდებოდა. სისტემა არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ცალკეული მუშაკებისათვის ინდივიდუალური ხელფასების შესამცირებლად, ვინაიდან ხელფასის სიდიდე თითოეულ მუშაკთან ერთად განიხილებოდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მიწოდება ზოგიერთ სამუშაო ადგილებზე, რაც მოითხოვდა მომუშავეთა ვიწრო სპეციალიზაციას, შეზღუდული იყო, ამიტომ თითოეული კომპანია ყველა შემთხვევაში იძულებული იყო ხელფასი დაედგინა საბაზრო განაკვეთების დონეზე. უფრო მეტიც, ადგილი ჰქონდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეებისაგან ძლიერ ზეწოლას, რომლებიც მოითხოვდნენ კომპანიის ხელმძღვანელობის ხელფასის შემცირებას და თითოეული

მოპასუხე ცდილობდა მსარი დაეჭირა გონივრული ბალანსისათვის კომპანიის ხელმძღვანელთა ხელფასების დონესა და მათ ხელფასებს შორის, ვინც მუშაობდა უმაღლეს სახელისუფლო თანამდებობებზე. ინფორმაციის გაცვლის შეღეგად არც ერთ მომხმარებელს არ მიყენებია ზარალი.

თუ თქვენ გთხოვდნენ ჩაგეტარებინათ გამოძიება ამ საქმეზე, როგორ განახორციელებდით ანალიზს იმის განსასაზღვრავად, ჰქონდა თუ არა ადგილი ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის 101-ე მუხლის [ის. დანართი VII.15] დარღვევას? რომელ დასკვნებს ჩათვლიდით თქვენ საკითხის არსთან დაკავშირებულად და რა დამატებით დასკვნებს მოითხოვდით კიდევ? მისცემდით თუ არა კომპანიის ხელმძღვანელობას რეკომენდაციას დავის გაგრძელებისათვის საქმეში არსებული მტკიცებულებების ფონზე?

II.6. სატვირთო ავტომანქანების იჯარა – ინფორმაციის ცალმხრივი გახსნა [67]

ახალ სახლში გადასელა შეიძლება ძვირადღირებულ მომსახურებას წარმოადგენდეს. ამიტომ სატვირთო ავტომანქანების იჯარა პოპულარული გახდა „X“ ქვეყანაში. ავტომანქანების იჯარა ეფუძნება „გასვლის პუნქტში დაბრუნების გარეშე“ პრინციპს,ამიტომ ისინი შეიძლება მეიჯარისათვის სასურველ ადგილზე მივიდნენ. „X“ ქვეყანაში არსებობდა სამი მსხვილი კომპანია, რომლებიც სთავაზობდნენ სატვირთო მანქანების იჯარას ზემოთ მოცემული პრინციპის საფუძველზე – კერძოდ,ეს კომპანიებია: „U-Schlepp“, „Real Cheap“ და „Broken Back“. კომპანიები „U-Schlepp“ და „Real Cheap“ აშკარად უფრო მსხვილი კომპანიებია. მათ წილად მოდიოდა ავტომანქანების იჯარით ტვირთის გადაზიდვის საერთო მოცულობის დაახლოებით 70%.

ბაზარზე საფასო კონკურენცია უმკაცრესია, რამაც იძულებული გახადა უმსხვილესი „U-Schlepp“ კომპანია დაეწია საიჯარო განაკვეთი ავტომობილებზე. „U-Schlepp“-ის გენერალურმა დირექტორმა პერსონალის ხელფასთან დაკავშირებული სატელეფონო კონფერენციის მსვლელობისას გააკეთა განცხადება, სადაც მან შესთავაზა ავტომანქანების საიჯარო განაკვეთების გაზრდა „U-Schlepp“ კომპანიაში და მათი შენარჩუნება იქამდე, სანამ კომპანია „Real Cheap“-ი იგივეს არ მოიმოქმედებდა; წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იყო კომპანიის წილის შემცირება ბაზარზე.

ანალიტიკოსთა აზრის ღია განხილვისას, რომელიც გამოთქმულ იქნა სატელეფონო კონფერენციის მსვლელობისას, კომპანია „U-Schlepp“-ის გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, რომ კომპანია დიდ ძალისხმევას იყენებს, რომ მოახდინოს საფასო ლიდერობის დემონსტრირება. დამატებითი ინფორმაციის მიწოდების თხოვნაზე, გენერალურმა დირექტორმა უფრო დაწვრილებით ილაპარაკა საფასო სიგნალების შესახებ, რომელთაც ის უგზავნიდა კონკურენტ კომპანიებს: „როგორც მე უკვე ადრე ვთქვი, ჩვენ ვცდილობთ

გამოვიყენოთ შესაძლებლობა ყოველთვის გავატაროთ ფასების მიხედვით ლიდერობის პოლიტიკა, როცა კი ამის შესაძლებლობა არსებობს. ჩვენი კონკურენტებისათვის ეს კიდევ ერთი ნიშანია „ . . . ე.ი. კმარა ფულის გადაყრა. დაადგინეთ ფასი უკიდურეს შემთხვევაში დანახარჯების დონეზე მაინც““. შემდეგ მან გააგრძელა და განაცხადა რომ კომპანია „U-Schlepp“-ი დიდხანს დაელოდება კონკურენტების რეაგირებას. ასევე, აღნიშნავდა „თუ გრძნობენ, რომ ჩვენ მიეცემთ საშუალებას ცოტა აიწიონ ზემოთ, მაშინ ჩემი ოპტიმისტური თვალსაზრისით ისინი აიწევენ და ეს მოახდენს ჩვენზე უზარმაზარ გავლენას“. შემდგომში მან განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ კომპანია „U-Schlepp“ თავის საიჯარო განაკვეთებს დაიჭერდა, სანამ კომპანია „Real Cheap“ თავის განაკვეთებს კომპანია „U-Schlepp“-ის განაკვეთებთან შედარებით არ გაზრდიდა 3%-5%-ით: „ჩემი აზრით, თანამედროვე ეკონომიკაში ძნელია მომსახურების ბაზარზე ფასების 3%-5% მეტობის ახსნა“.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კომპანია „U-Schlepp“-მა ასევე დააგზავნა ორი მემორანდუმი თავის თანამშრომლებთან, სადაც თავის მენეჯერებს ავალებდა თავისი კოლეგებისათვის კომპანია „Real Cheap“-იდან ეთქვათ რომ თავი შეეკავებინათ ფასების შემცირებისაგან. მთავარი გზავნილი ასეთი იყო: „კომპანია „Real Cheap“ აგრძელებს ზოგიერთ ბაზრებზე ჩვენი სატარიფო პოზიციებისათვის ძირის გამოთხრას. ან დაადგინეთ განაკვეთები უფრო დაბლა, ვიდრე მათ აქვთ ან იმოძრავეთ სამართლიანი ფასებისაკენ. რაც არ უნდა გააკეთოთ აცნობეთ კომპანია „Real Cheap“-ს. დაუკავშირდით კომპანია „Real Cheap“-ის მსხვილ დილერს და აცნობეთ მას. დაუკავშირდით კომპანიის საწყობს და აცნობეთ ინფორმაცია მენეჯერს“. რიგ შემთხვევებში ასეთი შეტყობინებები ნამდვილად მიდიოდა.

რეაგირებდა რა ამ მემორანდუმებზე, ადგილობრივი განყოფილების მენეჯერი, რომელიც პასუხს აგებდა „X“ ქვეყნის ცალკეულ რეგიონში მუშაობაზე, გაზარდა კომპანია „U-Schlepp“-ის განაკვეთი სატვირთო ავტომობილის

იჯარაზე. შემდგომ მან დარეკა კომპანია „Real Cheap“-ში და შეატყობინა ამ კომპანიის წარმომადგენლებს, რომ კომპანია „U-Schlepp“-მა გაზარდა საიჯარო განაკვეთები და რომ ახალი განაკვეთები შეიძლება ნახონ კომპანიის საიტზე. საუბრისას მენეჯერმა შენიღბული ფორმით წინასწარ განზრახვით გააგებინა, რომ თუ კომპანია „Real Cheap“ არ გაზრდიდა თავის განაკვეთებს, კომპანია „U-Schlepp“ თავის განაკვეთებს შეამცირებდა ადრინდელ დონემდე.

არ იყო არავითარი მტკიცებულება, რომ კომპანია „Real Cheap“ დათანხმდებოდა კომპანია „U-Schlepp“-ის მიერ უკვე მიღებულ ფასების ზრდას. კომპანია „U-Schlepp“-ამდე არასოდეს პირდაპირ არ მიდიოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მისი კონკურენტი ან თანხმდება ფასის გაზრდას ან უარს ამბობს ამაზე. კომპანია „Real Cheap“-მა ნამდვილად გაზარდა ფასები კომპანია „U-Schlepp“-ის ადგილობრივი განყოფილების მენეჯერის სატელეფონო ზარიდან რამოდენიმე დღეში. იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია „U-Schlepp“-მა დაიწყო მიზნობრივი კომპანია მთელ ქვეყანაში ფასები გაიზარდა 3%-ით.

თუ ეს ფაქტები ცნობილი გახდებოდა კონკურენციის დაცვის ორგანოებისათვის, საკმარისი იქნებოდა თუ არა ეს ფაქტები იმისათვის რომ შემთხვევა განხილულიყო ევროკავშირის საკონკურენციო სამართლის 101-ე მუხლის [იხ. დანართი VII.15] დარღვევის ასპექტში? წარმოადგენს თუ არა ეს შეთანხმება, შეთანხმებულ ქმედებას? თუ კი, მაშინ თქვენ დაკავდებით კომპანია „U-Schlepp“-ით, თუ ორივე კომპანიით?

ეცადეთ განსაზღვროთ, რას ჩათვლით სასარგებლო მტკიცებულებებად ფაქტების შერჩევისას და მოიფიქრეთ დამატებითი მტკიცებულებები, რომლებიც თქვენთვის აუცილებელი იქნება გადაწყვეტილების მისაღებად?

II.7. კარტელური შეთანხმება საცხოვებების ბაზარზე ბეიკერლენდში [65]

I. შეთანხმების მხარეები

ეროვნული საცხობი, საოლქო საცხობი და საქალაქო საცხობი წარმოადგენენ სამეურნეო სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას ბეიკერლენდის ანტიმონოპოლიური სამსახურის სფეროს იურისდიქციაში. ეროვნული საცხობი არის სამი საწამოდან ყველაზე მსხვილი; მისი საწარმოო სიმძლავრეები და გასაღების პუნქტები განთავსებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საოლქო საცხობი ყველაზე უფრო აქტიურად მოქმედებს პურფუნთუშეულის წარმოებისა და დისტრიბუციის სფეროში ბეიკერლენდის სამხრეთ ნაწილში, სადაც განლაგებულია ქვეყნის დედაქალაქი კრუასანი და ორი დიდი ქალაქი (ბატერეეჯემი და კოფეუიფმილკი). საქალაქო საცხობი ამ სამი კომპანიიდან ყველაზე მცირეა და მუშაობს მხოლოდ ქალაქ კრუასანში.

II. ბაზრის განსაზღვრა

ისტროიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ პური წარმოადგენს ბეიკერლენდ'ში ყველაზე მნიშვნელოვან პროდუქტს. მე-12 საუკუნე'ში „პურის ხარისხის დაცვის შესახებ" პირველი კანონის მიღების მომენტიდან პურის ცხობა ბეიკერლენდ'ში სწარმოებს მსოფლიოში ხარისხის კონტროლის ყველაზე უფრო მკაცრი წესების შესაბამისად. არსებული ნორმატიული აქტები კრძალავენ პურის გაყიდვას, იმპორტს და ექსპორტსაც კი, თუ ის არაა დამზადებული ეროვნული ტრადიციების შესაბამისად. პროდუქტის ხასიათისა და გამოყენებული სამართლებრივი რეჟიმის გათვალისწინებით პურფუნუშეულის ბაზარი წარმოადგენს დამოუკიდებელ სასაქონლო ბაზარს. ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები მოიცავენ ქვეყნის დედაქალაქ კრუასანს, რამდენადაც

ეროვნული ტრადიციების თანახმად პურფუნთუშეულის ნაწარმი იწარმოება ადგილებზე, რათა საცალო ქსელში მიწოდებულ იქნეს ახალი პური. ახალი პურის დიდ მანძილებზე ტრანსპორტირება ითვლება არარენტაბელურად.

III. საქონელბრუნვა პურის ბაზარზე

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ეროვნული საცხობის, საოლქო საცხობის და საქალაქო საცხობის საქონელბრუნვა 2005 წლიდან 2007 წლის ჩათვლით. თითოეულ გრაფაში მოცემულია თითოეული კომპანიის ეროვნული გაყიდვის და კრუასანში გაყიდვის მოცულობები შესაბამის საფინანსო წელს (მლნ. ევროში).

	2005		2006		2007	
	წელ ჭკუანში	კრუასანში	წელ ჭკუანში	კრუასანში	წელ ჭკუანში	კრუასანში
ეროვნული საცხობი	396	67	410	79	410	76
საოლქო საცხობი	134	62	145	72	134	61
საქალაქო საცხობი	50	50	64	64	60	60

ეროვნული, საოლქო და საქალაქო საცხობების საბაზრო წილები არ შეცვლილა 2004 წლის შემდეგ და ერთობლიობაში შეადგენდა დაახლოებით 90%-ს.

IV. საქმის არსი

დარღვევას ადგილი ჰქონდა 2005 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 1 აპრილამდე. კარტელური შეთანხმება დადებულ იქნა საქალაქო საცხობის ინიციატივით პურზე ფასების შემცირებისას, რომელიც გამოწვეული იყო ძირითადად ეროვნული საცხობის ქმედებებით. ფასები

შეთანხმებულ იქნა შეხვედრის დროს, რომელიც შედგა საოლქო საცხობის ოფისში. დამაჯარებელი მტკიცებულებანი, რომლებიც მოწმობდნენ ამ შეხვედრების შინაარსზე, გაგზავნილ იქნა კომპანიის სათაო ოფისში, სადაც ბეიკერლენდის ანტიმონოპოლიური ორგანოს წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს რეიდის დროს.

მიღებული მტკიცებულებანი მოწმობენ, რომ საქალაქო საცხობი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ამ შეხვედრათა ნახევარში. ამასთან, მისი წარმომადგენლები არ გამოირჩეოდნენ აქტიურობით და არ გამოთქვამდნენ არავითარ წინადადებებს.

იმის მიუხედავად რომ მხარეები გამოთქვამდნენ გარკვეულ დაშინებას შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „ზემოქმედების ზომების" მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, არა იქნა აღმოჩენილი არავითარი მტკიცებულება რომელიც ამ ფაქტს დაადასტურებდა.

V. სხვა ფაქტორები

ინფორმაციის წყაროს, რის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, წარმოადგენდა საქალაქო საცხობის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც განთავისუფლებულ იქნა 2005 წელს. კომპანიის ოფისებში რეიდების შემდეგ, საქალაქო საცხობის მენჯერებმა მისცეს ჩვენებები, რომლებშიც აღწერეს კარტელური შეთანხმების შიდა მექანიზმი და წარმოადგინეს დამატებითი მტკიცებულებები, რომლებიც ეხებოდა ფასების დადგენის საკითხს და რომლებიც ვერ იქნა აღმოჩენილი რეიდის ჩატარებისას. ყველა კომპანია დაექვემდებარა შემოწმებას და თავისდროულად წარმოადგინეს მათგან გამოთხოვილი ყველა დოკუმენტი. გარდა ამისა, ისინი დათანხმდნენ ჩატარებულიყო ინტერვიუები დირექტორებთან და თანამშრომლებთან და თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან. მიუხედავად

მიღებული მტკიცებულებისა, ეროვნულმა საცხობმა და საოლქო საცხობმა არ აღიარეს თავიანთი დანაშაული.

საოლქო საცხობი ადრე იყო შემჩნეული კარტელურ შეთანხმებაში მონაწილეობაზე ქალაქ ბატერნჯემში პურპროდუქტების ნაწარმის ბაზარზე 2002 წელს. გადაწყვეტილება მხარდაჭერილ იქნა სასამართლო წესით. 2004 წელს, ეროვნული საცხობი მიჩნეულ იქნა დამნაშავედ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, ფქვილის შესყიდვის პირველად ბაზარზე, დაადგინა რა დისკრიმინაციული ფასები საცხობების მიერ შესასყიდ ფქვილზე.

საოლქო კომპანიის საბალანსო ანგარიშები 2006 წლისათვის მოწმობენ რომ მისი დანაკარგები შეადგენდნენ კომპანიის საქონელბრუნვის 8,5%-ს.

VI. გასაღების ბაზრის მონაცემები

ქალაქ კრუასანში

(იხ. 179-180 გვერდზე)

	რაოდენობა (მლნ. ფუნტებში)			ფუნტის ფასი (ევროცენტებში)			საშუალო საერთო დანახარჯები 1 ფუნტზე (ევროცენტებში)		
	ერთეული საცხობი	საოლქო საცხობი	საქალაქო საცხობი	ერთეული საცხობი	საოლქო საცხობი	საქალაქო საცხობი	ერთეული საცხობი	საოლქო საცხობი	საქალაქო საცხობი
2005 I	20	19	14	77	81	82	73	75	76
2005 II	21	19	15	76	80	81	73	75	76
2005 III	21	18	15	75	79	80	74	76	76
2005 IV	20	17	14	99	100	99	74	76	76
2006 I	19	18	15	104	105	105	74	76	77
2006 II	19	17	15	105	105	105	74	76	77
2006 III	18	18	15	106	106	105	74	76	77
2006 IV	19	17	15	107	107	107	75	78	78
2007 I	20	17	16	107	108	108	76	79	78
2007 II	22	17	17	85	90	88	76	79	79
2007 III	22	17	17	80	81	84	76	79	79
2007 IV	22	17	16	78	79	81	76	80	81

	საერთო დანახარჯები (მლნ. ევრო)			საერთო შემოსავალი		
	ეროვნული საცხობი	საოლქო საცხობი	საქალაქო საცხობი	ეროვნული საცხობი	საოლქო საცხობი	საქალაქო საცხობი
2005 I	15	14	11	16	15	12
2005 II	15	14	12	16	15	12
2005 III	16	14	12	16	14	12
2005 IV	15	13	11	20	17	14
2006 I	14	13	11	19	18	15
2006 II	14	13	12	20	18	16
2006 III	14	14	12	20	19	16
2006 IV	14	13	12	20	18	17
2007 I	15	13	13	21	18	18
2007 II	16	13	13	18	15	15
2007 III	17	14	14	18	14	14
2007 IV	17	14	13	17	13	13

VII. კითხვები განხილვისათვის

1. როგორ თვლით, კომპანიებს უნდა დაეკისროთ უფრო მაღალი თუ უფრო დაბალი ჯარიმები სხვა ტიპის დარღვევებთან შედარებით?

2. რომელ მონაცემებს განიხილავდით კარტელური შეთანხმების შედეგებისა და სერიოზულობის შეფასებისათვის?

3. თვლით თუ არა, რომ დარღვევებში მონაწილე კომპანიების მიმართ უნდა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიდგომები? თუ კი, რომელ ფაქტორებს თვლით მნიშვნელოვნად? ხომ არ გეჩვენებათ, რომ სხვადასხვა ფაქტორები წარმოადგენენ მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანს?

4. ჯარიმის სიდიდის განსაზღვრისას გაითვალისწინებთ თუ არა უკანონოდ მიღებული სარგებლის ზომას?

5. გაითვალისწინებთ თუ არა ჯარიმის სიდიდის განსაზღვრისას რაიმე ობიექტურ ზღვრულ დონეს?

6. გამოითვალეთ ეროვნული საცხობის ჯარიმის სიდიდე. გაანგარიშებები არაა აუცილებელი იყოს ზუსტი. მთავარია, რომ გაანგარიშებები ეყრდნობოდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) საერთო ეროვნულ მონაცემებს.
   ბ) საქალაქო მონაცემებს კრუასანისათვის.
   გ) მონაცემებს ფასებსა და დანახარჯებზე.

7. მე-6 საკითხის შესწავლისას განსაზღვრეთ მეთოდი, რომელსაც თქვენ მისცემთ უპირატესობას.

8. თუ გაქვთ დრო, გამოითვალეთ საქალაქო საცხობის ჯარიმის სიდიდე, ხოლო შემდეგ საოლქო საცხობისა. ამ შემთხვევაში ასევე ამოირჩიეთ მეთოდი 6(ა), 6(ბ) და 6(გ) ვარიანტებიდან რომელსაც მიიჩნევთ ყველაზე უფრო ხელსაყრელად.

II.8. ბანკების შერწყმა ოკეანიკაში [66]

I. წინაპირობები

1. საქმე ეხება საინვესტიციო ბანკის მიერ სავაჭრო ბანკის მოსალოდნელ შთანთქმას. ამასთან ორივე ბანკი აქტიურად მოქმედებდა საბანკო მომსახურების სფეროში, სთავაზობდა რა ამ მომსახურებას კერძო პირებს, მცირე და საშუალო საწარმოებს ოკეანიკას შიდა ბაზარზე.

2. საქმის განხილვისას სავაჭრო ბანკი ოკეანიკაში წარმოადგენდა სიდიდით მეორე ბანკს და სთავაზობდა საცალო საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს, განსაკუთრებულად კი მცირე და საშუალო საწარმოებს. საინვესტიციო ბანკი წარმოადგენდა ქვეყანაში სიდიდით მეხუთე ბანკს და ძირითადად განიხილებოდა, როგორც დამწყები ამ ბაზარზე, რომელმაც თავისი ოპერაციები დაიწყო 15 წლის წინათ და სწრაფად იზრდებოდა როგორც ორგანულად, ასევე შთანთქმების გზით და კონკურენტებთან შედარებით გამორჩეულად დაბალი ტარიფების გამოყენებით.

3. ორივე ბანკი მცირე და საშუალო საწარმოებს, კერძო პირებს და ასევე მსხვილ ფირმებსა და ორგანიზაციებს სთავაზობდა საცალო საბანკო მომსახურების სრულ ნაკრებს საკრედიტო ბარათების გამოშვებისა და მომსახურების ჩათვლით. მათ ასევე გააჩნდათ განყოფილებათა ფართო ქსელი, რაც უზრუნველყოფდა მათ არსებობას ოკეანიკას მთელ ტერიტორიაზე. თავიანთი ზომების, შეთავაზებული მომსახურების ასორტიმენტის და განყოფილებათა ფართო ქსელის წყალობით ისინი განიხილებოდნენ „ეროვნული“ ბანკების რანგში. ისინი განეკუთვნებოდნენ „დიდი ხუთეულის“ ჯგუფს, სადაც შედიოდა ყველა ის

„ეროვნული“ ბანკი, რომლებიც დომინირებდა ოკეანიკას საბანკო სისტემაში.

4. „დიდი ხუთეულის“ ჯგუფში ასევე შედიოდა „Bank One“, რომელსაც ისტორიულად ეკავა ოკეანიკას ბაზარზე ლიდერის პოზიცია და უმნიშვნელოდ უსწრებდა სიდიდით მეორე ბანკს – სავაჭრო ბანკს. ხუთი უმსხვილესი ბანკი ერთობლივად ფარავდა ოკეანიკაში საბანკო ბიზნესის 85%-ს. დანარჩენი 15% კონტროლდებოდა მრავალრიცხოვანი მცირე ბანკების მიერ, რომლებიც სპეციალიზებული იყვნენ ცალკეულ ოლქებში და არ გააჩნდათ საერთო ეროვნული ხასიათი. ამასთან, მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საინვესტიციო ბანკს.

5. ამ სექტორმა ბოლო 20 წელიწადში მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ფართო ექსპანსიის პერიოდის შემდეგ, როდესაც ოკეანიკას ბაზარზე შეაღწია, რამდენიმე ბანკმა, რომელთაგან ზოგიერთმა, როგორც საინვესტიციო ბანკმა, შეძლო ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის დაკავება. ბოლო პერიოდში დაიწყო კონსოლიდაციის პროცესი. მოხდა რამოდენიმე შთანთქმა, რამაც გამოიწვია „დიდი ხუთეულის“ ბანკების ხელში საბაზრო წილების ზრდა.

6. უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო ბანკმა თავისი ბაზარი გააფართოვა ბოლო წლებში ცნობილი სტრუქტურების შთანთქმების სერიით და ამ საქმეში ის არ იყო ერთადერთი. „დიდი ხუთეულის“ ჯგუფის სხვა ბანკებმაც ასევე გაიუმჯობესეს თავიანთი პოზიციები შთანთქმების ხარჯზე. მთელი ამ პერიოდის მანძილზე „Bank One“-ი რჩებოდა ბაზრის ლიდერად და მხოლოდ სავაჭრო ბანკი აცხადებდა ბოლო დროს პრეტენზიას მის პოზიციაზე.

7. ოკიანიკა – ესაა ქვეყანა დაახლოებით 8 მილიონი მცხოვრებით. ბანკებს, რომლებიც მუშაობდნენ ამ ქვეყანაში, უნდა დაეკმაყოფილებინათ ოკეანიკას

ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები. შერწყმებისა და შთანთქმების წესები ოკეანიკაში დაფუძნებულია დომინირებული მდგომარეობის ტესტზე, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული შერწყმა ქმნის (აძლიერებს) თუ არა ორგანიზაციის დომინირებულ მდგომარეობას, რამაც შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს ეფექტურ კონკურენციას.

8. ოკეანიკას კონკურენციის ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ განსახილველმა შერწყმამ შეიძლება მიგვიყვანოს მოკლევადიანი კრედიტების ეროვნულ ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობამდე. კონკურენციის ორგანო შეეცადა მიეღო ზოგიერთი დაცვითი ზომა, რომელიც შეამსუბუქებდა იმ ზიანს, რაც შეიძლება მიეყენებინა კონკურენციისათვის აღნიშნულ შერწყმას. ამ ზომებს ბოლოს და ბოლოს დაეთანხმნენ შერწყმის მონაწილე სტრუქტურებიც.

II. ბაზრისა და საბაზრო წილების განსაზღვრა

9. ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას, რომელსაც შეეჯახა კონკურენციის ორგანო, წარმოადგენდა შესაბამისი ბაზრების განსაზღვრა.

10. სასაქონლო ბაზრების განსაზღვრის კუთხით გარკვეულ იქნა, რომ ზოგიერთი, ბანკების მიერ შეთავაზებული ფართო სპექტრის მომსახურება წარმოადგენდა საკმარისად ავტონომიურს და ამგვარად შეიძლებოდა განხილულ ყოფილიყო ცალკე ბაზრად; ძირითადად იმიტომ რომ მომხმარებელთა თვალსაზრისით მათი შეცვლა შეუძლებელი იყო და ზოგიერთი ბანკი დასპეციალებული იყო ამა თუ იმ მომსახურების გაწევაზე და არა მთელ სპექტრზე. ოკეანიკას კონკურენციის ორგანომ განსაზღვრა მომსახურების 31 სხვადასხვა სახეობა, რომლებიც შესაძლებელი იყო გამოყოფილიყვნენ ცალკე სასაქონლო ბაზრებად.

11. რაც შეეხება საბანკო მომსახურებათა გეოგრაფიულ განვრცობადობას, აღმოჩნდა, რომ იგი დამოკიდებულია მომსახურების ტიპზე. გარკვეულ იქნა,რომ სამომხმარებლო კრედიტების სფეროში და მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობის სფეროში საბანკო მომსახურებას გააჩნია როგორც ეროვნული, ისე ადგილობრივი გაზომვადობა. ადგილობრივ დონეზე გავრცელება აიხსნება მომხმარებელსა და საბანკო მენეჯერს შორის პირადი ურთიერთობების მნიშვნელობით და ასევე საბანკო განყოფილებისა და კლიენტის ადგილსამყოფელის სიახლოვით. მაგრამ, იმ ფაქტმა, რომ მომსახურებაზე ტარიფების დაწევის სფეროში ბანკების პოლიტიკა, კომერციული გადაწყვეტილებები და ასევე გადაწყვეტილებები მართვისა და ქსელის გაფართოების სფეროში ცენტრალიზებულია ეროვნულ დონეზე, კონკურენციის ორგანო მიიყვანა დასკვნამდე რომ ამ ბაზრებს გააჩნიათ ეროვნული ხასიათი მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული კონკურენცია ცალკეულ განყოფილებებს შორის.

III. საბაზრო წილები და კონცენტრაცია

12. შერწყმათა სფეროში ოკეანიკას კონკურენციის ორგანოს მეთოდური რეკომენდაციები მიუთითებდნენ, რომ ამ უწყებას შეეძლო გამოევლინა შეშფოთება კონკურენციის მდგომარეობასთან დაკავშირებით იმ ბაზრებზე, სადაც ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსები აჭარბებდენ 2000, ხოლო შეთავაზებული შერწყმა ადიდებდა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს 250-ზე მეტით. ამ პრინციპის შესაბამისად, კონკურენციის ორგანო საწყისი გამოძიების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შემოთავაზებული შერწყმა აძლიერებდა კონკურენციის შეზღუდვის საშიშროებას საბანკო მომსახურების 5 ბაზარზე, რომლებიც მომხმარებელს აწვდიდნენ ინდივიდუალურ საბანკო მომსახურებას 5 ბაზარზე და ასევე, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მოკლევა-

დიანი კრედიტების ბაზარზე: ამ ბაზრებისათვის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსების ზღვრული მონაცემები იყო გადაჭარბებული.

ცხრილი 1. საბაზრო წილები 2007 წ.

	საუკრო ბანკი	ბანკი	საუკრო ბანკი + ბანკი	„Bank One“,
ბანკი ბაზარი ინდივიდუალური ლიდერის მომხმარებლებისათვის (ყველა ბაზარს აქვს მსგავსი ბაზრის წილი)	20	10	30	35
მოკლევადიანი კრედიტები, რომლებიც კაპიტალის მცირე და საშუალო საწარმოებს)	25	10	35	30

13. როგორც 1-ელ ცხრილშია ნაჩვენები, 2007 წელს „Bank One“-ი იყო ლიდერი ყველა შესაბამის ბაზარზე. შემოთავაზებული შერწყმის შედეგად ახალი სტრუქტურა გახდებოდა ლიდერი მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტების სფეროში. სხვა ბაზრებზე, რომლებიც იწვევენ შეშფოთებას, „Bank One“-ი კვლავინდებურად დარჩებოდა ლიდერად, თუმცა მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებით.

14. ამ გარემოებამ კონკურენციის დაცვის ორგანო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შერწყმა დიდი ალბათობით გააძლიერებდა კონკურენციის შესზღუდვის საფრთხეს მოკლევადიანი კრედიტების ეროვნულ ბაზარზე.

IV. ბარიერები ბაზარზე შესაველად და საქმიანობის გაფართოების გზაზე:

15. ოკეანიკას კონკურენციის ორგანომ განსაზღვრა ბაზარზე შესვლისა და საქმიანობის გაფართოების შემდეგი ბარიერები:

ა) ინფორმაციის ასიმეტრიულობა: გამომდინარეობს იმ ფაქტიდან რომ ქროვნულ და ადგილობრივ დონეზე წარმატებული საქმიანობისათვის ბანკებს უნდა სცოდნოდათ ინდივიდუალური კლიენტებისა და ფირმების საკრედიტო რისკების შესახებ. ამგვარი ინფორმაცია მზა სახით შეიძლება მიუწვდომელი ყოფილიყო ბაზრის პოტენციური ახალი მონაწილებისათვის და როგორც წესი გროვდებოდა ბანკსა და კლიენტს შორის გრძელვადიანი ურთიერთობების პროცესში.

ბ) დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ჩამოყალიბებული ურთიერთობების შესაცვლელ მოქმედებებთან: კონკურენციის ორგანომ აღმოაჩინა, რომ ოპერაციები საბანკო ანგარიშებზე და სხვა მომსახურებები ოკეანიკაში დაკავშირებული იყვნენ ცხად ან ფარულ დანახარჯებთან, რასაც განიცდიდა კლიენტი. ამას შეიძლება მიეღო საკომისიოს ფორმა საბანკო ანგარიშების დახურვისას ან ჯარიმების ფორმა კრედიტის ვადამდელი დაფარვისას. მან ასევე გამოავლინა იმ კლიენტების ფსიქოლოგიური ხასიათის დანახარჯების არსებობა, რომლებიც ხშირად საეჭვოდ ეპყრობოდნენ ურთიერთობების ჩამოყალიბებას (დადგენას) ახალ ბანკთან და ახალ საბანკო მენეჯერთანაც კი.

გ) *საეჭვრო მარკა და რეპუტაცია:* ოკეანიკაში ბანკები ხარჯავდნენ მნიშვნელოვან სახსრებს სავაჭრო მარკის შექმნისა და წინსვლისათვის მასირებული სარეკლამო კამპანიის საწარმოებლად. ისინი (სახსრები),

ხშირად განიხილებიან როგორც კონკურენტთა დანახარჯების გაზრდის საშუალება და ბარიერების შექმნა ბაზარზე შესაღწევად (აუნაზღაურებელი დანახარჯების გამო).

დ) ***მასშტაბის ეფექტი***: კონკურენციის დაცვის ორგანომ ასევე აღმოაჩინა, რომ ბანკებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო განსაზღვრული ზომის მიღწევა იმისათვის, რომ წარმატებულად ემუშავათ ეფექტიანობის ამაღლების შედეგად, ანდა რისკების განაწილების შედეგად, რაც თავის მხრივ ზრდის მათ სარისკო რეიტინგს და უფრო ფართოდ უშვებს, რესურსებთან უფრო დაბალ ფასად. საბანკო პროდუქტების და მოსახურების ჯვარედინი გაყიდვის პრაქტიკა ასევე იძლეოდა საშუალებას შემცირებულიყო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებული იყო თითოეული პროდუქტის მიწოდებასთან და უფრო ადვილად დაემაგრებინა კლიენტები (ზრდიდა რა საბანკო ცვლილებებთან დაკავშირებულ დანახარჯებს).

V. მოსალოდნელი შერწყმის ზეგავლენა კონკურენციაზე

16. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საინვესტიციო ბანკს ჰქონდა „გამომხტომის" რეპუტაცია, რადგან სთავაზობდა ახალ პროდუქტებს და ადგენდა უფრო დაბალ ტარიფებს, ვიდრე საშუალო ბანკი ბევრ მომსახურებაზე, რომელიც მიეწოდებოდა ინდივიდუალურ საცალო მყიდველს და მცირე და საშუალო საწარმოებს. ოკეანიკას კონკურენციის ორგანომ ასევე გამოავლინა რომ გამოკითხვების თანახმად ინდივიდუალური მყიდველები და მცირე და საშუალო საწარმოები სავაჭრო ბანკსა და საინვესტიციო ბანკს განიხილავდნენ როგორც უახლოეს კონკურენტებს რამოდენიმე სახის საბანკო მომსახურების მიწოდებაში.

17. ასევე, როგორც დეტალურად იყო ზემოთ განხილული, საინვესტიციო ბანკი და სავაჭრო ბანკი წარმოადგენდნენ არჩეული ბანკების ჯგუფის წევრებს, რომლებიც იწოდებოდნენ „ხუთის ჯგუფად“, და რომელთა წილი ეროვნულ ბაზარზე აღემატებოდა 85%-ს. ისინი, ასევე ხასიათდებოდნენ, როგორც ეროვნული ბანკები, რადგან მხოლოდ ისინი აწვდიდნენ თავიანთ კლიენტებს საცალო საბანკო მომსახურებების სრულ ნაკრებს და მხოლოდ მათ გააჩნდათ განყოფილებათა ქსელი საერთო ეროვნული მასშტაბით.

18. განყოფილებათა ქსელის არსებობა წარმოადგენდა კრიტიკულად მნიშვნელოვან გარემოებას ნებისმიერი ბანკისათვის, რომელსაც უნდა ჰქონოდა რეგიონალური ქსელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ინდივიდუალური კლიენტებისა და მცირე და საშუალო საწარმოების მომსახურების ბაზრებისათვის ადგილობრივის სახელის მინიჭება განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ, თუ ბანკს სურდა ყოფილიყო კონკურენტუნარიანი ეროვნულ დონეზე, მაშინ მის მომსახურებასთან კლიენტებს წვდომა უნდა ჰქონოდათ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

19. კონკურენციის დაცვის ორგანომ ასევე აღმოაჩინა, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ძირითადად ერთდროულად ურთიერთობდნენ 3-4 ბანკთან და ძალიან აფასებდნენ იმ გარემოებას, რომ ჰქონდათ შესაძლებლობა ამოერჩიათ სხვადასხვა ბანკები. ამ ორგანომ ასევე აღნიშნა, რომ საშუალოდ ასეთი კონტაქტები ნარჩუნდებოდა 3 წელზე მეტი დროის განმავლობაში.

20. ოკეანიკას კონკურენციის დაცვის მიეიდა დასკვნამდე, რომ განყოფილებათა ეროვნული ქსელის შექმნა ან შთანთქმა წარმოადგენდა ასევე ძირითად ბარიერს ამ სექტორში საქმიანობის გაფართოებისათვის და სწორედ ეს განასხვავებდა „ეროვნულ ბანკებს“ სხვა დანარჩენებისაგან. ყველაზე უფრო მცირე ეროვნულ ბანკს ჰქონდა 400-ზე

მეტი განყოფილება, რომელთა ქსელი ფარავდა ოკეანიკას მთელ ტერიტორიას, მაშინ როცა „დანარჩენი ბანკებიდან“ ყველაზე მსხვილის განყოფილებათა ქსელი არ შეიცავდა 150-ზე მეტს და ისინიც ძირითადად ქალაქებში იყო თავმოყრილი. ეს უფრო პატარა ბანკები ხშირად სპეციალიზდებოდნენ მომსახურებათა განსაზღვრულ სახეებზე და თავიანთი ზომისა და ეროვნულ დონეზე არასაკმარისი მონაწილეობის გამო რეალურად არ წარმოადგენდნენ კონკურენციის შემზღუდველს ეროვნულ დონეზე „დიდი ხუთიანის“-სათვის.

21. 2007 წლისათვის ოკეანიკაში არსებობდა ხუთი ამდაგვარი ქსელი, მაგრამ შემოთავაზებული შერწყმის შედეგად მათი რიცხვი შეიძლება შემცირებულიყო ოთხამდე, რაც არსებითად დაასუსტებდა ზოგიერთ რეგიონში საბანკო კლიენტების პოზიციებს მოლაპარაკებისას. კონკურენციის ორგანო განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ზოგიერთ რეგიონსა და ქალაქში აღნიშნული შერწყმა შეამცირებდა ხელმისაწვდომ განყოფილებებს ორამდე.

VI. შეფასება კონკურენციის თვალსაზრისით

22. ვინაიდან შერწყმის შედეგად მოხდებოდა ხუთი ეროვნული ბანკიდან ორის გაერთიანება, რაც გამოიწვევდა ერთი საერთო ეროვნული ქსელის გაქრობას და შექმნიდა დამატებით საკონკურენციო შეზღუდვას რომელიმე ახალი ინოვაციური და ნაკლებად ძვირი (მომსახურებაზე ტარიფების თვალსაზრისით) ბანკისთვის. იმ დანახარჯების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებული იყო ბანკის შეცვლასთან, ინფორმაციასთან წვდომის ასიმეტრიულობის პრობლემებთან და ბაზარზე შესვლისა და საქმიანობის გაფართოების ბარიერებთან, კონკურენციის ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ შერწყმას შეეძლო გამოეწვია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის საკრედიტო მომსახურების შესაბამის ბაზარზე

დომინირებული მდგომარეობის ახალი სტრუქტურის წარმოქმნა.

23. შედეგად, კონკურენციის ორგანოს მიერ შეთავაზებულ იქნა ღონიძიებები, მოსალოდნელი შერწყმის შედეგად კონკურენციის შეზღუდვის რისკების შესამცირებლად. კერძოდ,

ა) მომხდარიყო შესყიდული განყოფილებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიყიდვა მესამე მხარისათვის (რაზეც იქნებოდა თანხმობა კონკურენციის ორგანოდან) ცალკეულ რეგიონებსა და ქალაქებში, სადაც განყოფილებათა რიცხვი მცირდებოდა ორამდე.

ბ) ღონისძიებათა მიღება ბანკის შეცვლისას კლიენტებისათვის დანახარჯების შემცირების მიმართულებით და კლიენტების მობილურობის ამაღლებისათვის (ანგარიშების დახურვისას საკომისიოზე უარის თქმა, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ბანკებთან ურთიერთობის წესების შემუშავება და სხვა).

24. შესარწყმელი მხარეები დათანხმდნენ შეთავაზებულ წინადადებებს და მათი გათვალისწინებით შერწყმა იქნა ნებადართული.

კითხვები განხილვისათვის:

1. ბაზრის განსაზღვრა:

• ოკეანიკას კონკურენციის ორგანომ შესაბამისი ბაზარი განსაზღვრა როგორც მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მისაწოდებელი კრედიტების ეროვნული ბაზარი. ხომ არ თვლით რომ ამ შემთხვევაში ეს საკითხი სადაოა?

• როგორია კონკურენციის ორგანოს ანალიზის ძირითადი პუნქტები, რომლებმაც განაპირობეს ასეთი დასკვნა. ეთანხმებით მათ?

• ხომ არ თქვით, რომ კონკურენციის ორგანო შეიძლება სხვა დასკვნამდე მისულიყო, თუ შესაბამისი ბაზარი სხვაგვარად იქნებოდა განსაზღვრული?

2. საბაზრო წილები:

• თქვით თუ არა, რომ მხარეთა საბაზრო წილების ზომა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს კონკურენციის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას?

• კიდევ რომელი ფაქტორები იყო განხილული საბაზრო წილების დამატებითი ანალიზისათვის?

3. ბაზარზე შესვლისა და საქმიანობის გაფართოების ბარიერები:

• რამდენად მნიშვნელოვანი იყო ბაზარზე შესვლისა და საქმიანობის გაფართოების ბარიერების საკითხი კონკურენციის დაცვის ორგანოს მიერ მოსალოდნელი შერწყმისათვის ანალიზის ჩასატარებლად?

• ასეთი ანალიზისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტებს რომლები წარმოადგენდა? ეთანხმებით თუ არა ამ ანალიზს? ეთანხმებით თუ არა დასკვნებს?

4. შერწყმების ზემოქმედება კლიენტების არჩევანზე:

• მოახდინა თუ არა საინვესტიციო ბანკის რეპუტაციამ ზეგავლენა კონკურენციის ორგანოს მიერ განხორციელებულ ანალიზზე და კლიენტთა არჩევანზე?

• კონკურენციის ორგანოს მხრიდან გამოხატულ იყო შეშფოთება ადგილობრივ დონეზე კლიენტთა არჩევანზე მოსალოდნელი შერწყმის ზემოქმედებით. როგორც ჩანს, კონკურენციის ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე რომ

შეშფოთება გამართლებულ იყო. თვლით თუ არა, რომ თავის დასკვნაში კონკურენციის ორგანო იყო სწორი? რა ფაქტებს ეყრდნობოდა მისი ანალიზი?

• კონკურენციის ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ მიღებულ ღონისძიებებს შეეძლოთ მოეხდინათ კონკურენციაზე შერწყმის მოსალოდნელი ნეგატიური ზეგავლენის ნეიტრალიზება. ეთანხმებით მას? თუ არა, რა შეგეძლოთ თქვენ შეგეთავაზებინათ შესაძლო გადაწყვეტილებად?

5. შერწყმის ტესტირება:

• თვლით თუ არა, რომ ტესტმა დომინირებულ მდგომარეობაზე, ანუ შერწყმის ტესტირებამ ოკეანიკას კანონმდებლობის შესაბამისად ამ შემთხვევაში არსებითად იმოქმედა კონკურენციის ორგანოს მიერ განხორციელებული საბაზრო წილების ანლიზზე? ხომ არ გეჩვენებათ, რომ თუ შერწყმის ტესტირება იქნებოდა კონკურენციის არსებითი შეზღუდვის საგანზე (შერწყმა ნამდვილად „არსებითად შეამცირებდა კონკურენციას"), მაშინ საბაზრო წილების ანალიზი იქნებოდა სხვაგვარი?

II.9. აპრძალული ხასიათის ფასდაკლებასთან დაკავშირებული ბაზრის წილის განსაზღვრა სელდონიაში [65]

I. საქმის აღწერა

საქმე ეხება კომპანია „PageCo“-ს საქმიანობას, რომელიც წარმოადგენს სელდონიაში პეიჯინგური სისტემების წამყვან მიმწოდებელს. სელდონიის ანტიმონოპოლიური კომისიის თანამშრომლები ახორციელებდნენ კომპანია „PageCo“-ს საქმიანობის გამოძიებას მის მიერ ფასდაკლებათა პროგრამის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრული იყო პეიჯინგური სისტემების დილერებისათვის, რომელთა პეიჯინგური სისტემების საერთო მოცულობაში წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წილი ეკავა კომპანია „PageCo“-ს პეიჯინგური სისტემების გაყიდვას. გამოძიების მიზანი იყო იმის გარკვევა, ფასდაკლებათა პროგრამა ხომ არ ზღუდავდა პეიჯინგური სისტემების კონკურენტი გამყიდველების საქმიანობას და ხომ არ ადგებოდა ზიანი მომხმარებელებს.

II. მხარეთა აღწერა

კომპანია „PageCo“, რომლის მიმართაც ხორციელდებოდა გამოძიება, აწარმოებდა პეიჯინგურ სისტემებს, რომლებსაც დამოუკიდებელი დილერების მეშვეობით იგი ყიდიდა სელდონიის მთელ ტერიტორიაზე. ამ სისტემების ტიპიურ მყიდველებს წარმოადგენდნენ სასტუმროები, კაზინოები და სამკურნალო დაწესებულებები. ტიპიური პეიჯინგური სისტემა წარმოადგენდა მოწყობილობათა კომპლექსს, რომელიც შეიცავდა პეიჯინგურ ტერმინალს, პეიჯერებს და ამ სისტემის მუშაობის პროგრამულ უზრუნველყოფას. კომპანია „PageCo“ ყიდიდა როგორც პეიჯინგურ მოწყობილობას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კომპანია

„PageCo“-სთან შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, დილერი ღებულობდა „PageCo“-სთან განხორციელებულ ყველა შესყიდვაზე 10%-იან ფასდაკლებას, თუ ამ დილერის მიერ განხორციელებული პეიჯინგური სისტემების გაყიდვის მთლიან მოცულობაში კომპანია „PageCo“-ს სისტემების გაყიდვა შეადგენდა არანაკლებ 70%-ს. ანუ, ფასდაკლების მისაღებად დილერს უნდა უზრუნველეყო გაყიდვების ისეთი მოცულობა, სადაც იგი შეესაბამებოდა საბაზრო წილის 70%-ს.

კომპანია „FleetCom“-მა, რომელიც წარმოადგენდა კომპანია „PageCo“-ს კონკურენტს, შეიტანა საჩივარი ანტიმონოპოლიურ კომისიაში. მან მიმართა ანტიმონოპოლიურ კომისიას თხოვნით, რომ ამ უკანასკნელს მიეღო გადაწყვეტილება კომპანია „PageCo“-სათვის ფასდაკლების ანტიკონკურენციული პრაქტიკის აკრძალვის თაობაზე. როგორც კომპანია „FleetCom“ ამტკიცებდა, კომპანია „PageCo“-ს მიერ განხორციელებული ფასდაკლებები ზღუდავდნენ მის შესაძლებლობებს კონკურენციის სფეროში და ატარებდნენ აკრძალული სახელშეკრულებო პირობების ხასიათს.

III. მხარეთა მტკიცებულებები

სელდონიის ანტიმონოპოლიური კომისიის და კომპანია „PageCo“-ს თანამშრომლებმა კომისიაში წარადგინეს განმარტებები თავიანთი პოზიციების შესახებ. კომისიის პერსონალის მიერ მომზადებული მემორანდუმი და კომპანია „PageCo“-ს ოფიციალური განმარტება თან ერთვის.

IV. კითხვები

ჩვენ უნდა განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი კითხვები და განვსაზღვროთ რა დამატებითი ინფორმაცია დაგვჭირდება წარმოდგენილი დოკუმენტებისა და აღწერილი ფაქტების გათვალისწინებით:

1. იწვევს თუ არა შესაბამის ბაზარზე კომპანია „PageCo“-ს ქმედებები კონკურენტების გაძევებას?

2. გაგვაჩნია თუ არა საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ გაკეთდეს დასკვნა კომპანია „PageCo“-ს ქმედებები აყენებენ თუ არა ზიანს მომხმარებელს? თუ არა, რა დამატებითი ინფორმაცია იქნებოდა სასარგებლო?

3. თუ კომპანია „PageCo“-ს ქმედებები აკრძალვადი ხასიათისაა, რა კანონიერი საფუძვლები არსებობს აკრძალვის განსახორციელებლად? თუ ამ კითხვაზე თქვენ არ გაქვთ ცალსახა პასუხი, რა დამატებითი მტკიცებულებები იქნება სასარგებლო?

4. თუ კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ კომპანია „PageCo“-ს ქმედებები არამართლზომიერია, არსებობს თუ არა პოტენციურად ისეთი ზომები (ღონისძიებები) რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მომხმარებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას? რა ზომებია (ღონისძიებებია) ესენი?

სელდონიის ანტიმონოპოლიური კომისიის მემორანდუმი

კომპანია „PageCo“ წარმოადგენდა სელდონიაში პეიჯინგური სისტემების წამყვან მიმწოდებელს. ეს სისტემები გამოიყენებოდა შიდა კავშირის უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ორგანიზაციებში. მათ შორის, საავადმყოფოებში, სასტუმროებში და სამრეწველო საწარმოებში. სხვა მომხმარებლები იყენებდნენ პეიჯინგური კავშირის სახელმწიფო ქსელებს. კომპანია „PageCo“ 2003 წლამდე, როდესაც კომპანია „FleetCom“-ი შევიდა ბაზარზე კონკურენციული საქონლით, წარმოადგენდა პეიჯინგური სისტემის ერთადერთ მიმწოდებელს. 2005

წელს ბაზარზე შევიდა კიდევ ორი კომპანია („ACom“ და „BCom“), რომლებიც სთავაზობდნენ პეიჯინგური პროდუქტების შეზღუდულ ჩამონათვალს შეზღუდული ფუნქციებით. საქმის განხილვის პერიოდში კომპანია „PageCo“-ს წილად მოდიოდა სელდონიის პეიჯინგური სისტემების ბაზრის დაახლოებით 70%, ხოლო კომპანია „FleetCom“-ის წილი შეადგენდა დაახლოებით 17%-ს. „ACom“ და „BCom“ კომპანიები, იყოფდნენ ბაზრის დანარჩენ ნაწილს. კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ კომპანია „PageCo“-ს საქმიანობის ანალიზის ჩასატარებლად გეოგრაფიულ ბაზარს წარმოადგენდა სელდონიის ტერიტორია. საბაზრო წილებისა და შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის ანალიზის საფუძველზე კომისიის პერსონალი მივიდა დასკვნამდე, რომ კომპანია „PageCo“-ს ეკავა დომინირებული მდგომარეობა.

გამოძიების პროცესში განხილვის საგანს წარმოადგენდა ფასდაკლებათა პროგრამა, რომელსაც კომპანია „PageCo“ სთავაზობდა ბაზრის განსაზღვრული წილის მფლობელ დილერებს. კომპანია „PageCo“-მ ეს სისტემა აამოქმედა კომპანია „FleetCom“-ის პეიჯინგური სისტემების ბაზარზე გამოჩენიდან დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, როდესაც ნათელი გახდა, რომ მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უპირატესობას აძლევდა კომპანია „FleetCom“-ის სისტემებს. ფასდაკლებათა პროგრამის პირობებით დილერები, რომელთა გაყიდვების საერთო მოცულობაში კომპანია „PageCo“-ის პეიჯინგური სისტემების წილი შეადგენდა 70%-ს და მეტს, იღებდა 10%-იან ფასდაკლებას ამ კომპანიისგან წლის განმავლობაში შეძენილი პეიჯინგური სისტემების ყველა შესყიდულ მოწყობილობაზე, ხოლო იმ დილერებზე რომელთა შესყიდვების მოცულობა „PageCo“-ს კომპანიიდან შეადგენდა 70%-ზე ნაკლებს, არ ვრცელდებოდა ფასდაკლება.

პრინციპში მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული ფასდაკლებები სასარგებლო იყო კონკურენციის განვითარებისათვის და მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის იმის მიუხედავად, თუ კი ისინი

აყენებდნენ ზიანს სხვა მიმწოდებლებს. აღნიშნულის მიუხედავად მოცემულ შემთხვევაში კომპანია „PageCo“-ს მიერ საბაზრო წილების გათვალისწინებით შეთავაზებული ფასდაკლებების პროგრამა ატარებდა აშკარად შემზღუდავ ხასიათს, რადგან დილერებს ექმნებოდათ მნიშვნელოვანი სტიმულები პეიჯინგური მოწყობილობების კომპანია „PageCo“-სგან შესაძენად, მომხმარებელთა ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. ეს სტიმულები დაკავშირებული იყო ფასდაკლებათა „საერთო“ ხასიათთან, რომელიც მოქმედებდა ყველა მოწყობილობაზე. დავუშვათ, რომ დილერი გეგმავდა 10 პეიჯინგური სისტემის გაყიდვას და ამოდიოდა იქიდან, რომ კომპანია „PageCo“-ს მოწყობილობის საბაზო ფასი შეადგენდა 1 000 ევროს. დილერი ამ თანხას გადაიხდიდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია „PageCo“-სგან შეიძენდა 100 სისტემიდან 70-ზე ნაკლებს. თუ დილერი კომპანია „PageCo“-სგან იყიდიდა არანაკლებ 70 სისტემას მაშინ მას უნდა გადაეხადა საბაზო ფასი ყველა ნაყიდ მოწყობილობაზე ფასდაკლების გამოკლებით. ე.ი. 1 000 ევრო - 0,1 (1000 ევრო) = 900 ევრო. ამგვარად, თუ დილერი შეიძენდა კომპანია „PageCo“-ს სისტემების 69%-ს, ის გადაიხდიდა 69 000 ევროს და მხოლოდ 63 000 ევროს თუ შეისყიდიდა 70 სისტემას. შესაბამისად, 70-ე სისტემის „ფასი“ შეადგენდა –6000 ევროს.

კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპანია „PageCo“-ს ფასდაკლებათა პროგრამის გამოყენება წარმოადგენდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა რიგი ნეგატიური შედეგებისა. ***ჯერ ერთი,*** მტკიცებულებები მოწმობდნენ, რომ ფასდაკლებათა პროგრამა ატარებდა აკრძალვად ხასიათს და შეესატყვისებოდა ექსკლუზიური გარიგების დადების პირობებს. კომპანია „FleetCom“-ის წილი პეიჯინგური სისტემების ბაზარზე, რამოდენიმე წლის განმავლობაში რჩებოდა უცვლელი და ფაქტები მოწმობდნენ, რომ მას არ შეეძლო თავისი საბაზრო წილის გაზრდა იქამდე, სანამ იმოქმედებდა ფასდაკლე-

ბათა პროგრამა. სხვაგვარად, სანამ მოქმედებდა კომპანია „PageCo“-ს ფასდაკლებათა პროგრამა, კომპანია „FleetCom“-ის (და სხვა მიმწოდებლების) გაყიდვების მოცულობა იქნებოდა შეზღუდული. ***მეორე,*** წარმოდგენილი მტკიცებულებები მოწმობდნენ, რომ ზოგიერთი დილერი ხელს უწყობდა მომხმარებლებს შეეძინათ კომპანია „PageCo“-ს სისტემები იმისათვის, რომ მიეღოთ ფასდაკლება მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთ შეიძლება უპირატესობა მიენიჭებინათ კომპანია „FleetCom“-ის სისტემებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია „PageCo“-ს ფასდაკლებათა პროგრამის თანახმად მოწყობილობათა დამატებითი ერთეულის ზღვრული ფასი შეიძლება უარყოფითი ყოფილიყო, დილერებს შეეძლოთ მოგება მიეღოთ სუბოპტიმალური სისტემების მყიდველთა კომპენსაციებიდან. ***მესამე,*** იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენტი მიმწოდებლების გაყიდვების მოცულობა ფერხდებოდა ხელოვნურად, იქმნებოდა საშიშროება, რომ ისინი არ იქნებოდნენ დაინტერესებულნი ახალი და გაუმჯობესებული პეიჯინგური სისტემების შემუშავებაში სახსრების ინვესტირებით. გარდა ამისა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება არ შეუწყობდა ხელს ბაზარზე ახალი მონაწილეების შესვლას, რადგან კომპანია „PageCo“-ს ფასდაკლებათა პროგრამის მოქმედების შედეგად ისინი შეიძლება აღმოჩენილიყვნენ ისეთსავე არახელსაყრელ მდგომარეობაში, როგორც კომპანია „FleetCom“-ი. ***და ბოლოს,*** იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ მომხმარებლები ვერ მიიღებდნენ შესაძლებლობას ესარგებლათ ყველა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით, რომლითაც მათ შეეძლოთ ეხეირათ, თუ კონკურენტები იმოქმედებდნენ „ერთგვაროვანი კონკურენტული გარემოს“ პირობებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამშრომელთა ჯგუფმა, რომლებიც ახორციელებდნენ გამოძიებას, მისცეს კომისიას რეკომენდაცია, რათა წარდგენილიყო კომპანია „PageCo“-სთვის მიწერილობა ფასდაკლებათა მოქმედი პროგრამის აღსაკვეთად.

კომპანია „PageCo“-ს განმარტებითი ბარათი

კომპანია „PageCo“, რომლის სათაო ოფისი იმყოფებოდა ბოიკოში (სელდონია), წარმოადგენდა სელდონიაში პეიჯინგური სისტემების მსხვილ მწარმოებელს. საქმის განხილვის პერიოდში იგი კონკურენციას უწევდა პეიჯინგური სისტემების სხვა მიმწოდებლებს. მათ შორის, კომპანიებს „FleetCom“, „ACom“ და „BCom“. იგი აგრეთვე კონკურენციას უწევდა მობილური სატელეფონო კავშირისა და მოძრავი რადიოკავშირის მომსახურების მიმწოდებლებს. ყველა ეს მომსახურება მიეკუთვნებოდა უკაბელო კავშირგაბმულობის მომსახურების ბაზრს, სადაც კომპანია „PageCo“-ს წილი შეადგენდა 10%-ზე ნაკლებს.

ანტიმონოპოლიური კომისიის თანამშრომლებმა მოახდინეს კომპანია „PageCo“-ს ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი შეშფოთებული იყვნენ ფასდაკლების პროგრამის გატარებით, რომელიც მიეწოდებოდა დილერებს საბაზრო წილის გათვალისწინებით და რომლებიც ღებულობდნენ 10%-იან ფასდაკლებას კომპანია „PageCo“-სგან შეძენილ ყველა საქონელზე. კომპანია „PageCo“ პრინციპულად უარყოფდა, რომ ეს პროგრამა მიმართული იყო კონკურენციის შეზღუდვაზე და აფერხებდა კონკურენციის განვითარებას. ეს პროგრამა ამოქმედდა კონკურენციის ზრდის პირობებში იმის შემდეგ, რაც კომპანია „FleetCom“-მა დაიწყო თავისი პეიჯინგური სისტემების გაყიდვა. კომპანია „FleetCom“-ი რჩებოდა ბაზრზე, აგრძელებდა თავისი პროდუქტების სრულყოფას და საბაზრო წილის გადიდებას კომპანია „PageCo“-ს პროგრამის მოქმედების პერიოდში. გარდა ამისა, ამავე პერიოდში ბაზარზე შევიდა კიდევ ორი კომპანია („ACom“ და „BCom“). ამგვარად, ეს გარემოებები დამაჯერებლად მოწმობდნენ, რომ კომპანია „PageCo“-ს

ფასდაკლებათა პროგრამა არ ზღუდავდა კონკურენტი კომპანიების საქმიანობას.

კომპანია „PageCo“-ს ფასდაკლებათა პროგრამა კონკურენციის განვითარებაზე უფრო კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა ვიდრე ნეგატიურს. ეს პროგრამა მომგებიანი იყო მომხმარებლისათვის რიგი მიზეზების გამო. ***ჯერ ერთი,*** ეს პროგრამა ხელს უწყობდა უკაბელო კავშირგაბმულობის ბაზარზე კონკურენციის ზრდას და კერძოდ, კონკურენციას პეიჯინგური სისტემის მიმწოდებლებს შორის. კონკურენციის ზრდა ხელს უწყობდა ფასების შემცირებას პეიჯინგურ სისტემებზე, რომელთაც შეიძენდნენ დილერები და საბოლოო მომხმარებლები ასევე ღებულობდნენ ფასების ასეთი შემცირებისგან განსაზღვრულ სარგებელს. ***მეორე,*** ეს პროგრამა დილერებისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტიმულს პეიჯინგური სისტემების გაყიდვის საერთო მოცულობის გასადიდებლად, რადგან ეს ზრდიდა მათ შანსს ფასდაკლებათა მისაღებად. ბაზარზე საქონლის წინწაწევა სასარგებლო იყო მომხმარებლისათვის. ***მესამე,*** არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება, რომ პროგრამამ გამოიწვია კომპანია „FleetCom“-ის ან სხვა მიმწოდებლების ახალი პროდუქტების შემუშავების შენელება. სწორედ კონკურენციის მაღალი დონე ახდენდა ახალი პროდუქტების შემუშავების სტიმულირებას. სრულიად ნათელი იყო, რომ კომპანია „PageCo“-ს ფასდაკლებათა პროგრამა სასარგებლო იყო მომხმარებლისათვის.

თუ ანტიმონოპოლიური კომისია, კომპანია „PageCo“-სგან მოითხოვდა ამ პროგრამის დახურვას, სავსებით მოსალოდნელი იყო რომ პეიჯინგურ სისტემებზე ფასები გაიზრდებოდა. კომპანია „PageCo“-ს აზრით, სწორედ ფასდაკლებათა ეფექტური და რენტაბელური პროგრამით მათი დილერები ადიდებდნენ ამ სისტემების გაყიდვების მოცულობას და თუ არა ეს პროგრამა, ფასდაკლებათა საშუალო მაჩვენებლები შემცირდებოდა. ალტერნატიულ პროგრამას შეეძლო უზრუნველეყო სტანდარტული

ფასდაკლება შესყიდვათა მოცულობაზე (მაგალითად, ფასდაკლების შეთავაზება შესყიდვების განსაზღვრული მოცულობებისათვის), მაგრამ ასეთი პროგრამები იქნებოდა ნაკლებად ეფექტური, რადგანაც, ***ჯერ ერთი,*** მცირე დილერებს არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, ისეთი მოცულობის შესყიდვები განეხორციელებინათ, რომ მიეღოთ ფასდაკლება, რის გამოც ისინი აღმოჩნდებოდნენ მსხვილ დილერებთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში. თეორიაში შესაძლებელია დადგინდეს თითოეული დილერისათვის შესყიდვების სხვადასხვა მოცულობა, მაგრამ პრაქტიკულად ამისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარება, რაც გამოიწვევდა საოპერაციო დანახარჯების გაზრდას დაკავშირებულს კომპანია „PageCo"-სა და მის დილერებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან. ამ დანახარჯების გადიდება მიგვიყვანდა ეკონომიკური რენტაბელობის შემცირებაამდე, რაც თავის მხრივ შეამცირებდა კომპანიის დაინტერესებას ფასდაკლების განხორციელებაზე. ***მეორე*** თუ ფასდაკლებები შეთავაზებული იქნებოდა სისტემის მხოლოდ ცალკეულ კომპონენტებზე გაყიდვების დადგენილი დონის მიღწევის შემდეგ (ე.ი. თუ ფასდაკლება არ განხორციელდებოდა მოწყობილობის ყველა კომპონენტზე), ეს შექმნიდა ბევრად ნაკლებ დაინტერესებას გაყიდვების მოცულობის გასადიდებლად. ამიტომ, კომპანია „PageCo" მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა მიზეზები, რომელთა გამო ფასდაკლებათა პროგრამა უნდა გაუქმებულიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, კომპანია „PageCo" დაბეჯითებით სთხოვდა სელდონიის ანტიმონოპოლიურ კომისიას შეეწყვიტა გამოძიება და დაეხურა ეს საქმე.

II.10. სავარჯიშო სემინარული მუშაობისათვის, რომელიც აღებულია პანაგრის კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკიდან [20]

ფაქტის დადგენის (გამოძიების) ტექნიკის საკითხები

შენიშვნა: სემინარზე განხილული იქნება დისკუსიის მეთოდი. განსახილველად შერჩეული შემთხვევები სავარაუდოა. ყოველი შემთხვევის ფაქტობრივი მასალა აღწერილია თანდართულ სავარაუდო სიტუაციების ჩამონათვალში. დამატებითი ფაქტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას განხილვის დროსაც.

მონაწილეები უნდა გაეცნონ თანდართულ მასალას, რათა მზად იყვნენ ყოველი შემთხვევის გარშემო გამართული დისკუსიისათვის. პირველი შემთხვევა განიხილავს შესაბამისი ბაზრისა და მასზე დომინანტური პოზიციის განსაზღვრის საკითხებს. მეორე შემთხვევა ეხება მონოპოლიური საქმიანობის წარმართვას, კერძოდ, კონკურენტებს შორის სპეციალური შეთანხმების არსებობას.

მხარეები:

კონგლომი არის კვების პროდუქტების დამამზადებელი მრავალდარგოვანი კორპორაცია პანაგრის სახელმწიფოში. მისი აქციების 50% ეკუთვნის შვეიცარიულ/გერმანულ საკვები პროდუქციის კოპორაციას. კონგლომი აწარმოებს ძეხვს, ჯემებს, მურაბებს, დაკონსერვებულ ბოსტნეულს (ჭარხალს, ხორბალს, მწვანე ლობიოს), სუპის კონცენტრატს და ა.შ.

ოგორკო არის სახელმწიფო საწარმო, რომელიც აწარმოებს მჟავე კიტრს. მას აქვს სამი ქარხანა აგებული პანაგრის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქებში. მას აგრეთვე აქვს განაწილების ქსელი. რომელიც მოიცავს სატვირთო მანქანებს, მძღოლებს და პანაგრას სამხრეთ რაიონში განლაგებულ საწყობებს.

პანაგრაში მიმდინარეობს პრივატიზაციის პროგრამა, რომლის მიხედვით კონგლომი მიზნად ისახავს შეისყიდოს ოგორკოს მთელი ქონება.

მიმოხილვა:

კონგლომი არის მრავალდარგოვანი კორპორაცია ***პანაგრის სახელმწიფოში,*** რომელიც ამზადებს საკვებ პროდუქტებს. პანაგრაში ხორციელდება საპრივატიზაციო პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით კონგლომი მიზნად ისახავს შეისყიდოს ოგორკოს მთელი ქონება (ოგორკო არის სახელმწიფო კომპანია, რომელიც აწარმოებს მჟავე კიტრს).

სანამ კონგლომი შეისყიდის ოგორკოს ქონებას, კონკურენციის სააგენტომ უნდა განიხილოს ეს შემთხვევა. სააგენტომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ ბაზარზე მოახდენს საკუთრების ამგვარი გადაცემა გავლენას და აგრეთვე, აქვს თუ არა ოგორკოს რომელიმე ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა.

საბაზო ინფორმაცია:

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მიღებულია კონგლომისა და ოგორკოს ხელმძღვანელობისაგან და აგრეთვე კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისაგან.

მჟავე კიტრის მოხმარება და რეალიზაცია:

პანაგრის მჟავე კიტრი პოპულარული პროდუქტია. იგი მოსახლეობის ყოველკვირეული საკვები რაციონის შემადგენელი ნაწილია, როგორც ცალკე კერძად, ასევე, გარნირად სხვა კერძებთან. ამას გარდა, მჟავე კიტრი გამოიყენება სხვადასხვა კერძის (სუპის, სალათის და ა.შ.) შემადგენელ ნაწილად.

პანაგრის მოსახლეობა მოიხმარს როგორც სახლში, ასევე ქარხნული წესით დამზადებულ მჟავე კიტრს. სახლებში მჟავე კიტრი მზადდება ადგილობრივად მოყვანილი, ან ბაზარში ნაყიდი კიტრისაგან ინდივი-

დუალური ოჯახური რეცეპტებით უშუალოდ მოხმარების ან კონსერვაციის მიზნით.

ქარხნული წესით დამზადებული მჟავე კიტრი იყიდება პროდუქტების მაღაზიაში ან ბაზარზე. ნაწილი პანაგრელებისა, კიტრის სახლში დამზადებას, მის მზა მდგომარეობაში შეძენას ამჯობინებს. ოგორკო პროდუქტების მაღაზიების და საკოლმეურნეო ბაზრის ნაწილის ერთადერთი მომმარაგებელია. მჟავე კიტრის წარმოებისათვის ეს კომპანია იყენებს უნიკალურ რეცეპტს, რომელიც საუკუნეების წინ შემუშავებული იყო სამხრეთ პანაგრის გილდიის მიერ. მრავალი პანაგრელისათვის ოგორკოს მჟავე კიტრს აქვს უნიკალური გემო და მას სხვა მჟავე კიტრს სწორედ ამ თვისების გამო ამჯობინებენ.

წარმოების პროცესი:

ისტორიულად მჟავე კიტრის წარმოება იყო შედარებით იოლი პროცესი. სამხრეთ რეგიონში გაზრდილი მცირე ზომის კიტრები ინახებოდა კასრებში, სპეციალურ ხსნარში. შემდეგ კასრები იქოლებოდა და ინახებოდა ერთი თვის ვადით. ერთი თვის შემდეგ პროდუქტი უკვე მზად იყო გამოსაყენებლად. მისი გაყიდვა ხდებოდა ბაზრებზე, პირდაპირ კასრებიდან მყიდველის ჭურჭლის გამოყენებით. გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყეს მჟავე კიტრის გაყიდვა ქილებში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო პროდუქციის ტრანსპორტირება გაფუჭების რისკის გარეშე. მწარმოებლები იყენებდნენ დაკონსერვების ოჯახში მიღებულ წესს: ბაქტერიების მოსპობის მიზნით მინის ქილები ადუღებულ წყალში იდებოდა, შემდეგ ისინი ივსებოდა ხელით და იხუფებოდა. ეს მეთოდი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, რადგანაც გამოიყენებოდა დიდი სამუშაო ძალა, ხოლო შუშის ქილები მაღალ ფასებში შეიძინებოდა, რადგანაც მათ მცირე რაოდენობით იძენდნენ. გარდა ამისა, ამგვარი მეთოდი ყოველთვის არ უზრუნველყოფდა ბაქტერიების სრულ მოსპობას და

პროდუქციის გაფუჭების რისკი მაღალი იყო. მჟავე კიტრის მწარმოებელი მცირე საწარმოები ძირითადად თავს ირჩენდნენ თავისი პროდუქციის ადგილობრივად გაყიდვით, რადგანაც ამ შემთხვევაში შუშის ქილების გადატანა იაფი და უსაფრთხო, ხოლო გაფუჭების რისკი მინიმალური იყო.

ორმოცდაათი წლის წინათ მთავრობამ მრეწველობის ნაციონალიზაციის პროგრამის ეგიდით თავის ხელში აიღო მჟავე კიტრის წარმოება და გავრცელება. დიდი რაოდენობით მჟავე კიტრის მწარმოებლები გააერთიანეს ერთიან საწარმოში. საწარმოში შედიოდა სამი ქარხანა. თითოეულში მცირე კასრების მაგივრად დაიდგა 50,000 ლიტრიანი უჟანგავი ფოლადის ჭურჭელი. ცენტრალიზებულად მზადდება მარილის ხსნარი და შემდეგ ხდება მისი ტრანსპორტირება ჭურჭლებში. მის დასამზადებლად კვლავ გამოიყენება ძველი მეთოდი. მომზადების პროცესი შემდეგია: ფოლადის ჭურჭელი ივსება კიტრით, შემდეგ მასში ისხმება მარილის ხსნარი, გამაცხელებლების საშუალებით მარილხსნარის ტემპერატურა მუდმივად მაღალია, რაც 15 დღემდე ამცირებს მომზადების ვადას. ამჟამად ისე ხდება კიტრის ჩაწყობა, რომ ყოველ 5 დღეში იღებენ მზა პროდუქციას.

სამივე ქარხანას გააჩნია მაღალი გამტარიანობის დამხუფავი საწარმო, რომლებიც 15-25 წლის წინაა აგებული. ისინი თანამედროვე ტექნოლოგიებით არიან აღჭურვილნი და ავტომატიზირებულნი, ყოველდღიურად შეუძლიათ მოხუფონ 3,000 ერთ ლიტრიანი ქილა. იმის გამო, რომ მოხუფვის პროცესი ავტომატიზებულია, მისი ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგანაც მნიშვნელოვნად შემცირდა გამოყენებული სამუშაო ძალა. გარდა ამისა, კონტროლის ხარისხი უფრო მაღალია, ხოლო გაფუჭების რისკი დაბალი. ყოველ მოსახუფავ შენობაში აგრეთვე არის დანადგარი, რომელიც ხუფავს მჟავე კიტრის 100 ლიტრიან კომერციულ ჭურჭელს.

საწარმოო და მოსახუფი საშუალებების განახლებით ოგორკომ მოახერხა პროდუქციის გაზრდა ათჯერ, ხოლო

მუავე კიტრის ფასი შემცირდა ორჯერ (შესადარ ფასებში). ამავე დროს შეიცვალა მოხმარების სქემა. ამჟამად სახლებში ნაკლებად ამზადებენ მუავე კიტრს, რადგანაც მის დამზადებას ბევრი დრო მიაქვს, ხოლო ოგორკოს მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი მნიშვნელოვნად დაბალია. საერთაშორისო ბაზარზეც პანაგრაში წარმოებულმა მუავე კიტრის რაოდენობამ წილობრივად მოიმატა.

საერთაშორისო ვაჭრობა:

მიუხედავად იმისა, რომ პანაგრაში მუავე კიტრზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, ოგორკო მას ჭარბი რაოდენობით აწარმოებს. ამის გამო, უკანასკნელი რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში ოგორკომ განავითარა საკმაოდ ძლიერი საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზა. ამჟამად ოგორკოში წარმოებული პროდუქციის 20% საზღვრებს გარეთ იყიდება.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ადგილობრივ მაღაზიებში გაყიდვაში გამოჩნდა იმპორტირებული მუავე კიტრი. მისი ფასი ბევრად აღემატება ოგორკოს პროდუქციას, თუმცა მომხმარებელთა ნაწილი სწორედ იმპორტირებულ პროდუქციას ამჯობინებს. მიუხედავად ამისა, მისი წილი საერთო ბრუნვაში მაინც მცირეა.

ჩრდილო პანაგრა

პანაგრას ჩრდილოეთში ისტორიულად სიტუაცია სხვაგვარად აეწყო. 1930-იან წლებში მთელი მუავე კიტრის მწარმოებლები გაერთიანდნენ დიდ კომპანიაში ნორდკოში. ომის შემდგომ პერიოდში მოხდა ამ კომპანიის ნაციონალიზაცია დანარჩენ სამ მცირე ქარხანასთან ერთად ზაგუსკოში, ვოდნოსა და ტილაში. ამ სამივე კომპანიამ შეინარჩუნა დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსი და ემსახურებოდა უახლოეს ტერიტორიებს, ხოლო ჩრდილოეთ პანაგრას სხვა ტერიტორიებზე

იყიდებოდა ნორდკოს პროდუქცია. ნორდკოში კვლავ გამოიყენებოდა მუავე კიტრის დამზადების ძველი სამუშაო ძალის ინტენსიური გამოყენების მეთოდი, რომელსაც სამხრეთ პანაგრაში იყენებდნენ ოგორკოს დაარსებამდე. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ყველა ცალკეული კომპანია ამარაგებდა თავის რეგიონს პრქატიკულად ექსკლუზიურად.

ნედლეულის შესყიდვა:

მუავე კიტრის წარმოებისათვის გამოიყენება კიტრი, რომელიც ასობით ან ზოგჯერ ათასობით ფერმერს მოჰყავს ქარხნის მახლობელ რაიონებში. ფერმერები წინასწარ დებენ ქარხანასთან კონტრაქტს და ქარხნის ინსტრუქციების მიხედვით მოჰყავთ კიტრი. ზოგიერთ ფერმერს მოჰყავს კიტრი წინასწარი კონტრაქტის გარეშე და ყიდის მას ძალიან მაღალ ფასად. თუ რომელიმე სეზონზე მოსალოდნელია, რომ კიტრის ფასი არ იქნება საკმარისად მაღალი, მაშინ ფერმერები ამჯობინებენ მოიყვანონ შაქრის ჭარხალი.

ნაწილი I

ოგორკოს მიერ მოწოდებული დოკუმენტები:

ჩანაწერები:

იმ პერიოდში, როცა ოგორკო სახელმწიფო დაწესებულება იყო, იგი თითქმის არ ატარებდა სამარკეტინგო გამოკვლევებს. მოთხოვნის საპასუხოდ არ იყო წარმოდგენილი მარკეტინგისა და სტრატეგიის გეგმები. მენეჯმენტი აწესებდა საფასო პოლიტიკას სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად. იგი ძირითადად ღირებულებითა და სხვა არაეკონომიკური ხასიათის მოსაზრებებით განისაზღვრებოდა და არა მოთხოვნით. თუმცა, მაინც კეთდებოდა ყოველდღიური ჩანაწერები ფასების, საერთო რეალიზაციის, საერთო

ექსპორტის, წარმოებისა და დისტრიბუციის ფასების, საშუალო ხელფასების, ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. გარდა ამისა, ოგორკოს შენახული ჰქონდა საცალო ვაჭრებთან წარმოებული კორესპოდენცია.

მომხმარებელი:

დისტრიბუციის სისტემის გაუმჯობესებამ გაზარდა ოგორკოს ვაჭრობის მოცულობა და მან შთანთქა ნორდკო. მომხმარებელთა ძირითად ნაწილს კომერციული – საბითუმო ვაჭრები, რომლებიც თავის მხრივ, მაღაზიებს, რესტორნებს და სხვა საცალო ვაჭრებს ამარაგებენ – შეადგენდა. გარდა ამისა, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში დაახლოებით 45%-ით გაიზარდა სამრეწველო რეალიზაციის წილი. სამრეწველო მყიდველებს შეადგენენ: საკვების მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც იყენებენ მჟავე კიტრს საკუთარი პროდუქციის საწარმოებლად და შემდგომში მაღაზიებში გასაყიდად; რესტორნები და სასტუმროები; სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ყიდულობენ მჟავე კიტრს სკოლებისათვის, ციხეებისათვის, საავადმყოფოებისათვის და ა.შ.

კომერციული მომხმარებლები იძენენ პროდუქციას ძირითადად 12 მინის ქილის შემცველი ყუთებით, ხოლო სამრეწველო მომხმარებელბი 100 ლიტრიანი ჭურჭლით.

(დოკუმენტს თან ერთვის 25 ძირითადი მომხმარებლის სია).

რეალიზაცია საერთაშორისო ბაზარზე:

ოგორკოს დოკუმენტების მიხედვით ექსპორტი შეადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. საერთაშორისო რეალიზაცის სქემა განსხვავდება შიდა რეალიზაციის სქემისაგან.

ყველა ქვეყანაში არ არის პანაგრის მსგავსი მოთხოვნილება მჟავე კიტრზე. ეს პროდუქცია ძირითადად იყიდება დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს სუპერმარკეტებში, სადაც სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ მსგავს პრო-

დუქციასთან უწევს კონკურენცია. ფასის მომატება გამოიწვევს საერთაშორისო გაყიდვების მოცულობის შემცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტაბილური ფასის ხარჯზე ოგორკო ახერხებდა საერთაშორისო გაყიდვების მოცულობის შენარჩუნებას მოწოდების დეფიციტის პირობებშიც.

ფასწარმოქმნის ისტორია:

ჩანაწერების მიხედვით ქვეყანაში 100% ინფლაციის პირობებში ოგორკოს ხელმძღვანელობამ ერთი წლის განმავლობაში გადაწყვიტა ფასის დონის შენარჩუნება, რამაც გამოიწვია წლის ბოლოსათვის პროდუქციაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა. საბოლოოდ, ფასის გაორმაგების ხარჯზე მოხერხდა მოთხოვნის პირველად დონემდე დაყვანა.

ოგორკოს დამახასიათებელი ნიშნები:

ოგორკოს ჩანაწერების მიხედვით მის ხელმძღვანელობას სწამს, რომ ოგორკოს ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი და წარმატების ძირითადი მიზეზი მისი საიდუმლო რეცეპტია. მომხმარებელთა აზრით, კომპანიის პროდუქციის პოპულარობა უზრუნველყო მაღალი ხარისხის შენარჩუნებამ.

კონკურენცია:

არსებობს ინფორმაცია, რომ სხვა მწარმოებლები ცდილობენ გადაიღონ ოგორკოს საიდუმლო რეცეპტი. თუმცა, ოგორკოს აზრით მათ ვერ მიაღწიეს თავის მიზანს. რეცეპტის გადაღების შემთხვევაშიც, საჭირო იქნება დრო დაარწმუნონ მომხმარებელი იმაში, რომ ახალი პროდუქცია ისეთივე ხარისხისაა, როგორიც ოგორკოს ნაწარმი. ჩანაწერების მიხედვით, თუ რომელიმე სხვა კომპანია გადაწყვეტს კონკურენცია გაუწიოს ოგორკოს, მან მომხმარებელს ბევრად დაბალი ფასები უნდა

შესთავაზოს. აღრიცხულია ოგორკოს მიერ ნორდკოს სასაზღვრო უბანში ბაზრის წილის წართმევის შემთხვევებიც. ოგორკო მოელის, რომ მომავალში, გამომდინარე ნორდკოს მოძველებული საწარმოო საშუალებებიდან, ეს კომპანია უფრო ნაკლებ კონკურენტუნარიანი გახდება.

ტრანსპორტირება:

ოგორკოს დიდი ხარჯები აქვს პროდუქციის ბაზრამდე ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. კომპანია გეგმავდა ქარხნის ფილიალის აშენებას ჩრდილოეთში, რათა უფრო ეფექტურად გაეწია კონკურენცია ნორდკოსათვის შორეულ ჩრდილოეთ მხარეებში. თუმცა, შემდეგ მან გადაიფიქრა განეხორციელებინა ეს გეგმა, რადგან ახალი ქარხნის აშენებას დიდი თანხა და დრო სჭირდებოდა. შესაბამისად, ახალი ქარხნის აშენების ნაცვლად კომპანია შეეცადა შეემცირებინა თავისი საწარმოო ხარჯები, რამაც შესაძლებელი გახადა მუავე კიტრის ტრანსპორტირება უფრო ღრმად ჩრდილოეთით და იმავდროულად კონკურენტუნარიანი ფასების შენარჩუნება.

ნორდკოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია:

ნორდკოს 25 მთავარი მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია იხ. 212 გვერდზე.

№	მომხმარებელი	კონკრეტული წლისათვის ვაჭრობის მოცულობები	ადგილმდებარეობა
1	პროროდეს გადამამუშავებელი საწარმო	356.	პროროდე
2	ტრანსცენასის საკვები პროდუქციის დისტრიბუტორი	287	ნორდი
3	შპს ცისცისა ცუპა დომოგა	265	სტაროვო
4	კრეკუნოს საკვები პროდუქტია	240	ნორდი
5	დობრი სმაკ საკვები	226.	ვოდნო
6	პოლლინის საბითუმო ვაჭრობის კორპორაცია	198	პოლლინი.
7	შპს რადოვიჩის სადისტრიბუციო	186	რადოვიჩი
8	ნარჩიაროის საცურორჩო სამსახური	170	ნარჩიარი
9	ნაილპსზეს საკვები პროდუქციის საბითუმო ვაჭრობის კორპორაცია	164	სოლიასი
10	კაპატიას საწარმოო კორპორაცია	142	კარპატა
11	ეორო საკვები პროდუქციის დისტრიბუცია	137	ნორდი
12	ბლონტოს სამხედრო ბაზა	99	ბლონტო
13	შპს ნოვა ზეკა	96	სტარა ვიზა
14	სახელმწიფო საწარმო - სასტუმრო	85	ნორდი
15	ნორდიას საკვები პროდუქტები	74	ნორდი
16	ბულიასინის საკვები პროდუქციის კორპორაცია	74	ჯიბლოვო
17	ჯანეკის სადისტრიბუციო კორპორაცია	61	იაბლოვნო
18	სმაკოვიტის საკვები პროდუქცია	53	რადოვიჩი
19	კონსლავტინოვოს საბითუმო ვაჭრობის კორპორაცია	36	კონსტანტინოვო
20	ოლგას სადისტრიბუციო კორპორაცია	27	ქამპირინი
21	პოლდინის სახელმწიფო რეგიონალური საავადმყოფო	21	პოლლინი.
22	იაეოროს საკვები პროდუქციის მაღაზია	19	იაეორო
23	კროლოვა ბურეკროვა	14	ნორდი
24	ზაპეტრეკის რესტორნები	14	ზაპეტრეკ.
25	ურგოს საკვები პროდუქტები		ურგო

ოგორკოსა და კონგლომის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია, რომელიც ასაბუთებს, რომ მათი შერწყმა არ გამოიწვევს ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე ფირმის ჩამოყალიბებას

ოგორკოს არა აქვს ფასებზე გავლენის რეალური შესაძლებლობა, რადგანაც მჟავე კიტრს კონკურენციას უწევს მრავალი სხვა მსგავსი პროდუქტი (მჟავე სოკო, ხახვი, მარილიანი თევზი, ზეთის ხილი და ა.შ.). ოგორკო ვერ მოუმატებს ფასს თავის პროდუქციას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზარზე, მხოლოდ მჟავე კიტრი გაიყიდება, რადგანაც მას კონკურენციას გაუწევს ნორდკოს და აგრეთვე უცხოური ფირმების პროდუქცია.

ოგორკოს მიერ ფასის უსაფუძვლოდ გაზრდის შემთხვევაში კომერციული მომხმარებელიც უარს იტყვის ოგორკოს პროდუქციის შეძენაზე. მაგალითად – რამდენიმე წლის წინ როდესაც მომარაგება შეზღუდული იყო, ზოგიერთი მომხმარებელი მჟავე კიტრის მაგივრად იყენებდა მჟავე ჭარხალს. სხვა პროდუქციაზე გადართვის შესაძლებლობას თავი რომ დავანებოთ, კომერციული საკვების გადამამუშავებელი საწარმოები იმდენად დიდ კონგლომერატს წარმოადგენენ ოგორკოსთან შედარებით, რომ ოგორკო იძულებულია მათ მიერ შექმნილი კონკურენციის წესების შესაბამისად მოიქცეს. გარდა ამისა, ამ კომპანიების გასაღების ბაზრებზე საკმაოდ მაღალი კონკურენციაა და მათ მიერ პროდუქციის თვითღირებულების გაზრდა (მჟავე კიტრზე ფასის მომატების შედეგად) გამოიწვევს, ვაჭრობის მოცულობის შემცირებას. ეს თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ოგორკოს პროდუქციის მოთხოვნაზე.

საერთაშორისო ბაზარზე ოგორკოს პროდუქციას ძლიერ კონკურენციას უწევენ სხვა მსგავსი პროდუქტები.

ამრიგად, ოგორკო ვერ აწევს ფასს ვერც შიდა და ვერც გარე ბაზარზე.

ოგორკოს პროდუქციის პოპულარობა სამხრეთ რაიონებში გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ წლების განმავლობაში იგი ერთად-ერთი მჟავე პროდუქტი იყო, რომელიც იყიდებოდა საცალო ვაჭრობის პუნქტებში. არ გვაქვს მიზეზი ვიფიქროთ, რომ მომხმარებელი დიდად აფასებს ოგორკოს სახელს. ქვეყნის ჩრდილოეთში, სადაც ძირითადად ნორდკო მოღვაწეობს, ოგორკო ვერ უწევს თავის პროდუქციას ფასს.

იმპორტირებული მჟავე კიტრი დიდ კონკურენციას უწევს ოგორკოს პროდუქციას, რაც ზრდის იმპორტირებული პროდუქციის მიერ ოგორკოს, მიუხედავად ხარისხის და ფასის შენარჩუნებისა, ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისების შესაძლებლობას.

ოგორკოს მიერ ფასების მომატებას მოჰყვება ნორდკოს მიერ სამხრეთით ბაზრის გაფართოება. ამის მიღწევა შესაძლებელი გახდება სამხრეთში მოსახუფი საწარმოს გახსნის გზით, ან ადგილობრივსა თუ უცხოურ გადამამუშავებელ საწარმოებთან კონტრაქტის დადების საშუალებით, რომლის მიხედვითაც მჟავე კიტრი მოიხუფება სამხრეთში. ამ საქმეში ნორდკოს დახმარებას გაუწევს პანაგრაში პირუტყვის მთავარი მომმარაგებლის სახელი.

შერწყმის ოპერაციის გაანალიზებისას კონგლომი ითვალისწინებს სამივე ქარხნის, მოსახუფი ქარხნის და სადისტრიბუციო ქსელის შენარჩუნებას. ამრიგად, ეს ოპერაცია მის მიერ მიზანშეწონილად ითვლება, რადგან შენარჩუნებული იქნება 1,700 სამუშაო ადგილი მთელს პანაგრაში. კონგლომს დაგეგმილი აქვს შეიმუშაოს ახალი მარკეტინგისა და მენეჯმენტის ტექნიკა, რომელიც საშუალებას მისცემს ოგორკოს გარდაიქმნას კერძო სტრუქტურად. პროცესის შეჩერების შემთხვევაში არ არის გარანტია, რომ სახელმწიფო საწარმოს ან მცირე საწარმოებს ექნებათ შესაძლებლობა მოახდინოს პროდუქციის საკმარისი რაოდენობით რეალიზაცია, რათა უზრუნველყოს ინვესტიციების სათანადო დონე. გარდა

ამისა, მცირე საწარმოებად დანაწევრებას შესაძლოა მათი ბიზნესიდან მასიურად გასვლა მოჰყვეს, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს სამუშაო ადგილების გაუქმებას.

ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით კონგლომი თვლის, რომ უნდა ჩატარდეს ოგორკოს სრული პრივატიზაცია.

ნაწილი II

მომხმარებლისაგან მიღებული ინფორმაცია

მომხმარებლის აზრის გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ეს სამი მომმარაგებელი მკაცრად მიჰყვება საბითუმო ფასების ნუსხას დაწესებულებებსა და საბითუმო მომხმარებელთან ვაჭრობისას. ორმა მომხმარებელმა ყური მოკრა ლაპარაკს ფასის დაწევის შესახებ, თუმცა თვითონ არ მიუღიათ პროდუქცია დაკლებული ფასით. ერთმა მომხმარებელმა განაცხადა, რომ მაქსი-შკლეპი (კომპანია) რეგულარულად იღებდა პროდუქციას 5%-იანი ფასდაკლებით, თუმცა, თავად მაქსი-შკლეპი უარყოფდა ამ ფაქტს.

ფასების ნუსხის შედგენისას გამოიყენება „ამოსავალი" ფასის დაწესების ფორმულა: ფასები გათვლილია სამხრეთის რეგიონის ძირითადი ქალაქიდან-ტარკუდან (ამოსავალი წერტილი) ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით. ტარკუს ცენტრალური ადგილი უჭირავს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. იგი დაახლოებით 50 კილომეტრითაა დაშორებული კონტოდან, 100 კილომეტრით ლასკოვიდან, 120 კილომეტრით მოკრინიდან. ფასის განსაზღვრის ამ სისტემიდან გამომდინარე, მომხმარებელი იხდის ნუსხის თანახმად, ფასს დამატებული ტრანსპორტირების ხარჯები ტარკუდან შესყიდვის ადგილამდე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი კომპანია ყიდის მჟავე კიტრს და რომელი ქალაქიდან ხდება მისი ტრანსპორტირება.

იმის გამო, რომ სამივე კომპანიის უფროსები კოლეგები იყვნენ, როცა ეს საწარმო სახელმწიფოს ეკუთვნოდა,

მათ ხშირად უხდებოდათ თავყრილობებზე ერთად ყოფნა. მაგალითად, ისინი ჩოგბურთის ერთი და იგივე კლუბის წევრები არიან ტარკუში, სამხრეთ რეგიონის მთავარ ქალაქში. ისინი ერთმანეთს ხვდებიან წვეულებებსა და სხვადასხვა შეხვედრებზე. ისინი აგრეთვე არიან ერთი და იგივე სამოქალაქო კლუბისა და ორგანიზაციის წევრები.

ინფორმაცია ასოციაციის შესახებ

ასოციაციის მიზანია რეკლამა გაუწიოს პანაგრის მჟავე კიტრს, როგორც შიდა, აგრეთვე გარე ბაზარზე, მთავრობაში წარმოადგინოს მრეწველობის სექტორი, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის გასვლა და პოტენციალურ უცხოელ კონკურენტს დაუპირისპიროს სათანადო სატარიფო სისტემა, ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ამ მიზნების მისაღწევად ასოციაცია მიმართავს შემდგომ ღონისძიებებს:

1. ამ სამი ფირმის პრეზიდენტები და მენეჯერები ყოველკვარტალურად ხვდებიან ერთმანეთს, რათა განიხილონ მრეწველობისა და საბაზრო პირობების პრობლემები;

2. ასოციაცია მოითხოვს თითოეული წევრისაგან ფასების ნუსხის წარდგენას დეტალური ყოველდღიური ანგარიშით ყველა რეალიზებული და ტრანსპორტირებული პროდუქციის შესახებ, თვიური წარმოებისა და აღრიცხვის შესახებ და სხვა დოკუმენტაციას. ამის საფუძველზე ასოციაცია წარუდგენს სხვა წევრებს ყოველკვირეულ ანგარიშს ყველა ოპერაციის, მისი ფასების, მყიდველის, გამყიდველის და სხვა პირობების შესახებ.

თავი III. ეკონომიკური კონკურენციის რეგულირების საზღვარგარეთული პრაქტიკა

III.1. პოლონეთის ანტიმონოპოლიური ორგანო რძის კოოპერატივ „სპომლეკი"-ს წინააღმდეგ - სავარჯიშო პრაქტიკული მუშაობისათვის [20]

I. საჩივარი

1990 წლის 2 დეკემბერს პოლონეთის რძის კოოპერატივის „სპომლეკი"-ს ხელმძღვანელობამ რომელიც მდებარეობს ბელორუსიის საზღვართან, თავისი პროდუქციის მომწოდებლებისათვის – კოოპერატივის წევრებსა და სხვა ფერმერებისათვის შეიმუშავა ფასების ახალი პოლიტიკა. მის თანახმად „სპომლეკი" კოოოპერატივის წევრებისაგან შეძენილ რძეში გაცილებით მაღალ ფასს იხდიდა (15%-იანი ფასდანამატით) ვიდრე არაწევრებისაგან ნაყიდ რძეში. ამის სანაცვლოდ „სპომლეკმა" მოითხოვა კოოპერატივთან ექსკლუზიური გარიგების შემცველი ხელშეკრულებების დადების უფლების მინიჭება.

საჩივარი შეტანილ იქნა ფერმერთა კავშირის „სოფლის სოლიდარობის" ადგილობრივი საბჭოს მიერ. იგი ეხებოდა „სპომლეკი'-ს 1991 წლის ფასთა დანამატებს. „სოფლის სოლიდარობის" კავშირმა მოითხოვა, რომ პოლონეთის ანტიმონოპოლიურ ორგანოს გამოეძია იყო თუ არა რძის პროდუქტებზე არსებული ფასების პოლიტიკა პოლონეთის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა. „სოფლის სოლიდარობის" კავშირის თანახმად, ფასთა დანამატებმა დააზარალეს ის ფერმერები, რომლებიც არ იყვნენ კოოპერატივის წევრები, ხოლო რძის პროდუქტებზე შემოღებულმა ექსკლუზიური ვაჭრობის პოლიტიკამ ერთგვარად შეზღუდა ვაჭრობის საზღვრები. „სოფლის სოლიდარობის" კავშირმა

არგუმენტად მოიყვანა ის ფაქტი, რომ „სპომლეკი“ სარგებლობდა თავისი დომინირებული პოზიციით ბაზარზე უმეტესწილად ძველი რეჟიმის პირობებში მისი პრივილეგირებული პოზიციის გამო და არა თავისი წარმატებული საბაზრო საქმიანობის წყალობით.

1991 წელს ანტიმონოპოლიურმა ორგანომ დაიწყო გამოძიება იმის დასადგენად, დაარღვიეს თუ არა „სპომლეკი“-ს ფასთა დანამატებმა პოლონეთის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისი პუნქტები იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბაზარზე დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენებასა და ვერტიკალურ შეზღუდვებს.

II. დაცვა

ბრალდებების საპასუხოდ „სპომლეკი“ ამტკიცებდა, რომ არც ექსკლუზიური კონტრაქტები და არც ფასთა დანამატები არ ასაბუთებდნენ, რომ საქმე გვქონდა დომინირებული პოზიციის ბოროტად გამოყენებასთან. პირიქით, ამგვარი პოლიტიკა ხელს უწყობდა საბაზრო კონკურენციის განვითარებას და რძის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას.

კერძოდ, „სპომლეკმა“ შემდეგი არგუმენტები წარმოადგინა:

1. მაღალი ხარისხის ნედლი რძის სტაბილური მოწოდების უზრუნველყოფით, ფასთა დანამატები და ექსკლუზიური კონტრაქტები ამცირებდნენ რძის პროდუქტების მწარმოებლის ხარჯებს და ხელს უწყობდნენ პროდუქციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

2. არ არსებობდა არანაირი სერიოზული ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლიდა კოოპერატივის არაწევრ ფერმერებს ესარგებლათ ფასთა დანამატების უპირატესობით და შეერთებოდნენ კოოპერატივს მაშინ, როდესაც წევრებს, რომელთაც სურდათ თავიანთი ნედლი რძის მიყიდვა სხვა რძის საწარმოებზე, თავისუფლად შეეძლოთ ესარგებლათ ამ უფლებით.

3. ფასების დანამატი წარმოადგენდა კოოპერატივის წევრებისათვის საბრუნავი კაპიტალის მიღების მექანიზმს. სანქციები რძის კომბინატის წინააღმდეგ აიძულებს კოოპერატივს ერთნაირი ფასები შესთავაზოს კოოპერატივის წევრებს და არაწევრებს. ეს ითვლება გაუმართლებელ პრივილეგიად იმ მომწოდებლებისათვის, რომლებიც არ არიან კოოპერატივის წევრები (და ამის გამო არ იხდიან კოოპერატივის შენატანებს).

4. რძის კომბინატის წინააღმდეგ გატარებული სანქციები საფრთხის ქვეშ აყენებდნენ თავად კოოპერატივების არსებობის იდეას, რომლებიც უსრუნველყოფდნენ თავიანთ წევრებს ფასებისა და მომსახურების სფეროში არსებული შეღავათებით („სპომლეკი"-ს ამ არგუმენტს მხარი დაუჭირა რძის კოოპერატივების ნაციონალურმა ასოციაციამ, რომელიც მდებარეობს ვარშავაში; მან წარმოადგინა რძის კომბინატის მხარდამჭერი დასკვნა).

III. გამოძიება

ა) ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ განსახილველი საკითხები:

1. როგორ განისაზღვროს შესაბამისი სასაქონლო ბაზარი?

2. როგორ განისაზღვროს შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი?

3. რის საფუძველზე გადაწყვიტა „სპომლეკმა" შეეთავაზებინა თავისი კოოპერატივის წევრებისათვის ფასთა დანამატი? ასახავს თუ არა ეს დანამატი მონოპოლიური უფლებების გამოყენების მცდელობას, თუ არსებული საბაზრო პირობების შედეგია? რამდენად წარმოადგენს ეს დანამატი ბაზარზე გაბატონებული ფირმის მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საერთო სქემის ელემენტს?

4. რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოსაზრებები? საჭიროა თუ არა ცალკე განვიხილოთ ის არგუმენტი, რომ სანქციებმა „სპომლეკი“-ს წინააღმდეგ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს თავად კოოპერატივების არსებობა, რომლებიც თავიანთ წევრებს სთავაზობენ შეღავათებს ფასებისა და მომსახურების სფეროში? მეორეს მხრივ, არის თუ არა არგუმენტი იმის შესახებ, თითქოს „სპომლეკი“ თავის ძლიერ პოზიციას ბაზარზე ძველ რეჟიმს უნდა უმადლოდეს, საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ შევზღუდოთ მისი საქმიანობა?

ბ) ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ ჩატარებული გამოძიების პერიოდში მოპოვებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

საბაზისო ინფორმაცია:

„სპომლეკმა“ სოციალური წყობიდან მემკვიდრეობით მიიღო ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა, რადგან იგი არსებითად რეგიონში ფერმერთა მოთხოვნაზე მომუშავე ერთადერთი რძის ქარხანა იყო. ამრიგად, „სოფლის სოლიდარობა“ ასოცირდებოდა 80-იანი წლების ანტიკომუნისტურ ოპოზიციურ მოძრაობასთან, ხოლო სოლიდარობის ადგილობრივი საბჭოები განსაკუთრებით ცდილობდნენ დაენგრიათ „ძველი სტრუქტურების“ პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება პოლონეთის პერიფერიებში.

ბაზრის განმარტება:

„სპომლეკი“ არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ადგილობრივ სოფლებში, რომელთა შესახებაცაა საუბარი, მისი წილი ბაზარზე აჭარბებდა იმ ზღვარს, რომელიც, პოლონეთის კანონმდებლობის თანახმად, საკმარისი იყო დომინირებული პოზიციის განსამტკიცებლად. კოოპერატივი არ უარყოფდა არც შესაბამისი სასაქონლო ბაზრის განმარტებას –

ნედლი რძის შესყიდვას. ამგვარად, მოპასუხე არ უარყოფდა იმ არგუმენტს, რომ მას ეკავა დომინირებული პოზიცია შესაბამის ბაზარზე.

ბაზრის პირობები:

1. პოლონეთის საბანკო სისტემის სისუსტისა და იმ დროს მოქმედი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის სიმკაცრის გამო, საბანკო კრედიტები და საბრუნავი კაპიტალი, განსახილველ პერიოდში, მრავალი ფერმერისათვის ან ხელისშემშლელად ძვირი, ან საერთოდ მიუღწეველი იყო;

2. ვაჭრობის ლიბერალიზაციის გამო, პოლონეთის საკვები პროდუქტების ბითუმად მოვაჭრეებს სულ უფრო მეტად ეძლეოდათ საშუალება ამ პერიოდის განმავლობაში მოეხდინათ დასავლური რძის ნაწარმის იმპორტი, რომელიც მომხმარებელთა უმრავლესობის აზრით უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციად ითვლებოდა, ვიდრე ადგილობრივი ნაწარმი;

3. „სპომლეკი“-ს ექსკლუზიური კონტრაქტები ხელს არ უშლიდნენ რძის მრეწველობაში ახალი მწარმოებლების ჩაბმას. 1991 წლის მეორე ნახევარში კოოპერატივში შევიდა 1,438 ახალი წევრი.

IV. სასამართლო პროცესი

პოლონეთის ანტიმონოპოლიურმა ორგანომ, მის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დაადგინა, რომ კოოპერატივის წევრებთან ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმებით და მათთვის უფრო ხელსაყრელი შესასყიდი ფასების შეთავაზების გზით „სპომლეკი“ ბოროტად იყენებდა თავის დომინირებულ მდგომარეობას შესაბამის

ბაზარზე. 1992 წლის 5 მაისს რძის ქარხანას მოეთხოვა აღეკვეთა დიფერენცირებული ფასების გამოყენება. „სპომლეკ“-მა შემდგომში ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ვარშავის ანტიმონოპოლიურ სასამართლოში.

V. სადისკუსიო საკითხები

განაჩენის გამოტანის შემდგომ უნდა განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. როგორი იყო სასამართლო განაჩენის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები?

2. შეესაბამებოდა თუ არა მოწმეთა ჩვენებისა და პრობლემების სასამართლოსეული ინტერპრეტაცია:

ა) საქმეში წარმოდგენილ ინფორმაციას;

ბ) პოლონეთის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას;

გ) საღ აზრს;

დ) პოლიტიკურ მოსაზრებებს?

ე) დაასაბუთეთ თითოეული პოზიცია.

3. მსგავსი საქმე საქართველოს სასამართლოში რომ განხილულიყო, რა გავლენას იქონიებდა სასამართლოს განაჩენი ქვეყნის ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაზე? რატომ?

III.2. რუმინეთში საპორტო მომსახურებაზე შასების კოორდინაციის შესახებ [60]

I. საქმის დასაწყისი:

ამ საქმის დაწყება განაპირობა საჩივარმა, რომელიც რუმინეთის ანტიმონოპოლიურ საბჭოში (ქ.ბუქარესტი) შევიდა შპს „დეკასი"-საგან 1997 წლის 4 მარტს. ამ კერძო კომპანიამ, რომელიც ეწევა ვაჭრობას ქიმიური საქონლითა და სასუქით, სარჩელით მიმართა ანტიმონოპოლიურ საბჭოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის თაობაზე, საპორტო მომსახურების განმახორციელებელი მსხვილი კომპანიის შტაბბინაში ერთობლივი მოლაპარაკებების დროს. ამ მოლაპარაკებების მიზანი საპორტო მომსახურეობის მიმწოდებელსა და შემკვეთს შორის მდგომარეობდა საპორტო მომსახურებაზე ტარიფების დადგენაში.

II. მონაწილე მხარეები:

საჩივრის შემომტანი – შპს „დეკასი", ბუქარესტი, კერძო კომპანია რომელიც დასპეციალებული ქიმიური საქონლითა და სასუქით საგარეო ვაჭრობაზე.

მოპასუხეები – სამი კერძო კომპანია, რომლებიც ახორციელებდნენ საპორტო მომსახურეობას პორტ კონსტანცაში და ქიმიური საქონლისა და სასუქის მწარმოებელი ექვსი კომპანია, რომლებიც წარმოადგენდნენ საპორტო მომსახურების შემკვეთებს.

ამ ცხრა კომპანიამ ერთობლივი მოლაპარაკებების შემდეგ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ტარიფების შესახებ, რომლის წინააღმდეგაც იყო სარჩელი აღძრული.

III. ბაზრის დახასიათება:

ბაზრის შესწავლამ აჩვენა, რომ ამ ბაზრის პროდუქტს წარმოადგენს საპორტო მომსახურეობები (დატვირთვა, გადმოტვირთვა, შენახვა და ტრანსპორტირება) იმპორტირებული ან ექსპორტირებული ქიმიური საქონლისა და სასუქის მიმართებით.

რადგან აღნიშნული პროდუქციის მიმღებებს წარმოადგენდნენ - ჩინეთი, ინდოეთი და ვიეტნამი, მისი გადაგზავნის ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენდა საზღვაო ტრასპორტი (ჩატვირთვა პორტ კონსტანცაში) და შედეგად ამ ბაზარზე არ არსებობდა შემცვლელი მომსახურეობა.

საქონლის შეფუთვის ტიპის მიხედვით ანსხვავებენ ბაზრის ორ სახეობას: 1) ქიმიური საქონლისა და სასუქით მომსახურების ბაზარი, რომელიც დაიტვირთება შეფუთვის გარეშე და 2) იგივე საქონლით მომსახურების ბაზარი რომლის დატვირთვა ხდება ტომრებით. პირველ ბაზარზე მთავარი კომპანია, რომელიც ემსახურებოდა საქონლის დიდ მოცულობებს წარმოადგენდა ს/ს „ბიფ" კონსტანტა, ვინაიდან იგი წარმოადგენდა ერთადერთ მფლობელს აუცილობელი მოწყობილობებისა და დიდი სასაწყობო ფართობებისა. ს/ს „სოტ"-ს ასევე შეეძლო მომსახურებოდა ამ ბაზარს, მაგრამ ნაკლები რაოდენობის საქონლით. მეორე ბაზარზე მოქმედებენ საპორტო მომსახურების პროვაიდერები, რომლებიც მოხსენიებული იყვნენ „მონაწილე მხარეების" ნაწილში და ასევე ზოგიერთი სხვა კომპანია. ყველა კომპანიას, რომელიც ახორციელებს საპორტო მომსახურეობას, გააჩნია მუშაობის დიდი გამოცდილება. მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1990 წლის შემდეგ და საჩივრის პერიოდისათვის პრაქტიკულად გაორმაგდა. ახალი კომპანიები იქმნებოდნენ უკვე არსებული კომპანიების ქალიშვილი საწარმოების წარმოქმნის ხარჯზე და ასევე, 1990 წლის შემდეგ გამოცემული სამთავრობო დეკრეტებით განხორციელებული ზოგიერთი

კომერციული ფირმის რეორგანიზაციისა და ორიენტაციის შეცვლის ხარჯზე. ამგვარად, საპორტო მომსახურების პროვაიდერთა წრე ძალიან ფართო იყო.

სასაქონლო სექტორის ერთი ნაკადი წარმოდგენილ იყო ქიმიური საქონლისა და სასუქის წარმოებით. ამასთან, ბოლო პერიოდისათვის ამ სექტორში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი დაცემა.

სასაქონლო სექტორის სხვა ნაკადი მოიცავდა ქიმიური საქონლისა და სასუქის შემკვეთებს. ამ საქონლის დიდი ნაწილი იყიდებოდა საერთაშორისო ბაზარზე, ვინაიდან რუმინელმა ფერმერებმა, რომელთაც შეექმნათ ფინანსური სიძნელეები, უარი თქვეს ამ პროდუქტების გამოყენებაზე.

საანალიზო ბაზარზე მოქმედი კომპანიიდან მიღებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ წარმოების მოცულობების შემცირების შედეგად ქვეყნის შიგნით საპორტო მომსახურებაზე მოთხოვნა 1990 წელთან შედარებით შემცირდა 40-50%-ით, ხოლო პორტ „კონსტანცა"-ს სიმძლავრეები გამოიყენებოდა არასრულად. დასკვნით ნაწილში შეიძლება აღინიშნოს, რომ, თუ ვილაპარაკებთ თუნდაც სპეციალიზირებულ სეგმენტებზე, ეს ბაზარი განისაზღვრება მიწოდების მეტობით მოთხოვნაზე, რაც თავისთავად წარმოადგენს საქმის განხილვის არსებით ასპექტს.

IV. ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები:

პორტ „კონსტანცა"-ს ტერიტორია.

V. საქმის განხილვა, დასკვნები და წინადადებები:

რუმინეთის ანტიმონოპოლიური კანონის პირველი ნაწილის მე-4 მუხლით გათვალისწინებული იყო თავისუფალი კონკურენციის პირობებში ფასებისა და ტარიფების დადგენის პროცედურა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის საფუძველზე

გამყიდველსა და მყიდველს შორის მოლაპარაკების გზით. ერთობლივი მოლაპარაკებები განეკუთვნებიან საწარმოთა შორის ისეთი შეთანხმებების კატეგორიას, რომლის მიზანია ან შეიძლება იყო ბაზარზე საკონკურენციო მექანიზმის დარღვევა ან შეზღუდვა. განსახილველი შეთანხმება, რომელიც დადებულ იყო ს/ს „ბიფ“-ს, ს/ს „სოტ“-ს და სხვა კომპანიებს შორის 1997 წლის 4 მარტს, წარმოადგენდა ტარიფების პირდაპირი დადგენის შეთანხმებას, რაც არღვევდა რუმინეთის ანტიმონოპოლიური კანონის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს.

VI. გადაწყვეტილება:

რუმინეთის ანტიმონოპოლიური კანონის 54-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, საქმის განხილვის შემდეგ ანტიმონოპოლიური საბჭოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, ს/ს „ბიფ“-ს, ს/ს „სოტი“-ს და მოლაპარაკებებში მონაწილე სხვა კომპანიების მიერ 1997 წლის 4 მარტს ხელმოწერილი „საპორტო მომსახურების ტარიფებზე მოლაპარაკებათა შესახებ ანგარიში“-ს იურიდიული ძალის არ მქონედ ცნობის შესახებ.

შესაბამისად, ამ მოლაპარაკებაში მონაწილე კომპანიებს დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტათ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი (მონოპოლიური ქმედებები, როგორსაც განეკუთვნებოდა ფასებისა და ტარიფების პირდაპირი ან ირიბი შეთანხმებები).

ამასთან, კომპანიებს დაეკისრათ მათი დანაშაულების პროპორციული სიდიდის ჯარიმები. კერძოდ:

- ✓ ს/ს „ბიფ“ კონსტანცა – 1000 მილიონი ლეი;
- ✓ ს/ს „სოტ“ - 400 მილიონი ლეი;
- ✓ ს/ს „დეპ“ - 28 მილიონი ლეი;
- ✓ თითოეული დანარჩენი ექვსი კომპანიიდან დაჯარიმებულ იქნა 20-20 მილიონი ლეით.

III.3. ორი ბანკის შერწყმა ლიტვის მაგალითზე [59]

შესავალი

კონკურენციის მხარდაჭერისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამმართველომ 1996 წლის ივლისში მიიღო შეტყობინება ორი A და B ბანკის წარმომადგენლებისაგან ამ ბანკების მოსალოდნელი შერწყმისა და გაერთიანებული ბანკის შექმნის თაობაზე. წარმომადგენლები ითხოვდნენ ამგვარი შერწყმის კონკურენციის კანონთან შესაბამისობის შემოწმებას. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა ორივე ბანკის აქციონერთა კრებაზე.

შეტყობინება წარდგენილ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენციის კანონი მოითხოვს (მე-10 მუხლი), „თუ შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ან აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისას საბაზრო სტრუქტურის (კაპიტალის კონცენტრაციის) კონცენტრაციის მაქსიმალური ხარისხი აღემატებოდა ლიტვის კონკურენციის საბჭოს მიერ დადგენილ ზომას, ასეთ კონცენტრაციაში ჩართული მხარე ან მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ კონკურენციის მხარდაჭერისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამმართველოს იქამდე, ვიდრე გადაწყვეტილება იქნება ნაბიჯები, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ დადგენილი საბაზრო სტრუქტურის თანაფარდობა და მისი კონცენტრაციის ხარისხი“.

გამოძიების პროცესში კონკურენციის სახელმწიფო სამმართველომ გაანალიზა 16 ბანკის აუდიტორული შემოწმების მასალები. გამოძიება არ ეხებოდა პრობლემურ ბანკებს და ლიტვის განვითარების ბანკს, რომელმაც თავისი ოპერაციები დაიწყო 1994 წლის ბოლოს.

ძირითად მაჩვენებელს რომელიც განსაზღვრავს კონცენტრაციის ხარისხს საბანკო სექტორში, წარმოადგენს ბანკის აქტივები. ამ მაჩვენებლის შესაბამისად გაანგარიშებული კონცენტრაციის ინდექსი (ჰერფინდალ-

ჰირშმანის ინდექსი) შერწყმამდე ტოლი იყო 1184-ის, ხოლო განზრახული შერწყმის შემთხვევაში მიაღწევდა 1343-ს, რაც ნიშნავდა, რომ პირობები კონკურენციისათვის რჩებოდა ხელსაყრელი (მისაღებ დონეზე). 1994 წელს 16 ბანკს შორის A ბანკის აქტივების წილი შეადგენდა 14,4 პროცენტს, ხოლო B ბანკის აქტივების წილი – 5,5 პროცენტს. შერწყმის შემდეგ გაერთიანებული ბანკის აქტივების წილი გაუტოლდებოდა 20 პროცენტს. სამ უმსხვილეს ბანკს გააჩნიათ შესაბამისად ბაზრის სხვადასხვა წილები – 19,2%, 16,8% და 11,8%.

1. ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრების დადგენამ მოითხოვა შესაბამის ტერიტორიაზე დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ტენდენციების შესწავლა. ასევე, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების ცოდნა, მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი კომპანიების, მათი საქმიანობის ობიექტების და საწარმოო და კომერციული საქმიანობის თავისებურებათა შესახებ ინფორმაციის მოძიება. მაგალითად, მცირე ზომის კომპანიას დროის ეკონომიის მიზნით შეუძლია განახორციელოს სესხის აღება უახლოეს ბანკში, ხოლო მცირე მეანაბრეებს – გახსნან შემნახველი დეპოზიტები რაიონულ ბანკებში.

უმრავლესი ბანკების მმართველობები იმყოფება ვილნიუსში ან კაუნასში. ამასთან, ბანკების განყოფილებები ან სააგენტოები განლაგებულია ლიტვის ყველა რაიონში (A ბანკი - 30 განყოფილება, B ბანკი – 14). ყველა განყოფილება თავის კლიენტებს სთავაზობს მომსახურების სრულ ნაკრებს.

კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ თითოეულ რაიონში გაერთიანებული ბანკის განყოფილების გარდა იქნება როგორც მინიმუმ 2 განყოფილება სხვადასხვა კონკურენტი ბანკებისა. ჩაითვალა, რომ ბაზრის მონაწილეთა ასეთი რაოდენობა საკმარისია კონკურენციული გარემოს შესაქმნელად ამ ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებში.

რადგან ბანკის საქმიანობა დამოკიდებულია მისი მმართველობის მუშაობაზე, საბანკო ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები დადგენილ იქნა როგორც ლიტვის რესპუბლიკის საზღვრები.

2. მომსახურების (საქონლის) ბაზრის შეფასება

ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობა მოცემულ შემთხვევაში იმყოფებოდა 1000-დან 1800-მდე შუალედში. ამიტომაც, გაანალიზებულ იქნა მხოლოდ საბანკო მომსახურების სტრუქტურა, საიდანაც ამოღებულ იქნა ისეთი მონაცემები, როგორიცაა მაგალითად – კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი, ლიკვიდურობა, საკრედიტო რისკები და ბანკის მუშაობის ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლები. გამოძიების პროცესში გაანალიზებულ იქნა საბანკო მომსახურების შემდეგი სახეები:

- ✓ სადეპოზიტო ოპერაციები (დეპოზიტები და აკრედიტივები);
- ✓ გაცემული კრედიტები;
- ✓ საინვესტიციო ოპერაციები;
- ✓ სხვა მომსახურებები

ლიტვაში საინვესტიციო ოპერაციებისა და სხვა საბანკო მომსახურებათა სექტორი არ იყო სრულყოფილად განვითარებული, რადგანაც მისი საბანკო სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაზე იმყოფებოდა.

საბანკო შემოსავლების სტრუქტურის ანალიზმა 1994 წლისათვის აჩვენა, რომ ყველა ბანკებმა (A ბანკის ჩათვლით) შემოსავლის დიდი ნაწილი კრედიტების პროცენტებიდან (50 პროცენტზე მეტი) მიიღო.

2.1. სადეპოზიტო მომსახურება (დეპოზიტები და აკრედიტივები)

დეპოზიტები და აკრედიტივები წარმოადგენენ ბანკების შემოსავლის ძირითად წყაროს (ბანკი A – 81%, ბანკი B - 95,2%). A და B ბანკების დეპოზიტების მოცულობათა გათვალისწინებით დეპოზიტების საერთო სტრუქტურაში,

რომ, ბანკი A იკავებდა მეორე ადგილს (დეპოზიტების საერთო მოცულობის 15%), ხოლო ბანკი B იყო მე-7, მისი წილი შეადგენდა 6.4%-ს. შერწყმის შედეგად წარმოქმნილი ბანკი არ დაიკავებდა ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას. მის წილს შეეძლო შეედგინა დაახლოებით 20% მთელი დეპოზიტების. ამ შემთხვევაში ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობები გაიზრდებოდა 1145-დან 1338-მდე. კონცენტრაციის ასეთ უმნიშვნელო ცვლილებებს არ შეეძლო დეპოზიტების ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუარესება.

ორივე ბანკის დეპოზიტების სტრუქტურაში სამეურნეო სუბიექტების დეპოზიტებს ეკავათ დიდი ნაწილი (53,7% და 57,4% შესაბამისად). ეს ნიშნავს, რომ როგორც A ბანკი, ისე B ბანკი მუშაობდა საცალო და საბითუმო ბაზარზე. ამასთან, ვადიანი დეპოზიტები შეადგენდა ორივე ბანკის დეპოზიტების დიდ ნაწილს.

2.2. კრედიტების გაცემა წარმოადგენს უპირველეს და ძირითად მომსახურებას, რომელსაც ეწევიან ბანკები

კრედიტების პირობების შესაბამისად ისინი იყოფა მოკლევადიან (12 თვემდე) და გრძელვადიანად (12 თვეზე მეტი) კრედიტებად. გაერთიანებული ბანკი ამ სეგმენტზე არ დაიკავებდა დომინირებულ მდგომარეობას (A და B ბანკებს ეკავათ შესაბამისად ბაზრის 18 და 20 პროცენტი), ხოლო ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მნიშვნელობა გაიზრდებოდა 1237-დან 1364-მდე (გრძელვადიანი კრედიტების ბაზარზე).

დანიშნულების მიხედვით კრედიტები იყოფა - საწარმოო კრედიტებად, საბრუნავი საშუალებების შესავსებად, საინვესტიციო კრედიტებად. ორი ბანკის მიერ გაცემული კრედიტების სტრუქტურაში (რომლებიც მონაწილეობენ კონცენტრაციაში), სჭარბობდა სამეურნეო სუბიექტებისათვის მიცემული კრედიტები (ბანკი A – 97%, ბანკი B - 92%).

ბანკების მუშაობის ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია მათ მარჟაზე. საშუალო საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად 1995 წლის ოქტომბერში A ბანკის მარჟა შეადგენდა 18 პროცენტს, B ბანკისა – 10%.

1995 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი კრედიტებზე A ბანკში შეადგენდა 30,9%, ხოლო B ბანკში 32%-ს მოკლევადიან კრედიტებზე და 34%-ს გრძელვადიან კრედიტებზე.

მაღალი საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის სუსტი განვითარების, ინფლაციის, საკრედიტო რისკების მაღალი დონის, წარმოების დაცემისა და კრედიტორების მცირე რიცხოვნების შედეგს.

2.3. სხვა საბანკო მომსახურებები

სხვა მომსახურებებს, რომლებსაც ახორციელებენ კომერციული ბანკები, მიეკუთვნება: ვალუტის გადაცვლა, საპენსიო და სხვა ფონდების მართვა, ვექსელების გაცემა, ძვირფასი ლითონის, საქონლის და სხვა შენახვა. ასეთ მომსახურებას ახორციელბდა ყველა ბანკი, მაგრამ საბანკო შემოსავლების სტრუქტურაში მათი წილი არა იყო მნიშვნელოვანი.

3. დაშვება ბანკებზე

კომერციული ბანკებისა და მათი ფილიალების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პირობები განისაზღვრება კანონით „კომერციული ბანკების შესახებ“. იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (არანაკლებ 7) რომელთაც მიიღეს ლიტვის ბანკის ნებართვა შეეძლოთ გამოსულიყვნენ ბანკის დამფუძნებლებად. უცხოურ ბანკებს შეეძლოთ გაეხსნათ მხოლოდ თავიანთი განყოფილებები და წარმომადგენლობები ან შეეძინათ აქციები ან აქციების საკონტროლო პაკეტი ადგილობრივი საბანკო დაწესებულებებისაგან.

4. დასკვნები

✓ ორი ბანკის დაგეგმილი შერწყმა განისაზღვრება, როგორც ჰორიზონტალური კონცენტრაცია. კონცენტრაციის ხარისხის ძირითადი მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ საბანკო სექტორში საკონკურენციო გარემო დარჩებოდა კეთილსასურველი.

✓ კონცენტრაცის შემდეგ ლიტვის გაერთიანებული ბანკი იქნებოდა რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი, მაგრამ არ დაიკავებდა დომინირებულ მდგომარეობას (ლიტვის გაერთიანებულ ბანკს ექნებოდა ბაზრის საერთო აქტივების არაუმეტეს - 20%, კრედიტების ბაზრის - 19%, დეპოზიტების ბაზრის - 22%). ლიტვის გაერთიანებულ ბანკს შეეძლო დაეფინანსებინა მსხვილი საინვესტიციო პროექტები.

✓ კონკურენციის მხარდაჭერისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფო სამმართველომ მიიღო გადაწყვეტილება გაეცა ნებართვა A და B ბანკების შერწყმისა და ლიტვის გაერთიანებული ბანკის შექმნის თაობაზე.

III.4. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შაქტი უკრაინის სახელმძღვანელოების ბაზარზე [59]

უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის კიევის საქალაქო განყოფილებამ მიიღოო შპს „ბიევექს LTD“-ის განცხადება შპს „იმა“-ს მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ, რომელიც შეიცავდა „მონოპოლიზმის შეზღუდვისა და სამეწარმეო საქმიანობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დაუშვებლობის შესახებ“ უკრაინის კანონის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ დარღვევებს. კერძოდ: „სასაქონლო ნიშნის, საფირმო დასახელების ან საქონლის მარკირების არამართზომიერი გამოყენება, ასევე ფორმის, შეფუთვის, გარე გაფორმების კოპირება, სხვა მეწარმის საქონლის პირდაპირი გამოსახვა, კოპირება, იმიტაცია და მისი სახელის თვითნებური გამოყენება“.

I. უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის კიევის საქალაქო ტერიტორიული განყოფილების ქმედება

საქმის განხილვის პროცესში დადგინდა:

1. შპს „იმა“-მ შპს „ბიევექს LTD“-საგან სარეალიზაციოდ მიიღო ინგლისური ენის შესწავლის ლინგაფონური კურსის პარტია, ინგლისური ენის შესწავლის „Rapid LB“ მეთოდის გამოყენებით, რომელიც შედგება:

- სახელმძღვანელოსაგან „მოკლე გზა ინგლისურისაკენ“;

- კასეტების (10 ცალი) შეფუთული ბლოკისაგან პულტით.

შემდეგში შპს „იმა“-მ დაიწყომი მსგავსებული საქონლის რეალიზაცია. კერძოდ, რეალიზაციას ახდენდა ისეთი

კომპლექტების,, რომელთაც ჰქონდათ გარეგნულად მსგავსი სახე, მაგრამ განსხვავდებოდა ორიგინალისაგან.

2. ორიგინალური ლინგაფონური კურსის „მოკლე გზა ინგლისურისაკენ“ ტექსტური ნაწილი შემუშავებულ იქნა შემოქმედებითი კოლექტივის მიერ „ბივექს LTD“-თან კონტრაქტის საფუძველზე; ამასთან, პროდუქციის რეალიზაციის პროცესში „Rapid LB“ სწავლების მეთოდის საავტორო უფლებების დაცვისათვის გაფორმებულ იქნა განაცხადი უკრაინის საპატენტო ორგანოში.

3. შპს „იმა“-ს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენდა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება და ორგანიზაცია; საკონსულტაციო, საგამომცემლო, სარეკლამო, სავაჭრო, სამეცნიერო-საწარმოო და სხვა საქმიანობის განხორციელება.

4. შპს „იმა“-ს საცალო ლოტების შემოწმებისას ხრეშატიკის ქუჩაზე დაფიქსირდა ვაჭრობაში კონტრაფაქტური ლინგაფონური კურსის კომპლექტის არსებობა შემდეგი დამახასიათებელი ნიშნებით, რომლებიც განსხვავდებოდა ორიგინალისაგან:

- წიგნს „მოკლე გზა ინგლისურისაკენ“ ჰქონდა თეთრი ზოლები გარეკანის გვერდებში;

- დახრილ თეთრ ზოლზე „კვალი“ არ იყო პარალელური;

- მე-6 და მე-10 გვერდი შესრულებულ იყო ერთ ფერში;

- მართვის პულტი შეფუთული იყო კასეტების ბლოკისაგან ცალკე და არ ჰქონდა დამახასიათებელი მარკირება;

- კასეტების ბლოკის ეტიკეტს ჰქონდა წიგნის გარეკანის ანალოგიური დამახასაითებელი ნიშნები.

5. შპს „იმა“ ლინგაფონური კურსის კონტრაფაქტურ კომპლექტებს იძენდა მესამე პირებისაგან „შავ ბაზარზე“.

ამგვარად შეიძლება მიჩნეულიყო დამტკიცებულად, რომ შპს „იმა“ ავრცელებდა ლინგაფონური კურსის კონტრაფატურ კომპლექტებს, რომლებიც წარმოადგენდნენ შპს „ბივექს LTD“-ს მიერ დამზადებულ ორიგინალური კომპლექტების იმიტაციას და ამით ახდენდნენ უკრაინის კანონის „მონოპოლიზმის შეზღუდვისა და სამეწარმეო საქმიანობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დაუშვებლობის შესახებ“ მე-7 მუხლის დარღვევას.

6. გამოძიებისათვის წარდგენილ თავის განმარტებებში „გამოძიების წინასწარი შედეგები“ შპს „იმა“-მ აღიარა დარღვევის არსებობის ფაქტი და გაატარა შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები თავის საქმიანობაში ანალოგიური შემთხვევების დაუშვებლობის მიმართულებით.

შპს „ბივექს LTD“ და შპს „იმა“-მ დადეს მორიგების ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულ იქნა საჯარიმო თანხის განსაზღვრისას.

II. გადაწყვეტილებათა მიღება

საქმის განხილვის შედეგებით მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

1. ჩაითვალა შპს „იმა“-ს ქმედება ლინგაფონური კურსის კონტრაფაქტური კომპლექტების გავრცელების მიმართულებით უკრაინის კანონის „მონოპოლიზმის შეზღუდვისა და სამეწარმეო საქმიანობაში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დაუშვებლობის შესახებ“ მე-7 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული დარღვევის შემცველად.

2. დამტკიცდა შპს „იმა“-სა და შპს „ბივექს LTD“-ს შორის მორიგების ხელშეკრულება.

3. დაევალა შპს „იმა“-ს შეწყვიტოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პრაქტიკა.

4. უკრაინის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით შპს „იმა“-ს დაეკისრა საჯარიმო სანქცია.

III.5. კონკურენციის შემზღუდავი ვერტიკალური შეთანხმება ხორვატიის მაგალითზე [67]

საქმის მოკლე შინაარსი

ხორვატიის კონკურენციის სააგენტომ 2010 წლის 7 ოქტომბერს დაასრულა გამოძიების პროცედურა კომპანია „Rivulus"-ის საჩივარზე კომპანია „M SAN GRUPA"-ს წინააღმდეგ და მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დაადგინა, რომ კომპანია „M SAN GRUPA"-მ (IT საქონლით ბითუმად მოვაჭრე) შეზღუდა შესაბამის ბაზარზე კონკურენცია, განახორციელა რა პირდაპირი ზეწოლა IT საქონლით საცალო მოვაჭრე კომპანია „Rivulus"-ზე იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს მიეღო მინიმალური ფასები ყველა საქონელზე რომლებზედაც იყო შეთანხმება ორ სამეურნეო სუბიექტს შორის.

ამგვარად, კომპანია „M SAN GRUPA"-მ დაარღვია რა ხორვატიის საკონკურენციო კანონი, შეზღუდა კომპანია „Rivulus"-ის უფლება თვითონ განესაზღვრა სარეალიზაციო საქონლის ფასები. თვით ამ შეთანხმების დადება, ასევე იყო აკრძალული ხორვატიის კონკურენციის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად.

საქმის ფაქტობრივი მხარე და მისი იურიდიული შინარსი

ხორვატიის კონკურენციის სააგენტოში კომპანია „Rivulus"-ის მიერ 2008 წლის 11 სექტემბერს შეტანილი საჩივრის საფუძველზე კომპანია „M SAN GRUPA"-ს წინააღმდეგ სააგენტომ დაიწყო აღნიშნული შეთანხმების შესაბამისობის შეფასება ხორვატიის კონკურენციის კანონთან მიმართებაში.

თვით საჩივარში კომპანია „Rivulus"-ი მიუთითებდა, რომ კომპანია „M SAN GRUPA"-მ,რომელიც წარმოადგენდა ხორვატიის რესპუბლიკაში IT საქონლის უმსხვილეს

დისტრიბუტორს და ბითუმად მოვაჭრეს, 2008 წლის დასაწყისში ელექტრონული წერილებით, ასევე ზეპირი განცხადებებით მოითხოვა „Rivulus“-გან პროდუქციის ზოგიერთ სახეობებზე საცალო ფასების ცვლილება და უპირველს ყოვლისა ნოუთბუქებზე. ამავე დროს, კომპანია „M SAN GRUPA“ დაემუქრა, რომ იმ შემთხვევაში თუ კომპანია „Rivulus“-ი ამას არ გააკეთებდა, საქმიანი თანამშრომლობა მასა და კომპანია „M SAN GRUPA“-ს შორის შეწყდებოდა.

სააგენტო ხელმძღვანელობდა „კონკურენციის შესახებ“ კანონით, „შესაბამისი საქონლის განსაზღვრის მეთოდის შესახებ“ ბრძანებულებით და „საერთო ადმინისტრაციული პროცედურის შესახებ“ კანონით.

აღნიშნული ნორმატიული აქტების გარდა, ხორვატიის კონკურენციის საგენტო ხელმძღვანელობდა კონკურენციის შესახებ ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის კრიტერიუმებითა და სტანდარტებით. კერძოდ: ევროკომისიის 2000 წლის 13 ოქტომბრის „სახელმძღვანელო ვერტიკალური შეზღუდვების შესახებ“ შეტყობინების წესით და ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულების 81-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოთი.

მხარეები

- კომპანია „Rivulus d.o.o“-ი რომელიც ეწეოდა IT საქონლით და მოწყობილობით საცალო ვაჭრობას და მის ტექნიკურ მომსახურებას.
- კომპანია „M SAN GRUPA d.d“, რომელიც ეწეოდა IT საქონლის წარმოებას, საბითუმო ვაჭრობას და ამ მოწყობილობის ტექნიკურ მომსახურებას.

შესაბამისი სასაქონლო ბაზარი

სტაციონარული კომპიუტერების, ჯიბის კომპიუტერების, ნოუთბუქების, კომპიუტერების პერიფერიული მოწყობი-

ლობების, კომპიუტერებისათვის ცალკეული კომპონენტების საბითუმო ბაზარი, ელექტრონული საყოფაცხოვრებო ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა.

გეოგრაფიული ბაზარი

ხორვატიის რესპუბლიკის ტერიტორია.

პროცედურული ასპექტები

ადმინისტრაციული პროცედურების მსვლელობის პერიოდში სააგენტომ მოაგროვა ინფორმაცია განსახილველი ბაზრის შესახებ მისი მონაწილეებისაგან. მხარეებმა ასევე წარმოადგინეს თავიანთი წერილობითი განცხადებები და შეხედულებები განსახილველ საქმესთან მიმართებაში. ჩაატარა რა ბაზრის მონაწილეთა ზეპირი გამოკითხვა, სააგენტომ დაასრულა გამოძიება და განახორციელა საქმის ყოველმხრივი ეკონომიკური და იურიდიული ანალიზი, რომელთა შედეგებს დაეფუძნა საქმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება.

კონკურენციის პირობების შეფასება

იმისათვის, რომ განესაზღვრა კომპანია „M SAN GRUPA“ ნამდვილად ახორციელებდა თუ არა ზეწოლას მომხმარებელთათვის მინიმალური სარეკომენდაციო ფასების შესახებ, ხორვატიის კონკურენციის სააგენტომ ჩაატარა წარდგენილი ელექტრონული საქმიანი მიმოწერის ანალიზი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ კომპანიებს შორის 2008 წლის თებერვალსა და მარტში.

ამ ელექტრონული მიმოწერის შინაარსი უკავშირდებოდა IT პროდუქციის ზოგიერთი სახეობის სარეალიზაციო ფასების კოორდინაციას. კომპანია „Rivulus“-მა გამოაქვეყნა თავის საიტზე ამ პროდუქციის სია იმ მიზნით, რომ იგი მიეყიდა საბოლოო მომხმარებლისათვის, ხოლო კომპანია „M SAN GRUPA“ არაერთგზის აფრთხილებდა ფირმა

„Rivulus“-ს განსაზღვრულ საქონელზე გასაყიდი ფასის ამაღლების აუცილებლობის თაობაზე სარეკომენდაციო დონემდე და გადასცემდა მას ამ საქონლის სიას სარეკომენდაციო ფასებითურთ.

ელექტრონული წერილების შინარსის ანალიზი, კერძოდ, 2008 წლის 29 თებერვლიდან დაწყებული ცხადად აჩვენებდა,რომ კომპანია „M SAN GRUPA“ ახორციელებდა პირდაპირ ზეწოლას კომპანია „Rivulus“-ზე, აშინებდა მას, რომ შეწყვეტდა შეთანხმებული ასორტიმენტით საქონლის შემდგომ მიწოდებას თუ კომპანია „Rivulus“-ი არ ასწევდა ფასებს გასაყიდ საქონელზე მინიმალურ სარეკომენდაციო დონეზე. ელექტრონული მიმოწერის შინაარსიდან ასევე ჩანს, რომ კომპანია „Rivulus“-მა ასწია ფასები სარეკომენდაციო დონემდე კომპანია „M SAN GRUPA“-ს მოთხოვნის დომენდე, რამაც შექმნა რაღაც შეთანხმება ორ ფირმას შორის. აღნიშნული ზეწოლა, რომელსაც ახორციელებდა კომპანია „M SAN GRUPA“ ირიბი ფორმით განმეორდა 2008 წლის 10 მარტის ელექტრონულ წერილში.

ამგვარად,კომპანია კომპანია „M SAN GRUPA“ აფერხებდა კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, ზღუდავდა რა კომპანია „Rivulus“-ის უფლებას განესაზღვრა სარეალიზაციო ფასი, რამაც გააუარესა მისი კონკურენტული პოზიციები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში განხილვის საგანს წარმოადგენდა პროდუქციის მიმწოდებელსა და მის მყიდველს შორის ორმხრივი ვერტიკალური შეთანხმების შედეგად წარმოქმნილი კონკურენციის შეზღუდვა, სააგენტომ გაანალიზა შესაძლო ჰორიზონტალური ზეგავლენა, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი ამ ბაზარზე.

აღნიშნული გამოძიების ჩატარების პროცესში განხილული ფაქტები ამტკიცებენ, რომ გამოვლენილი ვერტიკალური შეზღუდვები გამოიყენებოდა ასევე საცალო ქსელში საქონლის ფასების განსაზღვრული დონის მხარდაჭერის საერთო პოლიტიკის განხორციელების საშუალებად. კომპანია „M SAN GRUPA“-ს წარმომადგენლების განცხადებიდან ჩანდა, რომ „Rivulus“-ზე მიუღებელი ზეწოლა მიმართული

იყო არა მარტო იმაზე, რომ ეს ფირმა დაე
იმაზეც, რომ მომავალში ს
არ დაეშვათ მსგავსი მოქმედე
შემცირება IT პროდუქციაზე
შემდგომი შეთანხმებულ
დაკავშირებული იყო ფასე
შენარჩუნებასთან.

მოსალოდნელი იყო, რო
დონეზე მეტად შემცირებ
დონეზე შენარჩუნების ჩვ
გადახვევისათვის კომპანია
და ამიტომ, მომავალში ას

კომპანია „M SAN GRUP
რესპუბლიკაში IT პროდუქც
მოვაჭრემ მოახდინა ბაზარზე
თავისი პარტნიორების თ
ეწეოდნენ საცალო ვაჭრო
იქნა დაუწერელი შეთანხ
დისციპლინარული ზემოქმ
პროდუქციის შემდგომი მი

ამგვარი შეთანხმებული
GRUPA“-სა და მის კლიენ
განსაკუთრებულად სახიფათ
კონკურენციას ფირმებს შო
სფეროში, ხოლო ამგვა
ზარალდებიან მომხმარებელ
არიან გადაიხადონ ამ პრ
იქნებოდა თავისუფალი ფა

საჯათ, არამედ
ფირმებისაგან
მნიშვნელოვანი
რ დაეყენებინათ
, რომლებიც
ერული დონის

ს ფასების სა
ს და მათი
ეულებრივი
Rivulus“ იქნე
თი რამ არ გა
A“-მ როგორ

იით უმსხვილ
თავისი ძალის
ზოვნით, რო
ეას. მის მიერ
ებების დამრღ
დების ზომებ
ოდების შეწ
ქმედებები კო

ტებს შორის
ოს, რადგან ის
რის პროდუქ
კიაზე ფასების
ები, რომლები
დუქციაში მ
წარმოქმნის

ც ხორვატიის
სმა საბითუმო
დემონსტრირება
ლებიც ასევე
ებულ
ევის მიმართ
და დაემუქრა
პანია „M SAN
ინი აღკვეთაენ
თა შედეგად
ტი, ვიდრე ეს
შემთხვევაში.

შედეგი

დეტალური ეკონომიკურ
შედეგად ხორვატიის კონკურ
7 ოქტომბრის გადაწყვე
კომპანია „M SAN GRUPA“
შესაბამის ბაზარზე. კომპ

ენციის სააგენ
ილებით და
-მ შეზღუდა
ანია „Rivulus“

ელი ანალიზის
ტომ 2010 წლის
ადგინა, რომ
კონკურენცია
-ის უფლების

შეზღუდვით განესაზღვრა ფასები მის მიერ რეალიზებად პროდუქციაზე, რაც წარმოადგენდა ორ ფირმას შორის შეთანხმების საგანს. ასეთი შეთანხმების დადება იკრძალება, როგორც ეს განსაზღვრულია ხორვატიის კონკურენციის კანონის მე-9 მუხლით.

სანქციები

ხორვატიის კონკურენციის სააგენტომ შესაბამის სასამართლოში შეიტანა განცხადება რომ დაწყებულიყო არაარსებითი ხასიათის სამართალდარღვევის გამოძიება, რომელსაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონდა კომპანია „M SAN GRUPA“-ს მხრიდან და დამდგარიყო ფირმის ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.

III.6. ანტიკონკურენციული შეთანხმება სომხეთის ავიაბილეთების ბაზარზე [63]

1. რეზიუმე

სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის კომისიამ ჩაატარა კვლევა სამგზავრო ავიაგადაზიდვების სფეროში. კერძოდ, ,,ერევანი-სტამბოლი-ერევანი" მიმართულებით სამგზავრო ავიაბილეთებით მომსახურების სასაქონლო ბაზარზე. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ავიაბილეთების გამყიდველ კომპანიებს ჰქონდათ ერთმანეთს შორის ანტიკონკურენციული შეთანხმება.

2. ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტი

კვლევის მიმდინარეობისას კომისიამ გამოითხოვა ინფორმაცია ამ ბაზარზე მოქმედი მეურნე სუბიექტებისაგან. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზისას აღმოჩნდა, რომ 2005 წლის 1 თებერვალს კომპანიებს „კულე" და „ბაგრატურ"-ს შორის ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა დამადასტურებელ დებულებას სომხეთის რესპუბლიკის „ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ" კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე. ხელმოწერილი დოკუმენტი მოწმობდა ბაზრის განაწილებას რეალიზაციის მოცულობების და ასევე მომწოდებლების ჯგუფების მიხედვით. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ანტიკონკურენციულ შეთანხმებად ითვლება შეთანხმებები მეურნე სუბიექტებს შორის ან შეთანხმებული ქმედებები, რომლებსაც შეუძლიათ კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა რეალიზაციის მოცულობის მომხმარებელთა ან მიმწოდებელთა ჯგუფების მიხედვით ბაზრის განაწილებით და სხვა.

3. პროცედურული ასპექტები

კომისია ახორციელებდა კვლევას ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გამოთხოვილი იყო შემდეგი სუბიექტებისაგან:

1) სახელმწიფო მართვის ორგანო (სამოქალაქო ავიაციის სახელმწიფო სამმართველო), რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია სამგზავრო გადაზიდვების შესახებ „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“ მიმართულებით, რეისებისა და მგზავრების რაოდენობის შესახებ 2004 წელს, სადაც მოქმედებდა ორი კომპანია „არმავია“ და „ფლაი ეიჩ“.

2) ავიაკომპანია „არმავიამ“ რომელიც ახდენდა სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზაციას და რეალიზაციას სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“ მიმართულებით, მიაწოდა კომისიას ინფორმაცია ამ მიმართულებით სამგზავრო გადაზიდვებისა და რეისებისა და მგზავრების რაოდენობის შესახებ 2004 წლისათვის.

3) კომპანიებმა „ბაგრატურ“-მა და „კულე“-მ კომისიის მოთხოვნით წარადგინა ინფორმაცია „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“ რეისების შესახებ და ასევე ყველა შეთანხმებების ასლები, რომლებიც იყო ხელმოწერილი მათსა და ტურისტულ კომპანიებს შორის.

4. კონკურენციული სიტუაციის ანალიზი

ანტკონკურენციული შეთანხმება.

ბაზრის სტრუქტურის შეფასება

ა) ბაზრის განსაზღვრა, სასაქონლო და გეოგრაფიული საზღვრები.

სასაქონლო საზღვრებად კომისიამ ჩათვალა „ერევან-სტამბოლი-ერევანი“ მიმართულებით ავიაბილეთების გაყიდვის მომსახურება.

ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებად კომისიამ დაადგინა სომხეთის რესპუბლიკის მთელი ტერიტორია.

ბ) ბაზრის წილი, წილის ცვლილება ბაზარზე

სასაქონლო ბაზარზე „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“ მიმართულებით ავიაბილეთების გაყიდვის მომსახურებას ახორციელებდა ერთი სუბიექტი – კომპანია „ბაგრატურ“.

სასაქონლო ბაზარზე სამგზავრო გადაზიდვები (აეროპორტები) „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“ მიმართულებით მოქმედებდა ორი სუბიექტი – კომპანიები „არმავია“ და „ფლაი ეირ“. ამასთან, სომხეთის რესპუბლიკის მხრიდან ამ მიმართულებით მგზავრების გადაყვანის ორგანიზაციას და რეალიზებას კომპანია „არმავია“ ახორციელებდა როგორც დამოუკიდებლად, ისე კომპანია „ბაგრატურის“ მეშვეობით. თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან ასეთ სამგზავრო გადაზიდვებს ახორციელებდა ავიოკომპანია „ფლაი ეირი“, რომელიც ავიარეისების ყველა ბილეთს გამონაკლისის გარეშე რეალიზებას უკეთებდა კომპანია „კულე“-ს შეკვეთით.

გამოკვლევის მიზნით, კომისიამ მიმართა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ სამოქალაქო ავიაციის მთავარ სამმართველოს და კომპანია „კულე“-ს ინფორმაციის წარმოსადგენად.

კომპანია „კულე“-ს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ 2005 წლის 1 თებერვალს კომპანიებს „კულე“-სა და „ბაგრატურ“-ს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმების დანართი, რომელიც შეიცავდა დებულებას სომხეთის კონკურენციის კანონის შესაძლო დარღვევის შესაძლებლობაზე. ამ მიზნით, გამოკვლევის განხორციელებისათვის კომისიის მიერ დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული გამოძიება. დებულების მონაცემები ამაგრებდნენ იმ ფაქტს, რომ კომპანია „ბაგრატური“ და კომპანია „კულე“ შეთანხმდნენ იმის

თაობაზე, რომ კომპანია „კულე“ დროებით (4 თებერვლიდან 16 მაისამდე) შეაჩერებდა „სტამბოლი-ერევანი-სტამბოლის“ მიმართულებით ავიარეისების შეკვეთას, კომპანია „ფლეი ეირი“-ს მხრიდან. შეთანხმების მეორე დანართის თანახმად, კომპანია „ბაგრატური“ იღებდა ვალდებულებას გადაეხადა 50 აშშ დოლარი კომპანია „ტაუერ ტრაველი“-სათვის (რომლის წარმომადგენლად სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ითვლებოდა კომპანია „კულე“) კომპანია „არმავიას“ ყოველ გაყიდულ ავიაბილეთზე. საკითხის შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მიმართა კომპანიებს „არმავიას“ და „კულეს“ სამგზავრო გადაზიდვების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნით, ასევე, მოთხოვილ იქნა ინფორმაცია ამ სფეროში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების თაობაზე.

შესაბამისად, „არმავია“-სა და „კულე“-ს წარედგინა მოთხოვნა სამგზავრო გადაზიდვების შესახებ „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“ მიმართულებით და ასევე ამ სფეროში მოქმედ სხვა სამეურნეო სუბიექტებზე ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

„არმავიასა“ და „ფლაი ეირი“-ს მხრიდან კომისიაში წარდგენილ იქნა ინფორმაცია გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის შესახებ „ერევანი-სტამბოლი-ერევანის“ მიმართულებით 2004-2005 წლებში თვეების მიხედვით.

მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ ბაზარი ფაქტობრივად გაყოფილი იყო, როგორც რეალიზაციის მოცულობის მიხედვით, ისე მიმწოდებელთა ჯგუფების მიხედვით. მხარებს შორის შეთანხმების და შესაბამისი მოქმედებების განხორციელების შედეგად შეიზღუდა როგორც სამგზავრო გადაზიდვები „ერევანი-სტამბოლი-ერევანი“-ს მიმართულებით ისე ავიაბილეთების რეალიზაციის მოცულობა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია „კულე“-ს შეკვეთით (შეთანხმების მხარეები) სამგზავრო გადაზიდვები ამ მიმართულებით შეადგენს საერთო გადაზიდვების 55 პროცენტს.

ფაქტობრივად, „ბაგრატურ“-სა და „კულე“-ს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი წარმოადგენს ანტიკონკურენციულ შეთანხმებას, რომლის საგანიც არის ბაზრის გაყოფა რეალიზაციის მოცულობისა და ასევე მომწოდებელთა ჯგუფების მიხედვით.

5. შედეგი

სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის დაცვის კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება რომლის თანახმად შეთანხმება „კულე“-სა და „ბაგრატურ“-ს შორის ჩაითვალა ანტიკონკურენციულად და დაევალა ორივე კომპანიას მისი აღმოფხვრა. მათ ასევე დაეკისრათ ამ მიმართულებით ავიაბილეთების გაყიდვის შედეგად მიღებული მოგების 1 პროცენტის მოცულობით ჯარიმა.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევმა კომპანიებმა სომხეთის სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადეს დაკისრებული ჯარიმა და შეასრულეს კომისიის გადაწყვეტილების ყველა პუნქტი.

III.7. შეთანხმებული ქმედება სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის (რუსეთის ფედერაცია) საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარზე [63]

I. საქმის აღძრის საფუძველი

1999 წლის აპრილის ბოლოს სანქტ-პეტერბურგში მოხდა ყველა სახის საწვავზე საცალო ფასების მკვეთრი (2-ჯერ და მეტად) ზრდა.

მიზეზების გამოკვლევის მიზნით, რუსეთის ფედერაციის ანტიმონოპოლიური სამსახურის სანქტ-პეტერბურგის ტერიტორიული სამმართველოს მიერ მოხდა ამ ბაზარზე ოპერატიული კონტროლის ორგანიზება.

წარდგენილი მასალების ანალიზის შედეგად ტერიტორიული სამმართველოს მიერ აღძრულ იქნა საქმე - „კონკურენციის დაცვისა და სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის შესახებ" რუსეთის ფედრაციის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ნიშნით, რაც ითვალისწინებდა ისეთი კონკურენტი სამეურნეო სუბიექტების შეთანხმებულ ქმედებას, რომელთა ერთობლივი წილი საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარზე შეადგენდა 35%-ზე მეტს.

ამ საქმის თავისებურება გამოიხატებოდა იმაში, რომ საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარზე მოქმედი კონკურენტი სამეურნეო სუბიექტების გარდა ჩართულები იყვნენ საავტომობილო საწვავის საბითუმო გაყიდვის მონაწილენი, რომლებიც ქმნიდნენ პირთა ჯგუფს.

პირთა ჯგუფის კვალიფიკაცია ხორციელდებოდა კონკურენციის შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად.

II. ანალიტიკური სტადია

1995-1996 წლებამდე საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარი ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით სანქტ-პეტერბურგში წარმოადგენდა მაღალკონცენტრირებულ ბაზარს მონოპოლიზელი სტრუქტურით, სადაც დომინირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა „სერგუთნეფტეგაზის“ ნავთობმომპოვებელი კომპანიის შვილობილი საწარმო, რომლის საბაზრო წილი საწვავის სხვადასხვა სახეების საცალო რეალიზაციის ბაზარზე შეადგენდა 50-დან 75 პროცენტამდე. 1996-1997 წლებში საავტომობილო საწვავის ბაზარი ვითარდებოდა საკმაოდ დინამიურად. ამ ბაზარზე ფუნქციონირებდა უკვე 90-მდე გამყიდველი. დემონოპოლიზაციის პროცესები შეიძლება აიხსნას თვით ბაზრის მონაწილეთა მაღალი აქტიურობით, რომელთაც იზიდავდა საწვავზე ფასების შედარებით მაღალი დონე, მუდმივად მაღალი მოთხოვნა მასზე ისეთ მეგაპოლისში როგორიც სანქტ-პეტერბურგი იყო, და ასევე ანტიმონოპოლიური ორგანოების მოქმედებით, რომლებიც აღკვეთავდნენ სახელისუფლებო ორგანოების მონოპოლიურ საქმიანობას მოცემულ ბაზარზე ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრისა და ამ ბაზარზე მრავალი დამოუკიდებელი კომპანიის მიზიდვისათვის.

საქმის არბიტრასთან დაკავშირებით 1999 წელს ტერიტორიული სამმართველოს მიერ ჩატარდა საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარზე კონკურენციული გარემოს მდგომარეობის შეფასება (ანალიზი), შესწავლილ იქნა მისი ფუნქციონირების პირობები იმ სამეურნეო სუბიექტების მიმართ, რომელთა წინააღმდეგაც იყო აღძრული საქმე; ჩატარდა შედარებითი ანალიზი საწვავის რეალიზაციისა და ნარჩენების მოცულობის ფასების სფეროში და საქმიანობის სხვა მაჩვენებლების მიხედვით განსაზღვრულ პერიოდში (1999 წლის აპრილი-მაისი) და განსაზღვრულ ტერიტორიაზე (სანქტ-პეტერბურგი).

ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა შემდეგი ფაქტები და გაკეთდა დასკვნები:

1. განსახილველი მეურნე სუბიექტები ახორციელებდნენ საავტომობილო საწვავის საცალო რეალიზაციას ერთი გეოგრაფიული ბაზრის საზღვრებში და წარმოადგენდნენ კონკურენტ სამეურნეო სუბიექტებს.

2. შეთანხმებულ ქმედებაში „საეჭვო“ სამეურნეო სუბიექტების ერთობლივი წილი სანქტ-პეტერბურგის საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზარზე 1999 წლის 1 მაისის მდგომარეობით შეადგენდა 35%-ზე მეტს.

3. საავტომობილო საწვავის ბაზარზე ფასების მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების მეშვეობით, დადგინდა კომპანიებს შორის ირიბი კონტაქტების არსებობა, რომელიც ხორციელდებოდა კომერციული ორგანიზაციების მიერ ყველა დასახელებულ კომპანიასთან შეთანხმების დადებისა და თავის ავტოგასამართ სადგურებზე საცალო ფასების დადგენისას კონკურენტების ფასების გათვალისწინების პრინციპის გამოყენებით.

4. შესაბამის სასაქონლო ბაზარზე პარალელური ქცევის (ფაქტობრივი მოქმედების) არსებობა, რომელიც პასუხობდა შემდეგ მოთხოვნებს:

— მოქმედება სრულდებოდა ერთ სასაქონლო ბაზარზე;

— მოქმედებები განხორციელება თანხვედრი იყო დროში;

— მოქმედებებს ჰქონდათ ერთნაირი მიმართულება კანონით აკრძალულ შედეგზე, ე.ი. ფასების ერთდროულ და სინქრონულ ამაღლებაზე.

ამასთან, განსახილველი სამეურნეო სუბიექტების ქცევის პარალელიზმი გამოიხატებოდა შემდეგში:

— საცალო ფასების ზრდა ერთი საფასო დიაპაზონიდან მეორეში (საშუალოდ 2,5-ჯერ) 1999 წლის 27 აპრილიდან 30 ივლისამდე პერიოდში;

– 1999 წლის 30 აპრილიდან 28 მაისის ჩათვლით განსაზღვრულ (ამაღლებულ) დონეზე საცალო ფასების მხარდაჭერა;

– ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების არსებობა ფასების ამაღლების მომენტისათვის ან მათი მხარდაჭერის პერიოდში;

– საცალო ფასების შემცირება 1999 წლის 27 მაისიდან (ამასთან, სანქტ-პეტერბურგში საავტომობილო საწვავზე საშუალო საცალო ფასების დონემ დაიწყო მიახლოება რუსეთში საშუალო საცალო ფასების დონესთან, როგორც ეს იყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევამდე).

5. საბაზრო გარემოზე მოქმედი ერთგვაროვანი ან ერთი მიმართულებით მოქმედი ფაქტორების არ არსებობა, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვიათ ფასების ერთდროული და სინქრონული ამაღლება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემდგომში მათი სინქრონული შემცირება.

6. ობიექტური მიზეზების არ არსებობა განსახილველ პერიოდში ნავთობპროდუქტების ბაზრის მონაწილეთა პარალელური საფასო ქცევისათვის (ნედლ ნავთობსა და ასევე ნავთობპროდუქტების საბითუმო ბაზარზე ფასების ადექვატური ზრდის მტკიცებულებათა არ არსებობა; იმ ფაქტების არ არსებობა რომელიც დაამტკიცებდა ,,საეჭვო" კომპანიების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტების ნამდვილობას საავტომობილო საწვავის ბაზარზე დეფიციტის არსებობის შესახებ, მოთხოვნის სეზონური ზრდის შესახებ, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ).

7. საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვის ბაზრის მონაწილეთა მითითებულმა ქმედებებმა შეზღუდა ფასების დადგენისას შეჯიბრებითობა, მაშინ როცა თითოეულის დამოუკიდებელი მოქმედება ეფექტურად ზღუდავდა მათ შესაძლებლობას ცალმხრივად მოეხდინათ ზემოქმედება შესაბამის სასაქონლო ბაზარზე

სასაქონლო ბრუნვის საერთო პირობების დადგენისას; შედეგად მიღებულ იქნა საფასო კონკურენციის არ არსებობა და მომხმარებელთა ინტერესების შელახვა ფასების ამაღლების გამო.

III. მიღებული გადაწყვეტილება

სანქტ-პეტერბურგის ანტიმონოპოლიური სამმართველოს შესაბამისი კომისიის 1999 წლის 21 იელისის გადაწყვეტილებით ყველა ის სამეურნეო სუბიექტი, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმეში ჩაითვალნენ კონკურენციის შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დამრღვევებად, რაც გამოიხატებოდა მათს შეთანხმებულ ქმედებებში, რომელიც თავის მხრივ მიმართული იყო სააუტომობილო საწვავზე საცალო ფასების ზრდაზე 1999 წლის 27-დან 30 აპრილამდე და მათ მხარდაჭერაზე 1999 წლის 28 მაისამდე, რასაც შედეგად მოჰყვა კონკურენციის შეზღუდვა.

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ იქნა მიწერილობები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მეურნე სუბიექტების მიერ მიღებული მოგების ფედერალურ ბიუჯეტის შემოსავლებში ჩარიცხვის თაობაზე. მოგების საერთო მოცულობა, რომელიც ექვემდებარებოდა ბიუჯეტში ჩარიცხვას შეადგენდა 9,8 მილიონ რუბლს.

IV. საქმის განხილვის სასამართლო სტადია

ნავთობპროდუქტების ბაზრის მონაწილეებმა სანქტ-პეტერბურგის ანტიმონოპოლიური სამმართველოს გადაწყვეტილება და მიწერილობა გაასაჩივრეს სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოში.

1. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მათი სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის შესახებ;

2. მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციაში, რომელმაც შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და არასწორად ჩათვალა ანტიმონოპოლიური ორგანოს გადაწყვეტილება და მიწერილობა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ღებულობდა რა გადაწყვეტილებას სამეურნეო სუბიექტების სასარგებლოდ, ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ ცნება „შეთანხმება“ და „შეთანხმებული ქმედება“ კონკურენციის შესახებ კანონში გამოიყენებოდა სინონიმებად, რადგან აღნიშნავდნენ რამდენიმე სამეურნეო სუბიექტის წინასწარ განზრახულ ქმედებებს, რომელიც ეყრდნობოდა წინასწარ მიღწეულ შეთანხმებას. ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლოს მიერ გათვალისწინებულ იქნა, რომ ევროპული სასამართლო პრაქტიკა არ თვლის პარალელურ ქმედებებს თავისთავად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შემადგენლად. გარდა ამისა, წინასწარ შეცნობილი პარალელური ქცევა განსაზღვრის მიხედვით არ წარმოადგენს არაფორმალურ შეთანხმებას. კომპანიას უფლება აქვს გონივრულად მიესადაგოს საბაზრო პირობებსა და კონკურენტების ქცევას და იმავე დროს არ დაარღვიოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

3. სანქტ-პეტერბურგის ანტიმონოპოლიურმა სამმართველომ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციაში, რომელმაც გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ტერიტორიული ანტიმონოპოლიური ორგანოს სასარგებლოდ და საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება ხელახალი განხილვისათვის გადასცა პირველი ინსტანციის სასამართლოს; უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლომ ტერმინი

„შეთანხმება“ განსაზღვრა როგორც სამეურნეო სუბიექტებს შორის მიღწეული შეთანხმება და სამეწარმეო საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის კოორდინაცია, რომლის შედეგსაც წარმოადგენს (შეიძლება წარმოადგენდეს) კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა შესაბამის სასაქონლო ბაზარზე ან მომხმარებელთა უფლებების შეზღუდვა, ხოლო ტერმინი „შეთანხმებული ქმედება“ განმარტა, როგორც სამეურნეო სუბიექტების კოორდინირებული ქმედებები, რომლებიც განზრახ თავის ქმედებას ხდიან დამოკიდებულს ბაზრის სხვა მონაწილეთა ქცევაზე, რომელთა შედეგს ასევე წარმოადგენს (შეიძლება წარმოადგენდეს) შესაბამის სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. განსაზღვრა რა ეს ცნებები, სასამართლომ გააკეთა დასკვნა, რომ ცნებები „შეთანხმება“ და „შეთანხმებული ქმედება“ არ წარმოადგენენ ერთ და იგივეს და გამოხატავენ შეთანხმების სხვადასხვა ფორმებს.

4. საარბიტრაჟო სასამართლომ სამ ინსტანციაში დაამტკიცა ანტიმონოპოლიური ორგანოს მიწერილობის დასაბუთებულობა და კანონიერება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიღებული მოგების ფედერალურ ბიუჯეტში ჩარიცხვის შესახებ და მეურნე სუბიექტები დაავალდებულა ტერიტორიული სამმართველოს მიწერილობა შეესრულებინათ სრული მოცულობით.

მოპასუხეები თავიანთ უფლებებს იცავდნენ სტრასბურგის სასამართლოშიც, მაგრამ მათი მოთხოვნები არ იქნა დაკმაყოფილებული.

საბოლოოდ, რუსეთის ფედერაციის ანტიმონოპოლიური სამსახურის სანქტ-პეტერბურგის ტერიტორიული ორგანოს ყველა მიწერილობა აღსრულებულ იქნა.

III.8. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა „Master Card“-ის ანაზღაურების პლასტიკური სისტემის გამოყენებისას აზერბაიჯანში [66]

1. შესავალი

2007 წლის მაისში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს განცხადებით მიმართა რესპუბლიკის მოქალაქემ იმასთან დაკავშირებით, რომ სუპერმარკეტ „Company“-ში სასურსათო საქონლის შეძენისას მოლარემ უარი თქვა„Bank Standart“-ის მიერ გაცემული „Master Card“-ის სისტემის პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორების განხოციელებაზე და მოსთხოვა გადახდა განეხორციელებინა სხვა ბანკების მიერ ემიტირებული ანგარიშსწორების ბარათებით ან ნაღდი ფულით.

2. სამართლებრივი საფუძვლები

„ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა სუპერმარკეტ „Company“-გან გამოითხოვა აუცილებელი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი. ამასთან დაკავშირებით ანტიმონოპოლიური სამსახურის მხრიდან აღძრულ იქნა საქმე აზერბაიჯანის „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევებზე საქმეთა განხილვის წესების“ შესაბამისად.

სუპერმარკეტ „Company“-ს გადაეცა მიწერილობა აუცილებელი მონაცემებისა და შესაბამისი ინფორმაციის ანტიმონოპოლიურ სამსახურში მოკლე დროში წარდგენის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მიწერილობით დადგენილ ვადაში იქნა მიწოდებული.

„ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების არამართლზომიერ ქმედებად ითვლება ბარიერების შექმნა საფინანსო ბაზარზე შესასვლელად (ან ბაზრიდან გამოსასვლელად) სხვა საფინანსო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიონ კონკურენციის შეზღუდვა“.

ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს შორის, სამეურნეო სუბიექტებს შორის ან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს შორის არამართლზომიერ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ შეთანხმებებს, რომელიც შეიძლება გახდეს კონკურენციის შეზღუდვის მიზეზი განეკუთვნება გამონაკლისი შეთანხმებები, რომლებიც განაპირობებენ რაიმე საქონლის შეძენას მხოლოდ მოცემულ გამყიდველთან, მაგრამ არა მის კონკურენტებთან“.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღძრულ იქნა საქმე „ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის დარღვევებზე.

3. ბაზრის განსაზღვრა

ქ.ბაქოში სუპერმარკეტების რიცხვი, სადაც დგას პლასტიკური ბარათებით გადახდის „Pos-terminal“ აღემატება 6 ათას ერთეულს.

ქვეყნის ტერიტორიაზე გამოდის პლასტიკური ბარათები, რომელიც მოიცავს შემდეგ გადახდის სისტემებს: „Master Card“, „VISA“, „American Express“, ეს ბარათები მზადდება ორი ლიცენზირებული სამეურნეო სუბიექტის მიერ: „Azeri Card“ და „Milli Card“.

პლასტიკური ბარათების ემისია ხორციელდება ბანკების მიერ კლიენტებთან გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე.

აზერბაიჯანის საბაკო სისტემაში მოქმედებდა 45 ბანკი. მათგან ყველაზე მსხვილის საბაზრო წილი შეადგენდა 19%-ს. ამასთან, 9 ბანკს ჰქონდა საბაზრო წილი 4-7%-ის დონეზე, ხოლო დანარჩენ 35 ბანკს 0,3-დან 2%-მდე.

აღნიშნული საქონლის თავისებურების გათვალისწინებით ბაზრის საზღვრები შეიძლება დადგენილ იქნას აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის მასშტაბით.

4. საქმის განხილვა

საქმის განხილვისას იყო დაშვება, რომ სავაჭრო საწარმო შევიდა გარიგებაში რამდენიმე დაინტერესებულ ბანკთან და ამ მიზეზით უარი ეთქვა კლიენტს გადახდის განხორციელებაზე სხვა ბანკის პლასტიკური საგადასახადო ბარათით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ანტიმონოპოლიურ სამსახურში მიწვეულ იქნა სუპერმარკეტ „Company"-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომელიც არ დაეთანხმა ანტიმონოპოლიური სამსახურის მოსაზრებას და პლასტიკური ბარათის მიღებაზე უარის თქმა ახსნა „Pos-terminal"-ის და კონკრეტული მოლარის შეცდომით. თუმცა, ინფორმაციის ადგილზე დაზუსტებისას გამოვლინდა რომ სავაჭრო საწარმოს „Pos-terminal"-ი იმყოფებოდა მუშა მდგომარეობაში და ამიტომ არ არსებობდა ობიექტური მიზეზი „Bank Standart"-ის პლასტიკური ბარათის მიღებაზე უარის თქმისა. ამასთან, მოლარეები ყველა ცელაში უარს ამბობდნენ სხვა ბანკების პლასტიკური ბარათების მიღებაზე და გადახდისათვის ღებულობდნენ მხოლოდ 4 ბანკის პლასტიკურ ბარათებს. ასევე დადგენილ იქნა, რომ სხვა ბანკების პლასტიკური ბარათის მიღებაზე უარის თქმას ადგილი ჰქონდა მხოლოდ სუპერმარკეტ „Company"-ს ერთ მაღაზიაში, ხოლო სუპერმარკეტ „Company"-ს სხვა მაღაზიებში ღებულობდნენ გადახდისათვის ყველა წარდგენილ პლასტიკურ ბარათს.

5. გადაწყვეტილება

აზერბაიჯანის ანტიმონოპოლიური სამსახური მივიდა დასკვნამდე, რომ სუპერმარკეტ „Company“-ს ქმედებაში ადგილი ჰქონდა გარიგებას 4 ბანკთან. ამიტომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გასცა მიწერილობა დარღვევის აღმოფხვრისათვის.

სუპერმარკეტ „Company“-ს წარმომადგენლები დაეთანხმნენ და შეასრულეს ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილება.

III.9. დარღვევები ალბანეთის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე [64]

სავალდებულო დაზღვევის ერთ და იგივე დონეზე მოსახლეობას მომსახურებას უწევს 8 საწარმო, რომელთაგან 7 კერძოა, ხოლო 1 სახელმწიფო.

ყველა ეს კომპანია სთავაზობდა/ყიდიდა თავის მომსახურებას ფილიალების, კერძო პირების ან უფლებამოსილი აგენტების მეშვეობით, ხოლო ამ საწარმოებიდან 2 თავის სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობდა/ყიდიდა განყოფილების ან ფიზიკური და იურიდიული პირის-აგენტის მეშვეობით, რომლებიც მოქმედებდნენ გასაღების ერთ და იგივე დონეზე.

ალბანეთის ანტიმონოპოლიურმა უწყებამ სახელმწიფო სადაზღვევო კომისიის მიერ დასმული საკითხის საპასუხოდ, რომელიც დაკავშირებული იყო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის კომპანიის საქმიანობის შედეგად სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე წარმოქმნილ ანტიკონკურენციულ სიტუაციასთან, დაიწყო გამოძიების პროცედურა. გამოძიება მიმდინარეობდა 3 სადაზღვევო პაკეტთან მიმართებით: „გრინ კარტა", „სატრანსპორტო პოლისი" და „მესამე პირთა მიმართ სადაზღვევო პასუხისმგებლობა". არსებობდა ეჭვი, რომ ამ ბაზარზე კონკურენციას აფერხებდა სადაზღვევო კომპანიების ჰორიზონტალური შეთანხმება ვერტიკალური ეფექტით. 2007 წლის მაისისათვის გამოძიება დასრულებული იყო მხოლოდ სატრანსპორტო პოლისთან მიმართებით.

I. ბაზრის სტრუქტურა

სავალდებულო დაზღვევის ბაზარი არსებობდა ოლიგოპოლიის სახით და წარმოდგენილი იყო მასზე მოქმედი 8 კომპანიით, რომლებიც სთავაზობდნენ ერთ და იგივე სადაზღვევო პროდუქტს – სატრანსპორტო პოლისს. ამ კომპანიათა ჩამონათვალში შედიოდნენ

„სიგალი“, „სიგმა“, „ატლანტიკი“, „ინტერსიგი“, „ინტერალბანია“, „ალფსიგ“, „ევროსიგ“ და „ინსიგ“. ეს იყო მონოპოლიზებული ბაზარი, სადაც კონკურენცია გამორიცხული იყო უპირატესად:

- სადაზღვევო კომპანიათა ქცევის შედეგად, კერძოდ, მათი საქმიანობის კოორდინაციის მეშვეობით, რომელიც ეყრდნობოდა 2005 წლის 5 აპრილს დადებულ წერილობით შეთანხმებას.

- სამართლებრივი აქტებისა და შიდა კანონმდებლობის მოქმედებათა შედეგად.

ალბანეთის კონკურენციის კომისიამ 2005 წლის 23 დეკემბრის №28 გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ეს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო, რადგან თავისი შინაარსით წარმოადგენდა აკრძალულ შეთანხმებას, რომლის მიზანიც და შედეგიც კონკურენციის შეფერხება იყო. ეს გადაწყვეტილება არ იქნა შესრულებული იმ მიზეზით, რომ ალბანეთის ანტიმონოპოლიურმა უწყებამ ხელახლა გახსნა ამ საქმის გამოძიების პროცედურა.

II. ბაზრის ანალიზი

ალბანეთის ფინანსთა სამინისტროს 2002 წლის 7 მაისის №8481/9 ბრძანების შესაბამისად, სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების გამოშვება, გაყიდვა და ადმინისტრირება ხორციელდებოდა სადაზღვევო კომპანიებისა და სადაზღვევო აგენტების მიერ, რომელთაც მიღებული ჰქონდათ ლიცენზია სახელმწიფო სადაზღვევო კომისიიდან. ამ ბრძანების მოქმედება შეჩერებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის 6 მაისის №14 ბრძანების „ალბანეთის სადაზღვევო ბიუროს (AIB) კომპანიის სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების გაყიდვისა და მენეჯმენტის შესახებ“ ძალაში შესვლით.

სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების გაყიდვა ხორციელდებოდა მხოლოდ ალბანეთის დისტრიბუტორთა კავშირის ოფიციალურად უფლებამოსილი აგენტის მიერ. AIB კომპანია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად გამოდიოდა რვა სხვა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლად. 2005 წლის 5 აპრილს მათ შორის გაფორმდა შეთანხმება. ამ შეთანხმებას პრაქტიკულად ახორციელებდა ალბანეთის სადაზღვევო ბიურო ყველა სადაზღვევო კომპანიის სახელით. მან 2005 წლის 24 მაისს მოაწერა ხელი შეთანხმებას ალბანეთის დისტრიბუტორთა კავშირთან, რომელიც მას აძლევდა სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებას (ალბანეთის დისტრიბუტორთა კავშირი თავის მხრივ ღებულობდა საკომისიოს მოგების 9,5 პროცენტის მოცულობით). ალბანეთის სადაზღვევო ბიურო ასევე უზრუნველყოფდა ალბანეთის დისტრიბუტორთა კავშირს სატრასპორტო სადაზღვევო პოლისებით.

III. რატომ წარმოადგენდა აღნიშნული შეთანხმება აკრძალულს?

1. ყველა სადაზღვევო კომპანიას შორის 2005 წლის 5 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება აკრძალული იყო ალბანეთის 2003 წლის 28 ივლისის (№9121) „კონკურენციის დაცვის კანონის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ განყოფილების შესაბამისად. ამ შეთანხმებით ზემოთხსენებულმა საწარმოებმა დაადგინეს ფიქსირებული ფასები და ერთმანეთს შორის გაიყვეს ბაზარი.

2. სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების მიწოდება/გაყიდვა ხორციელდებოდა მხოლოდ ალბანეთის დისტრიბუტორთა ოფიციალურად უფლებამოსილი კავშირის აგენტების მიერ.

3. ყველა სადაზღვევო კომპანიის სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისს ჰქონდა ერთნაირი ფორმა და შინაარსი, ასევე შეიცავდა ერთი და იმავე კომპანიების,

მათ შორის, ალბანეთის სადაზღვევო ბიუროს (AIB) ლოგოტიპებს. მომხმარებელს არ ჰქონდა არჩევანის შესაძლებლობა.

4. სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების ბაზრის დაყოფა რეგულირებოდა ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით და დამოკიდებული იყო თითოეული კომპანიის წილზე სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე. 2005 წელს ამგვარი დაყოფა განისაზღვრებოდა პროცენტით, რომელიც მითითებული იყო 2005 წლის 5 აპრილის შეთანხმებაში.

5. სავალდებულო დაზღვევის მომსახურების პრემიის განაკვეთი და უფრო ფართო მიდგომა რომლის რეალიზაციასაც ახდენდნენ აგენტები, იმყოფებოდა მაქსიმალურ დონეზე, რაც ნებადართული იყო ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 18 აპრილის №12 განკარგულებით.

6. სადაზღვევო მომსახურების ბაზარი არ წარმოადგენდა სრულად ლიბერალიზებულს. შიდა საკანონმდებლო აქტები (ფინანსთა სამინისტროს ბრძანებულებები) ადგენდა სავალდებულო სადაზღვევო პოლისებზე მინიმალურ და მაქსიმალურ ტარიფებს და ასევე ახდენდა ადმინისტრაციული ფორმალობებისა და სადაზღვეო პოლისების გაყიდვის წესის ადმინისტრირებას.

7. სამთავრობო დადგენილებებიდან (ფინანსთა სამინისტროს აქტებიდან) გამომდინარეობდა შემდეგი:

ა) ოფიციალურად ხელმოწერილი იყო შეთანხმება, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას ამ ბაზარზე.

ბ) ალბანეთის სადაზღვევო ბიუროს უფლება ჰქონდა დაედო შეთანხმება ერთადერთ აგენტთან.

გ) გაყიდვის/მიწოდების ნაწილში სადაზღვევო ბაზარი კონცენტრირებული იყო.

ყველა ეს პუნქტები იმყოფებოდა კონკურენციის კანონმდებლობის სფეროში მოქმედი კომპეტენციის გარეთ.

IV. გადაწყვეტილება

მიუთითებდა რა ამ ფაქტებზე, ალბანეთის კონკურენციის კომისიამ დაადგინა:

1. შეწყვეტილ იქნეს 2005 წლის 5 აპრილის შეთანხმება 8 სადაზღვევო კომპანიას შორის. ჩაითვალა ეს შეთანხმება აკრძალულად, რადგან იგი ადგენდა ფიქსირებულ ფასებს, ახდენდა ბაზრის დაყოფას და ამგვარად ზღუდავდა კონკურენციას.

ა) 2005 წლის 5 აპრილის შეთანხმების თითოეული მონაწილე დაჯარიმდა, 2005 წლის წლიური ბრუნვის 2 პროცენტის მოცულობით.

ამასთან, კონკურენციის კომისიამ საჭიროდ ჩათვალა გაეკეთებინა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ფინანსთა სამინისტრო:

1. გააუქმოს 2005 წლის 6 მაისის №14 ბრძანება „ალბანეთის სადაზღვევო ბიუროს სატრანსპორტო სადაზღვევო პოლისების გაყიდვისა და მენეჯმენტის შესახებ“, და ასევე სხვა ბრძანებები, რომლებიც ახდენდნენ სადაზღვევო პოლისების გაყიდვით მიღებული შემოსავლების განაწილების რეგლამენტირებას.

2. გააუქმოს ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 26 ივნისის №25 ბრძანება.

3. სავალდებულო დაზღვევის ჩარჩოებში, ალბანეთის სადაზღვევო ბიუროს მიერ განხორციელებული ადმინისტრა-

ციული პროცედურების კონტროლი დაეკისროს ფინანსური კონტროლის უწყებას.

4. განმეორებით იქნას შესწავლილი კანონმდებლობა, რომელიც განეკუთვნება ამ სფეროს.

ბ) ფინანსური კონტროლის უწყება:

დაზღვევის სფეროში ყველა ოფიციალური პროცედურის დასაცავად მაკონტროლებელ ორგანოს:

ა) უნდა შეექმნა წესების სრული ნაკრები, რომლებიც მოახდენდნენ ფინანსური კონტროლის რეგლამენტირების პროცესს, გამოიყენებდა რა ასეთი კონტროლის დადებით გამოცდილებას საბანკო სექტორში „კონკურენციის დაცვის შესახებ“ 2003 წლის 28 ივლისის №9121 საკანონმდებლო აქტის შესაბამისად.

ბ) უნდა შეეცვალა კომერციული პრაქტიკა სავალდებულო დაზღვევის პოლისების გაყიდვის სფეროში კონტროლის, სტანდარტების დაცვისა და დარღვევათა შემთხვევებში სანქციათა გამოყენების საფუძველზე.

III.10. საკონდიტრო ნაწარმის ექსკლუზიური დისტრიბუციის შესახებ (რუმინეთი) [60]

I. შესავალი

მონაწილე მხარეები

ა) ს/ს „პარტიზანი" (გამყიდველი), რომელიც წარმოადგენდა რუმინეთში საკონდიტრო პროდუქციის ერთ-ერთ ძირითად მწარმოებელს;

ბ) ამ პროდუქციის 39 ექსკლუზიური დისტიბუტორი (მყიდველები).

1997 წლის 1 იანვრიდან 1997 წლის 30 ივნისამდე ს/ს „პარტიზანმა" დადო 39 ხელშეკრულება თავისი პროდუქციის ექსკლუზიური გასაღების შესახებ, რომლის თანახმადაც გამყიდველები ხდებოდნენ ქვეყნის დედაქალაქის (ბუქარესტის) ცალკეული ნაწილების ტერიტორიაზე ექსკლუზიური დისტრიბუტორები. კონტრაქტების თანახმად, დისტრიბუტორებს ეკრძალებოდათ სხვა კომპანიების ანალოგიური პროდუქციის გასაღება. ყველა კონტრაქტი თავისი შინაარსით იყო იდენტური, ერთადერთი განსხვავება მდგომარეობდა გასასაღებელი საქონლის მინიმალურ რაოდენობაში.

ს/ს „პარტიზანმა" და მისმა დისტრიბუტორებმა არ გააგზავნეს ანტიმონოპოლიურ საბჭოში შეტყობინება, როგორც ეს გათვალისწინებული იყო „კონკურენციის შესახებ" №21/1996 კანონის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენების შესახებ ბრძანებულების მე-2 მუხლით. იმავე წლის მეორე ნახევრისათვის გაფორმებული კონტრაქტები სრულიად იდენტური იყო 1997 წლის პირველი ნახევრისათვის გაფორმებული შეთანხმებებისა.

ანტიმონოპოლიური საბჭოს თავმჯდომარის 1997 წლის ივლისის განკარგულებით დაწყებულ იქნა გამოძიება ს/ს „პარტიზანის" მიერ „კონკურენციის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

II. ბაზრის დახასიათება

სასაქონლო ბაზრის პროდუქტიული საზღვრები

საკონდიტრო ნაწარმს მიეკუთვნება შოკოლადის ფილები და კანფეტები, რომელსაც მოიხმარს მოსახლეობის ყველა კატეგორია, განსაკუთრებით ბავშვები.

პროდუქტის ჩანაცვლებადობა

შოკოლადის „კრემები“ ითვლება ზემოთაღნიშნული პროდუქტების საუკეთესო შემცვლელებად. საერთოდ, ნებისმიერი საკონდიტრო საქონელი შაქრისა და ტორტების ჩათვლით, წარმოადგენენ საანალიზო პროდუქციის შემცვლელებს.

სასაქონლო ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები მოიცავს რუმინეთის მთელ ტერიტორიას; მხედველობაში მიიღებოდა რომ შენახვის ტემპერატურა (18^0 C) ადვილად მიიღწეოდა და საქონლის ყუთში შეფუთვა აადვილებდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს და ტრანსპორტირებას.

ს/ს „პარტიზანის“ მდგომარეობა საკონდიტრო ნაწარმის ბაზარზე

რუმინეთის ბაზარზე მოქმედებდა საკონდიტრო პროდუქციის 4 ძირითადი მწარმოებელი: ს/ს „პარტიზანი“ (ქ. ბრაშოვი); ს/ს „კანდია“ (ქ. ტიმიშუარა); ს/ს „ექსჩელენტ“ (ქ. ბუქარესტი); შპს „მედიტერანიან ტრეიდ კო იმპექს“ (ქ. ბუქარესტი). ბაზარზე იყო ასევე იმპორტული საკონდიტრო პროდუქციის დიდი რაოდენობა.

ს/ს „პარტიზანი“ წარმოადგენდა რუმინეთის საკონდიტრო პროდუქციის ერთ-ერთ ძირითად მწარმოებელს. 1996

წელს მასზე მოდიოდა საკონდიტრო ნაწარმის რუმინეთის ბაზრის 40%-ზე მეტი. ს/ს „პარტიზანი“ აღნიშნული პროდუქციის გასაღებას ახორციელებდა ექსკლუზიური სადისტრიბუციო სისტემით 1996 წლის ოქტომბრიდან 1997 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

III. საქმის განხილვა

ანტიმონოპოლიური საბჭოს მიერ გაკეთებული ანალიზის და ს/ს „პარტიზანის“ 10 დისტრიბუტორის მიერ წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე გაირკვა, რომ ს/ს „პარტიზანის“ პროდუქციის გასაღება ხორციელდებოდა შეთანხმების შემდეგი პირობების შესაბამისად:

✓ ს/ს „პარტიზანის“ პროდუქციის საბითუმო შესყიდვას თითოეული დისტრიბუტორი ძირითადად აწარმოებდა იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებშიც იგი მოქმედებდა როგორც ექსკლუზიური დისტრიბუტორი. პასიურად არღვევდნენ რა კონტრაქტით გათვალისწინებულ ტერიტორიულ ექსკლუზიურობას, ზოგიერთი დისტრიბუტორი პროდუქციის საცალო გამყიდველებს მათი თხოვნით აწვდიდა პროდუქციას სხვა ტერიტორიის ფარგლებშიც. ეს მიწოდებები შეადგენდნენ დისტრიბუტორთა საბითუმო გაყიდვის მოცულობებში უმნიშვნელო წილს.

✓ დისტრიბუტორები ვაჭრობდნენ მხოლოდ ს/ს „პარტიზანის“ პროდუქციით ორი უმნიშვნელო გამონაკლისის გათვალისწინებით.

✓ მწარმოებელი ექსკლუზიურ დისტრიბუტორებს თავს ახვევდა გასაყიდ და გადასაყიდ ფასებს, ასევე 9%-იან სავაჭრო დათმობას. საცალო ფასებისათვის რეკომენდებული იყო 15%-იანი საცალო დანამატი.

✓ მთლიანად დისტრიბუტორები მოითხოვდნენ საბითუმო ფასებს, რომელიც დადგენილი იყო ხელშეკრულების

შესაბამისად. განსხვავებული ფასებით პროდუქციის გაყიდვის მოცულობა ს/ს „პარტიზანის“ საერთო გაყიდვებში შეადგენდა უმნიშვნელო წილს და ეხებოდა მხოლოდ პროდუქციის განსაზღვრულ სახეებს, რომლებიც იწარმოებოდა დროის შეზღუდულ პერიოდებში ან სეზონური გაყიდვების დროს. ხელშეკრულებაში მითითებული ფასებისაგან განსხვავებულ ფასებში პროდუქციის გასაღება წარმოებდა მხოლოდ ს/ს „პარტიზანისაგან“ ნებართვის მიღების შემდეგ.

✓ საქმის დაწყების შემდეგ 1997 წლის 10 ოქტომბერს ს/ს „პარტიზანმა“ შესთავაზა თავის დისტრიბუტორებს გაფორმებულ კონტრაქტებში ცვლილებების შეტანა და იმ პუნქტების გადაშლა, რომლებიც ტერიტორიულ შეზღუდვებს განეკუთვნებოდნენ; დისტრიბუტორებს ასევე ნება ეძლეოდათ მოეხდინათ სხვა კომპანიების ანალოგიური პროდუქციის გასაღება იმ პირობით, რომ აღნიშნულის შესახებ ისინი აცნობებდნენ ს/ს „პარტიზანს“. საცალო ქსელისათვის საბითუმო ფასები მითითებული იყო ხელშეკრულების დადგენილი ფასების სპეციალური ფურცლით, რომელსაც ადგენდა გამყიდველი. გამყიდველს შეეძლო გაეთვალისწინებინა დისტრიბუტორების მიერ წერილობით შეთავაზებული სხვა ფასები, რომლებიც განსხვავებული იყო დადგენილი ფასებისაგან. ასეთი ფასების ამოქმედება ხდებოდა მხოლოდ გამყიდველის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

IV. ზემოქმედება კონკურენციულ სიტუაციაზე

გააფორმეს რა 1997 წელს კონტრაქტები პროდუქციის გასაღების შესახებ, ს/ს „პარტიზანმა“ და მისმა დისტრიბუტორებმა დაარღვიეს კონკურენციის კანონის მე-5 (1) მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ დებულებები. ეს კონტრაქტები წარმოადგენდნენ ერთ ბაზარზე მოქმედი, ანუ, რუმინეთის საკონდიტრო ნაწარმის ბაზარზე, სხვადასხვა დონეზე მოქმედი მეწარმეების შეთანხმებას:

წარმოების დონეზე – სს „პარტიზანი“, გასაღების დონეზე – დისტრიბუტორები, მწარმოებლის პროდუქციის ექსკლუზიური გასაღების შესახებ კონტრაქტის საფუძველზე. კონტრაქტები წარმოადგენდა გააზრებულ შეთანხმებებს, რომელთა მიზანი იყო (ან შეიძლებოდა ყოფილიყო) კონკურენციის შეზღუდვა, აღკვეთა ან დამახინჯება რუმინეთის საკონდიტრო ნაწარმის ბაზარზე, განსაკუთრებით გასაღების დონეზე:

• გასაყიდი ფასების ფასდათმობების და ასევე სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების შეთანხმებული განსაზღვრა (5 (1) მუხლის „ა“ პუნქტი);

• გასაღების შეზღუდვა ან კონტროლი (5 (1) მუხლის „ბ“ პუნქტი);

• სხვა კონკურენტების გაძევება ან შეზღუდვა და მათი არდაშვება ბაზარზე და კონკურენციის შეზღუდვა. ასევე, უარის თქმა ხელშეკრულებაზე განსაზღვრულ კომპანიებთან პროდუქციის ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე საკმარისი საფუძვლის გარეშე (5 (1) მუხლის „გ“ პუნქტი).

კონტრაქტებში ასევე დარღვეული იყო ანტიმონოპოლიური კანონის 5(7) მუხლი, რომლის თანახმად საწარმოები ვალდებული იყვნენ ანტიმონოპოლიურ საბჭოსათვის ეცნობებინათ ყველა იმ შეთანხმების, გადაწყვეტილებების და ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომლებიც მხარეთა აზრით არ ექცეოდნენ 5(1) მუხლის მოქმედების ქვეშ. კონკურენციის ორგანო ამოწმებდა თუ ასეთი შეთანხმებები რამდენად შეესაბამებოდნენ არსებულ წესებსა და დადგენილებებს.

არ ჩააყენეს რა კონკურენციის ორგანო გაფორმებული კონტრაქტების შესახებ საქმის კურსში, მხარეებმა ასევე დაარღვიეს კონკურენციის კანონის მე-5 და მე-6 მუხლების გამოყენების შესახებ განკარგულება. ამ განკარგულების

მე-2 მუხლი ითვალისწინებდა კონკურენციის კანონის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული აკრძალვისაგან განთავისუფლების პროცედურას.

ამ შემთხვევაში მხარეები ვალდებული იყვნენ კონკურენციის ორგანოსათვის მიეწოდებინათ დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელი იყო გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, რომ შესაბამისი კონტრაქტები ხდებოდნენ „ექსკლუზიური სადისტრიბუციო შეთანხმებების“ კატეგორიაში, რომლებიც განკარგულებით გათავისუფლებული იყვნენ მე-5 (1) მუხლით განსაზღვრული აკრძალვისაგან.

V. გადაწყვეტილება

რუმინეთის კონკურენციის ორგანოს მიერ, კონკურენციის კანონის მე-5 (1) მუხლის და 54-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ს/ს „პარტიზანის“ მიერ, 1997 წელს ექსკლუზიურ დისტრიბუტორებთან ხელმოწერილი კონტრაქტები გამოცხადდა ძალადაკარგულად, რადგან ეს შეთანხმებები არღვევდნენ კონკურენციის წესებს.

კონკურენციის კანონის 56-ე „ა“ მუხლის შესაბამისად ს/ს „პარტიზანს“ დაეკისრა ჯარიმა 312,5 მილიონი ლეის მოცულობით, ხოლო თითოეულ დისტრიბუტორს 5 მილიონი ლეის ოდენობით.

რუმინეთის კონკურენციის ორგანოს ეს გადაწყვეტილება აპელაციის წესით გასაჩივრდა ბუქარესტის სააპელაციო სასამართლოში. სასამართლომ დაადასტურა კონკურენციის ორგანოს გადაწყვეტილების სისწორე და ძალაში დატოვა იგი.

III.11. სერბეთში მარცვლეულზე რეკომენდირებული ფასის შესახებ [64]

2006 წლის 4 ივლის, სერბეთის კონკურენციის დაცვის კომისიამ ქვეყნის წყალმომარაგების, სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროსგან მიიღო შეტყობინება, ფქვილის მწარმოებელი კერძო კომპანიების ასოციაცია „ჟიტოვოჟვოდინა“-ს წინააღმდეგ, რომელმაც თავის წევრებს მისცა რეკომენდაცია, 2006 წლისათვის 1 კგ. მარცვლეული შეესყიდათ 9 დინარად. სამინისტროს აზრით, ამგვარი რეკომენდაცია განეკუთვნებოდა აკრძალულთა კატეგორიას და „კონკურენციის დაცვის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის თანახმად ამ შეთანხმებას არ უნდა ჰქონოდა კანონიერი ძალა.

საქმის აღძვრის თხოვნასთან ერთად, სამინისტრომ კომისიას მიაწოდა ასევე „ჟიტოვოჟვოდინა“-ს კრების ოქმის ასლი, რომელიც შედგა ამ ასოციაციის ერთ-ერთი წევრი – კომპანიის ოფისში და მას ესწრებოდა ამ ორგანიზაციის ყველა (12) წევრი. დოკუმენტში ასახული იყო ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები.

კონკურენციის დაცვის კომისიამ, სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე დაიწყო „ჟიტოვოჟვოდინა“-ს წინააღმდეგ გამოძიების პროცედურა კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმების არსებობის დადგენის მიზნით.

სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადების პასუხად „ჟიტოვოჟვოდინა“-მ განმარტა, რომ სარეკომენდაციო ფასი წარმოადგენდა მხოლოდ ფასის საორიენტაციო დონეს. შემდგომში მან ასევე განმარტა, რომ ფიქსირებული შესასყიდი ფასების დადგენა ეწინააღმდეგებოდა ასოციაციის წესდებასა და მუშაობის პრინციპებს. შესასყიდი ფასების შესახებ რეკომენდაციები ნამდვილად კეთდებოდა, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ სავალდებულოს, რადგან არ იყო გაფორმებული შეთანხმება უნიფიცირებული ფასის გამოყენების შესახებ.

„ჟიტოვოჟვოდინა“-მ ასევე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ამგვარი შეთანხმებაც არ იძლეოდა

გარანტიას მხარეთა მხრიდან მისი შესრულების თაობაზე. ასოციაციის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ასევე მითითებული იყო, რომ ასოციაცია „ჟიტოვოჟვოდინა“-ს წევრები წარმოადგენდნენ კერძო საწარმოებს, რომლებიც დამოუკიდებლად ღებულობდნენ გადაწყვეტილებას შესასყიდი ფასების შესახებ.

ასევე, კომისიაში წარდგენილი იქნა „ინვოისის“ ასლები, რომლებიც ადასტურებდნენ ფქვილის მწარმოებელი ზოგიერთი კომპანიის მიერ 1 კგ. ხორბლის 8,70-დან 9,85 დინარამდე ფასად შესყიდვას.

საქმის მოსმენის დროს, რომელიც შედგა 2006 წლის 10 ოქტომბერს, სამინისტროს წარმომადგენელი იდგა პოზიციაზე, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც რეკომენდაცია ფასის შესახებ ჩათვლილიყო შეთანხმებად, რომელიც აღგენდა შესასყიდ ფასს ხორბალზე, რაც თავის მხრივ კანონის მე-7 მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფებით ჩაითვლებოდა აკრძალულად და კანონიერი ძალის არ მქონე შეთანხმებად.

ასოციაცია „ჟიტოვოჟვოდინა“-მ განაცხადა, რომ სარეკომენდაციო ფასი არ წარმოადგენდა აკრძალულ შეთანხმებას, რადგან ფქვილის მწარმოებელი საწარმოები ყველასგან დამოუკიდებლად განსაზღვრავდნენ მარცვლის შესყიდვის საკუთარ პოლიტიკას. აღნიშნულის დასადასტურებლად „ჟიტოვოჟვოდინა“-მ საქმეს დაურთო ხორბლის შესყიდვის შესახებ „ინვოისის“ ასლი, რომელიც წარმოადგენდა 2006 წლის მარცვლეული მოსავლის შესყიდვის მოცულობათა ცხრილს, 2006 წლის 30 ივნისიდან 15 ივლისამდე პერიოდში. ამ ცხრილიდან ჩანდა, რომ აღნიშნულ პერიოდში ასოციაცია „ჟიტოვოჟვოდინა“-ს თერთმეტმა წევრმა შეისყიდა 14 092 933 ტონა მარცვლეული კგ. 8.00-დან 9.80 დინარამდე ფასად.

აღნიშნული გამოძიების პროცედურამ გამოავლინა რომ „ჟიტოვოჟვოდინა“-ს წევრებმა წერილობითი ფორმით გამოსცეს „რეკომენდაციები“ 1 კგ. მარცვლეულის 9 დინარად შესყიდვის შესახებ, რაც გახდა გადამწყვეტი მტკიცებულება. ასოციაცია „ჟიტოვოჟვოდინა“-ს წესდება

რომელიც შესწავლილიქნა კომისიის მიერ, არ აძლევდა უფლებას მის წევრებს დაედოთ შეთანხმება ფიქსირებული ფასების შესახებ.

კომისიაში „ჟიტოვოჟვოდინა“-ს მიერ წარდგენილი ცხრილიდან ჩანდა, რომ ასოციაციის ზოგიერთ წევრებს შესყიდული ჰქონდათ მარცვლეული 1 კგ. 9 დინარად. იმავე დროს კი სხვებს 8-დან 9 დინარამდე ფასად. მითითებული ცხრილი ასახავდა იმ ფაქტს, რომ ასოციაციის უმრავლესმა წევრებმა სხვადასხვა რაოდენობის მარცვლეული ერთ და იგივე დღეს შეიძინეს სხვადასხვა ფასად. აღნიშნული გამომდინარეობდა საბაზრო პირობებიდან და გამყიდველებთან მოწოდების შესახებ წინასწარი შეთანხმებიდან.

რადგან არსებული კანონმდებლობა არ შეიცავდა შემზღუდავ შეთანხმებებს ფიქსირებულ შესასყიდ და გასაყიდ ფასებთან მიმართებაში, კომისიამ სამინისტროს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. კერძოდ, კანონი კომისიისგან მოითხოვდა ეცნო მე-7 მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფების დარღვევის ფაქტები იმ შემთხვევაში, თუ დადგინდებოდა ისეთი შეთანხმების არსებობა, რომელიც არსებითად აფერხებდა და ზღუდავდა კონკურენციას. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი შეთანხმება არ იქნა გამოვლენილი, რაც გახდა სამინისტროსათვის საქმის აღძვრის თაობაზე უარის თქმის საფუძველი.

ფაქტების შესწავლის პროცესში ვერ იქნა დადგენილი, რომ არსებობდა ამ რეკომენდაციების შესრულების იძულების მექანიზმი. ამასთან, ფერმერებს არავინ აიძულებდათ გაეყიდათ მარცვლეული მოსავლის აღებისთანავე, მათ შეეძლოთ დალოდებოდნენ ფასების ზრდას, რადგან მარცვლეულის შენახვის ხარჯების ანაზღაურება წარმოადგენდა სუბსიდიის ერთადერთ ფორმას, რომელსაც ისინი ღებულობდნენ სახელმწიფოსაგან. ამ შემთხვევაში მინიმალური სარეკომენდაციო ფასი მარცვლეულის შესასყიდად შეიძლებოდა შეფასებულიყო როგორც

სარგებელი გამყიდველებისათვის (ფერმერებისათვის), რადგან ის არ უნდა ყოფილიყო 9 დინარზე ქვევით.

კომისიისათვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ასოციაციის წარმომადგენელთა თათბირის მსვლელობისას ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა, რაც წარმოადგენდა კარტელური შეთანხმების ნიშანს ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ სერბეთის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით ასეთი შეთანხმება კარტელს არ წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სერბეთის კონკურენციის დაცვის კომისიას ამ საკითხზე სხვა გადაწყვეტილების მიღება არც უფიქრია.

III.12. ეკონომიკური კონცენტრაციის შეფასება (უკრაინა) [83]

1. რეზიუმე

კონცენტრაცია მდგომარეობდა „Seagate Technology Public Limited Company"-ს მიერ საკუთრებაში „Samsung Electronics Co., Ltd"-ს აქტივების შეძენაში, რაც უზრუნველყოფდა სამეურნეო საქმიანობის განხოციელების შესაძლებლობას მყარი დისკების წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში.

უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, გაცხადებული კონცენტრაცია გამოიწვევდა თუ არა მონოპოლიზაციას ან შესაბამის ბაზარზე კონკურენციის არსებით შეზღუდვას.

2. ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტი

უკრიანის ანტიმონოპოლიურ კომიტეტში განცხადებით შევიდნენ კომპანია „Seagate" და კომპანია „Samsung Electronics" კონცენტრაციის ნებართვის მიცემის თაობაზე; კომპანია „Seagate"-ს სურდა შეეძინა კომპანია „Samsung Electronics"-ის აქტივები, რაც უზრუნველყოფდა სამეურნეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას მყარი დისკების წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში (მათი ერთობლივი წილი მყარი დისკების მსოფლიო ბაზარზე შეადგენდა 40%-ზე მეტს).

„ეკონომიკური კონკურენციის დაცვის შესახებ" უკრაინის კანონის 22-ე მუხლის თანახმად - „კონცენტრაციად ითვლებოდა უშუალოდ ან სხვა პირთა მეშვეობით ერთი ან რამდენიმე სუბიექტის მიერ კონტროლის შეძენა ერთ ან რამოდენიმე სუბიექტზე . . ."

კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად კონცენტრაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის ან ამავე კომიტეტის კოლეგიის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში:

1. როდესაც კონცენტრაციის მონაწილეთა აქტივების ერთობლივი ღირებულება ან საქონლის რეალიზაციის ერთობლივი მოცულობა უკანასკნელ ფინანსურ წელს (მათ შორის საზღვარგარეთ) აღემატება 12 მილიონ ევროს და ამასთან, ორი მონაწილის აქტივების ღირებულება ან საქონლის რეალიზაციის მოცულობა აჭარბებს თითოეულისათვის 1 მილიონ ევროს.

2. პირველ პუნქტში აღნიშნული პირობებისგან დამოუკიდებლად, როდესაც საქონლის განსაზღვრულ ბაზარზე კონცენტრაციის რომელიმე მონაწილის ან კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი წილი აღემატება 35%-ს და კონცენტრაცია ხდება ამ საქონლის ან მოსაზღვრე საქონლის ბაზარზე.

გაცხადებული კონცენტრაციის მონაწილეთა მაჩვენებლები აღემატებოდნენ ზღვრულ მნიშვნელობებს, რომლებიც მოტანილი იყო კანონის 24-ე მუხლში და ამგვარად კონცენტრაცია უნდა განხორციელებულიყო უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის თანხმობით.

მყარი დისკების ბაზრის და კონცენტრაციის განხორციელების შედეგების ღრმა შესწავლის აუცილებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწყებულ იქნა საქმის განხილვა კონცენტრაციის შესახებ.

3. პროცედურული ასპექტები

კონცენტრაციის შესახებ საქმის განხილვისას გამოყენებულ იქნა ინფორმაცია და მასალები რომლებიც წარადგინეს განმცხადებლებმა, კომპანია „International Data Corporation"-მა (რომელიც მსოფლიო ბაზარზე წარმოადგენს მომსახურებას, კერძოდ, ბაზრების შესწავლის მიმართულებით), ასევე ევროკომისიის და საკუთრივ უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის გამოკვლევები.

4. კონკურენტული სიტუაციის ანალიზი

სასაქონლო ბაზარი, სადაც ხდებოდა კონცენტრაცია კომპანიების „Seagate“-ს და „Samsung Electronics“-ის მონაწილეობით, იყო მყარი დისკების ბაზარი.

მყარი დისკი – ესაა მოწყობილობა, რომელშიც გამოიყენება მაგნიტური ზედაპირის (მატარებელი) მქონე ერთი ან მეტი დისკი მონაცემების შენახვისა და მონაცემებთან მისვლის უზრუნველსაყოფად. ეს მყარი დისკები წარმოადგენენ მუდმივად დამამახსოვრებელ მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ციფრული მონაცემების შენახვისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად;

მყარი დისკების ბაზრის საზღვრებში არსებობდა განსაზღვრული სეგმენტები (ურთიერთჩანაცვლებადობის თვალსაზრისით) ამ ტიპის პროდუქციისათვის:

- ✓ მყარი დისკები უწყვეტი მოქმედების სერვერული მოწყობილობისათვის;
- ✓ სერვერული მოწყობილობისათვის 3,5 დიუმიანი მყარი დისკები, რომელიც გამოიყენება ბიზნესის ფუნქციონალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ 3,5 დიუმიანი მყარი დისკები სტაციონალური კომპიუტერებისათვის;
- ✓ 3,5 დიუმიანი მყარი დისკები სამომხმარებლო ელექტრონიკისათვის;
- ✓ 2,5 დიუმიანი მყარი დისკები პორტატული კომპიუტერებისათვის;
- ✓ 2,5 დიუმიანი მყარი დისკები სამომხმარებლო ელექტრონიკისათვის.

ურთიერთშემცვლელობა მომხმარებელთა თვალსაზრისით:

საბოლოო გამოყენებისათვის:

გამოყენების სხვადასხვა სფეროსათვის მყარი დისკები არ წარმოადგენენ ურთიერთჩანაცვლებადს. კერძოდ, პროგრამების სხვადასხვა საბოლოო გამოყენება დიდად განსაზღვრავდა მყარი დისკების ტექნიკურ მახასიათებლებს, რომლებიც შეიძლება ურთიერთჩანაცვლებადი ყოფილიყვნენ შეზღუდულ შემთხვევაში;

საბოლოო გამოყენების თვალსაზრისით განსხვავებული მყარი დისკები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ფასით;

გამოყენების სხვადასხვა სფეროსათვის მყარი დისკები ასევე ხასიათდებოდნენ ლოჯისტიკის ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელებით;

სტაციონალური კომპიუტერებისათვის განკუთვნილი მყარი დისკები და სერვერული მოწყობილობის მყარი დისკები არ შეიძლება ურთიერთჩანაცვლებადი ყოფილიყო, ვინაიდან სტაციონარული კომპიუტერების მყარ დისკებს არ გააჩნდათ ისეთი ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც შეძლებდნენ სერვერებისათვის აუცილებელი მაღალი პროდუქტიულობის მიღწევას; სერვერული მოწყობილობისათვის განკუთვნილი მყარი დისკები, რომელიც გამოიყენებოდა ბიზნესის ფუნქციონალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად, მეტის-მეტად ძვირი იქნებოდა სამაგიდო პორტატულ კომპიუტერებში გამოყენებისათვის.

ფორმა ფაქტორის მიხედვით:

3,5 დიუმიანი მყარი დისკები არ შეიძლება შეიცვალოს 2,5 დიუმიანი მყარი დისკებით სივრცობრივი შეზღუდვების გამო;

2,5 დიუმიანი მყარი დისკები არ წარმოადგენენ ურთიერთშემცვლელს 3,5 დიუმიან მყარ დისკებთან სამაგიდო პორტატულ კომპიუტერებში ან სამომხმა-

რებლო ელექტრონიკაში, რაც განპირობებული იყო ძირითადად 2,5 დიუმიანი მყარი დისკების უფრო მაღალი ღირებულებით და 3,5 დიუმიანი მყარი დისკების მეტი ტევადობით.

განხილვის პროცესში დადგინდა:

კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ კომპანიების „Seagate" და „Samsung Electronics"-ის ერთობლივი წილი უკრაინის მყარი დისკების ბაზარზე გადააჭარბებდა 35%-ს.

კომპანიები „Seagate" და „Samsung Electronics" არ ახორციელებდნენ უშუალოდ უკრაინაში მყარი დისკების რეალიზაციას (უკრაინის ბაზარზე ასეთი პროდუქცია ხვდებოდა იმ სამეურნეო სუბიექტების მიერ განხორციელებული იმპორტის მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ დისტრიბუტორებს-უკრაინის არარეზიდენტ ეკონომიკურ აგენტებს).

უკრაინის ტერიტორიაზე არ არიან მყარი დისკების მწარმოებლები და არ არსებობენ პირდაპირი მომხმარებლები. ასევე არ არსებობს მყარი დისკების საკუთარი წარმოება. ამასთან, მყარი დისკების ბაზარი ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისათვის.

უკრაინაში პოტენციალური კონკურენტებისათვის არ არსებობდა მყარი დისკების იმპორტის ბარიერები (საბაჟო ან ადმინისტრაციული).

აღნიშნულთან დაკავშირებით, ამ ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებად უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის მიერ მიჩნეულ იქნა მსოფლიო ბაზრის საზღვრები;

ამასთან, არსებობდა პროდუქცია, რომელსაც შეეძლო გაეწია კონკურენცია ამ დისკებისათვის; ბაზარზე შემოდიოდა მყარი დისკების პოტენციალური შემცვლელები: „მკვრივი

დამგროვებლები"; „ჰიბრიდული მყარი დისკები" და ე.წ. „ონლაინდამგროვებლები" მონაცემთა შენახვისათვის.

კონცენტრაციის მონაწილეთა წილი მყარი დისკების მსოფლიო ბაზარზე აღემატებოდა 40%-ს.

ასეთი წილის მიუხედავად ევროკომისიამ გასცა ნებართვა ამ გარიგების განხორციელებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ მყარი დისკების მიწოდება სწარმოებდა მსოფლიო დონეზე; არ არსებობდა ფასების რეგიონალური დიფერენციაცია და მყარი დისკებისადმი მოთხოვნები მთელ მსოფლიოში წარმოადგენდა მსგავსს, ***უკრაინის კონკურენციის კომისიამ დაადასტურა, რომ მყარი დისკების გეოგრაფიულ ბაზარს აქვს მსოფლიო მასშტაბი.***

უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტი მივიდა დასკვნამდე, რომ ტრანსაქციების განხორციელების შემდეგ, მყარი დისკების თითოეული კატეგორიისათვის რჩებოდა სამი საიმედო მიმწოდებელი. ეს მტკიცდებოდა ძირითადად კომისიის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებით, რომლის დროსაც 19 გამოკითხული მომხმარებლიდან 17 მიუთითა, რომ 3 მიმწოდებელი საკმარისი იყო იმისათვის, რომ ორიგინალური მოწყობილობის მწარმოებლებისათვის მიეცათ შესყიდვების ეფექტური პოლიტიკის განხორციელების საშუალება.

5. შედეგი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ:

o მყარი დისკების მომხმარებლები თავისუფალი იყვნენ მომწოდებლების არჩევაში მთელ მსოფლიოში;

- კონცენტრაციის მონაწილეებს არ ექნებოდათ შესაძლებლობა ზემოქმედება მოეხდინათ ფასებზე და ვაჭრობის პირობებზე უკრაინის ბაზარზე, რადგან არ არსებობდა ბარიერები დამატებითი მიმწოდებლებისათვის ბაზარზე შესასვლელად;

- ადგილი ჰქონდა კონკურენციულ სეგაელენას მყარი დისკების სხვა მწარმოებელთა მხრიდან;

- გაჩნდებოდა ინოვაციური პოტენციური შემცველელები მყარი დისკებისათვის;

უკრაინის ანტიმონოპოლიურმა კომიტეტმა მისცა თანხმობა მითითებულ კონცენტრაციას.

თავი IV. ანტიკონკურენციული ქმედებების მაგალითები საქართველოში

IV.1. დავა ნავთის ბაზარზე კარტელური შეთანხმების მონაწილეებსა და ანტიმონოპოლიურ სამსახურს შორის [49]

I. რეზიუმე:

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენდა „კონკურენციის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენის მიზნით სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი", თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისტემატიურად ახდენდა ნავთობპროდუქტების ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შეწავლას.

ბაზრების შეწავლის პროცესში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ინფორმაციის ამოსავალ წყაროდ გამოიყენებოდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო და საბაჟო დეპარტამენტების მიერ მიწოდებული მონაცემები, იმ კონკრეტული დაკვირვების შედეგებთან ერთად (ფასის ცვლილების ქრონომეტრაჟი), რომლებსაც სისტემატიურად (ყოველთვიურად) ადგენდნენ ანტიმონოპოლიური სამსახურის სამხარეო ანტიმონოპოლიური ორგანოები.

ნავთობპროდუქტების ბაზრის შესწავლისას ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ჩათვალა, რომ ამ ბაზრის პროდუქტები მათი სამომხმარებლო თვისებებიდან გამომდინარე არ არიან ჩანაცვლებადი, ამიტომ, ბენზინის, დიზელის, ნავთის, მაზუთისა და ზეთის ბაზრები განხილულ იქნა ცალ-ცალკე სასაქონლო ბაზრად.

განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, 2001 წლის ბოლოს გამოვლენილ იქნა ნავთის (საავიაციო ნავთის)

რეალიზაციის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის (ბაზრის 35% და მეტი) მქონე ეკონომიკური აგენტი შპს „X–ოილი", რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად შეყვანილ იქნა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა სახელმწიფო რეესტრში.

მოგვიანებით (2003 წლის მეორე ნახევრიდან), წინა წლის შედეგებიდან გამომდინარე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად გამოაცხადდა უკვე შპს „X–ოილი", შპს „Y"-თან ერთად, რადგანაც შპს „X–ოილი" აღმოჩნდა შპს „Y"-ის დამფუძნებელი 50-%-იანი წლით და მათი უკვე ერთმანეთის კონკურენტ კომპანიებად განხილვა არ შეიძლებოდა.

რამდენადაც, ნავთის ბაზარზე მოქმედი მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები დადგენილი წესის თანახმად შეყვანილ იქნენ მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში, მათზე უკვე სრულყოფილად უნდა ამოქმედებულიყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დებულებები.

შპს „X–ოილ"–მა სარჩელი შეიტანა სასამართლოში იმ მოთხოვნით, რომ შპს „Y"-ის დაფუძნებაში (რომელმაც ამავე პერიოდში სახელწოდებაც შეიცვალა) 50%-იანი მონაწილეობის მიუხედავად ისინი ურთიერთაკავშირებულ კომპანიებს არ წარმოადგენენ, ამიტომ უნდა მომხდარიყო მონოპოლისტ საწარმოთა რეესტრიდან მათი ამოღება, რათა მათზე არ გავრცელებულიყო ანტიმონოპოლიური ზედამხედველობა (დაკვირვება).

ამასთან, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა თითქმის იმავე პერიოდში დაიწყო, კონკრეტული საჩივრის საფუძველზე ქვეყანაში საავიაციო მომსახურეობის (მგზავრთა გადაყვანის) ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა და დაინტერესდა საავიაციო ნავთის რეალიზაციის ფასებით.

II. ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტი:

საქართველოს პრეზიდენტის დავალების თანახმად, ქ.თბილისის მერიასა და საქართველოს ეკონომიკისა

და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს დაევალა ოპერატიულად გაერკვია ქვეყანაში (განსაკუთრებით დედაქალაქში) ნავთის ბაზარზე არსებული მდგომარეობა. კერძოდ, გამოეკვლია ზამთრის ბოლო დღეებში ნავთის ფასის მკვეთრი აწევის გამომწვევი მიზეზები.

საკითხის შესწავლის პროცესში წარმოჩინდა, რომ ბაზარი იყო მონოპოლიზირებული. თუმცა საკანონმდებლო ბაზა ეკონომიკური აგენტის მონოპოლიტად გამოცხადებისა და მასზე შემდგომი დაკვირვების განსახორციელებლად არ იყო ბოლომდე სრულყოფილი (ეს ნორმა მხოლოდ 2000 წლის ბოლოს იქნა მიღებული). ამასთან, გამოჩნდა, რომ ფასის მნიშვნელოვან მატებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ დედაქალაქში, რასაც სხვა გარემოებებთან ერთად იწვევდა (ხელს უწყობდა) აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებელი პირების მხრიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის (შპს „სითბო") ნავთის რეალიზაციის ბაზარზე „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის იგნორირებით დომინირებული მდგომარეობის მინიჭება. კერძოდ, იგნორირებული იყო კანონის მე-10 მუხლის „ე" პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალებოდა მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევდა ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას და არსებითად ზღუდავდა კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამასთან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის – „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ დებულების" მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად რეესტრში შეყვანილი ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი უნდა განხორციელებულიყო მუდმივად, ხოლო ამავე დებულების მე-9 მუხლის პირველი

პუნქტის თანახმად რეესტრი საჭიროებდა აუცილებელ დაზუსტებას წელიწადში ერთხელ.

შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ყოველწლიურად აკვირდებოდა ნავთობპროდუქტების ბაზარზე მიმდინარე პროცესებს და კონკრეტულ წინადადებს აწვდიდა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ზემდგომ ინსტანციებს.

III. საპროცედურო ასპექტები:

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევის შემდეგ აღკვეთილ იქნა დედაქალაქში ნავთის რეალიზაციის ბაზარზე ექსკლუზიური უფლებებით მოსარგებლე კომპანიათა პრივილეგიები და ყველა მეწარმე სუბიექტი ჩაყენებულ იქნა თანაბარ პირობებში.

2001 წლის მეორე ნახევრიდან ნავთის რეალიზაციის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი შეკვანილ იქნა მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში და მასზე დაიწყო ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით განსაზღვრული დაკვირვების პროცედურების განხორციელება (საწარმოსაგან მიღებული კვარტალური და ნახევარწლიური ანგარიშგების ფორმების შესაბამისად). თუმცა კომპანიას ჰქონდა განსხვავებული აზრი მის გეოგრაფიულ საზღვრებთან დაკავშირებით და ითხოვდა მთელი ქვეყნის ტერიტორიის ნაცვლად კონკრეტული ობიექტის დონეზე საზღვრის განსაზღვრას, რაც არ იქნა გაზიარებული რადგანაც მან ვერ წარადგინა დამასაბუთებელი (ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის გამაბათილებელი) დოკუმენტაცია, ხოლო მოგვიანებით კი დააფუძნა (მეწილე გახდა) შპს „Y", რომელიც ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე ეწეოდა იგივე სფეროში სამეწარმეო საქმიანობას.

ამასთან, შპს „X-ოილ"-ის მიერ დარღვეულ იქნა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნები. კერძოდ, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის

შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად – „მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი, სხვა ეკონომიკურ აგენტთან გაერთიანებისას (შერწყმისას), ვალდებულია რეგისტრაციისათვის გაიაროს ანტიმონოპოლიური ექსპერტიზა", ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი – „ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში სასამართლო უარს ეუბნება ეკონომიკურ აგენტს რეგისტრაციაზე გატარებაზე".

ამავე კანონის 23-ე მუხლის თანახმად კი – „მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ეკონომიკური აგენტის (მისი შვილობილი საწარმოს) აქციების ან წილის (პაის) შეძენისას საჭიროა ანტიმონოპოლიური სამსახურის საექსპერტო დასკვნა", რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ დაცულა.

IV. შედეგი:

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევის შედეგად აღკვეთილ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედება და თანაბარ პირობებში იქნა ჩაყენებული ნავთის რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტები.

რაც შეეხება შპს „X-ოილი"-ს საჩივარს, ეს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოგებულ იქნა ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, მაგრამ შემდგომ პერიოდში მეორე და მესამე ინსტანციებში წაგებულ იქნა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა და სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის რეორგანიზაციის რეჟიმში გადართვამ.

IV.2. საქართველოს რკინიგზის მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ [34]

I. რეზიუმე:

საქართველოში სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურმა აგენტმა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზამ" შეუქმნა ხელოვნური ბარიერი შ.პ.ს „X"-ს, რომელსაც იჯარით ჰქონდა აღებული საქართველოს ფოსტისაგან 10 საფოსტო-საბარგო ვაგონი, ფოსტისა და ტვირთების გადაზიდვისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2002 წლის ბოლოსათვის მიღებულ იქნა კანონი „ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ", რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფლებამოსილებანი გარკვეულად შეიზღუდა ტრანსპორტის სფეროში და იგი გადავიდა სატრანსპორტო ადმინისტრაციების კომპეტენციაში.

ვინაიდან სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში აღნიშნული ადმინისტრაცია გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო (საქმის განხილვის პერიოდში) არ შექმნილა, ანტიმონოპოლიურ სამსახურს ჰქონდა შესაძლებლობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში (კონკურენციის სფეროში) ჩარეულიყო რკინიგზის რეგულირების საკითხებში.

II. ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტი:

შ.პ.ს. „X"-მა საჩივრით მომართა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რათა მისთვის დახმარება აღმოეჩინა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის" მხრიდან

სატვირთი გადაზიდვების ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის აღკვეთის საქმეში. კერძოდ, საკითხი ეხებოდა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის" მიერ ეკონომიკური აგენტებისადმი დიფერენცირებული ტარიფების გამოყენებისა და შ.პ.ს. „X"-სთვის ტვირთების გადაზიდვის ბაზარზე ხელშეკრულების გაფორმების გაჭიანურების საკითხებს.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად დომინირებული მდგომარეობის ეკონომიკურ აგენტს ეკრძალებოდა თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით. ფაქტობრივად კი, იყენებდა რა დიფერენცირებულ ტარიფებს, შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა" მომხმარებელთა მიმართ არღვევდა კანონის ამ მოთხოვნას და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მეწარმე სუბიექტებს. ასევე, ამავე კანონთან მოდიოდა წინააღმდეგობაში დომინანტის მხრიდან მეწარმისათვის სამეწარმეო საქმიანობის ხელისშეშლა, რაც გამოიხატებოდა მასთან ხელშეკრულების გაფორმების დაუსაბუთებელ გაწელვაში.

III. საპროცედურო ასპექტები:

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურის ჩარევის შემდეგ შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის მიერ მოწესრიგებულ იქნა სადაო ტარიფების საკითხი და აღკვეთილ იქნა ტვირთების გადაზიდვის ბაზარზე ცალკეული ეკონომიკური აგენტებისათვის დიფერენცირებული ტარიფის გამოყენება,

შ.პ.ს. „X"-ს ტარიფების საკითხის მოწესრიგების პარალელურად კვლავაც სადაო და გადაუწყვეტელი დარჩა დომინირებულ ეკონომიკურ აგენტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში შედგა შეხვედრა ყველა

დაინტერესებული უწყების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

როგორც სხდომაზე გაირკვა, უთანხმოება ძირითადად მდგომარეობდა შ.პ.ს. „X"-ს მიერ იჯარით აღებული ვაგონების კლასის გაურკვევლობაში.

შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა" თანახმა იყო გაეფორმებინა ხელშეკრულება მხოლოდ საფოსტო გადაზიდვებზე იმ მოტივით, რომ ვაგონები განკუთვნილი იყო საფოსტო გადაზიდვებისათვის. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მოძიებული დოკუმენტაციიდან და ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების, მათ შორის „ელექტროვაგონშემკეთებელი" ქარხნის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე გაირკვა, რომ შ.პ.ს. „X"-ის ვაგონები წარმოადგენდნენ „საფოსტო-საბარგო" კლასის ვაგონებს, რომლებიც სრულად აკმაყოფილებდნენ სატვირთო ვაგონებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა კატეგორიულად მოსთხოვა შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზას" ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის დაუყოვნებლივ აღკვეთა და შ.პ.ს „X"-თან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

IV. შედეგი:

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევის შედეგად ეტაპობრივად აღიკვეთა სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან დისკრიმინაციული ფასების გამოყენება და ხელშეკრულების გაფორმების უსაფუძვლო გაჭიანურება, რითაც საბოლოო ანგარიშით გადალახულ იქნა რკინიგზით სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ფაქტები.

IV.3. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ [50]

სადაზღვევო ბაზრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, კონკურენციული გარემოს შეფასების და დაზღვევის ბაზარზე ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით მუდმივად ახორციელებდა დაკვირვებას ამ ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე.

საქართველოში 2001-2004 წლებში სადაზღვევო მომსახურეობის უმეტესი ბაზრები (ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ექსპერტიზის საფუძველზე ჩათვალა, რომ სადაზღვევო მომსახურეობის ბაზრები არაა ჩანაცვლებადი და ამიტომ ისინი განიხილა ცალ-ცალკე ბაზრად) ხასიათდებოდნენ კონცენტრაციის მაღალი დონით (ქვეყანაში მოქმედებდა დაზღვევის 16 სახეობა). ამასთან, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002 წლიდან ამ ბაზრებზე გამოვლენილი იქნა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები, რომლებიც დადგენილი წესის შესაბამისად შეყვანილი იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა სახელმწიფო რეესტრში.

როგორც პრაქტიკამ (ანტიმონოპოლიურ სამსახურში შესული კონკრეტული საჩივრები) აჩვენა, სადაზღვევო ბაზრებიდან ყველაზე ხშირად ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე ჰქონდა ადგილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა (35%-ი და მეტი) ეკავა სადაზღვევო კომპანიას „W", ხოლო ფირნიშის ქვითრების რეალიზაციის ბაზარზე ექსკლუზიური უფლებებით სარგებლობდა კომერციული ბანკი „B".

კომეციულ ბანკი „B" კონკრეტული ხელშეკრულებების საფუძველზე ახდენდა დიაგნოსტიკური სადგურებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიარების ფირნიშების თანხების მისაღებად საჭირო დოკუმენტების, შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაბიუჯეტო შემოსაელების შემოსულობების შესახებ ქვითრების, დღიურების, რეესტრისა და ჟურნალის გაცემას. თუმცა იყო არაერთი ფაქტი იმისა, როდესაც ბანკი ცალმხრივად არღვევდა დიაგნოსტიკურ სადგურებთან დადებულ ხელშეკრულებას ცალკეული სადგურების სასარგებლოდ.

კომერციულ ბანკ „B"-ს მიერ დარღვეული (შეწყვეტილი) ხელშეკრულებების ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის გარკვევის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს 2000 წელს საჩივრით მიმართა დიაგნოსტიკურმა სადგურმა „X"-მა.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის აქტიური ჩარევის შედეგად აღდგენილ იქნა შპს „X"-ს სამეწარმეო საქმიანობა. თუმცა, მოგვიანებით, ბანკმა „B"-მ ჩაატარა ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „Y" და მას მიანიჭა ფირნიშის ქვითრების რეალიზაციის ექსკლუზიური უფლება. შესაბამისად ეხლა უკვე ამ კომპანიის მიმართ გაუჩნდათ პრენტენზიები დიაგნოსტიკურ სადგურებს და უკვე 2001-2002 წლებში შპს „X"-მა და შპს „Z"-მა და სხვა კომპანიებმა დასვეს კონკრეტული საკითხები ანტიმონოპოლიური სამსახურის წინაშე. კერძოდ, თუ რამდენად კანონიერი იყო ბანკის მხრიდან შპს „Y"-სათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭება და რამდენად შეესაბამებოდა ქვეყანაში მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას მისი მხრიდან დიაგნოსტიკურ სადგურებთან ხელშეკრულებების დადების გაჭიანურება.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა საკითხის შესწავლის შემდეგ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ბ" და „თ" პუნქტების დარღვევას (კერძოდ, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ამ მუხლის შესაბამისად ეკრძალებოდა სხვა ეკონომიკური აგენტისათვის ბაზარზე შეღწევის ან ბაზრიდან გამოსვლის, აგრეთვე ბაზარზე უკვე მოქმედი ეკონომიკური აგენტის საქმიანობისათვის ხელის-შემშლელი პირობების შექმნა; ასევე ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც იწვევდა კონკურენციის შეზღუდვას ან ეკონომიკური აგენტისა თუ მომხმარებლის კანონიერი ინტერესების შელახვას) და ამავე კანონის 22-ე მუხლის თანახმად (თუ ანტიმონოპოლიური სამსახური დაადგენდა ეკონომიკური აგენტის მიერ მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტს, მას შეეძლო დაევალდებულებინა ეკონომიკური აგენტი აღეკვეთა არსებული მდგომარეობა) მან დაავალდებულა შპს „Y" შეეწყვიტა ტექნიკური დათვალიერების დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობის შეფერხება რაც ტექნიკური დათვალიერების ფირნიშის ქვითრების მიუწოდებლობაში გამოიხატებოდა.

საბოლოოდ სამსახურის მიწერილობის შემდეგ კონკრეტული დიაგნოსტიკური ცენტრების წინაშე მდგარი პრობლემა მოწესრიგებულ იქნა. კერძოდ, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ საკითხის გადამოწმების პროცესში შპს „Y"-ს ყველა დიაგნოსტიკურ ცენტრში (სულ 22 ცენტრი იყო) ჰყავდა უკვე წარმომადგენელი.

მოგვიანებით, ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე ფირნიშის ქვითრების რეალიზაციის მომსახურე ბანკი შეიცვალა (შესაბამისად შპს „Y"-საც ჩამოერთვა შესაბამისი ფუნქცია), რის შემდეგაც სადაზღვეო კომპანია „W"-დან სამსახურში შევიდა საჩივარი, რომლითაც ითხოვდა კომერციულ ბანკ „K"-

სა და ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიას („W“-ს კონკურენტ კომპანიას) შორის არსებული ფარული გარიგების შესწავლას (ბანკი მომხმარებლებზე ახდენდა ფირნიშის ქვითრების რეალიზაციას მხოლოდ ამ კონკრეტული სადაზღვევო კომპანიის პოლისის წარმოდგენის შემდეგ) და მასზე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებას.

საკითხის შესწავლის შემდეგ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მოსთხოვა მიწერილობის საფუძველზე კომერციულ ბანკ „K”-ს დარღვევის დაუყოვნებლივი აღკვეთა („მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის დარღვევის აღკვეთა) . შესაბამისად ბანკ „K”-ს ცენტრალურმა ოფისმა 2002 წლის 11 ნოემბრის წერილით დაავალდებულა თავისი ფილიალების მმართველები პირად კონტროლზე აეყვანათ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაბიუჯეტო შემოსავლების მიღებისას მოქალაქეების საბანკო მომსახურების კანონის დაცვით განხორციელება და გამოერიცხათ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ოპერატიული ჩარევის შემდეგ, ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე, აღკვეთილ იქნა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის რამოდენიმე ფაქტი, რომელიც მდგომარეობდა დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან მათი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში.

IV.4. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მინერალური წყლების ბაზარზე [19]

I. რეზიუმე:

საქართველოში მინერალური წყლების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი „X" უქმნიდა ხელოვნურ ბარიერებს სხვა ეკონომიკურ აგენტებს, მინერალურ წყალ „ჯორჯიას" წარმოებაში.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2001 წლიდან (სამსახურის მიერ კომპანიის დომინირებულად გამოვლენიდან) 2005 წლამდე მიმდინარეობდა სასამართლო დავა სამსახურსა და კომპანიას შორის მის დომინირებულ მდგომარეობის მქონედ აღიარებასთან დაკავშირებით, რაც არ იძლეოდა საშუალებას გატარებულ ყოფილიყო შესაბამისი ღონისძიებები დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენციის შემზღუდავი პრაქტიკის წინააღმდეგ.

II. ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტი:

მინერალური წყლის ბაზარზე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს საჩივრით მომართა ქართულ-უცხოურმა ერთობლივმა საწარმომ 'XX"-მა. საკითხი ეხებოდა „X"-ის მიერ მომჩივანი მხარისათვის მინერალურ წყალ „ჯორჯიას" რესურსის ათვისებაში ხელისშეშლას.

კერძოდ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჩატარებული კონკურსის შედეგების მიხედვით, მინერალურ წყალ

„ჯორჯიას" სარგებლობაზე გაიცა გრძელვადიანი ლიცენზია (ათი წლით) ერთადერთ კომპანიაზე „X"; ამასთან, ამ ბაზარზე კონკურენტული გარემოს ფორმირება სამინისტროს აზრით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო სხვა ეკონომიკურ აგენტებთან (რომლებსაც 2000 წლამდე დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოები მაქსიმუმ ერთწლიან ლიცენზიებს აძლევდნენ) ლიცენზიანტი ეკონომიკური აგენტის მიერ პარტნიორული ხელშეკრულების გაფორმების გზით, რასაც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური არ ეთანხმებოდა და არაერთგზის მოითხოვდა შესაბამისი სახელმწიფო ინსტანციებიდან აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას.

„მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკრძალებოდა თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ბაზრის სხვა მონაწილეთა დისკრიმინაციის მიზნით; ფაქტობრივად კი ეკონომიკურ აგენტებს წიაღით სარგებლობის უფლებას აძლევდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო „X"-ის თანხმობის შემთხვევაში და თანაც მხოლოდ 3-4 თვით, რაც „ჯორჯიას" მწარმოებელ დანარჩენ კომპანიებს უზღუდავდა თავისუფლად განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ხანგრძლივი ვადით კონტრაქტების გაფორმებას, რითაც „X" აკონტროლებდა კონკურენტი ეკონომიკური აგენტების წარმოების მოცულობას, რაც ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას და ზღუდავდა კონკურენციის განვითარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „X"-ს იმ პერიოდში არც ერთხელ არ შეუსრულებია კონკურსის პირობები „ჯორჯიას" სასაქონლო რესურსის (დებიტის) სრულად ათვისებაზე და იმავდროულად ის ხელს უშლიდა სხვა ეკონომიკურ აგენტებს ბაზრის ათვისებაში.

III. საპროცედურო ასპექტები:

დადგენილი წესის შესაბამისად ,,საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენის მეთოდური რეკომენდაციების" საფუძველზე საბაჟო, სტატისტიკისა და საგადასახადო დეპარტამენტებიდან, „საქმინხილწყალიდან" და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიღებული ინფორმაციისა და შერჩევითი გამოკვლევის მასალების საფუძველზე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჩათვლილ იქნა რა მინერალური წყლების ბაზარი ცალკე ბაზრად, დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად გამოვლენილ იქნა „X".

აღნიშნულმა კომპანიამ გააპროტესტა სასამართლოში ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილება მისი დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად აღიარებასთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ „ჩრდილოვანი" სექტორის გათვალისწინებით მისი საბაზრო წილი არ აღემატებოდა სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას 35%-ს. რეალურად კი სამსახურის გათვლებით კომპანიის წილი მონოპოლისტად აღიარებისათვის დადგენილ მოცულობას 2-ჯერ აღემატებოდა.

სასამართლო დავისას (პირველ ინსტანციაზე) კომპანიის დომინირებული მდგომარეობა დადასტურდა, თუმცა სასამართლომ სამსახურის გამამტყუნებელი დადგენილება მაინც გამოიტანა დომინანტი ეკონომიკური აგენტის გამოვლენის საპროცედურო საკითხების დარღვევის მოტივით, რაც თავის მხრივ სამსახურის მიერ გასაჩივრებულ და 2003 წლის ბოლოს მოგებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოში, თუმცა სასამართლო დავა (მათ შორის ზემდგომ ინსტანციაში) გაჭიანურებულ იქნა 2005 წლამდე, რაც სამსახურს არ აძლევდა საშუალებას რეალურად გაეტარებინა ქმედითი ღონისძიებები (კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო დავის პროცესი აჩერებდა ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებათა აღსრულებას).

IV. კონკურენტული სიტუაციის ანალიზი:

ა) ბაზრის განსაზღვრა (სასაქონლო და გეოგრაფიული ასპექტები)

შესაბამისი კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და კვალიფიციური ექსპერტების, ასევე ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ განხორციელებული სოციოლოგიური გამოკვლევის (3500 რესპოდენტი) შედეგების საფუძველზე ბაზრის პროდუქტიულ საზღვრებად ურთიერთჩანაცვლებადობის პრინციპის გათვალისწინებით მიჩნეულ იქნა **მინერალური წყლების ბაზარი.** ამასთან, საანალიზო პროდუქციის სპეციფიკისა და ქვეყნისათვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე (საქართველოში ღვინოსთან ერთად სუფრის განუყოფელ ნაწილს შეადგენს მინერალური წყალი „ჯორჯია") ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრებად ჩაითვალა საქართველოს ტერიტორიული საზღვრები.

ბ) ბაზრის სტრუქტურა, ე.ი. საბაზრო წილი

2000-2004 წლების პერიოდში ცალკეული წლების მიხედვით საქართველოს მინერალური წყლების ბაზარზე ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ფუნქციონირებდა 12-16 ეკონომიკური აგენტი. მათ შორის „X"-ის ხვედრითი წილი ამ ბაზარზე 2001-2004 წლებში ყველანაირი გაანგარიშებებით შეადგენდა არანაკლებ 65-80%-ს, რაც მის დომინირებულ მდგომარეობასა და დიდ საბაზრო ძალას ცალსახად უსვამდა ხაზს.

გ) ბაზარზე დაშვების ბარიერები

„X"-ს, გააჩნდა რა დიდი საბაზრო ძალა და გრძელვადიანი (გენერალური) ლიცენზია მინერალური წყალ „ჯორჯიას" დებიტის ათვისებაზე და იმავდროულად იყენებდა რა თავის დამოკიდებულებას (კოორდინირე-

ბული მოქმედება) ს/ს „ჯორჯიამინწყლებთან", ქმნიდა ბარიერებს როგორც მომხივანი, ასევე სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის მინერალური წყლის თავისუფალი რესურსის ათვისებაში.

დ) მოსალოდნელი კანონდარღვევის ხასიათი

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ბაზრის ანალიზისა და მომხივანი მხარის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მიიჩნია, რომ სახეზე იყო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10, მე-12 და მე-13 მუხლების დარღვევა, რაც უკავშირდებოდა:

– აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რაც ზღუდავდა კონკურენციას;

– კოორდინირებულ მოქმედებას არაკონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას;

– დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

ე) სამართალდარღვევის მოსალოდნელი შედეგები

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურმა მიიჩნია, რომ თუ არ მიენიჭებოდა „X"-ს დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის სტატუსი და არ შეწყდებოდა კოორდინირებული მოქმედება „X"-სა და ს/ს „ჯორჯიამინწყლებს" შორის, სახეზე იქნებოდა მინერალური წყლების არაკონკურენტული ბაზარი, რესურსების არაკონკურენტული ათვისება და სასაქონლო პროდუქციაზე მონოპოლიური ფასი.

V. შედეგი – (რეკომენდაციები და დასკვნები):

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურს მიაჩნდა, რომ მინერალური წყლების ბაზარზე არსებული პრობლემების მოწესრიგების მიზნით, უნდა შექმნილიყო ამ სფეროში არსებული პრობლემების შემსწავლელი სპეციალური უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც სრულყოფილად უნდა წარმოეჩინა ამ ბაზარზე რეალურად არსებული სურათი, პრობლემები და მთავრობისათვის განსახილველად წარედგინა პრობლემების მოწესრიგების კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა. პროგრამაში ასახული უნდა ყოფილიყო წინადადებები წარმოების პროცესის სახელმწიფოებრივი კონტროლის მექანიზმების გაძლიერების, წარმოების პროცეს'ში დასაქმებული ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმების აღმოფხვრისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის.

IV.5. კონკურენციის შეზღუდვა უბაჟო ვაჭრობის ბაზარზე [46]

1996 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოში საჩივარი შევიდა ჰოლანდიური კომპანია „X“-გან, რომელიც ეხებოდა შვეიცარიული კომპანიის „Y“-ს მიერ თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე ჰოლანდიური კომპანიის კუთვნილი „დუტი-ფრის“ ტიპის მაღაზიის საქმიანობის შეჩერებას და ითხოვდა გარკვეულიყო თუ ყოველივე ეს რამდენად შეესაბამებოდა ქვეყანაში მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას და შეთანხმება თბილისის აეროპორტის დირექციასა და „X“-ს შორის იყო თუ არა კანონიერი.

სახელმწიფო საწარმო თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და „X“-ს შორის 1996 წლის 5 ივნისს დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად „X“ კომპანიას ენიჭებოდა თბილისის აეროპორტის მოფრენის ზონაში საქონლით უბაჟო ვაჭრობის კონცესია ხუთი წლის ვადით.

ამასთან, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ 1996 წლის 12 სექტემბერს გაიცა ლიცენზია, რომლის თანახმადაც „X“ კომპანიას უფლება ეძლეოდა უბაჟო ვაჭრობის ტიპის მაღაზიის გახსნის თაობაზე თბილისის სახელმწიფო აეროპორტის მოფრენის ზონაში.

ხელშეკრულების დადებისა და ლიცენზიის მიღების შემდეგ „X“ კომპანიამ დაიწყო პროექტის განხორციელება, მაგრამ შვეიცარიულმა კომპანია „Y“-მა გამოთქვა პრეტენზია, რომ მას გააჩნდა საქონლის გაყიდვის ექსკლუზიური უფლება „დუტი-ფრის“ მაღაზიების სისტემაში აეროპორტის მთელ ტერიტორიაზე.

შვეიცარიული კომპანია „Y“-სა და თბილისის სახელმწიფო აეროპორტს შორის 1996 წლის 15 თებერვალს დადებული იყო ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ შეთანხმებული იყო საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტთან.

ამ შეთანხმების I.1 - პუნქტის შესაბამისად, „Y“ კომპანიას გამოყოფილი ჰქონდა აეროპორტის გაფრენის ზონაში 148.1 კვ.მ ფართობი, საიდანაც მაღაზიას ეკავა 114 კვ.მ, ხოლო დანარჩენი ოფისსა და საწყობს. „Y“ ფირმას მაღაზიის ტერიტორიაზე, ანუ 114 კვ.მ ფართობზე ენიჭებოდა ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება, როგორც ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას. აღნიშნული გამყარებული იყო ამავე ხელშეკრულების I.2 – პუნქტით, რომელიც ამ კომპანიას ანიჭებდა კომპეტენციის ფარგლებში ექსკლუზიური მართვის უფლებას.

ასევე, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული იყო ლიცენზია, რომლის თანახმადაც „Y“ კომპანიას ეძლეოდა უფლება დაეფუძნებინა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე უბაჟო ვაჭრობის ტიპის მაღაზია.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარმა სამმართველომ განიხილა რა ზემოთ მოყვანილი პრობლემა მიიღო გადაწყვეტილება (რომელიც №4-2/54 წერილით 1996 წლის 30 აგვისტოს ეცნობა „X“ კომპანიის ხელმძღვანელობას), რომელიც ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად ადასტურებდა „X“ კომპანიასა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტს შორის დადებული ხელშეკრულების კანონზომიერებას, რამდენადაც, ჯერ ერთი, ხელშეკრულება თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და შეეიცარიულ „Y“ კომპანიას შორის დადებულ იყო მგზავრთა თვითმფრინავში გადაყვანის ზონაში, ხოლო ჰოლანდიურ „X“ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ანალოგიური ტიპის მაღაზიის გახსნას მგზავრების ჩამოფრენის ზონაში. ეს ორი შემავალი და გამომავალი ტერმინალი განლაგებული იყო თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ორ სხვადასხვა ნაგებობაში ერთმანეთის გვერდით (თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დირექცია განიხილავდა ჩამოფრენისა და გამგზავრების დარბაზებში

განლაგებულ ტერმინალებს, როგორც ორ ტერმინალს და არა როგორც ერთს).

მეორეც, თბილისის აეროპორტის დირექციას არ ჰქონდა უფლება მიეკისრებინა I.2 მუხლით წარმოდგენილი უფლებამოსილებები შვეიცარიული კომპანიისათვის, რადგან „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იგი ითვლებოდა ქვეყნის პარლამენტის პრეროგატივად.

1996 წლის 10 სექტემბერს შვეიცარიულმა კომპანიამ შეიტანა სარჩელი (საქმე №14/64) უმაღლეს საარბიტრაჟო სასამართლოში ჰოლანდიური „X“ კომპანიისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტს შორის არსებული ხელშეკრულების უკანონოდ ცნობის თაობაზე. ამ სარჩელის დასაბუთება ხდებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და შვეიცარიულ კომპანიას შორის 1996 წლის 15 თებერვალს დადებული ხელშეკრულების I.2 – პუნქტის საფუძველზე.

საქართველოს უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო არ დაეთანხმა აეროპორტის დირექციის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ მომჩივანს გამოყოფილი ჰქონდა ფართობი მგზავრთა გაფრენის ტერმინალში, რადგან მომჩივნის მიერ წარმოდგენილი იყო 1996 წლის 15 თებერვლის ხელშეკრულების დამატება, რომლის თანახმადაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა კომპანია „Y“-ს იჯარით გადასცა სავაჭრო და დამატებითი ფართობი მგზავრთა მოფრენის ტერმინალში უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის გასახსნელად.

აღნიშნულ დამატებაში მითითებულია, რომ ყველა იურიდიული და ფინანსური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გამოყოფილი ფართობის ექსპლუატაციასთან, განსაზღვრულია ძირითადი ხელშეკრულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უმაღლესმა საარბიტრაჟო სასამართლომ 1996 წლის 23 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მომჩივანის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდა.

ამის შემდეგ ჰოლანდიურმა „X“ კომპანიამ მიმართა ანტიმონოპოლიურ სამსახურს საქმეში ჩართვის თხოვნით.

ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა განიხილა რა ზემოთ მოცემული და დამატებითი მასალა, გააკეთა დასკვნა, რომ საქართველოს უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო სამართლიანი, რადგან, ***ჯერ ერთი*** – გამოვლინდა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე „დუტი-ფრის“ ტიპის მაღაზიის განლაგებისათვის არავითარი ტენდერი არ ჩატარებულა (ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, მისი ჩატარება სახელმწიფო დონეზე იყო აუცილებელი) და ე.ი. შვეიცარიული კომპანია „Y“ სრულიადაც არ წარმოადგენდა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას.

მეორე - შეთანხმების I.2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების მინიჭება კომპანიისათვის აღემატებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის უფლებებს (იგი წარმოადგენდა მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივას). ***მესამე*** - შეთანხმება თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და ჰოლანდიურ კომპანიას შორის, აეროპორტის დირექციის მიერ ითვალისწინებდა ცაკლე გამოყოფილ ფართობს და არა შვეიცარიული კომპანიისათვის გადაცემულ 148.1 კვ.მ ფართობს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მოითხოვა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დირექციასა და კერძო ფირმებს შორის ყველა ადრე დადებული ხელშეკრულებების გადახედვა და მათი ქვეყნის კონკურენციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

IV.6. სიხშირეთა განაწილების სფეროში „ტელერადიოცენტრი“-ს მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება [31]

1996 წლის ოქტომბერში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ სამმართველოში დამოუკიდებელი ტელეკომპანია „X“-ის პრეზიდენტისგან შევიდა წერილი (საჩივარი), რომელშიც განხილული იყო კავშირგაბმულობის სამინისტროს მხრიდან ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. კერძოდ, მითითებული იყო საქართველოს „ტელერადიოცენტრი“-ს ტელეკომპანიის მიმართ არაკორექტული დამოკიდებულების შესახებ, რაც გამოიხატებოდა მომსახურების ტარიფების დაუსაბუთებელ ზრდაში, უხარისხო მომსახურებაში და სხვა.

გარდა ამისა, მითითებული იყო, რომ სარგებლობდა რა თავისი მონოპოლიური მდგომარეობით, საეთერო სივრცისა და დროის განაწილების სფეროში, „ტელერადიოცენტრი“ სთავაზობდა მომსახურებას მხოლოდ მისთვის სასურველ პირობებზე. ადგილი ჰქონდა „X“ ტელეკომპანიის დისკრიმინაციის შემთხვევასაც, რაც გამოიხატებოდა მომსახურების განსხვავებულ პირობებში, განსხვავებულ ტარიფებში და სხვა.

დამოუკიდებელი ტელეკომპანია „X“ უარს ამბობდა შეთავაზებულ პირობებზე რამდენიმე მიზეზით:

1. რესპუბლიკური სივრცის გამოყენების მაღალი ტარიფები – 120 ლარი (100 აშშ დოლარი) საათში;

2. ტელეგადაცემის ხარისხის კონტროლირების შეუძლებლობა;

3. კავშირის მოსალოდნელი გათიშვები ქვეყნის ენერგოსისტემის მდგომარეობიდან გამომდინარე და ა.შ.

მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის თანახმად, იკრძალებოდა ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, არ დაიშვებოდა ისეთი მოქმედებები, როგორიცაა ფასების დაუსაბუთებელი ზრდა (შემცირება), კონტრაგენტისათვის შეთანხმების ისეთი პირობების თავს მოხვევა, რომლებითაც თვითონ არაა დაინტერესებული ან რომლებიც არ განეკუთვნებოდა შეთანხმების საგანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური ორგანო მივიდა დასკვნამდე: ტელეკომპანია „X"-ს უფლება ჰქონდა მოეთხოვა „ტელერადიოცენტრთან" არსებული შეთანხმების გადახედვა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა (ან ახალი კონტრაქტის გაფორმება საკუთარი კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით). გარდა ამისა, კავშირგაბმულობის სამინისტრო წარმოადგენდა მონოპოლიურ სუბიექტს და ის შეყვანილი იყო მონოპოლიურ საწარმოთა რეესტრში. შესაბამისად, საკითხის გამოსაძიებლად ანტიმონოპოლიურმა ორგანომ თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კავშირგაბმულობის სამინისტროსგან მოითხოვა კონტრაქტების (მომსახურებაზე) ასლების წარმოდგენა, რომელიც გაფორმებული იყო ტელეკომპანიებთან, რაც არ იქნა შესრულებული. მეორეს მხრივ ტელეკომპანია „X"-მა წარადგინა „ტელერადიოცენტრთან" გაფორმებული კონტრაქტების ასლი.

პირველი კონტრაქტის პირობებით ტელეკომპანია „X" სარგებლობდა მხოლოდ ქალაქ თბილისის გადამცემით და იხდიდა 12 ლარს (10 აშშ დოლარს) საათში. საკონტრაქტო ვადის გასვლის შემდეგ, ტელეკომპანიამ „X"-მა მოისურვა კონტრაქტის გაგრძელება იგივე პირობებით, მაგრამ მიიღო უარი. „ტელერადიოცენტრი" სთავაზობდა თავის მომსახურეობას მხოლოდ დამატებითი პირობებით, კერძოდ: კომპანიას უნდა გამოეყენებინა რესპუბლიკური სივრცე. თავისი საქმიანობის მაჩვენებლებით (მომსახურების ფასი, მომსახურებათა ხარისხი, რენტაბელობა) კავშირგაბმულობის სამინისტრო

წარმოადგენდა მუდმივი ანტიმონოპოლიური კონტროლის ობიექტს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ანტიმონოპოლიურმა ორგანომ მიმართა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს მიწერილობით, კონტრაქტში ტელეკომპანია „X“-ის ინტერესების გათვალისწინებით ცვლილებათა შეტანის შესახებ.

მიწერილობის კეთილსინდისიერ შესრულებაზე უარის შემთხვევაში ანტიმონოპოლიური ორგანო ითვალისწინებდა საქმის განხილვას, თუმცა, ეს უკიდურესი ზომა საჭირო არ გახდა საკითხის მოგვარების გამო.

IV.7. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ უცხოური კერძო კომპანიისათვის ექსკლუზიური უფლებების უკანონოდ მინიჭების შესახებ [32]

1998 წლის 11 თებერვლის №5-07/455 წერილით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს აცნობა ქ.ბელცის (მოლდოვა) ღვინის „X" კომბინატისათვის ქართული ღვინის წარმოების ექსკლუზიური უფლების მინიჭების შესახებ. აღნიშნულთან ერთად მიღებულ იქნა მოლდოვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის წერილი, უკრაინასა და მოლდავეთში საქართველოს საელჩოს მოთხოვნის შესახებ – ქართული წარმოშობის ღვინოების ფალსიფიკაციის აღკვეთისა და შესაბამისად მოლდოვას ტერიტორიაზე მათი რეალიზაციის პროცესში საქართველოს კანონიერი უფლებების აღდგენის თაობაზე. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირების სახელმწიფო დეპარტამენტ „სამტრესტის" მიერ 1997 წლის 24 ივლისის №72 წერილით ბელცის „X" კომბინატისათვის გადაცემული ჰქონდა ქართული სავაჭრო და სასაქონლო ნიშნების, ასევე „სამტრესტი"-ს ტრადიციული ეტიკეტების გამოყენების ექსკლუზიური უფლებები მოლდოვის ტერიტორიაზე.

1997 წლის 31 ივლისს გაფორმებულ იყო შეთანხმება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან არსებულ მევენახეობისა და მეღვინეობის რეგულირების სახელმწიფო დეპარტამენტ „სამტრესტსა" და ქ.ბელცის ღვინისა და კონიაკის „X" კომბინატს შორის, ღვინის პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მათ შორის 150 000 დეკალიტრი ქართული ღვინისა, რომელთაგან 50 000 დეკალიტრი ქართულ მშრალ ღვინოს ითვალისწინებდა, ხოლო 100 000 დეკალიტრი წითელ ნახევრად მშრალს.

მითითებული საქონელი დეპარტმენტ „სამტრესტს“ უნდა მიეწოდებინა მეორე მხარისათვის. ამასთან, საქონლის ხარისხთან დაკავშირებით წამოყენებულ იყო საკმაოდ უცნაური მოთხოვნა – რუსეთის ფედერაციაში მოქმედი იმპორტული საქონლის სერთიფიცირების ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობა.

იგივე შეთანხმებით (მუხლი 7, პუნქტი 7.1 „დ“) დეპარტამენტი იღებდა ვალდებულებას განეხილა საკითხი მიმღებისათვის, ალკოჰოლიანი პროდუქციის ჩამოსხმაზე, ე.ი. მოლდოვის ტერიტორიაზე სამრეწველო წარმოების ექსკლუზიური უფლების გადაცემის შესახებ, ქართული საეაჭრო და სასაქონლო ნიშნების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი უკვე განხილული იყო და დეპარტამენტ „სამტრესტს“ 1997 წლის 24 ივლისის №72 წერილით (შეთანხმების გაფორმებამდე შვიდი დღით ადრე) ალკოჰოლის შემცველი პროდუქციის მოლდოვის ტერიტორიაზე ჩამოსხმის, ქართული სასაქონლო და სავაჭრო ნიშნების და „სამტრესტის“ ტრადიციული ეტიკეტების ექსკლუზიური უფლება უკვე გადაცემული ჰქონდა ბელცის „X“ კომბინატისათვის. შემდგომში ეს ფაქტი დადასტურდა „სამტრესტის“ 1997 წლის 4 ნოემბრის №115 წერილით (ბელცის ქარხნისათვის) და №116 წერილით (მოლდოვის სოფლის მეურნეობის მინისტრთან გაგზავნილი), რომლებშიც „სამტრესტი“ გარდა ზემოთ აღნიშნული უფლებისა, მოლდავეთის მხარეს გადასცემდა:

„. . . ქართული ალკოჰოლური პროდუქციის წარმოების, ჩამოსხმის, რეალიზაციისა და დასახელებათა გამოყენების ექსკლუზიურ უფლებას მოლდოვას ტერიტორიაზე“ (ციტატა წერილიდან).

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მიერ უკრაინაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისადმი გაგზავნილ წერილში მოყვანილი იყო ის ფაქტი, რომ ბელცის „X“ ქარხანასთან დადებული იყო ხელშეკრულება 150 000 დეკალიტრი ღვინის შესყიდვის თაობაზე, ქართულ-ამერიკული ერთობლივი საწარმოს

„Y“-ის მიერ, რაც ამ უკანასკნელის განცხადებით არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და „Y“ საწარმოს არ ჰქონდა გაფორმებული ეს ხელშეკრულება. ასევე, წერილში აღნიშნული იყო, რომ ბელცის „X“ ქარხანას ჰქონდა ჩამოსხმის განხორციელების სრული უფლება, რაც შეეხება რეალიზაციას, გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად (მხედველობაში არის აღნიშნული №75 ხელშეკრულება) მოლდავური მხარე არ იზღუდება ბაზრის შესარჩევად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისათვის.

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (მე-10 მუხლი) უკრძალავდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა) მიეღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევდა ეკონომიკური აგენტებისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავდა კონკურენციას და თავისუფალ ფასწარმოქმნას. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 165[3]) ითვალისწინებდა ამგვარი ქმედებისათვის დასჯას. ასევე, საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ ვრცელდებოდა იმ ურთიერთობებზე, რომლებიც მოქმედებდნენ კონკურენციაზე სასაქონლო ბაზრებზე და რომლებში მონაწილეობას იღებდნენ საწარმოები და ფიზიკური პირები (მათ შორის უცხოური პირები), საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები: სამინისტროები, სხვა სახელმწიფო დაწესებულებები და უწყებები, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოები ყველა ტერიტორიულ დონეზე (მუხლი 4, პუნქტი 1).

კანონი ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზეც, როდესაც ზემოაღნიშნულ პირებს შორის დადებული შეთანხმება ან საქმიანობა საქართველოს ფარგლებს გარეთ

ზღუდავდა (ან შეეძლო შეეზღუდა) კონკურენცია ან უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე (მუხლი 4, პუნქტი 2).

საქართველოს პარლამენტს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ჰქონდა უფლება ნაწილობრივ ანდა მთლიანად არ გაევრცელებინა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოქმედება საქმიანობის ცალკეულ სახეობებზე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა დაადგინა, რომ ბელცის „X“ ქარხნისათვის ქართული ღვინის წარმოებაზე ექსკლუზიური უფლების მინიჭება კანონსაწინააღმდეგოა და ზიანს აყენებდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს კანონის 21-ე მუხლის (პუნქტი „ბ“) შესაბამისად. „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ამ კანონის დამრღვევი ორგანოსაგან მის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეეძლო დაეყენებინა საკითხი შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა თავისი უფლებამოსილების საზღვრებში სახელმწიფო დეპარტამენტ „სამტრესტს“ გაუგზავნა მიწერილობა: მოლდოვას „X“ კომბინატთან დადებული №75 ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. კერძოდ, ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მოითხოვა მოლდოვის ტერიტორიაზე ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევით ტრადიციული სავაჭრო და სასაქონლო ნიშნების და „სამტრესტის“ ეტიკეტების გამოყენებით, ქართული ღვინის წარმოებასა და რეალიზაციაზე გადაცემული ექსკლუზიური უფლებების გაუქმება.

ისმის კითხვა, თუ რა ზიანი და ვისთვის შეეძლო მიეყენებინა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ამ ქმედებას?

გარდა ბიუჯეტისათვის უკვე დაკარგული მილიონობით ლარისა, მომავალში მას შეეძლო გამოეწვია:

1. კონკურენციის შეზღუდვა დსთ-ს ღვინის სასაქონლო ბაზარზე;

2. ბარიერების შექმნა ქართველი მწარმოებლებისათვის დსთ-ს ღვინის ბაზარზე შესვლისას;

3. ფალსიფიკაციის ფაქტებიდან გამომდინარე, ე.ი. მაღალი სტანდარტებისა და ტრადიციებისადმი შეუსაბამობის გამო, ქართული ღვინის როგორც მაღალხარისხოვანი პროდუქციის პრესტიჟის შელახვა.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიწერილობის პასუხად „სამტრეტმა" მიმართა ქ.თბილისის რაიონულ სასამართლოს და აღძრა სარჩელი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიწერილობის კანონსაწინააღმდეგოდ აღიარების მოთხოვნით. 1998 წლის 27 აპრილს თბილისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფო დეპარტმენტ „სამტრესტის" სასარგებლოდ.

მოსამართლემ მოახდინა - „ნორმატიული აქტების შესახებ" და „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონების და რაც მთავარია საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნათა იგნორირება დააყენა რა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბრძანება (რომლითაც დამტკიცებული იყო სახელმწიფო დეპარტმენტ „სამტრესტი"-ს დებულება) მათზე ზემოთ.

რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოქმედებათა არამართლზომიერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურმა დააკავა (შოგილოვ-პოდოლსკის რკინიგზის საბაჟო პუნქტი) რუსეთის ფედერაციისათვის განკუთვნილი 220 000

ბოთლი ფალსიფიცირებული ქართული ღვინის („ქინძმარაული“ და „ალაზნის ველი“) ექსპორტი მოლდავეთიდან. უკრაინის სახელმწიფო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით ამ პროდუქციას გააჩნდა მოლდავეთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის ფილიალის მიერ გაცემული სერტიფიკატი, ხოლო ღვინის ექსპორტს ახორციელებდა მოლდავეთის „X“ კომბინატი.

ამასთან, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, მოლდავეთიდან ექსპორტისათვის მზად იყო კიდევ 400 000 ბოთლზე მეტი ფალსიფიცირებული ღვინო ქართული სავაჭრო მარკების გამოყენებით. მაშინ როცა, შეთანხმების გაფორმების შემდეგ 1998 წლის 8 თებერვლამდე საქართველოდან მოლდავეთში შიწოდებული იყო მხოლოდ 23 000 ლიტრი ღვინო, რაც საშუალებას იძლეოდა ჩამოსხმული იყო არაუმეტეს 30 000 ბოთლისა.

აღნიშნულის პარალელურად, გამოიყენა რა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა საკასაციო სარჩელით მიმართა იმავე რაიონის სასამართლოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების არასამართლიანად აღიარების თაობაზე. მაგრამ სამწუხაროდ, ქ.თბილისის, სასამართლო კოლეგიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მხარი დაუჭირა ქ.თბილისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რითაც ფაქტობრივად დაკმაყოფილებულ იქნა სახელმწიფო დეპარტამენტ „სამტრესტის“ სარჩელი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური იძულებული იყო გამოეყენებინა ბოლო შესაძლებლობა და მიემართა საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის, რაც გაკეთდა 1998 წლის 27 ოქტომბერს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში პროცესის ჩატარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1999 წლის 29

იანვრისათვის, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო პრეზიდიუმის №279 გადაწყვეტილების ანულირების შესახებ (ისევე როგორც დედაქალაქის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 27 აპრილის №2/646 გადაწყვეტილება და ქ.თბილისის სამოქალაქო საქმეების საქალაქო კოლეგიის 1998 წლის 22 მაისის №05-406-98 გადაწყვეტილება) და საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიწერილობის (1998 წლის 23 მარტის №2-2/30) კანონიერების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით წერტილი დაესვა მთელი წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და სახელმწიფო დეპარტამენტ „სამტრესტს“ შორის მიმდინარე სასამართლო დავას.

IV.8. რეგიონის სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა [27]

შიდა ქართლის სამხარეო ანტიმონოპოლიურ სამსახურში შესული იყო საჩივარი ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის სფეროში მოქმედი სადაზღვეო კომპანიებისაგან ადგილობრივი თვითმმართველობის იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც ხელს უშლიდნენ კონკურენციას. კერძოდ, 1998 წლის ივლისში შიდა ქართლის რეგიონალურ ანტიმონოპოლიურ სამსახურში შევიდა საკოორდინაციო საბჭოს სპიკერის წერილი, რომელშიც მითითებული იყო ქ.გორის მერის ოფიციალური წერილის არამართლზომიერ ხასიათზე. ამ წერილით მერი მიმართავდა რაიონის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რეკომენდაციით სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, დაეზღვიათ ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებები სადაზღვევო კომპანია „X“-ში (სახელმწიფო კომპანია).

სამხარეო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა შეისწავლა საკითხი და ქალაქის მერის მიმართვა შეაფასა როგორც კონკურენციისა და მომხმარებლის თავისუფალი არჩევნის შემზღუდველი, რაც ეწინააღმდეგებოდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს (მუხლი 10, პუნქტი „ბ“ და „ე“). კერძოდ, აღნიშნული მუხლით სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალებოდა:

(ბ) დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას.

(ე) მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ეს უკანასკნელი იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური

მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ხელუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ხელისუფლების ორგანოების ამგვარი ქმედებები ეწინააღმდეგებოდა სხვა საკანონმდებლო აქტებსაც. მათ რიცხვში: საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს: „დაზღვევის შესახებ", „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ", „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ".

„ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილმა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევამ გამოიწვია ამ ბაზარზე მოთხოვნილების ფორმირება შესაბამის პოლისებზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, იმავე კანონით აკრძალული იყო ტექნიკური დათვალიერების ქვითრის გაცემა სადაზღვევო პოლისის გარეშე. ამასთან ერთად, „დაზღვევის შესახებ" კანონის მე-6 მუხლით სავალდებულო დაზღვევა შეეძლო განეხორციელებინა საქართველოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის შესწავლისას, დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახურის მიერ შესაბამისი სადაზღვევო საქმიანობის დაზღვევის ლიცენზიები გაცემული იყო 24 სადაზღვევო კომპანიაზე. მათგან შიდა ქართლის რეგიონში მუშაობდა 16 კომპანია.

როგორც ცნობილი იყო, ამგვარ პრაქტიკას ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვა რეგიონებშიც და ხელისუფლების სხვა ორგანოების მხრიდანაც.

ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილებით, ქგორის მერის სარეკომენდაციო წერილი ანულირებულ იქნა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიწერილობა შესრულდა დადგენილ დროში.

IV.9. ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის სფეროში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ [30]

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში განხილულ იქნა რამოდენიმე საჩივარი ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სფეროში, კონკრეტულად მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის სფეროში კონკურენციის შეზღუდვის შესახებ.

კონკურენციის შეზღუდვის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

1. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში შემოსული იყო საჩივარი შპს „X"-გან, რომელიც ეხებოდა სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვას (ქ.თბილისიდან საავტომობილო ტრანსპორტით საქალაქთაშორისო ხაზებზე მგზავრების გადაყვანა) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული ეკონომიკური აგენტის საქმიანობა შეთანხმებულ უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტთან) და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ მარშრუტს ემსახურებოდა შპს „Y", რომლის დამფუძნებელიც იყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი.

განხილვისას გამოვლინდა, რომ „საქართველოში მგზავრებისა და ტვირთების გადაზიდვის წესების" შესაბამისად, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებას ექვემდებარებოდნენ ახალი საქალაქთაშორისო ხაზები. საქართველოს საავტომობილო ტრანპორტის დეპარტამენტი შპს „X"-ს ჩართვას მოქმედ ქსელში ასაბუთებდა იმით, რომ აქამდე მარშრუტს ემსახურებოდა შპს „Y"-ი არასაკმარისი რაოდენობის და მოძველებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით და ავტო-

სატრასპორტო მომსახურების ლიცენზირებისა და რეგულირების მოქმედი წესი არ მოითხოვდა ახალ შეთანხმებას მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან უკვე მოქმედ ხაზზე ახალი ეკონომიკური აგენტის ჩასართავად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შპს „X"-ს აეკრძალა სამეწარმეო საქმიანობა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეუთანხმებლობის მოტივით.

აღნიშნულ საქმეს, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მისცა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ" პუნქტის დარღვევის კვალიფიკაცია, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალებოდა შეეჩერებინა, ან სხვაგვარად შეეფერხებინა ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში შემოსული იყო შპს „XX"-ის საჩივარი, რომელიც ეხებოდა სამეწარმეო საქმიანობის შეფერხებას (ქ.გორის საქალაქო ხაზებზე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანა) გორის საქალაქო მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს მხრიდან.

საკითხის განხილვისას გამოვლინდა რომ ქ.გორის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით,გორის საქალაქო მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო,საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ინდივიდუალურად, ცალკეულ ავტოსტრანსპორტო საშუალებებზე ახორციელებდა სამარშრუტო ფურცლების გაცემას და ხაზზე ჩართვას, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის საავტომობილო ტრანსპორტით მოქალაქეთა გადაყვანის ბაზარზე მონაწილეობის შესაძლებლობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება: ქ.გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან გორის საქალაქო მუნიციპალური ავტო-სატრანსპორტო საწარმოსათვის აღნიშნული უფლება-მოსილებების მინიჭება ეწინააღმდეგება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ პუნქტს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკრძალებოდათ - საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შეექმნათ სახელმწიფო სტრუქტურები, ან უკვე არსებული სტრუქტურებისათვის მიენიჭებინათ ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევდა კონკურენციის შეზღუდვას.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩარევის შედეგად აღნიშნული დარღვევები აღკვეთილ იქნა.

IV.10. სამეწარმეო საქმიანობაში სხვისი სახელის უკანონოდ გამოყენება [55]

ძირითადი მონაცემები:

1. კანონმდებლობის სფერო: „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი;
2. მომჩივანი ფირმა-სტუდია „X“;
3. საჩივრის შემოტანის თარიღი: 1999 წლის ოქტომბერი;
4. გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 1999 წლის 15 დეკემბერი;
5. გადაწყვეტილების ხასიათი: სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს წარედგინა მიწერილობა და მითითებები მიეცა სამხარეო ანტიმონოპოლიურ სამსახურებს.

პრობლემის არსი:

ფირმა-სტუდია „X“-დან საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში შევიდა საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე საცალო სავაჭრო ქსელში გამოჩნდა 48 და 90 ფურცლიანი რვეულები, რომელთა გარეკანზე აღბეჭდილი იყო ფირმა-სტუდია „X“-ის პროგრამების წამყვანთა ფოტოგრაფიები, რის შესახებაც თანხმობა და ნებართვა, არც პროგრამის წამყვანთა და არც სტუდიის ხელმძღვანელთა მხრიდან არ არსებობდა.

საჩივრის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ ეს ფაქტი ნამდვილად არსებობდა. საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზრების შესწავლით გამოვლინდა, რომ აღნიშნული რვეულები შემოტანილ იქნა თურქეთიდან. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა დაზუსტება კონკრეტულად, ვინ და როდის მოახდინა ამ პროდუქციის წარმოება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამიტომ, საჭირო გახდა მოქმედების კოორდინირება სახელმწიფო საბაჟო დეპარტმენტთან და მის რეგიონულ სამსახურებთან. აღნიშნულის მიუხედავად, ვინაიდან საქონლის ეს სახეობა დეკლარაციაში ჩართული იყო

საერთო კოდით (4902, 4903 – სხვადასხვა სახის ნაბეჭდი პროდუქცია, რეულების გამოყოფის გარეშე) კონკრეტული იმპორტიორების დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

საჩივრის შესწავლის შედეგი:

1. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს წარუდგინა შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობა ფირმა-სტუდია „X“-ის პროგრამების წამყვანთა გამოსახულებით (ფოტოგრაფიებით) ქვეყანაში რეულების შემოტანის აკრძალვის და ამ მიმართულებით განსაკუთრებით მკაცრი კონტროლის განხორციელების თაობაზე.

2. სამხარეო ანტიმონოპოლიურ სამხაურებს მიეცათ მითითებები ამ სახის პროდუქციის რეგიონალურ ბაზრებზე რეალიზაციის დაუშვებლობის და ამ გადაწვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად პროდუქციის რეალიზაციიდან ამოღების თაობაზე.

დადგენილი ვადების გასვლის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა კვლავ მოახდინა ამ ბაზრის გადამოწმება და დარღვევის ფაქტების განმეორება არ გამოვლენილა.

IV.11. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საქართველოს სარკინიგზო-სატვირთო გადაზიდვების ბაზარზე [10; 16; 81]

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში შპს „X"-საგან შევიდა საჩივარი, რომელიც ეხებოდა შპს „საქართველოს რკინიგზის" მხრიდან (რომელიც სარკინიგზო გადაზიდვების ბაზარზე დომინირებდა) გადასაზიდი ტვირთის საბაჟო შემოწმების მოსაკრებლის ამოღების კანონიერებას.

საჩივრის ავტორები მიუთითებდნენ, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა"-მ 2005 წლის „სატარიფო პოლიტიკის" 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დაარიცხა მათ გადასატანი ტვირთის საბაჟო შემოწმებისათვის გადასახადი (1 ვაგონზე 4,5 შვეიცარული ფრანკის ოდენობით) „საქართველოს რკინიგზის" დანახარჯების ასანაზღაურებლად. სინამდვილეში ტვირთების საბაჟო შემოწმება არ ხდებოდა, შემოწმების მიზნით ვაგონები არ იხსნებოდა, როგორც ამას თხოულობდა მოქმედი კანონმდებლობა, ხოლო ზედნადებში არ იყო მითითებული დამატებითი მომსახურება და შპს „X"-ის მიერ ამ მომსახურებაზე გაწეული თანხის ჯამი.

უნდა აღინიშნოს, რომ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონის დებულებათა თანახმად, ტვირთების სარკინიგზო გადაზიდვა განეკუთვნებოდა რეგულირებად ეკონომიკურ სფეროს, რომელიც მომხმარებელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე ექვემდებარებოდა სატარიფო რეგულირებას.

შპს „საქართველოს რკინიგზის" მიერ ტვირთების გადაზიდვის მომსახურებაზე საჩივრის შეტანის მომენტისათვის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი წესით მტკიცდებოდა რეგულირებადი ტარიფები (მოგვიანებით ეს ტარიფები რეგულირებას აღარ ექვემდებარებოდა).

საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტომ გამოარკვია, რომ:

1. შპს „საქართველოს რკინიგზას“ ჰქონდა უფლება ტვირთების საბაჟო შემოწმებისათვის მოეთხოვა შპს „X“-საგან მხოლოდ იმ თანხის ანაზღაურება რაც გათვალისწინებული იყო „გადასაზიდი ტვირთების საბაჟო შემოწმების გადასახადი“ 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით (2005 წლის „საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკა“);

2. „საქართველოს საბაჟო კოდექსის“ 21-ე და 26-ე მუხლებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელი იყო ტვირთების სრულყოფილი საბაჟო შემოწმება დათვალიერების გარეშე, თანდართული დოკუმენტაციის შემოწმებისა და შედარების გზით;

3. „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საბაჟო ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდებოდა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ 1998 წლის 15 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქციის - „საბაჟო კონტროლის მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტით გადასაზიდი საბაჟო ტვირთების გაფორმების ღონისძიებათა შესახებ“, საფუძველზე. ეს ინსტრუქცია არეგულირებდა ურთიერთობას „საქართველოს რკინიგზასა“ და საბაჟოს შორის;

4. ზემოთ აღნიშნული პუნქტებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში როცა საბაჟო შემოწმება ხორციელდებოდა არა დათვალიერების გზით არამედ სრულყოფილი ტვირთების საბაჟო შემოწმების სახით, რკინიგზა ერთვებოდა გამონაკლის შემთხვევებში. კერძოდ: „საბაჟო კონტროლის მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტით გადასაზიდი საბაჟო ტვირთების გაფორმების

ღონისძიებათა შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 თავის („საბაჟო ტვირთების შემოწმებისა და დათვალიერების წესი“) თანახმად, ვაგონებისა და კონტეინერების საბაჟო დათვალიერების შემთხვევაში პლატფორმების რაოდენობა და ნომრები უნდა ჩაწერილიყო სპეციალურ ფორმებში და სარკინიგზო დოკუმენტებში (50-ე მუხლი). რაც შეეხება ტვირთების საბაჟო შემოწმებას, ამავე თავის შესაბამისად, საბაჟო ორგანოები ტვირთების შემოწმებას ახორციელებდნენ შერჩევითი პრინციპით,დეკლარაციაში დაუფიქსირებელი ტვირთებისა და სხვა დარღვევების გამოვლენის მიზნით (46-ე მუხლი). ტვირთების შემოწმების აუცილებლობას წყვეტდა შესაბამისი საბაჟო ორგანო „საქართველოს საბაჟო კოდექსის“ მოთხოვნათა გათვალისწინებით (47-ე მუხლი). ტვირთის შემოწმების აუცილებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს რკინიგზასთან ერთად უნდა შეედგინა აქტი ლუქის მოხსნისა და ტვირთის შეფუთვის გახსნის თაობაზე 3 ეგზემლიარად, საიდანაც ერთი დარჩებოდა შემმოწმებელ ორგანოს, მეორე გადაეცემოდა რკინიგზას, ხოლო მესამე დაერთვებოდა ტვირთის თანმსლებ დოკუმენტებს (54-ე მუხლი). ახალ ლუქს ადებდა საბაჟო ორგანო თანმხლებ დოკუმენტებში შესაბამისი ჩანაწერების შეტანით, რაც მოწმდებოდა პირად ნომრიანი ბეჭდით (52-ე მუხლი).

აღნიშნული პუნქტები, სრული სიცხადით აჩვენებდა რკინიგზის მიერ განხორციელებულ მომსახურებას ტვირთების საბაჟო შემოწმებასთან დაკავშირებით;

5. „ტვირთის სარკინიგზო გადაზიდვის წესების“ 329-ე მუხლის თანახმად საბაჟო შემოწმების მიზნით ვაგონების გახსნისა და საბაჟო ორგანოს მიერ ვაგონის ხელახალი დალუქვისას რკინიგზას შეთანხმების 93-ე გრაფაში შეჰქონდა (უნდა შეეტანა) შესაბამისი ჩანაწერი ამ დალუქვის ღირებულების ჩვენებით, რაც ასევე შედიოდა (უნდა შესულიყო) რკინიგზის მიერ გაწეულ დამატებით მომსახურებაში;

6. საბაჟო შემოწმების მიზნით, ვაგონების გახსნის შემთხვევაში და შესაბამის პროცედურაში რკინიგზის მონაწილეობისას ზედნადებში შეტანილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი დამატებითი მომსახურების გაწევის შესახებ და მოსაკრებლის სიდიდე, რადგან „საქართველოს რკინიგზის კოდექსის“ მე-12 მუხლის შესაბამისად რკინიგზა ვალდებული იყო ზედდებულის საფუძველზე ჩაეტანა გადასაზიდი ტვირთი დანიშნულების სადგურამდე და გადაეცა იგი ტვირთის მიმღებისათვის, ხოლო ტვირთის გამგზავნი ვალდებული იყო გადაეხადა ტვირთის გადაზიდვის და დამატებით გაწეული მომსახურების (შესრულებული სამუშაოს) ღირებულება. ზედდებული თან ახლდა ტვირთს მთელს გზაზე და შეიცავდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ და „საქართველოს რკინიგზის კოდექსით“ განსაზღვრულ მონაცემებს.

შპს „საქართველოს რკინიგზა“ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებდა შპს „X“-ის მიერ მოსაკრებელის გადახდას, გასცემდა ქვითრის სახით.

7. „საბაჟო კონტროლის მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რკინიგზის ტრანსპორტით გადასაზიდი საბაჟო ტვირთების გაფორმების ღონისძიებათა შესახებ“ ინსტრუქციის მე-7 თავის თანახმად, შპს „X“-ის მიერ 1995 წელს შემოზიდული იმპორტირებული ხორბალი არ ხვდებოდა საბაჟო შემოწმებაში, რომელიც უნდა განეხორციელებინა საბაჟო სამსახურსა და რკინიგზას ერთდროულად. ამგვარად, ცხადია, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ არ მონაწილეობდა ტვირთების საბაჟო შემოწმებაში ზემოთ ნაჩვენები დადგენილი წესით; რა თქმა უნდა მას არ შეეძლო გაეწია ამ მომსახურებაზე რაიმე დანახარჯები, რომელთა ანაზღაურებისათვის იგი ავალდებულებდა შპს „X“-ს გადაეხადა მოსაკრებელი.

შპს „საქართველოს რკინიგზის განმარტების თანახმად 2005 წლის „საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით“ ეს ტარიფები დადგენილი იყო საშუალოდ ერთი მიმართულებით, იმისდამიუხედავად ხდებოდა თუ არა ვაგონების გახსნა. სააგენტოს აზრით, აღნიშნული მოითხოვდა დამატებით შესწავლას (შპს „საქართველოს რკინიგზის“ 2005 წლის 8 დეკემბრის წერილი №ფდ-XXX).

შესაბამისად, საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ რომელი დანახარჯების ანაზღაურებისათვის იყო დამტკიცებული „სატარიფო პოლიტიკის“ 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „ტვირთების საბაჟო შემოწმებასთან დაკავშირებული მოსაკრებლები“.

შესაბამისად, საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით უნდა დადგენილიყო:

1. რა სახის დანახარჯები დაედო საფუძვლად „სატარიფო პოლიტიკის“ 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ „ტვირთების საბაჟო შემოწმებასთან დაკავშირებული მოსაკრებლები“-ს დამტკიცებას.

2. საჩივრის თანახმად მოსაკრებელი გადაიხდებოდა თითოეულ ვაგონზე, მაშინ როცა ისინი დამტკიცებული იყო ერთ მიმართულებაზე, რაც სრულიადაც არ წარმოადგენდა იდენტურ ცნებებს (იგივე ფურცელზე სხვა პოზიციებთან გამოიყენებოდა „ერთი ვაგონი“). სიტყვა „გამგზავრება“ მოითხოვდა დაზუსტებას, მაგრამ იცი არ იყო განსაზღვრული არც სარკინიგზო და არც საბაჟო კოდექსებით.

„საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკა“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებულ იყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ მიერ, რომლის უფლება-მოვალეობა წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „საქაროველოს რკინიგზა“ იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებაში და მას მართავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მასზე დაქვემდებარებული საქვეუწყებო იურიდიული პირის, ქონების მართვის სააგენტოს მეშვეობით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ღნიშნული საკითხი შესაბამის სამსახურებთან ერთად განეხილა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაბამისად, საკითხის შესწავლა დასრულდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ექსპერტების მონაწილეობით, რომლის შემადგენლობაში ჩართული იყო საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება.

საბოლოოდ, როგორც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს პირველ წლიურ ანგარიშიდან ირკვევა [10; გვ. 16], „საქართველოს რკინიგზის შიერ ტვირთების საბაჟო გაფორმებასთან დაკავშირებული ანაკრეფები 2006 წლის 1 აპრილიდან გაუქმებულ იქნა, ხოლო ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა ანაკრეფი უკვე სადგურის მომსახურების ერთიან საფასურში გაითვალისწინებოდა“. შესაბამისად, სააგენტოს მიმართვის საფუძველზე რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ მიეთითა შესაბამისი სადგურის უფროსს რკინიგზის ზედნადებში ანაკრეფების ასახვისა და საბუთების სრულყოფილად გაფორმების შესახებ.

IV.12. ჰორიზონტალური (კარტელური) შეთანხმება კარაჭისა და მისი ჩანაცვლებადი პროდუქტის - მარგარინის სასაქონლო ბაზარზე [51]

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 25 ივნისის კანონისა და „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივნისის №248 და 2002 წლის 7 ივნისის №282 ბრძანებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, სისტემატიურად ახორციელებდა შესაბამის ბაზრებზე არსებული მდგომარეობის მონიტორინგს და ავლენდა ამ ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სუბიექტებს, რომლებიც დადგენილი წესის შესაბამისად შეჰყავდა მონოპოლისტ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრში. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებდა ანტიმონოპოლიური ზემოქმედების შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

შესაბამისი სასაქონლო ბაზრების კვლევას და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების გამოვლენას სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ახორციელებდა - „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები“-ს საფუძველზე. ამ რეკომენდაციებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, ხდებოდა კონკრეტული სასაქონლო ბაზრის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტრუქტურის განსაზღვრა. დგინდებოდა კონცენტრაციის ხარისხი და მონოპოლიზაციის დონე. კონკრეტული სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონის განსასაზღვრავად სამსახური იყენებდა, ამერიკელთაგან აპრობირებულ, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს (HHI).

რამდენადაც შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შესაფასებლად აუცილებელია საქონლის როგორც გეოგრაფიული ისე პროდუქციული (სასაქონლო)

საზღვრების დადგენა, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა, კარაქის სასაქონლო ბაზარზე პროდუქციული საზღვრების დადგენის მიზნით, 2002 წლის ბოლოს ჩაატარა მომხმარებელთა გამოკითხვა (ანკეტირება), რამაც აჩვენა, რომ გამოკითხულთა ძირითადი ნაწილისათვის კარაქი წარმოადგენდა მარგარინით ჩანაცვლებად პროდუქტს (მარგარინს კარაქის შემცვლელად მიიჩნევდა თითქმის ყველა დაბალშემოსავლიანი მოხმარებელი). მომხმარებლთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, კარაქი და მარგარინი მიჩნეულ იქნა ურთიერთშემცვლელ პროდუქტებად და ისინი განხილულ იქნენ როგორც ერთი სასაქონლო ბაზარი.

2002 წლის ბოლოს კარაქისა და მისი შემცვლელი პროდუქტის მარგარინის ბაზარზე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ყურადღება მიიქცია ორმა ეკონომიკურმა აგენტმა, რომელთა დასახელება (ინიციალები) ძირითადში ემთხვეოდა. რეგისტრირებულ დოკუმენტებში ერთ შემთხვევაში „КС“ იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში კი „СК“. ამასთან, მათი ერთობლივი საბაზრო წილი მნიშვნელოვნად აღემატებოდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის განსაზღვრისათვის დადგენილ ნორმას (35%) და რაც მთავარია ბაზარზე მათი პროდუქციის რეალიზაციის ფასები იყო იდენტური.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გამოითხოვა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ამ კომპანიებისაგან და დარწმუნდა, რომ მათი დამფუძნებელი იყო ერთი და იგივე პირი. ამასთან, ორივე მათგანი რეგისტრირებული იყო ერთსა და იმავე მისამართზე და ჰყავდათ ერთი და იგივე ბუღალტერი. ასევე, პროდუქციის საცალო რეალიზაციას ახორციელებდნენ ერთი და იგივე ადგილიდან და ჰქონდათ ერთი და იგივე ტელეფონის ნომერი და ა.შ.; ყოველივე ეს ადასტურებდა ამ ორი ეკონომიკური აგენტის ურთიერთდამოკიდებულებას (შეთანხმებულ ქმედებას). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

ოფიციალურ საბაჟო და სტატისტიკურ მონაცემებში, „დე-იურე“ ორ ეკონომიკურ აგენტად წარმოდგენილი სუბიექტი „დე-ფაქტო“ იყო ერთი ეკონომიკური აგენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მიიჩნია, რომ ეს ორი ეკონომიკური აგენტი იმყოფებოდა ჰორიზონტალურ (კარტელურ) შეთანხმებაში და რამდენადაც მათი ერთობლივი საბაზრო წილი აღემატებოდა მონოპოლისტად აღიარებისათვის დადგენილ ნორმას, ეს ორი ეკონომიკური აგენტი ერთობლივი წილით გამოცხადებულ იქნა მონოპოლისტ ურთიერთდაკავშირებულ ეკონომიკურ აგენტებად და დადგენილი წესის შესაბამისად, მოხდა მათი შეყვანა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტთა სახელმწიფო რეესტრში. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს უფრო სიღრმისეულად შეეხედა საკითხისათვის და საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გადაწყვეტილება ერთობლივი წილით კარტელურ გარიგებაში მყოფი ეკონომიკური აგენტების მონოპოლისტად გამოცხადება გასაჩივრებულ იქნა მათ მიერ სასამართლოში. ამასთან, კომპანიის წარმომადგენელი გასაჩივრებას ამყარებდა იმით, რომ თითქოს ეს კომპანიები ერთმანეთის კონკურენტებს წარმოადგენდნენ. ანუ სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მეწარმე „KC“ კეთილსინდისიერ კონკურენციას უწევდა მეწარმე „CK“-ს და მათ შორის არანაირი შეთანხმებული მოქმედება არ ხორციელდებოდა.

სახელმწიფო ანტიმონოპლლურმა სამსახურმა სასამართლო დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოიგო, თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ ის გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში, სადაც პროცესი ანტიმონოპლიური სამსახურის მარცხით დამთავრდა.

მოგვიანებით ეს საკითხი სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გაასაჩივრა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, სადაც დავა გრძელდებოდა ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციამდე.

თავი V. კონკურენციული გარემოს შეფასების პრაქტიკა საქართველოში (1997-2004 წწ.)

V.1. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი [21]

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2003 წელს მოწზადებული დოკუმენტი - „საქართველოს სადაზღვეო ბაზარი – კონკურენტული გარემოს შეფასება“ მოიცავს შესავალს; სადაზღვევო ბაზრის საშართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების საკითხებს; საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასებას; ავტომოტო-ტრასპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას; სადაზღვევო კომპანია „X“-ის მიერ ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე 2002 წლის ბოლოს განხორციელებული აქციის შეფასებას; დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი იყო საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიმოხილვა, აღნიშნულ ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასება და გასატარებელი ღონისძიებების შემუშავება.

პირობითად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბება დაიწყო 1997 წლიდან, კონკრეტულად, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის ქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებით, რომლის სრულყოფა (შევსება) დღემდე (იგულისხმება ანალიზის ჩატარების პერიოდი) თანმიმდევრულად ხორციელდებოდა. ქვეყანაში საკანონმდებლო და სტრუქტურული რეფორმის შემდეგ ჩამოყალიბებულ იქნა დაზღვევის ზედამხედველობის თანამედროვე მექანიზმები, რამაც ხელი შეუწყო სადაზღვევო ბაზარზე მსხვილი და სათანადო პროფესიული დონის კომპანიების შექმნასა და სადაზღვევო ბაზრის მასშტაბების გაზრდას.

აღნიშნულის დადასტურებას წარმოადგენდა ის, რომ ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის წლიური შემოსავლები ხუთი წლის (იგულისხმება ანალიზის ჩატარების პერიოდი) განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და 25,3 მილიონ ლარს მიაღწია. კერძოდ, 1997-2000 წლებში შემოსავლების შემდეგი ოდენობით ზრდას ჰქონდა ადგილი:

წლები	შემოსავლები (მლნ. ლარებში)	ზრდის ტემპი პროცენტებში
997	5,6	
1998	9,0	60,7
999	14,4	60,0
2000	18,.	25,7
2001	25,4	40,3
2002	25,3	

2001 წელთან შედარებით 2002 წლისათვის სადაზღვევო ბაზრის შემოსავლის კლების ძირითად მიზეზს (დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურიდან მიღებული კონსულტაციით) წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანიების მხრიდან მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების შეწყვეტა, რაც სპეციალისტთა განშარტებით დაახლოებით 3,5-4 მლნ. ლარს შეადგენდა წელიწადში.

სადაზღვევო ბაზრისა და ამ ბაზარზე ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკას სხვა დანარჩენ სასაქონლო ბაზრებთან შედარებით განაპირობებდა ის, რომ სადაზღვევო საქმიანობა კანონით დადგენილი წესით საჭიროებდა ლიცენზირებას, რომელიც ითვალისწინებდა სადაზღვევო კომპანიათა მიერ მინიმალური საწესდებო კაპიტალის

ფლობას, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობით ორგანოსთან შეთანხმებული სატარიფო განაკვეთის სტრუქტურისა და კომპეტენტური მენეჯმენტის არსებობას, რაც საშუალებას იძლეოდა წინასწარი კონტროლის ეტაპზევე ყოფილიყო თაკიდან აცილებული შეცდომები მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. ასევე, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ პერიოდულად წარმოებდა სადაზღვევო კომპანიათა შემოწმება მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის არსებულ საკანონმდებლო და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 1998 წელს „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირების წესებში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანით სადაზღვევო საქმიანობისათვის აუცილებელი მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაიზარდა (კერძოდ, სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევისატვის 600 ათას ლარამდე, დაზღვევის სხვა სახეობებისათვის 500 ათას ლარამდე,გადამზღვეველი ორგანიზაციებისათვის ერთ მილიონ ლარამდე), რომლის შედეგად ქვეყანაში რეგისტრირებული 42 სადაზღვევო კომპანიიდან 1998 წლის ბოლოსათვის ბაზარზე დარცა 21 კომპანია, რაც განხორციელდა არსებული სადაზღვევო კომპანიების შერწყმისა და გამსხვილების გზით. 2003 წლისათვის სადაზღვევო საქმიანობის ბაზარზე მოქმედებდა 27 ეკონომიკური აგენტი. 2001 წელს ბაზარზე შევიდა ერთი, ხოლო 2002 წელს 5 სადაზღვევო კომპანია.

1997 წელს საქართველოს ბაზარზე მოქმედებდა დაზღვევის 10, ხოლო 2001 წლისათვის კი დაზღვევის 15 სახეობა. კერძოდ, 1)ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; 2)სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა; 3)ქონების დაზღვევა; 4)სამედიცინო დაზღვევა; 5)უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისაგან დაზღვევა; 6)სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა; 7)საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;

8)საპენსიო დაზღვევა; 9)გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; 10)სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა; 11)ტყვირთების დაზღვევა; 12)ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასიხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა; 13)ფინანსური რისკების დაზღვევა; 14)სიცოცხლის დაზღვევა; 15)პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

დაზღვევის აღნიშნულ სახეობებს 2002 წლისათვის დაემატა „საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა" და ქვეყანაში მოქმედი დაზღვევის სახეობათა რიცხვი გაიზარდა 16-მდე.

ზემოაღნიშნული დაზღვევის სახეებიდან ორი - სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო და ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო – წარმოადგენდა სავალდებულო დაზღვევას.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახური კვლევაში წარმოაჩენს -საქართველოს სადაზღვევო ბაზრებზე კონცენტრაციის დონეს, დაზღვევის სახეების მიხედვით – 1997, 1999, 2000 და 2002 წლებისათვის.

წარმოდგენილ კვლევაში შესავლის შემდეგ მოდის - „სადაზღვევო ბაზრის სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების" ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია საქართველოში სადაზღვევო ბაზრის სამართლებრივი რეგულირების სრული ბაზა (როგორც შესაბამისი კოდექსები და კანონები, ისე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ 1997 წლიდან მიღებული დაზღვევის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასება

ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, კონკურენტული გარემოს შეფასების

და დაზღვევის ბაზარზე ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, მუდმივად ახორციელებდა (დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 2000 წლის მეორე ნახევრიდან, მიღებული შეთანხმების საფუძველზე სისტემატიურად აწვდიდა ანტიმონოპოლიურ სამსახურს ინფორმაციას ქვეყანაში სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ) დაკვირვებას სადაზღვევო ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური შესაბამის (კონკრეტული) სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ამ ბაზრებზე დომინანტი (მონოპოლიური მდგომარეობის მქონე) ეკონომიკური აგენტების გამოვლენის მიზნით ახორციელებდა ანალიზს (მონიტორინგს) „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციების“ საფუძველზე, რომლითაც სწარმოებდა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტრუქტურის დადგენა, ბაზრის კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის დონის დადგენა. შესაბამისი ბაზრის კონცენტრაციის ხარისხის განსაზღვრა ხორციელდებოდა ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსის, საბაზრო კონცენტრაციის ინდექსისა და საბაზრო კონცენტრაციის კოეფიციენტის დადგენით.

ამასთან, ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისათვის აუცილებელი იყო წინასწარ განსაზღვრულიყო შესაბამისი ბაზარი (ბაზრის საზღვრები). კერძოდ, რამდენად იყო ჩანაცვლებადი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე მიწოდებული საქონელი, ან გაწეული მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ სადაზღვევო მომსახურების ცალკეული სახეები უნდა ყოფილიყო განხილული როგორც ცალკეული სასაქონლო ბაზარი, ვინაიდან სადაზღვევო მომსახურების სახეები არ წარმოადგენდნენ ურთიერთჩანაცვლებად საქონელს (მომსახურებას). ამდენად, სადაზღვევო მომსახურების სახეებს ანტიმონოპოლიური სამსახური

განიხილავდა როგორც ცალკეული მომსახურების ბაზრებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით 2001 წლისათვის ქვეყნის შესაბამის სადაზღვევო ბაზრებზე მაღალი კონცენტრაციით ხასიათდებოდნენ შემდეგი ბაზრები: „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=4724); „ქონების დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=2886); „სამედიცინო დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=4942); „უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყო-ფობისაგან დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3866); „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=6019); „საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=4733); „საპენსიო დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=10000); „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=4896); „ტვირთების დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=2566); „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3575); „სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=9746); „პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3779); „გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=4439), ხოლო „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევისა“ (HHI=1475) და „ფინანსური რისკების დაზღვევის“ (HHI=1495) ბაზრები ხასიათდებოდნენ ზომიერი კონცენტრაციის დონით.

რაც შეეხება შესაბამის სადაზღვევო ბაზრებზე კონცენტრაციის დონეს 2002 წლისათვის, მაღალ-კონცენტრირებულ ბაზრებს წარმოადგენდნენ: „ავტო-მოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=4831); „ფინანსური რისკების დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=2245); „სამედიცინო დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=5541); „უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=2449); „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ბაზარი“ -

(HHI=5006); „საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3693); „საპენსიო დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=5481); „სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3200); „ტვირთების დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=2420); „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3050); „სიცოცხლის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=8136); „პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=2301); „გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=3411); „საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ბაზარი“ - (HHI=10000), ხოლო რაც შეეხება „სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევისა“ (HHI=1541) და „ქონების დაზღვევის“ (HHI=1720) ბაზრებს, ისინი ხასიათდებოდნენ ზომიერი კონცენტრაციის დონით.

2002 წლისათვის დაზღვევის 16 სახეობაში დაფიქსირებულ იქნა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე 5 ეკონომიკური აგენტი, კერძოდ, „საწყლოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევისა“ და „გადამზიდველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის“ ბაზრებზე – შპს „XX“ (შესაბამისად 100% და 48.3%); „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“, „სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის“, „ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის“, „ფინანსური რისკების დაზღვევისა“ და „უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევის“ ბაზრებზე - ს/ს „X“ (შესაბამისად 68.6%, 69.4%, 43.9%, 34.9%, 41.6%); „საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის ბაზარზე“ - „Y“-ს – 57.2%; რაც შეეხება „სიცოცხლის დაზღვევის ბაზარს“ აქ მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა 89.8%-ით „GEOX“-ს, ხოლო „საპენსიო დაზღვევის ბაზარზე“ მონოპოლისტი იყო „GEOY“–ი 65.5%-ით.

მოგვიანებით, 2002 წლის მე-4 კვარტალში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შესაბამის

სადაზღვევო ბაზრებზე 2002 წლის 6 თვის მონაცემების საფუძველზე გამოვლენილი იქნა 6 მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი დაზღვევის სხვადასხვა სახეობებში, მაგალითად კომპანია „X“ დაზღვევის 4 სახეობაში; კომპანია „XX“ დაზღვევის 4 სახეობაში; კომპანია „Y“ დაზღვევის 2 სახეობაში, ხოლო კომპანიები „XXX“, „XI“ და „GEOX“ დაზღვევის თითო-თითო სახეობებში.

ყველა მონოპოლისტი (დომინანტი) სადაზღვევო კომპანია დადგენილი წესის შესაბამისად შეყვანილ იყვნენ „მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტთა სახელმწიფო რეესტრში“, რომელიც „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ - საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 სექტემბრის №426 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-12 მუხლის შესაბამისად, გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2002 წლის 22 დეკემბრის ნომერში (№311(4370)) და ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს (2003 წლის 2 იანვარს).

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ამ კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი - „ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ სფეროს ანალიზს. ხაზგასმულია ამ სახეობის დაზღვევის სავალდებულო ხასიათზე და წარმოჩენილია ის ხარვეზები და შემაფერხებელი ფაქტორები, რაც ქმნიდა ზოგად პრობლემებს.

აქვე მიმოხილულია ის კონრეტული საჩივრები, რაც უკავშირდება ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე არსებულ პრობლემატიკას და რომლებიც შესული იყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად.

კვლევის შემდგომი ნაწილი ეთმობა ს/ს სადაზღვევო კომპანია „X“-ის მიერ, 2002 წლის ბოლოს, ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო

პასაუხისმგებლობის სავალდებულო დაღვევის ბაზარზე განხორციელებული აქციის (90%-იანი ფასდაკლება) შეფასებას, რომელიც მთავრდება დასკვნითა და რეკომენდაციებით.

კვლევის შედეგები, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ წარდგენილ იქნა როგორც დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ისე ზემდგომ ინსტანციებში – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსათვის.

V.2. საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის ანალიზი [21]

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2003 წელს და მის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მინერალური წყლების ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლა, ბაზრის რეგულირების მექანიზმის შემუშავებისა და ფასწარმოქმნის პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრის მიზნით. ამოსავალი იყო ბაზარზე კონკურენტული გარემოს დახასიათება, არსებული პრობლემების გამოვლენა და განვითარების დინამიკის შეფასება.

როგორც ცნობილია, საქართველო მდიდარი იყო და არის მინერალური და მტკნარი წყლებით. მათ შორის აღსანიშნავია: **ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი, მიტარბი, წაღვერი, უწერა, მაქართა, ლეღვა, გეგა, ზვარე, სქური, ბოლნისი, ვაჟას წყარო, ფლატე, ფასანაური, ბაგიათა, კავკასიის მთის წყაროები-ელიტა** და სხვა. აღნიშნული წყლების დღეღამური დებიტი შეადგენდა **3 949,5 მ³**, რომლის ათვისება ანტიმონოპოლიური სამსახურის აზრით, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების სერიოზული განხილვისა და სამეწარმეო პოლიტიკის საგანი უნდა ყოფილიყო.

მინერალური წყლების წარმოებას ტრადიციულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში. მას დღეისათვის არ დაუკარგავს ის მახასიათებლები, რომლებიც მის პრიორიტეტულობას განსაზღვრავს (ნედლეულის ბუნებრიობა, სიუხვე, სიიაფე, არასეზონურობა და კაპიტალურ დაბანდებათა უკუგების მოკლე პერიოდი). ამდენად, სამსახურის ანალიზის მიზანს წარმოადგენდა, მინერალური წყლების სასაქონლო ბაზრის შეფასებასთან ერთად ამ რესურსის ათვისების ეფექტიანობის განსაზღვრა.

სამსახურს მიაჩნდა, რომ მინერალური წყალი „ბორჯომი“ ცალკე განხილვის საგანი უნდა ყოფილიყო, რადგან ქართული წყლებიდან როგორც შიდა ისე გარე ბაზარზე ყველაზე დიდი მოთხოვნილება მასზე მოდიოდა და მას ეკავა მთლიანად ქვეყანაში წარმოებული მინერალური წყლების 95% და დსთ-ს სივრცეში ყველაზე პოპულარულ წყალს წარმოადგენდა.

რაც შეეხება საქართველოში მინერალური წყლების შესახებ პირველ წერილობით მონაცემებს, ისინი გვხვდება 1825 წლიდან, ხოლო ბორჯომიდან მინერალური წყალი პირველად გატანილ იქნა 1854 წელს 1300 ბოთლის ოდენობით, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გატანა შეწყდა და მისი წარმოება განახლდა 1890 წლიდან. ხანგრძლივმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ მიუხედავად მისი ჩამოსხმის საუკუნოვანი პრაქტიკისა, მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობა არ შეცვლილა და „ბორჯომი“ როგორც ბუნებრივი ნატურალური მინერალური წყალი, მიეკუთვნებ(ა)ოდა მინერალური წყლების უმაღლეს კატეგორიას, და გააჩნ(და)ია სამკურნალო თვისებები.

საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირება

საქართველოში მინერალური წყლების სამართლებრივი რეგულირების ბაზას წარმოადგენდა:

- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“;
- საქართველოს კანონი ,,საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95 ბრძანებულება „მინერალური წყლის ,,ბორჯომის“ წარმოების სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;

❖ „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 28 თებერვლის №88 ბრძანებულება;

❖ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს 2003 წლის 4 მარტის №2-49 ბრძანებით დამტკიცებული ,,მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირის რეგისტრაციისათვის საჭირო კანონმდებლობით განსაზღვრულ მონაცემთა შესწავლის, დადგენის და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენებაზე კონტროლის გამოყენების წესი“;

❖ საქართველოს კანონი ,,მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“.

მინერალური წყლების სასაქონლო ბაზრის შესწავლა აუცილებლად მოითხოვდა აღნიშნულ სფეროს სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის გარკვევას. კერძოდ, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით მინერალური წყლების წარმოებით დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტს უნდა აეღო ორი სახის ლიცენზია: პირველი „წიაღით სარგებლობის ლიცენზია“,რომელსაც გასცემდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო („წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 48 მუხლი). ამასთან, წყალსარგებლობის ლიცენზიანტს, აღნიშნული ლიცენზიის მიღების შემდეგ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მინერალური და მტკნარი წყლების სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტ „საქმინხილწყალი“-დან („წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 59 მუხლი) უნდა აეღო მეორე - ,,წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზია“.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ლიცენზიის გაცემის პროცედურა, მიუხედავად სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის არაერთი მცდელობისა, უცნობი დარჩა. გარკვეული იყო მხოლოდ ის, რომ წყალსარგებლობის ლიცენზიის პირობებით, ლიცენზირებული ეკონომიკური აგენტი ანგარიშვალდებული იყო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის მიმართ, სადაც ყოველკვარტალურად უნდა წარედგინა მოპოვებული მინერალური ნედლეულისა და გადამუშავებული ნედლეულით გამოშვებული პროდუქციის ზუსტი ოდენობა. ასევე, ვერ მოხერხდა ლიცენზირებული ეკონომიკური აგენტების მიერ ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის გარკვევა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის მოუწოდებლობის გამო.

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მინერალური და მტკნარი წყლების დეპარტამენტ „საქმინხილწყალს“, სახელმწიფო რეგულირების კუთხით საკითხი სხვაგვარად გამოიყურებოდა. აღნიშნული დეპარტამენტი ახორციელებდა ლიცენზირებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას, კოორდინაციასა და კონტროლს, წარდგენილი განცხადებების და სხვა წარსადგენად სავალდებულო დოკუმენტაციის განხილვას და მასალების მომზადებას წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზირების საუწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს სხდომაზე წარსადგენად.

წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე ლიცენზიის მისაღებად მეწარმე სუბიექტს დეპარტამენტ „საქმინხილწყალის“ თავმჯდომარესთვის უნდა მიემართა განცხადებით და წარედგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი, ნოტარიულად დამტკიცებული დოკუმენტის ასლი;

ბ) საწარმოს იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის მითითებით;

გ) მონაცემები საწარმოს ხელმძღვანელის (მფლობელის), ან უფლებამოსილი პირის შესახებ,რომელიც ლიცენზიის მიღებისას წარმოადგენს საწარმოს;

დ) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსური შესაძლებლობები;

ე) წყალსარგებლობის ლიცენზია;

ვ) საბადოს სანიტარული დაცვის ზონების დამამტკიცებელი პროექტი;

ზ) საწარმოს ჰიგიენური სერტიფიკატი;

თ) წარმოებაზე გარემოსდაცვითი ნებართვა;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია (ხანძარსაწინააღმდეგო, სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის და შრომის დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობა);

კ) ინფორმაცია საწარმოში დასაქმებული სპეციალისტების კვალიფიკაციის შესახებ;

ლ) დეტალური ინფორმაცია საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის, აგრეთვე საწარმოო პროცესის ორგანიზების შესახებ;

მ) წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ნ) ინფორმაცია პროდუქციის ხარისხის შიდასაწარმოო კონტროლის სტრუქტურისა და წარმოების წესის შესახებ;

ო) წყლის დამუშავების ტექნოლოგია;

პ) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საგადასახადო ინსპექციის საიდენტიფიკაციო კოდები;

ჟ) სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიასთან დადებული ხელშეკრულების ასლი (მომსახურების შესახებ);

რ) სასაქონლო ნიშნის სახელმწიფო რეგისტრაციის შემთხვევაში, ცნობა რეგისტრაციის შესახებ;

ს) სასაქონლო პროდუქციის რეგისტრირებული ეტიკეტი, ან ეტიკეტის ესკიზი;

ტ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ მზადდებოდა მოხსენებითი ბარათი ლიცენზირების უწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს სხდომაზე წარსადგენად. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ხდებოდა ეკონომიკურ აგენტზე ლიცენზიის გაფორმება, რასაც ახორციელებდა დეპარტამენტი „საქმინხილწყალი“.

ამასთან, სამეწარმეო საქმიანობაზე სპეციალური ნებართვის დაწესება წარმოადგენდა აღნიშნულ სასაქონლო ბაზარზე ახალი მეწარმის შესვლის, საქმიანობის განხორციელების ადმინისტრაციულ ბარიერს. ამდენად, ანტიმონოპოლიური სამსახური მუდმივად იყო დაინტერესებული დაედგინა ყოველი ასეთი ბარიერის აუცილებლობა და პროცედურის სირთულე. სამსახურის აზრით, მიზანშეწონილი არ იყო ერთი და იმავე საკითხზე პროცედურის ორჯერ გავლა, ორი სხვადასხვა ორგანოს ნებართვა, რადგან პირველი ლიცენზიის ფლობა არ იძლეოდა საბოლოოდ საქმიანობის განხორციელების უფლებას (მეორის გარეშე აზრი არ ჰქონდა). ამასთან, სავსებით შესაძლებელი იყო იმ აუცილებელი მოთხოვნების გაერთიანება, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიანტი.

წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზირების პირობებით გათვალისწინებული იყო, რომ ლიცენზიის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს და ასევე წყალსარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადას. ამ უკანასკნელის მოქმედების ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაცია, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის, არ იქნა მოწოდებული შესაბამისი სამინისტროდან, თუმცა, წყალსარგებლობის ლიცენზიის ფლობა ერთ-ერთი

აუცილებელი პირობა იყო წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზიის მისაღებად.

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის სრულად ამოქმედების შემდეგ, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მინერალური წყლის წარმოებისათვის საჭირო ორივე ლიცენზია გახდებოდა უვადო.

რაც შეეხება მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლებას, 'საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად დეპარტამენტი „საქმინხილწყალი“ ახორციელებდა მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლისა და დადგენის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და წარუდგენდა წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზირების საუწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს. საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების პრეტენდენტ სუბიექტზე გაიცემოდა დასკვნა „საქპატენტში“ წარსადგენად და რეგისტრაციისათვის. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფდა მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების კონტროლსა და დაცვას.

ამასთან, მას შემდეგ, რაც მინერალური წყლების ბაზარზე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ს/ს „X“ გამოცხადდა მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ, ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესაბამისად ეს ბაზარი მოექცა ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და კონტროლის ქვეშ. ეს განაპირობებდა ბაზრის რეგულირების საკანონმდებლო ბაზაში „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოხსენიებას.

მინერალური წყლების ბაზარზე არსებული მდგომარეობა

ქვეყანაში მინერალური წყლების ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა მინერალური წყლების ბაზრის ფორმირების დინამიკა 2000-2002 წლების განმავლობაში.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური შესაბამისი (კონკრეტული) სასაქონლო ბაზრების ანალიზს (მონიტორინგს) ახორციელებდა „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციების" საფუძველზე.

არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წლების მიხედვით ქვეყნის მინერალური წყლების ბაზარზე შემდეგი ვითარება იყო:

2000 წელი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 2000 წელს მინერალური წყლების ბაზარზე მოქმედებდნენ შემდეგი ეკონომიკური აგენტები: ბორჯომის №1 და №2 ქარხნები; „BIG LTD"; „საქართველოს მინერალური წყლები"; „ფერიციხე"; „საირმე"; „საირმის წყლები"; „წყალი მარგებელი"; „ნაბეღლავი 96"; „უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ინდივიდუალური საწარმო"; „ბორჯომის მეწარმეთა კავშირი" რომელიც მოიცავდა ფირმებს: „მურღონი", „XXI საუკუნე", „ტატა", „რაინდი-1", „ბორჯო", „სავანელი და კომპანია". ამ კომპანიათა მიერ 2000 წელს წარმოებულ იქნა 36132.6 ათასი ლიტრი 3 დასახელების (ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი) მინერალური წყალი. წარმოებული

პროდუქციის მთლიან მოცულობაში ცალკეული მინერალური წყლის ხვედრითი წილი ასე გამოიყურებოდა:

ბორჯომი - 95,5 %
ნაბეღლავი – 2.1 %,
საირმე – 2.4 %.

2000 წელს საქართველოში 16 ეკონომიკური აგენტის მიერ იმპორტირებულ იქნა 118214 ლიტრი მინერალური წყალი, საერთო ღირებულებით (SIF) 28174 აშშ დოლარი. იმპორტირებული 1 ლიტრი მინერალური წყლის საშუალო ფასი შეადგენდა 0.2 აშშ დოლარს. იმპორტს ბაზრის მოცულობის 2% ეკავა.

2000 წელს, საბაჟო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, მინერალური წყლების იმპორტი განხორციელდა 6 ქვეყნიდან (იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, რუსეთი, თურქეთი, გერმანია), რომელთაგანაც დიდი ხვედრითი წილით გამოირჩეოდა თურქეთი 30%.

2000 წელს მინერალური წყლების ექსპორტმა შეადგინა 33127.6 ათასი ლიტრი, ღირებულებით 8597.3 ათასი აშშ დოლარი. 1 ლიტრი საექსპორტო მინერალური წყლის საშუალო ფასი შეადგენდა 0,27 აშშ დოლარს. ექსპორტს ეწეოდა 19 ეკონომიკური აგენტი.

რაც შეეხება აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან განხორციელებული მინერალური წყლების ექსპორტს, იგი განხორციელდა მსოფლიოს 18 ქვეყანაში. ექსპორტის უდიდესი რაოდენობა განხორციელდა რუსეთის ფედერაციაში.

2000 წელს მინერალური წყლების ბაზრის მოცულობა შეადგენდა 3065 ათას ლიტრს.

მინერალური წყლების სასაქონლო ბაზარი ხასიათდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონით. სასაქონლო ბაზარების კონცენტრაციის დონის განსაზღვრა განხორციელდა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საშუალებით.

2001 წელი

2001 წელს საქართველოში მინერალური წყლების წარმოებით დაკავებული იყვნენ შემდეგი ეკონომიკური აგენტები: „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, „BIG LTD“, „ფერიციხე“, „საირმე“, „წყალი მარგებელი“, „ნაბეღლავი 96“, „უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ინდივიდუალური საწარმო“, „ბორჯომის მეწარმეთა კავშირი“, რომელიც მოიცავდა ფირმებს: „მურღონი“, „XXI საუკუნე“, „ტატა“, „რაინდი-1“, „სავანელი და კომპანია“. ამ კომპანიათა მიერ 2001 წელს წარმოებულ იქნა 40045.3 ათასი ლიტრი 3 დასახელების მინერალური წყალი: ბორჯომი, საირმე და ნაბეღლავი, რომელთა მთლიან მოცულობაში მინერალური წყლის „ბორჯომის“ ხვედრითი წილი 95% აღწევდა.

2001 წელს ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა 100 ათასი ლიტრი მინერალური წყალი საერთო ღირებულებით 40 ათასი აშშ დოლარი. 1 ლიტრის საშუალო ფასი შეადგენდა 0,40 აშშ დოლარს. მინერალური წყლების იმპორტს ეწეოდა 13 ეკონომიკური აგენტი.

2001 წელს მინერალური წყლების იმპორტირება ხდებოდა 11 ქვეყნიდან, რომლის 70%-ს თურქეთიდან შემოტანილი მინერალური წყლები შეადგენდა.

2001 წელს მინერალური წყლების ექსპორტმა შეადგინა 28043 ათასი ლიტრი, ღირებულებით 8892.8 ათასი აშშ დოლარი. საექსპორტო 1 ლიტრი მინერალური წყლის საშუალო ფასი შეადგენდა 0,32 აშშ დოლარს. ექსპორტს ეწეოდა 13 ეკონომიკური აგენტი. ექსპორტის მთლიან მოცულობაში დაახლოებით 0,15% წილი ეკავა არამინერალურ (სასმელ) წყალს.

2001 წელს საქართველოდან ექსპორტი ხორციელდებოდა 21 ქვეყანაში, ექსპორტის 84% რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა.

2001 წელს მინერალური წყლების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 12103 ათასი ლიტრი.

მინერალური წყლების სასაქონლო ბაზარი ხასიათდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონით.

2002 წელი

2002 წელს საქართველოში მინერალური წყლების წარმოებით დაკავებული იყვნენ შემდეგი ეკონომიკური აგენტები: „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია“, „BIG LTD“, „ფერიციხე“, „საირმე“, „წყალი მარგებელი“, „ნაბეღლავი 96“, „უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ინდივიდუალური საწარმო“, „ბორჯომის მეწარმეთა კავშირი“ რომელიც მოიცავდა ფირმებს: „მურღონი“, „XXI საუკუნე“, „ტატა“, „რაინდი-1“, „საეანელი და კომპანია“, „მ.ლ“. მათ მიერ წარმოებულ იქნა 59582.5 ათასი ლიტრი 3 დასახელების (ბორჯომი, საირმე, ნაბეღლავი) მინერალური წყალი, რომელთა მთლიან მოცულობაში მინერალური წყლის „ბორჯომის“ ხვედრითი წილი 97% აღწევდა. ბაზარზე გამოჩნდა ახალი კომპანია „მ.ლ.“.

2002 წელს ქვეყანაში იმპორტირებულ იქნა 21.5 ათასი ლიტრი მინერალური წყალი საერთო ღირებულებით 7.4 ათასი აშშ დოლარი. 1 ლიტრის საშუალო ფასი შეადგენდა 0,3 აშშ დოლარს. მინერალური წყლების იმპორტს ეწეოდა 14 ეკონომიკური აგენტი.

2002 წელს მინერალური წყლების ექსპორტმა შეადგინა დაახლოებით 56392453 ათასი ლიტრი, ღირებულებით 16536.5 ათასი აშშ დოლარი. საექსპორტო 1 ლიტრი მინერალური წყლის საშუალო ფასი შეადგენდა 0,29 აშშ დოლარს. ექსპორტს ეწეოდა 14 ეკონომიკური აგენტი. ექსპორტის მთლიან მოცულობაში შესაძლოა 1% წილი ეკავა არამინერალურ (სასმელ) წყალს, მაგრამ მისი მცირე მოცულობის გამო ინფომაციის დაზუსტება საჭიროდ არ იქნა მიჩნეული.

2002 წელს საქართველოდან ექსპორტი ხორციელდებოდა 20 ქვეყანაში, ექსპორტის 80% რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა.

2002 წელს მინერალური წყლების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 3211.2 ათასი ლიტრი.

მინერალური წყლების სასაქონლო ბაზარი ხასიათდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონით.

ანალიზის დროს გამოიკვეთა რიგი სირთულეებისა, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურის მიერ 2003 წელს მომზადებულ კვლევაში – „საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის ანალიზი“, ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად განხილულია - „მინერალური წყალი „ბორჯომის“ ბაზარზე არსებული პრობლემები“, რომელიც მოიცავს ისეთ ქვესაკითხებს, როგორიცაა – 1) კომპანია „X“-ის საქმიანობა მიერალური წყალ „ბორჯომის“ ბაზარზე; 2) ს.ს. „ბორჯომმინწყლები“-ს საქმიანობის შედეგები და 3) მინერალური წყალი „ბორჯომის“ რეგულირებისა და წარმოების სქემა.

გარდა ამისა, კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სასამართლო დავის საკითხებს, რომელიც წლების განამავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და კომპანია „X“-ს შორის.

საბოლოოდ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტი - „საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის ანალიზი“ მთავრდება დასკვნითა და რეკომენდაციებით. დასკვნითი ნაწილი დაყოფილია ორად, რომლის პირველ ნაწილში (არსებულ ვითარება) წარმოჩენილია დარგში არსებული პრობლემები. ხაზგასმულია, რომ ამ ბაზარზე არაა ჯანსაღი კონკურენცია. შესაბამისად, დასკვნის მეორე ნაწილში (კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება)

წარმოჩენილია ამ დარგში არსებული დარღვევები და მათი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონთან შეუსაბამობის საკითხები.

და ბოლოს, კვლევა დასრულებულია რეკომენდაციებით, რომელთა მიზანია დარგში არსებული პრობლემების მოწესრიგება და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვა.

/ანალიზის შედეგები საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ წარდგენილი იყო როგორც დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებში, ისე ზემდგომ ინსტანციებში – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში/.

V.3. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ბაზარი [21]

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 2002 წელს მომზადებული დოკუმენტი „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ბაზარი – კონკურენტული გარემოს შეფასება – პრობლემები, პერსპექტივები", მოიცავს - შესავალს, საქართველოს საავიაციო ბაზრის სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების საკითხებს, ავიაბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასებას, შპს 'X"-ის – მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზს და რეკომენდაციებს.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია საქართველოს ავიაბაზარზე არსებული ვითარების მიმოხილვა, აღნიშნული ბაზრის რეგულირების მექანიზმის შემუშავების და ოპტიმალური სატარიფო პოლიტიკის ფორმირების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით. მიმოხილვის ამოსავალი წერტილია ბაზარზე 1999-2002 წლების კონკურენტული გარემოს დახასიათება და განვითარების დინამიკის შეფასება.

მითითებული პერიოდისათვის საქართველოს ავიაბაზარი ხასიათდებოდა შეზღუდული კონკურენციით, რაც გამოიხატებოდა ახალი ეკონომიკური აგენტებისათვის ბაზარზე შეღწევის ხელოვნური ბარიერების არსებობაში. შექმნილი ვითარება მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს ავიაბაზრის განვითარების კუთხით არ გააჩნდა რამდენადმე გამოკვეთილი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ბაზრის სტაბილურ განვითარებას.

საყურადღებოა, რომ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს, კერძოდ, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიერ, ავიაბაზრის რეგულირებისათვის სახელმძღვანელოდ მიღებული საერთაშორისო ორგანიზაცია „IKAO"-ს დოკუმენტები არაადეკვატურ

ასახვას პოულობდა საქართველოს ავიაბაზარზე. მოცემული დოკუმენტები ძირითადად რეკომენდაციულ ხასიათს ატარებდა და ეხებოდა ავიაბაზრის რეგულირების კონკრეტული ეკონომიკური გარემოს შეფასების რეგულირების მექანიზმს.

სახელმწიფოს მიერ ეროვნული ავიაკომპანიებისათვის ფლაგმანური ავიაკომპანიის სტატუსის მინიჭება ეროვნული ავიაბაზრის და ქართული ავიაკომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით წარუმატებელი აღმოჩნდა. 1999-2001 წლებში ქვეყნის ავიაბაზარზე მოქმედი ქართული ავიაკომპანიების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. 1999 წელს ამ ბაზარზე მოქმედებდა 11 ავიაკომპანია, რომელთაგან კვლევის პერიოდისათვის რეალურად 3 ავიაკომპანია ფუნქციონირებდა.

საქართველოს ავიაბაზარზე არსებული ვითარების ანალიზი სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის ცალსახად მიუთითებდა სახელმწიფოს მხრიდან ბაზრის რეგულირების და განხორციელებული სატარიფო პოლიტიკის გადასინჯვის აუცილებლობაზე ავიაბაზრის განვითარების და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

დოკუმენტში მოყვანილი ფაქტობრივი მასალა ეყრდნობოდა საგადასახადო, საბაჟო დეპარტამენტებიდან, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციიდან, ავიაკომპანიებიდან და სხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებიდან გამოთხოვილი და მოპოვებული დოკუმენტაციების ანალიზს.

საქართველოს საავიაციო ბაზრის სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირება

საქართველოს საავიაციო ბაზრის სამართლებრივი რეგულირების ბაზას წარმოადგენდა:

❖ საქართველოს საჰაერო კოდექსი (მიღებულია 1996 წელს);

❖ კანონი „სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ";

❖ საერთაშორისო ორგანიზაცია "IKAO"-ს სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები;

❖ ორმხრივი სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებები. ანალიზის დროისათვის საქართველოს სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებები დადებული ჰქონდა 23 ქვეყანასთან, საიდანაც 10 ქვეყანასთან პარაფირებული იყო;

❖საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები:

– „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მუშაობის უზრუნველყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" (№102; 1995 წლის 31 დეკემბერი);
– „სახელმწიფო ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზებისათვის" ფლაგმანური ავიაგადამზიდველის სტატუსის მინიჭების შესახებ" (№465; 1998 წლის 9 აგვისტო);
– „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემაში გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" (№581; 1999 წლის 9 ოქტომბერი);

– „საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 ოქტომბრის №581 ბრძანებულებაში დამატების შეტანის შესახებ“ (№91; 2001 წლის 12 მარტი);

ასევე, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 11 ოქტომბრის №XXX განკარგულება „საქართველოს ფლაგმანური ავიაგადამზიდველის სტატუსის მინიჭების შესახებ“, რომლის თანახმადაც ფლაგმანური ავიაგადამზიდველის სტატუსი მიენიჭა ავიაკომპანია „X“-ს.

საავიაციო ბაზარზე ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმოპოლიურ სამსახურს მიაჩნდა, რომ მოქმედი საკანონმდებლო – ნორმატიული ბაზის უმთავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო (წარმოადგენდა) ეროვნული ავიაბაზრის და ავიაკომპანიების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, რამაც ავიაბაზარზე რეალურად მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში ფაქტობრივად უკუშედეგი გამოიღო. შესაბამისად, სამსახური კვლევაში ახდენს იმ გარემოებების წარმოჩენას, რამაც მისცა მას ამის თქმის საფუძველი. კერძოდ, სააგენტო მიმოიხილავდა „X“ კომპანიისათვის ფლაგმანის სტატუსის მინიჭების სამართლებრივ ასპექტებს (წარმოაჩენდა მის დადებით და უარყოფით მხარეებს). აანალიზებდა ფლაგმანის სტატუსის მინიჭებიდან გამომდინარე, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას. ასევე საუბარია, იმაზე, რომ „სამოქალაქო ავიაციის საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია ახორციელებდა შიდა და საერთაშორისო რეისებით მგზავრთა საჰაერო ტრანსპორტით გადამყვანთა ლიცენზირებას. ამ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად

ლიცენზიის მაძიებელი ვალდებული იყო სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად ჰქონოდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციის მოწმობა. წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად მაძიებელი იღებდა ლიცენზიას. 1999 წლიდან 2002 წლის 6 თვის ჩათვლით ქართულ ავიაკომპანიებზე გაცემული იყო 314 სხვადასხვა მიმართულების ლიცენზია, მათ შორის რეგულარულ ავიარეისებზე 102.

ზემოთ აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის თანახმად კომპანიისათვის ლიცენზიის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველს წარმოადგენდა - „ლიცენზიის მფლობელის მიერ სანავიგაციო სეზონზე (ნოემბერი-მარტი, აპრილი-ოქტომბერი) განრიგით გათვალისწინებული რეგულარული ან არარეგულარული (ჩარტერული) მრავალჯერადი საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მისი მიზეზით ჩაშლის სამი ან მეტი შემთხვევა ანდა ლიცენზიით განსაზღვრული თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში რეგულარული ან არარეგულარული (ერთჯერადი, მრავალჯერადი) საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შეუსრულებლობა“. სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ბევრი რეგულარული რეისი არ შესრულებულა,მაგრამ მათი ლიცენზია მაინც ძალაში იყო.

ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს საქართველოს საავიაციო ბაზრის რეგულირების ერთ-ერთ მთავარ მომენტად საავიაციო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მომსახურეობის ტარიფების სამართლებრივი რეგულირება მიაჩნდა.

სამსახურის მიერ საქართველოდან ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართულებით თვითმფრინავით მგზავრობის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით 2002 წლის სექტემბერის თვეში ჩაატარებულ იქნა მომხმარებლების (მოქალაქეების) შერჩევითი გამოკითხვა მგზავრთა გადაყვანის

ავიაბაზარზე. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო საქართველოს ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანიების ტარიფები სხვა ქვეყნის ბაზარზე მოქმედ ავიაკომპანიების ტარიფებთან შედარებით. გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოდან უცხოეთში მიმავალ მგზავრთა – 84,7%-ი სარგებლობდა საჰაერო ტრანსპორტით.

გამოკითხულთა 54,8 %-ი ხშირად სარგებლობდა საქართველოს ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანიების მომსახურებით, ხოლო იმ 45%-დან რომლებიც არ (ვერ) სარგებლობდნენ ამ ავიაკომპანიების მომსახურებით 86%-ს მიაჩნდა, რომ საქართველოს ავიაბაზარზე მოქმედი ტარიფები მაღალი იყო, ხოლო გამოკითხულთა 14%-ი სხვა მიზეზებს ასახელებდა.

გამოკითხულ რესპოდენტთა (მოქალაქეთა) ნახევარზე მეტი – 54,2%-ი, იმ ქვეყნებში მგზავრობისას სადაც არ იყო პირდაპირი ავიარეისი საქართველოდან სატრანზიტოდ ირჩევდა თურქეთს, ხოლო 29%-ი გერმანიას. აღნიშნული არჩევანის მთავარ მიზეზად გამოკითხულ რესპოდენტთა 75%-ს მოყავდა დაბალი ტარიფი, ხოლო 25%-ს კი მომსახურეობის მაღალი ხარისხი.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდეს ნაწილს მიაჩნდა, რომ საქართველოში საავიაციო ბაზარზე მოქმედი ტარიფები მაღალი იყო, რაზეც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური შენიშნავდა, რომ ქვეყანაში მოქმედ საჰაერო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ტარიფებს ითანხმებდა და ამტკიცებდა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია (სანავიგაციო მომსახურეობის ტარიფებს, როგორც მარშრუტზე ასევე აეროპორტისას ამტკიცებდა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო და ის წარმოადგენდა ნორმატიულ აქტს). სამოქალაქო ავიაციის

ადმინისტრაციის მიერ განსახილველი ტარიფების დამტკიცება ხდებოდა პირდაპირ მისი შემადგენელი კომპონენტების განხილვის გარეშე. რაც შეეხება ისეთ მარშრუტებზე ტარიფის დამტკიცებას, რომელზეც ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა მგზავრთა გადაყვანას, შეთანხმება ხდებოდა ეკონომიკურ აგენტებს შორის, რის შემდეგაც ხდებოდა მისი წარდგენა სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1999 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად მცირდებოდა საქართველოდან განხორციელებული ავიარეისების რაოდენობა, ხოლო გადაყვანილი მგზავრთა ნაკადი თითქმის იგივე იყო სამსახური ასკვნიდა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო მაღალი ტარიფებით. ამის მაგალითად სამსახურს მოყვანილი აქვს „თბილისი–სტამბოლი–თბილისის“ რეისი, რომელიც ღირდა 450 აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც ბათუმიდან იგივე მიმართულებაზე მგზავრთა გადაყვანა ხდებოდა 150 აშშ დოლარად, ასევე „ერევანი-მოსკოვის“ ხაზზე მგზავრთა გადაყვანის ტარიფი გაცილებით იაფი იყო „თბილისი-მოსკოვის“ მიმართულებასთან შედარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ასკვნიდა შემდეგს:

– სახელმწიფოს კვლევის განხორციელების პერიოდისათვის არ გააჩნდა ავიაბაზრის რეგულირების პოლიტიკა, რის შედეგად ბაზარი ფაქტობრივად სპონტანურ რეჟიმში ფუნქციონირებდა.

– ბაზრის რეგულირებისას არ ხდებოდა ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინება და ცალკეული ნორმატიული აქტების და გადაწყვეტილებათა მიღება ხშირად სუბიექტური ნიშნით ხორციელდებოდა.

– ქართული ავიაკომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე მათთვის

ფლაგმანის სტატუსის მინიჭებამ ვერ უზრუნველყო ამ კომპანიების კონკურენტუნარიანობა.

– სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის (სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება) „ბ“ ქვეპუნქტის (დააწესოს ეკონომიკური აგენტებისთვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას) და „ე“ ქვეპუნქტის (მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ეს უკანასკნელი იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოთხოვნათა დარღვევის ფაქტებს.

ავიაბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასება

ქვეყანაში ავიაბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების და ავიაბაზრის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით შესწავლილ იქნა ავიაბაზრის ფორმირების დინამიკა 1999-2002 წლების განმავლობაში.

1999 წელი

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში 1999 წელს მიღებული მგზავრების აღრიცხვა არ ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ავიაბაზრის ანალიზი 1999 წლისათვის ეყრდნობა მხოლოდ გაგზავნილ მგზავრთა აღრიცხვას. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მიღებულ მგზავრთა რაოდენობა სტატისტიკური დაკვირვებიდან გამომდინარე, შეადგენდა გაგზავნილ მგზავრთა 93-96%-ს.

1999 წელს საჰაერო ტრანსპორტით რეგულარული რეისებით მგზავრთა გადაყვანას საერთაშორისო ხაზებზე ახორციელებდა 34 ავიაკომპანია, რომელთაგან 11 ავიაკომპანია იყო ქართული. კერძოდ: 1) „აირზენა საქართველოს ავიახაზები“; 2) „საქართველოს ავიახაზები“; 3) „ეარ ჯორჯია“; 4) „ინტექსი“; 5) „ირაო“; 6) „საქავიასერვისი“; 7) „მიმინო“; 8) „ალდი“; 9) „აბავია“; 10) „ტრანსავიასერვისი“; 11) „აეკი“.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური შესაბამისი (კონკრეტული) სასაქონლო ბაზრების ანალიზს (მონიტორინგს) ახორციელებდა „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციების“ საფუძველზე.

ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსი, იანგარიშება, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი ეკონომიკური აგენტის წილთა კვადრატების ჯამი. საბაზრო კონცენტრაციის მაჩვენებლები აძლევდა შესაძლებლობას ანტიმონოპოლიურ სამსახურს განეხორციელებინა ბაზრის მონოპოლიზაციის ხარისხის წინასწარი შეფასება.

კონცენტრაციის კოეფიციენტთა სხვადასხვა მნიშვნელობისა და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) შესაბამისად გამოიყოფოდა ბაზრის სამი ტიპი:

I ტიპი – მაღალკონცენტრირებული ბაზრები
2000 < HHI < 10000
75% < CR-3 < 100%

II ტიპი – ზომიერად კონცენტრირებული ბაზრები
1000 < HHI < 2000
45% < CR-3 < 75%

III ტიპი – დაბალკონცენტრირებული ბაზრები
HHI < 1000
CR-3 < 45%

რაც შეეხება საბაზრო კონცენტრაციის კოეფიციენტს (CR) კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე ის გამოითვლებოდა და გამოითვლება როგორც გარკვეული რაოდენობის მსხვილი მომწოდებლების პროდუქციის (მიწოდების) პროცენტული შეფარდება რეალიზაციის საერთო მოცულობასთან.

ზოგადად რეკომენდებულია სამი (CR-3), ოთხი (CR-4), ექვსი (CR-6), რვა (CR-8), ათი (CR-10) და ოცდახუთი (CR-25) უმსხვილესი მომწოდებლების კონცენტრაციის დონის გამოყენება.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ხელთ არსებული მონაცემებით 1999 წლისათვის რეგულარულ რეისებზე საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისი გადაყვანის ბაზარი ქვეყანაში ხასიათდებოდა კონცენტრაციის ზომიერი დონით. კერძოდ, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით HHI-ი აღნიშნულ ბაზარზე შეადგენდა 1386. ამ პერიოდისათვის ავიაკომპანიების მიერ მგზავრთა გადაყვანა განხორციელდა 54 მიმართულებით. მთლიანად საერთაშორისო რეისებზე გაგზავნილ მგზავრთა რაოდენობამ შეადგინა 191146 მგზავრი. გადაყვანილ მგზავრთა 35,9%-მა იმგზავრა თბილისი-მოსკოვის რეისით. დანარჩენ მიმართულებებზე მგზავრთა რაოდენობა პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა: 1) სტამბოლი-თბილისი-8%; 2) თბილისი-ვენა - 3,6%; 3) თბილისი-ფრანკფურტი - 6,3%; 4)ლონდონი-თბილისი - 4%; 5) თელავივი-თბილისი - 3,5%; 6) ბათუმი-მოსკოვი - 5,3%; 7) თბილისი-ციურიხი - 3,6%; 8) სენაკი-მოსკოვი - 3,3%; თითოეულ ამ მიმართულებაზე მოდიოდა გადაყვანილ მგზავრთა 3-დან 10%-მდე, ხოლო სხვა დანარჩენ რეისებზე მოდიოდა მგზავრთა გადაყვანის 26,6%. (აღსანიშნავია, რომ ქუთაისის აეროპორტიდან განხორციელებულ ქუთაისი-სოჭი, ქუთაისი-მოსკოვის მიმართულებებზე მოდიოდა მთლიანი ბაზრის 5,7%. აღნიშნულ მიმართულებებზე მგზავრთა გადაყვანის

ცალკე ჩვენება ვერ მოახერხა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მონაცემების არქონის გამო).

გაგზავნილ მგზავრთა 27% მოდიოდა ქართულ ავიაკომპანია „Y“–ზე (აღსანიშნავია, რომ ამ 27%-ში არაა გათვალისწინებული მონაცემების არარსებობის გამო ავიაკომპანია „Y“-ის მიერ ქუთაისი-სოჭის მიმართულებით გადაყვანილ მგზავრთა მოცულობა. აღნიშნულის გათვალისწინებით არაა გამორიცხული, რომ ავიაკომპანიის მიერ ბაზარზე დაკავებული პროცენტი გაზრდილიყო 30%-დან 35%-მდე). აღნიშნული კომპანია საერთაშორისო ავიახაზებზე მგზავრთა გადაყვანას იმ პერიოდისათვის ახორციელებდა 10 ქალაქის მიმართულებით: 1) მოსკოვი; 2) სანკტ-პეტერბურგი; 3)სოჭი; 4) თეირანი; 5) ვარნა; 6) ტრაპიზონი; 7) თელ-ავივი; 8)კიევი; 9) ათენი; 10) როსტოვი.

მგზავრთა გადაყვანის მთლიანი მოცულობიდან 9,5% მოდიოდა რუსულ ავიაკომპანია „აეროფლოტზე“; 8% - თურქულ ავიაკომპანია - „თურქეთის ავიახაზებზე“; 7,% - რუსულ ავიაკომპანია - „ავიაექსპრესკრუიზზე“ (აეკ)-ზე; 6,7% - „ეარ ჯორჯია“-ზე; 5,2% - „ალდზე“, ხოლო დანარჩენ ავიაკომპანიებზე მოდიოდა გადაყვანილ მგზავრთა - 35,7%.

2000 წელი

2000 წლის საჰაერო ტრანსპორტით რეგულარული რეისებით მგზავრთა გადაყვანას საერთაშორისო ხაზებზე ახორციელებდა 27 ავიაკომპანია, რომელთაგან 7 ავიაკომპანია იყო ქართული: 1) „აირზენა საქართველოს ავიახაზები“, 2) „საქართველოს ავიახაზები“, 3) „აეკი“, 4),,აჭარა“, 5) ,,აბავია“, 6) ,,ვესტჯორჯია“, 7)„ტრანსავიასერვისი“.

2000 წლის მონაცემების მიხედვით რეგულარულ რეისებზე საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისი გადაყვანის ბაზარი ხასიათდებოდა კონცენტრა-

ციის მაღალი დონით, კერძოდ, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით HHI აღნიშნულ ბაზარზე შეადგენდა 2006. ავიაკომპანიების მიერ მგზავრთა გადაყვანა განხორციელდა 45 მიმართულებით. მთლიანად საერთაშორისო რეისებზე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ შეადგინა 310541 მგზავრი. გადაყვანილ მგზავრთა 37,1% იმგზავრა თბილისი-მოსკოვის რეისით. ექვს მიმართულებაზე – 1) სტამბოლი-თბილისი - 9,4%-ი, 2)თბილისი-ვენა - 5,6%-ი, 3) თბილისი-ფრანკფურტი - 5,4%-ი, 4) ლონდონი-თბილისი - 5,1%-ი, 5) ციურიხი-თბილისი - 4,9%-ი, 6) ქუთაისი-მოსკოვი - მოდიოდა გადაყვანილ მგზავრთა 5-დან 10%-მდე, ხოლო დანარჩენ რეისებზე კი მგზავრთა გადაყვანის 28,1%. (აღსანიშნავია, რომ ბათუმის აეროპორტიდან განხორციელებულ ბათუმი-სოჭი, ბათუმი-მოსკოვის მიმართულებებზე მოდიოდა მთლიანი ბაზრის 5,4%. ცალკე აღნიშნულ მიმართულებებზე მგზავრთა გადაყვანის ჩვენება ვერ მოხერხდა მონაცემების არქონის გამო).

ამ პერიოდისათვის მგზავრთა გადაყვანის 36,2% მოდიოდა ქართულ ავიაკომპანია „X“-ზე. აღნიშნული ავიაკომპანია საერთაშორისო ხაზებზე მგზავრთა გადაყვანას ახორციელებდა 26 მიმართულებით – 1)მოსკოვი; 2) სანკტ-პეტერბურგი; 3) კიევი; 4) ვენა; 5)ბაქო; 6) თელავივი; 7) ათენი; 8) ფრანკფურტი; 9) თეირანი; 10)ამსტერდამი; 11) პარიზი; 12) ალმა-ათა; 13) ანტალია; 14) ბრატისლავა; 15) ერზერუმი; 16) ფრანკფურტი; 17)ფუჯეირა; 18) ჰანოვერი; 19) ლარნაკა; 20) რიმინი; 21)როსტოვი; 22) სამარა; 23) ტაშკენტი; 24) თეირანი; 25)ვარნა; 26) ვილნიუსი.

ავიაბაზარზე მგზავრთა გადაყვანის მთლიანი მოცულობის 10,8%-ი მოდიოდა რუსულ ავიაკომპანია „აეროფლოტზე“; 9,6% - თურქულ ავიაკომპანია - „თურქეთის ავიახაზებზე“; 6,3% - რუსულ ავიაკომპანია „ავიაექსპრესკრუიზზე“ (აეკ), ხოლო დანარჩენ ავიაკომპანიებზე მოდიოდა გადაყვანილ მგზავრთა - 37,2%.

2001–2002 წლები

2001 წლისათვის საჰაერო ტრანსპორტით რეგულარული რეისებით მგზავრთა გადაყვანას საერთაშორისო ხაზებზე ახორციელებდნენ შემდეგი ავიოკომპანიები 1) „აირზენა - საქართველოს ავიახაზები“, 2) „საქართველოს ავიახაზები“, 3) „აჭარა“, 4) „საქავიასერვისი“, 5) „თურქეთის ავიახაზები“, 6) „ავიაექსპრესკრუიზი“, 7) „აეროფლოტი“, 8) „აზალავია“, 9) „დნეპრავია“, 10) „უკრაინის ავიახაზები“, 11) „ურალის ავიახაზები“, 12) „დონბასავოსტოჩნი“, 13) „სვისაირი“, 14)„ავსტრიის ავიახაზები“, 15) „პულკოვო“, 16) „ბრიტიშ მედითერიანი“, 17) „შანსი“. აღნიშნულ ავიოკომპანიათა შორის მხოლოდ ოთხი წარმოადგენდა ქართულ ავიოკომპანიას: 1) „აირზენა საქართველოს ავიახაზები“, 2) „საქართველოს ავიახაზები“, 3) „საქავიასერვისი“ და 4) „აჭარა“.

ამავე პერიოდში მგზავრთა გადაყვანა განხორციელდა 18 მიმართულებით. მთლიანად საერთაშორისო რეისებზე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ 2001 წლისათვის შეადგინა 252,3 ათ. მგზავრი, რომელთა 38,4%-ი მოდიოდა მოსკოვის მიმართულებაზე. პროცენტულად მოსკოვის მიმართულების შემდეგ ყველაზე მეტი მგზავრია გადაყვანილი სტამბოლის (10,5%-ი), შემდეგ ვენის (8,2%), ფრანკფურტის (6,0%), ლონდონი (6,0%),ციურიხის (4,7%), კიევის მიმართულებით (4,5%), რაც ჯამში შეადგენს 39,9%-ს. ყველა სხვა დანარჩენ რეისებზე მოდიოდა 21,7%-ი.

2001 წლისათვის საერთაშორისო რეისებზე მგზავრთა ავიაგადაზიდვების ბაზრის მთლიანი მოცულობის 39,5% მოდიოდა ქართულ ავიაკომპანია ‘X“-ზე, რომელიც მგზავრთა გადაყვანას ახორციელებდა შემდეგი მიმართულებებით: 1) თბილისი-ბაქო, 2) თბილისი-ფრანკფურტი, 3) თბილისი-თეირანი, 4) თბილისი-პარიზი, 5) თბილისი-ამსტერდამი, 6) თბილისი-კიევი, 7) თბილისი-ვენა, 8) თბილისი-პეტერბურგი, 9) თბილისი-თელ-ავივი, 10) თბილისი-ათენი, 11) თბილისი-მოსკოვი.

საქართველოს ავიაბაზარზე საერთაშორისო რეისებზე მომუშავე ავიაკომპანიათა ხვედრითი წილი 2001 წლისათვის გამოიყურება შემდეგნაირად: თურქული ავიაკომპანიისათვის (10,4%); რუსული ავიაკომპანიებისათვის ჯამში (22,9%); უკრაინული ავიაკომპანიისათვის (4,2%); ავსტრიული ავიოკომპანიისათვის (5,5%); ბრიტანული ავიაკომპანიისათვის (6,0%).

2001 წლის მონაცემების მიხედვით რეგულარულ რეისებზე საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისი გადაყვანის ბაზარი ხასიათდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონით, კერძოდ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი უდრიდა 2023-ს.

2001 წლისათვის აღნიშნულ ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა (39,5%-ით) ეკავა ქართულ ავიაკომპანია „X"-ს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2002 წლის 4 აპრილის №1/42 ბრძანებით გამოცხადებული იქნა მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად (მგზავრთა გადაყვანა) და დადგენილი წესის შესაბამისად შეყვანილი იქნა „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრში".

რაც შეეხება ქვეყანაში ტვირთების საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, ანტიმონოპოლიური სამსახური ხაზს უსვამდა, რომ 2001 წლისათვის ქვეყანაში ტვირთების გადაზიდვის ბაზარზე რეგულარულ რეისებთან ერთად ბაზრის დიდი სეგმენტი ეკავა არარეგულარულ, ჩარტერულ რეისებს. კერძოდ, არარეგულარულ, ჩარტერულ რეისებზე მოდიოდა მთლიანი ბაზრის 38%-ი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური მიჩნევდა, რომ საჭირო იყო ტვირთების გადაზიდვის ბაზარზე მდგომარეობა შეფასებულიყო როგორც რეგულარული, ასევე ჩარტერული რეისების ჩათვლით.

2001 წლის მიხედვით საჰაერო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვას საერთაშორისო ხაზებზე ახორციელებდნენ შემდეგი ავიაკომპანიები: 1) „აირზენა-საქართველოს ავიახაზები"; 2) „სვისეარი"; 3)„საქართველოს ავიახაზები"; 4) „აეროფლოტი"; 5)„თურქეთის ავიახაზები"; 6) „ავსტრიის ავიახაზები"; 7)„აეკი"; 8) „იკარი"; 9) „უკრაინის ავიახაზები"; 10)„დნეპრავია"; 11) „პულკოვო"; 12) „აზალია", რომელთა მიერ ამ პერიოდისათვის საავიაციო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის რაოდენობამ შეადგინა 4156,9 ტონა. აქედან რეგულარულ რეისებზე მოდიოდა 2562,6 ტონა, ხოლო ჩარტერულ რეისებზე 1594,3 ტონა.

ჩარტერული რეისების ჩათვლით, ავიაკომპანია „X"-ის პროცენტული წილი ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების ბაზარზე 2001 წლისათვის შეადგენდა 29,7%-ს, ხოლო უცხოურ ავიაკომპანია „Coyne Airways Limited"-ს ეკავა ტვირთის გადაზიდვის ბაზრის მთლიანი მოცულობის 32,8%-ი. დანარჩენ ავიაკომპანიებზე მოდიოდა მთლიანი გადაზიდული ტვირთის 37,5%-ი.

ანალიზიდან გამომდინარე, 2001 წლის მონაცემების მიხედვით ტვირთების საერთაშორისი გადაზიდვების ბაზარი ქვეყანაში ხასიათდებოდა კონცენტრაციის მაღალი დონით, კერძოდ, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) = 2114.

კონკურენტული გარემოს შეფასების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებო იყო ა/კ „გერმანიასთან" დაკავშირებული პრეცენდენტი, რომელმაც 2002 წლის ივლისის თვეში საქართველოს ავიაბაზარზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სურვილი გამოთქვა. იგი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციისაგან ითხოვდა ფრენის განხორციელების უფლებას თბილისი-კიოლნი-თბილისის მიმართულებით. ა\კ „გერმანიის" მიერ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი ტარიფი ერთი მიმართულებით

(თბილისი-კიოლნი) შეადგენდა 280 ევროს, ხოლო ორივე მიმართულებით 380 ევროს.

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ უარყო ავიაკომპანიის წინადადება და საბოლოოდ მას მოთხოვნილთან შედარებით გაცილებით მაღალი ტარიფი დაუმტკიცა (თბილისი-კიოლნის მიმართულებით 380 ევრო, ხოლო ორივე მიმართულებით 580 ევროს ოდენობით).

მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტად სახელდებოდა (სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის 2002 წლის 30 იყლისის №1244/16 წერილი) „საქართველოს რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკას შორის საერთა-შორისო საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ ხელშეკრულება, კერძოდ ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-2-4 პუნქტები.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ა/კ „გერმანია“-ს მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული ტარიფი თბილისი-კიოლნის მიმართულებაზე (280 ევრო) ა/კ „X“-მა დემპინგურ ტარიფად ჩათვალა. ამის თაობაზე მან მიმართა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს (2002 წლის 22 იყლისის წერილით).

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკითხის შესწავლის პროცესში არ იქნა გამოვლენილი ა\კ „გერმანიას“ მხრიდან დემპინგური ტარიფის შემოთავაზების ფაქტი. უფრო მეტიც, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა საკითხის შესწავლის შემდეგ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ქვეყნის საავიაციო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეზღუდვას და მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების შელახვას (მომხმარებლებისათვის მომსახურების უკეთესი პირობებით მიღების შეზღუდვას), რაზეც სამსახურის მიერ 2002 წლის სექტემბრის თვეში (5.09.02 წლის №3-2/164-1238) საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას გაეგზავნა მიწერილობა.

სახელმწიფო ანტიმოპოლიური სამსახური თვლიდა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში უცხო არ იყო ავიაბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მიერ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება ეროვნული ავიაბაზრის და ავიაკომპანიების ინტერესების დაცვის მიზნით. აქედან გამომდინარე სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ქმედება მათი აზრით, სავსებით კანონზომიერი იქნებოდა, რომ არა ის კონკრეტული გარემოებები, რაც წარმოჩენილი აქვს სამსახურს ამ კვლევაში (ავიაკომპანია „გერმანიას“ დირექტორის 2002 წლის 25 ივლისის წერილის შინაარსი; ავიაბაზარზე მოქმედი კომპანიების (როგორც საავიაციო ისე მომსახურე კომპანიები) ხარჯების მოცულობის სიდიდე და სხვ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოსაზრებით, საქართველოს ავიაბაზარი ხასიათდებოდა მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხით, რაც მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ (ამ ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანია და საავიაციო ბაზრის მომსახურე კომპანიები) მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საფუძველს წარმოადგენდა (დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით), რაც თავის მხრივ იწვევდა ბაზრის არაკონკურენტუნარიანობას და წარმოშობდა ახალი ეკონომიკური აგენტებისთვის ბაზარზე შეღწევის დაუსაბუთებელ ბარიერებს.

ამის შემდეგ კვლევაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავიაკომპანია „X“-ის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზს, ხოლო კვლევა მთავრდება რეკომენდაციებით, სადაც წარმოჩენილია საავიაციო ბაზარზე არსებული ხარვეზები და ამ დარგში შექმნილი პრობლემების მოწესრიგების მიზნით შემოთავაზებულია შემდეგი წინადადებები:

1. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ შესაბამის უწყებებთან ერთად შეიმუშაოს სამოქალაქო ავიაბაზრის განვითარების პერსპექტიული პროგრამა.

2. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს ცალკეულ მიმართულებებზე დანიშნული ავიაგადამზიდველის სტატუსის მინიჭებისთვის ტენდერის ჩატარების პროცედურა და პირობები.

3. საქართველოს ავიაბაზრის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით გადაიხედოს ავიაკომპანიებისათვის ფლაგმანის სტატუსის მინიჭების პრაქტიკა.

4. ავიაგადაზიდვების ტარიფების დაუსაბუთებელი ზრდის და ავიაბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან ერთად უზრუნველყონ „K" და „აერონავიგაციის" ტარიფების, ასევე „Z" კომპანიის მიერ საწვავზე დაწესებული ფასების შესწავლა-გადასინჯვა.

5. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას, 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსზღვრული საკითხების მოწესრიგებამდე, უნდა აეკრძალოს უარის თქმა ფრენების განხორციელებაზე იმ ავიაკომპანიებისათვის, რომლებიც ფრენის განხორციელების უფლებას დანიშნული ავიაგადამზიდველის ტარიფზე 20%-ით დაბალი ტარიფით მოითხოვენ.

6. განხილულ იქნეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის" რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი კრედიტის დაფარვის მიზნით ავიაბილეთის ფასში 18 აშშ დოლარის შეტანის მიზანშეწონილობის საკითხი.

7. რამდენადაც შესწავლილი მონაცემების საფუძველზე არ დადასტურდა ავიაკომპანია „გერმანია“-ს მიერ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში თავდაპირველად წარდგენილი ტარიფის დემპინგურობის ფაქტი, საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ გადახედოს დღეისათვის მოქმედ ტარიფს მის ოპტიმალურ ოდენობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

ანალიზის შედეგები საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ წარდგენილი იყო როგორც დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებში, ისე ზემდგომ ინსტანციებში – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასა და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში.

V.4. ინფორმაცია სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზებული რვეულების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ [21]

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური და მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობათა მოთხოვნის შესაბამისად, ახორციელებდა ქვეყანაში სასაქონლო ბაზრების შესწავლას და ადგენდა, თუ რამდენადაა დაცული ცალკეული ეკონომიკური აგენტებისა თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემო და მომხმარებელთა უფლებები. ასევე, სწავლობდა და შეიმუშავებდა აღნიშნულ სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებებს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში წარსადგენად.

ქვეყანაში სასაქონლო ბაზრების შესწავლას სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური აწარმოებდა სასაქონლო ბაზრებზე წარმოშობილი მდგომარეობის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. ამ ანალიზის პროცესში სამსახური ეყრდნობოდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მიერ 1998 წლის 3 დეკემბერს დამტკიცებულ „სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდურ რეკომენდაციებს“, რომელიც ითვალისწინებდა სასაქონლო ბაზრების შესწავლას როგორც ეკონომიკური (სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება და დამუშავება), ასევე უშუალოდ მომხმარებელთა გამოკითხვის გზით.

სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზირებული რვეულების ბაზრის გამოკვლევის აუცილებლობა გამოწვეული იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ასევე 1999 სასწავლო წლის დასაწყისში (აგვისტოს ბოლო და სექტემბრის თვე) ქვეყანაში ცალკეული სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპე-

ციალიზირებული რეულების დეფიციტით (ზოგიერთი სახელმძღვანელო და სპეციალიზირებული რეული საერთოდ არ იყო ბაზარზე გამოტანილი ამ პერიოდისათვის), რაც იწვევდა სახელმძღვანელოებზე და სპეციალიზირებულ რეულებზე ფასების მკვეთრ ცვლილებას და მოთხოვნა-მიწოდების დაუბალანსებლობას. ასევე, ზოგიერთ სკოლებში საერთოდ არ იყო გარკვეული, თუ რომელი სახელმძღვანელოთი უნდა ესარგებლათ მოსწავლეებს.

იმ პერიოდისათვის, სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დაუბალანსებლობა და ქაოსი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ქვეყანაში სასწავლო პროცესის დაწყების წინ, რომლის საილუსტრაციოდ გავეცნოთ ამ საკითხზე საქართველოს განათლების სამინისტროს პოზიციას 1995 წლიდან მოყოლებული 1999 წლის ჩათვლით. კერძოდ,

1) „1995/1996 სასწავლო წლისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა-რეალიზაციის ანალიზისა და 1996/1997 სასწავლო წლისათვის გამოსაცემი სახელმძღვანელოების თემატიკის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს განათლების სამინისტროს 1996 წლის 30 მაისის კოლეგიის გადაწყვეტილების – მე-9 პუნქტის ბ)-ქვეპუნქტით განისაზღვრა: „დაისვას საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე შეიქმნას სახელმძღვანელოების გამოცემის იურიდიული საკანონმდებლო ბაზა, იმ ვარაუდით, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა-რეალიზაციის საქმეში ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს დღეისათვის არსებული ქაოსი და განუკითხაობა; სახელმძღვანელოების გამოცემა მოხდეს მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს ნებართვით“.

2) „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში 1998/1999 სასწავლო წელს დაშვებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის დამტკიცებისა და სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად საგამომცემლო საქმიანობის მოწესრიგების შესახებ“ - საქართველოს განათლების სამინისტროს

1998 წლის 19 მაისის კოლეგიის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეში მოისინჯა ზოგიერთი სიახლე, რომელთა რეალიზაციამ პოზიტიურთან ერთად გამოკვეთა ნეგატიური მომენტებიც. განათლების სამინისტროს მიერ ზოგიერთი ავტორისათვის მიცემული ნებართვის საფუძველზე საკუთარი ხარჯებით გამოიცა რიგი სახელმძღვანელოებისა. თუ ერთმა ნაწილმა შეძლო დამოუკიდებლად სასკოლო სახელმძღვანელოების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ დონეზე გამოცემა, მეორე ნაწილმა გვერდი აუარა ობიექტურ სიძნელეებს, რამაც სახელმძღვანელოების რიგი მახასიათებლების დაქვეითება გამოიწვია. ორივე შემთხვევაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იზარალა ამ წესით გამოცემული თითქმის ყველა სახელმძღვანელოს ენობრივმა და ტექნიკურმა მხარემ. დაირღვა საერთო არქიტექტონიკა და, რაც მთავარია, მკვეთრად გაუარესდა მათი მიწოდება სასკოლო დაწესებულებისათვის. . . . . როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ჭირს ავტორთა, გამომცემელთა, პოლიგრაფისტთა და მიმწოდებელთა უფლება-მოვალეობების გამიჯვნა. საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგია შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ წლიდან წლამდე გრძელდებოდა ე.წ. „შავი ბაზრის ფაქტორის“ ზემოქმედება გამომცემლობების „X“, „XX“ და საგამომცემლო-საწარმოო ფირმა „XXX“-ის მიერ გამოსაცემი სასკოლო სახელმძღვანელოების ტირაჟების განსაზღვრასა და მზა პროდუქციის რეალიზაციაზე, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახებოდა მოსწავლეთა კონტიგენტის მოთხოვნის, ხარისხიანი წიგნებით უზრუნველყოფაზე. ამასთან, დიდი რაოდენობით გროვდებოდა გაუსაღებელი მზა პროდუქცია თანმდევი ნეგატიური შედეგებით. მაგალითად, თუ 1994-1995 წლებში გამომცემლობა „X“ და „XXX“-ის მიერ ერთობლივად გამოცემული სახელმძღვანელოების ტირაჟებმა დაწყებით კლასებში შეადგინა 40-45 ათასი ეგზემპლიარი, ხოლო მაღალ კლასებში 20-25 ათსი, 1997 წელს აღნიშნული

მაჩვენებელი შემცირდა შესაბამისად 10-15 ათასამდე დაწყებით კლასებში და 2-5 ათასამდე მაღალ კლასებში.

განათლების სამინისტროს კოლეგიას მიაჩნდა, რომ, ჯერ კიდევ მოსაგვარებელი იყო რიგი საკითხებისა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დონეზე, რის გამოც ადგილი ჰქონდა შეუსაბამობებს როგორც ავტორთა, ისე გამომცემელთა უფლება-მოვალეობების დაცვისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. ამ მხრივ დასაზუსტებელი და დასარეგულირებელი იყო ბევრი ისეთი საკითხიც, როგორიცაა თუნდაც განათლების სამინისტროსა და ავტორთა ურთიერთობა, საგამომცემლო საქმიანობისათვის საჭირო დაფინანსების წყაროების მოძიება და რაციონალურად გამოყენება, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისი სამუშაოს შესრულება, გამომცემლობა „X“-ის მონოპოლიური მდგომარეობის სახელმწიფო დონეზე რეგისტრაციის მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტა და ა.შ.

კოლეგია აღნიშნავდა სერიოზულ სიძნელეებზე სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაციის საქმეში, რაც უპირველეს იყო განპირობებული, ***ერთი მხრივ,*** მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობით, ***მეორე მხრივ*** კი – ქვეყნის მასშტაბით არსებული მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრისა და მზა პროდუქციის სარეალიზაციოდ შერჩეული არცთუ უხარვეზოდ მოქმედი მექანიზმებით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით 1999-2000 წლისათვის 15 ავტორს მიეცა საკუთარი ხარჯით 32 დასახელების სახელმძღვანელოს გამოცემის უფლება.

3) რაც შეეხება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში 1999-2000 სასწავლო წელს დაშვებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს განათლების სამინისტროს 1999 წლის 19 აპრილის №84 ბრძანებას, მასში არაფერი

იყო ნათქვამი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასკოლო სახელმძღვანელოებითა და სპეციალიზირებული რვეულებით უზრუნველყოფის საქმეში არსებულ პრობლემებზე, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ამ სფეროში წინა წლებში არსებული პრობლემები ავტომატურად გრძელდებოდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს აუცილებლად მიაჩნდა განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების ზოგიერთი ასპექტის ხელახალი გააზრება და სრულყოფა.

ამასთან, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს განათლების სფეროში (სასკოლო სახელმძღვანელოებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა) არსებული პრობლემის მოწესრიგების მიზნით ჩამოყალიბებიდანვე (1997 წლის 1 იანვრიდან) ჰქონდა მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს განათლების სამინისტროსთან, რის შესახებაც ინფორმირებული იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარია.

ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გააგრძელა რა ქვეყნის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზირებული რვეულების სასაქონლო ბაზრის შესწავლა ამ მიზნით შეიმუშავა „მომხმარებლის – ფიზიკური პირების (მშობლების) გამოკითხვის ანკეტა“ და აღნიშნული ანკეტით მოახდინა ქვეყნის მოსახლეობის (ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული სკოლების მოსწავლეთა მშობლების) გამოკითხვა. გამოკითხვის პროცესში ჩართული იყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ცენტრალურ აპარატთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ.თბილისისა და ყველა სამხარეო ანტიმონოპოლიური სამსახურები. ამდენად გამოკითხვის პროცესმა მოიცვა ქვეყნის ყველა რეგიონი აფხაზეთის (ცნობილი მოვლენების გამო) და აჭარის (გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო) ავტონომიური რესპუბლიკების გარდა. სულ გამოკითხულ იქნა 3200 რესპოდენტი მომხმარებელი (მშობელი).

გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა რომ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზებული სკოლების მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა:

ა) საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ საგანთა პროგრამების (სახელმძღვანელოების) ხშირი ცვლა (გამოკითხულთა დაახლოებით 66%);

ბ) გამოკითხულთა 76%-ს არ მიაჩნდა სწორად, რომ ადგილი ჰქონდა დამტკიცებული პროგრამის (სახელმძღვანელოს) ხშირ ცვლას;

გ) დამტკიცებული პროგრამის ხშირი ცვლა გამოკითხულთა 61%-ს უქმნიდა ფინანსურ პრობლემებს;

დ) ასევე გამოკითხულთა 72%-ს მიაჩნდა, რომ არასწორი იყო სკოლის მასწავლებელთა მიერ სპეციალიზირებული რეჟულების მოთხოვნა;

ე) გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის 82%-ს მიაჩნდა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზირებული რეჟულების ფასი ძალიან მაღალი იყო;

ვ) გამოკითხულთა 88%-ს მიაჩნდა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზირებული რეჟულების ფასი უნდა ყოფილიყო რეგულირებადი და მას უნდა არეგულირებდეს სახელმწიფო. და ბოლოს,

ზ) საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყო ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა უარყოფითად აფასებდა (ანკეტაში რესპოდენტისათვის განკუთვნილი თავისუფალ გრაფაში - „რას დაამატებდით“) სასკოლო სახელმძღვანელოებითა და სპეციალიზირებული რეჟულებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას და ამ პროცესს

აღიქვამდნენ, განათლების სფეროს რეფორმის მანკიერ მხარედ, რადგან სახელმძღვანელოების სწრაფი ცვალებადობა და სპეციალიზირებული რეულების შემოღება უარყოფითად მოქმედებდა დაბალშემოსავლიან ოჯახებზე. მათ მიერ გამოთქმულ შენიშვნებში აშკარად იკითხებოდა ის მძიმე ფსიქოლოგიური (სტრესი) განწყობა, რომელიც ახლდა ამ პროცესის დაურეგულირებლობას ოჯახში (მოსწავლესა და მშობელს) და სკოლაში (მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის).

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო სერიოზულად შესწავლილ იყო ქვეყანაში სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარზე არსებული რეალური სურათი, რისთვისაც უნდა მომხდარიყო შერჩევითი გამოკითხვის პროცესში წამოწეული პრობლემების კუთხით საკითხის გაანალიზება - კერძოდ, უნდა გაანლიზებულიყო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ სხვადასხვა ტიპის სკოლებისათვის (ზოგადსაგანმანათლებლო, სპეციალური და სხვა) დამტკიცებული პროგრამის ნორმატიული ბაზა (მათი დამტკიცებისა და გატარების იურიდიული საფუძველი), რისთვისაც ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1999 წლის 23 ივლისის №3-2/100-452 წერილით მიემართა საქართველოს განათლების სამინისტროს და ეთხოვა ეცნობებინა თუ რომელ ეკონომიკურ აგენტებს აქვთ მინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვის ნებართვა და ვის მიერ. ასევე, გამოთხოვილ იქნა განმარტება თუ რის საფუძველზე წარმოებს ნებართვის გაცემა (ნებართვის გაცემის წესი და პირობები).

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის, მიღებული პასუხიდან გახდა ცნობილი, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა-ყამოცემას აწარმოებდა გამომცემლობა „X“, საგანამანათლებლო საწარმოო „XXX“-თან ერთად, აგრეთვე მოქმედი სახელმძღვანელოების ის ავტორები, რომლებმაც საკუთარი

უფლებამოსილების ფარგლებში გაწყვიტეს ურთიერთობა ზემოთხსენებულ გამომცემლობასთან და თავიანთი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების გამოცემა-რეალიზაციას აწარმოებდნენ დამოუკიდებლად. ამასთან, საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისათვის ქართულენოვანი სახელმძღვანელოების გამოცემას წლების განმავლობაში უძღვებოდა გამომცემლობა „XX“.

აღნიშნული გამომცემლობები და ცალკეული გამომცემელი ავტორები დამოუკიდებლად, განათლების სამინისტროს მონაწილეობის გარეშე, ახორციელებდნენ პოლიგრაფიული საწარმოების, სტამბების შერჩევასა და შეკვეთების განთავსებას იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი უზრუნველყოფდა შედარებით იაფად და ხარისხიანად სახელმძღვანელოების დასტამბვას.

საქართველოს განათლების სამინისტრო, თავის მხრივ, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, აზუსტებდა მოქმედი სასწავლო გეგმების შესაბამისად დამტკიცებული სასწავლო დისციპლინების მიხედვით შერჩეული გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, რომელიც, როგორც წესი, მტკიცდებოდა განათლების მინისტრის ბრძანებით.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების შერჩევის საკითხის გადაწყვეტას, სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე პოლიგრაფიული საწარმოებისათვის ნებართვის გაცემის წესებისა და პირობების შემუშავებას, აგრეთვე ეკონომიკური აგენტების შესარჩევად ტენდერის, კონკურსისა თუ შერჩევის სხვა ფორმების გამოყენებას, განათლების სამინისტრო არც ადრე ახდენდა და ბუნებრივია, არც ამ ანალიზის პერიოდში აწარმოებდა.

გარდა ამისა, განათლების სამინისტროს განმარტებით, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა ხდებოდა საქართველოს განათლების სამინისტროს ჩაურევლად, დამოუკიდებელი ცალკეული გამომცემლებისა და სახელმძღვანელოების ავტორების მიერ, ე.ი. საქართველოს განათლების სამინისტრო არ ერეოდა პირველი სექტემბრისათვის სკოლების მიერ

სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმეში. მათი თქმით, აღნიშნული საკითხი მინდობილი იყო ცალკეულ გამომცემლებსა და სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებზე, რომლებიც თვითონ განსაზღვრავდნენ სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის რაოდენობასა და მიწოდებას ბაზარზე (რომლებიც ვერ, ან არ ახერხებდნენ აღნიშნულ სასაქონლო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების განსაზღვრას, რაც სამსახურის აზრით არც იყო მათი კომპეტენცია და პრაქტიკულად შეუძლებელს წარმოადგენდა), რის საწინააღმდეგოდ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური აღნიშნავდა, რომ – საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის 1998 წლის 19 მაისის №1-შ10 გადაწყვეტილებით (პუნქტი 10) დამტკიცებულ იქნა ,,სახელმწიფო ზოგადსაგანამანათლებლო პროგრამის შესაბამის სახელმძღვანელოთა საკონკურსო შერჩევის, აპრობაციისა და დამტკიცების დებულება“, რომელიც ადგენდა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ზოგადსაგანამათლებლო პროგრამების შესაბამის სახელმძღვანელოების ავტორთა და სახელმძღვანელოთა შერჩევის წესს, აპრობაციასა და განათლების სამინისტროს მიერ გრიფის მინიჭების პროცედურას. აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლის 2.5 პუნქტის თანახმად „საკონკურსო კომისია თითოეული ექსპერტის მიერ წარმოდგენილი ჩანაწერების მიხედვით ადგენდა წარმოდგენილ მასალათა საექსპერტო ჩანაწერების საერთო შედეგს და ექსპერტთა დასკვნებისა და ჩანაწერების საერთო შედეგების გათვალისწინებით, დამფინანსებლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, ავლენდა გამარჯვებულ ავტორს ან ავტორთა ჯგუფს“, ამავე დებულების 4.1 პუნქტის თანახმად - „თითოეული სახელმძღვანელოს ტირაჟს, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ადგენდნენ დამფინანსებლები და თავის გადაწყვეტილებას განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში აცნობებდა სამინისტროს. თავის მხრივ, სამინისტრო აქვეყნებდა წარმოდგენილ

ინფორმაციას და თუ წარმოდგენილი წინადადებები საკმარისი არ იყო, ზომებს იღებდა აუცილებელი მინიმუმის უზრუნველსაყოფად (დამფინანსებლის მოსაძებნად, სახელმწიფო რესურსების გამოსაძებნად); ასევე, დებულების 4.3 პუნქტის თანახმად - „დამფინანსებლისა და განათლების სამინისტროს შორის იდებოდა ხელშეკრულება ყოველ კონკრეტულ სახელმძღვანელოზე, რომელშიც სხვა პირობებთან ერთად აღნიშნული უნდა ყოფილიყო სახელმძღვანელოს ტირაჟი, პოლიგრაფიული დონე, საბითუმო და საცალო რეალიზაციის ფასების მაქსიმუმი, შესრულების ვადა, გავრცელების პირობები და საჯარიმო სანქციები“. ამდენად, ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის გაუგებარი იყო განათლების სამინისტროს პასუხი მათ წერილზე იმ ნაწილში, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ თითქოს საქართველოს განათლების სამინისტრო არ ერეოდა და არ იყო ვალდებული ჩარეულიყო სასკოლო სახელმძღვანელოებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის საქმეში (თუმცა, ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიაჩნდა, რომ ცალკე მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყო ის, რომ თუ რამდენად კვალიფიციურად იყო გაკეთებული აღნიშნულ დოკუმენტში სახელმძღვანელოს შერჩევისა და სასწავლო პროცესის (მომხმარებელთა ინტერესების დაცვა) სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებული, რადგან განმარტებას მოითხოვდა „დამფინანსებლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლები“. კერძოდ, ის, თუ რა როლი ენიჭებოდა მას სასწავლო პროცესის სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საქმეში.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის პოზიციას, სასკოლო სახელმძღვანელოებით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სფეროში 1999 წლისათვის არსებული არასახარბიელო მდგომარეობას, მისი აზრით მოსახლეობის დაბალ მსყიდველუნარიანობასთან ერთად ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

1. სასკოლო წიგნებზე მოთხოვნის განსაზღვრის მეთოდის არაეფექტურობა;

2. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გავრცელებული პრაქტიკა;

3. სახელმძღვანელოების რეალიზაციის არხების არ არსებობა.

სასკოლო სახელმძღვანელოებზე მოთხოვნის განსაზღვრას ართულებდა ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სკოლაში ერთი და იგივე დასახელების საგანში განათლების სამინისტროს მიერ სახელმწიფო სასწავლო პროგრამის სავალდებულო მინიმუმის ფარგლებში დაშვებული იყო სხვადასხვა ავტორთა წიგნები, რითაც პედაგოგს მიეცა ინიციატივის გამოვლენის, არჩევანის გაკეთების საშუალება. ამ ფაქტს დადებით მნიშვნელობასთან ერთად უარყოფითი შედეგიც მოჰყვა, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებისას სკოლაში წიგნებით მისულ ბავშვს, ხშირ შემთხვევაში, პედაგოგი სთხოვდა სხვა ავტორის წიგნს, რომლის შედეგადაც მშობელს ფაქტიურად ორჯერ უხდებოდა ერთი და იგივე დასახელების, მაგრამ სხვადასხვა ავტორის წიგნის შეძენა. ასევე, ალტერნატიული სახელმძღვანელოს გამო როგორც მომხმარებელი, ასევე მწარმოებელი არ იყო გარკვეული თუ რომელი სახელმძღვანელო რა მასშტაბით უნდა ყოფილიყო წარმოებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხოვნის განსაზღვრის არსებული მეთოდი არ ითვალისწინებდა კონკრეტულ ავტორთა სახელმძღვანელოების მითითებას, რომელთაც პედაგოგების მიერ ენიჭებოდა უპირატესობა სხვადასხვა მიზეზების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის განსაზღვრისას, ისეთი ძირითადი პარამეტრები, როგორიცაა: მოსწავლეთა კონტიგენტი, წინა წელს რეალიზებული სახელმძღვანელოების რაოდენობა, უშუალოდ სკოლიდან მოწოდებული ინფორმაცია, სახელმძღვანელოების სიახლე, სხვა თანაბარ

პირობებში საშუალებას იძლეოდა განსაზღვრულიყო რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული მოთხოვნა, თუ რა თქმა უნდა ამის შესწავლა და განსაზღვრა მოხდებოდა ცენტრალიზებულად. ამასთან, ანტიმონოპოლიურ სამსახურს ასევე მიაჩნდა, რომ საჭირო იყო წინასწარ განსაზღვრულიყო სახელმძღვანელოების ხარისხის შეფასების პარამეტრები და მათი გამოშვების პერიოდულობა.

სამსახურის აზრით, სასკოლო საგნების პროგრამაში ყოველგვარი ცვლილება უნდა მომხდარიყო ტენდერისა და კონკურსის გზით, რისთვისაც წინასწარ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ტენდერისა და კონკურსის ჩატარების პერიოდულობა (სახელმძღვანელოს მოქმედების ვადა), რომლის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო უკეთესი ავტორისა და უკეთესი სახელმძღვანელოს გამოვლენა (ასევე, სამსახური თვლიდა, რომ უნდა ყოფილიყო ძველი სახელმძღვანელოების ახლით შეცვლის აუცილებლობის გამჭვირვალე პროცესი, რათა თავიდანვე გამორიცხულიყო აღნიშნულ საქმეში რაც შეიძლება სუბიექტურობის ფაქტორი. შესაბამისად, ანტიმონოპოლიური სამსახური თვლიდა, რომ ამ პრობლემის მოგვარება მიღწევადი იყო თუ ამ მიზნით საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეიქმნებოდა და იფუნქციონირებდა საგნის მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტთა საბჭო, რომელიც (ან იგივე შეიძლებოდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს დავალებოდა) მუდმივად გააკონტროლებდა და სისტემურ ხასიათს მისცემდა ქვეყნის მასშტაბით სასკოლო სახელმძღვანელოზე საგნის სპეციალისტთა მიერ გამოთქმული შენიშვნების განხილვასა და სახელმძღვანელოების სრულყოფისას მის გათვალისწინებას.

ამასთან, როგორც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვიდან გამოჩნდა, მომხმარებლების (შშობლების) ძირითად და მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ფინანსური პრობლემა – მაღალი ფასი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და

სპეციალიზირებული რეჟისურების ბაზარზე. ეს უკანასკნელი, სამსახურის აზრით, გამოწვეული იყო სასკოლო სახელმძღვანელოების მოთხოვნა-მიწოდების არაეფექტური განსაზღვრითა და სასკოლო სახელმძღვანელოების უკანონო დასტამბვა-ტირაჟირებით, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენდნენ სახელმძღვანელოს ტირაჟის მოცულობაზე და მიმწოდებელს სასწავლო პროცესის დაწყებისას გზა და გზა უხდებოდა მომხმარებლის მოთხოვნის განსაზღვრა და ცალკეული პარტიებით წიგნის ბეჭდვა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ერთეული სახელმძღვანელოს ფასზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური არ გამორიცხავდა იმას, რომ შეიძლებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებზე სასწავლო წლის დასაწყისისათვის ხელოვნურ ფასწარმოქმნას ჰქონოდა ადგილი და დარგის სამართლებრივი რეგულირების მანკიერი მხარე ყოფილიყო ამის მიზეზი (მყისიერი, ერთთვიანი სასაქონლო ბაზარი, ავტორის მიერ სახელმძღვანელოს მოცულობის დაბეჭდვის და ბაზარზე გამოტანის უფლება).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების სამინისტროდან აღნიშნულ საკითხზე განმარტება იქნა მიღებული ანტიმონოპოლიური სამსახურის 1999 წლის 7 დეკემბრის №3-2/183-718 წერილის პასუხად, 2000 წლის 16 თებერვალს (წერილი №01-15-06/153). ანტიმონოპოლიური სამსახურის აზრით, ეს განმარტებები არ იყო სრულყოფილი და საჭიროებდა დამატებით დაზუსტებას. კერძოდ, შეკითხვას - ,,სპეციალიზირებული რეჟისურები ვის მიერ იყო დაშვებული სკოლაში", განათლების სამინისტრომ უპასუხა, რომ „მასწავლებელთა მიერ სპეციალიზირებული რეჟისურების შეძენის მოთხოვნა არასწორია, რაზეც სამინისტრომ უკვე გამოხატა შესაბამისი დამოკიდებულება, როცა 1999 წლის 5 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება №527, რომლის ძალითაც კატეგორიულადაა აკრძალული საკონცერტო ბილეთების და აბონენტების, პლაკატების, ბუკლეტების, ჟურნალ-გაზეთების, სასწავლო ნივთების,

რეულების სახელმძღვანელოების, მეთოდური რეკომენდაციების, დამხმარე ლიტერატურისა და სხვა სახის პროდუქციის გავრცელება“, მაგრამ 1999 წლის 5 ოქტომბრის №527 ბრძანება ეხება არა სპეციალიზირებული რეულების მოთხოვნის აკრძალვას სკოლებში, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებით სკოლებში ვაჭრობის აკრძალვას. რაც შეეხება სპეციალიზირებული რეულების იმ მასშტაბით (თითოეულ კლასში 3-5 სპეციალიზირებული რეული, რომელსაც სახელმძღვანელოს ფასი აქვს) დაშვების აუცილებლობა, რომელსაც იმ მომენტისათვის ჰქონდა ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში, სამსახურისათვის აუხსნელი დარჩა.

ასევე, მიაჩნდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, რომ განათლების სამინისტრომ ვერ განუმარტა ის, თუ რით იყო გამოწეული სახელმძღვანელოების ცვლილება ყოველწლიურად, არც ის თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული ერთ სასწავლო პროგრამაზე განსხვავებული სახელმძღვანელოების არსებობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (აქ მხედველობაში არაა განსაკუთრებული სახის ცალკეული სპეციალიზირებული სკოლები). სამინისტრომ ამ საკითხებზე უპასუხა, რომ „რაც შეეხება სახელმძღვანელოებს სხვა და სხვა ავტორი ერთსა და იგივე დასახელების სახელმძღვანელოს, ერთსა და იამვე საგანში და ერთი და იგივე პროგრამის მიხედვით, ცხადია, განსხვავებულად დაწერდა“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური მიიჩნევდა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზირებული რეულების სასაქონლო ბაზარი წარმოადგენდა სეზონურ ბაზარს და მოიცავდა აგვისტოს თვის ბოლოს და სექტემბრის თვის პირველ ნახევარს. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღნიშნულ სფეროში სწორი სამართლებრივი (რეგულირების მექანიზმი) ბაზის შექმნას, რისთვისაც სამსახურს აუცილებლად მიაჩნდა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევის, მიღების

და რეალიზაციის სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების განხილვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

როგორც უკვე ზემოთაა აღნიშნული, საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით მიღებული იყო „სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის სახელმძღვანელოთა საკონკურსო შერჩევის, აპრობაციისა და დამტკიცების შესახებ“ დებულება, რომლითაც ხდებოდა სახელმძღვანელოს შერჩევა, აპრობაცია და გრიფის მინიჭება. დებულების თანახმად, სახელმძღვანელოთა შერჩევის კომისია, დამფინანსებლის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, აცხადებდა გარკვეულ ავტორს, ან ავტორთა ჯგუფს. ამავე დებულების მე-4 მუხლის 4.1, 4.2 პუნქტების თანახმად დამფინანსებელი განსაზღვრავდა სახელმძღვანელოს ტირაჟს და თავის გადაწყვეტილებას აცნობებდა განათლების სამინისტროს. ასევე, ამავე მუხლის 4.6 პუნქტის თანახმად „სახელმძღვანელოების ტირაჟირებამდე დამფინანსებელი/გამომცემელი ვალდებული იყო დაედო ხელშეკრულება სახელმძღვანელოს ავტორთან“. დამფინანსებლის ფუნქციას ამ შემთხვევაში წარმოადგენდა სახელმძღვანელოს მოთხოვნის განსაზღვრა, წარმოება (დაბეჭდვა) და მისი მიწოდება მომხმარებლისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში დამფინანსებელს ენიჭებოდა აღნიშნული საკითხის მოგვარების ფუნქცია, რისი შესაძლებლობაც შეიძლება არ დამთხვეოდა რეალობას. ამასთან, ავტორს განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების შემდეგ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ - საქართველოს კანონის მე-5 თავის თანახმად ენიჭებოდა უფლება თვითონ განესაზღვრა სახელმძღვანელოს გამოცემის პირობები – წიგნის ბეჭდვის მოცულობა და მისაღები ჰონორარის სიდიდე. ამდენად, ძნელად წარმოსადგენი იყო ავტორის ეკონომიკური ინტერესი მუდმივად დამთხვეოდა დამფინანსებლის ინტერესებს და პირიქით და ორივე ერთად სასწაელო პროცესის

ორგანიზებას, რომელიც ყოველთვის სახელმწიფოს და არა კერძო მეწარმის პრიორიტეტს წარმოადგენდა.

საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ იმ პერიოდისათვის შემუშავებულ და მიღებულ იქნა ახალი დებულება „ზოგადსაგანამანათლებლო საშუალო სკოლების სახელმძღვანელოთა საკონკურსო შერჩევის, აპრობაციისა და დამტკიცების შესახებ“, რომელიც განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლის განმარტებით (სატელეფონო საუბრიდან გამომდინარე) წარდგენილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის.

აღნიშნული დებულების 1.4 მუხლის თანახმად - „კონკურსის მიზანია ერთი კლასის ერთი საგნის არაუმეტეს სამი საუკეთესო სახელმძღვანელოს გამოვლენა“. ე.ი. საქმე გვექნება სამი სახელმძღვანელოს საავტორო და საგამომცემლო უფლებასთან. ასევე, საჭირო გახდება იმ სკოლების შეჩევა, რომლებიც ამ სასკოლო სახელმძღვანელოებით ისარგებლებენ, რაც კიდევ უფრო გაართულებს სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდება-მოთხოვნის განსაზღვრას დროსა და სივრცეში, რადგან ამ კუთხით ძნელად მოიაზრება ის, თუ როგორ და რა მექანიზმით მოხდებოდა რაიონების ცალკეული სკოლების მოსწავლეების (რომლებსაც ამ სამი სახელმძღვანელოდან ერთ-ერთი უნდა დამტკიცებოდა) სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

ამავე დებულების 3.2 მუხლის თანახმად - „განათლების მინისტრი კონკურსს აცხადებდა იმ შემთხვევაში თუ: ა) ერთი კლასის ერთი საგნისათვის არსებობდა სამზე ნაკლები სახელმძღვანელო, რომელსაც ამ დებულების შესაბამისად მინიჭებული ჰქონდა „სახელმძღვანელოს“ გრიფი, რასაც არ იზიარებდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური და მიაჩნდათ, რომ ეს უნდა გამხდარიყო აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ერთობლივი მსჯელობის საგანი.

ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ბაზარზე სასკოლო სახელმძღვანელოების მიწოდების უზრუნველყოფის

პროცესში (ქაოსი და უწესრიგობა) სახელმძღვანელოების შერჩევის პირობები მოუწესრიგებელია, სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდება დაუბალანსებელია, ადგილი ჰქონდა მონოპოლიური ფასებით მანიპულირებას და მომხმარებელთა უფლებები დაუცველი იყო. პედაგოგიკაში (თეორიულად) დასაშვებიც რომ იყოს ქვეყანაში ერთი და იგივე საპროგრამო მასალა სამი განსხვავებული სახით მიეწოდოს მოსწავლეს (აღნიშნული ასევე სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა იყოს), სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს ეს გაუმართლებლად მიაჩნდა, რადგანაც მათი აზრით, აქ ყოველგვარ გაუთვალისწინებელ ქმედებას შეიძლებოდა გამოუსწორებელი მდგომარეობა წარმოექმნა.

ასევე, დებულების 4.1 პუნქტის თანახმად - „კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ მხოლოდ იმ იურიდიულ პირებს, ეწეოდნენ საგამომცემლო საქმიანობას და რეგისტრირებულნი იყვნენ საქართველოში“. ამავე დებულების 4.2 პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის თანამხმად, გამომცემლობას საკონკურსო კომისიისათვის უნდა წარედგინა - „გამომცემელსა და სახელმძღვანელოს (ავტორთა ჯგუფს) შორის დადებული ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი“. ასევე, „ე“ ქვეპუნქტის თანახმად - „ფინანსური ანგარიშის გასული წლის შემოწმების (აუდიტის) დამადასტურებელი საბუთების ასლი. ცნობები ავტორის შესახებ“, რაზეც ანტიმონოპოლიური სამსახური აღნიშნავდა, რომ წარმოდგენილი დებულებით გაურკვეველი იყო სახელმძღვანელოს შესახებ საავტორო ქონებრივი უფლება ვის ეკუთვნოდა (სახელმძღვანელოს ავტორს თუ გამომცემელს). ამასთან, სამსახურის აზრით, განმარტებას მოითხოვდა ის, თუ „რა შინაარსის ხელშეკრულება იდებოდა გამომცემელსა და ავტორს შორის. რაც შეეხებოდა გამომცემლის ფინანსური ანგარიშის მოთხოვნის აუცილებლობას (გამომცემლობები მრავალი იყო), სამსახური შენიშნავდა, რომ ის ვერ გამოდგებოდა აღნიშნულ შემთხვევაში გამომცემლობების

მიერ სასკოლო სახელმძღვანელოებით მოსწავლეების უზრუნველყოფის გარანტად, რადგანაც საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ცვალებადია, ხოლო სახელმძღვანელოსთვის მინიჭებული გრიფი ძალაში იყო ხუთი სასწავლო წლის განმავლობაში.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის აზრით, გამომცემლობა და სახელმძღვანელო შეიძლება ცალ-ცალკე პასუხობდნენ კონკურსის პირობებს, მაგრამ ერთად აღებული არა. აღნიშნულ შემთხვევაში კი შესაძლებელი იყო საუკეთესო სახელმძღვანელო არ ყოფილიყო ამორჩეული და პირიქით. აქედან გამომდინარე ანტიმონოპოლიური სამსახური ასკვნიდა, რომ აუცილებელი იყო დებულებით გათვალისწინებული კონკურსის პირობების გადამუშავება და დახვეწა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სამსახურის აზრით პრობლემის მოგვარება შეუძლებელი იყო.

გარდა ამისა, დებულების 6.1 პუნქტის თანახმად - „გამარჯვებული სახელმძღვანელო იგზავნებოდა საპილოტე სკოლებში და ერთი წლის განმავლობაში გადიოდა აპრობაციას"; 6.2 პუნქტის თანახმად - „იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობას და ნუსხას, რომლებშიც ჩატარდებოდა სახელმძღვანელოთა აპრობაცია, ამტკიცებდა მინისტრი და დაწესებულებათა რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო ორზე ნაკლები"; დებულების 6.3 პუნქტის თანახმად - „ერთ სასწავლებელში შეიძლებოდა ჩატარებულიყო ერთი და იმავე დასახელების მხოლოდ ერთი სახელმძღვანელოს აპრობაცია". ამასთან, 1999-2000 სასწავლო წლისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს 1999 წლის 19 აპრილის №84 ბრძანებით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში დაშვებული იყო გრიფმინიჭებული 160 სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის. 78 სახელმძღვანელო არაქართული (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) სკოლებისათვის და 70 სახელმძღვანელო – დამხმარე და სხვა ლიტერატურა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში,

როდესაც არსებობდა სამი სახელმძღვანელო, ქვეყნის ასეულობით სკოლაში უნდა მომხდარიყო სახელმძღვანელოთა აპრობაცია, რაც ანტიმონოპოლიური სამსახურის აზრით გააუფასურებდა თვითონ წიგნის აპრობაციის მნიშვნელობას და აღნიშნულ საკითხს ფორმალურ ხასიათს მიანიჭებდა. ასეთი მასშტაბის შემოქმედებითი სამუშაოების ჩატარება არათუ ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესს, არამედ კიდევ უფრო დაამძიმებდა მას. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი მთავრობის დონეზე გადასაწყვეტად მიაჩნდა სამსახურს.

აქვე არ შეიძლება ერთ მომენტს არ გასმოდა ხაზი. კერძოდ, სახელმწიფო, განათლების სამინისტროს სახით ადგენდა ამა თუ იმ საგნის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სახელმძღვანელოს შედგენა. სახელმძღვანელოს შემუშავების მეორე უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა სახელმძღვანელოს რედაქტირება, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციფიკური დატვირთვის მატარებელი იყო და თხოულობდა მაღალკვალიფიციურ კადრებს (პედაგოგებს, რედაქტორებს, მხატვრებს). რადგანაც საქმე გვქონდა სკოლის სასწავლო სახელმძღვანელოსთან (სასკოლო სახელმძღვანელოს რედაქტირება და გამომცემლობა), როგორც მეტად ფაქიზ და მოსაფრთხილებელ ნივთთან, ამიტომ, ანტიმონოპოლიური სამსახურის აზრით, განათლების სამინისტროს შემადგენლობაში მუდმივად უნდა ყოფილიყო საკუთარი გამომცემლობის სამსახური (გამომცემლობის სამსახური საქართველოს განათლების სამინისტროს იმ დროისათვის გააჩნდა, ამდენად ანტიმონოპოლიური სამსახურის აზრით, არ უნდა მომხდარიყო მისი განსახელმწიფოებრიობა), სადაც უნდა მომხდარიყო სახელმძღვანელოს გამოსაცემად მომზადება. ამ შემთხვევაში, სკოლის სახელმძღვანელოს გამოცემისათვის, გამომცემლობის ხელშეკრულება სახელმძღვანელოს ავტორთან შეიძლება არ ყოფილიყო საკმარისი პირობა. ასევე, ანტიმონოპოლიურ სამსახურის აზრით, ხაზი უნდა გასმოდა იმ გარემოებასაც, რომ საკონკურსო კომისიის

მიერ სახელმძღვანელოს შერჩევის შემდეგ სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სახელმძღვანელოს აპრობაცია (კვალიფიციური სკოლის შერჩევა, სახელმძღვანელოს დადებითი და უარყოფითი თვისებების შერჩევა) და შემდგომ, აპრობაციის შედეგების გათვალისწინება. ამიტომ, სასკოლო სახელმძღვანელოს შემუშავება უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ ავტორის მიერ, არამედ მთელი ზემოთ აღნიშნული ჯაჭვის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, განათლების პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის და საკითხზე დაკვირვებიდან გამომდინარე, ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ:

1. სასკოლო სახელმძღვანელოს შერჩევისას სახელმწიფოს გამარჯვებული სახელმძღვანელოს ავტორისათვის უნდა გადაეხადა წინასწარ დადგენილი გასამრჯელო.

2. სახელმძღვანელოს გამოცემისას სახელმძღვანლოს ავტორისათვის გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო მასტიმულირებელი პონორარი დადგენილი წესით;

3. სახელმძღვანელოს გამოცემის საავტორო უფლებები უნდა გადაცემოდა სახელმწიფოს ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ან მომზადებულიყო შესაბამისი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მოაწესრიგებდა საკითხს.

4. სახელმწიფოს, კერძოდ, განათლების სამინისტროს (სასწავლო სისტემაში გამოკითხვის წესით, ტალონის სისტემით) უნდა განესაზღვრა ამა თუ იმ სახელმძღვანელოს საჭირო რაოდენობა და ტენდერის წესით განეხორციელებინა მისი განთავსება (გამჭვირვალობის დაცვით) პოლიგრაფიულ სტამბებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზებული რეჟულების ბაზარზე არსებული ვითარების განხილვის პროცესში შეძენილი გამოცდილებისა და საქართველოს განათლების სამინისტროსთან აღნიშნულ საკითხზე თანამშრომლობით წლების განმავლობაში დაგროვილი (გამოთქმული) მოსაზრებების გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახური გამოთქვამდა მზადყოფნას მიეღო აქტიური მონაწილეობა ქვეყანაში სასწავლო პროცესის სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხის მოწესრიგების საქმეში.

<u>შენიშვნა:</u> საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაცია - „სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზებული რეჟულების ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ“, განხილულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის 2000 წლის 26 აპრილის კოლეგიის სხდომაზე (ოქმი №1), რის შემდგომაც ის დაეგზავნა შესაბამის სამინისტროებსა და ზემდგომ ორგანოებს.

თავი VI. საქართველოს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) ორგანოს საქმიანობის ზოგიერთი სხვა მიმართულება

VI.1. დსთ-ს მინერალური წყლების ბაზარზე ქართველ მეწარმეთა კანონიერი უფლებების დაცვა [13; 48]

მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს ფალსიფიკაციისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით ძალიან ნაყოფიერი და შედეგიანი იყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს) სივრცეში. ეს მიღწეულ იქნა დსთ-ს ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. კერძოდ, „მინერალური წყლის „ბორჯომის" წარმოების სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 თებერვლის №95 ბრძანებულების მე-2 პუნქტის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დაევალა დსთ-ს ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან ერთად მიეღწია მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს იმ ეტიკეტების რეგისტრაციის გაუქმები- სათვის, რომლებიც „ბორჯომი"-ს ჩამომსხმელი სახელმწიფო ქარხნების კუთვნილი ეტიკეტის შემადგენელ ელემენტს შეიცავდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს იყო პერიოდი, როდესაც დსთ-ს ქვეყნებში ადგილი ჰქონდა მინერალური წყლის წარმოებას „ბორჯომი"-ს კონცენტრატისაგან, რაც (კონცენტრატის წარმოება) დეპარტამენტ „საქმინხილწყალთან" არსებულ ლიცენზირების უწყებათაშორის საბჭოსა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს გაერთიანებული

სხდომის გადაწყვეტილებით აკრძალულ იქნა მეორადი ჩამოსხმის გამორიცხვის მიზნით. ამდენად, საქართველოში არც ერთ ეკონომიკურ აგენტს არ ჰქონდა უფლება მინერალურ წყალ „ბორჯომი“-საგან ეწარმოებინა მარილის კონცენტრატი შემდგომ მისგან წყლის მისაღებად. გარდა ამისა, ევროსტანდარტებისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მინერალური წყალი უნდა ჩამოსხმულიყო უშუალოდ საბადოსთან და მისი ტრანსპორტირება შემდგომი ჩამოსხმის მიზნით აკრძალული იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა თხოვნით მიმართა დსთ-ს ქვეყნების კონკურენციის ორგანოებს, რათა არ დაეშვათ მათი ქვეყნების ტერიტორიაზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები და დაეცვათ მომხმარებლები ფალსიფიცირებული „ბორჯომი”-ს მწარმოებლებისაგან, რის საპასუხოდ დსთ-ს კონკურენციის (ანტიმონოპოლიური) ორგანოების მხრიდან გატარებულ იქნა კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები. კერძოდ,

– *ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე* როგორც გაირკვა, საცალო ვაჭრობის ქსელს მიეწოდობოდა დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ჩარტე“-ს (ქ.მოსკოვი) მიერ წარმოებული მინერალურ წყალ „ბორჯომი“, შპს „ნაროშენი“-ს (ქ.მინსკი) მეშვეობით, რუსეთის შესაბამისობის სერტიფიკატისა და გამოგონების პატენტის საფუძველზე.

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიმართვის საფუძველზე, ბელორუსიის მეწარმეობისა და ინვესტიციების სამინისტროს მიერ ეცნობა შპს „ნაროშენი“-ს ხელმძღვანელობას, რომ 1997 წლის 11 თებერვლიდან მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება ჰქონდა ამ წყლის კანონიერ მწარმოებელს (ჩამომსხმელს) ს/ს „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების“ კომპანიას და ეთხოვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა.

საბოლოოდ, ბელორუსიის მეწარმეობისა და ინვესტიციების სამინისტროს, ასევე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის აქტიურობით აღკვეთილ იქნა ბელორუსიის სასაქონლო ბაზარზე ფალსიფიცირებული მინერალური წყლის „ბორჯომ"-ის რეალიზაციის ფაქტები და დაცულ იქნა ქართველ მეწარმეთა კანონიერი უფლებები.

– ***ყაზახეთში*** თავდაპირველად მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს ულიცენზიო წარმოებას ეწეოდა სამი ეკონომიკური აგენტი – 1) „ტრიადა", 2) „მეტკამენრუდი" და 3) „აკვა-სტარი" (ქ. სანქტ-პეტერბურგი), რაც ყაზახეთის ანტიმონოპოლიურ კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით აღკვეთილ იქნა.

მოგვიანებით ყაზახეთის ანტიმონოპოლიური კომიტეტის მიერ გამოვლენილ იქნა კიდევ ერთი ეკონომიკური აგენტი ს/ს „ვიზიტი", რომელიც ასევე ახორციელებდა მინერალურ წყალ „ბორჯომი"-ს წარმოებასა და რეალიზაციას (23.07.98 წ. №15-04/809 წერილი). აღნიშნულ კომპანიას, რომელიც დარეგისტრირებული იყო ქ.ჩიმკენტში, გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება (№121) ქართულ კომპანიასთან „ჯორჯი და კ".

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მინერალური წყალ „ბორჯომი"-ს წარმოებისა და რეალიზაციის ბაზარზე ვერ იქნა მოძიებული კომპანია „ჯორჯი და კ", მისი პრაქტიკულად არ არსებობის (მისი როგორც იურიდიული მისამართი, ასევე საბანკო რეკვიზიტები იყო არასწორი) გამო. შედეგად ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მის ხელთ არსებული მასალები, მოკვლევისა და შემდგომი რეაგირებისათვის (1998 წლის 19 ნოემბრის წერილით) გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რის შესახებაც ასევე ინფორმაცია მიეწოდა ყაზახეთის ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებისა და კონკურენციის დაცვის კომიტეტს.

– დსთ-ს ქვეყნებს შორის ყველაზე მწვავედ „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშნის დაცვის საკითხი *რუსეთის ფედერაციაში* იდგა. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების კომიტეტმა 1995 წლის 29 დეკემბერს (მოწმობა №135408), „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება მიანიჭა „ლუკოშკინა და კ“-ს. მაშინ როდესაც, ჯერ კიდევ 1995 წლის 31 მარტს კონცერნ „ბორჯომის ხეობა“-ს ჰქონდა შეტანილი განაცხადი „როსპატენტში“ აღნიშნული ეტიკეტის დარეგისტრირებაზე (რაზედაც არსებობდა შესაბამისი დოკუმენტი), რაც ამ უკანასკნელს (განაცხადის შეტანის დღიდან) ანიჭებდა პრიორიტეტს „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშანზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „როსპატენტის“ მიერ გაცემული მოწმობა „ლუკოშკინა და კ“-ზე უკანონო იყო, რაც ორი ქვეყნის შესაბამისი სამსახურების ერთობლივი ძალისხმევით მოგვიანებით გაუქმებულ იქნა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის ანტიმონოპოლიური კომიტეტის მიერ ფალსიფიცირებული მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს წარმოებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის კუთხით გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო. კერძოდ, აღკვეთილ იქნა ისეთი ეკონომიკური აგენტების საქმიანობა, როგორიცაა „ნორდ მარკეტი“, „დისენტი“ და „ნორდ სტარსი“, ასევე საქმე იქნა აღძრული „ჩარტე“-ს წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ქ.მოსკოვის მთავრობის 1996 წლის 23 ივლისის №644 ბრძანებულებით აიკრძალა ისეთი ხელოვნურად მინერალიზებული წყლის წარმოება და რეალიზაცია, რომელთა ეტიკეტებზე იყო გამოყენებული დასახელება - „ნატურალური მინერალური წყალი“ („ბორჯომი“, „ესენტუკი“, „ნარზანი“ და ა.შ.).

– *უკრაინის ანტიმონოპოლიური კომიტეტის* მიერ გამოვლენილ იქნა (გასული საუკუნის 90-იანი წლების

ბოლოს), რომ ქვეყნის შესაბამის სასაქონლო ბაზარზე მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს წარმოებასა და რეალიზაციას ახორციელებდა დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ჩარტე“ თავის საქმიან პარტნიორებთან ერთად, თუმცა მის მიერ წარმოებულ „ბორჯომს“ არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ წყალთან გარდა დასახელებისა.

აღნიშნული ფაქტი, როგორც კი ცნობილი გახდა საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისათვის, მან თხოვნით მიმართა უკრაინელ კოლეგებს, აღეკვეთათ მათ ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტული შემთხვევები, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა ნამდვილი „ბორჯომი“-ს რეალიზაციის მასშტაბების გაფართოებას და ამავდროულად თელავდა უკრაინელ მომხმარებელთა ინტერესებს.

უკრაინის პრეზიდენტისა და უშუალოდ ანტიმონოპოლიური ორგანოების (ცენტრალური აპარატი და რეგიონალური სამსახურები) ძალისხმევით უკრაინაში საბოლოო ჯამში გამოვლენილ და აღკვეთილ იქნა იმ 33 (ოცდაცამეტი) ეკონომიკური აგენტის საქმიანობა, რომლებიც უკანონოდ იყენებდნენ მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს სასაქონლო ნიშანს. მთლიანად ამ ეკონომიკურ აგენტთა მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 10 მილიონ ლიტრს, რითაც სერიოზული ზიანი მიადგა როგორც უკრაინელ მომხმარებლებს, ასევე ქართულ პროდუქციასა და მის კანონიერ მწარმოებელ ეკონომიკურ აგენტს.

ამასთან ერთად, უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1998 წლის 6 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (№1025), რითაც აიკრძალა მინერალური წყლის ხელოვნურად წარმოებასა და რეალიზაციაში ცნობილი მინერალური წყლების დასახელების გამოყენება.

– *უზბეკეთის* ტერიტორიაზე „ბორჯომი“-ს დასახელებით მინერალურ წყალს 1.5 ლიტრის ბოთლებში აწარმოებდა შპს „ბარნო-ტრეიდინგი“, რომელმაც უზბეკეთის დემონოპოლიზაციის განვითარებისა და კონკურენციის კომიტეტის

1997 წლის 21 აპრილის მიწერილობის საფუძველზე შეწყვიტა მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს უკანონო წარმოება.

– *ყირგიზეთში* ხელოვნურად მინერალიზებული წყლის სახელწოდებით „ბორჯომი“ წარმოებას ახორციელებდა ყირგიზეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო „არგო“ რომელსაც ამ საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზია აღებული ჰქონდა ქ.მოსკოვში. აღნიშნული საწარმოს საქმიანობა აღკვეთილ იქნა ყირგიზეთის სახელმწიფო ანტიმონოპოლიური დეპარტამენტის ჩარევის შემდეგ.

რაც შეეხება დსთ-ს შემადგენლობაში შემავალ სხვა ქვეყნებს მათ ტერიტორიაზე იმ პერიოდში მინერალურ წყალ „ბორჯომი“-ს ფალსიფიკაციის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ 1998 წლის 13-17 ოქტომბერს ქ.მოსკოვში დსთ-ს ანტიმონოპოლიური საბჭოს VIII სხდომაზე, სადაც დსთ-ს ქვეყნების კონკურენციის ორგანოების პირველ პირებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობდნენ ბულგარეთის, რუმინეთის, ხორვატიის და ესტონეთის წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის პასუხისმგებელი პირები, გაჟღერებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა, რომლითაც ის ითხოვდა სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კომიტეტის კოლეგიაზე – „სხვისი სასაქონლო ნიშნისა და გეოგრაფიული დასახელების უკანონოდ გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე“ ხელშეკრულების პროექტის გატანას.

ცნობისათვის: გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური (ჩამოყალიბებიდან ლიკვიდაციამდე) ქართველ მეწარმეთა უფლებების სრულყოფილად დაცვის მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობდა ბულგარეთის, რუმინეთის, ესტონეთის კონკურენციის სააგენტოებთან. შედეგად კი მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ქართული სამარკო ღვინოების „ხვანჭკარა“-სა და „ქინძმარაული“-ს სასაქონლო ნიშნების დაცვის საქმეში.

VI.2. დაზღვევის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალების წესების შესწავლა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა [13]

სადაზღვევო ბაზრის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, კონკურენციული გარემოს შეფასების და დაზღვევის ბაზარზე ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, მუდმივად ახორციელებდა დაკვირვებას ამ ბაზარზე მიმდინარე პროცესებზე.

ამასთან, სადაოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბაზარზე კონკურენციული გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია წინასწარ იქნას განსაზღვრული შესაბამისი ბაზარი (ბაზრის საზღვრები). კერძოდ, ის, თუ რამდენადაა ჩანაცვლებადი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე მიწოდებული საქონელი, ან გაწეული მომსახურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზის საფუძველზე სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ სადაზღვევო მომსახურების ცალკეული სახეები უნდა განხილულიყო როგორც ცალკე სასაქონლო ბაზრები, ვინაიდან სადაზღვევო მომსახურების სახეები არ შეიძლება ურთიერთ-ჩანაცვლებად საქონლად (მომსახურებად) იყოს მიჩნეული (უფრო ვრცლად და დეტალურად იხილეთ V.1).

როგორც პრაქტიკამ (სამსახურში შესული კონკრეტული საჩივრები) აჩვენა, სადაზღვევო ბაზრებიდან ყველაზე ხშირად „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაღვევის ბაზარზე“ ჰქონდა ადგილი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის ფაქტებს. ამ ბაზარზე, სადაზღვევო საქმიანობასთან მიმართებით, ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემოტანილი იყო არაერთი განცხადება (საჩივარი),

რომლებიც სამსახურის აქტიური ჩარევის შემდეგ მოწესრიგებულ იქნა.

გარდა ამისა, „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე“ ადგილი ჰქონდა ისეთ პრეცენდენტულ ფაქტს, როგორიცაა – ერთ-ერთი მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სადაზღვევო კომპანიის მიერ (2002 წლის 25 ნოემბრიდან 2003 წლის 7 იანვრამდე პერიოდში) დაზღვევის პოლისების კანონით დადგენილი ღირებულების 10%-ის ფარგლებში შეთავაზებას მომხმარებლისათვის.

წამოჭრილი პრობლემის არსში სრულყოფილად ჩაწვდომისათვის, აუცილებელი იყო ამ ბაზარზე არსებული ყველა სადაო საკითხის გააზრება და მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედების ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან მიმართების საკითხის გარკვევა, რისი მიღწევა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან სათანადო კონსულტაციების გარეშე შეუძლებელი იყო. შესაბამისად, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, უწყებათაშორისო დონეზე მომხდარიყო ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა (ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის 2003 წლის 28 თებერვლის №1/17 ბრძანებით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია – სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის (თავმჯდომარე), სახელმწიფო კანცელარიის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის პასუხისმგებელი პირებისა და დამოუკიდებელ ექსპერტთა მონაწილეობით).

სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მის ხელთ არსებული (მათ შორის, კომისიის წევრთაგან მიღებული მასალები და რეკომენდაციები) მასალების გაანალიზების საფუძველზე მოამზადა დოკუმენტი –

„საქართველოს სადაზღვეო ბაზარი - კონკურენტული გარემოს შეფასება“ (უფრო ვრცლად იხილეთ V.I), სადაც ხაზგასმულია, რომ 2002 წლის ბოლოს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სადაზღვეო კომპანიის მიერ ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ბაზარზე განხორციელებული აქციის შედეგად არ მომხდარა ქვეყანაში მოქმედი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა (არსებული საკონკურენციო სამართლის კონკრეტულ დებულებათა დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირდა). თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მონოპოლისტი სადაზღვეო კომპანიის ***ამ კონკრეტულმა აქციამ,*** **ნათლად წარმოაჩინა ქვეყნის საკონკურენციო სამართლის ცალკეული დებულებების არა-სრულყოფილება,** რაც ჩვენი აზრით, პირველ რიგში ეხება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს (კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვის თავი), რომელიც ამომწურავად აყალიბებდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების ფაქტებს (რაც არ იყო სწორი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე). შესაბამისად, **კანონის ამ კონკრეტული მუხლის გარეთ დარჩენილ კონკურენციის შემზღუდავ სხვა ნებისმიერ ქმედებას** (მიუხედავად იმისა ზღუდავდა თუა არა ის შესაბამის ბაზარზე კონკურენციას) **ვერ მიეცემოდა კანონდარღვევის კვალიფიკაცია** (ანტიმონოპოლიური სამსახური არ იყო უფლებამოსილი განვითარებული ქვეყნების კონკურენციის ორგანოების მსგავსად თვითონ მიეღო გადაწყვეტილება ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე).

აღნიშნულმა პრეცენდენტმა დღის წესრიგში დააყენა საქართველოს საკონკურენციო სამართალში შესაბამისი ცვლილების (კანონის გაძლიერების) განხორციელების აუცილებლობა, რაც

სამსახურისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შესრულდა.

ამასთან, სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა „მონოპოლიური ფასის განსაზღვრის ინსტრუქციის“ მიღება, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის საქმეში.

შენიშვნა: უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში 2003 წლის ბოლოს მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ამ კონკრეტულ ბაზარზე არსებულმა პრობლემებმა დაკარგეს თავისი აქტუალობა, რადგანაც საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ჯერ შეჩერდა, ხოლო შემდეგ კი გაუქმებულ იქნა ავტომოტორტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო ხასიათი.

VI.3. ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული საქმიანობა [13]

მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოში 2005 წლის 3 ივნისამდე წარმოადგენდა კონკურენციის პოლიტიკის განუყოფელ (შემადგენელ) ნაწილს. ამდენად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური ამ მიმართულებით მუდმივად ახორციელებდა კონკრეტულ ღონისძიებებს მომხმარებელთა კანონიერი უფლებების მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად. ქართულ სინამდვილეში კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკის რეალიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. შესაბამისად, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა ერთ კონტექსტში (თანაბარ სიბრტყეზე) იხილებოდა.

ფაქტია, რომ ვარდების რევოლუციამდელ პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის მომარაგება არადამაკმაყოფილებელი იყო. ელექტროენერგიის მიწოდება ხდებოდა წყვეტილად, არ იყო დაცული გრაფიკი. მომხმარებელი აბსოლიტურად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. მისთვის არ იყო ცნობილი როდის რა ვადით მიეწოდებოდა მას ელექტროენერგია. ამასთან, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ნორმალური პარამეტრების ელექტროენერგიის მიწოდება, რითაც სერიოზული ზიანი ადგებოდა მომხმარებლის ქონებას და მწყობრიდან გამოდიოდა მათი კუთვნილი საყოფაცხოვრებო ტექნიკა. გარდა მატერიალური ზიანისა, მომხმარებელი განიცდიდა მორალურ ზიანს, რაც იწვევდა მათი კანონიერი უფლებების შელახვას.

აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიასა და მის მომხმარებლებს შორის ურთიერთობა დარეგულირებულიყო ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც ასახული იქნებოდა ორივე მხარის (მიმწოდებლის და მომხმარებლის) მოვალეობები და პასუხისმგებლობები,

ასევე მომსახურეობის გაწევისა და ანაზღაურების პირობები და სხვა. ამ მოთხოვნებს ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1518 მუხლი), „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (24-ე მუხლი) და ამ კანონის შესაბამისად მიღებული „კომუნალური მომსახურების გაწევის წესები“ (საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 1996 წლის 19 დეკემბრის №130 ბრძანება). მიუხედავად ამისა, როგორც დედაქალაქის, ასევე სხვა ქალაქებისა და რაიონების ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს არ განუხორციელებიათ მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე გადასვლა.

ამასთან, რადგანაც „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის (ამოღებულ იქნა 3.06.05 წ. №1552-Iს) შესაბამისად, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე შემსრულებელი (ეკონომიკური აგენტი) ვალდებული იყო დადო მომხმარებელთან ხელშეკრულება სამუშაოს (მომსახურების) შესრულებაზე და ისე მოეწყო თავისი საწარმოო ან სხვა სამეურნეო საქმიანობა, რომ სათანადოდ და შეუფერხებლად დაეკმაყოფილებინა მომხმარებელთა (მოქალაქეთა) მოთხოვნები – სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა (სამხარეო ანტიმონოპოლიურ სამსახურებთან ერთად) საჭიროდ მიიჩნია მიემართა ქვეყანაში მოქმედი ენერგოგამანაწილებელი კომპანიებისათვის, რომ მათ შეემუშავებინათ და ანტიმონოპოლიურ სამსახურში ექსპერტიზისათვის წარედგინათ მომხმარებლებთან გასაფორმებელი ტიპიური ხელშეკრულებების პროექტები. სამწუხაროდ, სამსახურის ამ ინიციატივას შედეგი არ მოყოლია.

თავის მხრივ, ელექტროენერგია სამოქალაქო კოდექსის 1011 მუხლის შესაბამისად განმარტებულია როგორც პროდუქტი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პროდუქტი წლების განმავლობაში უხარისხოდ მიეწოდებოდა მომხმარებლებს, რომლებსაც ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით (სამოქალაქო კოდექსი (1009 მუხლი), „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი

(24-ე მუხლის პირველი პუნქტი) და „კომუნალური მომსახურების გაწევის წესები“ (1.5, 4.1 და 6.3 პუნქტები)) უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ ამ უხარისხოდ მიწოდებული პროდუქტის ფასის შემცირება. რეალურად კი ფასის შემცირების ნაცვლად მუდმივად მიმდინარეობდა (თითქმის ყოველწლიურად, ხანდახან წელიწადში ორჯერ) მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ელექტროენერგიის საფასურის მომატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, როგორც ქვეყნის საკონკურენციო და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ნორმების აღმასრულებელი მთავარი სახელმწიფო ორგანო, მუდმივად სწავლობდა ელექტროენერგიის საწარმოთა საქმიანობას და მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე გამოხატავდა საკუთარ პოზიციას, ამ სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

სწორედ ამ ანალიზის პროცესში, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ პირობითად გამოიყო ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტების რეგულირებისა და კონტროლის ის ოთხი ფორმა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო სამსახურსა და დარგის შესაბამის კომისიას შორის თანამშრომლობა. კერძოდ, 1) სატარიფო პოლიტიკის, 2) ბუნებრივ მონოპოლიათა სტრუქტურული კონტროლის, 3) მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და 4) კონკურენციის დაცვის მიმართულებით.

გარდა ამისა, ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მიიჩნია, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ-ი) ვერ უზრუნველყოფდა დარგის მომხმარებელთა (რომლებსაც არ ჰქონდათ პროდუქციის მიღების ალტერნატივის არჩევის საშუალება) ინტერესების საფუძვლიან დაცვას, შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არ არსებობის გამო. ამასთან, რამდენადაც ამ უკანასკნელზე პასუხისმგებლობა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 2, „ბ“-პუნქტი) შესაბამისად

ეკისრებოდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკ), სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ სემეკ-ის მიერ შემუშავებულ და მიღებულ „ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის საქმიანობის საერთო პირობებსა და წესებში“ უნდა ყოფილიყო ასახული ვალდებულება გამანაწილებელ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობით პრინციპებზე (ურთიერთვალდებულების დაფიქსირებით, რაც აღიარებულია პრაქტიკაში) გადასვლის შესახებ (რაც ამ წესებში არ იყო ასახული).

შესაბამისად, ამ სამართლებრივი საკითხის მოწესრიგების მიზნით (ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებსა და მის მომხმარებლებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგების პროცესის გაჭიანურების გამო) სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა 2001 წლის 18 იანვარს სარჩელი შეიტანა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ. დავის საგანს შეადგენდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნა – საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად სემეკ-ის მიერ (როგორც ენერგეტიკის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანოს მიერ) აღებულიყო ვალდებულება ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე (ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა სემეკ-ის მიერ მისაღები დადგენილება ელექტროენერგიის გამანაწილებელ ენერგოკომპანიასა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე).

2001 წლის 26 მარტს ვაკე–საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ (საქმე №2/717-01) დააკმაყოფილა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მოთხოვნა და დაავალდებულა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია ერთი თვის ვადაში გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი,

ელექტროენერგიის გამანაწილებელ ელექტროკომპანიასა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულების შემუშავების და მიღების ვადების მითითებით.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების პარალელურად საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, ერთის მხრივ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით 2001 წლის 12 აპრილს გამოსცა ნორმატიული აქტი (გადაწყვეტილება №29) ,,ქ.თბილისში ელექტროენერგიის უწყვეტად მიწოდების აღდგენისა და თელასის 75% აქციათა პრივატიზაციამდე მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობით წარმოშობილი ვალების დაფარვის შესახებ“, რაც უკვე სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან დაწყებული სადაო საკითხის მოწესრიგების მიმართულებით სერიოზულად წინგადადგმულ (შემხვედრ) ნაბიჯს წარმოადგენდა და მეორეს მხრივ, კომისიის მიერ 2001 წლის 4 მაისს შეტანილ იქნა სააპელაციო საჩივარი (№17/9) ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს საგადასახადო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოთხოვნით გაეუქმებინათ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი (№2/717-01 საქმე) ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, რაც საოლქო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3ბ/229-02).

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ იმის და მიუხედავად, რომ დედაქალაქის ელექტროენერგიის გამანაწილებელმა კომპანიამ ანტიმონოპოლიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით პრაქტიკულად დაიწყო თავის აბონენტებთან (მომხმარებლებთან) 2003 წლის 1 იანვრიდან გასაფორმებელი ხელშეკრულების ტიპიური ფორმის პროექტის მომზადება, მისი დამტკიცება და პრაქტიკული რეალიზაცია ანტიმონოპოლიური სამსახურის არაერთი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა.

VI.4. არასათანადო რეკლამის ფაქტის აღკვეთა [13]

საქართველოში 2000 წლის ოქტომბრის ბოლოს მასმედიის სხვადასხვა და გარე სარეკლამო საშუალებებით ფართოდ რეკლამირდებოდა სატელევიზიო გათამაშება, რომლის ორგანიზატორი იყო ქვეყნის სატელეფონო მომსახურების ბაზარზე ცნობილი ერთ-ერთი კომპანია. რეკლამის ტექსტი მდგომარეობდა შემდეგში: „იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოთ ... საჩუქრების გათამაშებაში ... ჩაერთეთ და მოიგეთ ... საჩუქრები". სარეკლამო დაფებზე მითითებული იყო, რომ გათამაშება ლიცენზირებულია. თუმცა, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ლატარიების, აზარტული თამაშებისა და ექსპერტიზა-უტილიზაციის სამსახურის 2000 წლის 19 ოქტომბრის წერილიდან გაირკვა, გათამაშების ორგანიზატორ კომპანიას მის ჩატარებაზე ლიცენზია არ ჰქონია მიღებული, რის გამოც ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს სთხოვდა რეკლამის კანონმდებლობისა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტის აღკვეთას.

სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მოძიებული მასალების შესწავლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის (მე-4 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტები) დარღვევას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ისჯებოდა განთავსებული რეკლამის ღირებულების შვიდმაგი ოდენობით.

საბოლოოდ, სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და კანონდამრღვევ ეკონომიკურ აგენტს შორის ამ

პრობლემის გარშემო სასამართლო დავა მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში, რომელიც საბოლოო ჯამში სამივე ინსტანციის სასამართლოში დასრულდა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გამარჯვებით. შესაბამისად, კანონდამრღვევ ეკონომიკურ აგენტს დაეკისრა რამდენიმე ათეული ათასი ლარის გადახდა საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

VI.5. საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დემონოპოლიზაცია [13; 21]

ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაციის პროცესები წარიმართა ქვეყანაში მიმდინარე ინტენსიური მაკროეკონომიკური გარდაქმნების ფონზე. ამ ეტაპზე სახალხო მეურნეობის დემონოპოლიზაციის ამოცანა ხორციელდებოდა ძირითადად მმართველობის შუალედური გაერთიანებების ლიკვიდაციის, მსხვილი საწარმოების დაწვრილერთეულებისა (სადაც ეს ტექნოლოგიურად შესაძლებელი იყო) და პრივატიზების მეთოდებით, რასაც თან სდევდა მრავალი მცირე საწარმოს წარმოქმნა. ამ პერიოდში დემონოპოლიზაციისა და პრივატიზების პროცესები ხასიათდებოდა დარგობრივი ნიშნით და ძირითადად მოიცავდა მომსახურების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სფეროებს. დემონოპოლიზაციის პროცესები ნაკლებად შეეხო ინფრასტრუქტურის საკვანძო სფეროებს, მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტს.

გადაზიდვების მრავალი სახეობის მიხედვით საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტი შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალებაა. სწორედ ამიტომ, სარკინიგზო ხაზი, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტი ექვემდებარებოდა მუდმივ სახელმწიფო რეგულირებას. მუდმივი კონტროლის საგანს წარმოადგენდა რკინიგზის რიგი საწარმოების პოლიტიკა, სახელშეკრულებო პირობები და სხვა საკითხები. ამასთან, ამ საწარმოო კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა მოძრავი შემადგენლობის შეკეთება, გზების შეკეთება, დისპეჩერიზაცია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა, არა თუ შესაძლებელი, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე აუცილებელი იყო მოქცეოდა კონკურენტულ გარემოში.

სარკინიგზო ტრანსპორტის განსაკუთრებული როლი სატრანსპორტო მომსახურების სისტემაში, ისევე როგორც საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება (მათ შორის

ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გაუთვალისწინებლობა) ქმნიდა რეალურ წინაპირობებს მომხმარებელთა უფლებების შელახვისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის. რაც პირველ რიგში გამოიხატებოდა სატვირთო გადაზიდვების მომსახურებაზე დანახარჯებისა და ტარიფების დაუსაბუთებელ ზრდაში.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ განხორციელებულმა ფასწარმოქმნის პროცესების ანალიზმა აჩვენა, რომ ხშირი იყო შეუსრულებელი სამუშაოები და ისეთი მომსახურების შეკვეთის „იძულება“ (რომელიც არ შედიოდა აუცილებელი მომსახურების ნუსხაში), სახელშეკრულებო ტარიფის გამოყენება იქ სადაც არ იყო დაწესებული პრეისკურანტი და სხვა. ასევე, განსაკუთრებით ხშირი იყო „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, ტრადიციად იყო ქცეული დაუსაბუთებელი ფინანსური ხასიათის მოთხოვნები, ხელშეკრულებაში კონტრაგენტისათვის არახელსაყრელი პირობების ჩართვა, რომელიც არ მიეკუთვნებოდა ხელშეკრულების საგანს და სხვა. დამახასიათებელი იყო აგრეთვე კალკულაციის დაუსაბუთებლობის შემთხვევები და რაც მთავარია ხშირი იყო ეკონომიკური აგენტების დისკრიმინაციის (ხელოვნური ბარიერების შექმნის) ფაქტები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, დარგობრივი მონოპოლიზმის დაძლევისა და დარგში კონკურენციის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ გატარებულიყო შემდეგი ღონისძიებები:

• ნორმატიულ მეთოდური ბაზის სრულყოფა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გათვალისწინებით;

• ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტის საზღვრების გამიჯვნა სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოთა დემონოპოლიზაციისა და მათ შორის კონკურენციის განვითარების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების პროცესში;

• კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება სატარიფო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით;

• ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტთან მისასვლელი ბარიერების შესწავლა და შესუსტება და/ან აღმოფხვრა იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც არ შედიოდნენ სახელმწიფო სარკინიგზო ტრანსპორტის სისტემაში და რომლებიც თავისი საქმიანობით დაკავშირებული იყვნენ სარკინიგზო გადაზიდვებთან ან მათ მომსახურებასთან.

თავის მხრივ, რკინიგზის სფეროში დემონოპოლიზაცის ღონისძიებების შემუშავება უნდა მომხდარიყო დარგის სპეციფიკის, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის, ბაზრის სტრუქტურის და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის შედეგების (მათ შორის დარგის მონოპოლიზების დონისა და მონოპოლიზმის გამოვლენის ფორმების) გათვალისწინებით, აგრეთვე დარგის განვითარების გეგმის შესაბამისად.

თავის მხრივ ფაქტია, რომ შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“ იყო სატრანსპორტო (ტვირთების) გადაზიდვების ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმო, რომელსაც (ყოფილ საბჭოთა კავშირში რკინიგზის მართვის პრაქტიკიდან გამომდინარე) თავისი ძირითადი (სატრანსპორტო გადაზიდვების) საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტრუქტურული ერთეულების (შესაბამისი რგოლების) პარალელურად შექმნილი ჰქონდა, სხვა ისეთი დამოუკიდებელი მეურნეობების ქსელი, რომელიც

ტექნოლოგიური ხასიათით არ წარმოადგენდა მისი ძირითადი საქმიანობისაგან განუყოფელ ნაწილს და რომლის წარმოებაც ბევრად უფრო ეფექტიანი იქნებოდა თავისუფალი კონკურენციის პირობებში. კერძოდ, მას გააჩნდა შესაბამისი ობიექტების საკმაოდ ფართო ქსელი ჯანდაცვის, განათლების, სამშენებლო-სარემონტო, სადაზღვევო მომსახურების, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა ობიექტების სახით და ახორციელებდა შესაბამის საქმიანობას უშუალოდ, ფილიალებისა და ერთობლივი საწარმოების მეშვეობით. ამასთან, ზოგიერთი სახეობის მომსახურეობას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უზრუნველყოფდნენ კერძო ფირმები რკინიგზასთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ამდენად, ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო აქტუალური ხდებოდა რკინიგზის არსებული სისტემის დემონოპოლიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესების დაჩქარება, რათა კონკურენციის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, რკინიგზის სისტემა გამხდარიყო საბაზრო ეკონომიკაზე მომართული, მომხმარებელთა ინტერესების დამცველი საწარმო. ამ მიზნის განხორციელება არ გამორიცხავდა რკინიგზის ინფრასტრუქტურის (ძირითადად აღმოსავლეთ-დასავლეთის რ/გ ხაზი) არსებობას ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში, რამეთუ მხოლოდ სხვა სახის ტრანსპორტს შეეძლო გაეწია კონკურენცია რკინიგზისათვის და ისიც გადაზიდვების ზოგიერთ სახეობებში. დემონოპოლიზაცის პროცესში გასათვალისწინებელი იყო ასევე რკინიგზის ქსელის, როგორც ერთიანი სისტემის შესაძლებლობები, აგრეთვე ისიც, თუ რამდენად იქნებოდა გარანტირებული ამ სისტემის ზოგიერთ ნაწილში უსაფრთხოება კერძო კომპანიების მხრივ მათი პრივატიზების შემთხვევებში. ამასთან, მხედველობაში იყო მისაღები საქართველოს რკინიგზის სტრატეგიული მნიშვნელობაც, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ევრო-

გაერთიანების ექსპერტების შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლში წარდგენილ იქნა (1998-2000 და 2001 წლებში) საქართველოს რკინიგზის დემონოპოლიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა დემონოპოლიზაციის მიზნებს, ძირითად მიმართულებებს, ამოცანებს, მათი განხორციელების ეტაპებსა და მეთოდებს.

პროგრამის განხორციელება დაკავშირებული იყო შესაბამის სამართლებრივ, საინფორმაციო, საკადრო და საფინანსო უზრუნველყოფასთან, რაც შესაძლებელს გახდიდა ისეთი მიზნების მიღწევას, როგორიცაა:

- რკინიგზის სფეროდან ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქმიანობის გამოყოფას, რომელთა მართვა უნდა განხორციელებულიყო „საერთო წესების“ მიხედვით (ჯანდაცვა, განათლება, დაზღვევა და სხვა);

- ძირითადი ინფრასტრუქტურის (რ/გ ხაზები, რომლებიც მიეკუთვნებიან ბუნებრივ მონოპოლიას) საქმიანობის გამოყოფა საექსპლუატაციო (მმართველობითი) საქმიანობისაგან;

- დამხმარე საქმიანობის ზოგიერთი სახეობის გადაცემა კერძო სექტორისათვის. კერძოდ, იმ საქმიანობების, რომლებიც პრაქტიკულად უკვე ხორციელდებოდა კონკურენტულ საბაზრო სექტორში;

- რკინიგზის მართვის სისტემის სრულყოფა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით ეკონომიკურ აგენტებს შეეძლოთ მოეთხოვათ გრძელვადიანი მართვის უფლება გარკვეულ წილზე რკინიგზის სექტორში. თუმცა, ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა სახელმწიფო მონოპოლიის კერძო მონოპოლიით ჩანაცვლებას.

საბოლოოდ, საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურიზაციის პროცესის (დემონოპოლიზაციის პროგრამის) მიზანი იყო სარკინიგზო ტრანსპორტში კონკურენტული გარემოს ფორმირება და ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტის ეფექტიანი ფუნქციონირება.

პროგრამის პროექტი შესდგებოდა შესავალი ნაწილისა და შემდეგი სამი თავისაგან:

1. რკინიგზის ტრანსპორტის დემონოპოლიზაციის ძირითადი პრინციპები და ამოცანები;

2. რკინიგზის ტრანსპორტის დემონოპოლიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ძირითადი მიმართულებები (რომელიც მოიცავდა ევროგაერთიანების ექსპერტთა რეკომენდაციებს რკინიგზის შესახებ არსებული კანონმდებლობის სრულყოფის, მმართველობითი და სამეწარმეო საქმიანობის გამიჯვნის, დამატებითი (დამხმარე) საქმიანობის გასხვისების, ფასწარმოქმნის, რკინიგზის ოპერატორის რესტრუქტურიზაციისა და მართვის საკითხებზე);

3. კერძო ინტერესები რესტრუტურიზებულ რკინიგზაში და მათი განხორციელების შესაძლებლობები.

გარდა ამისა, პროგრამას თან ერთვოდა – საფრანგეთის რკინიგზის გამოცდილება; ევროგაერთიანების ქვეყნების გამოცდილება ბუნებრივი მონოპოლიის სუბიექტის ინფრასტრუქტურის გამოყოფის თაობაზე და ევროგაერთიანების ექსპერტთა რეკომენდაციები.

ცნობისათვის: სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ მოხერხდა „საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დემონოპოლიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ღონისძიებების პროგრამის“ მთავრობის სხდომაზე განხილვა (მისთვის მსვლელობის მიცემა), რაც ძირითადად გამო[ვ]ეული იყო იმით, რომ წარმოდგენილ პროექტს მხარს არ უჭერდა შპს „საქართვე-ლოს რკინიგზა“ და საქართველოს ტრანსპორტისა დაკომუნიკაციების სამინისტრო (მათ ჰქონდათ უარყოფითი დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ).

თავი VII. დანართები

VII.1

საქართველოს ძირითადი ანტიმონოპოლიური ორგანოები

1992 წლიდან 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით

#	ძირითადი ანტიმონოპოლიური (საკონკურენციო) ორგანო	წლები
1	**საქართველოს მეწარმეობის სამინისტრო**	1992 -1996
2	საქართველოს ეკონომიკის, ჩრდილოეთ-სამხრეთ ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული **საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური**	1997 წლის 01 იანვარი - 2005 წლის 19 აგვისტო
3	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება **თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო**	2005 წლის აგვისტო - 2010 წლის აპრილი
4	საქართველოს მთავრობის მძრ დაფუძნებული **სხვა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო**	2010 წლის მაისი - 2011 წლის დეკემბერი
5	საქართველოს მთავრობის მძრ დაფუძნებული **სხვა კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო**	2012 წლის 01 იანვრიდან - დღემდე (2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით)

VII.2

საქართველოს ანტიმონოპოლიური ორგანოს

ხელმძღვანელები

1992 წლიდან 2013 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი
1	**მაყვა დიასამიძე**	საქართველოს კონიუნქტურის სამინისტროს ანტიმონოპოლიური რეგულირების **სამმართველოს უფროსი**	1992 წელი – 1993 წლის აგვისტო
2	**ვაჟა მახარაძე**	საქართველოს კონიუნქტურის სამინისტროს კონკურენციის განვითარების, მოხმარებელთა უფლებების დაცვისა და საწყისო საქმიანობის მარეგულირის **სამმართველოს უფროსი**	1993 წლის აგვისტო – 1995 წლის მაისი
3	**ვაჟა მახარაძე**	საქართველოს კონიუნქტურის სამინისტროს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის **მოადგილე**	1995 წლის მაისი – 1996 წლის დეკემბერი
4	**ვაჟა მახარაძე**	საქართველოს საანგარიშო ანტიმონოპოლიური **პალატის უფროსი**	1997 წლის იანვარი – 2000 წლის მაისი
5	**გიორგი ისაკაძე**	საქართველოს საანგარიშო ანტიმონოპოლიური **პალატის უფროსი**	2000 წლის მაისი – 2001 წლის მარტი
6	**გენადი (გენო) მადორანია**	საქართველოს საანგარიშო ანტიმონოპოლიური **პალატის უფროსი**	2001 წლის აპრილი - ოქტომბერი
7	**ლელა ცაბაძე**	საქართველოს საანგარიშო ანტიმონოპოლიური **პალატის უფროსი**	2001 წლის ოქტომბერი - ოქტომბერი

		მოვალეობის შემსრულებელი	
8	არჩილ თალაკვაძე	საქართველოს სახელმწიფო ანგარიშვალდებული პირი **საჯარო უფროსი**	2001 წლის ნოემბერი – 2003 წლის დეკემბერი
9	სანდრო რატიშვილი	საქართველოს სახელმწიფო ანგარიშვალდებული პირი **საჯარო უფროსი**	2004 წლის იანვარი - მარტი
10	ხიდეშელი ფეტვიდეშელი	საქართველოს სახელმწიფო ანგარიშვალდებული პირი **საჯარო უფროსის მოვალეობის შემსრულებელი**	2004 წლის მარტი - აპრილი
11	ოდიშარია (ნუცუბიძე) ნაკაშიძე	საქართველოს სახელმწიფო ანგარიშვალდებული პირი **საჯარო უფროსის მოვალეობის შემსრულებელი**	2004 წლის აპრილი – ოქტომბერი
12	გიორგი ჭაჭუაშვილი	საქართველოს სახელმწიფო ანგარიშვალდებული პირი **საჯარო უფროსის მოვალეობის შემსრულებელი**	2004 წლის აგვისტო – 2005 წლის აგვისტო
13	გიორგი წერეთელი	საქართველოს თავისუფალი ეკონომიკის და კონკურენციის **საბჭოს უფროსი**	2005 წლის სექტემბერი – 2010 წლის აპრილი
14	დავით ბაქრაძე	საქართველოს თავისუფალი ეკონომიკის და კონკურენციის **საბჭოს უფროსი**	2010 წლის აპრილი – 2011 წლის დეკემბერი
15	ტატო ურჯუმელაშვილი	საქართველოს კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების **საბჭოს თავმჯდომარე**	2012 წლის იანვრიდან – დღემდე (15.12.2015 წ.)

კონკურენციული გარემოს შეფასების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, 1997-2004 წლებში შეხწავლილი შესაბამისი სახაქონლო (მომსახურების) ბაზრების ჩამონათვალი [21]

№	საქართველოს შესაბამისი სახაქონლო ბაზარი	შეხწავლის პერიოდი (წლები)
1	პერპროდუქტების ბაზარი	1999-2000
2	სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სპეციალიზებული რვეულების ბაზარი	2000
3	ენერგო მომსახურების ბაზარი	2001
4	ცემენტის ბაზარი	2001-2002
5	ნაყოფპროდუქტების (ნაყინი, დიზელი, ბენზინი, მახუთი, ზეთი) ბაზარი	2001-2003
6	ლუდის ბაზარი	2001-2003
7	მინერალური სასუქების ბაზარი	2002
8	სამოქალაქო ავიაციის ბაზარი	2002
9	თამბაქოს ბაზარი	2002-2003
10	მინერალური წყლების ბაზარი	2001-2003
11	სადახლეო მომსახურეობის ბაზარი	2003
12	ყურძნის ბაზარი	2003

მონოპოლიური (დომინირებული) მდგომარეობის მქონე კონკრეტული აგენტების გამოსავლენად, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ, 1997-2004 წლებში ჩატარებული, სახაქონლო (მომსახურების) ბაზრების მონიტორინგი [21]

#	საქართველოს შესაბამისი სახაქონლო ბაზარი	შესწავლის პერიოდი (წლები)
1	ასანთის ბაზარი	2001
2	შაქრის ბაზარი	2001-2003
3	ბანანის ბაზარი	2001-2005
4	რძის პროდუქტების კარაქისა და მისი შენაცვლებადი პროდუქტის მარგარინის ბაზარი	2002
5	ბავშვთა პიგიენური საფენების ბაზარი	2002
6	მარილის ბაზარი	2002
7	წიწიბურისა და ბრინჯის ბაზარი	2002
8	მაიონეზის ბაზარი	2002
9	სალექი რეზინის (სამკერწალე) ბაზარი	2002
10	ყავის ბაზარი	2002-2003
11	სპირტის ბაზარი	2002-2003
12	მინის ბოთლის ბაზარი	2003
13	საფუარის ბაზარი	2003

შენიშვნა: *ამ ბაზრების ჩამონათვალი ხასიათებს მონიტორინგის ჩატარების საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურის 1997-2004 წლებში ხელმძღვანელობის პერიოდს. ამ პერიოდში ჩატარებული, თუნდაც მცირე ყველა მონიტორინგის შედეგების ანალიზის შედეგად რეკომენდაციები და შეზღუდვები არ გაცემულა.*

ხაზგარგარეთის ქვეყნების კონკურენციის ორგანოთა

ხასელმოდებები (დახასელებები)

1	ევროკავშირი	კონკურენციის კომისია
2	შვედეთი	კონკურენციის საბჭო
3	ლიტვა	კონკურენციის საბჭო
4	ბელგია	კონკურენციის კომისია; საშრომლიანი კონკურენციის ოფიცი
5	რუსეთის ფედერაცია	ფედერალური ანტიმონოპოლიური სამსახური
6	სომხეთი	ეკონომიკური კონკურენციის დაცვის კომისია
7	აზერბაიჯანი	მეწარმეობის ხელშეწყობისა და და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფო კომიტეტი
8	უკრაინა	ანტიმონოპოლიური კომიტეტი
9	ბელორუსი	ანტიმონოპოლიური პოლიტიკისა და მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო საბჭო
10	აშშ	ვაჭრობის ფედერალური კომისია; იუსტიციის სამინისტროს ანტიტრასტული დეპარტამენტი
11	ნეხეთი	კონკურენციის დაცვის ოფისი
12	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	კარტელური გარიგებების ზედამხედველობის ფედერალური საბჭო; მონოპოლიური საკითხების კომისია
13	კორეა	სამართლიანი ვაჭრობის კომისია
14	ჩინეთი	ანტიმონოპოლიური ბიურო
15	იაპონია	კეთილსინდისიერი ვაჭრობის კომისია
16	მექსიკა	კონკურენციის ფედერალური კომისია
17	ნიდერლანდები	მთავრობასთან არსებული კონკურენციის

		საშვარიანტო
18	ენგრეთი	ეკონომიკური კონკურენციის ოფისი
19	ისრაელი	ანტიტრასტული დეპარტამენტი
20	ბულგარეთი	კონკურენციის დაცვის კომისია
21	კანა	მონოპოლიებისა და ფასების კომისია
22	ჰოლანდია	კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის ოფისი
23	ავსტრია	კონკურენციის ფედერალური საშსახური
24	ირლანდია	კონკურენციის სამსკ
25	სლოვაკეთი	ანტიმონოპოლიური ოფისი
26	სლოვენია	კონკურენციის დაცვის ოფისი
27	ჩიბეთა	კონკურენციის სამსკ
28	საფრანგეთი	კონკურენციის სამსკ; კონკურენციის და მომხმარებლების ცენტრალური დირექცია


VII.6

ქვეყნები სადაც არ არსებობენ კონკურენციის (ანტიტრესტული, ანტიმონოპოლიური) სამართლებრივი აქტები [13; 86]

აზია	ამერიკა	ევროპა	ოკეანია	აღმოსავლეთ ამერიკა	სამხრეთ ამერიკა
აფღანეთი ბანგლადეში ბრუნეი ვიეტნამი ინდოეთი იორდანია კატარი ნეპალი საუდის არაბეთი	ანგილა ბოტსვანა გაბონი გვინეა კამერუნი კონგო ლესოტო ლიბერია ლიეტა მავრიტანია მადაგასკარი ნამიბია ნიგერია სვაზილენდი ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკა ერიტრეა ეთიოპია	აზორის კუნძულები	პაპუა ახალი გვინეა	ანტიგუა და ბარბუდა ბაჰამის კუნძულები ბელიზ ბერმუდის კუნძულები ჰონდურასი გრენადა დომინიკა კაიმანიეთ კუნძულები კუბა ნიკარაგუა	გაიანა კურასაო პარაგვაი სურინამი

VII.7. საზღვარგარეთის ქვეყნების კონკურენციის ორგანოების სტრუქტურა

ავსტრიის კონკურენციის ფედერალური სამსახური [88]



აშშ-ს ოუხტიეთის სამინისტროს ანტიტრასტული დეპარტამენტი [89]

ცენტრალური აპარატი

ოუხტიეთის მინისტრის თანაშემწე ანტიტრასტულ საკითხებში			
ეკონომიკური ანალიზის ოფისი	ადმინისტრაციის ოფისი	ინფორმაციის ცენტრალური ოფისი	გენერალური ადვოკატის ოფისი

სამოქალაქო-სამართლებრივი მიმართულება

1-ლი სექტორის დაყოფა	მე-2 სექტორის დაყოფა	მე-3 სექტორის დაყოფა
ჯანდაცვა; დაზღვევა; მრეწველობა და ქალაქი; ელექტროენერგია; საკვები პროდუქტები; ტყე და ხე; კომპიუტერები და ინფორმაცია და ინტერნეტი.	ტრანსპორტი; ავიაცია; ბანკები; ინვესტიცია; გზებით მიწოდება; ფილმები; ტელევიზია; ნაგვის ინვენტარი.	კინო და თეატრი; მუსიკა; კონცერტები და ღონისძიებები; საგამომცემლო საქმე; რადიო; ტელევიზია; პრესა; რეკლამა; სპორტი და დასვენება; უძრავი ქონება;

ქსელებისა და ტექნოლოგიების ექსპერტი	ტელეკომუნიკაციებისა და მედიის ექსპერტი	ტრანსპორტის, ენერგეთიკისა და აგროკულტურული ექსპერტი
კომპიუტერები და კომპიუტერული პროგრამები; მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკა მანიფაქტურა; ფონიური ხერხები; დაცვის ხერხები; პრივატიზაციები;	ტელეფონი; ინტერნეტი; კაბელური და ელექტრონული ტელეგადაცემა; მობილური ტელეფონი და ელექტრონული ხერხები; ბიზნეს ტელეკომუნიკაციის ხერხები	აგენტირება და საერთაშორისო აღიარება; ბიზნეს და დასახლებული მოგზაურობები; სარკინიგზო, ხანძრული და სახელო გადასახდელი; ელექტრიები და რეგისტრები; ელექტრონიკა; წყალობა; აგრონომიული მოიტყუნილობები

ხისხლის-სამართლებრივი მიმართულება


ფედერალური კრიმინალური აღსრულების ექსპერტი		
ნიკერის ოფისი	ნიუიორკის ოფისი	ჩიკაგოს ოფისი

კონომიკური მიმართულება

კონომიკურ ანალიტიკოსთა ჯგუფი

VII.7.3

ახალი ზელანდიის ვაჭრობის კომისია [90]




კონკურენციის მიმართულება	რეგულაციების მიმართულება	მიდაორგანიზაციული მიმართულება
11 სექცია	5 სექცია	5 სექცია


VII.7.4

გერმანიის კარტელური გარიგებების ზედამხედველობის


ფედერალური სააგენტო [91]



დანიის კონკურენციისა და მოხმარებელთა დაცვის სამსახური [92]




ესტონეთის კონკურენციის კომისია [93]




VII.7.7


თურქეთის კონკურენციის სამსახური [94]



იაპონიის კეთილსინდისიერი ვაჭრობის კომისია [95]




VII.7.9. კანადის კონკურენციის ბიურო [96]




VII.7.10

ლიტვის კონკურენციის საბჭო [97]



VII.7.11


რუსეთის ფედერალური ანტიმონოპოლიური სამსახური [98]




VII.7.12

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის

კონკურენციის კომისია [99]



VII.7.13. სამხრეთ კორეის სამართლიანი ვაჭრობის კომისია [100]



VII.7.14


საფრანგეთის კონკურენციის საბჭო [101]

პრეზიდენტი	5 უცვლელი წევრი
4 ვიცე-პრეზიდენტი	
12 ცვალებადი წევრი	


შენიშვნა: საქმეები განიხილება 6 სექციაში, რომელთა შემადგენლობებში უცვლელია წარმომადგენლები ზემოთხსენებული 5 უცვლელი წევრიდან. ხოლო დანარჩენი 12 წევრი გადანაწილებულია სხვადასხვა შემადგენლობაში, მათი კომპეტენციებისა და საქმეთა კტეგორიების მიხედვით.

VII.7.15


სინგაპურის კონკურენციის კომისია [102]



VII.7.16
სლოვაკეთის რესპუბლიკის ანტიმონოპოლიური ოფისი [103]




სომხეთის ეკონომიკური კონკურენციის კომისია [104]




VII.7.18

შვედეთის კონკურენციის სააგენტო [105]




შვეიცარიის კონკურენციის კომისია [106]



VII.7.20

ჩინეთის ანტიმონოპოლიური ბიურო [107]




VII.8. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა

VII.8.1

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის

სტრუქტურა 1997-2001 წლებში




რეგიონალური სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახურები (12)

1) ახმეტის ა/რ-ის ანტიმონოპოლიური სამსახური; 2) ადიგენის ა/რ-ის ანტიმონოპოლიური სამსახური; 3) თბილისის ანტიმონოპოლიური სამსახური; 4)სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 5) გურიის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 6) იმერეთის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 7) სამცხე-ჯავახეთის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 8) შიდა ქართლის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 9) ქვემო ქართლის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 10) კახეთის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 11) მცხეთა-მთიანეთის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური; 12) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო ანტიმონოპოლიური სამსახური.


VII.8.2

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა 2002-2004 წლებში



VII.8.3

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის სტრუქტურა 2004 წლის 01 დეკემბრიდან 2005 წლის 19 აგვისტომდე (ლიკვიდაციამდე)



შენიშვნა: ავტონომიურ რესპუბლიკებში ანტიმონოპოლიური სამსახურები (2) და ქალაქებში და რაიონებში სამხარეო ანტიმონოპოლიური ბიუროები (10) ფუნქციონირებდნენ თითო-თითო წარმომადგენლით (სამსახურის და და ბიუროს უფროსების სახით) და მათ საქმიანობას ზედამხედველობას და კოორდინაციას ეწევდა უშუალოდ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი.

VII.9. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -


თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა

VII.9.1

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა

2005 წლის 01 სექტემბრიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე




VII.9.2

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო სტრუქტურა


2007 წლის იანვრიდან 2010 წლის აპრილის ჩათვლით (ლიკვიდაციამდე)



VII.10

სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა


(2010 წლის მაისი – 2011 წლის დეკემბერი)



VII.11

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურა

2012 წლის 01 იანვრიდან დღემდე (2013 წლის 15 დეკემბერი)



VII.12. ტენდერების გაყალბების კარტელური შეთანხმებების გამოვლენა [12; 84; 85]

1. საეჭვოდ მაღალი ფასები

თუ ყველა ტენდერის პროცედურის ან მათი უმეტესობის ფასი წინასთან შედარებით გაზრდილია ან გონივრულ ღირებულებაზე მაღალია, დიდი შანსია, რომ ზოგიერთი კომპანია ტენდერში მონაწილეობას ზრდილობის გამო იღებს. პრაქტიკაში ამას "cover bidding" – ეწოდება, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიები ტენდერს მხოლოდ მონაწილეობის და თავის გამოჩენის მიზნით თანხმდებიან.

2. საეჭვოდ შეუსაბამო ფასები

თუ კომპანია თანხმდება ისეთ ტენდერებს, სადაც მნიშვნელოვნად ძვირია ზოგიერთი სატენდერო პროცედურა რაიმე აშკარა მიზეზის გარეშე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ტენდერის გაყალბების კარტელშია ჩართული. ამ შემთხვევაში კომპანიები შეიძლება შეთანხმდნენ, თუ ვინ გაიმარჯვებს ტენდერში და გააფორმებს კონტრაქტს, კონკრეტულ პროდუქტსა ან მომხმარებელზე, ან რაიონზე.

3. საეჭვოდ დიდი განსხვავება ფასებში

თუ გამარჯვებულ ტენდერსა და სხვა ტენდერებს შორის განსხვავება საგრძნობლად დიდია, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ზოგიერთი კომპანია ამ სექტორში ტენდერის გაყალბების კარტელშია გაერთიანებული მაღალი ფასების შესანარჩუნებლად. გამარჯვებული ტენდერი შეიძლება წარმოდგენილი იყოს კომპანიით, რომელიც არ არის კარტელის მონაწილე და იმავდროულად

არის გაცილებით დაბალფასიანი, ვიდრე კარტელში გაერთიანებული კომპანიები.

4. საეჭვოდ მსგავსი ფასები

თუ რამდენიმე კომპანია ტენდერში ერთი და იგივე ან მსგავსი ფასებითაა წარმოდგენილი, არსებობს ალბათობა, რომ ისინი კონტრაქტის გაყოფაზე შეთანხმდნენ.

5. საეჭვო ბოიკოტი

თუ არც ერთი ტენდერი არაა მიღებული (შემდგარი), მაშინ შესაძლებელია გამოცხადებული იყოს შეთანხმებული ბოიკოტი ტენდერის პირობებზე გავლენის მოხდენის მიზნით. შეთანხმებული ბოიკოტის მიზანი შეიძლება იყოს კონკრეტული ბაზრის გაყოფა კარტელის წევრებს შორის.

6. საეჭვოდ ცოტა მონაწილე ტენდერში

თუ მოულოდნელად ცოტა კომპანიამ გამოთქვა ტენდერში მონაწილეობის სურვილი, ეს შეიძლება ბაზრის გაყოფის კარტელის არსებობის დამადასტურებელი იყოს. ასეთი კარტელის მიზანი კონკურენციის თავიდან აცილებაა, მაგალითად, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ამ შემთხვევაში, კომპანიები ერთ არეალში ტენდერებში მონაწილეობისგან თავს იკავებენ, რათა კარტელის სხვა წევრმა შეძლოს კონტრაქტის მოპოვება.

7. საეჭვოდ მსგავსი ტენდერები

თუ ტენდერი მრეწველობის გარიგებებს ეხება და ფასზეც გავლენას ახდენს, კომპანიები შეიძლება შეთანხმდნენ, მაგალითად, საერთო ფასების დადგენაზე, დაგვიანებულ გადახდებზე ან გაყიდვის სხვა პირობებზე კონკრეტულ სექტორში. ჩვეულებრივ, ასეთი შეთანხმებები არაკანონიერია.

8. საეჭვო ნიმუშები

თუ კომპანია მუდმივად, ტენდერის ყოველი გამოცხადებისას იგებს კონტრაქტს, სავარაუდოა, რომ ბაზარზე არსებულ კომპანიებს შორის ბაზრის გაყოფის შესახებ შეთანხმება არსებობს. უნდა ცნობდე ტენდერის ნიმუშებს, როგორებიცაა, კომპანია ყოველთვის მცირე თანხიან ტენდერში ან კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ან კონკრეტული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ტენდერში იღებს მონაწილეობას. სხვა გზა, რითაც კომპანიები არაკანონიერად ინაწილებენ ბაზარს არის, როცა ისინი რიგრიგობით იცვლებიან დაბალფასიანი ტენდერის დასამტკიცებლად.

9. საეჭვო ქვეკონტრაქტების მზადება

თუ გამარჯვებული კომპანია დაადგენს ან ქვეკონტრაქტების მეშვეობით გადასცემს კონტრაქტის ნაწილს კონკურენტს, რომელიც განიხილებოდა იმავე ტენდერზე, ეს შეიძლება ტენდერის გაყალბების კარტელის ნიშანი იყოს. ამ შემთხვევაში, კომპანიები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გამარჯვებული კონკურენტებს კომპენსაციას ქვეკონტრაქტების მეშვეობით გადაუხდის.

10 საეჭვოდ უყურადღებო ტენდერები

თუ გამარჯვებული ტენდერი არის ერთადერთი, რომელიც ყურადღებით და დეტალურად შედგა, მაშინ როცა სხვები უყურადღებოდ ჩატარდა, ეს შეიძლება იყოს ტენდერის გაყალბების კარტელის შემთხვევა. ამ შემთხვევაში, მხოლოდ გამარჯვებულ კომპანიას აქვს გამოყოფილი რესურსი ტენდერის დასადასტურებლად.

11. საეჭვო ტექსტი

თუ მსგავსი უცნაურობებია სრულიად განსხვავებულ ტენდერებში ან კითხვებში, რომელთაც კომპანიები უსვამენ კონტრაქტის გამფორმებელ ხელმძღვანელობას, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ კომპანიები საიდუმლოდ არიან გარიგებულები. ყურადღება უნდა მიექცეს იდენტურ ტექსტებს, იდენტურ შეცდომებს გაანგარიშებებში ან ერთნაირ საფოსტო ქაღალდებსა და სტანდარტულ ფორმებს.

12. საეჭვო კაპიტალის ტენდერები

კაპიტალის ტენდერები, დადასტურებული ქონების განაწილებაში საჭიროზე მეტი კომპანიების მიერ, შეიძლება არაკანონიერი იყოს.

VII.13. როგორ შევამციროთ ტენდერის გაყალბების კარტელის რისკი? [12; 84; 85]

არებობს მრავალი გზა, თუ როგორ შეამცირონ კონტრაქტის მხარეებმა კარტელური შეთნხმების რისკი. ქვემოთ მოცემულია ეფექტური კონკურენციისთვის საჭირო რამდენიმე მეთოდი.

1. ტენდერის გაყალბების კარტელის რისკის შემცირება შესაძლებელია, თუ კომპანია დაადასტურებს ტენდერს განცალკევებული, მრავალი კონტრაქტისთვის. ასევე, თავიდან უნდა იქნეს აცილებული სხვადასხვა სახის დამთხვევები იმ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც სატენდერო პროცედურებში მონაწილეობენ.

2. თუ ეკონომიკურ აგენტებთან შეხვედრაა საჭირო – უნდა დაიგეგმოს ინდივიდუალური შეხვედრები, იმ მიზნით, რომ შემცირდეს კომპანიების საკონტაქტო არეალი და შესაძლებლობა, ერთმანეთს ტენდერის ჩატარების დათქმულ ვადამდე შეხვდნენ. ამიტომ, შეხვედრაზე რამდენიმე ეკონომიკური აგენტის დაბარება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

3. შეადარეთ მიმდინარე ტენდერი და სატენდერო პროცედურები ადრე ჩატარებულებს და ასევე ტენდერებს მოსაზღვრე გეოგრაფიულ არეალში. ამასთან, გაითვალისწინეთ ის მოდელები, რომლებიც შეიძლება ტენდერის გაყალბების კარტელის აღმოჩენაში დაგეხმაროთ.


4. კონტრაქტის ვადის გასვლისას მზად იყავით ტენდერის პირობების შესაცვლელად იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს მაგ: გეოგრაფიული საზღვრების ან თვით კონტრაქტის სხვა პირობების შეცვლას. ამ შემთხვევაში თქვენ კომპანიებს გაურთულებთ ბაზრის გაყოფას, კონტრაქტის რიგრიგობით მოსაგებად.

5. აუცილებელია კონტრაქტი და ურთიერთობა სხვა კონტრაქტორ ეკონომიკურ აგენტებთან, რომლებიც მსგავს საქონელს და სერვისს ყიდიან. ანუ მათთან, ვისი საქმიანობაც შესადარია.

6. კონტრაქტის დოკუმენტების შექმნისას გაითვალისწინეთ, რომ ტენდერის გაყალბების კარტელები აკრძალულია და რომ ეჭვმიტანილი კარტელების თაობაზე ინფორმაცია ეცნობება ქვეყნის კონკურენციის სააგენტოს.

VII.14.

მეურნე სუბიექტების შერწყმებზე* შეთანხმებების განხილვის სქემა [12; 13]



* ან ორგანიზაციის სხვა სახეობანი, რომლებიც კონკურენციის ორგანოს მიერ კვალიფიცირდება როგორც შერწყმა

VII.15. ევროგაერთიანების სადამფუძნებლო შეთანხმების კონკურენციის წესები [87]

1. იკრძალება საერთო ბაზართან შეუთავსებელი ნებისმიერი შეთანხმება საწარმოებს შორის, ასევე, საწარმო გაერთიანებათა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, და კარტელური პრაქტიკა – რასაც შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს წევრ-სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაზე და რომელთა მიზანია ან რომლებსაც შედეგად მოყვება საერთო ბაზრის შიგნით კონკურენციის აღკვეთა, შეზღუდვა ან დარღვევა; კერძოდ, იკრძალება ისეთი მოქმედებები, რომლებიც:

ა) პირდაპირ ან ირიბად აფიქსირებენ შესყიდვის ან გაყიდვის ფასებს ან სხვა სავაჭრო პირობებს;

ბ) ზღუდავენ ან აკონტროლებენ წარმოებას, ბაზრებს, ტექნიკურ განვითარებას ან კაპიტალურ დაბანდებებს;

გ) ანაწილებენ ბაზრებს ან მომარაგების წყაროებს;

დ) იყენებენ არაერთგვაროვან პირობებს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორებთან ერთგვაროვანი გარიგებების დროს და ამით ახდენენ მათ ჩაყენებას არამომგებიან კონკურენციულ პირობებში;

ე) თავს ახვევენ პარტნიორებს კონტრაქტის დადებისას ისეთი დამატებითი ვალდებულებების აღებას, რაც მათი ხასიათის ან სავაჭრო პრაქტიკის გათვალისწინებით არ არიან დაკავშირებული კონტრაქტის საგანთან;

2. ნებისმიერი შეთანხმება ან გადაწყვეტილება, რომელიც იკრძალება ამ მუხლით, ავტომატურად ითვლება ბათილად.

3. ამასთან, ამ მუხლის 1 პარაგრაფის დებულებები შეიძლება არ იქნეს გამოყენებული:

– საწარმოთა შორის ნებისმიერი შეთანხმებისათვის ან შეთანხმების ნებისმიერი კატეგორიისათვის;

– საწარმოთა გაერთიანების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებისათვის ან გადაწყვეტილებათა ნებისმიერი კატეგორიისათვის;

– ნებისმიერი კარტელური პრაქტიკისათვის ან ასეთი პრაქტიკის ნებისმიერი კატეგორიისათვის;

რომლებიც ხელს შეუწყობენ საქონლის წარმოების და განაწილების გაუმჯობესებას, ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს, აძლევენ რა მომხმარებელს ამის შედეგად მიღებული სარგებლიდან სამართლიანი წილის გამოყენების (დასაკუთრების) უფლებას და რომლებიც:

ა) დაინტერესებულ საწარმოებს არ უწესებენ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად არ წარმოადგენენ აუცილებელს;

ბ) არ აძლევენ ამ საწარმოებს პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის კონკურენციისაგან თავის არიდების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. გვაზავა მ., სატრანსპორტო მომსახურების ბაზარზე (ქვემო ქართლი) კონკურენციის შეზღუდვა (რუსულ და ინგლისურ ენაზე), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით კონკურენციული პოლიტიკის საკითხზე ჩატარებული საერთაშორისო სემინარის (2000 წლის 28 თებერვალი – 10 მარტი) მასალები, ქ. ვენა (ავსტრია), 2000;

2. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბ., „ინოვაცია", 2009;

3. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), თბ., „ლოი"; 2007;

4. კოპალეიშვილი ლ., სასამართლო პროცესები – მონოპოლისტები ანტიმონოპოლიური სამსახურის წინააღმდეგ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ბიულეტენი „ანტიმონოპოლიური მაცნე" №11, გაზეთი „ბანკები და ფინანსები" №88, დეკემბერი, 2002 წელი;

5. ლაფაჩი ქ.,კონკურენციის პოლიტიკა და დარგობრივი რეგულირება საქართველოში, თბ., „ნეკერი", 2012;

6. ლაფაჩი ქ., სახელმწიფო კონცერნ „მამული"-ს დემონოპოლიზაცია და კონცერნ „ქართული ფილმის" დემონოპოლიზაცია (რუსულ და ინგლისურ ენაზე), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით კონკურენციული პოლიტიკის საკითხზე ჩატარებული საერთაშორისო სემინარის (1996 წლის 28 თებერვალი – 05 მარტი) მასალები, ქ. ვენა (ავსტრია), 1996;

7. მაისურაძე ვ., ლაფაჩი ქ., გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., მელაძე გ., კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, თბ., საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრი, 1999;

8. მგალობლიშვილი ზ., სადაზღვევო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ფაქტის გამოვლენა და აღკვეთა (რუსულ და ინგლისურ ენაზე), ეკონომიკური

თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით კონკურენციული პოლიტიკის საკითხზე ჩატარებული საერთაშორისო სემინარის (2000 წლის 28 თებერვალი – 10 მარტი) მასალები, ქ. ვენა (ავსტრია), 2000;

9. მგალობლიშვილი ზ., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მინერალური წყლების ბაზარზე (რუსულ და ინგლისურ ენაზე), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით კონკურენციული პოლიტიკის საკითხზე ჩატარებული საერთაშორისო სემინარის (2006 წლის 13-24 მარტი) მასალები, ქ. ვენა (ავსტრია), 2006;

10. მგალობლიშვილი ზ., სარკინიგზო გადაზიდვების ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (რუსულ და ინგლისურ ენაზე), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით კონკურენციული პოლიტიკის საკითხზე ჩატარებული საერთაშორისო სემინარის (2007 წლის 16-27 აპრილი) მასალები, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), 2007;

11. სერგია ნ., ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ, 2013 წლის 29 ნოემბრის (სააგენტოს კანცელარიაში რეგისტრაციის №5880) მოხსენებითი ბარათი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის სახელზე,სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თბილისი, პეკინის ქუჩა №28, მე-4 და მე-5 სართული;

12. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია, თბ., „ლოი“, 2012;

13. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, თბ., „ლოი“, 2007;

14. ფეტელავა ს., საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის პოზიცია ს.ს „თბილგაზი“-ს პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ბიულეტენი „ანტიმონოპოლიური მაცნე“ №8, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ №84, 25 სექტემბერი, 2002 წელი;

15. ფეტელავა ს., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ფუნქციების დახვეწის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ბიულეტენი „ანტიმონოპოლიური მაცნე“ №4, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ №78, 7 მარტი, 2002 წელი;

16. წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., პირველი წლიური ანგარიში (2005 წლის 23 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე), თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, თბ., „ლოი“, 2007;

17. წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., ბასილაია ლ., 2007 წლისათვის გაწეული მუშაობის ანგარიში, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, თბ., „ლოი“, 2008;

18. წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., გაწეული მუშაობის ანგარიში (2008 წელი), თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, თბ., „ლოი“, 2009;

19. ჯგერენაია ე., დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მინერალური წყლების ბაზარზე (რუსულ და ინგლისურ ენაზე), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ეგიდით კონკურენციული პოლიტიკის საკითხზე ჩატარებული საერთაშორისო სემინარის (2005 წლის 21 მარტი – 01 აპრილი) მასალები, ქ.ვენა (ავსტრია), 2005;

20. საქართველოში ეფექტური ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების სირთულეები და შესაძლებლობანი (სემინარის მასალები), ეკონო-მიკური პოლიტიკისა და რეფორმის ცენტრი (CEPAR), გუდაური, საქართველო, 7-9 ნოემბერი, 1996;

21. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალები (2011 წლამდე ინახებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, მე-6 სართულზე, თბ., ჭანტურიას ქუჩა №12);

22. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის 10 წლის ანგარიში (ანტიმონოპოლიური

სამსახურის საარქივო მასალა), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობა, მე-6 სართული, თბ., ჭანტურიას ქუჩა №12 (2011 წლამდე ინახებოდა ამ ადგილას);

23. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საარქივო მასალები, თბ., პეკინის ქუჩა №28, მე-5 სართული (სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული შენობა);

24. სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საარქივო მასალები, თბილისი, პეკინის ქუჩა №28,მე-5 სართული (სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ადმინისტრაციული შენობა);

25. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაწეული მუშაობის ანგარიში, თბ., „არადანი", 2003;

26. კონკურენციის პოლიტიკის საკითხებზე ვენაში (ავსტრია) 2005 წელს ჩატარებული სემინარის მასალები (რუსულ ენაზე);

27. Агдгомелашвили И., Ограничение Конкуренции, Семинар по темам связанным с политикой Конкуренции, Организация Экономического Сотрудничества и Развития, Центр по Сотрудничеству со Странами Не-Входящими в ОЭСР, Вена, Австрия, 22.02.1999 – 05.03.1999;

28. Азеведо Жоао Пеарс и Капобианко Антонио (Сектор конкуренции ОЭСР), Корректирующие меры при корпоративных слияниях, Что нового в этой области, ОЭСР – Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 26-28 Июня 2012;

29. Боаз Голан (Старший юридический советник и Глава Правового дерартамента Антитрестовского ведомство Израиля), Конкуренция при проведении тендеров и при госзакупках, ОЭСР – Венгрия, Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 21-25 Мая 2007;

30. Гаганидзе З., Ограничение Конкуренции, Семинар по Конкурентной политики, Организация Экономического

Сотрудничества и Развития (ОЕСД), Москва, Россия, 17-21 Апреля, 2000;

31. Гогиашвили Ш., Фетелава С., Дело о злоупотреблении телерадиоцентром доминирующим положением в области распределения частот, Семинар по вопросам Конкурентной политики (ОЕСД), 1997 г. 17-28 Февраля, Вена, Австрия;

32. Гогиашвили Ш., Фетелава С., Относительно тяжбы между государственной Антимонопольной службой Грузии и Департаментом „Самтрест", по вопросу о присвоении эксклузивного права винному заводу гю Бельца (Молдова) на производство, розлив, реализацию и использование товарного знака Грузинских вин, Семинар по темам связанным с политикой Конкуренции, Организация Экономического Сотрудничества и Развития, Центр по Сотрудничеству со Странами Не-Входящими в ОЭСР, Вена, Австрия, 22.02.1999 – 05.03.1999;

33. Дейнджер Кеннет, Распределение долей рынка, Семинар ОЭСР, 14-25 Апреля 2008 года, Будапешт, Венгрия;

34. Джгереная Э., О злоупотреблении рыночной властью экономическим агентом (Железной дорогой Грузии), обладающим положением на рынке, Семинара по Конкурентной Политике, ОЭСР – Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 7-10 Июня 2005;

35. Даниэль П. Дьюкоур (Заместитель директора ФТК США, Бюро по Конкуренции), Международное сотрудничество в сфере корректирующих мер при корпоративных слияниях, Семинар ОЭСР, Региональный Центр Защиты Конкуренции в Будапеште, 26-28 Июня 2012 года, Будапешт, Венгрия;

36. Даниэль П. Дьюкоур (Заместитель директора ФТК США, Бюро по Конкуренции), Опыт ФТК со структурными т поведенческими мерами, Семинар ОЭСР, 26-28 Июня 2012 года, Будапешт, Венгрия;

37. Краусс Катарина (7-ое Аналитическое управление Антимонопольное ведомство Германии), Основные элементы анализа слияний, Семинар ОЭСР по вопросам Конкуренции, Апрель 2008 года, Будапешт, Венгрия;

38. Кларк Джон, Релевантные доказательства в делах о картелях, Семинар ОЭСР, 21-25 Мая 2007 года, Будапешт, Венгрия;

39. Кларк Джон, Некартельные горизонтальные соглашения, Семинар ОЭСР, 21-25 Мая 2007 года, Будапешт, Венгрия;

40. Кларк Джон, Картели, их природа и приносимый ими вред, Семинар ОЭСР, Май 2007 года, Будапешт, Венгрия;

41. Крейг В. Конрат, Защита конкуренции при конкурсных торгах, Антитрестовский отдел Министерство юстиции США, Варшава, 1992, Ознакомительный Тур для Антимонопольной Службы Грузии, 22 сентября _ 3 октября, 1997 года, Вашингтон, Округ Колумбия;

42. Нэйл Е. Линч (Заместитель руководителя, региональное отделение антимонопольного управления в Сан-Франциско, Министерство Юстиции США), Противодействие правосудию, Конференция ОЭСР по вопросам Конкуренции, Апрель 2008 года, Будапешт, Венгрия;

43. Макфеддон Дэвид (Адвокат, Советник по юридическим вопросам Антимонопольного Ведомства), Практика Правоприменения Антимонопольного Закона, Семинар ОЭСР, Май 2007 года, Будапешт, Венгрия;

44. Питтман Рассел (Руководитель сектора свободной конкуренции антимонопольного отдела, Министерство Юстиции США), Зачем нужен закон о конкуренции – Особенно для развивающихся стран (საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალებიდან);

45. Паризат Шломи (Главный экономист Израильское Конкурентное Ведомство), Переход от поведенческих мер к структурным – так ли это хорошо?, Семинар ОЭСР по контролю над слияниями, 26-28 июня 2012 года, Будапешт, Венгрия;

46. Фетелава С., Гогиашвили Ш., Ограничение Конкуренции, Семинар по вопросам Конкурентной политики (ОЕСД), 1997 г. 17-28 Февраля, Вена, Австрия;

47. Фетелава С., Угулава В., Обеспечение понимания и поддержки общественностью соблюдения условий конкуренции,

Матеряли для междунар. семинара ,,Институциональные аспекты обеспе-чения условий для конкуренции", Стамбул, 4-7 Ноября 1997;

48. Фетелава С., Гогиашвили Ш., Выявление и пресечение фактов недобросовестной конкуренции в сфере производства и реализации минеральной воды ,,Боржоми" на товарном рынке СНГ, Семинар по темам связанным с политикой Конкуренции, Организация Экономического Сотрудничества и Развития, Центр по Сотрудничеству со Странами Не-Входящими в ОЭСР, Вена, Австрия, 22.02.1999 – 05.03.1999;

49. Фетелава С., Шабуришвили Д., Тяжба между участниками картельного соглашения на нефтянном рынке и Антимонопольной службой, Семинар по Конкуренции для ведомств стран СНГ, ОЭСР – Венгрия, Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 7-10 Ноября 2006;

50. Фетелава С., Шабуришвили Д., О Злоупотреблении рыночными полномочиями ,,на рынке обязательного страхования гражданской ответственности владельцев автомототранспорта" экономическими агентами, обладающими доминирующими положениями, Семинара по Конкуренции для ведомств стран СНГ, ОЭСР – Венгрия, Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 7-10 Ноября 2006;

51. Церетели Г., Фетелава С., Горизонтальное картельное соглашение на товарном рынке Масла и заменяющего его продукта Маргарина, Антикартельное правоприменение и ограничительные соглашения, ОЭСР – Венгрия, Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 21-25 Мая 2007;

52. Сепай Балаш (GVH), Санкции против злостных картельных объединений, Семинар ОЭСР, Май 2007 года, Будапешт, Венгрия;

53. Сепай Балаш (GVH), Ограничение конкуренции при вертикальных соглашениях, Семинар ОЭСР, Май 2007 года, Будапешт, Венгрия;

54. Судебное преследование картельных сговоров при отсутствии прямых доказательств заключения соглашения, Материалы Семинара по вопросам Конкурентной политики (ОЕСД) -/ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამდივნოს მიერ მომზადებული წინასიტყვაობა/; კონკურენციის პოლიტიკაზე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა მონაწილეობით ჩატარებული საერთაშორისო სემინარების მასალებიდან;

55. Эджибадзе Ж., Описание дела о норушении Антимонопольного законодательства, Семинар по Конкурентной политики, Организация Экономи-ческого Сотрудничества и Развития (ОЕСД), Москва, Россия, 17-21 Апреля, 2000;

56. Эллиот Дэвид, Экономические подходы к картелям, Семинар ОЕСД, Вена, Австрия, 2006;

57. Эллиот Дэвид, Что может экономика в отношении картеля?, Семинар ОЕСД, Вена, Австрия, 2006;

58. Эллиот Дэвид, Вертикальные ограничения, Семинар ОЕСД, Вена, Австрия, 2006;

59. Материалы Семинара по вопросам Конкурентной политики (ОЕСД), 1997 г. 17-28 Февраля, Вена, Австрия;

60. Материалы Семинара по темам связанным с политикой развития конкуренций, Вена, Австрия, 22.02.1999 – 05.03.1999, Организация Экономического Сотрудничества и Развития, Центр по Сотрудничеству со Странами Не-Входящими в ОЭСР;

61. Материалы Семинар по Конкурентной политики, Организация Экономического Сотрудничества и Развития (ОЕСД), Москва, Россия, 17-21 Апреля, 2000;

62. Материалы Семинара по Конкурентной Политике– „Злоупотребление доминирующим", ОЭСР – Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 7-10 Июня 2005;

63. Материалы Семинара по Конкуренции для ведомств стран СНГ, Обеспечение Борьбы с Картелями и ограничи-тельные соглашения, ОЭСР – Венгрия, Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 7-10 Ноября 2006;

64. Материалы Семинара по вопросам Конкуренции-Антикартельное правоприменение и ограничительные соглашения, ОЭСР – Венгрия, Региональный Центр по Конкурентной Политике в Будапеште, 21-25 Мая 2007;

65. Материалы Семинара по вопросам Антимонопольной Политики, Региональный Центр Защиты Конкуренции, ОЭСР – Венгрия в Будапеште, 14-25 Апреля 2008 года, Будапешт, Венгрия;

66. Материалы Семинара по Политике Конкуренции в Регулируемых Секторах: Решение ек по делу „Мастеркард", реализация Sepa и другие недавние события в Финансовом секторе, Региональный Центр Защиты Конкуренции, ОЭСР – Венгрия в Будапеште, 8-11 Декабря 2008 года, Будапешт, Венгрия;

67. Материалы Семинара по вопросам Сговор и обмен Информацией Между Конкурентами и роль Асо-циаций, Региональный Центр Защиты Конкуренции, ОЭСР – Венгрия, София, Болгария, 7-9 Июня 2011;

68. Международный Институт Права, Ознакомительный Тур для Антимонопольной Службы Грузии (на русском языке), 22 сентября - 3 октября, 1997 года, Вашингтон, Округ Колумбия;

69. Maisuradze V., Pantsulaia V., On restriction of competition in the Market for Motor Vehicles Insurance, Seminar on Topics in Competition Policy, OECD, Centre for Cooperation with Economies in Transition, Vena, Austria, 16-27 February 1998;

70. Elliott David end Vorrison Erik, Merger Simulation – what have we learnt about it?, OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 2008;

71. Seminar on Topics in Competition Policy, 17-28 February 1997, OECD, Centre for Cooperation with Economies in Transition, Vena, Austria;

72. Seminar on Topics in Competition Policy, 16-27 February 1998, OECD, OCDE, Centre for Cooperation with Economies in Transition, Vena, Austria;

73. Seminar on Topics in Competition Policy, 22 February to 5 March 1999, OECD, OCDE, Centre for Co-operation with Non-Members, Vena, Austria;

74. Workshop on Assessing Market Pover, OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 15-18 May 2006;

75. International Conference on Cartels, OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 16 February 2007;

76. Seminar on Merger Control, Activity of the OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 12-26 February 2007;

77. Seminar on Competiton Policy, Activity of the OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 16-27 April 2007;

78. Workshop on the Liberalisation of Electricity Markets, OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 5-8 November 2007;

79. Seminar on Topics in Competiton Policy, RCC – OECD – Regional Centre for Competition in Budapest (Hungary), 14-25 April 2008;

80. Workshop on Exclusionary and Discriminatory Practices, OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 19-22 May 2008;

81. Workshop on Abuse of Dominance, OECD – Hungary Regional Centre for Competition in Budapest, 1-5 September 2008 (ლონისძიებაში მონაწილეობდნენ – წერეთელი გიორგი (თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე) და მგალობლიშვილი ზურაბი (თავმჯდომარის მოადგილე));

82. Workshop on Vertical Restraints, RCC – OECD – Regional Centre for Competition in Budapest (Hungary), 8-11 May 2012;

83. Workshop on Innovative Romedies and Merger Analysis, RCC – OECD – GVH - Regional Centre for Competition in Budapest (Hungary), 26-28 June 2012;

84. CHECKLIST, Twelve ways to detect bid-rigging cartels, KONKURRENSVERKET, Swedish Competition Authority, 2012;

85. Honesty Pays!, How to detect and give tip-offs about bid-rigging cartels in public procurement, KONKURRENSVERKET, Swedish Competition Authority on +46(0)8-700 16 00, or e-mail us at konkurrensverket@kkv.se, For more information visit www. konkurrensverket.se;

86. http:/www.globalcompetitionforum.org/

87. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ. do? uri= CELEX:12008E101:EN:NOT

88. http://www.bwb.gv.at/DieBWB/Organisation/Seiten/default.aspx

89. http://www.justice.gov/atr/about/sections.html

90. http://www.comcom.govt.nz/the-commission/about-us/commission-structure/

91. http://www.bundeskartellamt.de/wDeutsch/download/pdf/Organigramm/2013/Organigramm_2013_10_01.pdf

92. http://en.kfst.dk/About-us/Organisation

93. http://www.konkurentsiamet.ee/?id=14196

94. http://www.rekabet.gov.tr/default.aspx?nsw =8sCXkd3lUrHu2czoI/N4sg==-SgKWD+pQItw= &nm=267

95. http://www.jftc.go.jp/en/about_jftc/index.files/JFTC_organizational_chart_201309.pdf

96. http://www.competitionbureau.gc.ca/eic/site/cb-bc.nsf/eng/h_02866.html

97. http://kt.gov.lt/en/index.php?show= contacts& con menu=structure

98. http://en.fas.gov.ru/about/structure/

99. http://www.compcom.co.za/structure/

100. http://eng.ftc.go.kr/about/ organization.jsp?pageId=0103

101. http://www.autoritedelaconcurrence.fr/user/standard.php?id_rub=33

102. http://www.ccs.gov.sg/content/ccs/en/About-CCS/Organisation-Structure/Senior-Management.html

103. http://www.antimon.gov.sk/77/organisational-structure.axd

104. http://www.competition.am/index.php?menu=249&lng=2

105. http://www.kkv.se/t/Page_233.aspx

106. http://www.weko.admin.ch/org/00104/index.html? lang=de

107. http://apps.americanbar.org/buslaw/blt/content/articles/2010/09/0002.shtml

ავტორთა შესახებ

სლავა ფეტელავა – ეკონომიკის დოქტორი (PhD), იურისტი, **ასოცირებული პროფესორი**. სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს თემაზე - „კონკურენციის თეორიის ევოლუცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“ (2008 წელი).

1992-94 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1993-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე (წამყვანი სპეციალისტი, სამდივნოს უფროსი-კოლეგიის მდივანი, განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი).

1997 წელს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბების პირველივე დღიდან მის ლიკვიდაციამდე (2005 წლის 19 აგვისტო) იყო სამსახურის უფროსის მოადგილე, მათ შორის, 2001 (სამი თვე) და 2004 (ერთი თვე) წლებში სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2002-2005 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურთან არსებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს წევრი, ხოლო 2007 წლის 28 მარტიდან იყო დსთ-ს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის სახელმწიფოთა-შორისი საბჭოს სრულუფლებიანი წევრი საქართველოდან (დსთ-დან გამოსვლამდე).

2005-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში, კონკურენციის განვითარების სამმართველოს უფროსად, ხოლო 2010-2011 წლებში იყო დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის თავისუფალი

ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს კონკურენციის დაცვის სამმართველოს უფროსი.

2012 წლის 1 იანვრიდან დღემდე არის სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კონკურენციის დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის სპეციალისტი.

საჯარო სამსახურში მუშაობის პარალელურად 1993 წლიდან ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას. კითხულობდა ლექციების კურსს – „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის“, „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის“, „საქართველოს ეკონომიკური განვითარების“, „კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების“, „ანტიმონოპოლიური პოლიტიკის“, „საგადასახადო საქმის“ და „ბიზნესის სამართლის“ დისციპლინებში – „მცირე აკადემიაში“ (1993-2005 წწ.), თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში (1994-1996 წწ.), პაატა გუგუშვილის სახელობის უნივერსიტეტში (2006-2011 წწ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2007-2010 წწ.), წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიან სკოლა-კოლეჯში (2009-2010 წწ.), გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში (2008 წლიდან) და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2013 წლის თებერვლიდან).

1994 წელს (სექტემბერი-ნოემბერი) მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გაიარა საბაზრო ეკონომიკისა და ფინანსური ანალიზის კურსი ქ. კიევში, ხოლო 1995 წლის დეკემბერში, გაეროს დაფინანსებით გაიარა სახელმწიფო ფუნქციების დეცენტრალიზაციის კურსი, კერძო სამართლის საზოგადოებრივ ინსტიტუტში, ქ.ვაშინგტონში (აშშ).

1995-2013 წლებში მონაწილეობა აქვს მიღებული კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების საკითხებზე საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში სტამბულში (თურქეთი),

ვენაში (ავსტრია), ბრიუსელში (ბელგია), მოსკოვში (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა), კიევში (უკრაინა), ბუდაპეშტში (უნგრეთი, ვერევანი (სომხეთი), კიშინიოვში (მოლდავეთი), სტოკჰოლმში (შვედეთი), თბილისი (საქართველო).

გამოქვეყნებული აქვს 60-მდე ნაშრომი კონკურენციის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების თორიისა და პრაქტიკის საკითხებზე. მათ შორის – ორი მონოგრაფია: 1)„მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე“ (2007 წ.); 2)„კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში“ (2007 წ.); ერთი სახელმძღვანელო - „შესავალი ენერგომენეჯმენტში“ (თანაავტორი, 2011 წ.); სამი ლექციის კურსი: 1) „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება“ (თანაავტორი, 2007 წ.); 2) „ბიზნესის სამართლებრივი გარემო“ (2009 წ.); 3) „ენერგო და ეკო სამართალი“ (თანაავტორი, 2010 წ.); ერთი კრებული - ,,კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის“ (თანაავტორი, 1999 წ.); თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის საგენტოს მიერ გაწეული მუშაობის შეფასება-ანალიზი/ანგარიში (თანაავტორი, 2007; 2008; 2009) და ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური სახელმძღვანელო - „ეკონომიკური კონკურენცია“ (თანაავტორი, 2012 წ.).

2006-2011 წლებში იყო ყოველკვარტალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-შემეცნებითი ჟურნალ ,,კირბისი“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკური ბლოკის რედაქტორი.

2008 წლის ივნისიდან დღემდე არის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ახალი ეკონომისტი“-ს, ხოლო 2010 წლიდან ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“-ს სარედაქციო კოლეგიათა წევრი.

2008 წლის დეკემბრიდან დღემდე არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და

მართვის სკოლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი.

2001 წელს ეკონომიკს დარგში მიმდინარე რეფორმების განხორციელებაში შეტანილი პირადი წვლილის, ნაყოფიერი სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გამოცხადებული აქვს მადლობა. ასევე მიღებული აქვს 4 მადლობა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის (2005 წ.) და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს (2005 წ., 2010 წ.; 2011 წ.) უფროსების შესაბამისი ბრძანებებით.

2010 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ, აღიარა წლის საუკეთესო ლექტორად.

გავლილი აქვს სამხედრო სამსახური. არის თადარიგის ოფიცერი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

შალვა გოგიაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის **ასოცირებული პროფესორი.**

სამეცნიერო ინტერესების სფეროს მიეკუთვნება მოსახლეობის კეთილდღეობის კრებსითი პარამეტრების ანალიზი და პროგნოზირება, სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფის საკითხები, ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები, ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მათ შორის განსაკუთრებით კონკურენციის პოლიტიკა და მისი განხორციელების პროცესები ინსტიტუციონალური რეფორმირების გათვალისწინებით. აღნიშნულ პრობლემატიკაზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 5 მონოგრაფიაა, ხოლო 3 - სახელმძღვანელო და სალექციო კურსი.

1973-1995 წლებში მუშაობდა ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი ლაბორანტის და ინჟინერ-ეკონომისტის, უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ლაბორატორიის და განყოფილების გამგის თანამდებობებზე.

1995-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სისტემაში, ჯერ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდგომ – სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოში (სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, სამმართველოს უფროსი, მთავარი ექსპერტი). აღნიშნულ პერიოდში უშუალოდ მონაწილეობდა ქვეყნის საკონკურენციო პოლიტიკისა და შესაბამისი კანონპროექტების შემუშავებაში, ხოლო

შემდეგში ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის პრაქტიკულ რეალიზაციაში.

ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებზე (განსაკუთრებით პოსტსოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის მიმართულებით) მონაწილეობდა 40-მდე სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის სემინარის, თათბირის, კონფერენციის თუ სიმპოზიუმის მუშაობაში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ /ალმა-ატა, ბაქო, ბუდაპეშტი, ბუქარესტი, ერევანი, ვენა, ვილნიუსი, კიევი, კიშინიოვი, მოსკოვი, ოდესა, რიგა, სოფია, სტამბოლი, ტალინი, ულან-ბატორი/.

1999 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტებზე კითხულობდა მის მიერვე შედგენილ სალექციო კურსს ,,ანტიმონოპოლიურ პოლიტიკა"-ში (სასწავლო კურსი დღესაც შედის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკური პოლიტიკის" საბაკალავრო მოდულის სავალდებულო დისციპლინათა ნუსხაში), ხოლო ბოლო 5 წელიწადი - საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ახლად დანერგილ დისციპლინას „ეკონომიკური პოლიტიკა".

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

СЛАВА ШАЛВОВИЧ ФЕТЕЛАВА

ШАЛВА МИХАЙЛОВИЧ ГОГИАШВИЛИ

Практика Антимонопольного Регулирования

(на грузинском языке)

изд. „Ахали Сакартвело“

Тбилиси 2013.

ტექნიკური რედაქტორი:

ლელა გოგოლაური
ნანული ასლანიშვილი

გარეკანზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ემბლემა (2001-2005 წწ.), რომელიც გადაღებულია გვანცა ფეტელავას მიერ.

ტირაჟი 60 ეგზ.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ახალი საქართველო“
თბილისი, თ. ერისთავის ქუჩა №1
ტელ: 5 99 90 65 87